

114/3

მნათობი

26

1

1

ნაგებობა



1959

მ ნ ა მ მ მ მ მ



საქართველოს მწიგნობართა კავშირის ორგანო
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 36-ე

№ 1

იანვარი 1959 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობრის კავშირის ორგანო

7742

ზ ი ნ ა ა რ ს ი

მაყვალა მრევლაშვილი — ლექსი	33
სერგო კლდიაშვილი — შემოხვევა ზვარში, მოთხრობა	3
შალვა ამისულაშვილი — ბალადა ფიროსმანის ბავშვობისა	4
დადა ავალიანი — ახალი პორიზონტი, რომანი, ნაწილი მეხამე	8
ანა კალანდიაძე — ლექსები	10
ედისერ ყიფიანი — მსჯევერი მთებისა, მოთხრობა	35
ვახტანგ ჯავახიძე — ლექსები	38
ელიზბარ უბილაძე — ანაკლის ღამე, მოთხრობა	46
მიხეილ ქვლივიძე — ლექსები	48
ილია ზოსტარია — რასაც ვერტუოდი, ლექსი	60
ნიკოლოზ ტიშონოვა — სერგო მთებში, პოემა, (გაგრძელება) თარგმანი კ. კალანდიაძისა	61
დავით წერეთელი — ლექსები	62
გიორგი ჯიბლაძე — ხელოვნების მორეულ შეგლებთან, ნარკვევი, (გაგრძელება)	66
	67

პ რ ი ბ ი კ ა და პ უ ზ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

გიორგი მარგველაშვილი — ვალაკტიონ ტაბიძე	91
გურამ კანკავა — ნიკო ლორთქიფანიძე	98
ვლ. ჯიბლაძე — ი. გრიშაშვილი	103
დ. ბატურია — მწერალი, თანამედროვეობა და ისტორიზმი	108
ბაბო მკედლიძე — ზოგიერთი მოსახრება საბავშვო ლტერატურის შესახებ	114
ეთერა ვალუხტაძე — რეპლიკა ამხანაგ გ. ვოიანს	116
ეთერა გუგუშვილი — დიდი ცხოვრება ხელოვნებაში	121
ალ. ზოსტარია — მუღამი, ურღვევი შეგობრობა	127
შოთა ნემსაძე — პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა საქართველოში	130
გივი ჭანუყვაძე — უტოპიური სოციალიზმის დიდი წარმომადგენელი	137

(იხ. მეორე გვერდი)

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»



ლიბრატურათმცოდნეობა

სარკის ცაიშვილი — ზოგიერთი საკითხი რითმის ისტორიიდან 141



მეცნიერება

აკაკი შანიძე — ევფისტვაოსნის ენის საკითხები 146
შალვა ნუცუბიძე — პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები . . . 148

ხელოვნების საკითხები

კირილე ზღანდია — დავით კაკაბაძე 157

მეზუარული ლიბრატურა

ექვთ. თაყაიშვილი — მოგონებები 165

წიგნების მიმოხილვა

გრიგოლ მაჭავარიანი — მე-19 საუკუნის ქართული ძეგრნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები 172
შალვა ადიაშვილი — წიგნი ისტორიულ მატერიალიზმზე 174
პროფ. დ. კობიძე — იოსებ ზილიხანიანის ქართული ვერსიების შესახებ 176
დავით ჩაკვეტაძე — ნაშრომი გურიის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე 179
დოკ. ვხევიალად კაკაბაძე — ილ. ნეიშანის რეცენზიის შესახებ 182
ფურნალ „მნათობის“ 1958 წლის ნომრების შინაარსი 185
ახალი წიგნები 192

რედაქტორი ხ. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, დ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. შარაგვი-
ლაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/II-59 წ. ნახევრდ ფორმათა რიოდენობა 12. შეკვეთა 22
უე 00825 ანაწყოების ზომა 7¼×12¼. ქალაღლის ზომა 70×108. ტარაჟი 7000

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთაქარპოლიგრაფიკამოქმედლობის ბექდეთია
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

მეცხველი მკაცრიზვილი



ახალი წლიდან
მაღალი, წმინდა
ოცნება უძღვის საქმეს კეთილსა,
გაჩენის დღიდან ამგვარად გვზრდიდა
მამის საღვინე,
თაფლი დედისა.

წამოჩიტილი საყრმის შვილები
თვალსა და ხელში შემომყურენი...
და აწვეთებენ სიტკბოს უღვეველს
პატარა სახლის კედელ-ყურენი.

წამსვლელ წელს უყვარს უხვი საგზალი,
დამდეგსაც დახედეს სუფრა გაშლილი.
ახალი წელი შორით ნამგზავრი
ტკბილეულს ელის სტუმარ ბავშვივით.

უთქვამს ნადიკვარს, მწვანე ყვავილას
— აგვიესო კალთა კაცის ნაშრომმა!
ხონჩით-ხონჩაზე საესე ხვავითაც
დასტური უთქვამს მრავალ ვაშლოვანს.

კვლავ მეტს დაისხამს ოქროს ტაროსა,
მეტი ეშხითამც გულს უძგერია, —
მოელოდება სტუმრის დალოცვას
საქართველოში ყველა კერია.

ემრავლოს სტუმარს...
... იქნებ მობრძანდეს
შენც, ჩემო ფიქრის ერთო უფალო,
წლების ქროლისგან გადახრილ
სანთელს
ხელისგულეში შემოუფარო.

კვლავ მოგვიძლოდეს სხივი უებრო
და სიკბაბუკე ჩაუქრობელი...
ცხრაწყაროს დაღმართს თხილამურებით
კიდევ მრავალჯერ ჩაუქროლებდი.

კვლავ აუღებელ მწვერვალს მიმგვარეთ
აბა, წრიაპო

თუ ძალაყინო.
ჩვენმა ზამთარმა ყინვა იმგვარი
არ იცის — გული რომ გადაყინოს.

ღვას საქართველოს ახალი წელი,
ლხინი შემოჰყვა სიგრძე-განედად.
ვხვდებით სახელოდაკაპიწებით
შინაც — გარეთაც,
შინაც — გარეთაც.



შემთხვევა ზვარში

ფერდობზე გაშენებულ ზვარის თავში საყარაულო კარავის წინ მორზე სხედან მეურნეობის ახლახან დანიშნული დირექტორი ნოდარ ბეგაშვილი და აგრონომი ჯაბა ჩადუნელი.

მათ ესესაა დაამთავრეს ზვარის შემოვლა, დალილობა ემჩნევით და გაჩუმებული არიან.

ბეგაშვილმა სიგარეტის კოლოფი ამოაცოცა გულჯობიდან და თავის მეზობელს მიაწოდა.

— გამდლობთ, მე ჩემი მაქვს, — ჩაიღუღუნა ჩადუნელმა და თვითონაც გააბოლა.

აგვისტოს საღამოა. მზის უკანასკნელი სხივი ქრება ფერდობის ძირში გაშლილია დიდი ველი, რომლის დასასრულს იისფერში გახვეული გორაკების ვრეხილი ჩანს. ბინდი ეშვება და გარემო თანდათან პატარავდება. ცხელა. დამშიმებული ჰაერი უძრავადაა.

ორივე მამაკაცი მზადაა თუნდაც ახლაც გაუდგნენ გზას, პირისპირ ყოფნა არ უნდათ, მაგრამ იძულებული არიან ცხენები შეასვენონ. ნამშიერ პირუტყვს თეთრწვერა ყარაული დაატარებს ბუჩქებში და ამოვებს.

— ვგრძნობ, ნაწყენი ხართ ჩემზე, ამხანაგო ჯაბა, — ხანგრძლივ სიჩუმეს გაუბედავად არღევს ბეგაშვილი. აგრონომი ყურადღებას არ აქცევს, ვითომ არც გაუგონია. მზისაგან გარუჯულ, ორი ღრმა ნაოკით დასერილ სახეზე ეტყობა, რომ უგუნებოდაა. თავისი გრძელი ხელებით ის დროდადრო მოიფათურებს ხოლმე ბუჩქად ამოსულ შეყვითლებულ სარეველაში და ისე ძალდაუტანებლად გლეჯს, თითქოს მათ ფესვები ღრმად არ ჰქონდეთ გამდგარი მიწაში და ერთი უბრა-

ლო შეხებისთანავე თავისთავად ამოკვეწონ. გოლიათი კაცის ეს უბრალო მოძრაობაც მოწმობს, თუ რა დიდი ფიზიკური ძალის მქონეა ის.

— არც მე მსიამოვნებს თქვენი განთავისუფლება, მაგრამ... — არ ამთავრებს ბეგაშვილი და ჩამქრალ სიგარეტს ასანთს უკიდებს.

— მაგრამ რა? — უეცრად მოუთმენლობას ამქადავებს ჩადუნელი.

— თუ დამიჯერებთ, მე აქ არაფერ შუაში არ ვარ. ტყუილად მიჯავრდებით.

აგრონომმა დამცინავად გადახედა:

— იქნებ ისიც მოითხოვოთ, ბოლიში მოვიხადო და მადლობა გითხრათ თანავარძლობისთვის?

ღვარძლიანი პასუხი გაბედულებას მატებს მეურნეობის დირექტორს და ის ხმას უმატებს:

— გეუბნებით, მე არაფერ შუაში არ ვარ. არის, ალბათ, მიზეზი...

— მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იქნეს... ის, რომ აქაურობა მოუვლელია. რა წუნი აქვს ჩემს ნამუშევარს?

— ერთი შეხედვით თითქოს ბევრი არაფერი, მაგრამ... ყველა პირობა არსებობდა, უკეთესად ყოფილიყო. აღარ გვარგებს ძველ ყაიდაზე მუშაობა, ამხანაგო ჯაბა უნდა იცოდეთ, ახლა ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით * იმით, რაც იყო. საჭიროა ახლებურად გარდაიქმნეს ყველაფერი. თქვენ კი, როგორც ჩანს...

უნდოდა ეთქვა, უნარი არ შეგწევთო, მაგრამ თავი შეიკავა.

— პო, რა ჩანს? პირდაპირ მითხარით!

— ერთი სიტყვით, ახალი კაცია საჭირო... ისეთი, რომლის სრული იმედი



მექნება, რომ თანამედროვე მოთხოვნილების სიმალღეზე წარმართავს საქმეს... რა გქნა, ბოდინების დრო არაა. მე თუ თქვენ მოგებოდით, თავზე ხელს არავინ გადამისვამს და...

— ტყუილია ეგ! — მკვებედ მოუჭრა ჩადუნელმა.

ღირეპტორმა წარბშეკრულად გადახედა:

— ჰოდა, აბა, რაც გინდათ, ის იფიქრეთ.

— ტყუილია, დიახ! თქვენ გინდათ მეგობარი მოაწყოთ აქ და ცდილობთ რაიმე შარი მომიდოთ. სწორედ ამიტომ გამოიგონეთ ეს დათვლიერება და მთელი დღე მათრიეთ ზვარში!

ბეგაშვილი უკმაყოფილოდ შეიშმუნა. ისე დაიჭირა თავი, თითქოს პასუხის ღირსად არ ჩათვალა ვაგონილი.

რამდენიმე წუთი ჩადუნელიც მდუმარედ ზის, მაგრამ გულზე მოწოლილ ბოდმას ვეღარ იკავებს და თითქმის თავისდაუნებურად განაგრძობს:

— არაფერი საქირთა მიზეზების ძებნა. ფიქრი ნუ გაქვთ, არსად არ წავალ საჩივლელად. იმიტომ, რომ აზრი აღარ აქვს ჩემს აქ ყოფნას. ჩვენ ვერ შევეწყობით ერთმანეთს. ხვალვე დაგტოვებთ. მე ყველგან მომიცემენ სამუშაოს. რომ გავჯიუტდე და დავრჩე, ამით მხოლოდ ზიანი მიადგება საქმეს. აქაურობა კი...

უნდოდა ეთქვა, რომ ამ თვალუწვდენ სივრცეზე, სადაც წინათ მხოლოდ ტრამაილი იყო, თვითთული ვაზი თავისი ხელით ჰქონდა მოვლილი და ნაალურსები, მაგრამ დათმენა ამჯობინა. არ უნდოდა ეჩვენებინა ამ უცხო ახალგაზრდისათვის, თუ როგორ ენანებოდა აქაურობის დატოვება. მხოლოდ ნაღვლიანად გადაავლო თვალი ფერდობს, ჩაქნია ხელი, გადაავლო სანახევროდ დაფერფლილი სიგარეტი, მაშინვე მეორე ამოიღო და ასანთი გაკრა.

ბეგაშვილმა შენიშნა მისი მღელვარება.

— ჰო, კაი ახლა, მოვრჩეფი ამ უაზრო კამათს. დამდება. — გულტყვიანად წაილაპარაკა, ხელებით დაეყრდნო მორს და მიიმედ წამოდგა.

უეცრად მან მწარე ჩხელეტა იგრძნო მაჯაში, მთელ ტანზე ცეცხლი შემოენთო და თვალეში ჩაულამდა.

ანგარიშმიუცემლად მარჯვენა ხელი დაკრა ნაკბენზე, დაბერტყა ხალათის სახელო და დაინახა, რაღაც მომწვენიო ხოტო დაეარდა მიწაზე.

დააბირა დაეხედა, მაგრამ ძალა არ ეყო დასახრელად, მწვავე ტყვილმა ისევ დაუბინდა თვალეში და კიდევაც დააბარბაცა.

— რა დაგემართა? — ხელი შეაშველა ჯაბამ.

— მანდ ავღია... — ამის თქმაც ძლივს შესძლო ნოდარმა და თვალით ანიშნა აღვილი.

მიწაზე დახრილმა ჩადუნელმა ამოწვერილ ქვასთან დაგდებული გასრესილი მორიელი დაინახა.

— მომიჭირე აქ! — მკლავი მიუშვირა ბეგაშვილმა.

ჯაბამ ჯიბეში მოიფათურა და როცა პატარა ცხვირსახოცის მეტი ვერაფერი იპოვა, სწრაფად გაიძრო ხალათი და შემოიხია პერანგი.

— უფრო ღონივრად! — დაიკენესა ბეგაშვილმა.

ჯაბამ მოსჭიმა ნასკვი.

— დალახვროს ეშმაკმა, ამხელი კაცს მეტი ღონე არ გაქვს?

ჩადუნელმა მაგრად შემოუჭირა და ხელი უშვა მხოლოდ მაშინ, როცა დაგრეხილი ნაჭერი ხორცში ღრმად ჩაიჭრა.

სისხლი აღარ მოძრაობდა. იდაყვის ქვემოთ ძარღვები დაიბერა. გაწითლებული მკლავი შემუშუპული ჩანდა.

— წყალო! — გამშრალ პირს აღებდა ბეგაშვილი და ცდილობდა მეტი ჰაერი დაეჭირა. ლითონის გემოს გრძნობდა ხახაში, მთელი ტანი დაქიმული ჰქონდა.

კარვიდან დოქი გამოარბენინა ჯა-

ბამ და ტუჩზე მიაყუდა. ბეგაშვილი ხარბად დაეწაფა, შეისვენა და კიდევ მოსვა. წყურვილი მაინც ვერ მოიკლა და პირი ისევ მშრალი დარჩა.

— ცუდადაა საქმე, წაილულულა სასოწარკვეთით, — ცუდადაა საქმე! ჩადუნელი მიხვდა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და ყარაულს გადასძახა ცხენები მოეყვანა.

— აბა წავიდეთ! — ხელები ჩაპკიდა ბეგაშვილს, ბავშვივით აიტაცა და დასვა უნაგირზე.

ცხენები დაიძრნენ. ჯაბა გვერდით მიჰყვა ბეგაშვილის ზერდაეს. ზვარის ბოლოში გაჭიმულ გზატკეცილისკენ ეჭირათ გეზი. მანძილის შესამოკლებლად ვენახზე გადაიარეს და ველზე გავიდნენ, აქ აღარაფერი ელოებოდათ და ოთხით წაიყვანეს ცხენები. ერთი-ორგან თხრილს წააწყდნენ და ნახტომით გადავიდნენ. რუს ნაპირზე ჩადუნელს კუნელას ტოტი წამოედგა და ჰილოფის ქუდი გადაუგდო, მაგრამ მას არც უფიქრია შეჩერება.

უნაგირზე ყანყალი ბეგაშვილს კიდევ უფრო უღიზიანებდა სატკივარს და ჯანსაღი მარჯვენით ეჭირა გულზე მიხუტული მარცხენა. ჩამოვარდნილი ხადავე ცხენის კისერზე კორწაილობდა, თავის ნებაზე მიშვებული პირუტყვი მხედარს იბრძვივებდა ხოლმე და სვლას ანელებდა. ის სულაც გაჩერდებოდა, მაგრამ გვერდით მიმყოლი ჩადუნელი არ უსვენებდა, შოლტავდა, კივივით აფრთხობდა და იძულებულს ხდიდა ფეხი აეჩქარებია.

მთელი ეს ველი მრავალჯერ ჰქონდა გავლილი აგრონომს, მაგრამ ახლა თანაც სიბნელეში, უცხოოდ ეჩვენებოდა აქაურობა. დროდადრო შეშფოთებით მიაჩერდებოდა სივრცეს და მიმართულების სისწორეს ამოწმებდა. ბოლო არ უჩანდა მანძილს, ვერ იქნა და ვერ მიუახლოვდა გზატკეცილს.

ერთ აღვილას ჩადუნელმა დაინახა, როგორ შეტორტმანდა ავადმყოფი და რა უღონოდ გადმოეკიდა უნაგირიდან. მაშინვე გააჩერა თავისი ცხენი, მიიჭ-

რა ბეგაშვილთან, შეეშველა და თანაც უზანგიდან ფეხი გაუთავისუფლა.

— რა იყო? — დაეკვებით იკითხავონზე მოსულმა ბეგაშვილმა.

— ფიქრი ნუ გაქვს, გვზიდავს ორივეს! — მისი ზერდავის გავაზე შეფოფბდა ჯაბა, ხელი შემოხვიან ავადმყოფს, მეორით აღვირი დაიჭირა და პირუტყვის ქუსლი დასცხო ფერდებში.

ცხენმა ჯერ იუცხოვა სიმძიმე, მაგრამ დაუნდობელი მხედრის ნებას დაჰყვა, უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და განავრძო გზა.

იმ წუთიდან, რაც უკან ჩადუნელი დაჯდა, ბეგაშვილს გაუქრა გადავარდნის შიში. ოღონდ უფრო მწვავე ფიქრი გაედვიძა ამის შემდეგ... თუ შხამი მოერია, ვეღარც მიიღწევს საავადმყოფომდე... ნუთუ ასე მალე და უაზროდ უნდა დასრულდეს ცხოვრება... ეს საშინელი ტკივილი მაინც დაუჭრდებოდა...

აღარ ამჩნევდა, როგორ გადიოდა დრო, როგორ ჩამოეშვა ღამე. მხოლოდ ამტერდებოდა სივრცეს, ცდილობდა დაენახა რამე და რომ ვერაფერს არჩევდა, ისე ეგონა თითქოს სინათლე დაჰკარგოდა და სამუდამოდ დაბნელებულიყო მისთვის.

— გათავდა ყველაფერი! — უმალვე სასოწარკვეთა იპყრობდა და შიშისაგან ცახცახი ეწყებოდა.

ბოლოს თელემა მოერია. ამან კი უფრო დააფრთხო... აღბათ, უკანასკნელი წუთები დადგა... სული დალიოს სადღაც უდაბურ ველზე?.. არა, ოღონდ ეს არა!

უეცრად იგრძნო, რომ ცხენი გაჩერდა. ისიც დაინახა, რომ ჩადუნელი ჩამოქვეითდა.

— რა იყო? — იკითხა გაკვირვებით და როცა თვალი მოჰკრა, რომ ის აუჩქარებლად ისწორებდა შარვლის ტოტს, შეშფოთებულად მიაძახა: — მიდიხარ თუ? მარტო მტოვებ?

— დიდ გზაზე გავვით, — მოესმა დამამშვილებელი ხმა.

ჩადუნელმა გადმოსვა უნაგირიდან

და გზატყვილის ნაპირზე ჩამოაჯინა.

— შევეცადოთ, შეუძლებელია რაიმე მანქანამ არ გაიაროს, — დარწმუნებით თქვა, თვითონაც ჩაჯდა, გაიშოტა და დაბრუნებული ფეხები გაკიშა.

დიდი სიციხის შემდეგ ცა ღრუბლით იყო დაფარული. შორეულ გორაკის ფერდობზე ელნათურები მკრთალად ციმციმებდა. საღდაც ახლოს ბაყაყი ზიყინებდა.

ჯაბას მახვილმა სმენამ ოდნავ შესამჩნევი ხმა დაიჭირა, მაშინვე ადგა და გზაზე გავიდა. რაიონის ცენტრის მხრიდან სინათლეც გამოჩნდა. სინათლე შოლოდავდა, თანდათან გრძელდებოდა და ძლიერდებოდა. მალე ის გზატყვილის მთელ სიგრძეს, ვანეფინა და მერე მოტორის გუგუნიც მოისმა.

ჩაღუნელმა წინასწარვე ასწია ხელი და მანქანა, როგორც კი ახლოს მოვიდა, გაჩერდა.

— მოაბრუნე, საავადმყოფოში კაცია წასაყვანი საჩქაროდ, — ბრძანების კოლოთი უთხრა შოფერს.

— მე თვითონ სასწრაფო საქმეზე მივდივარ, — ჩაიბურტყუნა მძღოლმა და სვლა ჩართო.

ჩაღუნელი ახტა კაბინის საფეხურზე და საქვს ხელი ჩააელო.

— ახლავე შემოატრიალე! ვერ ხედავ, რა მდგომარეობაშია? — ანიშნა გზის ნაპირზე მოკრუნჩხულ ბეგაშვილზე.

— გეუბნები, ვერ დაგბრუნდები. საბურავებიც აღარ მივარგა, — არ თანხმდებოდა შოფერი. — ამოივლის ქვევიდან მანქანა და იმას წაპყევით.

— შენ საბურველებს არ დავეძებ მე. საავადმყოფოში მიმავალი და მერე კისერიც ვიტეხია.

— ხელი უშვი საქვს! — გაკაპასდა შოფერი. — ძალაზე ხარ? ვერ წავალ და მორჩა!

— ხმა გაიკმინდე! — მიაყვირა ჩაღუნელმა, — ჭკუაზე მოდი, თორემ, ცხონება აქვს მამაჩემს, ვადმოვათრევ და რაც სიგრძე გაქვს, სივანეს მოგცემი არ გცოდნია ჩემი აშბავი!

მძღოლი იძულებული გახდა შემოეტრიალებინა მანქანა. ის კიდეც ბუზღუნებდა, რომ საჩქაროდ დავალებით იყო გაგზავნილი, საბურველი დაეშვებოდა, მაგრამ ჩაღუნელი უურადლებას არ აქცევდა. რაიონის ცენტრში მიმავალ ვილაც კოლმეურნეს დაავალა ცხენი წამოეყვანა, კაბინაში შესვა ავადმყოფი და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

შოფერმა ბრახმორეულად ჩართო სვლა და მანქანა დაიძრა.

მეორე დილით საავადმყოფოდან მეურნეობაში ტელეფონით დაურეკეს ჩაღუნელს. ნაცნობმა ექიმმა, რომელსაც წუხელ ბეგაშვილი ჩააბარა, ხალისიანად უთხრა:

— ფიჭრი ნუ გაქვს, ჯაბა კარგადაა შენი დირექტორი. ორ დღეში კიდეც გამოვწყერთ და დაგიბრუნდება... თუ გინდა, თვითონ მას დავუძახებ და ვალაპარაკებ.

— არა, საჭირო არაა! — ცივად მოუჭრა ჩაღუნელმა. — ლაპარაკის დროც არ მაქვს. მივდივარ, სადგურზე მიმეჭქარება!



გალდა ფიროსმანის გავშვობისა

I

პაერში რქაწითლის
ტრიალებს სურნელი,
მოდინ თბილისში
კახეთის ურმები.
ურმებზე
რუმებში
სულს ველარ ითქვამენ.
ამ ბაუბაყ მდევებსაც
სცოდნიათ სიმთვრალე.
მოდინ... მეურმის
სევდიან ურმულზე
ხმა დასდაბლებიათ
ვალმოხდილ ბუღბუღებს.
ურმული თანდათან
გზას ცისკენ იკვალავს, —
და იმ გზას
მიჰყვება
პატარა ნიკალაც...
მიჰყვება, მაშ რა ქნას,
ბაღლია ობოლი,
თან ბედზე მინდობილს
აცილებს გომბორი.
აცილებს
და თითქოს
ამხნევებს კიდევაც:
არ შეკრთე, თვითონვე
მოგძებნის-დიდება!
რა იცის ნიკალამ
რა არის დიდება,
მას მხოლოდ
მოვლა და
აღერსი სჭირდება.
ზის რუმბის ბოლოში
ობოლი ბაღლი და
სამგზავრო მამალი
დაპყივის მაღლიდან...
დაბლიდან მგელტურა
ბოთვერა უბღვერის,

რა უნდა ობლისგან,
რას ერჩის მუდრეგი...
მოდინ ურმები,
მდევები უღლისა
გზას მოაბნელებენ
საადრო ღრუბლისფრად;
რქებს ატრიალებენ
ქედ-გაჩეჩქვილები,
რქებს ატრიალებენ
იმათი ჩრდილებიც.
მატულობს ტყლაშუნი
შკვიდკეცა შოლტისა,
ნესტოებს ბერავენ,
ქშინავენ შფოთისგან...
პა, უკვე დაიწყო
ლოკინის ხევი და
შაექულაჯიანი
ჩამოდის ცხენიდან.
ცოტაც და
ლოკინთან
მთვარიან ღამეში
მშვიდ ფშვინვას მოჰყვება
ხარიც და კამეჩიც.
პაერში რქაწითლის
ტრიალებს სურნელი,
დასალტულ ბორბლებით
მოდინ ურმები.
ზის რუმბის ბოლოში
ობოლი ბაღლი და
სამგზავრო მამალი
დაპყივის მაღლიდან...

ღამეში სქელ ფაფარს
აიშლის კოცონი,
ნიკალა თავს ისჯის
თავისი მორცხვობით:
სცივა და
არავინ ეძახის პატარას,



არა და, სიცივეს
 ზომ უნდა ატანა?!
 ძაბრულად მოიარგებს
 დაძინდის საცალოს, —
 და ვიღაც ჩასაძახებს:
 — რას ჩადი, საწყალო?!
 — ეს იქნებ ხმა არი
 გარდაცვლილ დედისა? —
 იტყვის და
 რუმბივით
 სივდება სევდისგან.
 ცეცხლთან კი, ნაბდებზე
 შორთხმული კაცები
 ერთმანეთს ლოცავენ
 შოვერცხლილ ყანწებით.
 უფროსი იკითხავს:
 — ხომ არვინ გვაკლია?
 მოუხმეთ იმასაც,
 გაბურღეს, მადლია!...
 უხმობენ ნიკალს,
 ნათვლემარ თვალეზში
 ნიშანი უელავს
 ბალღური კაეშნის.
 ცეცხლს უზის,
 ის შაინც
 ცახცახებს, ცახცახებს, —
 და მუშტით იფშენტავს
 ატკრეცილ წამწამებს.
 — სულ დავიწყებიხარ
 იმ ოხერ სიკვდილისაც,
 თამამად იყავი,
 ნუ მიგვცემ
 სირცხვილსდა!..
 ციებამ დაგჯაბნა?
 ანა თუ კაცი ხარ,
 არაყი შეგვისვი
 პაწია ყანწითა!...
 — ოი, რა მწარეა!
 ამ ბალღამს რა გასმევთ?! —
 თქვა ბალღმა ჩუმად და
 დაემხო ნაბაღზე...
 — ეგ რაა! სიმწარეს
 შენ შერე იხილავ! —

მის გვერდით ვიღაცამ
 წამოიქიხინა...
 ნიკალს ვერც ცეცხლმა,
 ვერც მწარე არაყმა
 ვერ გააშლევინა
 წარბები ამაყად.
 ჩანს, უთვისტომობის
 შეიპყრო სიცივემ,
 სულში რომ იანვრის
 ქარივით სისინებს.
 დაღლილებს ბანგივით
 ედებათ არაყი,
 სუნთქვაში ირევა
 ჩურჩული ბალახის.
 ღრმა ძილში შედიან,
 მხოლოდღა ყმაწვილი
 ძილფხიზლობს,
 ძილფხიზლობს
 შიგ გულში დაპრილი.
 იგონებს შირზანს,
 ხორნაბუჯს, ალაზანს, —
 და ცარცით ნაბაღზე
 გადააქვს ლამაზად.
 მან აგრე იცოდა
 სხვაგანაც ხანდისხან,
 როს მთვარეულივით
 დნებოდა დარდისგან;
 დრო მიდის ტაატით,
 — ეხ, არაუშავრა:
 წინ უღვეს ნაბაღი,
 ვით შავი მუშაბა...
 ღიმილით მოხატავს
 კახეთის მთვარესაც.
 შიგ თავის ოცნებას,
 ჩააქსოვს ალერსად!
 დრო მიდის ტაატით,
 პატარა მხატვარი
 აღარა კანკალებს
 ხიამით დამთვრალი.
 სძინავს მთელ საწუთროს,
 სძინავს მთელ ქარავანს.
 — გზა მიეც, ღამეო,
 ფერების ფალავანს!..



ახალი ჰორიზონტი

რომანი
ნაწილი მესამე

ხუთი კაცი ერთმანეთის მიყოლებით მისდევდა შარაგზის მარცხენა მხარეს. ეს მხარე ოდნავ ამალღებული იყო და, ცოტა უფრო მშრალად შეიძლებოდა ევლოთ, თუმცა, ხუთივე მგზავრის ფეხსაცმელს უკვე ისე შემოგლესოდა ტალახი, მოსარიდებელი ერთი შეხედვით აღარაფერი ჰქონდათ. დამით დაწყებულმა წვიმამ ამ დილაადრიან გადაიკარა. ავტოს, ურმის ბორბლების თუ ხარის ჩლიქების ღრმა ნაკვალევში წყალს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო დაწმენდა.

ჯგუფს წინ ანდრეი გონტა მიუძღოდა. მხარზე გადებული ბირდაბირი დროდადრო სიარულში იღუნებოდა და გაპრიალებულ ლითონზე არეკლილი სხივი უცებ ელვასავით იტყორცნებოდა ჰაერში. გონტასაგან ორიოდ ნაბიჯის დაშორებით მიმავალ ქერა უკლებას ნაჯახი ტარით დამბაჩასავით გაერქო ქამარში. დანარჩენებს კი — საყვარელიძეს, სირბილაძეს და კვერნაძეს მხარზე პირით აღმა გაედოთ თავიანთი ნაჯახები, თავჩალუნულნი, უხალისოდ მიჰყვებოდნენ მეწინავეებს. როდესაც გონტა შეჩერდა მათ მხოლოდ მათინ აიღეს თავი და დანახეს, უკვე დანიშნულ ადგილას მისულიყვნენ, ნიკო არაბიძის ქიშკართან შეჩერებული ხუთივე მამაკაცი დაღონებული გამოიყურებოდა; ეტყობოდა, ეზოში შესვლა ეწადათ, მაგრამ რატომღაც ყოყმანობდნენ. თუ გონტა აქამდე დანარჩენებს წინ მიუძღოდა, ახლა ყველაზე უკან იდგა; იმ ორიოდ წუთში, რაც არაბიძის ქიშკარის წინ ატალახებულ თინხარს

ტყეპნიდა სხვებთან ერთად, გონტამ ბარე ათჯერ გადაისვა შუბლზე ხელი.

— ამდენი დრო გვაქვს, კაცო? — გავიკრებოთ იკითხა კვერნაძემ და გონტას გამომწვევად გადახედა.

— მერე რას უყურებ, არ ვიცი? — წყენით, ხმადაბლა მიუვო გონტამ და თვალი გაუმტერა.

კვერნაძემ გონტას მზერა მოარიდა, ახლა დანარჩენებს მიუბრუნდა.

— ყველა ძნელ საქმეში ჩემს გაძღოლას რომ ხართ, ბიძია, დანვეული, აქაც შახტა ხომ არა გგონიათ! — კვერნაძის სიტყვა გონტასაც ენიშნა, გუნებაში გაეღიმა, საგონებელში ჩავარდნილივით ერთი კი მოიფხანა კეფა, ქიშკარს დინჯად მიუახლოვდა.

ეზოში შესულმა გონტამ იქაურობა ისე გულმოდგინედ მოათვალიერა, თითქოს მტრის გამოჩენას ელოდაო. არსად სულიერის ჰაქანება არ იყო. ამ დილით ღრუბლიანში, ვეებერთელა ცაცხვებით და მუხებით დაბურულ ეზოში უჩვეულოდ ბნელოდა. მზე იშვიათად, ისიც ერთი წამით თუ გამოაღწევდა ღრუბლებში და მთა-ბარიც თავისი უხვი ფერებით გაბრწყინდებოდა. მერე კვლავ ისე ჩამუქდებოდა ყველაფერი — გვგონებოდათ, ღამდებოდა. გონტამ გაიარა ოციოდ ნაბიჯი და ცაცხვის უშველებელ ხესთან შეჩერდა; დანარჩენებიც მივიდნენ. მცირე ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს, მძიმე საქმეს შესდგომოდნენ.

გონტამ მამაკაცების ჯგუფს გადახედა და ქერა უკლებას თვალი ჩაუტრა. უკლებამ ნაჯახი სველ ბალახზე დააგ-



ლო, ცაცხვის ხეს ახედ-დახედა. უკლებას ბიჭი ხეზე ასვლის ოსტატი იყო, მაგრამ ამ ცაცხეს მაინც ვერსიადან მიუღდა. ახალ ნაწვიმარზე მით უმეტეს სჭირდა ასვლა. მკლავები კიდევ რომ შემოგეწვდინათ, სველ ქერქზე ფეხის მოკიდება არ გინდოდათ? რაკი გონტამ დაინახა, აქ უკლებაც მართო ვერას ვახდებოდა, ბირდაბირი კვერნაძეს მიაჩენია, ქუდიც დაუდევრად მიაგდო სველ ბალახზე და ეს ტლანჭი გოლიათი თვალის დახამამების უმალ უკლებას გვერდით გაჩნდა, ქერა ბიჭი ზურგზე მოიგდო, უკლებამაც ჯერ მის თეძოებზე მოიმაგრა ტერფები, შემდეგ მხრებზე შეადგა და ხის ტანზე ხელების მონაცვლებით წელშიაც ნელ-ნელა გაიმართა. როცა ტოტს მისწვდა, უმალ მარჯვედ ჩასკიდა ორივე ხელი და აიწია. ერთ წამში ქერა უკლება ტოტზე ისე მარჯვედ შემოჯდა, გაოცებისა და მოწონების ნიშნად, ყველას უნებლიეთ გაეღიმა.

ნიკო არაბიძის ეზოში შვილივით ნახათუფი ხისათვის ნაჯახის დაკერა პირველად უკლებას ხედა წილად. რალა თქმა უნდა, ეს ამბავი ემძიმებოდა ქერა ბიჭს, საქმეს აყოვნებდა... ფეხის მომაგრების საბაბით დრო ვაკყავდა. ბოლოს, ის-იყო, შეთვალაიერებულ ტოტს ღონიერად შემოჰკრა ნაჯახი... უხედად შეფოთლილი ტოტიდან ერთბაშად ისეთი ღვარი წამოვიდა თითქოს ხე სტიროდა. ვინც მის ქვეშ აღმოჩნდა, გაწუწუვას ვერ გადაურჩა. ფეხი მაინც არავის მოუცვლია. იდგნენ ასე გაწუწულები და ნელა ისევამდნენ ხელს თავ-პირზე.

— ბიჭოს, ხედავ, რა დაგვასველა! — ხმადაბლა დარცხვენილის კილოზე შენიშნა სირბილამც.

— დაგვასველა კი არა. ნიკოს მაგივრ მე დავიწვი მაგ ხის ცოდვით...

ამ სიტყვებმა გონტასაც ისე აუჩუყა გული, თითქოს ხის ტოტს კი არა, ნიკო არაბიძეს სჭირდნენ მკლავს, მაგრამ იქ მყოფთ არაფერი აგრძნობინა. თითქოს საყვარელიძის შენიშვნამ მოიყვანა გონსო, გვერდით მდგომ კვერნაძეს მიუბრუნდა, წყენით შესძახა:

— კაცო, მაგ ბიჭის ყურება შენ რას გარგებს, ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ! ამ გაყოლებაზე აირჩიეთ თითო ხე და...

სხვებთან ერთად კვერნაძეც თავჩალუნული გაბრუნდა. ერთხანს ყოყმანსა და რჩევაში იყო, მერე მახლობელ მუხანზე ავიდა. საყვარელიძემ ცაცხვი აირჩია. ვინც ხეს ადვილად ვერ მიუღდა, ასვლაში მეორე შეეშველა. გონტა და სირბილამც უზარმაზარი, ორკაბიანი მუხის ცალი ღეროს ხერხვას შეუდგნენ. გონტა რომ თავისკენ გასწევდა ხოლმე ბირდაბირს, სირბილამც ეგონა — ეს შეჩვენებული ნამდვილად მკლავს მომაგლუჯსო მალე ისე გახურდა მუშაობა, რომ ყოველ ორიოდ წუთში ხან ერთი ხიდან ენარცხებოდა ძირს ვეებერთელა ტოტი კეწეწების ლაწალუწით, ხან მეორე ხიდან. წელში გამართულმა გონტამ ამ სანახაობას უყურა, უყურა და სინანულით გაიქნია თავი.

მოულოდნელად ეზოში დარეჯანი გაჩნდა. შუბლზე ხელმოჩრდილებულმა ერთ-ორ წუთს კი უქცირა ამ უღმობელ ჩხვას, მერე ეს ჩია მოხუცი შავი, კალთებგანიერი კაბის ფრიალით ისე წამოვიდა, იფიქრებდით წინ ვერაფერი დაუდგებოდა. დარეჯანის დანახვაზე გონტამ ხერხვას თავი ანება, კვლავ წელში გაიმართა, ცალი ხელით დოინჯიც შემოიყარა.

— უცხოები მეგონეთ, თქვე ამოსაწყვეტლებო! ვადაირიეთ, თუ რა ამბავია?! ანდრია, კაცო, ამ ეზოში ჯერ წკნელიც არავის შეუტეხია უკითხავად და თქვენ, ბოშო, ხეებს ჭრით?! გამაგებინეთ, ნიკო ცოცხალია თუ არა?!

— რას ამბობ, დარეჯან!

— თუ ცოცხალია, ცოცხალი თავით ვერ გავისწრიათ აქედან და ისაა...

გონტამ დოინჯემოყრილი მკლავი მოწყვეტილივით ჩამოუშვა, თავიც დახარა და დაღლილი კაცის კილოზე ხმადაბლა შენიშნა დარეჯანს:

— სამწუხაროა, მაგრამ... რასაც ხედავ, ყველაფერი ნიკოს ნება-სურვილით ხდება!

— ნიკოს ნება-სურვილით? — დარეჯანი გამტერებული შეაკცერდა გონტას, მერე უცებ მოიჩრდილა სახე და ბეჯითად დაუმატა, — აჰა, გადარეულა...

— დარეჯან, ცოდვია, დემერთმანი, კაცმა ნიკოს გადარეული დაუძახოს.

დარეჯანი ორიოდ წამს გაყუჩებული ადგა, მერე, მიმქრალი თვალები საყვირველად გამოაკვესა.

— მატყუებთ, არა?... ნიკოს რომ ეზოში ხის მოჭრა ეფიქრა, სხვას ვინმეს დააკარბინებდა ნაჯახს?... მლუბავთ, ადამიანო?! დროც რომ შეგვიჩვეიათ... სადაა ნეტავი ასმათი, — აწრიალებული დარეჯანი ამ სიტყვებზე ხან აქეთ შეზრუნდებოდა, ხან იქით, იქნებ შინაურთაგანს რომელიმეს თვალი მოეკრა და მოსაშველებლად ვუხმოო, მაგრამ ამაოდ. — არა, ანდრიო! სანამ ჩემი ყურით არ გავიგონებ... სანამ ნიკო არ შეტყვის, დედამისის სული არ წამიწყდეს, ერთ სანაფოტეს არ აგაქრევენებთ... — დარეჯანი ამ სიტყვებზე ბირდაბირს წაეტანა, ეწადა ხეში შეუამდე შეჭრილი ხერხი დაეძრო. მოხუცის ჯაჯგურზე სირბილაქნის სიცილი აუტყდა. რაკი ხერხს ძვრა ვერ უყო. დარეჯანი ახლა მოპირდაპირე ხისაკენ გაეშურა მიდიოდა და თან მკლავებამდე დილი ხმამაღლა შესძახოდა კვერნაძეს — გაგიხმეს ხელი, რომელიდაც ხარ, მაგ პაპაჩემის დარგულ მუხის ტოტს რომ გასახმობად იმეტებო. კვერნაძემ ის-იყო უშველებელი ტოტი გადაჭრა, ფეხითაც უბიძგა... პაერში გაისმა ხმამაღალი ამოკენესასავით ქრეკლის მომგვრელი ხმა; გადამსხვრეულმა ტოტმა ერთი ლაზათიანი ლაწანიც მოიღო და შხულით ჩაეშვა ქვედა ტოტების კეწეწებსა და ფოთლებში...

ანდრეიმ მოასწრო დაძახება — აქეთ, დარეჯანო, მაგრამ გვიანდა იყო. მართალია, ხმაურზე და გონტას ძახილზე შეშინებულმა დარეჯანმა ვითომ თავის შველა დააპირა, სწრაფად მობრუნდა, მაგრამ ტოტის ბოლო მაინც მისწვდა. ირიბად წამოსული ტოტის კეწეწები ზედ მის ბეჭებზე შეიმსხვრა. მოხუცი პირ-

ქვე ჩაეცა სველ ბალახში. გონტაც, სირბილაქნე უმაღ მიცვევდნენ დარეჯანთან, ტოტი განზე გადასწიეს. კეწეწებს ბეჭებზე რამდენსამე ადგილას კაბა გაეფხრიწა დარეჯანისათვის; ეტყობოდა, დაშავებულიც იყო, აჟა-იქ ზურგზე სისხლი ლაქებად აწინდა.

გონტამ სწრაფად მოაბრუნინა მახლობელ ხის ძირას მიგდებული ბრეზენტის ქურთუკი, დარეჯანი ზედ გულაღმა გადმოაწვინეს, სახლისაკენ ფრთხილად წაიღეს.

დილაუთენია. შახტში წასვლის წინ, როგორც ნიკომ დაარიგა შინაურები, არც ასმათი, არც სულიკო და მეგი ხეების მოსაჭრელად მისულ მეშახტეებს სახლში არ დახვედრიან. ყველანი უკანა ეზოს ბოლოში, ხეხილის ხეივანში გაქრფილიყვნენ და ელოდნენ, როდის მიწყდებოდა ხერხისა და ნაჯახის ხმა, რომელიც წინა ეზოდან მათ ყურამდე ყრუდ აღწევდა. დარეჯანს ჯერ კიდევ გათენებამდე წაეყვანა ძროხა საძოვარზე. დედის გაფრთხილება ნიკომ ველარ მოასწრო. გონტამ და სირბილაქნემ აივნის კუთხეში ტახტზე ფრთხილად დააწვინეს დარეჯანი, მერე შინაურების ძებნას შეუდგნენ. არც სახლში, არც ახლობაზლო არავინ აღმოჩნდა. გონტამ ნიკოს დაურეკა საგანრიგოში, მაგრამ მას უკვე გაესწრო შახტში. გონტამ ისლა მოახერხა, რომ საყვარელიძე ქირურგთან აფრინა, თვითონ კი დაშავებულის მოსულოიერებას შეუდგა. მალე ასმათი, სულიკო და მეგი წამოადგნენ თავს დარეჯანის გარშემო მოფუსფუსე მეშახტეებს. რაკი ტელეფონით არ მოხერხდა ნიკოსათვის დარეჯანის დაშავების სასწრაფოდ შეტყობინება, გადაწყვიტეს, ვინმეს პირით ემცნოთ მისთვის ეს ამბავი. გონტამ, ის-იყო, მიიხედ-მოიხედა — ვის დავავალო ეს საქმეო, რომ სულიკომ მის არჩევანს აღარ მოუცადა, თვითონ ისურვა ნიკოსთან წასვლა.

მოსახვევში შავად შებურვილი ქალი გამოჩნდა. პირველად სულიკომ მოჭკრა

მას თვალი და გვერდით მიმავალ ჩაფიქრებულ არაბიძეს ხმადაბლა შენიშნა:

— ნიკო ბიძია, იმ ქალს იცნობ?

ნიკომ თავი ასწია და, ვიდრე იკითხავდა — რომელსო, შაოსანის უეცრად დანახვებზე შეკრთა. სახეზე შიში და გაოცება გამოეხატა.

რაც ომი დაიწყო, შაოსანს ნიკო პირველად ხედავდა.

ქალი ისე ნელა და უხმოდ მოაბიჯებდა, მოჩვენება გეგონებოდათ. ამ უბედურის ხილვამ ერთბაშად შეჰხარა ისედაც იღუმალ შეშფოთებული მამის გული. რაღაც თვალის დახამხამების წინ შატბიას ბედზე აგრერივად ჩაფიქრებული არაბიძისათვის თვეების წინათ კი არა, ომი თითქოს ამ წუთში დაწყებულიყო. პირველად სწორედ ახლა იგრძნო ნიკომ ომის სუნთქვა...

ნიკოს ეკვი არ ეპარებოდა, რომ შაოსანმაც თავიდანვე შეამჩნია ისინი, რადგან ქუჩა ცარიელი იყო. იმ არემარებზე კაცის ქაჰანება არ იყო.

ქალი ოციოდე ნაბიჯზე-ლა თუ იქნებოდა მისგან დაშორებული. რაც უფრო ახლოვდებოდა შაოსანი, მით უფრო იზრდებოდა ნიკოს არსებაში გამოუცნობი შიში და ძრწოლა.

თუ ეს შეხვედრა ნიკოს ტანში ზარავდა, სულიკო, პირიქით, გატაცებული იყო იმ უბედური არსების ცქერით. აინტერესებდა — შემოგვხედავს თუ არაო. თუ შემოგვხედავს, დავრწმუნდები, რომ მაგ უბედურს ჯერაც არ დაუკარგავს ცხოვრებისადმი ინტერესით.

შაოსანი იყო მოხდენილი, და წარმოიდგინეთ, ჰაეროვანიც. ამ ჰაეროვნების შთაბეჭდილებას უეკველად ქმნიდა ის გამკვირვალე შავი საბურველი, რომელიც თავზე და სახეზე ეფარა ქალს. საბურველის ერთი ბოლო გრძლად ჩამოშვებოდა მარცხენა მკლავის გასწვრივ და სიარულში მსუბუქად ალივლივებდა ნიავე საბურველი ისე გამკვირვალე იყო, თავისუფლად ჩანდა მგლოვიარის გულწასულივით გაფითრებული სახე. სულიკოს არც თვალი მოუშორებია, არც

ფიქრი შეუწყვეტია, შემოგვხედავს თუ არაო და, აი დაუახლოვდა რა ხუფიოდე ნაბიჯით ის ყმაწვილი ქალი, სულიკომ ხარბად შეავლო თვალი და დარწმუნდა, არ შემოგვხედავსო, მაგრამ სწორედ ამ დროს საბურველის სიღრმეში უცებ შეტოკდნენ ქუთუთოები, უჩვეულო სევდით შეპყრობილი შავი თვალები მიაპყრო ქალმა სულიკოს. მიაპყრო და უმალ ისევ დაბლა დახარა. თვით სულიკოსთვისაც კი ეს ისე მოულოდნელი იყო, გაოცებული და მოხიბლული, საბუტად დარჩა. ხუთიოდე ნაბიჯით წინ გასწრებულმა ნიკომ უნებლიეთ რომ მოიხედა, გაკვირვებული თვითონაც შედგა. სულიკო აღვილიდან აღარ იძროდა; ნელი და უხმო ნაბიჯით მიმავალ შაოსანს ორი მსხვილი ნაწნავის გაჩეჩილი ბოლოები მუხლის სახსრებამდე სწვდებოდა. სულიკომ ძლივს მოსწყვიტა თვალი მიმავალს. ნიკოსი რომ არ მორიდებოდა, ასე ადვილად აღბათ ვერ მოეშვებოდა უცნობ ქალს. გზა კვლავ ერთად განაგრძეს, თუმცა სულიკომ მიხვც ვერ მოითმინა. ორჯერ თუ სამჯერ უკან რომ არ მოეხედა.

— იცანი, თუ... — იკითხა მოგვიანებით ნიკომ.

— პირველად ვნახე, მაგრამ...

— მერე ასე შეიძლება?!

— რა ექნა... რა უბედურება მჭირს, ნეტავი იცოდე, ნიკო ბიძია!.. ქალი ნამდვილად მარტო სამგლოვიარო სამოსელში თუ მომეწონება!

— კარგი, თუ კაცი ხარ!

— არ დაკვირვებისარ? ულამაზოსაც კი ალამაზებს. თუმცა, — ახლა რომ შემოგვხედა, ისედაც არ უნდა კლებოდა ღვთაებრივი იერა. შავი ჩითის უბრალო კაბაც კი ვერ აუშნოებდა მის მოხდენილ...

— რას ამბობ! — შეშფოთებულად შეაწყვეტინა ნიკომ სიტყვა. შემდეგ ხმადაბლა დასძინა: — ღმერთი აღბათ მხატვარსაც უწყენს!

სულიკომ ისე ამოიხზრა, ეტყობოდა, არაბიძის სიტყვებისათვის მაინცდამაინც ყური არ უგდია.

— ნიკო ბიძია, ვინ იცის, მაგის ქმარი რას ფიქრობდა იმ ერთი წუთის წინ, სანამ მტრის ტყვია მოხვდებოდა! იქნებ მალე შინ დაბრუნების იმედიც ჰქონდა და თავის გასამხნეველად გუნებაშიაც ღიღინებდა: „ომში წასვლა მას უხარის... დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“.

ნიკოს ხმა არ გაუცია.

თავისი ეზოს ქიშკარში რომ შედგა ფეხი, ნიკომ მაშინღა-ღა ასწია თავი და წამით შეცბა კიდევ, აქაურობა ისე ეუცხოვა, ეგონა, საღაღაც სხვის ეზოში მოხვდიო... ასწლოვანი ცაცხვისა და მუხის ხეების გაშისვლებული ღეროების ირგვლივ დახოცილებივით ეყარა უშველებელი ტოტები...

მხარბეჭმონიხილ მუხებს და ცაცხვებს ძველებური იერი და ეშვი დაქარგოდათ, რა უზომო სიბრალული აღძრა გულში ნიკოს, ხეების ამ ყოფაში ხილვისას. საკუთარი ზეც კი სულიერი არსება იყო მისთვის. რაც გიყვარს, არც შეიძლება, არ გენანებოდეს, არ გებრალეოდეს. მაგრამ არაბიძეს ტყვიის უყურებდა იმის შეგნება, რომ ყველაფერს ახლა იგი იღუმალ შატბიასთვის აკეთებდა... შატბიასა და ათას შატბიასთანა ჰბაბუკისათვის...

საკვირველი იყო, მაგრამ ნიკოს ერთბაშად თვალში არ სცემია, გვიან მიაქცია ყურადღება... ყველაზე დიდი მუხის ღეროზე შეტოვებული, ცაში ირიბად გატყორცნილი ერთადერთი ვეებერთელა ტოტი რომ დაინახა, ჯერ გაუკვირდა, მერე გაახსენდა თუ არა, იმ ტოტზე შატბიას ზელით მისივე სახელი იყო ამოკვეთილი, ყველაფერს მიხვდა, „ეტყობა, ვერ გაუმეტებიათ, ტოტიც ამ მიზეზით ვადარჩენილაო“, გაიფიქრა და ამ ამბავში რაღაც კარგის მომასწავებელიც ენიშნა. მამის გულმა გამოუთქმელი ფარული შეება იგრძნო.

ლუკა ნიორაძე რაიკომიდან გაწბილებული დაბრუნდა; ახლაც ჩაესმოდა ყურში, რაც ბეგლარმა გამოშვიდობების წინ უთხრა: — იმ თქვენს არაბიძეს

ორმაგი მადლობა უნდა გადაუხადოთ — მაგას რომ არა, შენ და ბუზაძემე ყურებს, ვინ იცის, როდის გამოიჩნრეკდითო...

დატუქსული და „ყურებგამოჩნრეკილი“ ლუკა ნიორაძე ახლა კომბინატისაკენ ეშურებოდა. ლეონტიმ კაბინეტის ფანჯრიდან დაინახა თუ არა ნიორაძე, უმალ მიხვდა, შახტის უფროსს უკვე შეეტყო, რაც ამ დილით არაბიძის ეზოში ამბავი დატრიალდა.

ნიორაძე თავისთავს აღარ ჰგავდა. ეს დინჯი და ცოტათი გულბრყვილო კაცი ისე შეცვლილიყო, მისი შესახებობა უნებლიეთ შეგაფიქრიანებდათ. მანქანიდან გადმოსულს ერთხელაც არ მიუხედ-მოუხედავს ეზოში, მყის კომბინატის შენობის მთავარ შესასვლელს მიაშურა. კიბეზე ისე მიიჩქაროდა, საღამოზე საპასუხოდ თავის დაქნევასაც ვერ ასწრებდა. ის-იყო, კიბეს მესამე საართულისაკენ შეუყვია, რომ უცებ შედგა. აქამდე თუ გადაწყვეტილი ჰქონდა — ბუზაძემს ჩემს კაბინეტში დავიბარებ და იქ „გამოუფხრეკე“ ყურებსო, უმალ გადაიფიქრა. თავს აშკარად შეატყო, მოთმინება არ ეყოფოდა, ვიდრე მოადგილეს გამოიძახებდა, ვიდრე ის ეახლებოდა... ლუკა სწრაფად მობრუნდა უკან და ვიწრო ღერეფნით ბუზაძის კაბინეტისაკენ გაეშურა. ამ ჯავრიან გულზე სახელური ისე გამოსწია, კარი რომ დაკეტილი დახედროდა, ალბათ საკეტთანად გამოგლეჯდა; მაგრამ კარი ერთბაშად გაიღო და „ყალუზე“ შემდგარი ნიორაძე უცებ დაცხრა.

ბუზაძემე მაგიდის წინ იდგა, მის მობირდაბირე მხარეს კი შავ ლედერინგადაკრულ სავარძელში იჯდა მეგი. ნიორაძე ამ „იდილიამ“ უფრო გააბრაზა, მაგრამ თავის შეკავება მაინც შეძლო. სტუმრის ხათრით მოადგილეს ველარაფერი ჰკადრა. რაკი კარი გააღო და სტუმარს ასე მოულოდნელად შეეფეთა, უკან ველარ დაინხია, კაბინეტში დარცხენილი შევიდა, მეგის ხელი თავაზიანად ჩამოართვა.

უცებ მკერდზე ხელი მიიღო... შვეებით წაიჩურჩულა:

— მგონია, ცოტა მომეშვა!

მეგვიმაც, ლეონტიმაც ერთხმად იკითხეს:

— ლუკა სტეფანიჩი, რა დაგემართათ?

— აქეთ რომ ვეშურებოდი, გული ისე მქონდა გასიებული...

— გეწყინათ რამე თუ...

ლუკამ მადლიერი კაცის თვალით შეხედა მეგვის და მოულოდნელად შენიშნა:

— ჰო, რა მოუსვენარი კაცია ის თქვენი მასპინძელი!.. არ იცი, საიდან რას გამოიხსრეკს...

— ნიკო ბიძია?! — უფრო გაცივებით, ვიდრე წყენით აზიდა წარბები და იკითხა მეგვიმ.

— დიახ, ნიკო „ბიძია“! ვერ წარმოიგნით, რა ვიი-უშველებელი დაგვატეხა თავს, რა ჭირის ოფლა გვადინა. ღმერთმანი, მაგის ფანტაზია ორ პოეტს ეყოფოდა კი არა, მორჩებოდა კიდევც! რა მეგონა. თავის მუქარას ოცდაოთხ საათში შემისრულებდა: — თუ დღესვე ხეტყვს არ მომავდით, მერე მე ვიციო! — მაგ შეჩვენებული მომდგარა და ამ დღლაუთენია თავის ეზოში სულ ერთიანად გადაუჩეხია მუხაც, ცაცხვიც, აკაციაც!

— აბა, კაცო! — თავიც გაიქნია და გულისწყრომითაც შენიშნა აქამდე დაძუნჯებულივით გაყურებულმა ბუზალაძემ, — მაგ ურჯულომ მაინც როგორ დააკარა ნაჯახი ბაბუამისის დარგულ ხეებს!..

— მაგას აღარც ბაბუა სწამს და აღარც მისი დარგული ხეები.

მეგი ჯერ მოთმინებით უსმენდა შახტის უფროსს და მის მოადგილეს, მერე კი თვითონაც აღელდა.

— ნიკო ბიძიას არც დაუკარებია ნაჯახი თავისი ხეებისათვის!.. ის კი არა, რომ მოვიდა და ეს ამბავი დახვდა ეზოში, ცრემლიც კი მოერიო!

— მართალია, მსახიობი ბრძანდებით, მაგრამ თუ დასჭირდა, თქვენზე ნაკლებად არც ნიკო არაბიძე ითამაშებს...

მეგვის გული მოუვიდა. როგორ ჰკად-

რებს ვიღაც ბუზალაძე ნიკო ბიძიას ასეთ რამესო, მაგრამ გამოქომაგება ზედმეტად ჩათვალა — ჩემი გაცხარება ვერც ამით დააშოშმინებს, ვერც ნიკოს დასაცავად გამოდგებაო — გაივლო გულში და წამოდგა. მომზიბლავი ღიმილით ხელი ჯერ ბუზალაძეს გაუწოდა, მერე ნიორაძეს.

— რა გეჩქარებათ?! — გაცივებით, იქნებ უკმაყოფილოდაც, იკითხა ბუზალაძემ. მეგვის ხელი ცოტა მეტხანს რომ სურდა სჭეროდა, იძულებული იყო, უმაღლე გაეშვა, რახან ჩამოსართმევად მას ლუკაც ელოდა.

— თქვენი „თავაზიანობა“ გასაგებიცაა, დასაფასებელიც, მაგრამ შეუგნებლობა იქნებოდა ახლა ჩემი აქ დარჩენა და... ხელის შეშლა... კიდევ გინახულებთ. ნახვამდის!

ლეონტიმ კარებამდე მიაცილა მეგი.

— ყველაფერა რიგზე იქნება. ასაღლელებელი არაფერი გაქვთ. რაც ჩემს ძალ-ღონეს აღემატება, თქვენი გულისთვის იმასაც გავაკეთებ!..

დაპირებაზე მეგვიმ ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა ლეონტის და დერეფანში გავიდა.

კაბინეტის კარი მიხურა თუ არა ლეონტიმ, შორიდანვე დაიძახა:

— ლუკა სტეფანიჩი, რახან არაბიძეს ასეთი მაგალითი „მოუცია“, რას იზამ, „ნოვატორებს“ და „გამომგონებლებს“ ანგარიში უნდა გაუწიო! ახლა ჯერო ჩვენზე!

ლუკა ნიორაძე ფანჯარაში იცქირებოდა, თავისთვის რალაცას ფიქრობდა და ლეონტის სიტყვებისათვის ყური არ უთხოვებია.

— შენი ბედი, რომ აქ ის გოგოც დამიხვდა, თორემ არ ვიცი, რას გიზამდი! ერთი მითხარი, გინდა თუ არა მუშაობა?

ეს შეკითხვა ისე უეცარი იყო, ლეონტიმ გაკვირვებით აზიდა წარბები, ჯერ სათვალთ, მერე უსათვალოდაც შეხედა ლუკა ნიორაძეს, მაგრამ ვერაფერს ვერ მიხვდა.

— რალა თქმა უნდა, ამხანაგო ლუ-

კაი — ბუზალაძემ მეტი ველარაფერი მოახერხა ეთქვა. კილოში უნებლიეთ შეეტყო წყენა.

— მერე... შეგიძლია?!

— რა კითხვაა?! მე მგონია...

— როდისღა?!

„რას ამბობს, დღეს მარცხენა ფეხზე ხომ არ ამღვარა?“ — გაიფიქრა ბუზალაძემ და ცალი ხელი რომ ჯიბეში ჩაიყო, მეორით ახლად მოკიდებული პაპიროსი გააბოლა, კვამლში ისე გაეხვია, თითქოს ამით ლამობს გაუჩინარებას და თავის დაცვასო. გულის სიღრმეში უკიდურესად შეურაცხყოფილმა, გაბრაზებულმა, გარეგნულად კი საკმაოდ თავდაპყრილმა, დინჯად შეინშნა:

— ერთი და ორი წელი არ არის, რაც ამ სისტემაში ვმუშაობ... ჩემი მუშაობა კი სულ წამაქვებელი პრემიებით და ქების სიგელებით არის აღნიშნული!

ლუკამ თავი ასწია, მაგრამ ბუზალაძისთვის არ შეუხედავს.

— ზა სტაროე სპასიბო! — მოკლედ, ცივად, ცოტა დაცივითაც მოუჭრა შახტის უფროსმა. ასეთი პასუხი და კილო ლეონტისათვის სწორედ გამგზირავი იყო, მაგრამ „განგმირულს“ ერთიც არ დაუკენესია.

— ამ ორიოდე საათის წინ რაიკომში რომ დამიბარა ბეგლარმა, მართალია, სხვა საკითხებზედაც გვქონდა მსჯელობა, მაგრამ პირველ ყოვლისა, ის მისაყვედურა — რა ღმერთი გაგიწყრათ, აქამდე რომ ხეირიანად ვერ შეუდექით ახლომახლო, ხეტყის დამზადებისათვის თადარიგსო! რა მექნა... იქ კი გიცავდი, მაგრამ რომ წამოვედი... შენი ბედი — გზაში სადმე არ შემხვდის...

ჯერ კიდევ ოთხი დღის წინ გადაწყდა რაიკომში შახტისათვის ადგილობრივ ხეტყის დამზადების საკითხი. ბეგლარმა პირადად დაველა თათბირზე ლუკას — ამ საქმისათვის კოლმეურნეობებში შესაფერისი ხალხის გამოსანახავად ერთი მარჯვე კაცი შეერჩია. ლუკამ მაშინვე ბუზალაძე დაასახელა.

ლეონტი თითქოს სიხარულით შეხედა ამ დავალებას. ლუკას ხელიც კი ჩა-

მოართვა — რაიკომში ბეგლართან ჩემთვის ასეთი ნდობა რომ გამოგიცხადებია, მადლობას მოგახსენებთ... მაგრამ გულის სიღრმეში მაინცდამაინც არაფრად ებიტნავა ეს ამბავი და გადაწყვიტა — ფეხი როგორმე შექმლებისდაგვარად ეთრია.

— ახლა როგორ იქნება საქმე? — იკითხა ლეონტიმ, როცა მეთექვსმეტე პაპიროსის ნამწვავს თავი მოუსრისა რუხი მარმარილოს საფერულეში. იმ მცირე ხნის განმავლობაში, რაც ლუკასთან „თათბირობდა“, მის მღელვარებას მართო ამ ნამწვავების სიმრავლე ამხელდა.

— ახლა მეც მართო ეგ მაინტერესებს — როგორ იქნება საქმე? მიღიხარ თუ არა, გამაგებინე?! — ლუკამ ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე უცებ ლეონტის წინ გაჩერდა, თვალის ისე გაუშტერა, როგორც მშობელი შვილს შეაცქერდებოდა, როცა რამე სახიფათო საქმე ავალებს და მისი ბედით, მისი წარმატებით ერთნაირად არის დაინტერესებული.

— ლუკა სტეფანი! თუ გსურს საქმეს შევეუდგე, მაშინ... ახლავე უთხარი შოფერს — დამიძახოს, როგორც კი წასასვლელად მანქანა მზად ეყოლება!

ლუკამ კვლავ გაუსწორა თვალი ლეონტის, წაქეზების, კმაყოფილების ნიშნად მკლავში ხელი მაგრად ჩაავლო და ოდნავ შეანჯღრია. ლეონტიმ განაგრძო:

— ...თორემ ჩემი აქედან გასვლა დირადაც ახალი საქმის, ახალი დავიდარების, ახალი დაბრკოლების გამოჩენა ერთი იქნება!..

ლუკამ ერთბაშად ხელი უშვა ლეონტის, უსიტყვოდ გაბრუნდა მაგილისაკენ, ტელეფონის მილაკი აიღო და, როცა თავის ტექნიკურ მდივანთან შეაერთეს, ჩაილაპარაკა: — ბუზალაძის კაბინეტში ვარ. შოფერს დაუძახე.

მეგობრებმა რახანია გადაწყვიტა თბილისს წასვლა, მაგრამ ნიკო სტუმარს ავრე ადვილად ვერ ელეოდა. ეს რამდენიმე დღეა, ნიკო სტუმარს მითლა აჩერებდა, რომ დამარწმუნებლად ატყუებდა —

ბილეთების შოვნა ძალიან ჰირს და ორისამი დღით შეიძლება კიდევ მოვიხდეს მოცდაო. ამ ლოდინში მეგი შესამჩნევად გამოიკვალა. გამგზავრების მოლოდინში სულიერად აფორიაქებულს ძილიც გაუტყდა. ლაპარაქის გუნებაზედაც აღარ იყო. სამკითხველოში რახანია აღარ დადიოდა. მეგის მოწყენილობა სულიკოს ოდნავდაც არ გადასდებია: დის ხასიათი ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. იცოდა, ავრე ადვილად არ გაამხელდა მის სიგლახეს და ეს ათამამებდა...

რახან მეგის იმედი გადაუწყდა, რახან დარწმუნდა: მასპინძელი ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტხანს გაეჰიანურებინა სტუმრის წასვლა, მეგი თვითონ შეუდგა ბილეთის შოვნაზე ზრუნვას და საწადელს უფრო ადვილად მიაღწია, ვიდრე ეგონა. მეგის კარგად ესმოდა არაბიძის გულისტყვილი, მაგრამ არ შეეძლო ახლა თუნდ ასეთი კეთილი მასპინძლისთვისაც კი ანგარიში გაეწია. ამაოდ ფიქრობდა, ძველი მეშახტე — ეს უეცარი აფორიაქება გაუვლის, გული კვლავ დაუმშვიდდება და წასვლაზე თვითონ იტყვის უარს ჩემი სტუმარიო.

მეგიმ ლეონტის მიმართა ბილეთისათვის, ლეონტიმ ჯერ ისე მოაჩვენა, თითქოს მართლა ძნელი იყო ეს საქმე, მაგრამ ბოლოს დაარწმუნა და დაამშვიდა — რაც ნიკო არაბიძის ძალ-ღონეს აღმატება ჩვენ მოვერევიითო. მეგი შინ იმ იმედით გამოისტუმრა, დღეს თუ არა, ხვალ დღით ჩვენი კაცი ბილეთს მოგართმევსო. გამომშვიდობების წინ მეგიმ ფული შეუმჩნევლად დადო მაგიდაზე. როცა მას ლეონტიმ შემთხვევით თვალი მოჰკრა, დიდად იუარა — ჩვენ გადავიხდითო, მაგრამ უარი არ გაუვიდა. ბოლოს ლეონტიმ სიცილით შენიშნა — კაცმა რომ იფიქროს, ამას რას ჩავდივართ — თქვენი აქ ყოფნა როგორ გვესიამოვნება და ჩვენ კი ხელს გიწყობთ, აქედან რაც შეიძლება მალე წახვიდეთო.

— მეც მწყინს, პატივცემულო ლეონტი, მაგრამ...

2. „მნათობი“, № 1.

— მაგრამ... იმედი კიდევ გვინახულებთ.

რა მადლობელი იყო მეგი ახლა ლეონტისა. გამომშვიდობების წინ მხოლოდ ესა სთხოვა — როცა თბილისში ჩამოხვალთ, ჩვენს ოჯახშიაც მობრძანდითო და, წამიერი ყოყმანის შემდეგ მისამართი მაგიდის კალენდრის ფურცელზე ირიბად წაუწერა.


შინ დაბრუნებისთანავე მეგი თავისი ბარგის ჩალაგებას შეუდგა. ახლა სულიკოს სახლში იყო, მაგრამ მეგის ახლოც არ მიჰკარებია. იმ საბედისწერო დღის შემდეგ მეგი სულიკოს ხმას აღარ სცემდა. მეგი რომ ჩემოდნის შეკვრაზე წვალობდა, აივნის ბოლოში ჰქილობზე გაწოლილი სულიკო თოკზე გამობმული ბოლოკით კატის კნუტს ათამამებდა: თან ისე იცინოდა, ადვილად მიხვდებოდით, ამას მეგის გამოსაუჯავრებლად ჩადიოდა; მეგის კი ახლა ყველაფერი ადვილად აღიზიანებდა.

ასმათს არ შეუნიშნავს, მეგი რომ უკვე ემზადებოდა ვასამგზავრებლად, არც ბილეთის შესახებ გაუგია რამე. ასმათი, როგორც ყოველთვის, ახლაც თავისი საქმით იყო გაართული — სამზარეულოში მარტოხელა საქმიანობდა. დარეჯანის დაშავებისა და ლოგინად ჩავარდნის შემდეგ ოჯახში ყველაფრის გაკეთება მარტო უხდებოდა. მეგი ხანდახან თუ წახებარებოდა, ისიც სუფრის გაშლასა და ალაგებაზე, თორემ შუაცუცხლთან არც ასმათი აკარებდა მას, და არც თვითონ ეძალებოდა.

მოულოდნელად თამარელაც მოვიდა. როგორღაც შეეტყო, მეგი რომ წასვლას ამირებდა და გააკვირვებოდა. თამარელამ ჯერ არაფერი არ იცოდა მეგისა და სულიკოს შორის მომხდარი უსიამოვნების შესახებ.

ეზოში შემოსულ თამარელას ასმათი შეეგება და კიბემდე მიაცილა.

— ადი, შვილო. მეგი ეგერ, აივანზეა, შენი ნახვა გაუხარდება. თამარელამ ვერც მოასწრო, ვერც მოახერხა ასმათისათვის ეკათხა რამე და მეგის „მომზადებული“ შეხვედროდა. სულელო თამა-



რელას გამოჩენის უმაღლესი წამოიჭრა ზე-ზე, მაგრამ არ შექცებებოდა, იცოდა, მეგის ამით უფრო გააბრაზებდა. ახალმოსულს შორიდან მიესალმა და ისევ კატას მიუბრუნდა.

ყველაზე უფრო მეგისთვის იყო მოულოდნელი და, შეიძლება, უხერხულიც თამარელას მოსვლა. საბრალო გოგონას ფერი ეცვალა. სხვა დროს და სხვაგან ალბათ უფრო ადვილი იქნებოდა თამარელასთან პირისპირ შეყრა. ახლა კი, ერთი მხრივ, გულწრფელი და კეთილშობილი გოგონას გამომეტყველება, მეორე მხრივ, სულიკოს მრავლისმეტყველი ლიმილი აფორიაქებდა მას. პირველი შემთხვევა იყო მეგის ცხოვრებაში, როცა ვლად იცოდა, როგორ მოქცეულიყო, როგორ დაეჭირა თავი.

სულიკო ვითომ დარცხენით, შორი-ახლოდან უთვალთვალებდა თამარელას. თამარელა ახლა მეგის გვერდით იჯდა აივნის კუთხეში და მიაპიტად ეჩურჩულებოდა, უსაყვედურებდა — ასე მალე რატომ გეტოვებო, მეგი თავდახრილი უსმენდა, თვალი ერთხელაც არ გაუსწორებია მისთვის. თამარელას ძალიან აკვირებდა ეს ფერიცვალება. ველარც კი სცნობდა, სულ რამდენიმე დღას წინ აგრერიგად თამამ გოგონას.

მოაჯირის ხარხახზე ზურგით მიწოლილი და ცალ იდაყვით დაყრდნობილი სულიკო კვლავ კატას ათამაშებდა. კატა ისეთ მალაყებს გადადიოდა, ისე ოინბაზობდა, შეუძლებელი იყო, იცის არ გასცინებოდა, თუმცა, ერთი-ორჯერ თვალი რომ შეასწრო, თამარელას წარბიც არ შესტოკებია. სულიკოს ასეთმა უადგილო „მაიმუნობამ“ მის თვალში მოწონება ვერ დაიმსახურა; პირიქით, გულაც მოუვიდა, — რა ეთამაშებო, მეგიმაც შეამჩნია, თამარელას რომ გულწრფელად აოცებდა სულიკოს ასე „გასულელება“, მეგი ახლა თან უსმენდა თამარელას, თან ფერადფერად კაბებს, ნაირ-ნაირ ტანსაცმელს მოხდენილად კეცავდა და ფრთხილად აწყობდა ჩემოდანში. თამარელა ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს

მის საქმიანობას. მეგის საბანაო კოსტუმიც კი წამოეღო. არც დაფიქრებულა ისე, თავისდაუნებლიედ წაატარა თამარელამ ხელი ჩემოდანში ჩასადებად მომზადებულ საბანაო კოსტუმს. უსახელო კოფთისებური სპილოს ძვლასფერი ჩასაცმელი და ბაუსტპალტერი იშვიათად იყო მოქარგული აბრეშუმის ოქროსფერი და ცისფერი ძაფებით, შარვალი კი სულ სადა, მუქი ლავარდისფერი იყო. მეგის, რაღა თქმა უნდა, გუნებაში ესიამოვნა, თამარელამ რომ მის ტანსაცმელს ყურადღება მიაქცია, ვიდრე თამარელა ტანსაცმელს სინჯავდა, აკვირდებოდა, მეგი თამარელას თვალს არ ამორებდა.

მეგი ხედავდა, რაივ მოსწონდა თამარელას მისი საბანაო კოსტუმი; გაიფიქრა კიდევაც — მოდი, ვაჩუქებო, მაგრამ თავს შეატყო, ამდენი „გამბედობა“ არ აღმოაჩნდებოდა, ვერ გაიმეტებდა, მით უმეტეს, ჯერ ერთხელაც არა სცმია, ზღვისპირის ცხოვნარე მზეს არ დაუხედავს, ზღვის მლაშე წყალში არ დაუხველებია და... თავისივე უღონობაზე თუ სიბუნწუნზე თვითონვე მწარედ გაეცინა გუნებაში. საბანაო კოსტუმი დუნედ გაწოდებული ხელით ჩამოართვა თამარელას, აუჩქარებლად ჩალო ჩემოდანში.

ომი რომ არ დაწყებულოყო, მეშახტეთა ქალაქიდან ერთი თვით ზღვაზე გასეირნება ჰქონდა მეგის გადაწყვეტილი; დედა შეჰპირდა — საგზურს აგვისტოს პირველი რიცხვებისათვის გიშოვნი და გამოგიგზავნიო.

თამარელას მოსვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ კიშკრის კარი გაიღო და ეზოში ნიკო შემოვიდა. აუჩქარებლად მოაბიჯებდა, მაგრამ მისი ნაბიჯი მაინც შესამჩნევად მტკიცე იყო. არა ნაკლებ მტკიცე ჩანდა მისი გამომეტყველებაც. როგორც სჩვეოდა, კიშკარში შემოსვლისთანავე ქუდი მოიხადა და ერთი-ორჯერ თავზე ხელი შევებით გადაისვა. მას, ცოტა არ იყოს, გაუყვირდა, თამარელას რომ მოკრა თვალი აივანზე. გუნებაში კი ეიამ მისი აქ

დახვედრა. კიბეზე ავიდა თუ არა, ზედა ბაქანზე შემოგებებულ თამარელას მარჯვენა ჩამოართვა, მარცხენა ხელი კი მხარზე მოხვია. ერთი წუთით ასე უცქეროდა თამარელას, მერე მისი ყურადღება ანაზღად მეგვიმაც მიიქცია, პირთამდე გაქვილი ჩემოდნის დაკეტვას რომ ლამობდა. თამარელას ნიკომ ერთი ისე გადახედა. თითქოს ბოდის იხდისო. მსწრაფლ ხელი უშვა და სტუმარს მიუბრუნდა.

— მეგი? ფეხით ხომ არ გადაგიწყვეტია წასვლა?! — არაბიძის კილოში გამოსკვიოდა უწყინარა, მამაშვილური შეტყობებით გამსკვალული დაცინვა.

მეგიმ შეხედა კია, მაგრამ არაფერი უპასუხა მასპინძელს. ღიმილნარევ სახეზე მხოლოდ წარბი შეტოკდა მოსხლვით.

— რა ეშმაკურად გელიძება... უბილეთოდ ხომ არ აპირებ?! —

აქამდე ხელში შერჩენილი ქუდი ნიკომ იქვე აიწინა ბოძზე ჩამოკიდა, სადაც გრძელ ქანგიან ლურსმანზე წიწყის აცმა ეკიდა და მეგის მიუახლოვდა.

— რატომ უბილეთოდ?! როგორც სხვები ყიდულობენ, მეც ისე ვიყიდი და...

მეგის აულღელებელი კილო და გამოშეტყველება კაცს მართლა დააჯერებდა, რასაც ამბობდა.

ნიკოს ცალყბად გაელიძა.

— საქმეც ისაა, ავრე ადვილად აღარ იყიდება! — ძალიან ჰირს ახლა...

მეგიმ მოთმინებით მოუსმინა და კვლავ აულღელებლად, თავისთავში და თავისი სიტყვის ძალაში დაჯერებული ადამიანის კილოთი მიუგო გულღია მასპინძელს.

— ზოგისთვის ჰირს, ყველასათვის ხომ არა?! ყველაფერი ასეა ქვეყანაზე... — ამ სიტყვებზე ისე მომზიბლავად გაუშტერა თვალი, ასეთ გამოხედვას დამცინავი სიტყვა კი არა, დანის დაკერა რომ მოჰყოლოდა, სამდურავს მაინც ვერ ეტყოდით. მეგის კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ეზოში შემოაჭრა აფრასიონ უკლებას

ვატი გაიოზი და ჩვეული სიმკვირცხლით მიაშურა სახლს. რაჟან აფრასიონე თავიდანვე შენიშნა ნიკოს კიბეზე. თავმომწონე სიმარღით აირბინა და, ისიცო, მასპინძლისაყენ აიღო გეზი, რომ წინ უეცრად მეგი გადაუდგა.

— თქვენ... ლეონტიმ გამოგზავნათ!

— დიახ... — გაიოზი. დიბნა, აღარ იცოდა, მეგისთვის გაეცა პასუხი, თუ, როგორც თვითონ ვარაუდობდა, სათქმელი ნიკოსთვის მოეხსენებინა.

— ბილეთი... გამოგატანათ? — ახლა სახეზედაც და კილოშიაც შეეტყო მეგის ცოტაოდენი აღელვება. ჯერ კიდევ არ იცოდა, რა პასუხს მიიღებდა.

— დიახ, ბილეთიც ავიღე და... რავარც ლეონტიმ ბრძანა, მოგართოთ, მარა... — გაიოზმა ბილეთი კი ამოიღო ჯიბიდან, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, ნიკოსთვის გადაეცა, თუ ამ უცხო ქალიშვილისთვის...

ნიკოს გამოშეტყველებამ სულ დააბნია გაიოზი. მან არ იცოდა საქმის ვითარება, არაბიძის გაწიბლების მიზეზი და ამიტომაც ეგონა — რაღაც ისეთი სისულელე ჩავიდინე, ეს ძველი მეშახტეც კი გავაოცეო.

ამასობაში ბილეთი ისე ააცალა ხელიდან მეგიმ, რომ გაიოზს ეს არც შეუნიშნავს; მისი ყურადღება ჯერ კიდევ შებოჭილი იყო ნიკოს უჩვეულო მზერით.

— ყველაფერზე ხომ მასპინძელს ვერ შეაწუხებ?

თუ გაიოზისა და თამარელასათვის ეს შენიშვნა ჩვეულებრივი და უწყინარი იყო, სამაგიეროდ, ნიკოს გულის სიღრმემდე უწყია. „ხედავთ, რა მარჯვედ დამცინათ? — გაიფიქრა გუნებაში და სხვა რომ ველარაფერი მოახერხა, ისე გაიცინა, თითქოს თავისთავს უსაყვედურებდა. — ახია შენზეო.

მეგი წუთით, თითქმის შევიდა ბილეთის შესანახად, ნიკომ თვალი გააყოლა სტუმარს, მერე ტახტზე ჩამოჯდა და, აქამდე რომ ყურადღებას არ აქცევდა, კვლავ თამარელას გახედა. თამარელა თავდაბრილი იდგა შორიან-

ლოს. ცალი ფეხი ცოტა უკან, ცერით დაებჯინა იატაკზე. წელან, ვიდრე ნიკო და მეგი ლაბარაკობდნენ. ის აივნისაკენ წამოხრილ ალუბლოს ტოტზე ფოთლებს უნებლიეთ სწყვეტდა და წიწკნიდა. გაიოზი თამარელასაგან ორიოდ ნაბიჯის დაშორებით იდგა და ხელფეხს მოუსვენრად ატოკებდა. უცებ თავის დაკრით იქ მყოფთ დაემშვიდობა და კიბეზე კისრისტებით ჩაირბინა. თამარელას გადაწყვეტილი ჰქონდა — აქედანვე შახტში გაიოზთან ერთად წასულიყო, მაგრამ გაუბილებული დარჩა. გაიოზი მაინც ისე მოულოდნელად და სწრაფად მოსწყდა ადგილიდან, თამარელამ ერთი სიტყვის დადევნებაც ვეღარ მოახერხა — დაიცა, ერთად წავიდეთო.

თამარელამ ერთხანს ითმინა ასე, მოწმესავით ყოფნა, მერე გაუბედავად მიუახლოვდა მეგის — არ გეწყინოს, რომ ვერ გაცილებთ, სამუშაოდ მეორე ცვლაში მიწვევს გასვლაო — უჩურჩულა და ხელიც გაუწოდა. მეგი წამოდგა, თამარელას ხელი უხალისოდ ჩამოართვა...

თამარელას აღარ დაუყოვნებია; მოზარუნდა, რომ ახლა სულიკოსათვისაც უკანასკნელად ჩამოერთმია ხელი, უკანასკნელად შეეხედა, მაგრამ სახტად დარჩა სულიკო იქ რომ ვეღარ იხილა თამარელამ ნიკოსა და ასმათს გადახედა, მორიდებით ჩაილაპარაკა — წავალ ბარემ, შახტში არ დამაგვიანდესო და, მათს პასუხს აღარ დაელოდა. კიბეზე ისე ფრთხილად ჩავიდა, თითქოს ეშინია, მისი ფეხის ხმამ არავინ გააღვიძოსო. ეზო კი ჩქარი ნაბიჯით გადასერა...

აივნის ხარხიხაზე მიბჯენილმა მეგიმ, აქამდე თამარელას ნაბიჯსა და მხრების მოძრაობას რომ აყოლებდა თვალს, უეცრად იკივლა — თამარელაო და, კიბე თვალის დახამხამებში ჩაირბინა, ჰაშკართან შეჩერებულ, ამ მოულოდნელობით ცოტა შემკრთალ თამარელას მიეჭრა და გაოცებულ გოგონას გადაეხვიდა. ერთი-ორი წამი ასე ვატიარეს, დუმულში თამარელას კიდევ ესმოდა, კედევ გრძნობდა მეგის გულის გამაღებულ ძვარას. მეგი ახლა ხან ნაწნაების

ძირებში ჩაავლებდა ხელს თამარელასა და თვლებში ჩასტკეროდა; ხან საფეთქელთან კოცნიდა, ხან ისევ გულში ჩაიკრავდა და ჩურჩულით იმეორებდა — ჩემო დაიკო, ჩემო დაიკო!.. თამარელა გრძნობდა როგორ ცახცახებდა ის და უკვირდა, რა უნდა მომხდარიყო, რას უნდა აეღელეგებია ასე უეცრად ქალაქელი ქალიშვილი.

როგორც იყო მეგიმ, გამოსამშვიდობებლად გაიმეტა თამარელა; ხელს რომ ართმევდა, გულწრფელად რამდენჯერმე გაუმეორა — „არ დამივიწყო, არ დამივიწყო, მომწერე, ჩამოდი“...

თამარელამ არ იცოდა, რაც და ძმას შორის ამ რამდენიმე დღის წინ მოხლდა ამიტომაც ვერ ეპოვნა ახსნა მეგის ასეთი საქციელისათვის.

ის-იყო, თამარელა ჰიშკარში გავიდა, რომ სულიკო კვლავ აივანზე გაჩნდა, ერთ წამში საგარეოდ გამოწყობილიყო. წელან, როგორც კი შეატყო — თამარელა წასვლას აპირებდო, გადაწყვიტა, აქ არ გამომშვიდობებოდა.

— ნიკო ბიძია, მატარებლის წასვლამდე დრო ჯერ საკმაოა, გავივლო ერთი, მალაზიებში რამეს მივიძ-მოვიძიებ. ხომ არ შეიძლება, დედუკოსათვის მეგის არაფერი გავატანო, ახლავე დაბრუნდები.

ნიკოს ხმა არ გაუცია, არც შეუხედავს სულიკოსათვის. ასმათს, მართალია, ეწადა რაღაცის თქმა, მაგრამ თავი შეიკავა; ამ ცოტახანში საკმარისად გაეცნო სულიკოს ხასიათს და იცოდა, თუ ეს ყმაწვილი რამეს აიკვიტებდა, არავის რჩევას ყურს აღარ ათხოვებდა.

თამარელასთან გამოთხოვების შემდეგ უკან დაბრუნებული მეგი სულიკოს წასვლამდე ხან ნიკოს შეხედავდა, ხან ასმათს, მაგრამ ისინი ვერ მიუხედნენ წადილს, მეგის არასგზით არ უნდოდა სულიკოს გაშვება. მან გამოიძინო ძმის განზრახვა — ცალკე ენახა თამარელა და მოლაპარაკებოდა...

მეგის სულაც არ უნდოდა, სულიკო გამცილებლად სადგურში წაპყლოდა.

და ამიტომაც თავიდანვე აუტყდა ნიკოს — წაეიდეთო. ნიკო დინჯად უპასუხებდა მეგის — ახლა რაღა გაჩქარებს, ბილეთიც ჯიბეში გიდევეს და ხელის შემშლელიც აღარავინ გყავს. შექალო, ჩემი კარმიდამო ისე რამ შეგაძულა, აქ უკანასკნელი ნახევარი საათიც ვერ გაგიძლიაო. ასეთი საყვედური მხოლოდ უკანასკნელი ღონისძიება იყო მეგის დასამოშინებლად, თორემ ნიკო არაბიძემ კარგად იცოდა, მეგის ძალანაც ენანებოდა აქაურობის დატოვება. ნიკოსათვის ჯერჯერობით აუხსნელი და გაუგებარი იყო მეგის ასეთი უეცარი აწრიალება და მემშახტეთა ქალაქიდან გამგზავრების ჯიუტი წადილი. არაბიძე, ცხადია, ბუნდოვნად ხედებოდა; დის წინაშე უთუოდ სულეო იყო რაღაცაში დამნაშავე. მაგრამ რაახ თავისი ვაჟაკური ბუნების გამო — თუ რამეს არ შეეკითხებოდნენ — ისე სხვის სულში ჩხრეკა და ხელის ფათური საკუთარი თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნდა, აქი იმიტომაც დიდსულოვნად დუმდა. გულის სიღრმეში დიდად საწყენი იყო მისთვის, მეგი რომ ასეთ გარემოებაში ტოვებდა მის ოჯახს, მაგრამ რა ექნა, ხომ ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტი ხნით გადაედო მემშახტეთა ქალაქიდან მეგის წასვლა.

მეგი, რასაკვირველია, ამას ყველაფერს კარგად ვრძნობდა და გოაცებული, თანაც, იღუმალ მოხიზლული იყო ძველი მემშახტის გულისხმიერებით და დიდსულოვნებით. მეგიმ ერთი პირობა კიდევ გადაწყვიტა სახლიდან ჩემად წასვლა იმ გამოკითხვებისა და უსიამოვნებისაგან თავის დასაღწევად, რაც მისი ვარაუდით გამგზავრების შეტყობას უნდა მოჰყოლოდა.

— წახვალ, აბა რა იქნება, ჩემი ყურება რას გარგებს, მაგრამ... — ამ სიტყვებში ნიკომ ისე ოსტატურად ჩაქსოვა მთელი თავისი გულისტივილი სინანულითა და საყვედურითურთ, რომ მეგის კინალამ ააღებინა ხელი განზრახვანგ.

მეგის ახლა თუმცა ვუღიოთ ეწადა,

სულიკოს დაბრუნებამდე გასცლოდა აქაურობას, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიყოლია ნიკო სადგურისაკენ ცოტა ნაადრევად გამგზავრებაზე. წინააღმდეგ მეგის იღუმალი წადილისა, ნიკო მოუთმენლად და დაქინებით ელოდა სულიკოს გამოჩნას. არაბიძე გოაცებას ველარ ფარავდა; სულიკო რამდენიმე წუთში უნდა დაბრუნებულყო, მაგრამ ავერ სათზე მეტი დრო გავიდა და ის ჯერაც არა ჩანდა.

მეგი წამდაუწუმ მაჯის საათს სინჯავდა, თანაც, აივანზე ისე ჩქარა სცემდა ბოლთას, რაც უნდა დინჯი ყოფილიყავით, მისი მღელვარება მაინც ვადაგედებოდათ.

— რაღაზედ იგვიანებთ, ნიკო! — მეორედ შენიშნა მეუღლეს მოთმინებიდან გამოსულმა ასმითმა და თანაც მაღულად თვალით მეგიზე ანიშნა.

როცა ლეონტი შახტის უფროსს „აფრთხილებდა“ — თუ ჩემი გაგზავნა საბოლოოდ გადაწყვეტილია, ახლავე ჩამსვით მანქანაში და გამოშვით ტვერის კოლმეურნეობისაკენო, იმედი ჰქონდა, ლუკა მოჰყვებოდა ყოყმანს, ბევრი ყოყმანი კი, ნათქვამია, კაცს წაახდენსო. ასე ეწადა გუნებაში და სჯეროდა კიდევ ბუზალაძეს თავისი ვარაუდისა, მაგრამ მოულოდნელად თვითონ წაუხდა საქციელი. ახლა მისი შემხედვარე თვალსა და ყურს არ უჯეროდა, გამტერებული იყო, ეს ზაქივით კაცი ამ რამდენიმე წუთში ასე რამ მოქნაო. რახან გზა მოჭრილი ჰქონდა, ლეონტიმ გაიხსენა ძველი სიბრძნე — ჩათრევას ჩააყოლა სჯობიაო და, ჩაჰყვა კიდევაც. ლუკამ და ბუზალაძემ ათიოდე წუთი კიდევ ითათბირეს, ამასობაში შოფერიც დაბრუნდა და მოახსენა უფროსებს — სოფელ ტვერში გასამგზავრებლად მანქანა მზად ვახლავთო.

კაბინეტიდან გამოსულ ლეონტის სახე თუმც უღიმოდა, მაგრამ გულში ბოლმა კუპრივით უღულდა და ვაი მისი ბრალი, თუ ვინმეს ამ ბოლმით „მოკუპვრა“ ეწერა ახლა.

მოშვებულმა მუხრეტკმა ერთი დაიხრაილა და მანქანა სწრაფად დაიძრა ადგილიდან. საქეს ზემოთ, იაშას სარკეში ლეონტი ისე ჩანდა, თითქოს ჩარჩოში ჩასმული სურათიყო. ამ სურათისაყენ დრო და დრო მალულად აპარებდა თვალს შოფერი და უჯვირდა, ლეონტი რა მოლუშული გამოიყურებოდა. სხვა დროს, რაგინდ ცუდ გუნებაზედაც უნდა ყოფილიყო ბუზალაძე, ჩაუჯდებოდა თუ არა იაშას შახტის უფროსას მანქანაში, უმალ გუნება-განწყობილებაც შეეცვლებოდა. მოჰყვებოდა ხუმრობას და ანეგლოტების საამბობლად შოფერსაც მადას უხსნიდა. „ღირეჟტორი ეს უნდა იყოსო“. რამდენჯერ უფიქრია იაშას.

გაუსწორდნენ თუ არა რაიკომის შენობას, ლეონტიმ იაშას მხარზე ხელი შეახო. მანქანა გაჩერდა. იაშა მანქანას მოშლილი კარის გაღებაშიაც შეეშველა ლეონტის. როცა მან ქუჩა გადაჭრა და რაიკომის შესასვლელისაყენ გაეშურა, იაშამ დაინახა, ბუზალაძე, როგორც სჩვეოდა, ისე გაჭიმული აღარ იყო და წარბები გაკვირვებით ასწია. სწორედ ამ დროს შენობის კიბესთან ლეონტი მოულოდნელად მობრუნდა და გაუკვირდა — როგორ მიყურებს, დამცინის, თუ რას ნიშნავსო, და შოფერი თითოთ გულმოსულად მიიხმო.

— იაშა, მე ათიოდე წუთი მაინც დამაგვიანდება, ამასობაში აირბინე ჩვენსა, ცოლს ნაბადი გამოართვი. იღრუბლება და გზაში წვიმა არ დაგვესწროს.

ტენტგადაგლეჯილ მანქანაში მჯდომს ასეთი თადარიგისთვის ახლა ვერავინ გაამტყუნებდა.

იაშა სწრაფად გაბრუნდა. ლეონტიმ დინჯად მიამახა—ჩემი ლიტრინი თერმოსიც წამოიძვანეო. წყურვილის მოსაკლავად ლეონტი ადგის ლვინოს იყო მიჩვეული. ეს ლვინო ერთ საშუალო ზომის ქვევრში გამოუღვევი ჰქონდა. სიმამრი გურული ჰყვოდა და სიძეს არც მისი ყურადღება აკლდა, არც ლვინო. ლეონტის გაეხარდა, როცა შეიტყო,

ბეგლარი წასულიათ. მეორე მდივანთან ის თამამად შევიდა და „ახარა“ რთგორც ეჩნა, თავი დავალწიე!! შახტის საქმეებს და ახლა სოფელ ტვერისაყენ ვეშურებოო.

— ძალიან კი დავიგვიანდათ, ამხანაგო ლეონტი, ძალიან! — დაუფრავი საყვედურით შენიშნა მეორე მდივანმა.

წამით დუმილი ჩამოვარდა. მდივანმა წელან, ლეონტის შემოსვლის დროს, ხელში შერჩენილი ფურცელი გადაიკითხა, რაღაც წააწერა და განზე გადადო; მეორე ისევ ბუზალაძეს მიუბრუნდა.

— შეიძლებოდა სხვა გაგეგზავნათ ამხანაგო ლეონტი, თუ თქვენი აქყოფნა აუცილებელია... მიკვირს კია, რა აუცილებლად საჭიროც უნდა იყოს აქა, რას გააკეთებთ შახტისათვის, სამაგრი მასალის გარეშე?!

— ეს... ცხადია! ჩემი წასვლა კი საჭირო იყო...

— რატომ მაინცადამაინც თქვენი?

— სხვა... აღბათ ჩემსავით ვერავინ მოაგვარებდა იმ საქმეს... მოგეხსენებათ საბა გამთენაძის ხუთი პარასკევი მეორე მდივანს არაფერი უპასუხია. წამით შეავლო თვალი ლეონტის და თავი ნელა დახარა.

ლეონტი ათიოდე წუთი კიდევ ესაუბრა მეორე მდივანს. დავვიანებით გამგზავრების ამბავი ისე აუხსნა, ბოლოს დააჯერა კიდევაც, თვითონ არაფერ შუაში იყო. ლეონტიმ იცოდა, მეორე მდივანი ბეგლარს ყოველივეს მოახსენებდა.

რაიკომიდან გამოსულმა ლეონტიმ ქუჩა გადაჭრა და მანქანას მიადგა, თითქოს ახლა აეხილა თვალიო, უცებ წამოიძახა:

— სული-კო?!

— უბიღეთო მგზავრს თუ წაიყვანთ? — დიმილით ჰკითხა სულიკომ და ლეონტის კარი გაუღო; ბუზალაძემ კარი ისევ მიკეტა, მანქანას თავი დაუარა და შოფრის ადგილის გვერდით დაჯდა. რომ მოგვეკლათ, ლეონტი უკანა სავარძელში არ ჩაჯდებოდა, თუ ამას რაიმე აუცილებლობა არ მოით-

ხოვდა. სულიკო, ცოტა არ იყოს, გააკვირვა ამ ამბავმა; სულიკოს სხვა დროსაც შეუმჩნევია და ყოველთვის იღუმალ ღიმილს იწვევდა მასში — ლეონტის ყველა დიდკაცზე დიდად რომ მოჰქონდა თავი... თუ სულიკოს თვალში ლეონტის ასე თუ ისე აქამდე კიდევ შერჩენოდა რამე ფასი და წონა, ამ „დიდკაცმა“ ახლა ისიც დაკარგა. „დიდკაცობიას“ თამაში იღუმალ თვითონაც მოსწონდა სულიკოს, მაგრამ ისიც იცოდა, ჰემმარიტად დიდი არ ეძებს ისეთ ადგილს, რომელიც მას უფრო გამოაჩენს.

— ლეონტი სევასტიევიჩი, თუ გეჩქარებათ, მე წავიყვან მანქანას.

— იჯექი შენთვის. — დიხჯად შენიშნა ლეონტი. — საით ეშურებით.

— სახლისაკენ.

ლეონტის გაეცინა.

— რა იყო? — იკითხა სულიკომ.

— ერთი გზა არა გვექონია!

— ჩვენ და ერთი გზა არა გვექონია?!

— ახლა არა, თორემ ისე... — ლეონტიმ პრაველმნიშვნელოვნად გადახედა, — რაიკომის დავალებით სოფელ ტერისაკენ მივეშურები.

— აა! — სულიკო სწრაფად წამოდგა და ახლა ყოველი მხრიდან ნიშანსვეტივით ჩანდა მანქანაში. მას რაღაც მოზრდილი შეეკრა ეჭირა. ლეონტიმ თავიდანვე მიაქცია ყურადღება, ამ შეეკრას სულიკო ერთი წუთითაც ხელიდან არ უშვებდა.

— რა გივპირია? — ველარ მოითმინა და თითქოს სხვათაშორის შენიშნა ლეონტიმ.

სულიკომ შეეკრას თავი გადაუხსნა და ცალი თვალით შივ ჩაახედა ბუნალაძე. „შპროტი“ — ეწერა თუნუქის ერთ კოლოფს. შეეკრაში შპროტის ექვსიოდე კოლოფი იქნებოდა, ორიც ხიზალალისა.

— რად გინდოდა, ბიჭო, ამდენი? — დაცინვით იკითხა ლეონტიმ, თუმცა გუნებაში საქციელი მოუწონა სულიკოს და თავსაც უსაყვედურა — შენ რატომ ვერ მიხვდიო.

— მაგას კითხვა უნდა?! რა იცი, ხვალ დაგხვდება თაროზე?! ვთქვათ, თქვენისთანა სტუმარი ეწევა ნიკო არა... ბიძეს, უამისობა მის სუფრას შეშვენის?

ნამდვილად კი, კონსერვები სულიკომ მეგისათვის თბილისში გასატანებლად იყიდა. ამას ყველაფერს წერილთან ერთად დედას უგზავნიდა.

ჩემი წვევისა და ნიკოს სუფრისა რა მოგახსენო... ისე, ჩვენ ვიყოთ და თევზი, ან ხიზალალა თუ არ იქნება, უმაგისობას მგონია ერთხანს გავუძლებთ!

ამასობაში შოფერიც გამოჩნდა. მოკლე ბილიკით გორაკზე ჩამოიბრინა და ლეონტისთან გაჩნდა. დახვეული ნაბადი უკანა სავარძელზე კაცოვით მიაყუდა, მერე სულიკოს ხელი გაუწოდა.

სულიკო წამოდგა, გადმოსვლა დააპირა.

— არ წამოხვალ?!

— რას ამბობ, სევასტიევიჩი?!

— ნუ გეშინია, მაგ „შპროტებს“ ხელს არ ვახლებთ!... რა გენალელება, გაგასეირნებ... ვის არ შეხვდები!.. მართლა, საბა გამთენაძეს ხომ იცნობ?

ლეონტისა და სულიკოს საუბარში მანქანა შეუმჩნევლად დაიძრა. იაშამ ცოტა რომ მოუჩქარა, მაშინ კი იყვირა სულიკომ.

— დაიცათ, კაცო, მართლა მიგყავართ?

— მართლა რას ჰქვია! ვითომ არ გინდა!.. — ლეონტიმ იაშას გადახედა. მანქანამ სვლას უკლო. მოულოდნელად სულიკომ საქმიანის კილოთი იკითხა:

— გამთენაძეს მართლა შეხვდებით?

— უსათუოდ.

სულიკო ერთბაშად ჩაენარცხა სავარძელში და არხეინად, ხელის აქნევით რიხიანად შესძახა იაშას:

— დავია!..

ლეონტიმ ერთი კი შეუმჩნევლად იკბინა ტუჩზე: ვერ წარმოიდგენდა, თუ სულიკო წამოჰყვებოდა, მაგრამ იმავე წამს რაღაც თავისთვის ხელსაყრელი დაინახა სულიკოს თანამგზავრობაში

და თავის მხრივაც შეუძახა იაშას:
— აბა შენებურად, ტვერისაკენ!

როცა ნიკომ მეგი სადგურზე მიიყვანა ტრესტის მმართველის მანქანით, მატარებლის გასვლას ხუთი წუთი-ღა აკლდა. ნიკო სულ იმედოვნებდა, — რაბან სულიკო შინ აღარ ამოვიდა, ალბათ სადმე გზაში გველოდებო, მაგრამ ამაოდ. სულიკო არც სადგურში დახვედრიათ. არაბიძე გაოცებული იყო. არ იცოდა, რით აეხსნა ეს ამბავი. „იმ შეჩვენებულს ხომ არაფერი ხიფათი შეემთხვაო“ — ერთი გაფიქრება ესეც გაიფიქრა, მაგრამ არც ამ მოსაზრებაზე შეჩერებულა.

ნიკოს კრინტი აღარ დაუძრავს მეგისტან სულიკოს შესახებ, რაბან დასაც არ უხსენებია მისი სახელი, რაბან ერთხელაც არ უქითხავს — ჩემი ძმა სად არის აქამდე, რა დაემართა, რატომ არ მოვიდა გასაცილებლად... ავი დედასთან ჩემთვის რაღაც უნდა გაეტანებოა...

გაისმა თუ არა სასტევენის ხმა, ნიკომ შამაშვილურად აკოცა შუბლზე მეგის, დაემშვიდობა; თბილისისაკენ მიმავალ ნაცნობ მგზავრებს ერთხელ კიდევ სთხოვა — თქვენ იცით, ყური გეპიროთ ამ ქალიშვილზეო, და გასასვლელს მიაშურა. მატარებელი სადგურის ბაჟანს გასცილდა, როცა ნიკო გადმოხტა.

ფანჯარაში გადმოყუდებულ მეგის ხელი რამდენჯერმე დაუქნია. რაც აქამდე ფიქრები ეხვია, მყის გაუქრა. ახლა ნიკოს გულს დაეუფლა უზომო სიბრაღული ამ გოგონასადმი, რომელსაც უღროოდ დაატოვებინა მეშახტეთა ქალაქი არაბიძისათვის ჯერ კიდევ უცნობმა, უსიამოვნო შემთხვევამ.

მატარებლის გაცილების უმალ ნიკომ სადგურის მორიგის ტელეფონით დარეკა შინ. არასასიამოვნო და, თანაც, სასაცილო იყო: ნიკო ასმათს ეკითხებოდა სულიკოს შესახებ, ასმათი — ნიკოს. ერთ საათში კაცი უკვალოდ და-

იკარგა, ნიკოც, ასმათიც არა სახუმროდ ჩააფიქრა და შეაშფოთა ამ ამბავმა.

ნიკო ფეხით წამოვიდა სადგურიდან: გზაში თუ სულიკოს არა, მის მნახველს მაინც როგორ ვერ შევხვდებო, მაგრამ არც ეს ვარაუდი გაუმართლდა. არავინ იცოდა სულიკოს ასავალ-დასავალი. შეშფოთებულმა, ძილგატეხილმა ნიკომ ღამე სულ ბორჯვაში გაატარა.

როცა ინათა, საყვირებმა მოულოდნელად ისე შებლაგულეს, კაცს ეგონებოდა, ცა და მიწა შეირყაო.

შახტში წასვლის დრომაც მოაწა. თვალის გახელის უმალ ნიკომ ირგვლივ ცნობისმოყვარეობით მიმოიხედა. როცა ასმათის მზერაც დაიჭირა, უმალ მიხვდა, სულიკო ჯერაც არ იყო მოსული.

ტვერისაკენ მიმავალი მანქანის უკანა საეარძელზე უდარდვლად გადაწოლილი სულიკო ვერც კი წარმოიდგენდა, თუ მისი „დაკარგვა“ ნიკოს და ასმათს შეაშფოთებდა. ამ ყმაწვილს მზრუნველობა, გულისტკივილი და თანაგრძნობა სისულელედ, ადამიანურ სისუსტედ მიაჩნდა. არავინ და არაფერი არ ენაღვლებოდა ქვეყანაზე. გარდა საკუთარი სიამოვნებისა, მისთვის არაფერს არ ჰქონდა აზრი და მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, სულიკო ყოველთვის ცდილობდა ადამიანებისათვის თავი დიდ გულშემატკივრად მოეჩვენებინა. იცოდა, ამ საშუალებით ყველაზე იოლად შეიძლებოდა მათი გაბრიყვება, გულის მოგება და „მოგებული გულის“ მოღობა. თუ ვინმე გულისნადებს გადაუშლიდა, მართალია, სულიკო თანაგრძნობას უცხადებდა, გუნებაში კი სიცილს ჰგვრიდა მისი ლხინიც, მისი ჭირიც, მისი გულუბრყვილობაც.

ლეონტი ახლა სულიკოზე ფიქრობდა, სულიკო — ლეონტიზე; მაგრამ მათი ფიქრები შორს იყო ერთმანეთისაგან. ლეონტი ბევრ ღირსებას ამჩნევდა სულიკოს, მოსწონდა მისი მოსაზრებულობა, მოქნილობა, თავაზიანობა და, რაც მთავარია, ეშმაკობა. ჭკუას ადამი-

ანში ლეონტი მხოლოდ მაშინ ხედავდა, თუ მას ეშმაკობაც თან ახლდა. რახან ასე სწამდა, ცდილობდა, ყოველი მისი სიტყვა და საქმე ვირეშმაკობის ნიმუში ყოფილიყო. თუ ლეონტი თითქმის არაფერს არ უყრიდა წყალში სულიკოს, ამ უჯანასკნელს, პირიქით, წყალში გადაყრამზე გარჯის ღირსადაც არ მიაჩნდა მთელი მისი ფიზიკური და სულიერი ავლადიდება.

იასან მანქანამ მცირე აღმართზე ერთი დახროტინა, შეყვინდა, შეინჯღრა და მერე ისევ მარდად განაგრძო გზა. მგზავრებმა ფერდობს გზატყეცილით მარცხნიდან შემოუხვიეს თუ არა, განიერ ხევეგალმა სოფელიც გამოჩნდა. სახლები და ბალ-ვენახები გვირგვინივით გორაკის კალთებზე იყო შეფენილი; გზატყეცილი გორაკს ისე უვლიდა გარშემო, გეგონებოდათ, ვეებერთელა თასმით შეუქრავთო. როცა ხევიდან აღმა აუხვიეს, მანქანაც მიუშვა შოფერმა; რადიატორს, მორყეულ ფრთებს ისეთი რახრახი გაუდიოდა, მიდამოს აყრუებდა. ძაღლებმაც მყის მიაშურეს შარაგზას. მტვერის კორიანტელში ერთი ეზოდან გამოვარდნილი ქოფაკი, მანამდე მისდევდა მანქანას, ვიდრე მოსახლურე ეზოს დარაჯი არ შეენაცვლებოდა. ამ სანახაობამ ცოტა გაართო კიდეც სულიკო. ერთგული სამსახურისთვის რომელიდაც მოსახლემ ქვა რომ ესროლა თავის ნაგავს ხმის ჩასაწყვეტად, მაშინ ხომ ხმამალდაც გაიციანა. იმ მოსახლეს გულის სიდრემში სულიკო მადლობას სწირავდა.

მოულოდნელად ლეონტიმ შოფერს მანქანა გააჩერებინა.

— რაფიელ! — მანქანიდანვე გადასძახა ლეონტიმ ეზოში, ყაბალახის ტოტის ნაგლეჯით თავწყარულ მოხუცს.

— რომელი ხარ? მობრძანდი! — მოხუცის ხმა ისე გაისმა, თითქოს კლდეების გამოძახილიაო. მან, ის-იყო ოწინარით ჰიდან თუნუქის სავსე სათლი ამოზიდა და ნაპირზე დადგა. მერე ჰიშკარს მიაშურა. რაფიელის აჩქარებულ ნაბიჯშიაც სიღინჯე იგრძნობოდა.

ჰიშკარის კარის ორივე ნახევარი რაფიელმა ისე ფართოდ გააღო, უხადი იყო, სტუმრის შემოპატრუებას მანქანითურთ აპირებდა.

— ლეონტი ხარ, ბიძია? — დაიძახა მოხუცმა და ფართოდ გაღებულ ჰიშკარში გულუხვი მასპინძელი მკლავებგამოლილი შეეგება სტუმარს. ლეონტას სახეზე უეცრად გულწრფელი სიხარული მოეფინა, რაც ასე უცხო იყო მისთვის.

რაფიელის გარეგნობა, კილო, სიტყვა-პასუხი და მიხერა-მოხერა სულიკოსაც ისე მოეწონა, რომ ახლა ისიც კი უნებლიეთ მოხიბლული და თანაც გაოცებული მისჩერებოდა მას.

— თუ ღმერთი გწამს, რამ გაგახსენა ჩვენი თავი!.. ახლა დიხაც არ გელოდით!

ბეჭებზე, ჩრჩილისაგან სულ ერთიანად დაქმულ, ეღალ ჩოხამოსხმული რაფიელის გვერდით ლეონტი ბუზალაძე თავის სიფრიფანა აბრეშუმის ხალათში, გალიფე შარვალსა და ბრეზენტის ყელიან ჩექმებში უცნაურად ჩია და პატარა ჩანდა. რაფიელმა ჩამორთმევის შემდეგ აღარ გაუშვა ხელი ლეონტის, ასე, უეცსულით შევიდა ეზოში. ლეონტიც დაჰყვა. ბიჭი იყავით და გასძალიანებოდით. რაფიელისათვის ლეონტი ასანთის ლერზე უფრო მძიმე ალბათ არც აღმოჩნდებოდა; როცა ბუზალაძე ეზოში შეიპატიჟა, მერე შოფერსაც გასძახა მასპინძელმა:

— ყმაწვილო, რავე ფიქრობ, შენი „ურემი“ ვითომ ქე უნდა შემოეტეოს ჩემს ჰიშკარში!

იასამ ღიმილით გახედა „დატყვევებულ“ ლეონტის. მისთვის აქაც ბუზალაძე იყო უფროსი.

— დაცა, რაფიელ, რომ გვეპატივები, გვეცალია, შე კაცო?!

— „არ მცალია“ ხომ იცი, რისთვისაა მოგონილი?

— მაინც რისთვის?

— კაცო რომ მაგას გეტყვის, უნდა მიხედე, ან თავს იფასებს, ან შენი თავი და პატივისცემა ფეხებზე ჰკიდია.

— რავე გეკადრება!

— მეც ეგ ვიფიქრე და გამიკვირდა, — რავე მაკადრა თქვა!..

— უკ, ღმერთო მომკალი! — იყვირა ლეონტიმ.

— სიკვდილი შენს მტერს! — ისე შეაგება რაფიელმა, როგორც ცხვირის დაცემინებისას ეტყვიან — კარგად ყოფნაო.

რაც ომი დაიწყო, ლეონტი არათუ სიცილის, საერთოდ არაფრის გუნებაზე არ იყო. მის იღუმალ ფერიცვალებას შოფერიც კი ატყობდა, და ახლა ლეონტის სწორედ უკვირდა, რაფიელის სიტყვა-პასუხზე ერთი-ორჯერ კიდევ რომ გაიციან; ეს ალბათ იმის ბრალი იყო, რაფიელის იერი და კილო აღამიანს შინაგანად აცაყებდა, მხნეობას ჰგვრიდა.

ლეონტი ახლა თუმც ფეხს ითრევდა, ებოდღებოდა რაფიელს, გუნებაში კი უხაროდა ასეთი მასპინძლის შეხვედრა.

— კაცო, მტერი ხომ არა ხარ! ასე რატომ უნდა გიპირდეს ჩემს ოჯახში ფეხის შემობიჯებას?

— ის კი არა, მტერმა არც გვკითხა, ისე შემოვიდა!

— კი შემოვიდა, მაგრამ ვნახოთ, უკითხავად რაფერ გავა!

— ჯერ არც გასვლას აპირებს და არც მავის კითხვას!

— დრო უნდა ყველაფერს! თუ გგონია, აკაკაჩიას უმღერებენ ჩვენები და ისე გაისტუმრებენ! — რაფიელმა უცებ წარბი შეიკრა, — ლეონტი, ახლა შენ უთხარი შოფერს, „შემობრძანდეს“, თუ არა, იცოდე სიტყვას აღარ გავუმეორებ... რო დავევლებ ხელს...

ლეონტიმ შეატყო. საშველი ბღარ იყო და იამას ხელით ანიშნა, შემოიყვანე მანქანაო. მანქანა შარაგზის მხარეზე, ღობის ნაპირას დიდი თუთის ჩრდილში დააყენა შოფერმა, მერე სწრაფად გადმოვიდა და რაფიელს მიაშურა. მას მიჰყვა სულიკოც.

რაფიელმა ისე სთხოვა სტუმრებს — დასხედითო, სიტყვას ვეღარ ვაამეორებინებდით. და ისინიც ჩამოსხდნენ ქვის

სკამებზე. რაფიელიც დაიხარა დასაჯდომად, უცებ თავზე ხელთ შემთხდო.

— რა დაგემართა, რაფიელ! — დაიძახა ლეონტიმ.

— რალა რა დამემართა. ორი დღეა, თავი მტკივა, სამუშაოზე, ტყეში გამიცვიდა. არ გიკვირთ, სახლში რომ მხედავთ? ვინ იცის, ჩემო ლეონტი, გულში ფიქრობ — რაიკომის მდივანს კი მისცა სიტყვა მაგრამ მაინც „გვიღალატაო“. ნუ გეშინიათ. ხუთი ურემი საბიგე მორები წუხელი დავატვირთვინე, ხუთსაც ამ დილით დატვირთავდნენ და დღეს თუ არა, ხვალ, შუადღემდე შასტში მიტანილი ექნებათ!... მე კი უთენია აქეთ გამოვეშურე, თუ ამ თავის ტკივილს დღეს-ხვალ ვერაფერი მოვეუხერხე. გლახად იქნება საქმე.

ლეონტიმ არ შეიმჩნია, მაგრამ გუნებაში დიდად ესიამოვნა იმ ათი ურემი საბიგე მორების ამბავი. მაშინვე ის იფიქრა — „ამას ყველაფერს ჩემს მართლათს მიაწერენ — ბუზალაძის ჩასვლა და ხეტყის დამტრა ერთი იყოო — იტყვიან ტრესტში, კომბინატში, შეიძლება რაიკომშიაც. შენ ავაშენა ღმერთმა, ჩემო რაფიელ“.

— ძალიან დინჯად მუშაობთ, ამბანაგებო... ასე მეშახტეებს ვერ დავეწვივით, დიდ დახმარებას ვერ გავუწევით!

— მართალი ხარ, ლეონტი, მაგრამ ხომ ვერ იტყვი — თავი დაზოგესო!.. გუშინ მთელი დღე წვიმაში იმუშავა ხალხმა, დამე არ უძინიათ, ტანისამოსის გაშრობას მოუხდნენ... მაინც რაფერ დავსველდით... რომ გენახა...

— შე კაცო, წყალი მოდიოდა, ტყვია ხომ არა!.. ომში იყოთ და დასველებას ჩივით?!

— შენ ავაშენა ღმერთმა! ძალიან კი შეგვიმსუბუქე გასაპირი. რაფიელმა კვლავ შემოიღო ყაბალახის ნაგლეჯით შეხვეულ თავზე ბარის ოდენა გაშლილი ხელის გული.

— ავთანდილ, ბიჭო!

პასუხი უმალ მოისმა — რა გინდა, ბაბუაო.

— რა და... შენი გამონაცვალ კერან-

გო... დაბი ძროხა, არაფერი გადაჭამოს და მოდი აქ მალე, შე... — სიტყვა გაუწყდა; უნდოდა ეთქვა — მამაძალოო, მაგრამ გაახსენდა, ავთანდილის მამა — თავისი ვაჟი ახლა ომში იყო და ასე მოხსენიება არც თავს აკადრია, არც შეიღს, არც შეილიშვილს.

თვალის დახამხამებაში შეილიშვილი ბაბუასთან გაჩნდა.

— ლეონტი შიძიას ხელი ჩამოართვი! — ბრძანა მოხტემა.

როცა ავთანდილმა ლეონტის ხელი ჩამოართვა, ახლა დანარჩენებზე ანიშნა რაფიელმა, — ეგ ძიებიც გეცინი!

ავთანდილი ცოცხლად მიუბრუნდა ჯერ სულიკოს, მერე იაშას, ხელს რომ ართმევდა ენის წვერს პირის ხან ერთ კუთხეში გამოყოფდა, ხან მეორეში. ბაბუამ ეს შენიშნა და დაუტატანა.

— რას შეები, ბიჭო, ენას გვიყოფ, მომჭერი თავი ამ პატიოსან ხალხთან?

— ენას კი არა... — სწრაფად წამოიძახა ერთბაშად დამორცხვებულმა და სახეზედაც წამოწითლებულმა ბავშვმა.

— აბა რა გაქ მაგ პირში?...

— აცალე, ბავშვია, სიცელქით მოსდის, — საყვედურით გადასძახა ლეონტიმ რაფიელს. ავთანდილს კი თვალი უყო, ნუ გეშინიაო.

— შეხედეთ, ერთი, რას უგავს მუხლის თავები! ცალი ტალახში უკრავს მეორე გადაუტყავებია!... — რაფიელი ამ შენიშვნებითაც არ დაკმაყოფილებულა; კარგად რომ დააკვირდა, შეამჩნია, ხალათის მარცხენა სახელო ილიამდე გაფხრეწილი ეკიდა ბავშვურ, გამხდარ მკლავზე; — ყოჩად, ყოჩად... დედაშენს იმის მეტი საქმე აღარ აქვს, დღეში ორჯერ ხალათი აკეროს!.. დამაცადე, მერე მოგელაპარაკები... ახლა გაშვი და დოქით ცივი წყალი მოართვი სტუმრებს.

— ბაბუა, სტუმრებს წყალს როდის ასმევდი?!..

ამის გაგონება და სტუმრების სიცილით გადაჭყევა ერთი იყო. რაფიელსაც გაეცინა. ავთანდილმა კი მოკურცხლა.

— ხომ ვადაგიხნადა, ეგეც შენ, რაფიელ! — კმაყოფილებით წამოიძახა ლე-

ონტიმ. — ძან შეილიშვილი გყოლია! სიტყვა-ბასუნში აწი კიდევ მოგწყევს მორიდება და სიფრთხილე.

— რა გინდა, რა... ჩვენი სოფლის სკოლაში მასწავლებელი ერთს რომ ეტყვის, ეგენი ორს ეუბნებიან... რა გასაკვირალია, მეც თუ გამოთამამდა!..

— სანამ პატარები არიან, ჩემო რაფიელ, მაგათი სითამამე ძალიან გვახარებს, მაგრამ მერე, დიდობაში, ვითთუ სანანებლად გაუხდეს ზოგ მშობელს...

ორსართულიანი სახლის კიბეზე ავთანდილი სწორედ აფრინდა და ჩამოფრინდა. ჭიქა ლამბაჭით მაგიდაზე დატოვა, დოქით კი ჭას მიასურა.

ცივმა წყალმა ჭიქა გაორთქლა. თუმც პირველად შესთავაზეს, მაგრამ ვიდრე ყველამ არ დალია, რაფიელი წყალს არ დაეკარა. ბოლოს მასაც დაუსხა წყალი შეილიშვილმა. რაფიელმა ცოტა მოსვა და ჭიქა ჭეის მაგიდაზე დადგა.

— სულ დამავიწყდა მეკითხა — რა საქმეზე გვესტუმრეთ. — თქვენი მობრძანება პატარა ამბით არ იქნება გამოწვეული!...

ლეონტიმ თავის ამქარს გადახედა, მერე თვალი რაფიელს გაუსწორა.

— ჩვენი სტუმრობა, რაფიელ, მართლაც არ გეგონოს ხუმრობა!

ლეონტის ახლა, როგორც ოფიციალურ პირს, რასაკვირველია უფრო შეეფერებოდა კოლმეურნეობის კანტორაში ან საბჭოში მისულიყო და საქმეზედ მოლაპარაკებაც უშუალოდ კოლმეურნეობის, ან საბჭოს თავმჯდომარესთან დაეწყო; მაგრამ ასეთი სავარაუდო გეგმა მან გზაშივე შესცვალა. იფიქრა — მე რომ ვეახლო საბა გამთენაძეს, თავმოყვარეობა შელახულიც გამოვალ და ჩემს სიტყვასაც ფასი დაეკარგება... უმჯობესია, რომელიმე მოსახლისას ვითომ შემთხვევით შეეჩერდი, გამთენაძე კი ჩემს აქ ყოფნას რომ შეიტყობს, შეუძლებელია, არ მინახულოს... ბიჭი არ ვიყო, თუ სულ „წამობრძანდით, ბატონო“ არ ვაძახებინეო. ლეონტის სხვა ვარაუდიც ჰქონდა, წინასწარ, „ჩუმიად“ ეწადა ზოგი რამის შეტყობა, რათა გამთენა-

ძისათვის საკიროების შემთხვევაში „გზა მოეპრა“. რაფიელი მას სწორედ დროზე და იღბლად შეხვდა. ამ კაცმა სოფლისა და საბას ავ-კარგიც ჩინებულად იცოდა, ხე-ტყის დამზადების საქმეზედაც გადაგებული იყო. ლეონტისაც სხვა არა უნდოდა-რა. საქმე ჩინებულად მოეწყო. რაფიელმა შეიტყო თუ არა ტევრში ბუზალაძის ჩამოსვლის მიზეზი, შვილიშვილი უმალ კოლმეურნეობის კანტორაში აფრინა.

— რაფიელ, გამიშვი, თუ არა საბა არც ინებებს აქ ამობრძანებას და შენც წაგეჩხუბება!

ამ სიტყვებზე ლეონტიმ რამდენჯერმე განზრახ წამოიწია, მაგრამ რაფიელმა წამოდგომის საშუალება არ მისცა; ისე გაშლიდა მუხის ტოტივით მკლავს, ისე გადაუღობავდა გზას, ლეონტის ძალიანაც რომ მოეწადინებინა, მაინც ვერ დააღწევდა თავს ამ გულითად მასპინძელს.

— თუ არ გვინახულებს, როცა დრო იქნება მე თვითონ გეტყვი და წაველთ... მე უფრო იმის შიში მაქვს, ჩვენს სამხარს შეიძლება ცოტა შეაგვიანდეს... ჩემი რძალი მანანა გამთენიის ხანს წავიდა და როდის დაბრუნდება, ვინ იცის, იმ ჩაის პლანტაციიდან, — რაფიელმა თავი სინანულით გაიქნია, — რაც ომი დაიწყო, კაცების საქმეც ქალების გასაკეთებელი შეიქნა... ყმაწვილსა და შუახნის კაცს სოფელში ახლა ძვირად შეხვდები... ქალებს და მოხუცებულებს დაგვრჩა აქაურობა!

— რაფიელ, აქეთ რომ მოვდიოდი, მართალია, შენთან შეხვედრის იმედი არ მქონია, მაგრამ... ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც საქმისთვის აჯობებს!

— მიტომავე გეპატიყებოდი, შე დალოცვილო!

— შენზე უფრო გულახდილად ვინ მტყვეის... როგორ ფიქრობ, შეუძლია ტევრის კოლმეურნეობას ამ საყოველთაო გასაპირის დროს ორი-სამი ბრიგადა კიდევ შეადგინოს და... თუ დახმარებაა, ბარემ დახმარება იყოს!

— იმ საქმეში... დასახმარებლად?...

— სწორედ, ჩემო რაფიელ... შენც

ხომ სთქვი, ბიგი შახტისთვის იგივეა, რაც ადამიანისთვის ძველიო!

— ეი ვთქვი, მარა...

თუ აქამდე სახეში უცქეროდა, ახლა რაფიელმა მზერა მოარიდა ლეონტის მიწას დახედა. დაფიქრებულმა ჯერ ერთი წარბი ასწი-დასწია, შემდეგ მეორე და, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ დაიწყო. დაიწყო მაგრამ, ეტყობოდა, ძალიან უჭირდა იმის თქმა, რასაც აქამდე ფიქრობდა.

— რომ ვთქვათ, ძნელიაო, ტყუილი არ იქნება, ჩემო ლეონტი ქალებსაც აღარ ვზოგავთ, მაგრამ საქმეს მაინც ვერ აუღივართ! რომ გამოვირდა, ჩემი უფროსი ქალიშვილის ბიჭი, ავთანდილი ჩამოვიყვანეთ მეზობელი სოფლიდან, მაგას ახარია ახლა ძროხაც, სახლიც, მაგის ვალია აბრეშუმის ქიისთვის ბულის მოკრეფა და ქმეფა...

— რა გეჭიებათ, თქვე მამაცხოვრებულებო! — გაკვირვებით და დაცინებით შენიშნა ლეონტიმ.

— ომის დაწყებამდე კოლმეურნეობიდან ეგ საქმე პქონდა დავალებული ჩემს რძალს და... ახლა ხომ არ გადაყრის იმ ქიას...

— ერთი სიტყვით, რაფიელ, იცოდე, რაც გითხარი იმის თაობაზე საბას ისე უნდა ვეცეთ, თითის განძრევაც ველარ მოასწროს.

შახტიდან ახლახან მოსულმა ნიკომ ქის ცივი, კამკამა წყლით ხელ-პირი დაიბანა. არც დაფიქრებულა გაგრილებულმა ისე წამოიძახა მეტისმეტი სიამოვნებისაგან — გაცოცხლდი და ესააო. ოჯახის უფროსის გამოჩენის უმალ ასმათი დაფაცურდა. ნიკომ ტანსაცმელი გამოიცვალა, საშინაო შარვალი ჩაიცვა, ჩუსტებში ფეხი წაჰყო და პერანგის ამარა, აივანის კუთხეში ტახტზე წამოწვა-სათვალე არ გაუკეთებია, გაზეთის თვალიერების დროს ლორწევივით ეჭირა ხელში. ის-იყო სუფრა გააწყო ასმათმა, სადილობას უნდა შესდგომოდნენ, რომ ტელეფონის ზარის წყრიალი გაბმით გა-

ისმა ოთახში.

ასმათმა გაევირეებით შეხედა ნიკოს, რომელმაც ვაზეთი კი გადასდო ვანზე, მაგრამ დაღლილს წამოდგომა დაუგვიანდა.

— შენ უპასუხებ? რალაც ეუკვით იკითხა ასმათმა.

— ვუპასუხებ... თუ ისევ ლეონტი არ მეძახის და სადილი არ წამამწარეს...

— მეც იმიტომ შეგვეკითხე... თუ გინდა, აგერ, დარეჯანი გასცემს პასუხს. ვინიცობაა ვიკითხეს, ეტყვის — სახლში ჯერ არ მოსულაო. — ტელეფონი, დაშავების შემდეგ რა ხანია ლოგინად მწოლიარე დარეჯანის თავთან ეკიდა და უველას ის ელაპარაკებოდა.

— სწორედ!.. ჩემს დღეში ტყუილი არ მოთქვამს, ადამიანო, და ახლა ამ სიკვდილის პირას მისულმა შევაძლებიო ღმერთს თავი?!

— ღმერთს შენთვის საღა სცალია! — დაციწვით გასძახა აივნიდან ასმათმა და მეუღლეს თვალი გააყოლა. ნიკოს მხოლოდ ორი სიტყვის თქმა დასჭირდა, როცა მილაკი აიღო და თქვა — „გისმენთო“, და ბოლოს, როდესაც მოსაუბრემ სათქმელი დაასრულა, ბეჯითად დასძინა „მობრძანდითო“.

ნიკო უსიტყვოდ მიუჯდა მაგიდას, მაგრამ ხელს არაფერს აკარებდა.

— არ ისადილებ? — მორიდებით იკითხა ასმათმა.

— ცოტა მოვიცადით. სადილი ხომ არ გაცივდება — რა!

— თუ გაცივდება, გავაცხელებ, შეკაცო. დაუხარელის კილოთი მიუგო ასმათმა, — ვინ ველაპარაკა... მობრძანდითო, რომ უთხარი, ბოლოს... სადილზე დაპატივე?

— ბარდლა-ბიძინა იყო. ერთ საქმეზე მინდა მოგელაპარაკო და, თუ შეიძლება, სახლში გინახულოო. რა უნდა მეთქვა?

— ლეონტის ერიდებოდი და მგონია ეგ უარესია.

— პატარა განსხვავება მაინც უნდა იყოს, ლეონტი თუ უშავებს, ისევ სხვას უშავებს, ეგ ბიჭი კი მარტო თავისთავს.

ასმათს აშკარად შეეტყო, რომ აქ, თავის ოჯახში ბარდლას მოსვლა არ ესია-

მოენებოდა, მაგრამ რა გაეწყობოდა; როგორ გინდა ცხოვრებაში უსიამოვნებელი სიამოვნებას დააშორო. *სიხარულით*

ათიოდე წუთის შემდეგ ჭიშკარი გაიღო და ვაეკაცური შესახედაობის კაბუკი მხნე ნაბიჯით არაბიძის სახლისაკენ გამოეშურა, ბარდლა კიბეზე ამოვიდა და ჯერ შორიახლოდან მდაბლად თავის დაკვრით, ხოლო შემდეგ ხელის ჩამორთმევითაც ოჯახის უფროსს და დიასახლისის სათითაოდ თავაზიანად მიესალმა, ასმათს გული როგორც უმალ მოუღება და სინანულით გაიფიქრა — „წელან ნეტავი რას ვერჩოდით“.

— ნიკო ბიძია, რა მეგონა თუ ასე გვიან სადილობდით...

— შე კაცო, ამ ომს სადილის გრაფიკის შეცვლა გაუჭირდებოდა? დაჯექი მანო, ჩემ პირდაპირ.

— მე ნასადილევი გეახელით. — ბარდლამ თავაზიანად გაიღიმა, ნაბიჯი უკან წადგა და თავიც დაბლა დახარა.

— დაჯექი, ბიჭო, რომ გეუბნები!.. ამ შემთხვევისათვის ლამაზად არ გამოუთქვამს ჩვენს ხალხს, მაგრამ მაინც რად ღირს!..

— რა გამოუთქვამს, ნიკო ბიძია?

— დაჯექი და გეტყვი.

ბარდლა იძულებული იყო ნიკოს მიერ მიჩენილ ადგილას მისჯდომოდა სუფრას.

— ა, ბატონო! — ბარდლამ ეს ისე თქვა, თითქოს ნიკოს უნდა ასიამოვნოს — ხომ ხედავ, ყველაფერს გისრულებო.

ასმათმა სწრაფად ააგსო წვენი თეფში და წინ ფრთხილად დაუდგა ბარდლას, რომელმაც ხელის შეშველება ველარ მოასწრო, მაგრამ მადლობა კი გადაუხადა დიასახლისს.

— ახლაც არ იტყვი, ნიკო ბიძია? რალაც ისე მალოდინებ, მგონია ხელსაყრელი არ უნდა იყოს ჩემთვის იმის გაგონება...

— მაინც გეტყვი. აქამდისაც უნდა გცოდნოდა, — სტუმარი მასპინძლის ვირია, სადაც უნდა, იქ დაბამსო!

მართალია, სადარდელი არც ნიკოს

აკლდა, არც ასმათს, მაგრამ სუფრას მოწყენილობა მაინც არ დასტუბობია.

ნასადილეგს ნიკო და ბარდლა აივრის მოაჯირთან ტახტზე დასხდნენ. ასმათმა ხილი მიართვა. ნიკომ შავქლიაივი გახლიჩა, კურკა ცერსა და სალოკ თითს შუა დაიჭირა და შორიახლოს, ალვის ხის ტოტზე შემომჯდარ ბელურას დაუმიზნა. გასხლექტილმა კურკამ სულ ახლოს ჩაუქროლა ჩიტს და ააფრინა. ნიკომ ჩაიციინა — კინალამ მოვარტყიო — ბავშუური კმაყოფილებით წამოიძახა. ბარდლასკენ ლარნაკი გასწია, ხილი შესთავაზა და თან მოულოდნელად რკითხა:

— რა იყო, ბიჭო, რამ შეგაწუხა?

ბარდლას პართან მიტანილი ქლიაივი ხელში შერჩა, თავი ასწია, ნიკოს გამომწვევად შეხედა და გაუღიმა.

— ერთი სათხოვარი... მაქვს...

— მაინც? თუმცა... რალა კითხვა უნდა!

ბარდლამ კვლავ გაიღიმა, მერე უცებ მოწყენილობა დაეტყო. თავი ერთბაშად ჩააკიდა და სინანულით შენიშნა:

— აგრე ყველაფერს რომ მიმიხვდებოდე, რალა მივირს!

ნიკომ ცნობისმოყვარეობით მიაშტერა მზერა მის ლოყას. ლოყაზე წვერის პაწაწინა ღეროებს ამოეყოთ თავი და მზის შუქზე წაბლისფრად ბწყიალებდნენ.

ბარდლამ კვლავ შეავლო თვალი ნიკოს და განაგრძო:

— აღამიანს ერთ ავ საქმეზე რომ წაუტდეს ხელი, ხალხს ათად მოეჩვენება, სამაგიეროდ, კეთილი საქმის შეათედის დანახვაც უჭირთ ხოლმე!

ნიკო წამით ჩააფიქრა ბარდლას ნათქვამმა, „ქეშმარიტებასთან ახლოა“, გაიფიქრა ძველმა მემახტემ, ბარდლას კი დინჯად შენიშნა:

— დამნახველს გააჩნია, ბიძია! —

— ვიცი დალლილი იქნები, მოსვენება გინდა... სიტყვას აღარ გავაგრძელებ. — ბარდლამ ერთი დარდამანდულად დაიკრა მუხლზე ხელი და გამომწვევად მიაშტერდა მასპინძელს. — მოდი, ერთი, ვაეკატურად დამეხმარე! თუ ხელს არ მკრავ, მერე მე ვიცი!...

ნიკო ხმაგაქმენდილი უსმენდა. თუ წელან, როცა ბარდლამ სიტყვა დაიწყო, სახეზე ღიმილი დასთამამებდა; ახლა დაფიქრებული და თითქოს ცოტა შემფოთებულიც გამოიყურებოდა.

— ჩვენს ქვეყანაში ვის აქვს, რომ მე მქონდეს, ბიჭო, უფლება, საშველად ხელგაწვილი კაცს ხელი ვკრა?

— რად გინდა აგიტაცია... მაგისთანებიც ბევრი შემხვედრია!... თუ არა აქვთ, რატომ მითვალწუნებენ?

— ალბათ იმიტომ, არა სჯერათ...

— რა?

— თუ... გამოსწორდები... მაგზე ლაპარაკი ახლა იქნებ გვიანაც არის... აქამდის რომ გეფიქრა, უფრო ადვილად დაგიჯერებდნენ...

— საქმეც ეგ არის... აქამდე გონს ვერ მოვედი!..

— გამოსწორება, იცოდე, ბიძინა ძნელი საქმეა! თუ შენ თვითონ არ მოინდომებ, თუ საბოლოოდ ეშმაკს არ მიაფურთხებ... შეძლებ ამას?

— თუ დამეხმარებით, შეეძლებს... არადა... თქვენს კისერზე იყოს ჩემი ცოდვა!

— მაგით ვერ შემაშინებ! რა ბევრი ცოლო მე მაწევს?! თუ მაინცადამაინც, მაგ ერთს როგორმე ვზიდავ! — ნიკომ გამამხნეველად გაუცინა ბარდლა-ბიძინას, კვლავ შესთავაზა ხილი.

— ვინ იცის, ჩემი დაღუბვა იქნებ ცოლოდ კი არა, დამსახურებადაც ჩაგეთვალოს! — შენიშნა ბარდლამ.

ნიკომ აღმაეცრად გადმოხედა ბარდლა-ბიძინას, ცალკებად გაიციინა. ბარდლა დღეს ისე გამოცვლილი ეჩვენებოდა არაბიძის, ეგონა, სხვას ველაპარაკებო. ნიკოს არ ავიწყლებოდა, რა თავზედურად ეჭირა თავი, რა ათვალწუნებით უცქეროდა იგი ამას წინათ ლეონტისთან კაბინეტში.

— რა დაუძინებელი მტერი და იდეური მოწინააღმდეგე შენა მყავხარ, რა წონა გაქვს, გინდ მოყვარის, გინდ მტრის თვალში შენი წახდენა დამსახურებად ჩამეთვალოს! რას აკეთებ; ბიჭო, ისეთს?!... სამტრედილაში ქათმების ყიდვა და საღმე

აგარაკზე ორმაგ ფასში გასაღება, დიდი გმირობა ხომ არ გგონია?

— ძალიან დამაბნურდავე!

— ხურდასაც არა უშავდა, ოქროსი ან ვერცხლისა რომ იყოს, შენ კი სპილენძისა ხარ!

— ნიკო მე დახმარებას გთხოვ, შენ კი ხმელი ფუჩეჩივით სიტყვებით ყელს მიკობ... სახარჯო ღვინის დოჭი ვარ, თუ რა?

— რაც თავის დანიშნულებას ასრულებს, ყველაფერი კარგია, გინდ ღვინის დოჭი იყოს, გინდ ფუჩეჩი! შენ კი კაცად დაბადებულხარ და... კაცუნად გინდა მოკვდე!.. ნიკომ ვერც ამ სიტყვებით ააღებინა თავი მალა ბარდლა-ბიძინას. ის ჯიუტად ათამაშებდა ხელში ქლიავს. — კარგი, ამ ერთხელ მეც გამოგიწოდებ ხელს და ვნახოთ... მიგიღებ ჩემს უბანში!

— აქამდე გეთქვა, შე კაცო... რას მაწვალედი ლოდინით! — კმაყოფილის დიმილით დაიძახა ბარდლამ.

— ერთი რამე მაინც მიკვირს... ლენტის რატომ არა სთხოვე? ის ხომ მეც მემუქრებოდა და შენც გპირდებოდა მიღებას?!

— ლენტის... დაპირებით ბევრს დაგპირდება, ბოლოს ცოტასაც არ გაგიცეთებს!

— რომ იცოდეს, თანახმა ვარ, სიხარულით გაგაფორმებდა...

— ლუკა ნიორამე უფრო ნაღვლია. ნიკო ბიძია, თუ შენ სთხოვ, თუ კიდევ ამდენს დაჰავალე, მერე მე ვიცი. ლუკა შენ უფრო მეტ ანგარიშს გიწვევს და... არც ახლა გეტყვის უარს!

ნიკო ერთხანს ისევ ჩაფიქრებული იჯდა; წელან მოისმინა თუ არა, ბარდლა-ბიძინა გამოსწორებას რარიგ ეფიცებოდა, ამ ხნის კაცს უცებ მოუღბა გულრ. ახლაც სწორედ ამხედ ფიქრბდა. გამოსწორება, მართალია, ძნელი საქმეა, საამისოდ მარტო სიტყვა არა კმარა, მაგრამ რატომ უნდა ვუთხრა უარი, რატომ ჩაედგე უცის ცოდოში, რატომ უნდა დამაბრალონ ხელის კერა!.. ვთქვათ, არ გამოსწორდა, მაშინ ხომ

ჩემს სინდისთან აღარაფერი მექნება სასაყვედურო, მაშინ ხომ. *ეჟიპტო უცებ გამოერკვა ამ ფიქრებშიც, "მარდლა-ბიძინას ბექზე ხელი დაკრა და წამოდგა.*

— ვეცდები, მიგიღონ...

ბარდლაც წამოდგა. უსიტყვოდ გაუწოდა ხელი ნიკოს.

როცა ბარდლა-ბიძინამ არაბიძის ჰიშკრის კარი გაიხურა, ძველი მეშახტის დაპირებამ და მხარდაქერამ გული მისკენ მოუბრუნა; მაგრამ, რაწამს ბუზალამე გაახსენდა, უმალ ცუდ გუნებაზე დადგა. ბარდლა მისი დარიგებული იყო — ვიდრე სოფელში ვიქნები, მიდი ნიკოსთან, სთხოვე, გიშუამდგომლოს. არაბიძეს ლუკა ანგარიშს უწევს, უსათუოდ გაბრიყვდება. თუ მიგიღებენ, მერე მე ვიცი, თუ არ მიგიღებენ, მერეც მე ვიცი! არაფერ არ არის ამ ქვეყანაზე ანგელოზიო.

გუშინ ამას რომ ვუბნებოდა ბუზალამე ბარდლა-ბიძინას, გუნებაში მზაკვრულად ფიქრობდა: „ეს ბიჭი უწესობას არ მოიშლის ... თუ გაწყრება ღმერთი, მაგის გამო რამეს მისაყვედურებენ, შენი შემოთავაზებულობა-მეთქი, მივახლი ნიკოსაც და ლუკასაც“.

ნიკოს თხოვნამ ლუკასთან მართლაც გაჭრა.

თუ, ერთი მხრივ, არაბიძისათვის ასეთი ნდობა დიდი პატივი იყო, მეორე მხრივ, თავს უცეე ატყობდა; დღეიდან მოსვენება აღარ ექნებოდა, სულ ბარდლაზე უნდა სჭეროდა თვალს.

ბარდლა-ბიძინა ჯერ გერასიმე სოფრომამძეს შესთავაზა ნიკომ, მაგრამ, რაკი გერასიმემ ქვა ააგლო და თავი შეუშვირა, უბნის უფროსმა იგი სერდიუკს „გადაულოცა“. შახტში ბარდლას ყოფნის ამბავი, ნიკოს უბანს უმალ მოედო. კაცები ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ქალები შიშმა. თავზე ხელაღებულ ბარდლას ამბავი, გარდა სერდიუკისა, თითქმის ყველას სმენოდა. მეშახტეთა ქალაქში ის ახალი დამკვიდრებული იყო და ბარდლა-ბიძინასი არათუ „საქქენი საგმირონი“, ჯერ სახელიც კი არ გაეგო-

ნა ხეირიანად. რახან სერდიუკის ბრიგადა ბარდლა-ბიძინათი გააძლიერეს, ვენერა ლებანიძე სხვაგან გადაიყვანეს, სადაც უფრო უპირდათ მუშახელი. ვენერას მაგიერ მებრძოლი სირბილაძეს კლარა არსენიძე ჩააბარეს დამხმარედ. შურა კი ბარდლა-ბიძინასთან დარჩა მომხვეტლდ-მართალია, ბარდლა-ბიძინამ წყენით გაიფიქრა — რას შემომაჩვენეს ეს ქალის საქმეო, მაგრამ ამის თაობაზე სიტყვა არ დასცდენია. სანგრევის იატაკის თითქმის ნახევარზე დახვედებული ნახშირი, წინა ცვლას რომ აუღებელი დარჩენოდა, სულმოუთქმელად ახვეტა ბარდლამ. ორი-სამი აღება-ლა მოიტოვა. ნიჩაბი შურას გაუწოდა და გაეხუმრა:

— შენც გაანძირე ცოტა ხელი, თუ არა დაგეძინება.

შურამ შეხედა, უხეშად წასტაცა ნიჩაბი, მწარედ შენიშნა:

— უკაცრავად! მე არ მეძინება. შენ კი გამოტყდი, რომ დილაღე!

— ჩემო დაიკო, სანამ დაიღლებოდე, მანამდე უნდა შეჩერდე!

ამ შენიშვნაზე კი ველარაფერი მიუგო შურამ. თავი დამარცხებულად ცნო, სამაგიეროდ, ნახშირს შეუტია. ისე უმარჯვა ნიჩაბი, ერთბაშად იმდენი მოხვეტა და ისე მსუბუქადაც მოიქნია, ბარდლა-ბიძინა, ცოტა არ იყოს, გაოცდა. ის რომ ოთხ ჯერზე იღებდა, იმდენი ნახშირი შურამ ნიჩაბის ორი მონაცვლებით ახვეტა. ბარდლა-ბიძინა ახლოს მივიდა შურასთან. მარჯვენა მკლავზე ხელი მოსჭიდა კუნთის სიმავრის გასასინჯად. შურამ იუყადრისა ხელის მოკიდება, ღონივრად უბიძგა ბარდლას. დარწმუნებული იყო, წაიქცევაო, მაგრამ ოდნავადაც ვერ დასძრა ადგილიდან. ბარდლა ახლა იმ ბოძის ძირას იდგა, სადაც ნათურა ეკიდა. გარდა მისი ცხვირის წვეტისა, ტუჩებისა და ნიკაპისა, სახე ჩრდილში იყო. ტუჩების მოძრაობაზე და კბილების გაელევებაზე შურა მიხვდა; თავის ღონეში დაჯერებული ბარდლა გამარჯვებული კაცის ღმილით იღიმებოდა.

ცვლის დასრულებამდე ნიკომ სერდი-

უკის სანგრევეში შემოხედდაც მოასწრო, ბარდლა-ბიძინაც მოიკითხა. ბრიგადის ახალი წევრის მუშაობა სერდიუკმა შეაქო, — რამდენჯერმე შორიახლოს აეუარ-ჩაეუარე და, რა გითხრა... სწორედ მასეთი მუშა აკლდა ჩვენს ბრიგადასო.

ნიკომ მაინც გააფრთხილა სერდიუკი.

— სხვაზე მეტი ყურადღება მაგას მიჰქცე. თავიდანვე რომ მარჯვე ჩანს, იცოდე, მასეთი უფრო მალე გიტევს... ნიკომ თვალი ჩაუკრა სერდიუკს, მერე ბარდლასთან მივიდა.

ერთხანს თავის ცვლაში ბარდლა ისე მუშაობდა, ოფლის მოსაწმენდადაც არ ეცალა. სერდიუკი გაოცებული იყო, სხვებსაც უჯერდათ — რატომ ჰქონდა დარჩეული მას უვარგისი მუშის სახელი. გარჯაში ასე იოლად და სწრაფად ნობა მოხვეჭილ ბარდლას კი გუნებაში ეცი-ნებოდა იმათ ვახსენებზედაც. ვინც ადრე აგინებდა, და იმათზედაც, ვინც ახლა აქებდა.

თუ ადრე ყველა ერიდებოდა თავზე-ხელაღებულის სახელით ცნობილ ბარდლას, ახლა, პირიქით, ყველა მასთან დაახლოებას, დალაპარაკებას ცდილობდა, რახან ასე „მოთვინიერებულსა“ ხედავდნენ. ბარდლაც გრძნობდა, ამჩნევდა ამ ცნობისმოყვარეობას, ყურადღებას და, რაც შეეძლო, ღმილის არ იშორებდა სახეზე.

ცვლაში, შესვენებაზე მესახტეებში დაინახეს, საუზმისათვის ცოტაოდენი პური, ჭადი ყველი, ან სხვა რამ შესატანებელი მარტო ბარდლას არ წამოეღო. ზოგს, მართალია, იმდენიც არა ჰქონდა, ორ ადამიანს ჰყოფნოდა საუზმედ, მაგრამ ახლა ყველას მაინც გულით ეწადა, პური და ყველი თვითონ გაეყო ბარდლასათვის. ამ იღუმელ წადილსა და ყოყმანში, ვისგანაც უფრო მეტად არ მოელოდა, სწორედ მან გაუწოდა ბარდლას პურისა და ხორცის ნაჭკერი. ეს იყო გუშინ ბარდლაზე აგრერიგად გამწყრალი შურა არსენიძე. შურას ჯერაც არ დაევიწყებოდა ბარდლამ რომ ქუდი თავზე ჩამოაფხატა და შუბლი გაუკაწრა. ბარდლას, მართალია, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვე-

ტილი. ლუკმაპურში არავის არ შეამხანაგებოდა, მაგრამ შურას მოულოდნელმა თავაზიანობამ და გულკეთილობამ ფრთხილად „განაიარადა“. უარის თქმა აღარ უხერხდებოდა. შავი ეშმაკივით მზირალში ბარდლამ შურას გაუღიმა. ღიმილში მისი თვალების თეთრმა გარსმა და კბილებმა უცნაურად გაიღვეს. მარჯვენა ხელი ქურთუკის კალთაზე ისე გაისვ-გამოისვა, თითქოს ნახშირის მტვერში გაშავებულ ხელზე უფრო სუფთა ყოფილიყოს იგი და შურას მიერ გამოწოდებულ პურის ნაჭერს მარჯვედ წაატეხა ნახევარი. როცა შურამ ხორციც გაუწოდა, ბარდლამ ახლა კი მოინაცვლა ადგილი, შურას უფრო ახლოს მიუჯდა, შურა მალიმალ უღიშოდა და მალიმალ სთავაზობდა ხან ხორცს, ხან პურს, რომელიც კალთაში, ქაღალდზე ეწყო.

რადგან ბარდლამ წინაღობით გაკვეთილი მიიღო, მეორე დღეს ცვლაში ხელცარიელი არ მოსულა. ახლა ის უფრო ყურადღებიანიც ჩანდა. თავის ბრიგადის წევრებს ყველას თვალებში შესცქეროდა და ცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა.

სერდიუკი აქამდე ამფეთქებლის გამოძახებას ყოველთვის შურას ავალეზდა, რადგან სიმარჯვეში გამოცდილი ჰყავდა. ამფეთქებლის „დასაკუთრება“ ერთი ხანია ძნელ საქმედ იქცა. ყველას უნდოდა დროულადაც და სხვაზე ადრეც აფეთქებინა ნახშირის მოშაღებული ფენა. ორ პორიზონტს კი ერთი ამფეთქებელი ემსახურებოდა, ისიც ქალი, ომამდე ამ საქმეზე ხანგრძლივად ნამუშევარი.

ამჯერად შურა არსენიმე ხელცარიელი დაბრუნდა. თქმა აღარ უნდოდა, მეორე აფეთქებაზე გადმოხვავებული ნახშირის ახვეტას ველარ მოასწრებდნენ.

ბარდლა და სერდიუკი ერთად ისხდნენ მოსანგრევე ფენის ძირას. შურას დანახვანზე თუ სერდიუკი მყის წამოიჭრა, ბარდლა არც ვანძრეულა. ახლა მან ქურთუკის კალთით დაბლა დასწია ბრიგადირი. როცა ის დაჯდა, ბარდლამ

დინჯად უთხრა — შენ დარდი ნუ გაქვსო. ამ სიტყვებზე თვითონ წამოტვია, შორიხლოს შეჩერებულ შურას ზრგირამ გამოპკითხა და გასასვლელისაკენ სანგრევის დაქანებული იატაკი ჩაირბინა. ორმოცდამეათე პორიზონტზე სოფრომამძის სანგრევს მიაშურა.

— გამარჯობათ! — დაიძახა მან სანგრევში შესვლისთანავე.

— გაგიმარჯოს! — ერთხმად უბასუხეს გერასიმე სოფრომამძემ, ბერიძემ და ლიდამ.

— თამარელას ორი სიტყვა მინდა ვუთხრა. — ბარდლამ სანგრევში ნათურის შუქი მიმოატარა, მაგრამ თამარელას მაინც ვერსად მოჰკრა თვალი.

— თამარელა... საქმეზეა წასული, — ხანდაზმით მიუგო გერასიმემ, — მოუცადე, მალე დაბრუნდება.

— მოსაცდელად რომ მეცალოს, გერასიმე ბიძია... — დამკინავი კილოთი შენიშნა ბარდლამ, — მერე შემოვივლი.

— რა გინდოდა? — მოულოდნელად მოესმა ბარდლას ქალის ხმა. ბარდლამ უმალ იქით უსწორა ნათურის შუქი და ნიჩბის ტარზე წუთით ჩამოყრდნობილი ღიდას სიტყვა სწრაფად მოუჭრა.

— რაც მინდოდა, თამარელას ვეტყვი. ვითომ რაღაც სათქმელის საბაბით თამარელას მონახულების წადილი, მოგონილი ამბავი იყო.

სანგრევიდან გამოსული ბარდლა შუროთი თავქვე დაეშვა. სამოცდამეტხუთმეტე პორიზონტთან მიახლოებულს, გზად სწორედ ის ორი ადამიანი შემოხვდა, რომელთა სანახავადაც აქეთ ეშურებოდა. თამარელამ იცნო თუ არა ბარდლა, უხმოდ თავი დაუჭრა და გზა განაგრძო. ბარდლამ დამკინავად გააყოლა თვალი. მერე ამფეთქებელს სწრაფად გზა დაუთმო, ხელიც შეაშველა. გოგონას წინააღმდეგობა არ გაუწევია, ესიამონა კიდეც ღონიერი მარჯვენის შეხება. ბარდლა ახლა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მას, რახან ორი კაცის მხარდამხარ სასიარულოდ საკმარისი სიგანე შუროს საფეხურებს არა ჰქონდა. დროდადრო ბარდლა თითქოს ამხნევებ-

სო, გოგონას მარჯვედ მოავლებდა ხოლმე ფერდებზე ხელებს, და ისიც უფრო მსუბუქად და ლაღად არბოდა შუროს დაქანებულ, ნაპირებმოცვეთილ საფეხურებზე. ორმოცდამეათე პორიზონტს რომ უახლოვდებოდნენ, ბარდლამ მხარზე ხელი მოსჭიდა გოგონას და ჩურჩულით ჰკითხა:

— ასაფეთქებლად მიპყვები თამარელას?

გოგონა არ შეჩერებულა, თავი ნახევრად შემოაბრუნა და ჩურჩულითვე მიუგო:

— მაშ, რისთვის უნდა მივყვებოდე?... მოგასწრეს! გერასიმემ აღრე დამიბარა.

— მოსწრებით მოუსწრიათ, მაგრამ შენ უფრო ვისკენ მიგიწევს გული?

— ამ საქმეში... სულ ერთია.

ბარდლამ უცებ ზურგიდან ორივე მკლავში ჩასჭიდა ხელი და მოსწურა, თან, ხმადაბლა შენიშნა — თუ ჩვენთან არ წამოხვალ, იცოდე... მოგიტაცებ! — გოგონამ სწრაფად მოიხედა ბარდლასაკენ, თავი უცებ უკან გადაკიდა და ცივად გადაიკისკისა.

თამარელა უკან აღარ იხედებოდა. მას ეგონა, ბარდლა ქალიშვილს ეთამაშებოდა და, თუ ყურს უნებლიეთ მაინც ესმოდა გაურკვეველი ჩურჩული, არასგზით არ სურდა თვალი ყოველივე იმის მოწმე გამხდარიყო, რაც, მისი აზრით, ათიოდე ნახიჯის დაშორებით ხდებოდა. თამარელამ არ იცოდა, რა ამბავი იყო ამფეთქებლის თავს. როცა სერდიუკის სანგრევში მისასვლელ შტრეკს გაუსწორდნენ, თამარელა, იმით დაიმედებული, რომ ამფეთქებელი გოგონა თავისთან მიპყავდა, გადავიდა შუროს მეორე მხარეს, ამასობაში ბარდლამ და ამფეთქებელმა ქალიშვილმა მოაღწიეს შტრეკში შესასვლელამდე; ბარდლას თვალის ერთი დახამხამებისოდენა დრო დასჭირდა, უხმოდ, ორიოდვეჯერ გაბრძოლებული ქალიშვილის ხელში ატაცებისა და ამ „ნადავლიანად“ შტრეკში თავის შეფარებისათვის.

სერდიუკმა თვალებს არ დაუჯერა,

(გაგრძელება იქნება)

როცა მის წინ ამფეთქებელი გაჩნდა. გოგონას არათუ გონს მოსვლა, სულსმითქმაც აღარ აცალეს, თვებზე დახრწილი ამფეთქებელი საქმის დაწყებას აყოვნებდა. ის ერთბაშად გამოათხიზლა სერდიუკის სანგრევში თამარელას უეცარმა გამოჩენამ და შეძახილმა:

— ვის ატყუებ თუ იცი?!

ამფეთქებელმა გოგონამ ბარდლას ისე გადახედა, თამარელასათვის ყველაფერი გასაგები იყო. გულმოსულმა იქ მყოფთ სწრაფად შეაქცია ზურგი და ისე დაემშვა სანგრევის იატაკზე, ეტყობოდა, აქაურობა ახლა აღარც ეუცხოვებოდა, აღრე რომ ფრთხილად სიარულის დროსაც ფეხი წამდაუწუმ უხსლტებოდა, აღარც ეშინოდა.

ბარდლამ დაცინებით, გამსჭვალავი ხმადაბალი სიცილით გააყოლა თვალი თამარელას; მერე ამფეთქებელ გოგონას მიუბრუნდა და ბეჯითად შენიშნა, — შენ არაფრის შეგეშინდეს, გესმის? მე ვიცი და მაგან!

თამარელას უეცარი გამოჩენის შემდეგ ბარდლას აღარ შეეძლო რამე დემალა სერდიუკისათვის. მან უხერხულად გაიქნია თავი. სინანულით შენიშნა:

— რას იტყვის გერასიმე, ამ ამბავს რომ შეიტყობს? თუ კაცი ხარ, ბიძინა, ეს პირველი და უკანასკნელი იყოს!

— მაგ „პირველზე“ თანახმა ვარ, „უკანასკნელს“ კი ვერ შეგპირდები? — ბარდლამ ეს ისე თქვა, სერდიუკსაც კი გაეცინა. შენ დროზე ნახშირი მონგრევი, — განაგრძო ბარდლამ, — გერასიმემ კი რაც უნდა თქვას! თუ გეგმას შევასრულებთ, მაინც ჩვენ გამოვალთ გამარჯვებულის!

— არც ეგერ ივარგებს, ბიძინა, მართო ჩვენი გეგმის შესრულება საქმეს ვერ უშველის. ოთხი ბორბლიდან ერთმა კარგად რომ იმუშაოს, დანარჩენმა არა, მანქანა წავა?

— წავა! — ბარდლამ ეს ისე შენიშნა, ყველას გაეცინა. გუნებაში კი გაიფიქრა: მოდი და ეცი პატივი ასეთ უმადურსო!

ანა კალანდიაძე

★

ბროწეულები

მზაკვარი სხივი როგორ ქირჭილებს
ბროწეულებზე:
იმას ჰგონია, აქ განზრახ შეხედნენ
ჩვენი გულები...

ჩქარა წავიდეთ, თორემ სიჩუმით
დაქანცულები
პირს რომ გახსნიან, ალბათ, გაგვემენ
ბროწეულები.

მაისში

ია სავსეა ხატისხევაზე.
უამრავია...
ანკარა ფშაზე ლივლივებს ჭყანტა —
მთვარის ყვავილი,

ნელა ირწევა წყლის ქარისაგან
ყოველ რხევაზე...
ია სავსეა ფშავეის ტყეებში,
ხატისხევაზე.

ცის ლურჯი სული

მიახლოვდება ცის ლურჯი სული,
მიახლოვდება იის კონებით:
— შენი აზრები, შენი ფიქრები
მე მმორჩილებენ კვლავ, მე მმონებენ...
და იეზიდან იის ფერები
იის ფერებს მკრთალ ნისლში მხვევენ...

და... იკარგება ჩემს ფეხქვეშ მიწა,
მე ვგრძნობ ჩემს ხელზე მის ძლიერ
ხელებს...
და ჩვენ მოვფრინავთ მაღლა, სულ
მაღლა,
შვისკენ მივყვებით ამ მაღალ ხეებს.

თავბრუდამხვევი ჩამოდის ფლორა

ეს გაზაფხულის გზა არის თეთრი,
შორს რომ იწყება, ვარსკვლავთა
შორის,
და ყვავილების ლამაზი ეტლით
დღდამიწაზე ჩამოდის ფლორა...
იფარებიან ლურჯი ბუჩქები

რაღაცნაირი ყვავილის ფერფლით
და გაზაფხულის მზე დიდებულ
ვარდებისათვის აღვიძებს ზეფორთ:
მათაც იქ სძინავთ, ვარსკვლავთა
შორის...
თავბრუდამხვევი ჩამოდის ფლორა...

უფროსი ჩემს სახელს და მაინც
მთვარის
ბილიკს მოჰყვები...
ეს ვარსკვლავები მოგვიწოდებენ
ჩუმი ქოხებით
და ყვავილებით, მთვარით სავსეა

ყოველი წამი...
ნუ გეშინია, მე სხივი ვარ,
მე ისევ წავალ,
როგორც ეს ორი ჯადოქარი —
მთვარე და ღამე...



მანაწერი ტიციან ვეჩელიოს სურათზე
„მონანიე მარიამ მაგდალინელი“.

სხვიო ნათელო, დეჟ ჩემსა ეტლსა
და სულსა ჩემსა წუხილი შეხსენ...
იდუმალეების გზა დიდებული
მომეცი ისევ, გამისსენ შენსკენ...
ო, სული ჩემი შენ გეძებს ყველგან,
შენ გეძებს ყველგან მუდამ, ნიადაგ...
შეატორტმანებს ცარიელ ნავეებს
ნიადაკრული ტიბერიადა.
სიქემის ზღაპრულ თოვლიან მთებზე,
თუ იორდანეს დიდებულ ნაპირთ,
თუ ეზდრელონის ლურჯ ხეობაში,

სუყველგან შენი ხმა მესმის, რაბი
მე გაგეჟეცი შენ, გაგეჟეცი
მე გაგეჟეცი შენს თვალებს უფრო...
გული დაეუხშე შენს დიდ სიხარულს,
რომელიც მხოლოდ მიწაზე სუფევს...
ნუ დამსჯი, ო, ნუ ეკვის აჩრდილი
ჩემს გულში ისევ სავანეს ჰპოვებს:
ვით ამა ნაძვთა ღიბანისათა,
ჩემს სულსაც თვისი სიმშვიდე მოეც...
სხვიო ნათელო, დეჟ ჩემსა ეტლსა...

ცაშიც ცეცხლია, ვულკანებია
და შეტყორცნილი ჰეიზერები...
დედამიწაზეც, დედამიწაზეც
არეულია ყველა ფერები...
ფიქვის ხეებმა, ფიქვის ხეებმა
თვალთ აიფარეს მწვანე ხელები:
როგორ წითლდება, როგორ წითლდება

შიშველი ტანი ფიქვების ხისა...
თვალთ აიფარეს მწვანე ხელები:
თვისი რჩეულის რცხვენიათ, მზისა,
რომ დაუღვრია ცაზე, მიწაზე,
მეწამული და ძოწის ფერები...
ცაშიც ცეცხლია, ვულკანებია
და შეტყორცნილი ჰეიზერები.

გული მესხნება შენთან, შროშანავ,
და შენთან ერთად დამეხურება...
ო, ახლოსა ვართ ჩვენ ერთმანეთთან
და მაინც წუხან ჩვენი სულები.

საესე ვართ მთვართ, მზითა ვართ
საესე,
გალაღებულნი მიწით და ზეცით.
აღუვსებიც ვართ, ალბათ, იმიტომ,
რომ დღენიადაგ ერთმანეთს ვეძებთ?

შინაგანი ხმა მე კვლავ მაფრთხილებს,
ისევ მაფრთხილებს ნათელმოსილი:
— კვლავ ჩურჩულებენ... ის არის...
მასთან! —
— არა, მთვარე და კვიპაროსია! —
— ორნი მიდიან კვლავ ღამის გზაზე,

ორნი არიან მიდიან ერთად! —
— მხოლოდ ნაძვია, ორი ნაძვია,
გზად დაცემული ლანდია ხეთა... —
შინაგანი ხმა მე ისევ მგეშავს:
— შენ იცი... მხოლოდ... არ ძინავს
ეშმაკს... —



საქართველოს
წიგლიერთა კავშირი

ვიცნობ ამ ქარებს

მათ სევდა მოაქვთ მწვანე რტოებით
და გაურბიან განმარტოებას,
ისინი სულში ქვიშას ტოვებენ
და ხშირად მძიმე ლოდებსაც ყრიან...
ისინი ცხელი მიწიდან ქრიან
და არ ეძებენ მეგობრის კარებს,
არც თანაგრძნობას თავშესაბრალებს...
ვიცნობ ამ ქარებს!
მათ სხივი მოაქვთ მწვანე რტოებით

და... ეძიებენ განმარტოებას...
ისინი სულში ვარდებს ტოვებენ
და სიხარულის შადრევნებს ღვრიან...
ისინი ვარდის მიწიდან ქრიან,
წალკოტებიდან, ტყიდან,
ხნულებით...
და რაღაც ბრწყინავს დაუსრულებლად,
დაუსრულებლად შიგნით და გარეთ!...
ვიცნობ ამ ქარებს!

უნდა გამათბონ შენმა სხივებმა

მე მივატოვებ აიღის ქვეყნებს
მზეზე ამოვალ ვარდით, ივით...
მე მივატოვებ აიღის ქვეყნებს,
თუ გამათბობენ შენი სხივები.
ზომ ასე მოღის ცისქვეშ ცისთვალი,

რომ არ უკრთება ელვას და ქუხილს?
უნდა გამათბონ შენმა სხივებმა,
უნდა გამათბონ, რაისთვის წუხარ?
და... მე დავტოვებ აიღის ქვეყნებს...

რაღაც მეწყინა შენგან, შროშანავ...

რაღაც მეწყინა შენგან, შროშანავ,
უსიამოვნოდ რაღაცამ გამკრა...
და ყველაფერი გაქრა ჩემს ირგვლივ,
ო, ყველაფერი უეცრად გაქრა...
ალბათ, გგონია, მშვენიერებას

მე გულს გავუხსნი ყოველთვის მაინც?..
მალე დავგეტოვებ მზის ფერიებმა,
შენ ეშმაკებმა წავიღეს აიღს...
...
...
...
რაღაც მეწყინა შენგან, შროშანავ...



მსაზრი მთებისა

ნაბერალთა კლდეებიდან შავი ძერა ამოფრინდა, ქარივით გაძვრა ვიწრო-ებში და ფრთების ფარფატივით, თითქოს მიწას ემშვიდობებოდა, სულ მალა და მალა წავიდა. დათოვლილ მთის ფერდობებზე ფრინველის მკრთალი ჩრდილი ასრიალდა და ძერას წინ გაექცა. დინჯად მიიწვედა მალა მტაცებელი, მიწას განართხმული ჩრდილი კი ბავშვივით ანცობდა; უღრმეს ნაპრალებში ჩარბენასა და ამორბენას, გორაკებზე ასვლასა და ჩამოსვლას ასწრებდა. ძერა ყინულოვან ნაპრალოთა თავზე შეჩერდა, ტრიალი დიიწყო ერთ ადგილზე, შეჩერდა ჩრდილიც. და უეცრად ორივე ერთად, ჰაერიდან და მიწიდან თავს დააცხრა რაღაც ქვის ნატეხის მსგავსს, მაგრამ სურნელოვანსა და მადის აღმძვრელს.

შორს, ორასიოდე მეტრით მალა, გერგეთის მყინვარის უზარმაზარ ველზე, იდგა შავსათვლიანი ადამიანი და ქვევით იყურებოდა. იგი გარინდებულ შესტქეროდა დღის დაბადებას; მზე მის ფეხით ამოდიოდა და ცას, ახალგაღვიძებული ბავშვივით, ჯერ კიდევ თვალი ვერ გაესწორებინა სინათლისათვის, იზმორებოდა, ფზიზღებოდა სამყარო.

ადამიანი კი უკვე დაღლილი იყო, მძიმედ სუნთქავდა, მწყურვალესავით ხერგდა ჰაერს. უეცრად იგი შეიჩხა, აფრენილ ძერას მოჰკრა თვალი.

„ჩემი, დაგდებული ნამცხვარი შექამა ალბათ“ ჩაიბუტბუტა მან.

ძერა ტყვიასავით გამოქანდა თეთრ სივრცეზე დაჩნულ, გამაღიზიანებელ შავი წერტილისაკენ. მხარზე გადაგდებული, თავქვე ლულადამხობილი მოკლე თოფი სწრაფად ამოატრიალა ადამიანმა, ხელთათმანით დასქელეუ-

ლი თითი ჩახმასს ამოსდო. მაგრამ როგორც კი შავი წერტილი გაინძრა, მკვეთრად შეტრიალდა ძერა და ქვესავით ჩაიკარგა ნისლის უფსკრულში.

ადამიანი ისევ მარტო დარჩა, სულ მარტო ამ პირველყოფილ მთებთან. დედიშობილა, ტიტველ ღრუბლებთან და ქალაქის უნახავ ცასთან.

ადამიანმა ზურგი შეაქცია დაბლობს და მთის მწვერვალისაკენ შეტრუნდა. აქეთ ყველაფერი თეთრი იყო. შერძეებულ ცაში შეთქვეფილიყო ყაზბეგის მთა, წინ მყინვარის ვეება ენა ეგდო, თითქოს ცას გამოეყო თეთრ ტუჩებიდან.

ადამიანი თოვლში ჩაფლულ წერაყინს დასწვდა, ამოიღო. ტარზე ამოჭრილ ასოებში თოვლი ჩამჯდარიყო და სახელიც თეთრად იკითხებოდა: „ასლანი“. წერაყინის თასმა ხელზე წამოიცივა, მოძრავი საკეტით მაჯაზე მოიმჭიდროვა და დიდხნის დგომისაგან თოვლში ღრმად ჩასვეტილი ფეხები ძლივს ამოაძრო.

ასლანი გლასეოლოგია, ანუ მყინვართმცოდნე. იგი აკვირდება გერგეთის მყინვარის მოძრაობას, ზომავს თოვლის ფენის სისქეს. ეს თოვლი კეებავს მყინვარს, მყინვარი კეებავს მდინარეს, მდინარე — ელსადგურს. ელსადგურები ამოძრავებენ ქარხნის ვეება დაზგებს, ყურძნის საწურავ მანქანებს.

ასლანი აღგენს დაწვრილებით ცხრილებს და თბილისში აგზავნის. პირველ წელს მეტეო-სადგურის თანამშრომლები დაჰყვებოდნენ ფეხდაფეხ; ასლანი არ იცნობდა მთას, არ იცოდა გზები. უპირდა სიარულიც და სუნთქვაც.

დღეს კი გაჯიუტდა, მეყოფა კუდში დევნაო. ცივ უარზე იდგა სადგურის

უფროსი, მაგრამ მერე ანგარიში გაუწია ახალგაზრდა კაცის თავმოყვარეობას.

და ასლანი წამოვიდა მარტო, სულ მარტო.

ასე შორს ადამიანებისაგან იგი ჯერ არასოდეს ყოფილა.

უცნაურად შეეპყრო ამ ამბავს, წინასწარ ხიბლავდა მარტოობის განცდა.

წამოიღო ნამსხვარი, კონფეტები, შუშით — კომპოტის წვენი, „თოფი რალად გინდაო“, ჰკითხა მეტეო-სადგურის უფროსმა. „ერთ დროს ვნადირობდი, წავიდებ ყოველ შემთხვევისთვის“, ეს პასუხი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული ასლანს.

მართლაც რად უნდოდა თოფი? ნადირობა გულშიაც არ გაუელია, ვხად მხეცი არ შეეფეთებოდა და... ნაპრალებს ხომ არ ესროდა?

ასლანმა ჩაახველა, შეაკრთო საკუთარმა ხმამ. „სულ უნდა გაირინდო, გამეშდე, თუ გინდა იგრძნო ეს სიმარტოვე, — გაიფიქრა მან, — როგორც კი ამოძრავდები უკვე თითქოს სხვა გიღვას გვერდით“.

ასლანმა სათვალის ქვეშ თითი ამოსდო, ზევიდან მეორე თითი გადაუსვა და გასწმინდა დაორთქლილი შუშები. თითს სინათლეს შეჰყვავდა და ბრწყინავდა თოვლმა თვალები ატყინა. „აქ უსათვალოდ დაბრმავდება კაცი“, გაიფიქრა მან. ასლანმა შესველებული ნესტოები თითებს შორის მოიქცია, გვერდზე გადაიხარა და ერთი ამბით მოიწმინდა ცხვირი.

გაეღიმა.

მას გაახსენდა სტუდენტობისდროინდელი ერთი შემთხვევა. ამხანაგ გოგონას მიჰყვებოდა რუსთაველის პროსპექტზე, მუგუზალივით ბრიალათვალებიან გოგონს, რომელსაც ვარდის ფურცელივით გაღმოკეცილი ტუჩები ჰქონდა, ასე ახსოვს ასლანს. პოდა, ასლანმა ისევე, როგორც ახლა, ერთი ხმაურითა და ქშენა-სრუტუნით მოიხოცა ცხვირი. გოგონას წითელი ტუჩები ლოყების სიწითლემ გააფერმკრთალა, ისე შერცხვა, ისე დააფრთხო ამ უზრდელობამ იგი.

ვერაფერი უთხრა ასლანს, მაგრამ ნაბიჯს აუჩქარა, თითქოს გაქცევას (იყო, თითქოს ჰაერს აეტივტივებინა) და მოიქროლებდა, მაგრამ სწორედ ის ზრდილობა აკავებდა, რომელიც ასლანს არ გააჩნდა.

მასინ პირველ კურსზე იყო ასლანი, მას შემდეგ ბევრი რამ ისწავლა, ზრდილობისა და ადამიანებთან ურთიერთობის მკაცრ ჩარჩოებში ჩაიკეტა. მას მუდამ ზღუდავდა ეს ჩარჩოები, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, აიძულა საკუთარი თავი, რომ ქალსა და უფროსს პატავისცემით მოპყრობოდა. უცხოებსა თუ ნაცნობ ბავშვებს მოჰფერებოდა, მხოლოდ გულში შეეგინა და ხმამალა კი შეექო, ვინც თვალში არ მოსდიოდა.

აქ კი, ამ მყუდროებაში, სოფლიდან მოშორებული, სადაც ადამიანის ჰაჰანება არ არის, სადაც არავისთან შეხვედრას არ ელი, ვერაფერს შეგეფეთება შემთხვევით, ვერაფერს დაგიწყებს თვალთვალს, და ვერც ვერაფერს წაოგეწევა, სადაც მარტო ხარ შენ, მხოლოდ შენ ხარ და მეტი არავინ... აქ, რაც გინდა ჰქენი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი, რაც გაგებხარდება, რაც სულსა და გულს მოესურვება. არავინ მოკეტებს შენიშვნას, არავინ გაწითლდება შენს მაგივრად, და არც შენ გაწითლდები...

ნაბიჯს აუჩქარა, იგი ფირნის გელს უახლოვდებოდა. მისი ვარაუდით უკვე უნდა დაენახა თოვლშოში ლარტყა, რომელიც შარშან, სადგურის თანამშრომლებთან ერთად, აქ ამოიტანა, დაასო და ზედ თოვლის სიმაღლე მონიშნა.

სულ მალე მართლაც მოჰყრა თვალი ლარტყას და მძიმე, მოზომილი ნაბიჯებით გასწია მისკენ. გაახსენდა, რომ ალპინისტები ძალ-ღონეს იზოგავენ, ერთბაშად არ ასკდებიან აღმართებს, მაგრამ როგორ ახერხებენ ამას, ეს არ იცოდა.

ლარტყას ოღნავ აქანავებდა ქარი. იგი გაავაკებულ ფერდობზე იდგა თოვლში ღრმად ჩასობილი. წვერზე დროშასავით მიემგარებინათ თუნუქის ფირფიტა, რომელიც თავისუფლად ტრიალებდა ქარის ნება-სურვილზე. ფირფიტაზე

ეწერა: „1957. 15. VI.“ ოთხი თვის წინანდელი თარიღი, და სიმაღლე ზღვის დონიდან „4155 მ.“ ასლანი რეაასი მეტრით ამოსცილებოდა მეტრო-სადგურს.

ლარტყის ძირში ჩაიჩოქა და ის ნიშნული ამოიკითხა, სადამდეც თოვლის ზედაპირს მოელწია. რიცხვი უბის წიგნაკში ჩაიწერა, თარიღი დასვა და იქვე, თოვლზე წამოწვა.

ეს იყო და ეს. აი, ამისთვის ამოვიდა აქ, ამ სიმაღლეზე. კმაყოფილების უჩინარმა ძალამ სიხალისე მოკვავარა, ყოვლისშემძლე მოეჩვენა იმ წუთში თავი. პირადმა დაწოლილმა, ფეხები თავისუფლად გაშალა, მკლავები თვალზე გადაიფარა და ფიქრებს მიეცა. ფიქრობდა ღიღხანს, თავის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ამხანაგებზე და ნათესაებზე. ელანდებოდა უზრუნველი, მსუყვე ცხოვრება, თბილი ლოგინი და ნაცნობი ქალები.

როდესაც პირველი ფიფქი ნიკაპზე დაეცა, ასლანს ყურადღება არ მიუქცევია, ტბილი ფიქრებით თვალდაბინდულმა მხოლოდ თითი მოისვა სახეზე, თითქოს მწერი მოიშორაო. მერე ლოყაზე დააჯდა ფიფქი, მერე კისერში ჩაუძვრა, ერთ წუთში სულ გადაუთვთრა წყალგაუვალი ყვითელი მოსასხამი. მაგრამ ასლანმა ესეც ვერ იგრძნო, თვალდახუჭული კვლავ განაგრძობდა ოცნებას. ბოლოს, როცა ხელები მოიშორა თვალთაგან, გაოცებისგან კინაღამ წამოიყვირა; ცაში ტევა არ იყო თოვლისა. ქარი ჰაერშივე აერთებდა ფიფქებს.

თეთრი წყვილიდი დაუფლებოდა მიდამოს.

თუნუქის ფირფიტაც აღარ ჩანდა ლარტყის წვერზე.

ერთადერთი, რისი დანახვაც შეიძლებოდა, ეს თვითონ ასლანი იყო.

და ასლანს თავზარი დაეცა, ფეხზე წამოვარდა, ძლივს იპოვნა წერაყინი შიშნაკაშმა, დაბნეულმა და თავის კვალს დაუწყო ძებნა. მიავნო და სულმოუთქმელად დაედევნა.

ეს კვალი იყო ახლა ერთადერთი იმე-

დი, ერთადერთი ძაფი, რომელიც საშვილობოზე გაიყვანდა ასლანს. მძუნძუნებდა თავდაღმართშიც. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო მკრთალდებოდა მისი დილანდელი კვალი, მოხაზულობას ჰკარგავდა ფეხსაცმელების ანაბეჭდი და პატარ-პატარა შეუძინველ ორმოებს ემსგავსებოდა.

„ფრთხილად იყავი, — ეუბნებოდა წუხელ სადგურის უფროსი, — ზოაში ამინდი ისე მოულოდნელად იცვლება, რომ გონზე მოსვლას არ დაგაცდის. ნადირივით მგრძნობიარეა მთა; თუ ვაეკატურად ივლი, შენდამი პარტივისციმით გაიმსქვალე, მაგრამ სილაჩრე თუ გამოიჩინე, არ დაგზოვავს“.

მაინც რა ელვისუსწრაფესად შეიცვალა ამინდი, რა უეცრად გარდაიქმნა მიდამო, თითქოს ასლანმა თვალი გაახილა და აღმოაჩინა, რომ სულ სხვა სამყაროში გადაკარგულიყო.

აი, ასეთი გახლავთ მთა. იგი თავმომწონე კდემამოსილი ქალივითაა, თუ არ იცნობ, ნუ ითაბედე და ნუ გაესაუბრები, თორემ მწარედ გიპასუხებს, მოჩვენებით ღიმილს მრისხანებელ დაგატეხავს თავზე. ასე მოექცა ასლანსაც ერთადერთი გზა ჰქონდა უკან დასაბრუნებელი და აი, ისიც საცაა გაქრება, დაიკარგება... აი, მგონი, დაკარგა კიდევაც, ველარ ხედავს.

ველარ ხედავს?

ჰო, ველარ ხედავს... ფეხქვეშ გამოეცალა.

იდგა ასლანი უგზოდ დარჩენილი, გაოგნებული და შიშისაგან სახედამახინჯებული. ამ შესქელებულ ბურუსში არც მთა ჩანდა სადმე, არც ცის ნაჭერი. უკან მოტოვებული, ახალგამოვლილი კვალიც ამოჭუფრა თოვლმა და ასლანი ჰკავდა ციდან ჩამოვარდნილს, ანუ მიწიდან ამოსულს. მას ერთი წუთით გაახსენდა ნაცნობი მოხვეე, რომელიც ყოველ კვირას მეგზურად დაჰყვებოდა მყინვარწვირზე ექსპედიციებს, რომელიც თვალახვეული დაივლიდა გერგეთისა თუ ჩენის, დედოფორაკისა თუ აბანოს მყინვარებს. „ესეც შენი მარტობა“, მწარედ

გაიფიქრა ასლანმა. იგი ჯერ კიდევ აზრზე არ იყო, თუ რას ნიშნავს მთაზე უამინდობა, ისიც ნაპრალების სიახლოვეს.

შესვენებით განახლებული ძალა ერთბაშად გამოეცალა, უცბად დაიღალა. ვეღარ ერეოდა თოვლით დამძიმებულ ფეხსაცმელებს, ვეღარ ინარჩუნებდა წონასწორობას და უნებურად იქით გაქცეოდა წერაყინი თოვლში ჩასაბჯენად, საითაც ტანი გადასძლეოდა. ჯერ ეგონა, სხეული მატყუებს, სულ მალე ისევ შევეჩვევი სიარულსო, მაგრამ, როცა თავბრუ დაეხვა და თვალები დაუბინდდა, მაშინ კი შეკრთა, შეტბუნდა, რაღაც საშინელმა აზრმა გაჰკრა. თვალმობუქულმა და ათრთოლებულმა, ჯიბეში შუშა მოძებნა, პირზე მოიყუდა და ლოთი კაცის მთელი აზარტითა და სიხარბით უკანასკნელ წვეთამდე გამოწრუბა კომპოტის წვენი. შუშა იქვე დააგდო, ახლა კამფეტი ამოიღო და წუწნა დაუწყო, ძუნწივით პირში ივროვებდა ტკბილ ნერწყვსა და მერე ერთბაშად ყლაპავდა, როგორც სიცოცხლის ნექტარს. თანდათან, უჩინარ უჩინულოვით კლანჭებს ღრმად ასობდა ცოცხალ არსებად ქცეული შიში, მუნჯი, თვალთვითა, უღმობელი და უგულუო.

ასლანს ბრმად უბიძგა გადარჩენის ძლიერმა სურვილმა, ასე თავრეტდასხმულს აიძულა გზა განეგრძო. თვითონ მოისაზრა, თუ ფეხებმა უღალატეს, ამას ვერ მიხვდა, მაგრამ ჩაიკეცა, მერე ოთხზე გაფოფხდა და ახლომხედველივით დაუწყო ძებნა თავის დილანდელ ნაკვალევს.

ამაოდ.

უეცრად თოვლი დაჯდა. მიწის სიღრმიდან მოისმა ყრუ გუგუნე, ასლანს ჰაერის ტალღამ გაუქროლა სახესთან, ჰაერი ცივი იყო, თითქოს ყინულის საცერში გავლილი. „ნაპრალებს ვეღვევარ!“ ტვინი ატყინა ამის გააზრებამ. რაღაც ბუნდოვანი, არარსებული სიტყვა წამოიყვინძა გიჟივით და ოთხზე დავარდნილმა მხეცივით ისკუბა.

თოვა ისევე მოულოდნელად შეწყდა,

როგორც დაიწყო. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია ბურუსმა და ახლა იქვე დგას იმ შესქელება. ასლანი გონს მთავრდება. თვალი თოვლზე გაშლართულიყო, ნაღრმობი ხელ-ფეხი საშინლად ტეხდა, ტვინში რეკავდა უცნაური ხარი. „ალბათ ვიყინები, რაც დავეცი, აღარ გავნძრეულვარ“, გაიფიქრა მან და ქვადარტყმულ ხვლიკივით შეინძრა, ბორცვის თავზე ახოხდა, უკან მოიხედა და მხოლოდ ასლა შეამჩნია ნაპრალი.

გვერდშეზნეწილი, გალურჯებულ ყინულის კედელი თვალზე ლიბრგადაკრულ ურჩხულივით ამოკუთრებდა ადამიანს. ფსკერზე კამკამა ყინულ-წყალს იღვა. იგი ობობასავით ელოდებოდა მსხვერპლს. იცოდა ასლანმა ამ წყლის ხასიათი; თავისთავად არ იყინება, მაგრამ თუ უცხო სხეული ჩავარდა, ქვა იქნება ეს, თუ მიწის პატარა ნამცეცი, ჩიტი თუ ადამიანი, იმ წუთშივე ეძგერება, ფენა-ფენად შემოახვევს ყინულს, მოგუდავს და გააშეშებს.

თოვლზე გულადმა გაწოლილმა, შიშისაგან. თავზარდაცემულმა ასლანმა უკან დაიხია, გულის ჯიბიდან ფანქარი გადმოცურდა და ნაპრალებში გადასრიალდა, ასლანმა უნებურად ჩახედა ფსკერს და მოეჩვენა, რომ ჩაძირულმა ფანქარმა წყლის ზედაპირზე ამოტეტივება და გაწოლა ვეღარ მოასწრო, წვერი ამოკყო თუ არა, იქვე გაიყინა და გაშეშდა.

თავს ძალა დაატანა და წამოიზიდა, ბურუსი ოდნავ გაფანტულიყო და ახლა უფრო ნათლად მოჩანდა ასლანის უიმედო მდგომარეობა; ირგვლივ ნაპრალებით იყო გარშემორტყმული და დატყვევებული. აქედან გასვლა ისევე შეუძლებელი იყო, და ცდაც ისევე უგუნური, როგორც თვითმფრინავიდან გადმობტომა. მართალია, ამ ნაპრალებს შორის რაღაც გზა შემოდიოდა, რომელსაც ბედად და შემთხვევით გამოჰყავდა ასლანი, მაგრამ ახლა მისი ძებნა წარმოუდგენელი იყო, ერთი მცდარი ნაბიჯი და ნაპრალებში გაუჩინარდებდა.

ოთხი, ხუთი საათის შემდეგ ბინდი ჩამოწვება, უკვე ნამდვილი, შავი ბინდი.

მერე დადამდება, ვერც ასლანს მიაგნებენ და ვერც ასლანი გაიგნებს გზას. ღამით აქ დარჩენა კი... არც კარავი ჰქონდა, არც საძილე ტომარა, აღარც ძალა შერჩენოდა, აღარც ნებისყოფა... ღამით აქ დარჩენა სიკვდილს ნიშნავდა.

რამდენჯერმე დაეუფლა და ისევ გაეცალა სიკვდილის შიში. და როცა ნერვები დაუჩლუნგდა, როცა გული შეეჩვია ამ აუცილებლობას, უცერად ამუშავდა გონება, ვითომ ვიღაც გარეშე მოკეთე ყოფილიყოს.

ჯიბეში კაპრონის თოყი ჰქონდა, მაგარი და სანდო. ყველაზე ვიწრო ადგილს ამოარჩევს ყველაზე პატარა ნაპრაღისას, წერაყინს ყინულში ჩაასობს, თოყის ერთ ბოლოს წელზე გამოიბამს, მეორეს წერაყინზე მოახვევს და ნაპრაღს გადაატება, ხელებით მაინც ჩამოეკიდება იქითა ნაპირს. თავს თუ ვერ შეიმაგრებს, უფსკრულში ჩაეყიდება, თოყს ამოკვეება და ხელახლა სცდის ბედს. მაგრამ როცა ყველაფერი მზად იყო, ასლანმა იგრძნო, რომ სიკვდილის შიშიც ვერ გააბედვინებდა ამ თავგანწირულ ნახტომს. იგი არ იყო მთასვლედი, იგი არასოდეს ყოფილა მთასვლედი, იგი გამოუცდელი და მშობარა იყო. დაღლილი ძაღლივით ქელვა დაიწყო. ყვირილი უნდოდა, მაგრამ ამისაც ეშინოდა, ყბაჩამოგარდნილი, პირზე დუქმორეული, ხელების ნერვიული, სწრაფი განანაცვლებით ისინჯავდა საკუთარ სხეულს. მას ძალზე უყვარდა თავისი თავი.

„რა უბრალოდ ვიღუპები... ვიღუპები? მე? რატომ უნდა დავიღუპო, რატომ... რატომ... რატომ!“ ახლა სახეზე აიფარა ხელები და ატირდა, თავისი თავი შეეცოდა, შეებრაღა, უნდოდა მოფერებოდა სავსე მკლავებს, სისხლით დაბერილ ძარღვებს, მოკლესა და უშნო, ნაცნობ თითებს, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც ასე უშნო იქნებოდა, მაგრამ ასლანი ვეღარ დაინახავდა.

ცაზე რაღაც ლანდი გამოჩნდა. ეს ძერა იყო ასლანი მიწას დააშტერდა.

აი იქ, ნაპრაღის პირას ეგდება მოკრუნჩხული, სამუდამოდ გაშვებული, ძერა დიდხანს ვერ გაბუდავს ჩამოფრენას, თანდათან მოუახლოვდება გვამს, ჯერ შორიახლოს დაეგდება, მერე ნაპრაღს გადმოაფრინდება და ასლანის თავთან, თვალების სიახლოვეს, ლულას დაასკუბდება, მერე... მართლა თოფი, სულ დაავიწყდა, რომ თოფი ჰქონდა.

ანგარიშმიუცემლად, გულუბრყვილო ბავშვივით ხელახლა დაიწყო ფიქრი, შეიძლებოდა თუ არა თოფის გამოყენება მის გადასარჩენად. არა, თოფს ვერაფერში მოიხმარდა.

სასოწარკვეთილი იარაღს მისწვდა, უნდოდა ძერასათვის დაემიზნა და ესროლა, მაგრამ ვერც ხელები ასწია მაღლა, ვერც ჩახმაზში შეჰყო თითი. კანკალებდა, მთელი სხეულით თრთოდა, იგი უკვე იყინებოდა. რადგან დიდხანს იჯდა უმოძრაოდ.

სასიამოვნო ერთნატივლამა დაუარა, ბანგი მოეკიდა. თვლემდა, თვლემდა და არც უნდოდა რაიმეთი ხელი შეეშალა ძილისათვის, რომელიც უკვე დაუღლებოდა კუნთებს, კიდურებს და მალე გონებასაც წაართმევდა. სადღაც, ღრმა ბურანში ესიზმრებოდა და ფიქრობდა, რომ დაეწერა წერილი, რომელსაც ხვალ თუ ზეგ ნახავდნენ მის გაყინულ გვამთან ერთად. ასე ჰქონდა გაგონილი, იცოდა, რომ მთამსვლელები ასე იქცეოდნენ დაღუპვის წინ... მაგრამ ეს ტყბილი თვლემდა, ეს დამატრობელი, მიმბნედავი თვლემდა, რა კარგი იყო, რა სასიამოვნო... იგი უკვე ხედავდა სიკვდილს, რომელიც კი არ მოდიოდა მისკენ, კი არ უახლოვდებოდა, პირიქით, მისი სხეულიდან, მის სულთან ერთად ამოდიოდა, თითქოს იბადებოდა, იბერებოდა და შორდებოდა ასლანს.

უცერად ისეთი ხმაური ატყდა, თითქოს ქვეყანა ინგრევია. მთიდან მომწყვდარმა ქვებმა ფუყედ დაღებულნი თოვლიც თან წამოიყოლა. ერთბაშად გაყრუვდა იქაურობა და ერთბაშადვე დაუღმდა: დამფრთხალმა ასლანმა თვალი

გაახილა. იგი გაურკვეველმა ელდამ გამოათხოზლა და მაშინვე შიშმა აიტანა, შიშმა იმისამ, რომ იძინებდა, კვდებოდა. ეს ხმაურა, ეს ბორბტი, ქვესაროლია მთა, რომელსაც ვინ იცის, რამდენი ალპინისტი, დაუფრთხია, ახლა მხსნელად მოველინა. ახალი ძალით იფეთქა სიცოცხლის დიდმა სურვილმა. უნდა გაძლოს ასლანმა, მთელი ღამე უნდა გაძლოს ასე ნაპრალებით გარშემორტყმულმა, მხოლოდ არ უნდა ჩაიძინოს, არ უნდა ჩაიძინოს მხოლოდ და გადარჩება. მაგრამ მოახერხებს კი ამას?

ასლანმა თოვლი აიღო და თვალეზზე მოისრისა, მერე ლოყებზე გადაისვა სველი ხელი, კიდევ დასწვდა თოვლს და უეცრად გაშეშდა, მოჯადოებულივით ჩააშტერდა თოვლს, რომელსაც აჩნდა, რომელსაც გარკვევით აჩნდა...

— ჯიხვის კვალი! — ჩაიჩურჩულა მოულოდნელობისაგან განცვიფრებულმა ასლანმა. — ჯიხვის კვალი? ღმერთო, ნუთუ...

ასლანი გაფორთხდა გაოგნებული, ერთი მიზნით შებყრობილი. იგი დაედევნა ხელიდან გამოცლილ სიცოცხლეს, სულთმოზრძავივით წაებოტინა ერთმანეთზე მიყოლებულ კვალს. ნადირის კლანჭებივით ასობდა თითებს თოვლში, წინ მიიწეოდა, მეტეზარივით ყნოსავდა ჯიხვის კვალს.

აღბათ ცხოველიც დააბრმავა ჩამოწოლილმა ბურუსმა და ჩვეული, კამარად-შეკრული ნახტომებით კი არ გადაეგლო ნაპრალებს, სიფრთხილე იხმარა, ნელი ნაბიჯებით გაჰყვა გზას. აღბათ კვალიც იმიტომ შერჩა, რომ თოვლი უმაღვე წეწყდა. როგორც კი ჯიხვმა გამოიარა, რომ ერბინა, მისი კვალი წაგრძელებული იქნებოდა, ხაზებივით დააჩნდებოდა თოვლს. და რაკი ცხოველი მშვიდად მიაბიჯებდა, რადგან ნაპრალებს თავზე არ გადაეგლო, მაშინ გზა უპოვნია, მაშინ იმ გზას გაჰყოლია, რომელიც სამშვიდობოზე გადის. არა, არ ყოფილა სასიკვდილოდ განწირული ასლანი. მთებმა შეიბრალა ეს გამოუცდელი ბაღლი და მშველელი მოუვლინა.

ასლანი ყურადღებას აღარ აქცევდა ნაპრალებს, აღარ ეშინოდა გადაჩხვებისა. იგი მთლიანად მინდობოდა ჯიხვის ნაკვალევს, ეს კვალი იყო ახლა მისთვის ყველაზე დიდი სიმაბრტე, ყველაზე დიდი სიბრძნე ამ ქვეყანაზე. იგი გულში ებაასებოდა ჯიხვს, აქებდა მის გამპრიახობას, გულადობას, ყნოსვას. ცოტა მლიქვნელადაც მოუქცია: ადამიანს, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო ჯიხვო, აბა, სად შეუძლია შენდენი, სად აქვს ამდენი მოსაზრებაო. მერე ბოდიშიც მოუხადა ჯიხვს, ისე ყოველ შემთხვევისთვის, რომ კეთილ ცხოველს რაიმე არ სწყენოდა და თავისი კვალი არ დაემალა ასლანისათვის.

კვალი ორ ნაპრალს შორის, ვიწრო უნაგირაზე აღიოდა. მართლაცდა, ამას როგორ მიაგნებდა ადამიანი.

ასლანმა შეისვენა გაახსენდა, რომ წერაყინი დაჩაჩა. იგრძნო, როგორ ამძიმებდა მხარზე ათრეული თოფი, მაგრამ ძალა არ ემეტებოდა მის მოსაზრებულად. იგი გადამწყვეტი შებრძოლებისათვის ემზადებოდა.

უნაგირაზე გადასვლა ალესილ დანაზე გასრიალებას ჰგავდა, მუცელზე მხოხავს სულ გადაეხია ტანისამოსი, იგრძნო, როგორ შეეხო შიშველი ხორცი ყინულს. თბილმა სისხლმა თოვლი ჩაღარა და უმაღ წითლად გაიყინა.

დასაუღეთით ცა გადაყვითლდა, შემდეგ ვარდისფერიც შეერია. გამოჩნდა მზის მკრთალი დისკო. მყინვარწვერის თავზე, დაფლეთილი დაქსაქსული ღრუბლები დაბარებულებივით მიიჩქაროდნენ აღმოსავლეთისაკენ ახლა უკვე კარგად ჩანდა ორწვერი, სპარტაკის მწვერვალი, მათ შორის, დაბლა, ჯაჭვებივით მიყრილ-მოყრილი მთიანეთი კავკასიონისა.

ასლანი ფოფხვას განაგრძობდა. იგი ისევ მიჰყვებოდა კვალს, თუმცა ეს უკვე აღარ იყო საჭირო, სამშვიდობოზე გამოსულიყო. გვიან, ძალიან გვიან დაიჯერა ეს. ასლანი თოვლზე წამოჯდა და გაიღიმა, თუმცა სახე ღიმილის ნიშანწყალსაც ვერ ამკლავებდა, ვერ

იმორჩილებდა ნაკეთებს სასიხარულო განწყობილება.

ცა ოდნავ მოიწმინდა, მთის მწვერვალებს ახლა მზის სხივებმა მიათოვა, თითქოს აქაც არაფერი ყოფილიყოს. გადარჩა ასლანი, ჯიხვმა გადაარჩინა. იგი ისევ ქვეყანას ეკუთვნოდა, ისევ ადამიანებში ერია. მას შეეძლო ხვალ სალამოს, ვთქვათ, თბილისშიც ყოფილიყო და სადმე, რესტორანში ჩაეხვია. ანდა, მეტეო-სადგურის უფროსისათვის შეეხსენებინა დაპირებული ლენინგრადული ავტოკალმის ჩექება, რომელსაც მელანი ერთ თვეს ჰყოფნის. მას გაახსენდა, რომ შარშანწინ, სოხუმის სასტუმროში, აღმინისტრატორს უნახა ასეთივე კალამი. „წელსაც უნდა წავიდე ზღვაზე. — გაიფიქრა ასლანმა, — რა სჯობს ზღვას, ნავეები და ქალები, ქალები და ღვინო“.

ასლანმა თითის წვერები თოვლზე წახება, დაინერწყვა, გახეული ხალათი გადასწია და ქრილობაზე გაისვია. აეწვა. ჯიბეები მოიქექა, მიკუყლეტილი, თამბაქოს ნამცეცებში ახელილი კონფეტი ამოიღო და პირი გაიტკბარუნა. იგი დიდხანს იჯდა ზედ ჯიხვის ნაკვალევზე, კვალი თითქოს მისი სხეულოდან გამოდიოდა. მარცხნივ უხვევდა და თავდაღმართში უჩინარდებოდა.

მაგრამ ასლანი აღარ ფიქრობდა ჯიხვზე. იგი ტყებოდა მთების დაისის სიმშვენიერით, მის ფეხთით გაწოლილი სამყაროს უსასრულობით და იმ გზით, რომელიც ორ-სამ საათში მიიყვანდა მეტეო-სადგურამდე. იქ დაახვედრებენ ცხელ ჩაის, კონიაკს, ახალგამომცხვარ თბილ პურს, გამოჰკითხავენ დაგვიანების მიზეზს, და ასლანიც უამბობს, ვითომ განგებ აყოვნებდა უკან გამობრუნებას, ვითომ თავის გამოცდა უნდოდა ბურუსში. მერე იტყვის, თუ როგორ მიიტყუა ნაპრალებმა. როგორ დატყვევდა. სიკვდილის რომ შეეშინდა? თქვას? არა, არ იტყვის, რა საჭიროა. ჯიხვი? ჯიხვის ნაკვალევი ახსენოს? შეიძლება ახსენოს, შეიძლება არც ახ-

სენოს, ვნახოთ, როგორ წაბეჭება საუბარი.

ასლანი წამოდგა, თოფი საბჯენით მოიმარჯვა და დაღმართს დაჰყვა ათრეული ნაბიჯებით. „მაინც რა უგულოები არიან, — ფიქრობდა იგი თავის ამხანაგებზე, — ხომ შეიძლებოდა, მართლა რაიმე მომსვლოდა, არ უნდა წამოსულიყვნენ საშველად?“ ასლანს უნებლიეთ გააჟრკოლა, მას გაახსენდა, თუ როგორ ელოდებოდა სიკვდილს ძალონედაცილი, გაყინული და ლეშით მიგდებული. გაახსენდა, როგორ ხავსივით ჩაეჭიდა. როგორ წაებოტინა შემთხვევით ნახულ ჯიხვის კვალს. და მან უეცრად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი; ჰმ, ჯიხვის გადასარჩენი რა სჭირდა, ნებისყოფა რომ არ ჰქონოდა, ახლა მკვდარი იქნებოდა.

მიამბიჯებდა თავქვე ასლანი და ფიქრს ფიქრი სცვლიდა. ახლა გონებით წარსულს გადასწვდა. თვალწინ დაუდგა ის ბრიალთვალება გოგონა, სტუდენტობის დროინდელი ამხანაგი, რომელიც აბასთუმანის ობსერვატორიაში მსახურობდა და ჯერ კიდევ გაუთხოვარი იყო. „აუცილებლად უნდა წავიდე წელს აბასთუმანში, აუცილებლად, — გაიფიქრა ასლანმა, — რა სჯობს იქაურ პაერს და მასთან შეხვედრას“.

ხრამში გველივით გადაშქვრალ ბილიკს ფრთხილად ჩაჰყვა ასლანი და უეცრად შეკრთა. ხრამის მოპირდაპირე, შემალლებულ ნაპირზე, რომელსაც უკანიდან სალი კლდე შემოჰლობოდა, იდგა ჯიხვი, რქებმოღერებული, საბრძოლველად შემართული, და ცნობისმოყვარე თვალებით უყურებდა ასლანს. ჯიხვი, ალბათ, ადამიანის დანახვისთანავე დაფრთხებოდა და გაიქცეოდა, მაგრამ გზები მოჭრილი ჰქონდა. ერთად ერთი გზა ხრამი იყო, აქ უნდა ჩამომხტარიყო და მერე გაქცეულიყო. და ცხოველი უცდიდა ადამიანის წასვლას, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ასეც მოხდებოდა. ჰოდა... ერთადერთი გზა ხრამი იყო... სხვა გზები მოჭრილი

პქონდა... ჯიხვი აქ უნდა ჩამომტარიყო... აქ, ასლანთან...

ცხოველი ქანდაკებასავით გაშეშებულიყო. იგი არც მამინ განძრეულა, როდესაც ადამიანმა ხმაპალა ჩაიცინა, მერე მოღლილ-მოქანცულივით ჩაიჩოქა და თავის „საბჯენს“ ორივე ხელი მოაეღო, თითქოს პირველად ხედავსო. შემდეგ ადამიანმა ისევ გამოიჩედა, წელსელა მალა ასწია თავისი „საბჯენი“, მხარზე მიიღო და „საბჯენი“ ერთბაშად წერტილად გადაიქცა. მიაშიტი, უმანკო თვალებით შეჭყურებდა ცხოველი ადამიანს... მეგრამ ეს რა საშინელებაა წერტილადქცეულ „საბჯენიდან“ ცეცხლი გამოვარდა... მხოლოდ ეს შენიშნა ჯიხვმა, მერე თვალთ დაუბნელდა, გულისგამხეთქი ხმაურით ამოეფსო ყურები, ოთხივე ფეხი პოეკეცა და გადმოიჩეხა.

ჯიხვი ასლანის წინ დავიარდა, ერთი ორჯერ გაიბრძოლა, მოკეცილი, მოღუნებული წინა ფეხები ცას მიაპყრო და ასე გაშეშდა სამუდამოდ მთების ლალი შვილი.

ასლანმა ჯიხვთან მიიბრინა, იგი ბავშვივით ალტაცებული იყო; რას ამბობ, ჯიხვის მოკვლა თვით მოხევეებსაც ეამაყებათ. აქ კი ასლანმა ქალაქელმა კაცმა, ერთი გასროლით მოკლა! როგორ გაახარებს ამხანაგებს, რა შწვადებს გეახლებიან ამ საღამოს! ჯიხვიდან კაპრონის თოკი ამოიღო და გაშალა. მხოლოდ გოლიათს თუ შეეძლო ამ ვეებერთელა ცხოველის ზურგზე წამოკიდება, ანდა ხრამის ნაპირზე ათრევა. „რამეს მოვისაზრებ“, გაიფიქრა სიხარულისგან გულაჩუყებულმა ასლანმა და თოკის წვერი გამოსცვნა. ესეც ასე. ახლა ნასკვს უკანა ფეხების ჩლიქებზე გადააქმევს ჯიხვს. მერე...

მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარმა ასლანს თმები აუწეწა. პირველი ფიფქი თოვლის ლულას დაეცა და გადნა.

ასლანმა ცივად გააგდო თოფი ხელიდან და შეშფოთებით აპხედა ცას... საიდანღაც გაჩენილი, ძერასავით ფრთებგაშლილი რუხი ღრუბელი მთე-

ბის მრისხანე ბატონივით მოქპროდა ასლანისაკენ და ელვისადასრფესად იზრდებოდა, თითქოს გზა და გზა ივრებდა თანამებრძოლებს.

აი, იგი გაიჭიმა ქვეყნის ერთი კიდედან მეორემდე, წათალა მათა მწვერვალები, ჩამოხვეტა მთელი ზეცა, თამამად, უბოდიშოდ, მიეჭრა ასლანს, პირსახეში შეასუნთქა სქელი, მღვრიე ნისლი, თავს გადაეეღო, ცბიერად დაუარა ზურგიდან და ყველა გზა საიმედოდ ჩაუკეტა და თითქოს თავისი მიზანი შეასრულაო, ხარბად ამოისუნთქა ღრუბელმა და ჯალათივით თვალების აბევეა დაუწყო ასლანს.

„დავიღუპე“, გაუელვა ასლანს და ამ სიტყვამ, ამ აზრმა დაიბრინა სხეულის ყოველი უჯრედი.

თავზარდაცემულმა ასლანმა სახეზე ხელები აიფარა, თითქოს შეეცადა თვალდახუჭულს მაინც წარმოედგინა, დაენახა რაიმე ხილული.

ალარაფერი მოჩანდა ირგვლივ; ალარც თოფი, ალარც ჯიხვი, ალარც გამოვლილი, ალარც გასაეღელი გზა. ალარც იმედი-გააჩნდა ასლანს, ალარც უნარი იმედის შემთხვევისა. თითქოს დილანდელა აედარა მკრთალი სიზმარი იყო მხოლოდ, ახლა კი ის სიზმარი ათვზის გადამეტებით უსრულდებოდა.

თითქოს გამქარალიყო ზეცა, თითქოს ასლანს სადღაც გააქცეოდა დედაშიწა, თითქოს დამყარებულებიყო პირველყოფილი ქაოსი სამყაროსი, და ამ არარაობაში უცნაურობად, საკვირველებად მოჩანდა ადამიანის არსებობა. და ბოღმამორეული, შურისძიების გესლით დაბერილ — დასიებული ველური ღრუბლები, თოვლი და ქარბუქი, უეცრად ჩამოწოლილი ბინდი და ყინვა, ბუნების ყველა უკეთური ძალა ერთდებოდა, კავშირდებოდა, რომ სულ მალე თავისი მსჯავარი ადესრულებინა ამ საკვირველების მიმართ.

იყო ოქტომბერი. და ქვემოთ, ბარად, რთველში გასულ გლეხებს თითები ეწეებოდათ ყურძნის ტყბილი წვენიდან.



მამა

ის იყო ჩვენი ხშირი სტუმარი,
 ის მოდიოდა ყოველთვის გვიან.
 გაიღვიძებდა ჭიშკრის ურდული,
 ეზოში ძალი იწყებდა წრიალს,
 და წრიალებდა ჭიშკართან,

ვიდრე

დაიძინებდა ისევ ურდული,
 ამოჰყვებოდა მოსული კიბეს,
 მოაცილებდა ჩრდილი ქურდივით.
 კარს გააღებდა,
 როგორც სტუმარი,

შემოვიდოდა ოთახში წყნარად,
 და გატყდებოდა სახლის დუმილი
 დედის ნაჩუქარ ლამბაქის დარად.
 ჩამიტყუებდა სიზმარი ტკბილი:
 ვხედავდი ბაღნარს — წითლად

შეღებდის...



ეზოსთან რჩება თვალები უკან
 და თვითონ ეზოს ვარდივით იწვის,
 ძალიან უყვარს,
 ძალიან უყვარს
 მეზობლის გოგოს მეზობლის ბიჭი.



შენ ძლიერ ადრე გამიღე კარი,
 მე ვიყავე შენი დარი და წვიმა,
 მე ვიყავე შენი დარიც და ქარიც, —
 მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ.

მე ძლიერ გვიან გაგიღე კარი
 და ძლიერ გვიან გამოველ გარეთ,
 შენ იყავი ჩემი მზეცა და მთვარეც, —
 ესეც დიდი ხნის ამბავი არის.
 და ჩვენ ვერ შევხვდით ერთმანეთს
 კართან,

ორივეს დაგვრჩია კარები ღია,
 შენ მომელოდი ძალიან ადრე,

გამაღვიძებდა აღრიან დილით
 მისი უხეში წვერის შეხება...

ერთ საღამოს კი
 ხშირი სტუმარი

არ შემოსულა ოთახში წყნარად,
 არ გატეხილა სახლის დუმილი
 დედის ნაჩუქარ ლამბაქის დარად.
 მე მომენატრა ხმა საყვარელი,
 მისი ჩრდილი და წვერი უხეში,
 დუმილა ურდული,
 ძალი ჩვარივით

მიგდებულყო სადღაც კუთხეში.
 მე კი ველოდი:

ხშირი სტუმარი —

აი — შემოვა ოთახში წყნარად,

აი — გატყდებდა სახლის დუმილი
 დედის ნაჩუქარ ლამბაქის დარად.

ეზოს ვარდივით უცეცხლოდ იწვის,
 მოსწყურებია გასაშლელ კოკობს.

... ეჭ, რა იქნება, —

მეზობლის ბიჭსაც

ასე უყვარდეს მეზობლის გოგო.

მე კი მოვედი ძალიან გვიან.

ერთი ნაბიჯით ვერ მოგისწარი,
 გეძებდი დიდხანს,

წვიმაში,

ქარში,

წყალმა წაიღო ბონდის ფიცარი
 და შენ მეორე ნაპირზე დარჩი.

ახლა დარია — მშვიდი და წყნარი,
 დაღლილი ფრთები დაკეცეს ქართა,
 არ არის წვიმა,

არ არის ქარი,

არცინ დგას ღიად დარჩენილ კართან.



ღამე მოვიდა —
 როგორც ჩურჩული,
 მოვიდა —
 როგორც მგზავრი დაღლილი,
 მან ამოაესო ყველა კუნჭული
 და გარეთ დარჩით შენ და ყვავეილი.
 მოვიდა —
 როგორც მგზავრი დაღლილი,
 მეჩურჩულება უხმო ვნითა
 სადღაც ანთია —
 თეთრი ყვავეილი,
 თეთრი ყვავეილი —
 როგორც შენი და.
 ამაღამ გარეთ დარჩა ყვავეილი,
 ღამეა

და შენ ჩემთან არა ხარ,
 ამაღამ ბევრი წყალი ჩაივლის,
 ბევრი ჩაივლის ქარიც ამაღამ.
 მე კი ვიქნები კარების აქეთ —
 შენით ღარიბი.
 შენით მდიდარი;
 ბევრი ვიპოვნე,
 ბიარი დავკარგე
 და შენდა დამრჩი —
 ესევეითარი.
 შენ ხარ კარების ორივე მხარეს,
 ეთანაბრები ღამეს ნისლიანს,
 მე შენში მინდა თვით შენზე მეტი —
 რისი მოცემაც არ შეგიძლია.





ანაკლის ლამე

ოდესღაც შავი ზღვის პირას ცხოვრობდა ქვეყნიე ქალი ანა. თურქმა მეკობრეებმა მას ერთადერთი ვაჟი მოსტაცეს და გემით შორეულ ვხსს გაუყენეს. უბედური დედა სამი დღე-ღამე გაჰკიოდა ზღვას, და სხვა რომ ვერა იღონა რა, თვითონაც ზღვაში დაიხრჩო თავი.

როცა ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდებოდა და ბობოქარი ტალღების ხმაურში ქარი სტვენას იწყებდა, ზღვისპირელები იტყოდნენ: „ანა კეთის — ანა რკიანს“ და სოფელსაც ანაკლია დაერქვა.

კოლხური ლეგენდა

სვანეთ-სამეგრელოს საზღვარზე, ენგურის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის ერთი დაბურული ტყე, სადაც ერთმანეთშია არეული წიფელა, რცხილა და წაბლი. მთის ფერდობის სიბრტყეზე ლაღად გადაშლილი ამ თვალშეუდღამ ტყეს შუაწელიდან შავად გასდევს ნაძვანარის განიერი სარტყელი, რომლის ერთი ბოლო ენგურის ხეობის ვიწროებში იკარგება.

ოკვინორეს ტყე, როგორც ამას სოფელში ეძახიან, ერთ დროს სავსე ყოფილა კვერნით. ეს ტყე ძველთაგანვე იზიდავდა მწყემსებს, მონადირეებსა და მეუნაგირეებს. პირველნი ცხვრისა და თხის ფარას ამოვებდნენ, მეორენი — კვერნაზე ნადირობდნენ, ხოლო მესამენი — აქ შოულობდნენ წიფლის უნაგირის სატახტე მასალას.

შემორჩენილია ასეთი თქმულება: ერთხელ, ზამთარში ორმა მეუნაგარემ, როცა ისინი ორმოცმეტრიანი ხეების ტოტებზე ორკაპ საკეზე მასალას ზეერაოდნენ, ერთი დიდი წიფელის კენწეროზე კვერნა შენიშნეს. ორთავეს ძალაუნებურად მოაგონდათ ზონის ბაზარი სადაც ისინი სპილოს ძვლით გაწყობილ უნაგირებს ოთუზბირის ფასად ყიდდნენ და კვერნის ბეწვეულით მოვაჭრე მეზობლებს ფულის შოვნაში ექიშებოდნენ.

კვერნას თავისი გრძელი, შავმურა ბეწვით შეფუძვლილი კუდი ნუტრებს შორის თოვლით გადაღუნულ ტოტზე გაედო და განაბულიყო. „მონადირენი“ რაკი ორნი იყვნენ, თანაც ხის ძირას იდგნენ, ეგონათ კვერნა ვერსად გაგვექცევა, მისი სული ხელში გვიჭირავსო. გულდამშვიდებულ მონადირეებს ისღა დარჩენოდათ საზრუნავი — თუ როგორ გაეყიდათ, ან რაში მოეხმარათ კვერნის ტყავი.

ერთმა თქვა — ზონის ბაზარზე გაეყიდოთო. მეორემ დაიჩემა ცოლის პალტოს გასაწყობად მინდაო. შეკამათდნენ. კვერნას ხმამაღალი ლაპარაკი ჩასწვდა ყურში, თუ გულმა უგრძნო, — ისეუპა, ხიდან ზეზე გადახტა და გაქცევით თავს უშველა. მონადირეებს იმედი გაუცრუვდათ. ენგურის ხეობებში სწორედ ამაზე იტყვიან: „ჯერ კვერნა და მერე ტყავიო“.

ოკვინორეს ტყეზე ბევრ სხვა რამესაც იტყოდნენ ლაკადისპირა სოფლებში; რომ თითქოს იქ დაძრწის ტურებისა და მგლების ხროვა ყოველ მეორე თუ მესამე ხის ძირას დათვის ბუნავიაო. მართლაც, ოკვინორეში მტაცებლებს არა ერთხელ აუწიოკებია მწყემსები. აქ უიარაღო მწყემსნადირი თვალსა და ხელს შუა სტაცებდა პირუტყვს. მაგრამ სამაგიეროდ

ოკეანორეში ალაგ-ალაგ ისეთი საძოვრები იყო, რომ მწყემსს რაგინდ ზიფათიც არ დამუქრებოდა, გული მანც იქითენ მიუწყევდა.

ოკეანორეში, ამ სახიფათო მავრად საძოვრებით მდიდარ ტყეში, ხშირად მიერეკებოდა თავის არც თუ ისე დიდ ფარას მოხუცი მწყემსი გახა ჯაკონია. დილას თუ ხალისით მოდიოდა გახა ოკეანორესკენ, სადამოთბით გულმოკლული ბრუნდებოდა შინ. დღითი-დღე რწმუნდებოდა, რომ მთელს ლაკადში მხოლოდ მას ჰყავდა ყველაზე მცირერიცხოვანი ფარა. სიბრაზისაგან ხშირად მოთმინებას ჰკარგავდა. ერთ დროს განთქმული მეუნაგირე მეჯოგეობაში რატომ უნდა ყოფილიყო ჯაბანი. გახა გულში ტუქსავედა შეილებს — ჯვებებს და ჯაგუს — მწყემსობას სწავლა რომ არჩიეს, და მეზობელი ბობოლა მწყემსის, ყარამანის მანანჩალად გახადეს მისი ერთ დროს დოვლათიანი ოჯახი.

შეილებზე გაბრაზებული გახა დილა-საღამოს თავის ცოლზე, ნეკრესის ქარებით დახუთულ ფოტინეზე იყრიდა ჯავრს.

— შე კუდიანო დედაკაცო, შეილები რომ ვადამირიე და სკოლაში თუ ჯანდაბაში ვადაკარგე, მწყემსე ახლა, თუ კარგია, ეს ეშმაკები. (გახა თხებს ხან ეშმაკებს ეძახდა, ხან ეშმაკის კერძებს).

— მეტს რაღას მიკეთებ, ორიოდე ქეციანი თხაც თუ ვერ მოგმიწყემსია — შემოტევითვე უპასუხებდა ფოტინე.

ასე ჩხუბსა და დავიდარაბაში მიდიოდა დღეები ჯაკონიების ოჯახში...

შემოდგომის ერთ დილას, როცა ახალგაღვიძებული ტყე — თითქოს თმას ივარცხნისო — ყვითელ ფოთლებს ძირს შრიალით ფანტავდა გახამ ოკეანორეში მორეკა ფარა. როგორც ყოველთვის, ახლაც ყარამანის გაშლილმა ჯოგმა მოსვენება დაუკარგა. შვალეებზე გამწყარალმა და ცოლთან ნახჩუბარმა უგუნებოდ მიაყუდა ბერდანი

გრძლად გაწოლილ ნამეხარ წიფელაზე და მეზობლის თვალის დასავსებად თავის ფარას დარდიმანდულად გასძახა, თანაც გულმოსულად შეანჯღრია ერთი ფეხმოტეხილი და მუნით დაწიავებული თხა, რომელსაც, ტკივილებისაგან გაწამებულს, ძოვნის თავიც აღარ ჰქონდა. პატარა ცული, კვადიას რომ ეძახდა, კუნძზე ჩაარტო და იმავ კუნძზე ცალგვერდად ჩამოჯდა. შემოდგომის ახლად ამოსულ უღიმღამო მზეს შეეფიცა.

გახას მოღუშული სახე გაუნათდა. გადამტყდარ ხეს მიჩერებულმა რაღაცას გულიანად გაუცინა. ასე ლაღად გახა მხოლოდ მაშინ გაიხარებდა როცა ტყეში მიშავალი, წიფლის წვერზე უნაგირის სატახტე ორკაპ ხეს იაოვიდა. ახლა მისი თვალეები მაღალი ხის წვეროებისკენ კი არა, აგერ, დაბლა იყურებოდნენ. და დახეთ ბედნიერებას, თითქმის მზამზარეულად, სულ ახლოს ხედავდა ასე სანატრელ სატახტე მასალას. მერედა რამდენს! ერთს კი არა, სამს...

მოულოდნელი ბედნიერებით გახარებულმა მოხუცმა ცული მოიმარჯვა და ღონივრად შემოჰკრა დ.ლოცვილ ხეს. მასში კვლავ ვაიღვიძა ძველმა მეუნაგირემ და ოცნებით ხონის ბაზარზე მყოფი მოხუცი ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება მალე გამოეჩორკნა სამივე სატახტე, რადგან, ვინ იცის, იქნება ტყეში რომელიმე მეუნაგირე შემოხეტებულყო და შედავებოდა. გახა ხან ბაზარზე წარმოიდგენდა თავს სპილოს ძელოიანი უნაგირით ხელში, ხან ამავე უნაგარზე მჯდომს თითქოს თავის ფეხკავში მიაქროლებდა ენგურის პირად.

მუშაობით გართულსა და ოცნებაში წასულს, ტყის სიღრმიდან ცხვრების ბლავილი შემოესმა გახამ ტახტა და ცული ხელიდან გაავლო, ფიცხლად დასტაცა ხელი ბერდანს, ღონე მოიკრიბა და ტყის შუაგულისაკენ გაიჭრა. ხუთი ყელგამოდარული ცხვარი მაჩლობელ ჩანჩქერთან ნახა. მოშორებით

კვლავ ისმოდა ცხვრებისა და თხების ბლავილი და პეტელი. დაფეთებულმა მოხუცმა ბერდანი გაისროლა და თანაც ისეთი გულშემზარავი ყვირილი მორთო, როგორც მხოლოდ განსაცდელში ჩავარდნილ მწყემსებს შეუძლიათ მთაში. გახას ძახილს მეზობელი მწყემსებიც გამოეხმაურნენ და მალე მისაშველებლად მასთან გაჩნდნენ. როცა ზოგი ყელგამოლადრული და ზოგიც მუცელგამოფატრული ცხვრები ჩანჩქერთან მოაგროვეს, სისხლგამშრალ გახას ვერ გადაეწყვიტა — თავი მოეკლა თუ ცოლ-შვილზე ეძია შური. ბოლოს, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია გულზე ბოღმამოწოლილი — შეხუებით დაცეკრულ ლოდზე ჩამოჯდა და იოფი ბრაზით შორს გადაისროლა.

— ახია ჩემზე! — მწარედ ამოიგმინა გახამ. — უარესის ღირსიც ვარ. ბიჭები სკოლაში მყავს, ვითომ განათლება შემაქვს ოჯახში, ჩემს ნაშრომს კი ნადირი ანიავებს!

— რას იხამ, ჩემო გახა, ზოგს ნადირი იტაცებს, ზოგი თავისით იხოცება. აბა, ყველა პირუტყვი რომ უკლებლივ შეგვრჩებოდეს, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყავს.

— მაინც ასე ჩქარა რაფერ გაქრეს კბილი იმ ონავარებმა. ამას ერთი და ორი ვერ შესძლებდა, ხროვაა მთიდან ჩამოხეტებული.

— როგორც კი ამ ტყისაყენ პირს იქცევს ფარა, განწირულია. მგლისა და მელა-ტურების ბუდეა ეს ტიალი, — ნუგეშითა და გულშემატკივრობით ეუბნებოდნენ გახას მეზობელი მწყემსები.

— მაგას ნუ მეტყვით, ტყე არაფერ შუაშია. პირუტყვი უპატრონოდ თუ შიგდებ, მტაცებელი ფარეხშიც შემოგივარდება. მთავარი — მეთვალყურეობაა. ყველაფერს მე ერთი ვერ ავუთავადი. ჩემს ბიჭებს კი სკოლისაგან უპირავთ თვალს, მწყემსობას აბუჩად იგდებენ: მერე ინანებენ, მაგრამ გვიანა იქნება. შეილები მყავსო, ყარამანს ეთქმის, ჯოგი ჰყავს ისეთი, რომ მოყვარეს გახა-

რებს და მტერს თვალს დაუყენებს. ეს ორი წელია ერთი თიჯნის ყური არ დაკლებია. ნეტავი მას, ბედნიერს, ვისაც მაგისთანა შეილები მოესწრება!

გახას ამ სიტყვებზე ოკვინორეს გაღმა გორაკიდან სიმღერა მოისმა. ფერდობზე ცხვრის ფარა გამოეფინა.

— ხომ გეუბნებოდით, — განაჯრო გახამ, — შეხედეთ ყარამანის ჯოგს, როგორ ღრუბელივით დაჰფარა ეს უზარმაზარი გორა. ან იმ ბიჭებს დაეკვირდით, დედაფუტკარივით თავს რომ დასტრიალებენ ამოდენა ფარას. ჩემი ტარიელები კი ახლა აღბათ არხეინად ერთობიან. მაგრამ მე ვიცი მაგათ როგორც მოვეპყრობი. დღეის იქით სკოლის კედლებს მოვანატრებ მაგ უქნარებს!

მეზობლებმა ოდნავ დაამშვიდეს ცოლ-შვილზე გამწყრალი გახა.

დახოცილი ცხვრები ხელდახელ გაატყავეს და კვლავ თავიანთ ფარებს მიაშურეს.

გახა საღამომდე ჩალიჩობდა ტყეში. რამდენჯერმე გადათვალა ფარა. ხარალი არც ისე ცოტა აღმოჩნდა. გულმოკლულმა ტყავები თხილის წკნელით შეკრა, ზურგზე მოიგდო და შინისაყენ გასწია. სახლს უახლოვდებოდა, როცა ღელის პირას, პატარა ბოგირთან ელდანაცემივით შეკრთა. თავგაბრუებულს კეხები ტყეში დავიწყებოდა. ისედაც გახლებული ამ მოულოდნელობამ ღამის ქვიდან შეშალა. შინ მისულმა ჯავრი კვლავ ცოლზე იყარა.

— რომ დავიჩემებიათ სკოლა, სწავლა და რაღაც ზიზილ-პიპილობა, ახლა სად წამოხვალთ! — ბრაზით შეუყვირა გახამ ჭიშკართან შემომხედარ ცოლს და გულის გასახეთქად ცხვრის ტყავები ფეხქვეშ გაუშალა:

— დედაი, ღმერთო, რატომ ვარ ცოცხალი! — შეცხადებელივით წამოიკვლა ფოტიწემ და ერთი ტყავი ხელში აიტაცა, — მომიკვდეს თავი, ჯაგუს გამზრდელის ვერძი! ეს კიდევ შეთქმული გიშერა! თოხლი სქემა! — იძახდა

გამწარებული ფოტინე, თანაც მკერდზე მჯიღს იცემდა.

— აი სანამდე მიგიყვანა შენმა კუდაბზიკობამი — ცეცხლზე ნავთს უსხამდა გაბა, რომელიც ცაცხვის ძირას შუბლშეკრული იჯდა.

— ნეტავ რა გაქვს სათქმელი, ხუთიოდე თხა და ცხვარი რომ ვერ მოგიწყემსია! — ერთხელ კიდევ გაუმეორა ფოტინემ ათასჯერ დანაყვედრები:

— ერთი კაცი მთა და ბარს ვერ გაწვდება. ამიტომ ვიძახდი, ბავშვებს ნუ გადაშირევე-მეთქი!

— შენ გადაგრია ილორის წმინდა გიორგიმ. რა ამოგიჩემებია ეს თითის ოდენა ბავშვები, რას მოითხოვ მათგან, გაკვეთილებს თუ ისწავლიან, მეტი რა უნდა გაგიკეთონ?

— არ მინდა ეს გაკვეთილი, გესმის, თუ არა! — ხმას უმაღლებდა გაბა, — „ქრელი პეპელა“ და „ჩიტი-გვრიტისთვის“ ვერ დავლუპავ მამაპაპეულ ქონებას!

— რა ქონება შენ გაქვს, რომ ვერ მოგივლია!

— შენი მზითვეი ხომ მაქვს, შენმა თავის გაბეთქამ!

— მზითვეი ამაზე მეტი რაღა გინდა, ოცი წელია ოჯახს ვინახავ, მტერ-მოყვარეს ვხვდები, ალალი გულით გემსახურები, შვილებს გიზრდი.

— რაღა გაზრდაა, თუ ჩემი შვილები გვერდით არ მეყობება, ჭირში არ მომეშველება და მოხუცებულობის დროს ტვირთს არ შემომსუბუქებებს.

— თუ კარგად გაიზრდებიან და ისწავლიან, ტვირთსაც შეგიმსუბუქებენ, თვითონაც გემრიელ ლუკმა-პურს შესჭამენ.

— მამაჩემი ნასწავლი არ იყო, მაგრამ ლუკმაპური არასოდეს უთხოვია.

— მარტო ლუკმა პურზე არაა საქმე. ჩიტსაც აქვს საყენი. ჭკუა და გონებაა მთავარი.

— აი, დედაკაცო, შენი ჭკუა და გონება! — კვლავ ნიშნის მოგებით მიუთითა ყარამანმა ცხვრის ტყავებზე, რომელსაც კუდაპრეხილი ძაღლი უნოსავდა.

განრისხებულმა გაბამ ქვა თუ ქოლოკო, რაც ხელში მოხვდა, დაუბრგავად დაუშინა შალს. ოდის სარდაფქვეშ სწემძვრალი ფეხნატყენი ძაღლი დიდხანს წკმუტუნებდა.

— რას გვემართლები, ადამიანო, ან მე რა დავიშავე, ან ბავშვებმა? მწყემსობით შენ ვერაფერს გახდი და ბალებმა რა უნდა გააკეთონ? ახლა სხვა დროა. ბავშვებს გზას ნუ ააქვენ. წვითა და დავით გამოზრდილებს ტყეში ნუ გადაშიყრი და შენსავით ტყის კაცებდ ნუ გადაშიკევე.

— ჰა,ჰა, ჰაიტ, შე კუდიანო დედაკაცო! დააქეთე ჩემი ოჯახი და ეგ არის. შენი იმედი რომ არ ჰქონდეთ, ბალები რას გამიბედავდნენ. ამდენ შრომას წყალში მიყრი და კიდევ „ტყის კაცს“ მეძახი. მე გაბა არ ვიქნები, თუ დღეიდან შენც არ მოვდე ლაგამი და შენს ბავშვებსაც!

გაბას ყვირილი მეზობლებსაც ესმოდათ. ფოტინე ატყობდა, რომ ისედაც გაგულისებულ ქმარს მისი ნათქვამი კიდევ უფრო ახელებდა, ამიტომ გაჩუმება არჩია. ცალკე ზარალით გულადულებული და ცალკე ქმრისაგან შეურაცხყოფილი ფოტინე ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორმე დამშვიდებულყოფო და სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვებს ძველებურად დედური აღერსით შეხვედროდა. ფოტინემ ცხვრის ტყავები ჯარჯვლის სხვენზე აიტანა, პირუტყვი დააბინავა და მერე ეზოში ქათმებს გამოუღდა, ჩელტზე გასახმობად გატენილ სიმინდის მარცვლებს რომ დასეოდნენ.

რაკი ხმის გამცემი არავინ ჰყავდა, გაბა თავის თავს ეკამათებოდა. ცოლის მოთმინებიდან გამოსაყვანად ხანდახან ხმას აუმაღლებდა. ფოტინე კი განგებ თავს არიდებდა ქმარს. თვალცრემლიანი ხან ქათმებს სწყევლიდა, მოსვენებას რომ არ აძლევდნენ, ხან ბოსტანში შეპარულ გოჭებს დასდევდა. თანაც თვალი ეჭირა იმ გორაკზე, საიდანაც, ადრე თუ გვიან, მისი ვულის გამხარებელი შვილები — ჯეებე და ჯაგუ უნდა გამო-

ჩენილიყენენ. საღამოვდებოდა, მაგრამ ბავშვები არ ჩანდნენ...

რალაც სევდის მომგვრელ ღუმელს მოეცვა გამოკეტილი ჭეხარტიანი ჯარგვალი და ფანჯრებ ჩარახული ოდასახლი; ერთი შეხედვით თითქოს ისინიც თანაუგრძნობდნენ ოჯახის საერთო განწყობილებას. ნიავის ყოველ ჩამოქროლებზე შრიალი გაქონდა ცაცხვების და ალვის ხიდან ჩამოფანტულ ფოთლებს. გახა კვლავ შუბლშეკუმხნილი იჯდა ცაცხვის ძირას და ჩიბუხის ბოლი ნისლივით ეხვია.

მახლობელ გორაკზე სიმღერა მოისმა. ჯვებე და ჯაგუ ამხანაგებთან ერთად სკოლიდან ბრუნდებოდნენ და სიმღერით სოფელს ახარებდნენ. რა იცოდნენ მაშინ პატარებმა, რომ სკოლიდან მომავალი ძმების სიმღერა ამ გზაზე უქანასკნელი იყო.

• •

■

ძვირად დაუჯდა გახას განრისხება გვებებს და ჯაგუს. ორივე სკოლიდან გამოიყვანეს. ვერც ფოტიანე და ვერც მუზობლებმა ვერ გადაათქმევიანეს გაჯიუტებულ გახას თავისი არც ისე წინდახედული გადაწყვეტილება.

გახამ თავი იმით იმართლა, რომ უკვე ხანში შევედი, ჯანმრთელობამაც მიმტყუნა და თუ ბავშვები არ მომეშველენ, ოჯახიც დამელუბება და ფარაცაო. თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს არ იყო მთავარი. ის გუნებაში ფიქრობდა ყარამანს შეჯიბრებოდა მეჯოგეობაში და მისი ნაშიერებიც სოფელში გამოჩენილი მეჯოგეები გამზდარიყენენ.

მეჯოგეობა ჯაკონიების ოჯახს ძველთაგანვე მოსდგამდა. გახას მამაპაპა მწყემსები ყოფილან. მწყემსობას თვითონაც ვერ გაქცა. მამისეული ოდის კედლები, როგორც შიგნით, ისე გარეთ მწყემსი-წინაბრების ნანადირევი ირმისა და ჯიხვის რქებით იყო დამშვენებული. დარბაზში მისი ახალგაზრდობის დროინდელი დამბაჩა და

კაეიანი თოფიც ეკიდა, ოდის რიკულებიან აივანზე ხარჯიხვის ფრტული იდგა. მწყემსობით თავი მოქონდა გახას ოჯახს. ახალგაზრდობაში მეუნაგირე, ბოლო ხანებში ისე გაიტაცა მწყემსობამ, რომ ბავშვები კი არა, ლამის ცოლიც თან გაეყოლებინა. ლაკადისპირთა სოფელში, სადაც გახა აღიზარდა, სწავლა-განათლებას მაინც დამაინც დიდ პატივს არ სცემდნენ. გახა და საერთოდ ნაკადალები, მწყემსს უფრო წინ აყენებდნენ, ვიდრე მასწავლებელსა და ინჟინერს. როცა სწავლა-განათლებაზე ჩამოუგდებდნენ საუბარს, გახა ერთს და იგივეს იმეორებდა: ნასწავლი კაცის მთელ ავლა-დიდებას ყარამანის ერთი ყოჩი იყადოსო.

გახას მხედველობაში ჰყავდა თავისი მეზობელი ყარამან არქანია, რომელიც იმ ხანად დასავლეთ საქართველოში განთქმულ მეჯოგედ ითვლებოდა. ჭურია-ქალადიდიდან აფხაზეთ-სამეგრელოს მთებამდე მიმოფანტულიყო ყარამანის ჯოგი. ყარამანს შავი ზღვის პირას ორი თუ სამი სახლი ჰქონდა. სოფელში ხომ ყარამანზე უკეთესად არავინ ცხოვრობდა. ერთ დროს ხმაყდადიოდა — ოქრო აქვს მიწაში დამარხულიო. ამ ყარამანის მიბაძვით და წაქეზებით გამოიყვანა გახამ თავისი ბავშვები სკოლიდან.

ჯვებესა და ჯაგუს სკოლიდან გამოყვანის მეხუთე დღეს გახა და ფოტინე ყანაში სიმინდს ტეხდნენ. ცოლისაყვედურით ავსებდა ქმარს მისი უმსგავსო საქციელის გამო. ქმრას გასავონად ფოტინე ხანდახან ხმამაღლა წყევლიდა ყარამანს — ასე რომ აუფორიაქა ოჯახი. უცებ ძაღლმა დაიყფა. გახამ ხელი მოიჩრდილა. შეღმართზე სახლისაკენ მომავალი ცხენოსანი შენიშნა. შორიდანვე იცნო ფაფახიანი ყარამანი თავისი შავი ცხენით. გახამ მუშაობა შეწყვიტა და ყანაში მოფუსფუსე ფოტინე ხმადაბლა გააფრთხილა — გაჩუმდი, სირცხვილია, სტუმარი მოდისო.

კალთააკეცილმა ფოტინემ კვლავ

ჩვეული სიმარღით განაგრძო სიმინდზე გასული ლობიოს კრეფა და ვაჩუქების მაგიერ გახას უფრო ხმამალა შეუტია:

— რომელ სირცხვილზე ლაპარაკობ. კაცს იმისი არ შეგრცხვა, ოქროსავით ბავშვები სკოლიდან გამოიყვანე და საღდაც ტყეში გაყარე, კიდევ რა გაქვს სათქმელი!

— დედაკაცო, ვაჩუქდი-მეთქი, ყარამანი მოდის, სირცხვილია!

— ერთ სამარეში დიშმარხეთ ორივე, შენ და ყარამანი; ის შენი დაბარებული იქნება, თორემ რამდენი ხანია ჩვენთან არ მოთრეულა. შენ თუ გგონია სათუთად გაზრდილ ბავშვებს ყარამანს ჩაუვადებ მწყემსად, ძალიან შემცდარხარ! — ფოტინემ ყურიც არ ათხოვა ქმარს და ორ-სამჯერ ხმამალა დაუძახა ჯვებებს, რომელიც ჯაგუსთან ერთად მდინარის გაღმა, ოკეინორეს ტყეში ფარას აძოვებდა.

ჯვებებს საპასუხო ძახილი საღდაც, ტყის შუაგულში, ოღნავ გასაგონად მოისმა.

— ჰკვიანად, დედა გენაცვალოს, ჰკვიანად, ჯაგუს ყური მიუგდევ, საღმე კლდეში არ გადავარდეთ, შეილებო! — ხმა მიაშველა მზრუნველმა დედამ.

სღუმდნენ შეილები — ამ უღრან ტყეში ჩაკარგულები. სხვა დროს, სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, ნაშუადღევს ფარას რომ ტყეში გარეკავდნენ, სიმღერითა და შეძახილებით სოფელს აცოცხლებდნენ, მაგრამ ახლა ეს მერამდნენ დღეა ისინი დილიდან საღამომდე ცხვარში იყვნენ და მათი ხმა არავის გაუგონია.

— დედაკაცო, კიდევ გიმორებ, ყარამანს რამე საწყენი სიტყვა არ აკადრო, თორემ იცოდე, განანებ! — ფრთხილებდა ფოტინეს სტუმრის შესაგებებლად უკვე გზის პირზე გასული გახა.

ამასობაში სტუმარმა მათრახის ტარით ჰიშვარი შეაღო და შიგ ყანაში შეავლო თავისი ბედაური. ძაღლიც აყვავდა. ფოტინეს სხვა გზა აღარ ჰქონ-

და, მუშაობა შესწყვიტა და სტუმარს ოღნავ ცივად, მაგრამ მაინც ჩვეული თავაზიანობით შეეგება. სტუმარი ცხენიდან ჩამოხტა.

შევ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ყარამანს თავი რაღაც უცნაური სიამაყით ეჭირა. კისერზე ზონრით გაღაკიდებული მოსირბული ყაბალახი და მოოქროვილი ყამა ერთგვარ შიშსა და მოკრძალებას იწვევდა მისდამი. ყარანივით შავი ცხენიც მდიდრულად იყო დარახტული.

გახა ჩქარ-ჩქარა გადახედავდა ფოტინეს. ამით თითქოს ანიშნებდა — აი, შეხედე მწყემსს, და მერე ნასწავლი კაცი შეადარე ამასო. ფოტინესაც აკვირვებდა სტუმრისა და მისი ცხენის აკანულობა, ოღონდ გაკვირვებას არ იმჩნევდა; უხერხულობას გრძნობდა საშინაო, დახეული ტანისამოსით რომ იყო, და მოკრეფილი ლობიოც კალთაში შერჩენოდა.

— აა... გვიან, მაგრამ მაინც საბოლოოდ გონს მოდი, გახა, როგორც მითხრეს, — ზვიადად, თითქოს დამცინეველ წამოიწყო ყარამანმა და თვალეში ჩააცქერდა მასპინძელს.

— არ ვიცი, როგორ გითხრა, ყარამან ბატონო, სიკეთე ვის არ უნდა, სწავლა კარგია, მაგრამ შეძლება თქვი. ვარდა ამისა, არც მამა მყოლია ნასწავლი და არც პაპა. ჩვენს წინაპარს უთოხნია, ხე უჩორკნია და უმწყეპსია, სხვა ხელობა მე არა მაქვს, და რასაც შეეჩვევი, ის გიყვარს, — აღსარებასავით თქვა გახამ.

მწყემსობა ცუდიაო, მტერმა თქვა, ჯაფა კი საჭიროა, მაგრამ სარგებლობაც დიდი მოაქვს. აბა ყველამ რომ ისწავლოს, ვინ უნდა იმუშაოს, — ყარამანი თანდათან ჰკუთის დარიგებაზე გადადიოდა.

— რა ვიცი, შენი ჰირომე, იქნებ ცოდვას ჩაეღივარ ღვთის წინაშე. მეხუთე კლასში იყვენ. კარგად მეცადინეობდნენ და სწავლას მოვწყვიტე. რამე ხიფათი რომ შემეძებეთ, ჩემს დღე-

ში სადარდებლად მეყოფა. მეზობლები და მოყვრებიც ამიხიარდნენ.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კი, ნუ იტყვი, რაც დღე დამაყენა...

— ჩემგან არ გესწავლება, გახა, სოფელში ჰყვიან კაცად ხარ ცნობილი, ჰქეყნად რამდენი ადამიანია, იმდენი მოსაზრებაა. ყველას თავისი ჰქუა და გონება აჯერებს; მოიქეცი ისე, როგორც გულმა გიკარნახოს. ახლა ცუდ გზას არ ადგინარ და არავინ გაგაბრწყოს!

ამ საუბრით ეზოში შევიდნენ. ფოტიმე აჩქარდა, ოდაში ავიდა, საგანგებოდ მიაღაგ-მოაღაგა აივნის ტახტზე დაყრილი სიმინდის ტაროები, იატაკზე გაფანტული ლობიო და სოია. ჯიხვის რქაზე ჩამოკიდებული პილპილის აქმა ჩამოხსნა და კალათაში ჩაიგდო. დარბაზიდან ვენური სკამები გამოიტანა, მერე კვლავ სტუმარს მიეგება.

— უკაცრავად კი ვართ, ბატონო, ასე უწესრიგოდ რომ გხვდებით. იმედია, არ დაგვძრახავთ, — მოიბოდიშა დიასახლისმა.

— არა, შენი ჰირომე, სწორედ ისე ხართ, როგორც შემოდგომას შებფერის, მოსავალი იყოს და წესრიგს ყოველთვის მოვესწრებით, — ჩაილაპარაკა უკვე დამჯდარმა ყარამანმა და დარიშმანდულად გახედა ოკვინორეს ტყეს, რომელიც გახას სახლს შემოჰყუოებდა გაღმიდან. სურათი და ხაესით დართვილულ კლდეებზე მრავალი ჩანჩქერი გადმოსჩქეფდა. ტყის თავზე შიშველ გორაკთან გაფანტული ფარა რიყის ქვებივით მოჩანდა.

— აი, ხომ ხედავ, ყარამან ბატონო, ორ გორაკს შორის აღმართულ განმართვებულ გვალიაიას. უთუოდ ჯარასაც ამჩნევ, ახლა იქ „სწავლობენ“ ჩემი ბიჭები. ამას კიდევ არ ვიზამდი, მაგრამ გასულ კვირას ისეთი ზარალი მომივიდა, ერთ წელიწადს ვერ ავიწინაზღაურებ. — გახამ სინანულით უამ-

ბო სტუმარს ოკვინორეს ტყის ტრაგედიაზე...

— რაც მოხდა, მოხდა, ნუ დარდობ, შენი ჰირომე წაუღია. აწი ბიჭები მოგშველებიან და ნადირი ვერას დაგაყლებს, ეყოფათ სწავლა, წერა-კითხვა ხომ იციან, ახლა ოჯახს მიხედონ, ცოტათი მაინც ხელს გაიმართავ და იოლად წახვალ.

ფოტიმე ყარამანს მიუხლოვდა, მათრახის გამოსართმევად ხელი გაუწოდა, მაგრამ ყარამანმა არ დაანება, — საჩქარო საქმე მაქვს, მალე უნდა წავიდეთ. მერე პირდაპირ დაიწყო: რომელიმე ბიჭს თუ მაძლევთ მწყემსად, მომეცით, თუ არადა მომავალ კვირას საზამთრო სამოვრებზე მივდივარ და ვინმე სხვა უნდა ავიყვანო.

ფოტიმემ აქამდე დანამდვილებით კიდევ არ იცოდა, ყარამანი ბიჭის წასაყვანად რომ იყო მოსული და თავს იკავებდა, ახლა კი მოთმინებიდან გამოსულმა ერთბაშად იფეთქა:

— ჯერ ის ვერ მომინელებია, ბავშვები რომ სკოლას ჩამოვაშორე, ახლა მოჯამავირობა დავაწყებინო? რას მეუბნებით, ყარამან ბატონო?! დასაკარგავი შეილი ვინ მომცა?!

გახამ ცოლს თვალთ ანიშნა — გაჩუმდით, მაგრამ ქმარზე ისედაც გაბრაზებულმა ფოტიმემ მთლად აიწყვიტა.

— როგორ გავჩუმდე, რამდენი წელია ცხვირით მიწას ვხნავ, ახლა წყალში უნდა გადამიყარო ამდენი ხნის ნაშრომი?

— ქალო, წესიერად ილაპარაკე! — შეუტია გახამ, — რატომ გგონია, ვისაც წიგნი არ უსწავლია, ის არარაობაა და შრომაც წყალში აქვს გადაყრილი. აბა, რაკი სკოლაში არ მისწავლია, გადასადგები ეყოფილვარ!

— შენ ტყეში ხარ გაზრდილი და ტყისკენ გიჭირავს თვალი. გვეყოფა უცოდინარობით და უმეცრებით რაც ვიწვალეთ. გაიგე, ადამიანო, ახლა სხვა დროა. უსწავლეელი კაცი ცოდვია, ბავშვებს ნუ დამიჩაგრავ!

— ძალით არ გართმევთ, ბატონო, საწყენად არ მიიღოთ. თუ ბავშვს გაიმეტებთ, მენდეთ, ჩემი მხრით ზრუნვა არ მოაკლდება. არც უანგარიშო კაცი ვარ — კუთვნილი არ მივცე. მწყემსს სხვასაც ვიშოვი, მაგრამ თქვენი შვილი მინდოდა. ჯერ ერთი, მეზობლები ხართ, გარდა ამისა, თქვენისთანა ალალ-მართალი დედ-მამის შვილიც, ვფიქრობ, უეშმაკო და ერთგული იქნება! — ყარამანი მოთაფლული სიტყვებით ფიქრობდა მიზნის მიღწევას.

კარგა ხანს დავობდნენ. ფოტინე თავისას არ იშლიდა: გახას თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნდა ცოლისთვის დაეთმო, ისიც ყარამანის წინაშე, ახლა ისღა აკლდა გახას, რომ ცოლის მონა და ლაჩარი დაეძახებინათ მისთვის. გაბრაზებულმა გახამ ცოლს ისე მაგრად შეუტია, ფოტინე გაჩუმდა. ახლა მის სათქმელს თვალთაგან გადმოსკდარი ცრემლი ამობოდა.

სალამოდებოდა. პატარა მწყემსების — ჯვებებს და ჯაგუს ფარაც შელენლა ფარებისაყენ მოიწვედა. თხის პეტელი და ცხერის ბღაველი ჩანჩქერთა შხილში ძლივს მოისმოდა. სხვა დროს ეს პატარები სკოლიდან სახლისკენ მოიმღეროდნენ. ახლა კი, სამღერას ვინ იტყვის, ხმასაც არ იღებდნენ. ჯაგუს პატარა შეეკრა ფიჩხი მოქქონდა, ჯვებებს კი ესეც არ გაემეტებინა ოჯახისათვის. შუბლშეკრული და დაღვრემილი მოერეკებოდა ზოზონით მომავალ ფარას.

— აი, ეს არის ჩემი უფროსი ვაჟი, — შორიდანვე ხელით ანიშნა გახამ ჯვებებზე. ჯვებებმ კი თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიღინჯით აღმაცერად შეხედა მამას და მასთან მოსაუბრე სტუმარს. როგორც კი სტუმარში ყარამანი შეიძინო, წარბები შეკყარა, სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და ოდის ავლით ჯარგვლისკენ გაემართა მხრებაწურული. ჯვებებს ორ-სამჯერ დაუძახა მამამ, მაგრამ უკან ერთხელაც არ მოუხედავს. მიდიოდა ტანაყრილი, მწყემსურად ჩაცმული. ცრემლმორთუ-

ლი დედა სინანულით აყოლებდა თვალს შვილის ეკლით დაკარგულ ხელებს. რამდენ სხვაობას ხელავდა გუშინდელ მოწაფესა და დღევანდელ მწყემსში. კანის ჩაფუთით, შინ მოქსოვილი ჩოხის ხალათ-შარვლითა და პაჭიკებით გამოწყობილ ვაეებს რომ ხელავდა, ყველაფერი ეს ბედის მწარე დაციხვად ეჩვენებოდა დედას.

ჯვებებს უკან მიჰყვებოდა მასზე დაბალი და ჩაფსკენილი ჯაგუ, რომელიც ფიჩხის დიდ შეეკრას ძლივს მოათრევდა. დედ-მამის მორჩილი ჯაგუ შედარებით ადვილად შეურიგდა მწყემსობას. ოღონდ ჯვებებს მოთვინიერება არც ისე იოლი აღმოჩნდა.

— აი, ამისგან ნამდვილი მწყემსი დადგება, — ეუბნებოდა არყით შეზარხოშებული ყარამანი გახას, — თუ გინდა, ამას წაეყივან.

— ეს პატარაა, ჯერ ცოდვია. გეშინია, რომ ჯვებებს ვერ მოვარჯულებ? იცოცხლე, მე მაგას დღე ვაყარო! ოღონდ ის მიბრძანე, როდისთვის მოვამზადო?

— აქი გითხარით, მომავალ კვირას საზამთრო სამოვრებზე მივიღვარ, ქურიაში. ამ შაბათს ბიჭი ჩემთან უნდა იყოს. მწყემსებს გაეაცნობ, ფარასაც შეეჩვევა და მეტე უცხო მხარეში ყოფნა გაუადვილებდა.

— კეთილი! — კმაყოფილებით მიუგო გახამ.

ფოტინემ ერთხელ კიდევ მწარედ ამოიკენესა, მაგრამ გახას ყურადღება არ მიუქცევია...

ბინდდებოდა, როდესაც ყარამანი ცოლ-ქმარს დაემშვიდობა და თავისი ყოჩანა ცხენით გორებში გაუჩინარდა...

ფოტინე მუხლმოკვეთილი იჯდა ტახტზე, არც ძროხის მოწველას ჩქარობდა არც ქათმის დაბინავებას. გახა კი უგზო-უკვლოდ დაბოროილებდა ეზოში — ხან ხბოს გამოედევნებოდა, ხან ღორს, და როცა მოზღვავებულ საქმეებს ვერ აუთავდებოდა, წყველი-

და ცოლს და ჯარგვალში განაბულ გაყვებს...

მეორე დღეს, სამხრობის უამს ძლიერი წვიმა დაუშვა. უცებ აღიდგნენ დღელები და ნაკადულები. ასეთ დროს ფოტინეს შინ რა გააჩერებდა, როცა მისი ვაჟები ოკვიანორეს სახიფათო ტყეში იყვნენ გადაკარგული! გახაც შინ არ იყო, რომ ბავშვებს მიშველებოდა, და ფოტინემ გადაწყვიტა ამ თავსხმაში ოკვიანორეში წასულიყო.

ქმრის ნაბადი მოისხა, მისივე ყაბაღაბი მოიხურა და გორებს აპყვა ძახილით. მისი ხმა მოდიდებული ნაკადულების ღრიალში იკარგებოდა. შვილები კი არსაიდან ეხშიანებოდნენ.

ლაკადის ამ სოფელში მოსახლეობა შორიშორს, ტყისა და გორაკებს გადაღმა იყო მიმოფანტული და ფოტინეს ძახილი იქამდე ვერ აღწევდა, ან ვის შეეძლო ასეთ დროს მას მიშველებოდა.

— ჯვებე უ!.. ვო, ჯაგუ უ! — მამაკაცურად გამძახებდა ტყეს ფოტინე, მაგრამ პასუხად არაფერი ესმოდა, გარდა თავისი ხმის გამომძახილისა.

— შვილებო, სადა ხართ, შვილებო, თქვენი ჭირიმი! — თავისთავს ესიტყვებოდა ფოტინე და ტყეში თოკვით დახვეული ბილიკებით მალა-მალა მიიწევდა.

ბილიკს ჯოგის ნაფეხური აჩნდა, ალაგ-ალაგ ცხვრისა და თხის კურკლებიც ეყარა, მაგრამ წვიმას ისე გადაერეცხა იქაურობა, რომ არ ჩანდა დღევანდელი იყო, თუ გუშინდელი.

გაწუწული ფოტინე მაინც ვარაუდით მიიკვლევდა გზას. და ქარისაგან ჩამოყრილი წაბლისა თუ წიფლის ყუითელი ფოთლები მხრებზე ეცემოდა.

უცებ თითქოს ცხენის ფეხის ხმა მოესმა. უკან მოიხედა. თმაბურძენილმა, წვიმიტ ვალუმპულმა მგელმა ბილიკი გადასჭრა. ფოტინე შიშმა აიტანა, მაგრამ თავის გასამხნეველად მაგრად შეუკვივლა ნადირს და ისიც თვალის ვახელის უმაღლ ტყეში გაუჩინარდა.

ფოტინეს ახლა მეორე სადარღებელიც გაუჩნდა. ვაითუ ამ ვერანამ ბავშვები შემოშინაო, და ტყის შუაგულში შეჭრილი, კვლავ გამყიფარი ხმით უძახდა შვილებს.

გულჩათხრობილ ტყეში აღამიანის ქაჭანება არ იყო, მხოლოდ წვიმის წვეთები ხშიანობდა, შრიალით ცვივოდა ფოთლები.

ფოტინე უკვე მთის წვერზე იყო. აქედან შორს, ქვევით, ხელისგულივით მოჩანდა მისი სახლი. გამოცეტილი ჯარგვალი თითქოს შორიდანაც თანაუგრძნობდა შიშით ატანილ ფოტინეს.

ხმის ჩახლეჩამდე უძახა დედამ შვილებს. ბოლოს, სადღაც შორს, მწვერვალს გადაღმა, ნარებით შენასკული გორაკის თავზე გამოეხშიანა ერთი მათგანი. ჯვებეს ხმას ჰგავდა.

დედა შორიდანვე ამხნევებდა შვილებს — არ შეგეშინდეთო. დედის ხმის გაგონების შემდეგ ჯვებე და ჯაგუ ხან ძახილით, ხანაც სტევნიტ ანიშნებდნენ მას, თუ სად იმყოფებოდნენ.

რადაც იღუმალი ძალით ფრთავსებული ფოტინე სულ მალე შვილებთან გაჩნდა და თითქოს ხელმეორედ დაბადებულებიყვნენ, ისე გაუხარდა მათი ნახვა. იპინი ერთ პატარა გამოქვაბულში მოკალათებულიყვნენ. ჯაგუ გამოქვაბულში შემეპრალიყო, ჯვებეს კი ნაბადი წამოეხურა და მღვიმესთან იჯდა. ცალ მხარეს წვიმა ასხამდა, ხოლო მეორე მხრით ლოდი იფარავდა. გამოქვაბულის ირგვლივ დაბანაკებულ ცხვარს ძაღლები დარაჯობდნენ.

ამ სურათის დანახვაზე დედას კინაღამ გული შეუღონდა.

— ცეცხლში უნდა დაიწვას და დაიდაგოს მამათქვენი, ასეთ დღეში რომ ჩაგაგლოთ! — ერთხელ კიდევ დაწყევლა ფოტინემ ქმარი და ბავშვებს მიუაღერა.

ოდნავ სოველი ჯაგუ საცოდავად მისჩერებოდა დედს, თითქოს უფრო მეტ ალერსს ითხოვდა მისგან. ჯვებე კი ჯიუტად და ამაყად იყურებოდა.

მისი სახის გამომეტყველებაში დარდიც ჩანდა და მუქარაც.

დღეს მომერიეთ და დამჩაგრეთ, მაგრამ ხვალ თუ ზეგ მეც მომეცემა სიტყვაო — ამბობდა მისი თვალები.

ფოტინემ ნაღვლიანად შეხედა სახემოლულ ჯვებებს, რომელსაც ლოყებზე ცრემლივით ჩამოსდიოდა ლოდინან ჩამონაქური წყალი და მისთვის წამოღებული ყაბალახი გაუწოდა. ჯვებებს დედისკენ გაშვერილი ხელი ჰაერში შერჩა. რაღაცამ სველ მიწაზე გაიხმაურა. ქვევით წიგნი ეგდო. ჯვებებს არ უცდია მისი აღება. პატარა ჯაგუმ წიგნი უცებ გააცოცა, თითქოს მოიპარაო.

დედამ ეს არ შეიმჩნია, მაგრამ თვალი ცრემლით აფესო...

*
*
*

შაბათს, გამთენიისას, გახას ეზოში ძაღლებმა ყეფა და ერთი გნიასი ატეხეს. ლობის გაღალმა მოიმწყვდიეს ვიღაც მგზავრი და გახა რომ არ მიშველებოდა, ცუდ დღეს დააყრიდნენ.

ეს იყო ყარამანი, რომელიც ჯვებებს წასაყვანად მოდიოდა.

ყარამანს დიდი შუბი ეჭირა ხელში და მით იგერიებდა ვაანხლებულ ნაგაზებს. გახა ძაღლებს შეუწყრა, მერე ყარამანს მიესალმა.

გახამ ჯარგვალში შემოიპატიყდა ყარამანი. ფოტინეც გამოეგება სტუმარს. შემოუსხდნენ ახალ გაღვივებულ კერიას, საღაც ჯვებებს საგზალი კვერებიცხვებოდა.

ყარამანი ახლა უწინდებურად ჩოხა-ახალუხით არ იყო გამოწყობილი, საშინაოდ, მწყემსურად ეცვა.

— ძალიან მეჭარბება, როგორმე არ დამაყოვნოთ! — შინ შემოსვლისთანავე შემოილაპარაკა ყარამანმა.

— აბა, ფოტინე, ბავშვი გაადვიძე! — გაატრთხილა ცოლი გახამ.

ფოტინე მძიმე ნაბიჯით გაემართა ოდისკენ, საღაც ჯვებებს და ჯაგუმს ეძინათ.

ფოტინე ფეხაყრევით შეეცა ბავშვი შეეცის საწოლ ოთახში, მბეუბრავი ლაპა ძლივს ანათებდა მუქურვობას. შვილებთან საალერსოდ შემზადებული, უცებ განცვიფრებული დარჩა. საწოლიც ცარიელი დაუხვდა. იქნებ მეორე ოთახში იყვხენო, ორ-სამჯერ დაიძახა. იქიდახაც არავინ გამოეხმაურა. ლოგობი ჯერ გაციებული არ იყო. ეტყობოდა, ახლახან ამდგარიყვნენ, ტაისსამოსის ჩაცმა კი მოესწროთ.

აივანზე გამოვიდა და ჯარგვალში მყოფთ რომ არ გაეგონათ, რამოლენიმეჯერ ხმადაბლა გასძახა ბავშვებს, ხან ვენახისა და ხან ფარეხისაყენ. არსიიდან ხმა არ ისმოდა. მერე ცხვრის ფარეხში ატალახებულ მიწაზე დაჯარალ ფარას გახედა. რქადაგრებილი ვერძები, წვერცანცარა ყოჩები იწვნენ და მშვიდად იცოხნიდნენ, ერთი მათგანი წამოღდა და ფოტინეს ხელები გაულოკა. ფოტინემ ბელელ-მარანიც მოინახულა, მაგრამ ბავშვების გზა-კვალს ვერსად მიაგნო.

— დედაკაცო, სად გადაიკარგე ამდენ ხანს! — ეძახოდა ფოტინეს ოთმინებიდან გამოსული გახა.

— აი, შენი კაცობაც ეგ არის, წალი და ეძებე ახლა დაკარგული შვილები!

— რა მოხდა!

— ბავშვები არ ჩანან, ეტყობა, გაპარულან!

— როგორ თუ გაპარულან! იქვე იქნებიან, გააღვიძე და ჩქარა მოიყვანე, რა დროს ხუმრობაა!

— ხუმრობა რომელია. რა წყალში ჩავეარდე, აღარ ვიცი. აი, საამაღდ მიგიყვანა შენმა უქკუობამ, სხვის ფეხის ხმას რომ ხარ აყოლილი.

— ეგ რაცხა ისევე შენს კუდიანობას ჰგავს. ამ წუთში თუ ბავშვები არ მოგიყვანია, არ ვიცი, რას ვიზამ!

— ესლა მაკლდა შენგან და ახლა კუდიანიც ვარ უკვე, სულ შენი ბრალია, ბავშვები ისე გზა-კვალდაბნეული რომ დეხეტებთან; მე შენ გელაპარაკები — წალი და ბავშვები მოიყვანეთქი, თორემ იმისთანა კვიელს მოგ-

რთავ, მთელს მეზობლებს აქ შევეყრი!
 ცოლ-ქმარის ხმაშლია ლაპარაკში
 ყარამანიც გარეთ გამოვიდა.

— რა იყო გახა, რაზე ცხარობთ?

— არაფერი, ყარამან, ბატონო, სახლში შებრძანდით, შენი ჭირიმე, ხომ იცი, დედაკაცების ხასიათი, ესენი რაღაცაზე ყოველთვის ჭირვეულობენ! — ყარამან შინ შებრუნდა. გახამ თვალები დაუბრიალა ცოლს, მაგრამ შემინებულ ფოტიანეს არც ყარამანისა და არც ქმრისათვის ყურადღება არ მიუქცევია. იგი გამწარებული დარბოდა შვილებს გასძახოდა.

გახა კარგა ხანს უსაუბრა ყარამანს, მაგრამ რაკი არც ფოტიანე გამოჩნდა და არც ბავშვები, თვითონაც შეეშინდა, ყარამანს ბოდიში მოუხადა — ამ წუთში მოვალო, და გულგახეთქილი გარეთ გავარდა: ახლა არც ფოტიანე ჩანდა.

გახა ფარეხისაკენ წაივდა ბორძიკით; ვერც იქ შენიშნა ვერაფერ. შიშით შეპყრობილმა პატარა ბექობზე აირბინა — იქნებ კაკალს შეეჭკევიანო. კაკალიანებში ვერაფრის მოკერა თვალი, გარდა თხების მიერ გადასხებილი ანწლებისა. გორაკიდან ქვევით, მდინარისაკენ რომ გადაიხედა, დაინახა — ფოტიანე მდინარის გაღმა გარბოდა ხან ძახილით და ხან მოთქმით.

გახამ ორ-სამჯერ დაუძახა ცოლს, მაგრამ ხმა ვერ მიაწვდინა. ფოტიანე მალე თხმელებს მიეფარა.

ახლა კი აშკარად იგრძნო გახამ მართობის სიმწვავე. დაენანა ბავშვები, ცოლი, ოჯახი და დაღონებული უკან მობრუნდა. შევიდა ბავშვების საწოლ ოთახში, სადაც იატაკზე ჯვებებს გაცვეთილი ფეხსაცმელი ეგდო. თვალში მოხედა მაგიდაზე გადაშლილი წიგნი და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— კარგ გზაზე გაყენებთ მგონია, შვილებო, და იქნებ გლუპავთ, მე უბედური. თუ თქვენს წინაშე რამე დანაშაულს ჩავდივარ, ღმერთმა შემიწოდოს!

ამ გაწამაწიაში გახას მოაგონდა, რომ სტუმარი მარტო დასტოვა და კვლავ გარგვალს მიაშურა. ყარამანი დარდი-

ნად მისჩერებოდა ავტობიზებულ ცეცხლს, სადაც ნაქაზე ჩამოვარდნილ კარდალაში ღომი იხარშებოდა.

გახას გამოჩენამ შეაერთო ყარამანი, ძალაუნებურად ზეწამოიჭრა.

— მაგვიანდება, გახა, შენი ჭირიმე, ახლა მე ლაკადის ძირში უნდა ვყოფილიყავი. გემუდარები, როგორმე ძალე გამამგზავრე!

— ამ წუთში, ყარამან ბატონო. ჯვებებს ფეხსაცმელი ჰქონდა მეზობელთან შესაყერავი და მგონი იქ წასულა. დედამისიც გამოუდგა, რომ მალე მოიყვანოს, — იცრუა გახამ და სტუმარს რომ არაფერი შეენიშნა, გამომეტყველებაც სხვანაირი მიიღო.

დიდხანს საუბრობდნენ გახა და ყარამანი. თავიანთი ახალგაზრდობაც მოიგონეს. გახამ ღომი მოზილა და ის იყო წყლის მოსატანად გარეთ გასვლას აპირებდა, რომ ღობის გადაღმევილაცას ძალლი გამოეკიდა. ძალაუნებურად იქითკენ მიბრუნდა. გახამ შორიდანვე შენიშნა სახლისაკენ მომავალი სოფლის მასწავლებელი, ბავშვები ძია კირილეს რომ ეძახდნენ. არ ესიაზონა ამ დილით კირილეს სტუმრობა, რადგან იცოდა მისი პირდაპირობა და უთუოდ საყვედურს ეტყოდა ბავშვების გამო. გახა ღიმილით მიეგება კირილეს. სტუმარს კი სულაც არ ეღიმებოდა. ისეთი მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა, რომ საქციელწამხდარმა გახამ სიტყვა ვერ შექაღრა.

— გემდური, გახა, მიყვირს, რამ გადაგრიია...

— რაზე მიწყრები, კირილე ბატონო, ნეტავი რა დამიშავებია!

— ჩემზე უკეთ იცი, რაც დააშავე! კარგად დაფიქრდი, ისეთი რამ არ გააკეთო, ბოლოს სანანებელი გაგიხდეს!

— რა ვქნა, კირილე ბატონო, ავია თუ კარგი, ოჯახი მაქვს, შენისთანა ძვირფასი სტუმარი რომ მეწვევა, დახედრა უნდა, მე ერთი კაცი ყველფერს ვერ გაწვდდი. ერთი ხუთიოდე თხა და ცხვარი მყავს, კიდეც იმათი

იმედით ვცხოვრობ და ისინიც ნახე-
ვარზე მეტი ნადირმა მომტაცა. ჩემი
მდგომარეობა რომ იცოდე, შეგებრა-
ლები ვიფიქრე, ბაღნებმა წერა-კით-
ხვა და ცოტა ანგარიში ქე იციან, და
აწი ოჯახსაც მიხედონ-მეთქი, ამიტომ
მომივიდა ყოველივე ეს, მე უბედურს,
თორემ იცოცხლე, სიკეთე ვის არ უნ-
და, — თითქოს მონანიებით მიუფო
გახამ.

— ცდები! სამაგალითო მშობლად
მიმანდი მთელ სოფელში და ეს რა
ჩაიღინე! კიდევ არ იცი, რა ნიჭიერი
და სწავლის მოყვარული ბავშვები
გყავს. დანაშაულს ჩაღიხარ, ალბათ
ჩვენი მტრები გაქვებენ.

— არა, შვილებს გეფიცები, მე
სხვისი ჰკუთნო როდის დავდივარ.
ღმერთმა დასწყევლოს მტერი, მათთან
რა საერთო მაქვს. ცოტაოდენი საქო-
ნელი მყავს, და არ მინდა უპატრონოდ
გამინადგურდეს.

— წავიდა ის დრო, როდესაც მთა-
ბარში კერძო მეჯოგეები დათარე-
შობდნენ და ჩვენს ბავშვებს კულაქ-
თა მოჯამაგირეობაში სული ხლებო-
დათ. დღეს თუ ხვალ მათ ბოლო მო-
ვლება, კოლმეურნეობაში გაერთიან-
დება კერძო პირუტყვი. გირჩევ, ნუ
აყვები კულაქთა ოინებს.

ქვეყნის ამბავს მე ვინ მკითხავს,
ბატონო კირილე! რაც შეეხება შვი-
ლებს, არა მგონია, ისინი ჩემზე უფრო
ვინმე სხვას უყვარდეს.

— შვილები ვის არ უყვარს, მაგ-
რამ მარტო სიყვარული არ კმარა. მე
მინც მინდა შენთან ერთად ბავშვე-
ბის აზრიც მოვისმინო. თუ ახლოს
არიან, გთხოვ, მომიყვანო.

— შინ შემობრძანდით, იქ ვილაპა-
რაკოთ.

— გაკვეთილები დაეტოვე, მეჩქა-
რება; თუ შინ არიან, აქ დამიძახე. —
დაჩინებით მოითხოვდა კირილე.

— შემობრძანდით, ბავშვები მეზო-
ბელთან გავგზავნე, მალე მოვლენ, —
აქაც იცრუა ორ ცეცხლშუა ჩაეარდ-
ნილმა გახამ.

— მოთმინება აღარ მყოფნის, შენ
ისიც არ იცი, სად გყავს ბავშვები.
შისველ-ტიტველნი ამ დღით სკო-
ლაში მოცივდნენ და ჩემთან ცხარე
ცრემლით იტირეს. მიკვირს, რატომ
ჩაღიხარ ასეთ დანაშაულს? — გაც-
ხარდა კირილე.

— პატივსაცემი კაცი ხარ, კირილე
ბნტონო, მარტო ჩემი კი არა, მთელი
სოფლისათვის და გთხოვ, ოჯახს ნუ
ამირევ, ნუ გამამწარებ! სახლ-კარს
მოვლა უნდა, პირუტყვს — მეთვალ-
ყურეობა. შვილების მოსწრება მიხა-
როდა, ტვირთს ცოტათი შემიმსუბუ-
ქებენ-მეთქი, შენ კი ბავშვებს მიჯან-
ყებ. მწყინს, კირილე, შენგანი — ცხა-
რედ მიუფო გახამ.

ყარამანმა გარეთ გამოიხედა. კი-
რილემ მას თვალი მოჰკრა და გახას
უთხრა:

— მე კი არა, აი, ვინ გირევს ოჯახს.
გრცხენოდეს, ბავშვები სკოლიდან
გამოგყავს და ყარამანს — სოფლის
ბობოლას, მოჯამაგირედ აძლევ. გახ-
სოვდეს ჩემი სიტყვა, ბოლოს ინანებ!..
ამ სიტყვებით დაშორდა გახას სოფ-
ლის მასწავლებელი.

შეურაცხყოფილი და გონებააფო-
რიაქებული გახა დიდხანს იდგა გაოგ-
ნებული ყვითელი ფოთლებით მოფე-
ნილ მინდორში, შემოდგომის დილის
მზე, უღიმღამოდ თავს დაჰნათოდა...

(გაგრძელება იქნება)

მინილ ქალიშვიკი



კოეზია

თუ გიცდიათ მდინარეში
ჩანგლით თევზის ჭერა?
სულ უბრალო საქმე არი:
ზიხარ,
უცდი.

გჯერა.
ასეთია პოეზიაც
ანუ ლექსთა წერა:
კალმით ხელში მაგიდასთან
ზიხარ. უცდი. გჯერა.

მეოცნება

ზის სავარძელში და იგონებს მანგლისის
ფიქვებს,
ალგეთისაგენ საბანაოთ გაქცეულ
ბიჭებს,
მწვანე აგარაკს. მოულოდნელ შხაპუნა
წვიმას.
სველ ფოთლებს ღია აივანზე და ათას
წვრილმანს:

მობზუც დედაბერს, რომ ეძებდა
დაკარგულ მოზვერს,
ბაჯბაჯა ბატებს გამოფენილს კრიალა
მოლზე,
მოაგარაგე პროფესორთან ჩაის სმას
ღამით...
ზის და იგონებს...
და რომ იცოდეთ
ბედნიერია რა რიგათ ამით?!



ნიკოლოზ ზაბოლოცის

ნეტავი იმ დროს, როცა სახლიდან
შენ შეგიძლია უცებ გახვიდე
და შეუშვირო მზის სხივებს სახე;
როცა ფიქრივით ვრცელი ქვეყანა
შენი ოთახის გაგრძელებაა
და როცა მერცხლის პირველ დაძახილს
მზადა ხარ ქვეყნის კიდემდე გაპყვე!
ნეტავი იმ დროს, როცა მთლიანად
კარშია ყველა! როცა ღიაა
ყველა ფანჯარა და ყველა კარი
როცა ჩიტების ისმის ჟღერტული,

როცა ნასროლი, როგორც შურდული,
შენს მაგიდაზე თარეშობს ქარი
და ხელნაწერებს გიფორიაქებს
შენ კი იცინი და გიხარია:
(„დასწყველოს ღმერთმა! ეს რა ქარია?
ძლივს იყო, ცოცხალ სტრიქონს მივაგნე
და ყველაფერი არივ-დარია“)
ნეტავი იმ დროს!.. ნეტავი იმ დროს,
როდესაც ლექსი არ იწერება,
როცა ბუნება თავისკენ გიხმობს
რომ გაგრძნობინოს ბედნიერება!

ყაყაჩო

გზისპირს ყაყაჩო ღვივის
ნალვერდალია თითქოს,
არ დაიშურებს ღიმილს
და არც მოგაკლებს სითბოს.

ნუ შეეხები ოღონდ,
და ნუ ჩაიკრავ გულში...
ვახსოვს პატარა ვოგო
აქ რომ ატირე გუშინ?

ილია ხოშაია



რასაც ვეტყვოდი

ახლა ვიგონებ: მინდვრად თუ მთაში —
შენთან შეხვედრას და გულის ფეთქვას,
„მიყვარხარ კარგო“ — ეს სიტყვა მაშინ,
რა ძნელი იყო პირველად შეთქვა;

მჯეროდა მუდამ გზას გამინათებს
დედის ალერსი, — ტკივილს აყუჩებს,
მე სულთ მადლად ადამიანებს
ვეტრფოდი როგორც დიად საუნჯეს;

არ გათავდება კაცობის ყავლი,
არ ვუსურვებდი ტანჯვას არავის,
მუდამ ვფიქრობდი ვყოფილიყავი
გამქარვებელი სხვისი ვარამის;

ამან დაბადა ჩემი სიმღერა
სხვა სიხარული ჩემს ხმას არ ახლავს,
მე კაცის გულის სიმართლე მჯერა
და მის სიყვარულს ლექსში ვინახავ.

ორმოცდაათი გავიდა წელი
მიმოვიხედე და უცებ შევეკრთი,
თითქოს მომედო ცეცხლი დამწველი,
რომ შემიქმნია ასე მცირედი.

წლებს თავის მიაქვთ, თითქოს ვილევი,
მშობლის ამაგი შეიღებს ახსოვდეს
არ მქონებია ვარდყვავილებით
გზა მოფენილი მე არასოდეს.

ასე თუ ისე, ღმერთმა იცოდეს,
არ დამიშურავს ძალა, ვმხნეობდი...
ვიბრძოდი ძვირფას სამშობლოსათვის
სპეტაკი გულით ხალხს ვუმღეროდი.

რაც გავაკეთე წვეთია ზღვაში
და ჩემს თავს ახლა ასე ვეტყვოდი:
„ცოტათი მაინც ხომ შევისრულდა
ცხოვრების გზაზე რასაც ეტრფოდი“.

სიკვდილის მიხედვით



სიკვდილის მიხედვით*

III

დაეხეტება ქარბუქი
ქისტების ბედურულ მხარეში,
მთებს გაწამებულ სულს უფრთხობს
მისი ველური თარეში!

თოვლს მაღალ ციციბოებზე
აგროვებს დაუნდობელი,
რომ უცებ ზვავით დამარხოს
მიძინებული სოფელი...

დაეხეტება ავღარი
შმაგი და ქარიშხლიანი,
კლდეების კენესა გაისმის,
კლდეების ძვლების ყრიალი!

თან ჩაიტანეს უფსკრულში
ტყე მოხეტქილმა ლოდებმა
და გაჰყვა უღრან ხეობებს
ცისა და მიწის გოდება!

იქნებ ეს არის ბუცის ხმა
და არა რისხვა ქარისა,
იქნებ ეს მხოლოდ ბოღმაა
ხმლით თავგაჩეხილ ხარისა, —

იქნებ ქისტია ბეჩავი
და ძმად-ნათიცი კახაყის
სოფლიდან სოფლად, ღამეში
თავის ძმადნათიცს გასძახის!

ქარმა გადაჭრა თარგიმი
და ჰაირახი მაღალი,
რომ გააგონოს ღამეებს,
ღღისით რაც მოხდა ახალი,

და შორი კოშკის ქონგურებს
მოაწყდა სუნთქვა ქარისა,
შინაურივით შეაღო
ძველი ურდული კარისა,

რა უნდა ეთქვა, რა იყო
ამ ქვეყნად გასახარისი?!

და აქ მით უფრო... უცერად
გაწყვიტა სიტყვა თავისი.

...ვთქვა, რა ტირილს შეესწრო,
ქვებსაც კი გული უტირის, —
წვეს ბუტირინი ნაბადზე
და სუნთქვა უმძიმს ბუტირინს!
წვეს ბუტირინი და მაინც
მამაცი კომისარია, —
ფერმიხდილ შუბლს რომ აშუქებს,
მხოლოდ-და ცეცხლის ალია!

წვეს კომისარი და იწვის
თვალები მომაცედავისა,
უკვე ჩაწყვეტილ სიმით
უფეთქავს ძარღვი მკლავისა!
უკვე შორს წასულ ფიქრებში
სიზმარი სიზმარს ჩააქსოვს,
და ისევ ბრძოლის ველზეა,
ბრძოლების მეტი რა ახსოვს!

სად აშრილდა სიმიანი?
ნუთუ ეს მისი ცხენია?!
ცხენს დაუქირა უზანგი,
უზანგი სისხლით სველია,
მოახტა მაინც უნაგირს,
უნდა ძირს აღარ დაეცეს, —
ხელში შიშველი ხმალი აქვს,
გაქცეულ მკვლელებს დაეძებს!

ტყვია თვალსა და თვალს შუა
მოხვდა მას, მაგრამ წესია
და ვაქცაყური ღიმილით
შედგა, არ დაუკენესია.

ო, არა, შუბლი კი არა,
გაუბეს გულისფიცარი...
თუმცა რუსია — ქისტებთან
არის ძმად შენაფიცარი!

„რათა ეს, გულო, ქუდმოხდით
თავს რად გადგანან ქისტები,
იქნებ ლზინია, ლუდის სმა,
შესვი და გახალისდები!

მეგრამ ეს რაა, რად ფარავს
თვალებს ნაფლეთი ღრუბლისა,
რა ცივმა ცვარმა დანამა
პიტალო შენი შუბლისა!

ლამდება, ალბათ ლამდება
და ნაკერცხლებიც ქრებიან...
კარს მაინც ვინღა მოადგა,
ვისი მაღალი მხრებია!

სად გარბის ცხენი უბელო
და ცხენი უნაგრიანი?!
ცხარე ბრძოლაა, კივინი
და შიშველ ხმლების ტრიალი!

ცხენდაცხენ მეფის ოფიცრებს
შეებნენ გაბედულები, —
ქულებით ამოუტენეს
იმათ ზარბაზნებს ლულები!..

არა, შეუდღე ყოფილა,
და ბუტირინიც მხნედ არი,
დგას, ვაჟკაცურად უკოცნის
მყერდს ვიღაც ქისტი მხედარი.

ბრძოლაა, ისევ ბრძოლაა,
ზეცას ანათებს ხანძარი,
ქალაქი ვლადიკავკასი
თითქოს არის და არც არი!

თოვლია ისევ, ქარბუქით
მიმორბეული გზებია,
კრემლით და სისხლით ბუტირინს
თვალეები ამოვსებია...

ხმაღს ეძებს, ხმალი არა აქვს,
ძალა არ შესწევს დგომისა,
მწუხარედ შემოსცქერიან
ქისტები თავის კომისარს.

და კომისარიც შეკყურებს
ყველას გულგაცეცხლებული,
ზედავს, თუ როგორ დასტირის
მკედარს ვაჟკაცების კრებული.

ზედავს, რომ უკვე გორაკზე
ქალი ნიშის ქვა არის, —
ვაჟკაცი იყო, ღარსია
ხანჯლით გაჭრილი სამარისა!

ზეალ წაეა მთებში ამბავი,
ზეალ აქ არავინ იქნება,
ახლა კი ახლა ტყვილით
ზორცი და ძვალი იღლება!

აქ ახლა ცეცხლის ლაღარი
შემკრთალ სახეებს ანათებს,
ძირს დაუხრიათ მხარ-ბეჭი
ქისტებს, მთებზევით ტანადებს...

ამ შავ-შავ თვალებს, შავ ხანჯლებს
აქვთ მუღამ ერთი ბუნება:
უსიტყვო ჯავრი იციან
და არა დაძაბუნება!

წევს ბუტირინი, უსიტყვოდ,
პირს ნათელგადაფენილი
და ელანდება საწუთრო
ერთ წაშში გადარბენილი.

უცებ სურს ამოიკითხოს
თვალების ვიწრო გახელით:
„ — ნეტავ თუ მოგვიგონებენ,
გულო, კეთილი სახელით!

გულო, წუხილიც ხომ გესმის
ძმადნათეც მთიელებისა,
არის მწუხარე დუმილი
ნიშანი ძლიერებისა.

რუსი კაზაკის გული ხარ,
მთისა და ბარის ძმობილი,
მთისა და ბარის სისხლიან
ქარცეცხლში გადადნობილი!..“

და უცებ დაჭრილ კომისარის
ბრძანებაც კაზაკურია:
— აბა, მომყევით! — იძახის,
დგება და ბრძოლა სწყურია.

ფერდაკარგულმა ამოდ
აასავსავა ხელები, —
— ცხენები! — გასცა ბრძანება,
მეგრამ საღლაა ცხენები?!

ცხენების ნაცვლად ღამეში
გალიგრიალეს ქარებმა...
— დამშვიდდი, ბიჭო, დამშვიდდი! —
სთხოვს სერგო, ემუღარება.

გულს ჩაუნათა ღიმილი,
კრემლი კი აღარ აჩვენა,
თავქვეშ დაუღო სასთუმლად
მოსიყვარულე მარჯვენა.

და ბუტირინი მეგობარს
ულონოდ გადაეკონა, —
— ნუთუ ეს იყო სიზმარი,
ბიჭო, მე ცხადი მეგონა!

ხელ როცა მთების კალთებზე
 შეიყრებთან ჩვენები,
 როცა შე იმათ ვერ ვნახავ,
 ვიცი, შენ მომეშველები! —

ცალ ხელში ქული გექნება,
 ცალ ხელში — ცხენის სადავე,
 და ჩვენს საყვარელ მებრძოლებს
 ეტყვი: ხევსურეთს გადაველი!

ახლა კი ცეცხლთან დამტოვე,
 ვგრძნობ, აღსასრულიც აქ არი...
 დააიძვდე ბიჭები,
 ბეჭებზე ხელი დაჰკარი!

და ბუტირინის მზნებარე
 მზერაც თანდათან დამშვიდდა,
 ხელი გადიელო თვალებზე,
 მაგრამ ბნელს როგორ წაშლიდა!

ირგვლივ მხოლოდ-და სიჩუმე
 და მწუხარება მეფობდა.
 მთიელებს ერთად ვაეღილი
 ბრძოლები აგონდებოდათ...

წამოდგა სერგო, გაულო
 ბნელს თითქოს განგებ კარები.
 ქარმა გაყინა უეცრად
 ლოყის ნაცრემლი ღარები...

IV.

გავიდა შავბნელ ღამეში,
 ჩუმი ნაბიჯით გავიდა.
 აღარც უმზერდა ქვეყანას
 შემკრთალი სანახავითა.

საღდაც შორს ყეფა ისმოდა,
 იყო ხალხი და სოფელი...
 მან კი აქ ჩამოიტოვა
 მტრად ჯაერი დაუნდობელი!

მხოლოდ ფიქრს ენდო, ღამეში
 მხოლოდ-და გული უცემდა.
 ასეთი ბრძოლა დილაში
 ბნელსაც-კი მოახუცებდა.

მაგრამ ნაცრემლი თვლები
 სერგომ გააღო თუ არა,
 ნახა, რომ დამცხრალ ქარბუქის
 სუნთქვამ მთებს გადაუარა

უკვე დათოვილი მთებიდან
 შორეულ მყინვარ-ჭედამდგარ
 ცა ისე გადაიწმინდა,
 გაჭვრეტლი, გაიხედავდი!

გამამხნევებელ სიჩუმით
 და არა ჩუმი გლოვითა —
 ყველა მთა, ყველა ღრუბელი
 გულთან სულ ახლო მოვიდა.

და თეთრი ნაბდის კალთები
 ხევსურთა მყინვარებისა
 გამოჩნდა ცაში გაფანტულ
 ვარსკვლავთა ბრწყინვალეებისას!

შორი ტყეების, კლდეების
 და ვარსკვლავების კრებული
 აღამიანის წინაშე
 შეჩერდა დადუმებული!

...და შენ, ამ ქვათა ხაფანგში
 მზორგავო აღამიანო,
 ეგ შენი დედასოფელი
 როგორ გსურს აახმიანო?!

რასაც ხედავდი, ეს იყო
 სულ შენი ცა და ქვეყანა,
 განკითხვის დღეც ხომ, კეთილო,
 ამ გზაზე შემოგეყარა!

მაშ, დაიძინე, დამშვიდდი-
 თაქვეშ დაიგე ფერდობი,
 ეს არი შენი წილხვედრი
 თუ ბედისწერას ენდობი!

მკაცრია დღე და მეტადრე
 მთის ბნელი ღამე მკაცრია,
 მაგრამ ღამეთა სიბნელე
 შენს ხმალსაც გაუკაწრია.

მაშ, გაუსწორე თვალი თვალს,
 იდექ მკერდშიშველ მთასავით,
 და ყოველ განთიადისას
 აკუწე ღამე ფრთაშავი!

ციმციმა ვარსკვლავებამდის
 აჰყევი ციციბო მწვერვალებს,
 და ისევე ბრძოლის ხალისი
 შენს გულშიც გაიფლავარებს...

შენც აგამალლებს სიწმინდე
 და სიღიადე ბუნების,
 რომ სიხარულით გიცვალოს
 სიმკაცრე უბედურების.

აღსდგე, მედგარი ნაბიჯით
 ისევ წინ უნდა იარო,
 დაბრკოლებათა წინაშე
 არ შედრკე, აღამიანო!

ვინც აქ დაეცა გმირულად, —
 ცოცხალთა შორის იგულე,
 მომავალ დღეთა ნათელში
 მათი ხმით დაიგუგუნე!

ბოლშევიკური შეტევის
 ძალა ხომ მთამაც გაიგო:
 არაა ციხე-სიმაგრე
 ისეთი, რომ არ აიღოს...“

და ამ ფიქრებში მიუჯრდა
 ქვეყანაც ფეხით ნათელი,
 მთებს მთების ფერი მიეცათ
 მთვარეს კი მთვარის ნათელი!

და სერგო ორჯონიკიძე
 უკვე თვალნათლივ უმზერდა,
 თუ როგორ გადადიოდნენ
 ღრუბლები მთების გულზედა.

დაუდგარი ჩქრილი
 მღელვარე ხევის წყალისა
 ხევს აცოცხლებდა, მიდამოს
 აძლევდა ბრძოლის ხალისსა.

და სიბნელეში აქა-იქ
 შუქივით ჩაუმქარალები
 თვალს ანიშნებდნენ მათაურს
 ქისტური შავი თვალები!

გახედა სერგომ მომავალ
 ღრუბლებს შავსა და საავდროს,
 მიხედა, რომ იგი ამ დამეს
 არ დაივიწყებს არადროს!

დინჯად გამართა ნაბიჯი
 გაქრა ბილიკი მთებისა,
 გაქრა და გაჰყვა იმედიც
 მომავალ თავდადებისა!

V

— გვითხარი, სერგო, ჩვენ რა ვქნათ,
 და ჩვენმა თოფის ლულებმა?
 დავესხათ მტერს თუ ვიცადოთ
 კლდეებში მიმაღლებმა? —

ესმოდა სერგოს... და ირგვლივ
 კედლებზე აღბეჭდილებდა
 პასუხს ელოდნენ ქისტების
 მხრებაწეული ჩრდილები...

მხოლოდ-და ბუკალით კაწრავდა
 ბნელს ნაპერწყალთა სინათლე,
 და გაიხსენა სერგომაც,
 ვის უნდა ეთქვა სიმატლე.

ვის უნდა ეთქვა პასუხი,
 და ვისი სიტყვა გაჰკრიდა, —
 შარშანწინდელი შეხვედრის
 წუთი შორიდან გაჰკვირტა!

სერგოს გულშია სურათი
 შუქივით შემორჩენილი:
 შორს მატარებლით ისწრაფვის,
 სურს ინახულოს ლენინი!

გუმანით იცის, ბელადი
 უთუოდ რაზლივს იქნება,
 მაგრამ სად? როგორ გაიგოს,
 ძნელია კვალის მიგნება.

ფარულად ცხოვრობს ლენინი,
 და სერგოც ეძებს ფარულად:
 აგერ მდინარის ტოტებში,
 გაშლილი ნიაღვარულად,

აგერ ქალი და ყმაწვილი,
 ისე, ვით სურათში არი
 მიცურავს ნავი და ისმის
 ლაქაშთა შრიალ-შრიალი...

და აგერ ქოხიც, ტბის პირად
 ჩუმი და მყუდრო ალაგი,
 შინდორში თივის ზვინი დგას,
 მოუთიბიათ ბალახი.

მამას გასძახის ყმაწვილი
 და მამაც გამოეგება.
 სერგომ გაუბა ბაასი
 ვინ იცის, რას არ ეხება...

ახლა სხვა ვიღაც მოვიდა
 წვერულეაშ გაპარსულია,
 სერგო ყურს უგდებს. უყურებს
 და ვერ მიმხედარა სრულიად,
 რომ უკვე იცის უცნობმა
 მისი აქ მოსვლის მიზანი,
 მხრებზე უეცრად ხელს დაჰკრავს:
 — რა, სერგო, ველარ მიცანი?

(გაგრძელება იქნება)

დავით ნაჩავიანი



ჭიუხევიდან მოღის აპრილი

აიპართავენ მთები ხერხემალს,
მღვრიე მდინარე აედრობს აღრიან.
ხახაბოებზე ჯიხემა ბერხენმა
ყინული რქებით გადმოამტვრია.

კვირტებს გაიხლენს შტო დააფრილი,
ყვავილებს დაჰყრის სათინათინოს;
ავთანდილივით მოვა აპრილი,
ხაირეშვე რომ გადინადიროს.

ქ ა რ ი

ქარი ასხლტა ურასავით
ცაზე მკერდის დასახლელად,
კლდეკარები ურაზავი
მძლავრი ფრთებით გადაქელა.
გახელდა და არიალდა
მუხლში იგრძნო მთათა ძალა,
აიწყვიტა დარიალთან,
ზღვის კიდემდე ფრთა გაშალა.
შემოჯარა ჯერ ღრუბლები,
მეხი იხმო თანატოლად,

მწვერვალები ხელუხლები
ნარისხელმა გადატორა,
ზღვის ტალღები განაშორტი
ასხლტნენ მისი შეკარებით;
— წამოსულა ქარაშორტი,
ჩაუხერგავს კლდეკარები,
თურმე რისხევით არიალდა,
მუხლში იგრძნო მთათა ძალა,
აწყვეტილმა დარიალთან
ზღვის კიდესთან ფრთა გაშალა.

ზ ლ ვ ა ს თ ა ნ

გაფრინდა ნიაფი შორეთს,
თეთრად გაშალეს ფრთები აფრებმა...
მზე გადასცდებდა ღრუბლების ტბორებს
და ზღვის ტალღები შეიქაფებდა.
ზღვას თოლიები ჰკოცნიან გზნებით,
სიხარული და მზე რომ ახარონ...
მეც თოლია ვარ!
გავშალე ფრთები,
შფოთიან ზვირთებს მკერდი ვახალო!
ზღვის ნაპირები რძისფერ ქაფს ივლებს,
მქუხარე ტალღებს გულ-მკერდზე
აფენს.

მზე გადაუშვებს მორევში სხივებს
და მეწამულად შეღებავს ცისფერს.
ზღვა დაისრული სხივების ზოლით
დატრიალდება ოქროს მორევად,
მზეს ჩაეკვრება მკერდანათრთოლი
და ცხელ ბაგეზე ეამბორება.
შემდეგ ნისლები დაისს ებურვის
და თოლიებიც მღვრიე ჩქერს ელტვის,
მეც თოლია ვარ, აისრებული,
მქუხარე ტალღებს ვახალო მკერდი



ხელშეწყობის შორეულ ძებნებთან*

ვიწყებთ პომპეის დათვალიერებას ყოფილი მთავარი შესასვლელიდან. შემდეგ ეხედეთ პომპეის ერთგვარი დიდი პატრიონის სახლს, რომლის ფრესკებს, დღემდე საუცხოოდ შემონახულსა და კარელ იატაკს, ვინც იფრებოდა შოუეაგრო. ვინც იფრებებენ ძველი პომპეის დიდ საწყობს, სადაც აფრიკიდან მოტანილ სანოვანებსა და სხვა საქონელს ინახავდნენ. თუ რა დიდი იყო ეს შენობა, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ახლა იქ პომპეის მუზეუმი მოთავსებულია ამ მუზეუმში ტურისტები ეცნობიან იმ ძეგლებს, რომლებიც გათხრების დროს იპოვნეს. დამაფიქვლა მეთქვა, რომ პომპეის აბაზანს არ ცხოვრობს (საცხოვრებელი ქალაქი პომპეი, შემდეგ გაშენებული, ცალკეა ქალაქი — მუზეუმ პომპეისთან მას საერთო არაფერი აქვს). ამიტომ, ბუნებრივია, იქ არავითარი დაწესებულება არ არის, გარდა ამ მუზეუმისა, რომელიც ისევ ძველი პომპეის შენობაშია — იმდროინდელი მაგრამ შემდეგ შეეთავსებულ საწყობშია მოთავსებული.

პომპეის მუზეუმში მეტად თავისებური და ორიგინალურია. თქვენ აქ გიზიდავთ არა სიმდიდრე, რაც ევროპულ მუზეუმებში თვალს იტაცებს, არამედ თვით ძეგლების შინაარსი. ყველა ექსპონატი პომპეის სრული საყოფრთხილოა, პომპეის ფერფლიდან ამოღებულია, ამდენად, ისინი ხშირებაში იყენენ 79 წლის 24 აგვისტომდე, შემდეგ კი საუკუნეების მანძილზე ვეზუვის ფართლქვეშ განისვენებდნენ ქალაქთან ერთად.

როგორც ნეაპოლის ნაციონალურ მუზეუმში წარმოდგენილ პომპეურ ექსპონატებს, ისე აქ გამოფენილ ძეგლებს სიღამწერე ეტყობა, განსხვავებით პერკულანუმის ძეგლებისაგან, რომლებიც მხოლოდ დაწინაურებულია, ტრუქსის სენი ვცემთ, როცა ამ ძეგლებს ეუფრებთ. ამ ტრუქსის სენთან ერთად გრძნობთ ძველი პომპეისა და ძველი პომპეელების საშინელ ტრაგედიასაც. აი მათი ძვირფასი ნივთები, შტრუსული და „დატანჯული“, თითქოს განვლილი წამების შედეგად სახე შეუცვლიათ. მათ შორის ბევრია ოქროს სამკაულები, ოქროსივე საყოფაცხოვრებო საგნები, ვერცხლის ნივთები, ნაირნაირი სამკაულები, მოგრძო ქვეყნები, მინიატურული ყელსაბამები, დიდი თუ პატარა დისტანაგები, ერთი სიტყვით, ყვე-

ლაფერია, რაც წარმართი ადამიანის ყოფაცხოვრებას და ესთეტიკურ იდეალს შეესაბამებოდა. არის აგრეთვე ფერადი მინისაგან დამზადებული ნივთები, იმის მანქანებელი, რომ პომპეელებს ფერადი მინის წარმოება ჰქონოდა და მისგან ლამაზ საგნებსაც ამზადებდნენ.

ყველაფერი ეს დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში აცოცხლებს ძველი პომპეელების ყოფაცხოვრებას, მათ დამახასიათებელ ნიშნებს, ჩვეულებებს, ადათებს, ტრადიციებს, ინტერესთა წრესა და გეოგრაფიას. აღდგენილია ბევრი მათგანის ნამდვილი სახეც. თქვენ აქ ხედავთ არა მარტო იუმპიტრის ქანდაკებას, რომელიც დიდი ოსტატის მიერ შესრულებულს, არამედ ნამდვილ პომპეელთა უტყუარ ბიუსტებსაც. ყველა ისინი ერთად რომ დალაგო, ძველი პომპეელების ერთი ჯგუფის სრულსა და ნამდვილ სახეს მიიღებთ, ვინაიდან ეს ბიუსტები ზუსტად გამოხატავენ ნამდვილად არსებულ ადამიანთა სახეებს, — იმ დროს ხომ ბიუსტი, საერთოდ ქანდაკება, დღევანდელი ჩვენი ფორგრაფიის როლს ასრულებდა. თუ ამას დამატებთ პომპეელთა იმ სრულსა და აბსოლუტურად ნამდვილ სხეულებს, რომლებიც ვეზუვის ფერფლმა შემოინახა, მაშინ თქვენ შეგიძლიათ საესებოთ დარწმუნებული იყოთ, რომ 79 წლის 24 აგვისტოს ჯერ კიდევ ცოცხალი ბევრი პომპეელი პირადად ნახეთ, ხოლო ბევრი მათგანის ტრაგიკულ გარდაცვალებასაც დაესწარით.

ერთგვარი მათგანი აი ბერი, მინის ყუთში წევს, პირქვე დამხობილი, მარჯვენა ხელით მაგრად იფარავს თავს, ისე მაგრად, რომ მარცხენა მთხვევლია. მაგრამ ეს რას უშველის საბარლოს! მისი სხეული ტანჯვისა და ტკივილისაგან დაძაბულია, მხოლოდ ზედა პერანგი შერჩენია, წელს ქვევით სრულიად შიშველია, შესაძლოა საშინელმა აღსასრულმა ხედმავეს ძილის ან აბანოში ტანის გაბდის დროს მოუსწრა. იგი საშინელი შესახედავია, და, როგორც ვეიოზრეს, ასეთი „ადამიანები“ „Pompei Romana“-ს მუზეუმის გარდა, არა მარტო ნეაპოლშია, არამედ აქვე, პომპეის განთქმული თერმებს ნანგრევებშიაც ნახავთო.

მართალია, პომპეის მუზეუმში პატარაა, მაგრამ რაც იქაა წარმოდგენილი, მატერიალური კულტურის ძვირფას ძეგლებს განეკუთვნება. მკვლევარს უფროდ დაინტერესებს მუ-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 4, 5, 6, 7, 9, 10, 11, 12, 1958 წ.

ზუგის ის განყოფილება, რომელიც საცხა პომპელების უძველესი პერპეტუელი, უმწვენიერესი რომელი ტერაპიებით. ჩანს ამ მხრივ ძველი ასორტიმენტიც შეტად ფართო, მრავალგვარი, მრავალფერი და მრავალნაირი ყოფილა. ჭეპების უხვი ასორტიმენტი იცემა ასევე ნაირნაირი დოქტრინითა და თეორიებით, სასწიებითა თუ ჯამებით. ზოგიერთი მათგანი ჩვენებურ აზარტუას მოგვარებით. ეს გასაყვირიც არ არის, ვინაიდან პომპელებს მშენებელი ლენო ჰქონდათ. ისინი ბევრს სუამდნენ, ცხადია, ვინც შედლებული იყო; დეონოს თეორიული ექსპერიმენტული და სხვადასხვა ახლებდნენ. ამიტომ მათ ლენის სასწიების შეტად ფართო ასორტიმენტი ჰქონიათ, ხოლო გემოვნება თუ მადა ძალიან ვადიქტებელი. საერთოდ, პერპეტუელი, რომელიც აქაა წარმოდგენილი, გაოცებთ თავისი სიჭრელით; ათასნაირი და ათასგვარი ზომისა, დამხატვლულია როგორც თიხის, ისე ლითონისაგან.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ძველ პომპელებს საკმაოდ განვითარებული ყოფაცხოვრება და ასევე საკმაოდ მაღალი გემოვნება ჰქონიათ. ამასვე მოწმობენ უფრო ადრინდელი პერიოდის პერპეტულების ნიმუშებიც. ბევრი მათგანი მიცელებულთა სამარხებშია ნაპოვნი. წარმართები ხომ სამარხში ატანდნენ მიცელებულებს „სიხურებისათვის“ საჭირო ყველა ნივთს. აღსაზნებლობასა და მორთულობას. მეზუემში გამოუღწეიანთ ამ სამარხებიდან ამოღებული ადამიანების ჩონჩხები, ჰვენს ერამდე შე-4 საუკუნის პერპეტულობა, რომელიც ბერძნული მითოლოგიის გავლენით არის მოხატული და ცნობილი მითების ილუსტრაციას წარმოგვიდგენს. ნახვთ ძეგლებს, ტუფისაგან გაკეთებულს.

მეზუემში წარმოდგენილი ექსპონატები, რომლებსაც ეს უბედურება პომპელების მშობლიურ ქალაქთან ერთად ვადატეანიით, მრავალ ფიქსსა და გრძობას ადგიორავთ. ისტორიის დაფიქტრალი ფურცლები თითქოს ცოცხლებიან. რომ გონების თვლით ყველაფერი დაინახოთ. თქვენ აქ ხედავთ ავგუსტუსის შეუღლის — ლიბის ქანდაკებას. ეს მისი ნამდვილი ზუსტი სახეა. მხოლოდ მარმარილოდ ქსეცული და დაღებუბული მაგრამ ქანდაკება ისე ისტატურადაა შესრულებული, თითქოს იგი ველამარაყებოდეს. საეჭვო არ არის, რომ გაიოს იუდეუს ევისრის შემყიდრეს არ ვაუქმარდებოდა ყველაზე საუკეთესო ისტატისათვის მიენდო თავისი უსაყვარლესი შეუღლის სახის უკვდავყოფა. და მარმარილომ, ისტატის მიერ განსილიერებულმა, ჩვენამდე მოიტანა. ზიონს შემოყვანა იგი თამაშებს ვადას-ენებს ამ სახეს, რა ვაუყოთ, თუ მარცხენა ხელის თითები ლიბის მომწვარი აქვს, ისევე როგორც პომპეის ნანგრეეებიდან წამოღებულ

თითქმის ყველა ექსპონატს! სამაგიეროდ, ქანდაკება მთლიანად ვადარჩენილსა და იგი ჩვენს წინაშე დგას ასევე მთლიანად სასწილად.

ლიბის ვარდა, თქვენ აქ ხედავთ მეორე ისტორიულ პაროვნებასაც — ნერონის მეორე ცოლის ქანდაკებას. ეს ქალი პომპეელი იყო, ყოფაცხოვრებაში მსუბუქი ყოფაცქვევია, მაგრამ ნერონს მისთვის დამახასიათებელი სიგიჟით შეუფერადა; ამის ვაშო პირველი ცოლი მოკლა და ეს ხასა შეირთო. ეტყობა სანდომიანი ქალი ყოფილა, თუმცა არც ისე ლამაზი. იგი ჩვენს წინაშე დგას თავისი დროის რომაული მორთულობით.

ისტორიულ პაროვნებათა ქანდაკებების გვერდით წარმოდგენილია მითიური არსებების გამოხატულებანიც. ყრმა პერკულესის ქანდაკება იმდენად ადამიანურია, რომ ვერც დაიჯერებთ, თუ ეს მითიური სახეა. მოქანდაკეს, აღბათ, ცოცხალი მოდელი ისე ვარჯი ჰქონდა, რომ მიწიერიდან მითიურზე ვადასულა ველარ შეიძლო. იგივე უნდა ითქვას ომის მრისხანე ლმერთის — მარსის ქანდაკებაზე, რომელიც ასევე სადა, უბრალო და ბუნებრივია; ვგვონება, თითქოს, ბერძნული მითოლოგია დამარცხებულა სინამდვილის ცოცხალი სახეების წინაშე, და შედგროში არსებობა მისთვის ვადულოცია. მარსის ეს ქანდაკება მთლიანად ბრინჯაოსია და არა მარმარილოსი, როგორც დანარჩენი ქანდაკებანი.

ბევრია აქ ნაირნაირი ნივთები და საგნები. მათ შორის მეთუთესებით ძველი პომპეის ნემიზმატიკური ძეგლებიც. შევიქლიათ მრავალად ნახოთ პომპეოში იმ დროს მოქმედი ან კიდევ უფრო ადრინდელი ხანის ვერცხლისა და ოქროს ფულები. მაგრამ ნემიზმატიკურ ძეგლებზე უფრო მეტად ჩვენს ყურადღება ისევე მიზრუო მინის გამჭვირვალე ყუთში მოთავსებულმა, პირქვე დამხობილმა, წესს ქვევით შიშველსა ადამიანმა, რომელიც ვაქავეებულა, თუმცა დაჰიშული ტანი, ორივე ხელით თვალაფარებული, ერთბაშად ვაგაჩნობინებთ საშინელ ტრაჯედას. იგი თავს იფარავს ვეზუვის ფერფლისაგან, მაგრამ, როგორც ზველი ითქვა, ბედმაგზა რა ვადარჩენდა. ეს არის 79 წლის 24 აგვისტოს დაღებული ერთერთი პომპეელი, რომლის სახე, ტანი, მთელი არსება, ტრაგიკული აღსასრული, ავიონის წუთებში მისი სხეულის მდგომარეობა ასე ცოცხლად შემოგვინახა ამ, მარტლაც, უმავალით ძველ ტრაჯედამ.

ჩვენ ყველა ვუკმერთ მველ ტრაჯედამ პომპეელს, გონებაში ყველაფერი ცოცხლებმა, რასაც კიდევ უფრო აქლიერებს იქვე ახლოს ვამოღენილი ოქროს ბრწყინვალე მორთულობანი. ძველი პომპეური ლამპები, თმის ამოროინოვიო აღაშროლობა ძელის კმაძლები, წარმოიდგინეთ, პომპეელების ლოგინიც, და ამ ვარემოცეაში, როცა გონებაში თით-

ქოს გააცოცხლა ძველი პომპეი თავისი მძიმე წარსულითა და 79 წლის 24 აგვისტოს უსამი-ნელესი აწმყოთი, კვლავ ხედდათ რომელიღაც პომპეელს, ძინს დაეჯღაღას, დაღუპვის წინ ორივე ხელით თვალსა რომ იფარავს, ხოლო პარძაყში თითქოს ძვალი შერჩენია. შესაძლოა ამ ძვლამდე ხორცი ცხელმა ფერფლმა გამოის-წვა, ძვალი კი რაღაც სასწაულით გადარჩა.

გვიჩვენებენ აგრეთვე ძველ პომპეურ ზან-დუსს, რყინის ზანდუსს, რომელიც გადარჩე-ნილა, კარგად შენახულა და თაობათათვის შემოუნახავს ძველი პომპეელების მორთულო-ბანი. ეს მორთულობანი ასე იყო ჩალაგებუ-ლი ცქამბეტი სატუენის წინათ და ასევეა მოღწეული ჩვენამდე.

ამით ვამთავრებთ პომპეის მუზეუმის დო-ვალიერებას. ვადვიართ თვით ქალაქის ქუ-ჩებში. გვაოცებს ძველი, წარმართული ქალა-ქის დავგებარება. ძველ პომპეის ჰქონია ოთხი მთავარი, გენერალური ქუჩა, რომლის ტრე-ბი მთელ ქალაქს წვდებოდა. ამ ქუჩებთან თავს იყრიდნენ და გამოდიოდნენ სხვა პატარა ქუჩები.

ზიღბართ ამ ქუჩებში, ამ სახურავგადაბ-დილი სახლების წინ, ანტიკურ ფილაქნებსა და ტროტუარებზე, თითქო გვერდით ძველი პომ-პეული გუდგას და თავის ქალაქს გათვალერე-ბინებდეს.

სწორედ ეს პომპეული შეგიძლებათ დუქან-ში, რომლის ნანგრევებს ორი ლეინის ქვევრი შერჩენია; შემდეგ იგი ვიჩვენებთ თავისი თა-ნამედროესი კარმიდამოს, კოლონებიანი ბა-ლით, უკან რომ სასადლო დარბაზი ჰქონე-ლია. იგივე პომპეული შეგივინებთ ანტიკურ სა-შაქარამოში, თანამედროვე კოტებელსა თუ ლუბანას რომ უფრო ჰგავს, ვიდრე დღევან-დელ სასაუზმოს.

თქვენს თვალს აუცილებლად მიიტაცებს ფორმით ჩვენებური ქეასანაყის მსგავსი ოთხი ძველი ანტიკური წისქვილი. ისინი, ეს დიდი ქეასანაყები, დადგმულია მრგვალსა და ბრტყელ პირიან ქვეშზე, ისე როგორც ჩვენებურ წის-ქვილებშია.

ასე ფქავდნენ მარცვალს პომპეული მეშა-ქარამინი იქვე, ადგილზე; შემდეგ პურსა თუ ფურთუმებს იქვე აცხოვდნენ საქმად მობრ-დილ საცხოში და გამოქონლათ წინ, სადაც მოწყობილი იყო დახლიანი ვიტრინა.

ყველაფერი ეს ჩვენს დრომდე ისე კარგად მოღწეულა, რომ გვეგონება, თითქოს, გუშინ დიდდა აქ ცხოვრება, გუშინ იყიდებოდა აქვე ღვინოცა და პურიც, გუშინ ჰქონდათ ნადიმი და დღეს კი დაღუმებულან დიდი ქარიშხლი-სა თუ ღრეობის შემდეგ.

ყველაფერი ეს ისე კარგად მოგიხრობთ თავისთავზე, თითოეული სავანი, ნანგრევის თითოეული ნაწილი ისე მკვერმეტყველია, რომ

არავითარი ახსნა-განმარტება არ გჭირდებათ. ამიტომ, როცა პირველად შეეხედეთ აქუ-რობას, ვინაში აღტაცებული ხდებით, ძველი სამიკონო, „პომპეელების საშაქარამო“, „მან-ტიკური დუქანი“, „პურის საცხოში“, „ძველი წისქვილები“, „გადარჩენილი მარანი“, „პომპე-ელების სასაუზმო“. და თავის მხრივ ყველა მართალი იყო, ვინაიდან ეს ნანგრევები ნამდ-ვილად აღძრავენ აღამაზნი, ვისაც იგი დღე-მდე არ უნახავს, ასეთ განწყობილებასა თუ წარმოდგენას. ხოლო ღვინის ქვევრებში, რომ-ლებიც დახლის გასწვრივ, დახლისავე სიმაღ-ლეზე მიწაშია მოთავსებული, ერთხელ კიდევ დაგვარწმუნეს, რომ პომპეელები ღვინოს დიდ პატრესა სცემდნენ და ღვინო ვაჭრობას აქ ფართო ეკასქანი ჰქონდა. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდით, როცა იქვე ახლოს ვნახეთ ღვინის ძველი დუქნის ნანგრევები მიწაში ჩაფლული ქვევრებით.

სახლები კი უმთავრესად ორსართულიანი ყოფილა: პირველ, დაბლა სართულში პატრი-ციები, მეპატრონეები, მდიდრები ცხოვრობ-დნენ, ხოლო ზედა, მეორე სართულში — მსა-ხურები, დაქირავებული პირები. სახლების წინ დუქნები იყო, სადაც მონები გამოყვდილს როლს ასრულებდნენ. მათ არაფერი არ ეყუ-თვნიდათ, გარდა დილიდან გვიან საღამომდე საწინლად მძიმე, დამამიკრებელი შრომისა და ტანჯვისა.

ასეთი ექსპლოატაციის შედეგად ადგილი იყო მეპატრონეს თუ პატრიცის იმდენი კონე-ბა ჩავედო ხელში, რომ თავისი სახლ-კარი მდიდრულად მოეწყო, ეხო დაემწყეებინა ათასგვარი ბიუსტითა და ქანდაკებით, მარმა-რილოს შადრკვნებითა და აუზებით, მარმარი-ლოს კოლონებითა და კვარცხლბეკებით.

რომ პომპეი უძველესი დროის ერთერთი უმდიდრესი ქალაქი ყოფილა, ამას მოწმობენ იმდროინდელ მის მსკოტრებთა სახლები, სა-ზოგადოებრივი შენობები, მოედნები, ქუჩები, ტროტუარები და ფილაქნები. ამასვე მოწმობს პომპეის ცენტრალური მოედანი აპოლონის ტაძრის წინ.

ეს მოედანი ძველი პომპეელების საზოგა-დოებრივი შტკრების ადგილი ყოფილა. ამ ადგილიდან ხელმარცხნივ ჩანს ვეზუვი და აქედან საპაერო გზით ვეზუვიამდე სრული 9 კილომეტრია. მამასაღამუე, 9 კილომეტრზე გად-მოწყედა ვეზუვის მოქმედება პომპეის და იგი კიდევაც შთანთქა მთლიანად. ახლა ეს მოე-ციები, გათხრების შემდეგ, ჩვენს წინაშეა თა-ვისი ნანგრევებით, რომლებიც ნათელ წარმოდ-გენას გვაძლევენ, თუ რა ლამაზად, გონივრუ-ლიად და გემოვნებით ჰქონიათ იგი მოწყობი-ლი ძველ პომპეელებს.

მოედნის მარჯვნივ აპოლონის ტაძრის ნანგ-რევებია, უფრო სწორად, გადარჩენილი კო-

ლონდები. მის წინ, ცენტრალურ ადგილზე, დღემდე დგას თვით ამოღონის ქანდაკება — იმავე სახით, როგორც იგი იდგა პომპეიში 79 წელს. ქანდაკება თარიღდება ჩვენს ვრამდე მეორე საუკუნით. მიჰ შექმნულს მეტად საინტერესოდ გადაუწყვეტია ძირითადი შემოქმედებითი ამოცანა: მოედანზე ისე დაესვა მთელი ქანდაკება, რომ მისი ვარგვული დინამიკურობა შეკრებილი მასის მოძაობაში საესებოთ ბუნებრივად ყოფილიყო ჩართული. ეს მიზანი მთლიანად მიღწეულია. ამოღონი დგას დაახლოებით კაცის სიმაღლის კვარცხლბეჭზე, მარცხენა ხელი წინ გადაშვრია, მარცხენა ნაბიჯი გადაუდგამს, წელსა და მკლავზე წერტილად დახვეული მოსახსნის წამოუგდება, თითქოს მოედანზე შეკრებილთ სიტყვით მიმართავდეს თუ მსხვერპლის შეწირვას მოაკონცხდეს. სამსხვერპლო კი სწორედ აქ იყო, ამ მოედანზე, სადაც პომპეელების წარმართ ღმერთებს ცხოველებს უკლავდნენ და სწირავდნენ. ეტყობა, რომ ეს ადგილი ძველი პომპეის მართლაც ყველაზე დიდი მოედანი იყო, შესაძლებელია ცენტრი ქალაქის მცხოვრებლებისა, რომლებიც წარმართული რელიგიისა და კულტურის ყველა ნორმას ფანტიკურ გატაცებით იცავდნენ.

პომპეის ამ ფორუმს ჩვენ დიდხანს ვთვალთვრებთ და მით უფრო გვიზიდავს იგი, რაც უფრო ვეცნობით ისტორიულ წარსულს. ჩვენს ვრამდე მეხუთე საუკუნეში ეს მოედანი უკვე არსებულა, მაშასადამე, მას უკვე 25 საუკუნის ისტორია აქვს. ცხადია, პირველი ხუთი საუკუნის მანძილზე პომპეის ფორუმში ბევრი რამ შეიცვლებოდა, მაგრამ ის, რაც დღეს ჩვენს წინაშე ნანგრევების სახით დგას, 20 საუკუნის წინათ სრულყოფილი იყო და ნანგრევებს არ წარმოადგენდა. ამასვე მოწმობენ ძველი კოლონები, ჩვენს ვრამდე მე-5 საუკუნით რომ თარიღდება.

პომპეის ფორუმი თვითონვე მოკვეთხრობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას მთელი ქალაქისათვის, როგორც რელიგიურსა და სამოქალაქო ცენტრს. რელიგიური დაწესებულებების გარდა, აქ ყოფილა სამოქალაქო შენობები, აქ წყდებოდა პრაქტიკული ცხოვრების საკითხები, სულ ერთია — დიდი იყო, თუ პატარა. ახლაც შეგვიძლია ნახოთ ამ შენობათა ნანგრევები, მავალითად, პომპეური მალახები, სადაც ქსოვილები და ტანსაცმელი იყიდებოდა. აქ, ცენტრში, ყოფილა აგრეთვე საბანკო დაწესებულება, რომელიც ფულად ოპერაციებს აწარმოებდა. მარცხნივ, ფორუმის თვალსაჩინო ადგილზე, მოთავსებული ყოფილა ორატორების ტრიბუნა, რომლის ნანგრევებსაც ჩვენამდე მოუღწევიათ. ტრიბუნის ხელმარცხნივ პომპეელების დიდი ბაზრის ნანგრევებია, ბაზრისა, სადაც იყიდებოდა სურ-

სათ-სანოვავე, ხილი და ბოსტნეული. იყო ჩვენამდე ნანგრევებად მიღწეული დიონის სარდაფებიც. ერთი სიტყვით, ცენტრში, ყველაზე, დიდდა პომპეელების ცხოვრება, ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ აქ მათ დადგმული ჰქონდათ ყველაზე მეტი ქანდაკება და ბიუსტი.

რაც შეეხება პომპეის ფორუმს, როგორც რელიგიურ ცენტრს, იქ აგებული იყო იუპიტერის (ზევის) ტაძარი, რომლის ნანგრევები დღესაც შეტყველებენ, თუ რამდენად დიდი ყოფილა იგი თავის დროზე. ნანგრევთა შორის, ცენტრალურ ადგილზე, ახლაც დგას იუპიტერის იმდროინდელი ბიუსტი.

აქვე, ფორუმის მიდამოებში, თქვენ ნახავთ რომის პანთეონის მსგავს შენობას. მისი ნანგრევები ჩინებულად შეტყველებენ პომპეის პანთეონის წარსულზე. მაგრამ ჩვენს ყურადღებას ამაყობს იუპიტერის ტაძარი თავისი მინერვულ-მონარქული კოლონებით, შუაში იუპიტერის ბიუსტით და, რაც მთავარია, ფართო ქვის კიბით, რომლითაც ძველი პომპეელები ტაძარში შედიოდნენ.

ასევე არ აღვივლა პირისივან მიწისა გლადიატორების ძველი სკოლა, სადაც ძველი რომის სისხლიან სანახაობათათვის განწირულ მსხვერპლთ აშხალებდნენ. გლადიატორები — მონები, მაგრამ უწინარი, ამაყი, ვაჯაყური სულის აღმზიანები იყვნენ, რომლებმაც თავისი წრიდან ისეთი ლეგენდარული გმირი წარმოშვეს, როგორიც ფრაველი სპარტაკია. იგი მონად წამოუყვანიათ ფრაკიდან რომში და გაუწერათენათ ლენტულუს ბატიატის გლადიატორთა სკოლაში, როგორც წვერთინდენ საერთოდ ფიზიკურად ძლიერ მონებს ასეთ სკოლებში. შემდეგ სპარტაკამ, უკვე გლადიატორთა სკოლის მასწავლებელმა, მონებს სახელგანთქმული აჯანყება მოაწყო და გმირულად დააღუბა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 71 წელს. ყველაფერი ეს შესანიშნავად აღწერა ჯოვანიოლიმ თავის რომანში — „სპარტაკი“.

გლადიატორთა ისეთი სკოლები, როგორიც პომპეის ქონია, ძველი რომის იმპერიაში ცოტა რიდი ყოფილა. ახლა, როცა პომპეის გლადიატორთა სკოლას ვუყურებთ მისი ნანგრევებითა და დამსხვრეული დამხმარე ნაგებობებით, ჩამწკრივებული კოლონები და გლადიატორთა ბინების დღევანდელი ნარჩენები, თითქოს ცოცხლად აღადგენენ წარსულის სურათებს.

გლადიატორთა სკოლის ახლოს ყოფილა ძველ იუველირთა მაღაზიები, ხოლო აქედან კიდევ უფრო ახლოს, ნერონის პატივსაცემად აგებული თაღი, სადაც მან გაიარა, როცა პომპეიში ჩავიდა და ამ ქალაქის სიძე გახდა.

ნერონის თაღის დათვალიერების შემდეგ ჩვენ გვედღით პომპეის ერთერთ დიდ, მაგისტრალურ ქუჩაზე, რომელიც ქალაქის ოთხი-

მთავარი ქუჩის შემადგენლობაში შედის, მარტოა, მშენებელი ქუჩა, თავისი სიღამაზე თითქოს დღემდე შემორჩენია. შუაში ფილაქანია, ხოლო ორივე მხარეს ტროტუარები. ფილაქნები და ტროტუარები გაცვეთილია; ასეთი სახის ყოფილან ისინი პომპეის დაღუპვის დღეს და ასეთივე სახით მოაღწიეს ჩვენამდე.

პომპეის ამ ერთ-ერთი მაგისტრალური ქუჩის ფილაქნები გაცვეთილია იმდროინდელი საკანონო ტრანსპორტის ბორბლებით, და ორივე მხარეს ნაკადული ასე ემჩნევა, როგორც წვიმიან გზას ურჩის გავლის შემდეგ. რამდენი უფლიათ მათი ზოვან კი ფილაქნები ორივე მხარეს სულ ჩაღრმავებულია — გვერდნა, გუშინ ვაუვლია აქ ეტლსა თუ ურემს და ნაკადული დაუტოვებიათ. შუა ქუჩაში სამი ქვაა დაღებული, მაგრამ ისე, რომ ტრანსპორტის ბორბლები მათ შუა სრულიად თავისუფლად გაივლიდნენ.

რატომ დაუდევთ ეს ქვები? იმიტომ, რომ პომპეისათვის დამახასიათებელი დიდი წვიმების დროს, როცა ამ მაგისტრალურ ქუჩებზე წყალი ნიაღვარივით მიედინებოდა, ადამიანები ტროტუარიდან ტროტუარზე ფეხდაუსვებლად გადსულიყვნენ. ერთი სიტყვით, უფლადრიდან ჩანს, რომ მათ არ ავლდათ მოხერხება და არც პრაქტიკული გამოსილება. ამასვე მოწმობს მათი ძველი ნაგებობანი, რომლებიც ქრისტეს დაბადებამდე (მრველ საუკუნეამდე) აგურებით შენდებოდა, ხოლო შემდეგ — ქვითა და აგურებით.

ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე პომპელებს ჰქონათ ლითონის მილები. ამ მილებით მათ აუვლიათ წყალსადენი და გაუკეთებიათ კანალიზაცია. ახლაც ბევრია აქ ასეთი წყალსადენისა და კანალიზაციის ნანგრევები, რაც უფრო მეტყველებს ძველი პომპელების ამ დროისათვის განვითარებულ საქალაქო მშენებლობაზე, კეთილმოწყობილ კომუნალურ მეურნეობაზე.

მაგრამ ძველი პომპეელები, ისევე როგორც წარმართები საერთოდ, მითოლოგიის მონები იყვნენ და მათ ნამდვილად სჯეროდათ ის, რასაც მითოლოგია ვადმოსცემდა. პომპეელებს აუვლიათ თუ მიუჩნევიათ ლაბირინთად ერთი ადგილი, სადაც თუჩის გამოსახულება დაუდგამთ. მათ, ალბათ, სწამდათ, რომ ძველი ბერძნული მითოლოგიის ვადმოციკას რაღაც საერთო ჰქონდა ამ ლაბირინთთან, რომელიც წარმართულ წმინდა ადგილად ითვლებოდა.

ჩვენთვის უფრო საინტერესო, მიმზიდველი და გამაოცებელი იყო ძველი პომპეელების საცხოვრებელი სახლები, დარბაზები, საძინებელი თუ მისაღები ოთახები. როცა ამ სახლებში შედიხარ, თავაღწირ კოცხლად წარმოგიდგება

გვბათ რომელიც ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნაშანდობლივი თვისებები. ყველაზე მეტად ის გაგაოცებს, რომ მდინარის პომპეელების ოთახებს დღემდე შემორჩენიათ! კედლის მხატვრობა, ფრესკები, რომლებიც ამ დიდ ოთახებსა და დარბაზებს ამშვენებენ.

სახლი, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, პომპეის რომელიღაც მდიდარი პატრიცის თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელი პომპეელების საყუთრება იქნებოდა. აი მისი საძინებელი ოთახი! გვიხარებს, რომ ეს სახლი გეტყენოდა რა დიდ პომპეელს, რომლებსაც არაფერია არ დაუზოგავთ მის მოსაწყობად და მოსართავად. კედლები მოუქცევიათ მარმარილოს ქვებში, ხოლო კედელსა და მარმარილოს შუა ანტიკური ფერწერის ასლები მოუთხლებიათ და ამ გზით მიუღიათ ორიგინალური ფრესკა, რომელიც დღემდე ასე კარგად მოღწეულია. დარბაზის ცენტრში, შუა ადგილას, იატაკი ამოქრილია, გვერდნა — საცურაო აუზიაო. მის ზევით სახურავიც თითქოს ამავე ზომისაა ამოქრილი. ჩვენ ვერ ავხსენით, რატომ იყო ეს გაკეთებული. გვიხარებს, პომპეის წყლის ნაკლებობა ჰქონდა, სამაგიეროდ წვიმები იცოდა მშაბუნა და დიდი. ამ წვიმების დროს წყალი ჩადიოდა დარბაზის შუაგულს ამოქრილ აუზში, აქედან მიდიოდა სპეციალური რუხერკვარებში და იქ გროვდებოდა დიდი რაოდენობით. ასე რომ, ძველი პომპეელი წვიმის არცერთ წვეთს არ კარგავდა. მაგრამ ეტყობა ამ პრაქტიკულ საკითხს იგი ესთეტიკური თვლითაც უქებდა. მაგალითად, აუზის ირგვლივ იატაკი ისე ლამაზად არის მოხატული, რომ გვერდნაზე, კედლის ფერწერა იატაკზე ჩამოუტანიათო. თვით რუხერკვარი ბაღში ყოფილა მოწყობილი, ბაღი კი, როგორც წესი, სახლების შიდა ეზოში ჰქონდათ გაშენებული. მდიდართა და შეძლებულთა სახლები მთელ პომპეიში ამ წესითაა აგებული: სახლები ამეწებულა ეზოს ირგვლივ, ისე რომ ქუჩიდან ნაკლებობა ფარავს, თვით შენობა ასრულებს ღობის მოვალეობას და ბაღს მეტ ინტაიმობას აძლევს.

პომპეელებს ბაღები ძალიან ჰყვარებიათ და საუკეთესოდაც ჰქონათ მოწყობილი. ამას ისიც მოწმობს, რომ ყველგან მრავალი ქანდაკება, ბიუსტი და გამოსახულება იდგა. ისინი ახლაც ამშვენებენ ბევრი პომპეელის ვადაჩენილ ბაღებს, გვაძლევენ რა წარმოდგენას, თუ როგორ აფასებდნენ ძველი რომელები სიღამისის იდეალს. ბაღში ვამოდს ბელეტრეიანი ვერანდები თეთრი კოლონებით. აქ სწავლობდნენ ორატორულ ხელოვნებას, რიტორიკას, ვარჯიშის დროს კარებს ზურავდნენ იმის შესამოწმებლად, თუ რა წარმატებას მიაღწიეს და როგორ ეძღვნა მომავალი ორატორის ხმა. ბერძნების მსგავსად, რომელებიც ხშირ

დიდ ყურადღებას აქცევდნენ ორატორული ხელოვნების დაუფლებას. დემოსთენი და ციცერონი, ვეტროა, პომპეელი ახალგაზრდობისთვის იღვას წარმოადგენდა.

დღემდე შემონახულია ოთახი, რომელიც ჩვენს კრამდე პირველი საეკუნით თარიღდება. ოთახში თქვენს ყურადღებას იქცევენ რომაული ფერწერის ნიმუშები — კედლის მხატვრობის ძეგლები. აქ თქვენ ხედავთ ძველ რომაულ გალერებს ზღვაზე. თვით ოთახი წარმოადგენდა ღვინით მოვაჭრე ორი ძმის კანტარასს, სადაც ისინი თავიანთ სავაჭრო ოპერაციებს განაგებდნენ. დალა ჩანს გერმანოფრიდიტის სერათი, შემდეგ ცნობილი ანტიკური სახეები.

შედევით პომპეელი ღვინით მოვაჭრეების საბანკრო დარბაზში, სადაც თქვენ ნახავთ საეკუნიტო ანტიკურ სურათებს წითელი მარმარილოს ქვეშ. აქვეა წარმართული ლმერთების გამოხატულებანი, შემდეგ ანტიკური ნატურმორტების მსგავსი სურათები. კედლებზე იგრეთვე გამოხატულია ნადირობის სცენები, ღვინის გაყიდვა, სიყვარულის ზემი, ყურჩანის გრეფა, აღამიანები ძველი პომპეური ტანსაცმელით, ხედავთ ფრესკას — პომპეელების ცეკვა.

სახლი ძალიან დიდია, და სწორედ ამ სახლს შეეფერებოდა ჰქონოდა თავისი მფარველი ლმერთის — დიონისოს მორბილი გამოსახულება, როგორც ეს სახლის მებატრონეს უთუოდ სწამდა.

მგარამ ეს კი არ არის საინტერესო. მთავარია ის, რომ კედლის მთელი მხატვრობა ასე კარგად გადაურჩა ვეზუვის გამანადგურებელ მოქმედებას და უცვლელად მოიტანა ჩვენამდე ძველი რომაული თემებისა და ფერების ანტიკური სურათება. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ სრულიად შიშველ მოცეკვავე ქალს, ამოღტილი თეთრი ტანით, მაღლა აწეული ხელებით; მართლაც საროს ტანია, დიანას მსგავსი; იგი ზურგით დგას, ქსოვილის ეიწრო, მაგრამ გრძელი ნაჭერი ფეხებისა და მკლავებს შორის პავროუნად მოუთავსებია და მარჯვნივ სახე მიმობრუნებული ცეკვავს. მეორე ქალი, შიშისაგან სსოწარკვეთილი, ნახევრად შიშველა, მუხლებზე დასცემია თავის მფარველს. მთელი ეს კომპოზიცია პირველყოფლისა იმითაა შესანიშნავი, რომ წარმართული სიუჟეტის ცოცხალი გადმოცემით ასე კარგად შემორჩია ჩვენს დროს.

ან კიდევ იაღეთ ავლოსზე დაკრა და უკვე არა შიშველი, არამედ ტანსაცმული ქალის ცეკვა. ეს პომპეელი ქალია და, მაშასადამე, პომპეელი ქალები ასე ჩაქმული იქნებოდნენ პირველ საეკუნიში.

ისტორიული ღირებულება კედლის მხატვრობის ამ ნიმუშებისა მერად დიდია, მაგრამ

ახლა დრო არ არის უფრო დაწვრილებით შევხებით თითოეულ მთავარს. ჩვენ მოგველის ვიზილით კიდევ ერთი საინტერესო არტობიკია, რომელიც პომპეიმ გვარგუნაქს-პარსის ანტიკური სამშარეულო, ჩვენამდე მოღწეული თავისი უბიწო სახით.

როცა შემდეგ ოთახში გაველით, დავინახეთ ღვმელი, საესეებით ისეთი, როგორიც დღეს ჩვენა გვაქვს, და მის თავზე ზეთი ჩაშავებული თუჯის ქვაბი. ეს ქვაბები ასე იღვნენ 79 წლის 24 ავგისტოს და ასე დგანან ახლაც, 1956 წლის 21 ოქტომბერს, 1877 წლისა და ორი თვის გასვლის შემდეგაც. არავის მათთვის ხელი არ უხლია. არავის ისინი არც ფრთხილვია. მხოლოდ ფერფლი შემოაცალეს ფრთხილად და დღის სინათლე უჩვენეს, როგორც ფანჯრის გაღებით შხის სხივი დაადგება ხოლმე ოთახის ნივთებს. ამ მღვთმარეობაში დიონარხნენ ისინი ვეზუვის ფერფლით და ამავე მღვთმარეობაში აღდგნენ მყელრებით მეორე სიცოცხლისათვის.

მდუმარედ ეყუარებდით აქაურობას მოულოდნელობით გახვევებლნი და ვამეშებულნი, თითქოს ვეზუვის სტიქიამ ჩვენც დაგვადღმა. გონებაში წარმოგვიდგა მზარეული, რომელიც თავისი თანამეშველებით ის საბედისწერი წუთებში ამ ქვაბებს თავს დასტროადებდა, თავის პატრონს საქმელს უმზადებდა, მაგრამ ყველაფერი შთანქვა ბუნების უღობულმა სტიქიამ და აქაურობას ნირვანას სუდავა გადაათარა.

მაინც ვს ეუთვნოდა ასე დიდი სახლი?

წარწერა დღემდე შემორჩენია ამ დიდსა და კარგად გადარჩენილ სახლს. ეს წარწერა გვეუბნება, რომ მისი მფლობელია ავრუს ბეტუს. სახლის მფლობელები ძმები ყოფილან. ღვინის განთქმული ვაჭრები, რომლებსაც პომპეაში ასე დიდი სიმდიდრე დაუვაროვებიათ.

შთაბედილებას აძლიერებს ამ სიმდიდრის გამოხატულება ყოველ ნაბიჯზე. განი საოცარი არ არის, როცა ხედავთ შადრეევანს, პატარა ბიჭის გამოსახულებით, ბიჭისა, ხელში თავისივე ზომის თევზი რომ აუყვანია. მის უკან წარმართული სამლოცველოა, მოზაიკით შესრულებული. ეს მოზაიკა, რომელიც ჩვენს წინდარბიტხამდგაა შექმნილი, ისე კარგად მოღწეულია დღემდე, როგორც ტაძრებში კედლებზე ან თაღის კაბადონზე შევხვდებით ხოლმე. უმოზაიკო შადრეევანს ხომ თელა არა აქვთ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ნახავთ.

ასეთივე შადრეევანს იხილავთ მარკო ლუკრეტისის სახლის ნანგრევებში. იტაც მრავალი ქანდაკებაა, წარმართული ლმერთების გამოსახულებანი, ხოლო შადრეევანს უკან თვის სახლის მებატრონის ქანდაკება დგას ოვალისებურ საკანში.

ალაფერის ეიტყეით პომპეიში დღემდე შემონახულ სისქვეშია თეატრისა და ამფითეატრის შესახებ.

ან აიღეთ „დათვის სახლი“, ძველი პომპეის ეს თავისებური ტავერნა, რომელსაც დათვის გამოსახულებიანი მიწაიაცე კი ჰქონია. საჭეიდოდ და დროს გასატარებლად მოსულთათვის აქვე ითის სპეციალური წარწერა: „კეთილი იყოს თქვენი მიზრძანება“. ამ მოქვეყნებ პომპეელშიც „კეთილად“ მიზრძანდებოდნენ „დათვის სახლში“, „კეთილად“ ატარებდნენ დროს, „კეთილად“ ფლანგავდნენ დროს და პირაბტად აბრაზებდნენ ცოლს. ერთი სიტყვით, პომპეის არ ჰქვლება არაფერი, რაც კი შეიძლება იყოს წარმართულ ქალაქს და მის მოსახლეობას ჰქონოდა.

ამ ქვეშაირტებაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, როცა გავვდივით იმ ქუჩაზე, სადაც თერმე მსუბუქი ყოფაქცევის ქაღები იყრიდნენ თავს, როგორც დღეს ბერტეზიულ-კაბიტალისტურ ქალაქებშია ბუნებრივად წარმოშობილი მთელი ქუჩები და მთელი კვარტალები ასეთი ქაღებისათვის სამოქმედოდ. ეს ქუჩები ხშირად ვიწროა, დაქანებული და ქალაქის სხვა ქუჩებისაგან, შარბლაც, გამორჩეულია.

პომპეის ანალოგიური ქუჩა ასეთი ყოფილა. ამ ქუჩაზე ნერონსაც ვაუვლით, როცა იგი პომპეიში მოსულა. აქ მოუწევიათ ძველბომბეური „მულენ რუჟი“, ლუპონარიას რომ ეძახდნენ. ეს იყო საროსკობო სახლი, რომელსაც 30-მდე ნომერი ჰქონდა და თითოეულ ნომერზე პორნოგრაფიული სურათი იყო მიხატული სხვადასხვა მდგომარეობის ჩვენებით. ეს პორნოგრაფიული ფერწერა თერმე ენის მაგიერობასაც ასრულებდა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული მეზღაფურები, რომლებიც აქ მოდიოდნენ, ენის უცოდინარობის გამო დაბრკოლებას არ ვგრძნობდნენ, ვინაიდან თითოეული ნომრის კარებს ზეით მიხატული პორნოგრაფიული სურათი უკვე ეუბნებოდა მათ, რაც შეეძლოთ იქ ენახათ და შეელოთ. თითოეულ ნომერში დღემდე შემორჩენილა დიდი, ფართო საწოლი, თიხისაგან გაკეთებული ზედ ლოჯინი ეფარა.

ეს ვარყენილება არამარტო პომპეის, არამედ, საერთოდ, წარმართული ქალაქების დამახასიათებელი იყო, და ისტორიულ ცნობებს, რომლებიც წარმართი ბერძენებისა და რომელების გარყენილების ფაქტებს მოგვითხრობენ, ლუპონარია მჭევრმეტყველერიად აღასტურებს. ეტყობა, აღუქმანდრე მაკედონლინსა და აფესტრესის ბრძოლამ წარმართთა მორალური განწმენდისათვის საბოლოო მიზნის მიინც ვერ მიადწია.

მაგრამ ამორალზმის გვერდით პომპეიში იყო დიწესებულებები, სადაც არა მარტო რელიგიურ ან სამოქალაქო „კათარზისს“ მი-

მართავენდნენ, არამედ პოეტიურ „კათარზისსაც“. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პომპეური თერმები, საზოგადოებრივი აბანოები, რომლებიც ხალხის ჯანმრთელობის დაცვას და მისი კეთილდღეობას ემსახურებოდნენ. ამ აბანოებს ჰქონიათ ცალკე განყოფილებები კაცებისა და ქალებისათვის. როგორც წესი, მარჯვნივ ყოფილა კაცების, ხოლო მარცხენვ ქალების განყოფილება. აბანოს შემდგენ კლიენტები განილიოდნენ დიდ ეზოში და ეარჯიშობდნენ.

თუ რამდენად კარგად ჰქონიათ პომპეელებს დაყენებული ეს საქვე, იქიდანაც ჩანს, რომ 25000 მსოფრებისათვის, რაც მაშინ პომპეიში იყო, ამდენი საზოგადოებრივი აბანო აუშენებიათ, მათ შორის განთქმული სტაბინის თერმები, რომლის ნანგრევებშია ჩვენს დრომდე ასე კარგად მოაღწია. როცა ჩვენ მას ვათვალიერებთ, გვაოცებს მისი მორთულობა და მოწყობილობა. ეს ყოფილა ევებერთელა შენობა მრავალ განყოფილებით. აი, მკაალიადა, ცოცა აბანო, ძალიან დიდი მოცულობისა, ასევე დიდი მოსადეღელი დარბაზით. ასლა აქ, ამ მოსადეღელ დარბაზში, მოუწევიათ პატარა მუზეუმი, სადაც თქვენ პომპეისთან, კერძოდ, ამ აბანოსთან დაყვარებულ ექსპონატებს განიენებენ. ზედათ წაქცეულ პომპეელს, „გაქვავებულს“, თითქოს სძინავსო. ასეთ მდგომარეობაში მოუსწროა მის პომპეის ტრაგედია და შესაძლოა იგი ისე დაიღუპა, რომ ვერც კი ვაიგო, რა მოხდა: ეძინა? მთვრალი იყო? გონიზილიო?

მეორე უფრო საზარელი შესაბედავია. მის საშინელი ტანჯვა ეხატება სახეზე. იგი აბანოში ყოფილა მოსული, ტანსაცმელი გაუხდია, ვერ მოუსწროა მხოლოდ რომელი საწდლების გახდა; ეს თანძინანი საწდლები მის ახლაც ფეხზე „აივია“, ტრუსებიც ზედა აქვს. სწორედ ამ მომენტში მოხდა უხედურება: წაქცეულს, ტანჯულს ორივე ხელით უცლია შეკვავებინა ის, რაც ზევიდან ერთბაშად ეყრებოდა. ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მას მხოლოდ წამიერად შეუგნია უხედურება და საშინელი ტანჯვა, შიში, ტრაგედია უშლად გამოხატული მის დაქიმულ, დაკლაქილ სხეულსა და სახეზე. იგი დამწვარისა ჰქვება, ტერფში ძვალი უჩანს, საშინელი შესაბედავია!

გავდივართ ცხელი აბანოების განყოფილებაში. გვიჩვენებენ ქაღების აბანოს თავისი დიდი მოსადეღელი დარბაზით. მოსულ კლიენტებს, როგონ მხოლოდინში, კედლებზე რღაც გამოხახულებანი მიუხატავთ და ამოუქრიათ, ასე როგორც ჩვეულებრივად აყეთებს ამას უსაქმობის დროს უზრუნველი თუ უსახუხის-მგებლო მოქალაქე. კედლები ქვისაა, საჭაოდ სქულია, დაახლოებით ერთ მეტრზე ცოტა მეტი. ვრავინ ჩვენ შევნიშნეთ ასარგაყრლი

გულის გამოსახულება. აღბათ, სივარულში ამდგომარეობებში რომელიღაც პომპელებში ქალაქი, აბანოს რივის მოლოდინში, თავისი ტანჯვა და ფიქრი ამ სიმპოლურნი ნიშნით გამოხატა. შემდეგ შეედივართ იმ აბანოში, რომელსაც ორმაგი კედელი და ასევე ორმაგი იატაკი აქვს. ამ აბანოში წყალი შხაბებივით ასხამდა ირგვლივ, როგორც ჰეროდანს, ისე კელდებოდან. წყალი კონდენსირებული იყო. გეოგნებებზე ქალთა აუზს, საქაოლ მოზრა, დილს, მარცხნიდან რომ სინათლე შემოედის. მთელი მისი ჰერი გაჭრილ მილებს მოგაგონებთ.

სად ცხდებოდა ასეთი ვებერთელა აბანოსათვის საჭირო ჩაოდენობის წყალი?

ენახეთ ეს ადგილიც, ახლა ნანგრევებად ქცეული, მაგრამ თავის სიდიდებზე ამ საბითაც რომ კარგად შეტყვევებს.

საერთოდ, სტაბიანის თერმები მდიდრული, შობირკეთებული, ჩუქურთმებითა და ქანდაკებებით დამშვენებული ყოფილა. რაც გადაჩინილა, მარტო ის კმარა მნახველის განსაცვიფრებლად.

თავს ვანებებთ წარსულის ამ ერთერთი დიდი ნაგებობის დათვალიერებას და გამოვდივართ ვარეთ, პომპეის მეორე ნახევარ მაგისტრალზე, სადაც მზე უხვად აფენს თავის სხივებს, ისე როგორც მთელ ქალაქს.

და მიუხედავად იმისა, რომ უკრ კიდევ დილაა, აქ უკვე საქაოლ ცხელა თითქმის ყველას წყალი გვეწყურია, მაგრამ არ არის. ჩვენს წინ კი ძველი შადრევანია, საიდანაც თურმე წყალს სვამდნენ როგორც ადამიანები, ისე პირტუცები, მაგრამ ცალკაკე, მათთვის მიჩენილ ადგილებზე. პომპელებს ჭრებში ჰქონათ მოწყობილი სისმელი წყლის ნახები და შადრევნები. ეტყობა, ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქალაქის ჭრების კეთილმოწყობასა და სილამაზეს.

ახლა, როცა ამ მშვენიერ მზიან ამინდში მთელი პომპეის ლამაზ პანორამას ვხედავ და მის ჭრებში დაედვიარ, გამახსენდა, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში აქ ასევე დდიოდდა დიდი რუხი მხატვარი ბრიტოლი, გენიალური შემოქმედება და ჰუმანიტარული მოაზროვნე. ამ დღმა ადამიანმა მართლა მთელი არსებით შეიგნო პომპეის სილამაზე, შეიგნო მისი ტრაგედია, რათა შემდეგ ორივე ერთად ვიდმოეცა თავის საოცარ ფერწერულ შედეგში, რომელსაც სამართლიანად უწოდა „პომპეის უქანსენელი დღე“. ჩვენი კომენტარი სრულად ზედმეტი იქნება, თუ ერთხელ კიდევ ნახავთ ამ სურათის რეპროდუქციას, ვინაიდან მას შეუძლია პომპეის შესახებ თქვენ გითხროთ ყველაფერი, რასაც ენა ვერ გამოთქვამს.

დღის სრულ 12 საათზე ვამთავრებთ პომპეის დათვალიერებას და ვემზადებით ვანტქ-

მელ სორენტოში წასისვლელად. ამიტომ ისევე უკან მოვეყვებით პომპეის ჭრებს, გავდივართ რომელიღაც მოედანზე, სადაც უნდა ვხედავდეთ იქცევის ადამიანის სიმაღლის კვანძობები ძველისმავარი გამოსახულებით. მას ადამიანის სახე არა აქვს. აღბათ, ობელისკია. ძველი წარწერა დღემდე შერჩენია. წარწერა მხოლოდ გაუსუფთავებიათ და ამოუციობთ, რომ ეს ძველი დადგმულია პომპეის მაგისტრატის — ქალაქის თავის პატივსაცემად, ამიტომ, რომ იგი ორჯერ აურჩევიათ ამ თანამდებობაზე, თითოეული არჩევა კი ხუთი წლის ვადით ხდებოდა. ეს ძველი ასე იდგა პომპეიში დღემდე და ასე დგას დღესაც.

ეინ იყო ეს სვეტილნიერი?

მისი სახელი ყოფილა ვირუს. სემწუხაროდ, მეტი არაფერი ვიცით. ამ ძველისა თუ ობელისკის პირდაპირ პომპეის იმდროინდელი სასამართლოს შენობის ნანგრევებია. ეს დაწესებულება ძალიან დიდი ყოფილა, ყოველშემთხვევაში, 25,000 მცხოვრებანი ქალაქისათვის მეტიმეტ უფუნუნებად მოგვჩვენა.

ასე მოვედით მარინას კარებთან, ერთხელ კიდევ გადავავლეთ თვალი პომპეის პანორამას, შორიბლო ვეხუვი რომ უდარაჯებს.

მივდივართ სორენტოსაკენ და გვიხარია, რომ პომპეიდან სორენტომდე მხოლოდ 25 კილომეტრია. ამ გზის გავლას, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ საათზე მეტი არ დასჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ გზა სულ მთებზე გადის და მიხვეულ-მოხვეულად უნდა ვიაროთ.

უკვე გავიარეთ მზის სხივებით გაბრწყინებულ პატარა ლამაზ ქალაქი კასტელა მარა. საერთოდ, სამხრეთის მზე შემოდგომით უფრო ლამაზია, განსაკუთრებით იტალიაში, სადაც ბუნებას მცხუნვარების, მგზნებარებისა და სილამაზის კალთა უხვად დაუფრქვევია. ამ მხრივ იტალიელი ხალხი ოდითვე ბედნიერი იყო, სხვა უბედურება რომ არ ჰქონოდა.

მაგრამ ამაზე ფიქრის დროც არ არის. ჩვენ უკვე შევედქვით მაღალი მთების ტერასებს, უსურვავივით დახვეულ გზას, თავბრუდამხვევს, მაგრამ კარგად მოვლოლს. მარჯვენა და მარცხენა, ხან კიდევ ბოლოს, ჩვენი მიზრუნება-მოზრუნების კვალად ვეუბრ ვანწყვებთ ჩანს თავისი თეთრქულიანი ღრუბლებით. ეს მისი კვამლია, რომელიც ცაში მონორტონურად, ნელა იდანტება. ვხედავთ მაღლობზე აშენებულ კასტელა მარას ძველისმგვარ ციხეს და ჩემი საშობლოს ციხეანი მაგონდება. მთებსა და ხევებს რომ მიკრულან ერთგულ დარაჯებად. ამ ქალაქს ეს პატარა ციხე და ასევე პატარა ნავსადგური იცავდა. გზის პირას ახლა ვაუშენებით ვახებში ჩაფლული პატარა ტავერნა, საიდანაც სიმღერისა და ქეიფის ხმა ისმის. მიხლოებისთანავე ტალავების ქვეშ

დავინახეთ ახალგაზრდები, რომლებიც ცეკვაუ-
დნენ და ქეიფობდნენ. შესაძლოა, ამ დღეს
რაიმე დღესასწაული იყო? შესაძლოა, ესეც
ერთერთი ქორწილია? ასე ლაბიბულად და
უფერულად, პომპეში ნახულ ქორწილზე უფ-
რო საყოფავედ მოწყობილი?

ამ ადგილიდან ვეზუვი ძალიან კარგად ჩანს,
ხოლო თუ მისი ნახვა გინდათ, კასტელა მარის
ციხის მადლობიდან უნდა ნახოთ, თუმცა იგი
წვალილიდანაც კარგად ჩანს, პომპეიდანაც და
შეიან ამინდში რამდენიმე კილომეტრის დაშო-
რებით ყველა რადიუსიდან.

ასევე კარგად ჩანს აქედან პომპეი, ძველიცა
და ახალიც. პეინაეების მომღერალ პოეტებს
შეეძლოთ ლექსი დაეწერათ თემასზე: ვეზუვი
კასტელა მარის ციხესთან, და ისანი ერთერთ
საუკეთესო ზღუნების სურათს პოეტურ ფორ-
მაში ამბეჭდულებდნენ.

ამ დროს, თითქმის სრულიად მოულოდნე-
ლად, მარჯვნივ თითქმის მთლიანი პანორამით
გამოჩნდა ნეაპოლი, თავისი დიდი პორტიოთა და
ქარხნის მიღებით. გზის პირას კი, კასტელა-
მარის ახლოს, ცეკვნიტის მონადილო ქარხანა
შეგვეჩვენა. მარჯვნივ გამოჩნდა ზღვის პირი,
გაგრძელებული პლაჟებით, მაგრამ იქ არაფერ
არ არის, არაფერ ბანათს, თუმცა მწველი მზე
აქებუნებს და ზღვის აბაზანების მიღებაზე ახლა
არაფერ უარს არ იტყობა.

უფროდ ჩვენი ავტომანქანის წინსვლა შე-
ჩერდა. ვერ გაევიტო, რა იყო მიზეზი, მაგრამ
მოსახვევიდან სწრაფად გამოიჭრა ველოსიპე-
დისტთა მთელი კოლონა და ყველაფერი ცხა-
დი შეიქნა. თურმე ველოგადარბენა ტარდებო-
და სორენტოდან პომპეიმდე. ველოსიპედის-
ტებმა სწრაფად ჩაურაღს ჩვენს მანქანებს და
სხვე მოსახვევში უნდა თვალს მიეფარინენ.
როცა გზა განავარძეთ, გამოჩნდა ზეთისხილის
ბაღები, ხეივანები, ტყეებიც ეს მიდამოები და
საერთოდ იტალია ხომ ზეთისხილითაა სავსე-
ყოველ ნაბიჯზე ხედავთ ზეთისხილს, ზოგან
მეჩხვრად, უმთავრესად კი მთელ ბაღებზე გა-
შენებულს.

თითქმის შეუმჩნევლად მივუბსლოვდით პა-
ტარა ქალაქ ვიკოს, რომელიც სორენტოსა და
პომპეის მითან გზაზე მდებარეობს, შეუმჩნე-
ვლად იბრტო, რომ ზღუნების სანახაობით ვიყა-
ვით გართულნი. მივიხვნიდა სურათშიც, ერთ
ტერასზე რომ ორი გზაა — ერთი ზვეით ადის
და მეორე ქვეით ჩამოდის. ნუ გაგვიკვირდე-
ბათ, მაგრამ ვატოკანის მეზუემის უსაფუტურო
კიბე გამახსენდა. სადაც არ უნდა მიაწვდინო
თვალი, პლაჟებთან და კლდეებზე, ტერასებსა
და მთებში, ყველგან თქვენ ხედავთ ავარი-
კებს, ციხე-კოშკების გუშპათებს. კლდეებსა
და ტერასებს კი ეს საავარაკო სახლები ისე
მიპყრება, როგორც ჩვენებური ოდა სახლის
ჭრლის მერცხლის ბუდე. ეს თავისებურ სილა-

მაზეს ქმნის, ბევრ რამეში მოგაგონებთ სო-
კრათელოს, როგორც, მაგალითად, დიდ სი-
მღლეზე დაიდებული რკინაგზის ხიდი, რომ-
ელიც გვირამში შედის, ისე როგორც ჩვენი
დიდი ხიდი სურამის უღელტეხილზე.

გზა შუაზე ქრის ვიკოს, მიეყვებით და მას-
ბოლო არ უჩანს. ავი გვითხრეს პატარა ქალა-
ქიათ? არაჲ, ვიკო მართლაც პატარა ქალაქია,
მაგრამ გრძელი, ამ ზღვისპირა მთებსა თუ
კლდეებს, დაკლავნილ გზებსა თუ ტერასებს
ქაიყულისათვის რომ მიჰყვება.

ზღვას, კლდესა და მთებს ვიკო თითქმის
მიუჭყურებიათ ტერასებზე, მსათვის მხოლოდ
ვიწრო ქუჩები დაუთმიათ, ხოლო მოედნები
კი წაერთმევიათ. იგი ძალიან ჰგავს ჩვენს
გაგასს, როგორც ტყუპის ცალი, ოღონდ ისე
ლამაზი არ არის. როცა აქედან გავსურებ,
ხმელთაშუა ზღვა დიდ ტბას უფრო მოგაგო-
ნებთ, ვიდრე ზღვას.

სულ ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა სორენტო,
რომელსაც ჩვენ ზევიდან დავეურებთ. ისიც
მთავი გაშენებული, მაგრამ უფრო დაბლა
მდებარეობს, ვიდრე ვიკო.

მიღიხარ და, ვიდრე სორენტოში შეზვი-
დოდეთ, თურმე კიდევ უნდა გაიაროთ პატარა
ქალაქი მეტა სორენტოში მხოლოდ შემდეგ
შეხვალთ. ახლა კი მივხვდით, რომ ეს იდგი-
ლები სულ საავარაკო ყოფილა ამბრომაა,
რომ აქ ყოველ ნაბიჯზე ქალაქი გვხვდება, რა
თქმა უნდა, საავარაკო ქალაქი. ყველა ისინი
ლამაზია, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველ შემთ-
ხვევაში ახლა, როცა ზევიდან დაეკვირბით, მეტა-
და სორენტო უფრო ლამაზი გვეჩვენება, ვიდ-
რე კასტელა მარი ან ვიკო. ენახათ, რა მიქე-
ბა, როცა თვით ამ ქალაქში შევალთ მთავე-
ულ-მოხვეული, დაკლავნილი გზით, რომლითაც
ახლა ჩვენ თანდათან ძირს ვეშვებით.

ძირს კი ქალაქი მეტაა. შეედივართ და
ვხედავთ, რომ იგი მთლიანად მწვანე ნარჯა-
ვეებშია ჩაფლული. ეს ნარჯავეები მეტას აძლე-
ვენ წალკარის სიხეს, ირგვლივ აფრქვევენ
დამთრობულ სურნელებს, ზედ ეყრიაან სო-
რენტოს, გააოცებენ თავისი ეიწრო ქუჩებით,
და წარმოგივდება გორკის ახოვანი მაღალი
ტანი, რომელიც ამ ეიწრო ქუჩებს არ შეიძ-
ლებს არ ახსოვდეთ.

ვიან იცის, რამდენჯერ ვაფლავა აქ გენია-
ლურ მწერალს, შეუხედავს ამ ადგილებისათ-
ვის, მარჯვნივ მდებარე ლიმონის ბაღებისათ-
ვის, შესულა სორენტოში, სადაც იგი ხშირად
ისვენებდა და მიღლილ სხეულს, სხეულებით
შეპყრობილს, მიიღ ან ასვენებდა — დაუ-
წყად მემზობდა.

ჩვენც უფრო შევედით სორენტოში. მეტადან
სორენტომდე ერთი მეტაკვილიც არ იქნებოთ, —
იტყოდა ჩვენებური კაცი. და ის მართალი
იქნებოდა: მეტა ხომ ზედ ეყრიაან სორენტოს,

როგორც ახალი პოპუი — ძველს.

სორენტოც ძველია, თუმცა იგი ძველადაც სააგარაკო ადგილი იყო და ახლაც სააგარაკო ქალაქია. რომის იმპერიის ხანაშიც სორენტო ცნობილი იყო, როგორც სააგარაკო, დასასვენებელი ადგილი. როცა აქა ხართ, სორენტოც გაგრძნობინებთ, რომ იტალია დღესაც ძველთ სენთქავს და ძველთ ცხოვრობს. ასეა როგორც რომში, ისე ნეაპოლისა და პომპეისა. ასე იქნება, ალბათ, იტალიის სხვა ქალაქებშიც. აქაც ვიწრო ქუჩებია, უყვართ სიმღერა და გიტარა. გამასხენდა ცნობილი იტალიური ფილმი — „ღაბრუნდი სორენტოში“. რამდენჯერ მოუსმენია გორკის, რომელიც ექიმების რჩევით ერთხანს სორენტოშიც ცხოვრობდა, ნეაპოლიტანური სიმღერები!

და მთხედრად სიციწროვისა, სორენტოს შიანიც ჰქონია თავისი ცენტრი პატარა მოედნით, რომელსაც წმინდა ანტონიოს მარხარალოს ძეგლი ამშვენებს. აქვეა სულ ახლოს გენიალური იტალიელი პოეტის ტორკვატო ტასოს ბრინჯაოს ძეგლი. სორენტო ხომ ტასოს სამშობლო ქალაქია! მის თანამემამულეებს აღუმართავთ სახელოვანი წინაპრის ძეგლი, და როცა მას ხედავთ, „განთავისუფლებული იერუსალიმის“ უყვდავი ავტორი გიუკერით ნაცნობი სახით, რომელიც კაცობრიობას დღემდე შემორჩენია.

ჩვენ პირდაპირ ვლვის სისწრაფით შეგვეყვანეს „პორტელ ლა ტერაიაში“, რომელიც ზღვას გადაყურებს, შეგვეყვანეს ისე, რომ სორენტოს პანორამისათვის თელი კარგად ირც გადავიწვია. მაგრამ აქედან, „პორტელ ლა ტერაიადან“, სორენტოს შოელი ხედი ისე კარგად ჩანს, რომ ამ მიზნისათვის უკეთეს ადგილს ვერც იპოვით. უველაზე უკეთ ჩანს მარინა გრანდე თავისი მშვენიერი პლაჟებით და ზღვის პირას 3-4-5 სართულიანი სახლებით, მწვანე ნარგავებითა და საშუალო სიმაღლის შთებით. უველაზე ბევრი აქ შიანიც მწვანე ნარგავებითა და სორენტოს პანორამას პირველ ნიშნად სიმწვანე უნდა დაეწეროს.

ეს სიმწვანე არ ავლია „პორტელ ლა ტერაიას“ ვერანოს, რომელსაც ზღვის მხარეს რკინის მოაჯირები მოჰყვება. შოელ ვერანადზე ჩამწკრივებულია პატარა მაგიდები 3-4 სკამით, ზოლო ვერანდის უკან, სისტემროს შენობების წინ, შალატანიანი ხეებია. მათი ჩრდილი შოელ ვერანდას ეფინება. მარინა გრანდეს გაყოლებით აქ სულ სისტემროები და დასასვენებელი სახლებია, მაგრამ შათ შორის უველაზე დიდი შიანიც უყოფილა „პორტელ ვიტორია“, რომელსაც არქიტექტურული ამსაშლით დამშვენებული შესანიშნავი მრავალსართულიანი შენობები აქვს.

არის კიდევ „პორტელ ტრამონტანო“, გარდა ამისა, რომელიც მთილოგის სახელებით აღ-

ნიშნული სისტემროები და მრავალი სხვა. უველას ჩამოთვლა საჭიროც არ არის. მთავარია ის, რომ სორენტო, რომელიც შოელ მსოფლიოში განთქმული აგარაკია, მართლა ლამაზი უოფილა, თუმცა, როგორც აქ საუბარში აღნიშნავდნენ, ჩვენი მწვანე კონცხი, საერთოდ შავი ზღვის სანაპიროებზე გამწვანებული აგარაკები, თუ უველა არა, ზოგიერთი მათგანი შიანიც სორენტოზე უფრო ლამაზია ბუნებრივი მონაცემებით.

სორენტოს კი ძველთაძველი სახელი და ძველი იერა აქვს.

დღესაც შოდიან აქ მსოფლიოს უველა კეთხიდან მდიდრები, მილიონერები, ახლად დაქორწინებული არისტოკრატები და ბურჟუები; აქ ატარებენ ისინი ღოს, ფლანგავენ ფულს, შემდეგ კი უკან ბრუნდებიან — ვინ ბედნიერი და ვინ გაუბედურებული. ჩვენ კი ათობით სორენტო გვაქვს, ათჯერ უკეთესია, თუმცა მსოფლიოში უველა აგარაკს თავისი ადგილი უკავია და შათ შორის სორენტოსაც.

„პორტელ ლა ტერაიას“ აღმინისტრატია გვიმასპინძლდება ნაციონალური იტალიური სკუმელებით. „გრანდი ვიაჯის“ შეუკვეთია საუკეთესო კერამები, რათა თავისი კლიენტებისათვის ესიაშოვებინა. ჩვენ ეზიჯართ გრძელ ვერანდაზე, გადაყურებთ ზღვას, რომლის ზედაპირზე ნავებით სერიორატ სორენტოში ჩამოსული მდიდარი დამსვენებლები, ამინდი წყნარია, სასიამოვნო, სამარტვის შზე ზომიერად გვიცხუნებს და სამშობლოს მოგვაჯიგნებს.

დრო ისე სწრაფად მიდის, თითქოს ფრთები გამოვსება. ასვე სწრაფად მთავრდება სადილი და ჩავლივართ სორენტოს ნავსადგურში, სადაც მოპკრო ტანის გავშე ადგილებს ეყოფებთ. გვში კომფორტაბელურია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ უველა მგზავრს დასაჯდომი არა ხვდა. ტურისტთა ერთი მესამედი ფეხზე დვას და შოელი საათი ამ შდგომარეობაში უნდა იყოს, ვინიდან სორენტოდან კაპრამდე გემს სწორედ ეს დრო სჭირდება. უერანდე ფერმწერალს იან კრავტეჩკოსაც ადგილი ვერ უშოვია, მაგრამ, ვტყობა, იგი არ დარდობს, მიპყრდნობია გემის მოაჯირს და სორენტოს პანორამის კონტურებს აყეთებს, მარინა გრანდეს ზატავს. უველაფრიდან ჩანს, რომ კრავტეჩკო ჩჭარობს, არ სურს დრო დაკარგოს, უნდა მოასწროს კიდევ სორენტოს ზვეით კლდოვანი მთების ესკიზების გაკეთება, მთებისა, რომლებიც სორენტოს ამაყად დასცქერიან და შემოთარცდენ.

როცა აქიურობას გემიდან უუურებ, გრძნობ, რომ ჩვენი შავი ზღვის სანაპიროებზე გამწვანებული კურირტები, მთები და ტერასები ათჯერ უფრო მდიდარია მწვანე ხეებით, გარდა ამისა, ჰავაც უფრო ზომიერია.

აბლა საათის ისრები დღის 3 საათსა და 20

წუთს უჩვენებენ. მზე უფრო გეაცხუნებს, მაგრამ კარგი ის არის, რომ დრო კიდევ გვრჩება კარის დასათვლიერებლად.

კუნძული კარიც მალე გამოჩნდა. იგი თეთრად არის შეფენილი მთის ორ კბიშ შორის მოთავსებულ ტერასებზე, რომლებიც, უტყობა, ამწვანებული კედლებია. გემი ნაპირიდან თვალსაზრისით დაშორებით მიდის და ამიტომ ნაპირებზე ყველაფერს ვხედავთ. როცა კარის დაეუბლოვდით, დავჯანახეს თეთრი სასაღილო, რომელიც 300 მეტრის სიმაღლეზე ატყორცნილა და კარის ზევიდან დასცქერის.

რა პატარა ქალაქი უოფლია ეს კარის როგორ ეტეოდა აქ გორკის დადი სული?

მაგრამ კარის სიპატარავეს იუვარყოფს გამწვანებული ზღვა, რომელიც მას ასე დიდი მანძილზე გარს ეყრის. გუნდა აქედანვე დაიწყო გორკისკენი სახლი. თითქმის ყველა კობეჭლობს: ხომ არ იცით, რომელია აქ სახლებში გორკის სახლი? სამწუხაროდ, არა. ეინ იყოლა მწერალმა ვალენტინ კატაევიც ვერ გეთხრა, თუმცა იგი კარში გორკისთან იმყოფოდა, როგორც მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაზე თავის სიტყვა-მოგონებაში განაცხადდა.

ამ დროს გემი მიადგა ნავსადგურს, გადმოვედით ნაპირზე და ვაემართეთ მოტორიანი ნაუბისაყენ, რომლებმაც კარის ვანთქმული „ციხეფარი გამოქვაბულისაგან“ უნდა წაგვიყვანონ. ადგილი, საიდანაც ჩვენ უნდა დავიძრობო, ღამაზია, მაგრამ როგორც სორენტოს მარინა გრანდე, ისე კარის მარინა გრანდე თავისებურებით ხასიათდება. ეს უკანასკნელი უფრო პატარაა, ვიდრე სორენტოს მარინა გრანდე.

ნავსადგურიდან სულ 2-3 კილომეტრის შემდეგ ნავეით მოვადექით გამოქვაბულს, რომლის თავზე მოაჯირიანი, სამოციქლოს მავარი პატარა თეთრი ნაგებობაა წმინდანის გამოსახულებით. მის ქვეით კი კედელში ვიწრო ნახევრტობა. სადაც ნავეები ძლივს ძვრებრან, ისე რომ ადამიანებს თავი და ტანი ნავის სიმაღლესთან აქვთ ვასწორებელი, დაიღუნებიან და შეშინებულნი ნათან ერთად შეეძრებიან უცნობ გამოქვაბულში. შესვლისას რომ შიში არ იგრძნობო, შეუძლებელია. მაგრამ გამოსვლისას რომ აღტაცებული არ დაჩქო, ისეც შეუძლებელია. უკვე 5 საათზე ამ გამოქვაბულის წინ ვივლიეთ. ბევრი შედის შეშინებულ, გაოგნებულ სახით, და გამოდის აღტაცებული, გაბარებული სხით, თითქმის მეორედ დაბადებულის ან რაღაც განსაცდელი გადაეტანოს, გადაარჩენილის, თან რაღაც ძვირფასი ნივთი შეეძინოს და ბედს ემადლიერებოდეს.

მაინც ეს არის ამ „ციხეფარი გამოქვაბულში“ ბუნების საოცარი სილამაზე. რასაც თან ერთვის ორიგინალობა! როცა შიგ შედიხარ, გგონიათ, თითქმის ზღაპრებში აღწერილ ქვეს-

კნელს გადაგვს. პირადად მე დანტეს მიერ აღწერილი „მეორე ქვეყანა“ მოგვხვდება და ვაიფიქრებ: აღბათ, რელიგიურ წმინაბზე უფრო მეტი ძალით ეს იმოქმედებდა დაბნე ალი-ვიკის მძლავრ პოეტურ ფანტაზიაზე. თუ „ციხეფარი გამოქვაბული“ ან ანალოგიური რამ ოდესმე ნახა ამ ღიღმა ადამიანმა, მარტოოდნ სიტყვის ოსტატს შეუძლია მხატვრული გადმოცემა იმ განცდებისა, რაც „ციხეფარი გამოქვაბულში“ შესულ ადამიანს აჯადოებს. ჩვენ ამ უნარს მოყვებული ვართ და ამიტომ მხოლოდ გარკვეული აღწერით დაგვმაყოფილებოთ.

გარკვეულად კი რა უნდა ნახოთ? კლდე და ზღვა! გამოქვაბულის შიგნით? ოდნავი სინათლე, ოვალისებური თალი და წულის ზედამირო.

მთავარი მაინც ადამიანური განცდაა, რასაც სიბნელე აძლიერებს, რაკი სინათლე ასე ცოტაა სინათლე გამოქვაბულში შედის მხოლოდ იმ ზერედად, სიდანაც თქვენ თეთრი შედინხართ. შიგ კი ბუნების უმანკოება. საიდუმლოება, სტიქია, დუმილი და სილამაზე ცერბრის თვალვით გიკვებით, და გგონიათ, სადაცაა ნაპირებით ან შთაინთქმებით სიღრმეში, რომლის საიდუმლოება არავინ იცის. გამოქვაბულის ოვალისებური თალი კი, უცნაურად აქრელებული და ღერჯად აფერადებული, ზევიდან გარინდებული დაგვკრით.

ამ გარინდებაში არის რაღაც უჩვეულო, უხილავი და განმაცვიფრებელი თითქმის სამუაროს წარმოშობის შიშვეტი და დღევანდელაბა პირველად ზედება ერთმანეთს ცისფერი გამოქვაბულის კოსმური მღუმარებისა და აქ შემოსული ადამიანის სუნთქვის შეჯახების დროს! არ შეიძლება ტანში ძრუანტელმა არ დაგვიროთ, როცა თქვენი სუნთქვა და ხმა ერთვის გამოქვაბულის ცივ მღუმარებას, ეხება მას, თითქმის აღვიძებს და საიდუმლოებას ათმევეს. უოველოც ეს სულ 2 წუთი გრძელდება, და თუ შემაარტების რაიმე ნატამალი გააჩნია კანტის მიერ დახასიათებულ მწვენიერისა და ამაღლებულის გრძნობას, კეოგსებრელი ფილოსოფოსი „ციხეფარი გამოქვაბულს“ აუცილებლად მაგალითად მოიტანდა იმის დასადასტურებლად, რომ მწვენიერი და ამაღლებული ზოგჯერ ერთიანდებიან, მედალის ორ მხარეს შეადგენენ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ორი მხარე ერთად იქცევა რაღაც უცნაური მანქანებით, რომლის წარმოდგენაც კი ძნელია. ყველა ეს გრძნობა თქვენ აუცილებლად დაგეოფლებათ, როცა „ციხეფარი გამოქვაბულში“ შეხვდით და გამოხვალთ.

ამის შემდეგ როგორ არ უნდა დაიუჯროთ, რომ „ციხეფარი გამოქვაბული“ ბუნების მართლაც მწვენიერი ძეგლია!

მაგრამ დრო უკვე წავიდა, საღამოვდებო.

„ციხფერი გამოქვაბულის“ დათვლიერების შემდეგ ჩვენ ისევ კაპრის ნავსადგურში ვბრუნდებით. მობოტოიანი ნავიდან დათვლიერებთ ზღვის ნაბირებსა და ჩამოთლილ პატალო კლდეებს. ჩვენი მენავე, მხიარული, ცოცხალი სახის ლამაზი ახალგაზრდა კაცია ისე კარგად გვემყვება, რომ გვეცივრის კლდეც! მან ეს შეამჩნია და თვითონვე გვითბარა, რომ იგი საბჭოთა ხალხის მეგობარია, კომუნისტია, იტალიის კომუნისტური პარტიის წევრი. მთელ გზაზე იტალიელი მენავე არამარტო სიყვარულით გვემყვებოდა, არამედ ედილობდა ჩვენთვის ყოველმხრივ ესაძოვებინა, გაცნო თავისი სამშობლოს ბუნებრივი და ისტორიული ძეგლები, რათა უფრო მეტად დაგვეფასებინა იტალიელი ხალხი. მას უხედავ მივეციით საბჭოთა სუვენიერები, დაჯავილდოვეთ მისი ყმაწვილი თანამემყვები, ასე ვერგვიულად რომ გვემსახურებოდა. ჩვენმა ნაემა თითქმის ყველას გაუსწრო და რამდენიმე წუთით აღარე მიგვიფიჯანა მარინა გრანდესთან.

ამსობამი დღევ მიიწურა. გვიანდა ფუნეკულარიზე ავიდეთ და პატარა კაპრს, სადაც 12.000 მცხოვრებია, ზევიდან გადავხედოთ, როგორც ჩვენი თბილისის ფუნეკულიორიდან გადავსცქერით ხოლმე საყვარელ დედაქალაქს.

გვირბივებენ ბილეთებს და პატარა ვაგონებში ადგილებს ვიკავებთ. უკვე ისიც გვიგვით, რომ კაპრის ფუნეკულიორი ზღვის დონიდან 140 მეტრის სიმაღლეზეა, ხოლო მისი სიგრძე 700 მეტრს უდრის. გვიანტერესებს ჩვენს ფუნეკულიორთან მისი შედარება. თვალწინაც სულ თბილისის ფუნეკულიორი გვიდგას. აშკარად ვგრძნობთ დიდ განსხვავებას. ჩვენი ფუნეკულიორი უფრო ლამაზია, აღმშრთოვანებულა და მეტი გრანდიოზულობის მქონე. თბილისის ფუნეკულიორს დაქანება მეტი აქვს, კაპრისა კი ხოხვით მიჰყვება სიმაღლეს. ამიტომ აქ თქვენ ვერ განიცდით ამაღლებულის იმ გრძნობას, რომელსაც თბილისის ფუნეკულიორი მნახველს ანიჭებს. არის კიდევ მეორე განსხვავება.

თბილისის ფუნეკულიორი სწორხაზობრივია, შუა ადგილის ვაგონები რომ ერთმანეთის გვირდს უხევევენ. კაპრის მარინა გრანდზე კი ფუნეკულიორის ლიანდაგი მოხრილია, ზევიდან 20-30 მეტრის შემდეგ გამოქვაბულში შედის, ამიტომ ვერც ზევით და ვერც ქვევით ვაგონებს ვეღარ ხედავ. ეს უთუოდ ანელებს შობაქვდილებს. გარდა ამისა, ფუნეკულიორის პლატოდან კაპრზე ხედი ისე იშლება, რომ სილამაზის მხრივ ოდნავაც ვერ შეედრება თბილისის ფუნეკულიორის პეროიანი სასახლიდან გადაშლილ პანორამას, განსაკუთრებით ღამე, როცა თბილისის ვარსკვლავებით მოქვდილი ცა ძირს ჩამოსული გვიჩვენება, ასიათასობით ელემენტროლამპიონების ბრჭყვილი ბუნებრივი ვარ-

სკვლავებით განათებულ ცას გადმობრუნებული სახით გიჩვენებს და გგონია, რომ ქვენ თუთონ ვარსკვლავებით განათებულ ღამეზე უკეთესი იმყოფები. ვისაც ერთხელ მიინც გადმოუხედავს თბილისის ფუნეკულიორიდან ღამით, განსაკუთრებით — ვარსკვლავიან ღამეს, მან იცის, თუ რას ნიშნავს ეს და რა აღმადრთოვანებელი, საარაკო და ზღაბრული სილამაზე აქვს თბილისის პანორამას მამადეითის ფუნეკულიორის პლატოდან.

აქ კი, კაპრზე, ფუნეკულიორს ასეთი სილამაზე სრულებით არა აქვს, მისი ტერასიდან იშლება მხოლოდ ზღვის ხედი, ჩანს მწვანეში ჩაფლული პატარა სააგარაკო ქალაქი, ისიც სუსტად განათებული. ამიტომ კაპრის ფუნეკულიორს მარინა გრანდზე თითქმის არავითარი შობაქვდილება არ მოუხდენია, არც უმეტრო I მოედანს, ქალაქის მოედნებისაგან არავითარი რომ არ განსხვავდება. შესაძლოა, მან მოხიბლოს მხოლოდ ის ადამიანი, ვისაც მამადეითზე თბილისის ფუნეკულიორი არ უნახავს.

კაპრზე ჩვენ შევხედეთ ავგუსტუსის ნაშეილებებსა და მემვიდრის, რომის იმპერატორ ტიბერიუსს ეწოდეს კეისრის (რომს მართავდა ახალი ფულთადრეტების 14-37 წლებში) ვილას და ციხე-სიმაგრეს, თვით ავგუსტუსის პარკს, გორკის წითელ სახლს, რომელიც არ ვგახევენს და გული დაგვეწყვტეს.

ახლა უკვე ღამეა და აღიარების დათვლიერება აღარ შეიძლება. ამიტომ ნავისადგომისაკენ მივემართებთ. პატარა გემზე, რომლითაც აქ მოვედით, ადგილებს ვიკავებთ. სრულ 7 საათზე კაპრიდან უნდა გავიდეთ და „ჩიტა ამაღლი“ ნეაპოლისაკენ წავიყვანოს.

ღანიშნულ დროს გემი სწრაფად წყდება მარინა გრანდეს ნაპირს, დაღლილ მგზავრებს წინ მიიქანებს და ოდნავ იწყებს რყევას.

პატარა გემი „ჩიტა ამაღლი“ შეუპოვრად მიაპობს ზღვის ტალღებს. ისე გეჩვენება, თითქოს იგი ფაფარავრილი პატარა მერანი იყოს, ნეაპოლს რომ ასე შედგარად უახლოვდება. ღამეში უკვე გამოჩნდა ვერუვის შობა, რომელიც იმით ვიცინით, რომ მომპვიდან ამაჯალი ჯზა, მისი მწვერვალის კრატერამდე, ელემტრონიით იყო განათებული. ეს ჯზა სწორხაზობრივად აღის დაბლდან ზევით, იმ ადგილამდე, სადაც ვერუვის თითქოს საყელი გაუხსნია, როგორც დაბიბულე ადამიანს, და კრატერიდან ვანუწყვეტლივ ბოლს უშვებს.

სულ მალე ნეაპოლში შევიდით, ასევე სულ მალე დაეტოვებთ ამ ქალაქს და ელადისაკენ გაემგზავრებით. ყველა დაღლილია, ყველას დაძინება სურს, მაგრამ ყველა ცდილობს ნეაპოლთან გამოშვებულობებს დაესწროს.

ღამის 10 საათსა და 35 წუთზე ჩვენი საყვარელი „პობედა“ შორდება ნეაპოლის პორტს. ნავსადგურში საკმაოდ ბლომად შეკრებილან

გამილებლები და ველთბილ გამომწვიდობე-
ბას გვიწყობენ. ჩვენები მღერაიან „Прощай
любимый город...“ შემდეგ იწყებენ „სანტა
ლუიას“ და მართავენ თაბერულამხვევე მზი-
არულ ცაყვებს.

„სანტა ლუიას“ აკორდებით ეშორდებით
ნებაოლს და გვებს ვიღებთ პირებისაყენ. თან-
დათან ღრმად გავდივართ ზღვაში, შორიდან

ჯერ კიდევ ეხებათ ელემტრონიტ განათებულ
ვეზულის მთას, ეივონებთ „გრანდი ვიჯის“
შიერ შედგენილ პროგრამას, ტომონის მხებდ-
ვითაც იტალია დაეთვალეირეთ, და კაიუტებ-
ში ჩავდივართ იმის შეგნებით, რომ ორი დღის
შემდეგ საბერძნეთს ვესტურებთ.

ამ გრძნობით მივეტრავთ თანამედროვე კ-
ცობრიობისათვის ლეგენდად ქიეულ ელადი-
საყენ.

ტირენის ზღვა, იონის ზღვა, 22 ოქტომბერი

დილის 8 საათზე გავიღვიძეთ და ეიბილეთ
შვენიერი მზიანი დილა ტირენის ზღვაზე.

ნელი სიო ქრის, საამოდ ვიღვრებთა ჩვენს

სახეს. ირგვლივ ყველაფერი მზის სხივებზე
ბრწყინავს. სითბო 20 გრადუსია. კაიუტაში
არავინ ჩერდება და ყველა გემბანზე ამოდის.

იონის ზღვა, 22 ოქტომბერი

ლამემ შედარებით მშვილად გაიარა, შტორ-
ში არ ყოფილა, თუმცა გემის რვეიმ ზოგიერთ
მგზავრს უსიამოვნება მიაცენა. როცა დილის
9 საათსა და 30 წუთზე გემბანზე ამოვედი,
მგზავრები ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილნი იყვნენ
და განვლოლ ვანსაცდელზე ლაპარაკობდნენ. გე-
ში კი ზეიდალდ მიამობდა იონის ზღვის მღელ-
ვიერ ტალღებს და შეუბოვრად მიემართებოდა
საბერძნეთისაკენ.

შვენიერი მზიანი დღეა. ღრუბლები არა
ჩანს. ცასა და ზღვას ერთი ფერი აქვს — ღურ-
ჯი. დამ ამ ფონზე ჩვენი თეთრი გემი — მცუ-
რავი ქალაქი, ისე ლამაზად ბრწყინავს, როგორც
მოწმენდილი ცის კამარაზე ერთადერთი დიდი
თეთრი ღრუბელი.

ერთი საათის შემდეგ, ზუსტად 10 საათსა და
30 წუთზე პელოპონესის ნახევარკუნძულს მიეუ-
ბლოვდით და მესხიერებაში აღდგა პელოპო-
ნესის მრავალწლიანი ომი, რომელიც პერსიელს
დროს მიმდინარეობდა. გამახსენდა სპარტა და
მიყენა გამახსენდა სტრაბონის შიერ მოცემული
აღწერები, მოქმედი ვულკანი. პელოპონესის ნა-
ხევარკუნძულზე ახლა მილიონ 200 ათასი კაცი
ცხოვრობს. ამჟამად იქ შეუტრნეობის მთავარ
დარჯს მებადეობა წარმოადგენს. აქ იყო გულ-
ზედადი სპარტის რესპუბლიკა, რომელმაც ფი-
ლოლოფიერი ათენი დაამარცხა.

გამოჩნდა მატაპანის კონები — ფრინველების
დასახევენებელი ადგილი. როცა პელოპონესსა
ნახევარკუნძულის დასაწყისთან უფრო ახლოს

მივედილ, შეენაშნეთ ზრიოკი მთები და გო-
კები. დასახლებული პუნქტები მხოლოდ ზოგან
დავინახეთ. ერთგან, გორაკზე, გამოჩნდა დიდი
თეთრი სვეტი. ვერაიენ ვერ გაიგო, თუ რა იყო
ეს სვეტი. ბევრს შუქტრა ეგონა. ნამდვილად კა
არავინ იცის მისი ასავალ-დასავალი.

სულ მალე, 1 საათსა და 30 წუთზე, გამოჩნდა
პელოპონესის ის ნაწილი, რომელიც შუაზე გაბ-
რილი სპილენძის ნაწილებს მოვავონებთ. ხე-
დავთ დიდრონ ზრიოკ მთებს, შიგა და შიგ ბატ-
რა დასახლებულ პუნქტებს, მომცრო ტანის სახ-
ლებს. მარტოოდენ ამ სახლებთან ჩანან მწვეან
ხეები და ნარგავები.

გავიარეთ ისევ კუნძულები და ნახევარკუნძუ-
ლები. ზეალ დილით ჩავალთ პირეისში, საილ-
ნაც აეტომანქანებით ათენას გავემგზავრებით.
დღე იწურება. შეღამებისას მუსიკალური სალო-
ნი ამშურდა. იქ უკვე კონცერტი დაიწყო. მე
ვერ ვესწრები და მხოლოდ რადიოთი ვისმენ
ჩვენი „მსახიობებისა“ და „თეთითმოქმედი კო-
ლიმტრეების“ გამოსვლებს. ღმით საათის ისრე-
ბი ერთი საათით წინ უნდა გადავწიოთ. ეს იმას
ნიშნავს, რომ თანდათან ჩვენს დროს, ჩვენს
სამშობლოს ვუახლოვდებით, და გული სიხ-
არული გვევისება.

ზეალ დილით კი პირველად დავადგამო ფეხს
ძველი ელადის შიწას, პირველად ვესტურებოთ
თანამედროვე საბერძნეთს, როგორც ბერძნე-
ლი ატიკის მემკვიდრეს.

პირეი, ათენი, 24 ოქტომბერი

საბერძნეთის საბერძნეთი!
მთელ დღეს საბერძნეთში გავატარებთ!
გვიხარია, რომ ვხვდებით ძველი საბერძნეთის,
ძველი ელადის მიწას.
თუმცა სადღაა ძველი საბერძნეთი, რომლის

კულტურასაც მთელი კაცობრიობა ასე დიდი პა-
ტივისცემით ეპყრობა, სწავლობს და ასე ახლოს
იცნობს. იგი გამჭრალია ისევე, როგორც ქარიშ-
ხალი იავარყოდს ველზე ამოსულ სურნელოვან
ყვავილს.

და მიინც... დიღს 7 საათზე თითოეული ჩვენგანი მზად არის პირეის შესახვედრად, ყველა იკავებს გემბანის მოაჯირითან ადგილს, რათა გემთან ერთად ნელა მიუახლოვდეს ნაპირს და უფლოფერი დაინახოს.

ადგილობრივი დროით ახლა 6 საათია. სულ ახლოს მოჩანს საბერძნეთის ნაპირი, რომელსაც „პოპედა“ თითქოს ტატიტ უხახლოვდება.

ერთი საათის შემდეგ ჩვენ უკვე პირეის ნავსადგურში შევედით. პირეი კი საბერძნეთის პირველი ქალაქია, რომელსაც ვხედავთ. იგი საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი პორტია. ვიძრე ნავსადგურს დაუახლოვდებოდით, საბერძნეთში მისვლა იმით ვავიგეთ, რომ გემი ვაჩერდა, ჯერ კიდევ არ იყო გათენებული, და ბერძენი ლიცა მინი „პოპედახე“ ამოვიდა პირეის ნავსადგურში ჩვენს მისახვედრად.

საბერძნეთი რომ დღეს პატარა სახელმწიფოა, ამას ერთბაშად იგრძნობთ, როცა პირეიში შედისხართ. პერისა და ნეაპოლის შემდეგ პირეი მართლაც პატარა ნავსადგური გეჩვენებათ, თუმცა თითო პორტი არც ისე მცირეა. პირეი შედარებით პატარა ქალაქია, პორტში კი დიდი მუშაობაა. მე არ ელასპიაკოს მარტოოდენ პორტის ამ მუშებზე, რომლებიც საოკეანო გემების დატვირთვისა და განტვირთვის აწარმოებენ. განალებულია მუშაობა ახლომასლო ადგილების ასფალტირებისა და ახალი ნავმისადგომების გასაკეთებლად.

აკვირდებით აქურობას და ირგვლივ სულ ნანგრევებს ხედავთ. ეს მეორე მსოფლიო ომის შედეგია. პირეი მაშინ საშინელი ბომბარდირება განიცადა. ომის კვალი ახლც უფლოფერი ეტყობა, ყოველ ნაბიჯზე გაგრძნობინებთ თავის გამანადგურებელ ძალას.

პირეის ნავსადგურში უცხოეთის მრავალი ხომალდი დგას. მათ შორის დაინახებთ ამერიკის ის გემი, რომელიც ნეაპოლიდან ჩვენზე ადრე გამოვიდა და პირეიში უკვე მოსტა. ჩვენი გემის წინ შეკრებილი არიან საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები, პორტის მოსამსახურეები და მუშები.

იწყება მზადება ნაპირზე გადასასვლელად.

პირველად დაეადგამთ ფეხს ჰომეროსის, პერიკლეს, დემოკრიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, პარკსიტელის, მირონის, ფიდიასის, პარასის საშობლოს. ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სახელოვანი შვილი აღზარდა ამ მდლიანმა პატარა მიწამ, რამდენი გენიოსი, რომლებიც კაცობრიობის ისტორიაში უცდავების გვირგვინებით არიან დადაფუნლნი.

აქ იყო უძველესი ათენის სახელმწიფოს მდგარი ნავსადგური. პირეი წარმოადგენდა მის განუყოფელ ნაწილს. სახელმწიფოს ცენტრიდან იგი დაშორებული იყო 12 — 14 კილომეტრით. ათენელები თავიდანვე დიდ მნიშვნელობას ინიჭებდნენ პირეის, რაც იქიდან ჩანს, რომ ჩვენს ვრამდე მე-5 საუკუნის შუა წლებში მისი, რო-

გორც ნავსადგურისა და ქალაქის დაგეგმარება-მინდობილი ჰქონია გენიალურ არქიტექტორს პიპოდამს. მართალია, დღევანდელი პირეი ეს აღარ არის, რაც პიპოდამის დროს იყო, მაგრამ თავისი მნიშვნელობით იგი ახლაც ძველ როლს ასრულებს არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ როგორც საბერძნეთის, უფრო სწორად, ისევ ათენის სანავსადგურო ქალაქი.

ინტიერო სანავსადგურო ქალაქები ვაქრობისა და ალებ-მიუქმის ცენტრებს წარმოადგენენ. ეტყობა, ეს ტრადიცია პირეის დღემდე შეუნარჩუნებია, თუმცა სრულიად სხვა სახითაც. ნავსადგურში ახლა თქვენ ნახავთ ზელზე მოვარეებს, რომლებიც წარსულის გამომსახველ სუვენირებს ვთავაზობენ. ამ სუვენირებს ისინი წინ დადგმულ გრძელ მაგიდაზე აწყობენ ან ზელზე ყიდიან.

გაედვიართ პირეის ნარკავებიან ქუჩებში. შხიანი დილაა, ჯერ კიდევ აღერა, მაგრამ ქალაქი გამოვლიძებულია და შევიძლია მის ცხოვრებას დააყვირდეთ.

უკვე მთავარ ქუჩაზე ვართ, ვხედავთ ხალხით სავსე ტრამეის ვაგონებს, რომლებსაც მგზავრები ვადაქაყავთ. პირეიში ტრამეის ვარდა, მეტროც ყოფილა. მისი სიგრძე სულ 35 კილომეტრია. პირეი ათენის მეტროს საშუალებითაც უკავშირდება. მაგრამ მისი მეტროს დარბობა, ოდნავაც ვერ შეედრება მოსკოვისა და ლენინგრადის კომფორტაბელურ მეტროს სადგურებს.

პირველი, რაც თვალში გვეცა, როგორც კი ქალაქის პანორამა ვიხილეთ, ეს იყო მთავორები. უფლოფერიდან ჩანს, რომ პირეი, რომელიც ზღვას ერთი მხრიდან ეყვრის, მდლოზება ვაშენებულია. ეს ქუჩაც, ახლა ათენისაკენ რომ მიუყვართ, ისიც მდლოზობა. სწორედ ამ ქუჩამ ვაგვიყვანა ტურკო ლიზონის სრუტესთან. იგი ნაგებობა და მეთვერებით არის სავსე. აქვე დგას საბერძნეთის ახლანდელი მეფის შვიი იახტაც. მას სასყირნოდ და დასასვენებლად ასეთი იახტები ბევრი ჰქონია. ტურკო ლიზონაც იმით ყოფილა ვანთქმული, რომ დასვენებისა და თევზაობის საუკეთესო ადგილად ითვლებოდა. ვაჯავნულად იგი ძალიან წაავას ჭეენებურ პალისტომის ტბას.

როცა პირეიდან ათენამდე მივმგზავრებით, ვხაზე შეგხედებათ ერთი ადგილი, რომელსაც კასტელას უწოდებენ. იქ არის კაფე-სახალილოები. ჩვენ მალე მიუვახლოვდით კასტელას და დაინახებთ კაფეში მხოლოდ ერთი მშაქაცი. იგი სკამზე იჯდა. ხოლო ფეხები მეორე სკამზე დაეწყო. ჩვენ არ ვიცოდით, ვინ იყო ეს გალალებული ადამიანი, მაგრამ ანგლო-საქსური ჩვეულებების მიმდევარი რომ ჩანდა, გვვი ვარ შევავარჯიხა. ფლეგმატიკოდ მან ოდნავ გამობედა ჩვენი მანქანას და დილა-ადრიათ ისევე განცხრომას მისცა თავი. სამაგიეროდ, სკოლისაკენ მიმავალმა ბავშვებმა ერთი აღიქოთი ატყვეს. ვივილ-ხივილითა და მხიარული, ნათელი სახე-

ბით სალაში მოგვეცეს. ეს ისე მივიღეთ, თითქოს მათი სახით საბერძნეთი და ბერძენი ხალხი გვესალმებოდა. გვინდა ყველაფრიდან დაერწმუნდეთ, რომ ბერძენი მოსახლეობა თბილად გვემღებდა...

უკვე გავიარეთ ანკითვია, ათენთან სულ ახლოს მდებარე ადგილი. ხელმარცხნივ ვხვდებით იმავალ ზეამართულ აეროპოლს, ათენის სახელგანთქმულ აეროპოლს, რომელთანაც თითქმის მთელი საბერძნეთის ისტორიაა დაკავშირებული. ვიდრე ძველი ელინელებისათვის ამ უმნიშვნელოვანესსა და უწინიდან ადგილს დავუახლოვდებოდით, მარჯვნივ გავიარეთ წმინდა გიორგის ეკლესია. მისი წარსული იმ მხარეაა საინტერესო, რომ აუშენებია საბერძნეთში მცხოვრებ ერთერთ არუნ ბერს. მაგრამ როგორი წარსულიც არ უნდა ჰქონდეს ამ ეკლესიას, ვის სახელსაც არ უნდა ატარებდეს და რომელი საუკუნისაც არ უნდა იყოს, ახლა ჩვენ გვიზიდავს მხოლოდ ათენის სახელგანთქმული აეროპოლი — ეს მაღალი ქალაქი, როგორც ბერძნები მას ეწოდებენ. ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიოში მრავალი აეროპოლი არსებობს. თვით ანტიკური საბერძნეთისაც თავის ქალაქ — სახელმწიფოებში აეროპოლები ჰქონდა აგებული, არის, მაგალითად, კორინთისა და მეგარის, კადმოსისა და ათოსის აეროპოლები. მაგრამ ათენის აეროპოლს ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება, ისევე როგორც ათენს ვერ შეედრება ვერც სპარტა და ვერც მილეთი. ვუყურებთ ისტორიულ მემკვიდრეს, აეროპოლის მაღალ ადგილს, და გონებით წარმოდგენილი გვაქვს, რომ ამ ადგილებში გაუყლიათ, ალბათ, ფილიუსსა და პრაქსიტელს, სოკრატესა და პლატონს, პერიკლესა და ალექსანდრე მაკედონელს.

გვეუბნებიან, ათენი იწყება და ჩვენ უკვე პროსპექტზე ვართო. ჯერჯერობით, ათენი დაბალი, პატარა სახლებით ვუგვებება, თუმცა ერთბაშად დაგვახედობა ზევსის ტაძრის ნანგრევები, მიწვენივ განრთხმული დიდი სვეტიბი, რომელიც მესს წაეჭყვევია. დანარჩენი ვეება თეთრი კოლონები ისევე ღვანან და მნახველთ ავიცოფრებენ. როცა ჩვენ აეროპოლის ნახვის შემდეგ ისევ უკან დაებრუნდებით, მაშინ ზევსის ტაძრის ნანგრევებს უფრო ახლოს დავათვლიერებთ. ახლა კი აეროპოლისკენ მივდივართ, გვერდს ვუღლით დიონისოს თეატრს, მის ნანგრევებს, რომლებიც დღესაც ემსახურებიან ძველი ელინელების შთამომავალთ. ეს სამსახური იმით გამოიხატება, რომ ამ თეატრის ნანგრევებში, ღიის ცის ქვეშ, ახლაც იმართება კონცერტები, იდგმება ანტიკური ტრაგიკოსების პიესები, იმართება ფესტივალები. მისი დათვლიერება შეტანილია ჩვენი მოგზაურობის პროგრამაში და ისიც საინტერესოა, რომ აეროპოლიდან დაბრუნების შემდეგ ოდოფონსაც ვნახავთ.

აი უკვე მივადექით აეროპოლს. აედვართ ნან-6. „მნათობი“, № 1.

გრევებთან და მის წინ ვდგავართ, როგორც ანტიკური კლასიკის დიდ ეპოქალურ მკვლთან. იგი გავილებით უფრო აღტყა შექმნილი, ვიდრე შემდეგ მოქმედი აეროპოლი. მხედველობაში გვაქვს მისი თავდაპირველი სახე, რომლის ნარჩენებიც აეროპოლის ნანგრევებშია შემორჩენილი. თვით აეროპოლი თავისი ციხე-სიმაგრით, პართენონითა და ერთერთი პერიკლეს ეპოქის განეკუთვნება. მაშინ მიიღო მან სრულად დამთავრებული სახე. თავდაპირველად კი აეროპოლი, უძველესი სიმაგრე და „მაღალი ქალაქი“, შეიქმნა ეპართენონად, 2000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იგი პირველად აიგო მინოსის ეპოქაში, რომელიც ელინურს (და არა ელინისტურს, როგორც ზოგიერთი შეცდომით ფიქრობდა) ეპოქის წინ უსწრებდა. ელინისტური ხანა მოგვიანია, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში იწყება, ალექსანდრე მაკედონელი დროიდან, და გულსისხმობს ელინური კულტურის გავრცელებს იმ ტერიტორიაზე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის დამპყრობლური ომების შედეგად მოექცა უზარმაზარ იმპერიაში.

ეს იმპერია შემდეგ დაშალა, როგორც კი ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა. მაგრამ ელინური კულტურა გავრცელდა მთელ რიგ ქვეყნებში, ვიდრე იგი არ შეცვალა ქრისტიანულმა ან სხვა კულტურამ. მინოსის ეპოქაში შექმნილი ათენის აეროპოლი, რომელიც ჩვენს ერამდე 1900 წლიდან ცენტრს წარმოადგენდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწყობად და გარეშე თავდასხმელთაგან შესაფარებლად. დღემდე ინახავს იმის ნიშნებს, თუ რამდენად უკულტურო იყო მაშინ აქ მცხოვრები ადამიანი. ათი საუკუნით წინ რომ უსწრებდა პოპეროსს.

მაგრამ დროთა სვლაში ყველაფერი შეიცვალა. ფილოსოფიისა და კულტურის დიდად მოყვარულმა, ლამაზმა, ჭკვიანმა და გულადმა პერიკლემ ყველა თავისი პიროვნული ღირსება თავისივე დროის თვისებებზე დაადაქცია, წინ წასწია ხალხის ცხოვრება და მე-5 საუკუნეში ჩვენს ერამდე ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომლის მსგავსიც მის წინაპრებს არ უნახავთ. პერიკლეს დროს ათენის სახელმწიფო აღწევს თავისიანთი წარმატებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. მის დროს ახალი ძალით იწყებს აყვავებას ფილოსოფია, დრამატული ლიტერატურა, პოეზია, თეატრი. მის დროსვე ბოპოქრობს ათენის დემოკრატიული სული, იგება ახალი დაწესებულებანი, ტაძრები საზოგადოებრივი, რელიგიური თუ კერძო ხასიათის შენობები.

მთელ ამ საქმიანობას შემდეგ ანელებს ან წყვეტს 430 წელს პერიკლეს მიერ დაწყებული ათენის სახელმწიფოს ომი სპარტის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მაგრამ პართენონი სწორედ ამ ომის დაწყ-

ბამდე აშენდა, პერიკლეს დროს, 447-438 წლებში.

მე წაიკითხე ათენში გამოცემული პატარა ბროშურა „Amina“-ს ფურცლებზე, რომ პართენონის არქიტექტორები იყვნენ იქტინოსი და კალიკრატისი, რომ პართენონს უკავშირდება ისეთი გენიალური მოქანდაკის სახელი, როგორც ფიდიასი.

ფიდიასთან ერთად ძველ საბერძნეთს მრავალი ბრწყინვალე მოქანდაკე ჰყავდა. ბევრის სახელი ჩვენთვის ცნობილია, თუმცა დროემს თვით მათი მხატვრული ქმნილებები აღარ შერჩენია. ისინი დაიღუპნენ ისტორიული კატასტროფების დროს და მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებს შემორჩნენ. მაგრამ არიან ბედნიერი აღმოჩენები, რომელთა მდიდარი შემკვიდრებობიდან ფრამენტები მაინც ვაღარჩნენ, როგორც ანტიკური ტაძრების დიდებული ნანგრევები. ამ მოქანდაკეთა შორის ფიდიასი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც გენიალური ხელოვანი, ქანდაკებაში ბერძნული ლმობის უველზე უკეთესი გამოხატველი. ამ მხრივ მის ბადასე არა უყოლია არც ადრე, არც უფრო გვიან, როცა თვით ფიდიასის გავლენით ტრადიცია შეიქმნა და მითოლოგიურმა ლმობებმა თავიანთი მკვეთრად გამოხატული სახეები მიიღეს. ეს გენიალური აღმოჩენა მუშაობდა პართენონის მხატვრულ გაფორმებაზე და მის სახელს ბევრი რომ უკავშირდება ამ ბრწყინვალე ნაგებობის ისტორიაში.

ჩვენ ვადაექვერით აკროპოლის სიმალიდან ირველიც ვაშლილ მთელ მიდამოს, სიმალიდან, საიდანაც მთელი ათენი ჩანს. როგორც ხელსაგრულზე. მარცხნივ ვხედავთ თეზის ტაძარს, ასე რომ მიაგავს პართენონს, ხოლო მარჯვნივ—ათენის უძველეს ბაზარს, რომლის ნანგრევებიც ორი სვეტილი განიშნებენ ამ ადგილს, სადაც ეს ბაზარი იყო მოთავსებული პერიკლეს დროს და მის შემდეგაც.

აქ, ამ ბაზარში, იკრიბებოდნენ და ხედებოდნენ ხალხს ანტიკური საბერძნეთის გამოჩენილი ორატორები, ფილოსოფოსები, საზოგადო მოღვაწეები. ეს იყო უმთავრესი ადგილი, სადაც სოკრატე თავის ფილოსოფიას ხალხს უქადაგებდა. ვინ იცის, რამდენჯერ მოსულა აქ უძველესი დროის ყველაზე დიდი, ყველაზე გენიალური, მე ვიტყვოდა, ყველაზე ფუნქციონალური ოქროპირი დემოსთენი. მასხენდება ქსენოფონტე ათენელის „სოკრატელი თხზულებებიდან“ ის ადგილი, სადაც იგი აღწერს სოკრატესთან, მომავალ თავის დიდ მასწავლებელთან პირველ შეხვედრას. მაშინ ქსენოფონტე ათენელი 16—17 წლის უმწველი ყოფილა. მიდიოდა ბაზარში, მაგრამ ქუჩაზე ვიღაც მაღალმა, უწინ შესახებობის კაცმა ჯობით შეაჩერა და საუბარი დაუწყო, თუ რა ფასებია დღეს ბაზარში. ეს კაცი სოკრატე იყო, მაშინ უკვე სახელგანთქმული ფილოსოფოსი. სოკრატემ, ცხადია, განზრახ

იეთხა ფასები, მხოლოდ საუბრის დასაწყებად, რათა ყმაწვილ ქსენოფონტეს გამოეხებებოდა. ასე გაიცინა სოკრატემ მომავალთ თავისი მოწადე ქსენოფონტე ათენელი, რომელმაც შემდეგ ისტორიას შეუნარჩუნა სოკრატეს სახეც და მისი მოძღვრების დიდი ნაწილიც სახელგანთქმული „სოკრატელი ნაწარმოებებით“.

ვეუბნებოდნენ ატალს რესტავრაციაზე, — ამერიკელებმა აღადგინესო, ცხადია, კომპრციული და პოლიტიკური მიზნებით გაამერიკელებული ატალს პასაჟი. ჩვენ ამას სრულებით არ ვაქვეთ ყურადღებას და გავეცქირთ არეობის მაღლობს, მის ნანგრევებს, ხელმარჯვნივ რომ ამჟამად აუღებულა, იქ, სადაც დღემდე შერჩენილა ძველი საფლავები. ეს არის სასაფლაო კრამიკოს. უფრო მარცხნივ, იმავე მიულოზზე, სახალხო კრების ადგილი ყოფილა ასევე მარცხნივ დგას ფილაპის ტაძარი, დეკადანისი ეპოქის ცოცხალი ძეგლი, რომელიც პართენულია და თვითონ აბო მისმა შესახებემ.

ადგილი, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ, ათენის აკროპოლის შესასვლელია. მაგრამ იგი აგებულია არა ბერძნების, არამედ რომაელების მიერ ჩვენს ვრამდე II საუკუნეში. ეს შესასვლელი არსებითად ფრანკს აკროპოლს, რომელიც კლდეშია შექრილი და კლდეზეა აშენებული. ძველი შესასვლელი კი, თვით ელინელების მიერ აშენებული, ხელმარცხნივ იყო. ბერძნების მხატვრული გემოვნებით შექმნილი აკროპოლის მოთავარი შესასვლელი — პროპილეი მართლა დიდებული რამ არის, როგორც არქიტექტურული ნაგებობა. ვეება თეთრი კოლონები, იონური სტილით აგებული, გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ქმნის. წარმოუდგენილი მაქვს, რა გავლენას ახდენდა იგი ათენელებზე — აკროპოლი ხომ მთის მწვერივითადაც მთელ ათენს დასცქერის, როგორც ფრაივაშლილი არწივი ასეთივე მთის მწვერივლიდან დარიალის ხეობას. ყველა ძველ ათენელს შეეძლო იგი დაენახა, სულერთია, სადაც არ უნდა მდგარიყო — ქალაქის ცენტრში თუ პერიფერიისში. ზვედ ბერძნებს ხომ ძალიან არ გად ენობოდათ მუშაქმედების ძალის მნიშვნელობა. ამიტომ ისინი ტაძრებს ყოველთვის მაღალ ადგილებზე აგებდნენ, რათა ელინს მუდამ თვალწინ ჰქონოდა მითოლოგიური ლმობების სახე. ეს ტაძრები შორიდან მეტი ძალით იწვევდნენ ფრანკების აღმერას და მითოლოგიური ლმობების სადამი მოიწიებით დამოკიდებულებას. ეს პრინციპი უცვლელად გამოიყენეს, თითქმის მთლიანად აღადგინეს შემდეგ საუკუნეებში ქრისტიანული ეკლესიის მსახურებმა, რომლებიც, მართალია, ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ ყოველგვარ წარმართულს, მაგრამ ასევე მოხერხებულად სარგებლობდნენ მისი დიდი მიღწევებით.

როგორღა ამოდიოდნენ ამ სიმაღლეზე ძველი ბერძნები?

ნათე იმ კიბით, რომლითაც ახლა ჩვენ ამოვდით?

არა, აკროპოლი ახსველი თავდაპირველად კლდეზე იყო, ხოლო ახლანდელი კიბე გაკეთებულია რომაელების მიერ. ბერძნებს ჩვენს ერამდე IV საუკუნეში აუშენებიათ პროპილეი, რაც საზეიმო შესასვლელს ნიშნავს. მას წმინდა ფსიქოლოგიური და ესთეტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. დორიული სტილის ექვსი კოლნა განასახიერებდა სიმამრეს, სიმეტაკეს, ვაჯაკურ სულს, ხოლო იონური სტილის სამი კოლნა — სანახესა და სილამაზეს. პირველი შთაბეჭდილება — ვაჯაკური, გმირული ხასიათისა იყო, ხოლო მეორე — ნაზი, ქალისაირი.

ინტერესსპოკლებული არ არის თვით პროპილეის ისტორია. მის აგებას უკავშირებენ არქიტექტორ მნესიკლეს, რომელსაც ყველაფერი გაუკეთებია გრანდიოზულობის მისაღწევად ისე, რომ აკროპოლის კლასიკური სტილი არ დაერღულია.

აქ, აკროპოლიში, იმართებოდა ბერძნული დღესასწაულები, როგორც რელიგიური, ისე საზოგადოებრივი ხასიათისა. ამ დღესასწაულებს ელინოთაის დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ერთ-მნიშვნისავე გათიშული ბერძნული ტომების წაროდ აქ შეკრების დროს გრანდიოზულ ერთობიანობას. ამდენად, აკროპოლს ეკისრებოდა არა მარტო რელიგიური ცენტრის როლი, არამედ მას ჰქონდა საერთო-ნაციონალური ხასიათი.

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, პროპილეიდან იწყებოდა საზეიმო სვლა და მოსული ბერძნები აქ გაიკლდნენ უხუცესების — წარჩინებულების წინაშე. თუ რა გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ადგილი. შეგობლიათ წარმოიდგინოთ ჭერის იმ ნანგრევით, რომელიც პროპილეის დღემდე შერჩენია. იგი ნათლად ვკივიანებს, თუ რა ზეგავლენას მოახდენდა მისი სიმაღლე და მონუმენტურობა ძველი ელინის წარმართულ გონებაზე.

აქედან ხალხი ვადიოდა იმ დარბაზში, სადაც ანტიკური სურათების გალერეა ყოფილა მოთავსებული. ამ გალერეაში მნახველი კიდევ უფრო განვიფრდებოდა, მისასაღამე, მისი არსების ფსიქოლოგიური განწყობა კიდევ უფრო გაძლიერდებოდა.

მთელი ამ მხატვრული საგანძირიდან თანამედროვეობას თითქმის აღარაფერი შემორჩა, მაგრამ შემორჩა ხსოვნა, რომელიც წარსულის ნიუანსებს მაინც კარგად გაიმთავვეყვს. საესკუბით ცხადი ხდება, რომ ძველი ბერძნები ხელოვნებას ანიჭებდნენ რელიგიურ-საზოგადოებრივ ფუნქციას, ისინი ხელოვნებას თავისებურად გავებულ უტილიტარულ მიზნებს უსახებდნენ, რის შესახებაც ასე ორიენტირულად თქვენს ძველ მამაროვნებმა, ხოლო ახალ საუკუნეებში გოტხოლდ ეფრაიმ ლესინგმა. ბერძნები ხელოვნებას უფერებდნენ არა განწევრების ფორმაში, არა მისტიკურად (თუმცა ზოგიერთს არც ამაზე უთ-

ქვამს უარი), არამედ უტილიტარული და ესთეტიკური მათ პარაზონულად ჰქონდათ შერწყმული, როგორც ჭეშმარიტი ხელოვნების სრული სახე. მათ ხელში ხელოვნება თავისი უშუალობით, სილამაზითა და ყვეილობით იღწევს ბავშვურ სრულყოფას. აქაც ამას გრძნობთ, აკროპოლის ამ ნანგრევებში ყოფნის დროს. სიმოვნებას განიცდით, რომ ეპიკურიზმის ბავშვობის აკვანთან ხედავთ მის არტახებს და შიბაქებს, გკვირ ჩვილის საამო სურნელება და გვსმით დედის საამო იავნანა.

ამ გრძნობებს აღძრავს თქვენს არსებაში ძველი აკროპოლის კლასიკური სტილი, რომლითაც გამოირჩევა აკროპოლის მარცხენა მხარეც. ყველგან და ყველაფერში აქ გრძნობთ მკაცრ სიმეტრიულობას, ასე შეაფიოდ რომ ახსიათებს ბერძნულ კლასიკურ სტილს. თითოეულ ნიუანსს ძველი არქიტექტორები აკისრებდნენ არა მარტო გარკვეულ ფუნქციას, არამედ მთელ შინაარსს აძლევდნენ, როგორც მაგალითად, „უფროთ გამარჯვებას“ — უფროთის იმპტომ, რომ იგი არ გაფრინდეს, გამარჯვება მუდამ მათთან იყოს.

ასეთია აკროპოლზე აგებული ათენის პატარა ტაძარი „უფროთ გამარჯვება“. წინ და უკან მას ოთხ-ოთხი თეთრი კოლნა აქვს. შესაბამეად იგი ორიენტირულია, მეტისმეტად უსამხედა.

როცა ყოველივე ამას უფერებ, გრძნობ, რომ არის რაღაც გულბრწყვილი, ბავშვური, თანაც უშუალოდ აზრობრივი იმ რწმენას, თუ მისწრაფებაში, რამაც აკროპოლის სახე გამოკვეთა, „უფროთ“ ტაძრები ააშენა, შექმნა პარათენონი და ერეკთეონი, მაგრამ ყველაზე მეტად აქ ჩანს ბერძნული მითოლოგიის ყველი თავისი ფანტასტიკური ქვეყნით.

ეს ქვეყანა ვაციოცლებულია ღმერთქალ ათენის პატეისაცემად აგებულ პარათენონში — ქალწულობის ტაძარში. იგი სულ რამდენიმე მეტრობისა დაშორებული აკროპოლის მთავარ ნაგებობას, მის უკან მდებარეობს და, რაკი გორაკის ნაპირზე დგას, აკროპოლთან ერთად კარგად ჩანს მთელი ქალაქიდან.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ქალღმერთი ათენა განასახიერებდა სიბრძნესა და გმირობას. ამიტომ მის პატეისაცემად აგებულ ტაძარსაც ეს ნიშნები უნდა ჰქონოდა, მათ პერეოვანი, ნაზი ყოფილიყო, როგორც ქალწულობის სიმბოლო. უეჭველია, პარათენონის არქიტექტორების, მოქანდაკეების, ფერმწერლების წინაშე რთული ამოცანა იდგა და ყველაფრიდან ზანს, რომ ეს ამოცანა მათ უღიღესა ისტატობით შეუსრულებიათ. ბერძნული კლასიკური არქიტექტურის მიღწევებთან ერთად; გამოუყენებიათ უძველესი ეგვიპტურ-სიჩიული არქიტექტურის საუკეთესო მონაცემები, გადუმუშავებიათ და მიუციათ მისთვის უფრო სრულყოფილი ფორმა. ძველ ბერძნებს

სერდათ პართენონი ისეთივე ორიგინალური, ლამაზი, მიწნიღველი ყოფილიყო, ისეთივე გმირული, ნაზი, პაეროვანი, როგორც ათენა პალადა, რომელიც მათ წარმოდგენაში ცოცხლობდა მითოლოგიური გადმოცემის ყველა საკვირველებათა განსულიერებით. ელინებს ხომ სწამდათ, რომ ღმერთიანი ეთენა ზევსის თაიდან დაიბადა, განსხვავებით სხვა დანარჩენი ღმერთებისაგან, რომლებიც წარმართულ რელიგიურ სამყაროს სულ სხვადასხვა გზით მოიქცევიან.

მთელი პართენონი დორიული სტილითაა აგებული, და როგორც კი აკროპოლისის მთავარი ნაგებობიდან გამოხვალთ, თქვენ შეხვდებით პართენონის ვეება კოლონებს, რომლებიც ამ მშვენიერ ძეგლს თეთრ სარტყლად შემოუკრებს. მას სწორკუთხედის ფორმა აქვს, გვერდებზე 15—15 კოლონა ამშვენებს, ხოლო წინ და უკან 8 კოლონა. შესასვლელი ქონია აღმოსავლეთის მხრიდან, საიდანაც შვე ამოდის. სხვანაირად არც შეიძლება, ვინაიდან ძველი ბერძენები, თავიანთი წარმართული სულით, ბუნების ლაღი შეილება და მისივე მონები იყვნენ. ამ შესასვლელთან მისული ბერძენი ერთბაშად იგაძნობდა ედღეს მოწიწებას ტაძრისადმი, ხოლო როცა შიგ შევიდოდა, იქ ყველაფერი ისე იყო მოწიწებული, რომ მისი გონება წარმართული რელიგიის ბანგით ასევე ერთბაშად გაოგნებულყო. შავნით, ცენტრში იდგა ათენა პალადის უმდიდრესი, თანაც უმშვენიერესი, ქანდაკება, რომელიც გენიალურმა ფილისამა, მარმარალოსა და ქვაში ბერძენული ღმერთების ყველაზე საუკეთესოდ განამაყოცხლებულმა, სპეციალურად პართენონისათვის შექმნა.

მაგრამ ვიდრე ტაძარში შევიდოდეთ, ვაიხსენოთ, რომ აკროპოლი არა მარტო რელიგიურ ან საზოგადოებრივ ცენტრს წარმოადგენდა, არამედ იგი იყო საიმედოდ დაცული თავისთავადი მტრების შემოსევისა და სამხედრო კატასტროფის დროს. აქ აფარებდნენ თავს დიდი განსაცდელის ეამს, და ამიტომ იყო, რომ ყველა აკროპოლისი თავისი ქუბი ჰქონდა. პართენონის გვერდით დღემდე შემონახულია მარაგალი ასეთი, საკმაოდ მოზრდილი, ჭა, ურომლისოდ, ცხადა, აკროპოლის არ შეეძლო თავისი დიდი მოვალეობა შეესრულებინა.

პართენონის პარმონია მიღწეულია არა ფიზიკური, არამედ ესთეტიკური გზით, როგორც ეს განსახიერებულია ძველ ბერძენულ ქანდაკებებში. ბერძენი ოსტატები ფიზიკურ მონაცემებს სრულიად თავისუფლად აბრუნდნენ ესთეტიკური პარმონიის გულისათვის და ამ მხრივ მათ ნამდვილად მიიღწიეს ვასაოცარ შედეგებს. დიდი ხელოვნების საიდუმლოება სწორედ აქ არის საძიებელი. ვინ არ იცის, რომ ფიზიკური ზომის თვალსაზრისით, ეკლესია აბოლონი ბელვედერებთან და მედიცის ვენერაც, მაგრამ ეს-

თეტიკურად, ხელოვნების თვლით, ორივე ენა-კლო, სრულყოფილი სახეა. ეს კანონია დიკელსო აქაც, ამიტომ, რომ პართენონს პარმონია პირველყოფილსა ესთეტიკური პარმონია დაჯი-ფიზიკური. ქუბების ვეება მასამი ჩაპჯდარი მთელი ფსახი ისეა გააზრებული და განხორციელებული, რომ სიმამეს ან ფიზიკური მასის დაწროლას ოდნეადაც არ გაგაძნობინებთ. ყველაფერში რეალისტური მკაცრი მიღგომა ჩანს, ოსტატურად არის თავიდან აცილებული ერთფეროვნება, რაც ამ შემთხვევაში თუნდაც კოლონების თანაზომიერ განლაგებას შეეძლო მოეცა. მაგრამ არქიტექტორები სხვა გზით წახელან უბნში ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად. მათ ისე განლაგებიათ ეს ვეება კოლონები, რომ მანძილი სულ სხვადასხვა აღილი, რამაც ერთფეროვნება მოსპო და შთაბეჭედლების ძალა გააძლიერა.

ფსახდის ბარელიეფებიც ერთფეროვნების სრულ უარყოფას წარმოადგენენ. მარჯვნივ ფსახდის ვეება ქუბების ქვეშ დამოწილი ცხენი და ასევე წამოწილი ახალგაზრდა წარმართი ქუბებს თავით იმარებენ, მაგრამ ისე მსუბუქად, თითქოს ზევიდან მათ თვითი ღრუბელი აწვეზოდეთ და არა მყარი ფიზიკური მასა. ფსახდის ცენტრში მოქანდაკეს მოუთავსებია ცხენები და ცხენოსნები. ერთი მათგანი ცხენს მიაქუნებს, თვითონ კი მყად, საკუთარი ძალის შეგნებით ზის გამართულად, მეორე — მის შემდეგ ცხენთან დგას სრულიად მიწეული, ლამაზი კუნთოვანი ტანიო, წამოსასხამი ზურგზე რომ მოუვლია, ხოლო მესამე — მაჭროლებს ცხენს და დაითხილი მერანი მასზე შეჭჯდარ მხედარსაც დამაბულ მღვთმარეობაში ყოფნას აძიულებს.

მარტოოდან ამ ბარელიეფით შეგძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა ოსტატები ყოფილან ძველ ბერძენებ ქანდაკებაში მოძრობის, დინამიკობის, ელასტიკურობის გამოსახვისა, როგორ სძულდათ ყოველგვარი ერთფეროვნება, რომელიც მოსაწყენისა და მოწყენილობის დედაა. ძველი ელინელები სიცოცხლის, სიყვარულის, ვეაკაცურისა და ბუნებრივი უშუალობის შობრფილად იყვნენ. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ამ იდეალების მისაღწევად ყველგან და ყველაფერში.

პართენონის შუა ადგილია სელასი, შემდეგ უკანასკნელი, ბოლო ადგილი — ოპოსტოდომოსი, მთელი ვეება დარბაზი, რომლის ცენტრშიც ათენა პალადას გამოსახულია იდგა ფილისას ჯადოქრული ხელით შექმნილი. ვხვდეთ იმ ადგილს, საიდან ეს ქანდაკება იდგა მთელი თავისი თვალისმოშობელი ბრწყინვალეობითა და სიღამაზით. იგი ოქროს ფარბაში იყო ჩასმული, მარცხნივ თავიწეული ვეელი ედგამარჯვენა ხელი ლამაზ კოლონაზე დაყრდნობილი, გამოსახულებას იჭერდა, სახე უჩვეულოდ

ლამაზი, მიმზიდველი, რომ იტყვიან — ღვთაებრივი ჰქონდა, მორთულობაც თავისა და ტანზე ისე მრავალფეროვანი, მართლაც საყვირველი, თითქოს ფუფუნებასა და სისადავეს საერთო ენა გამოეხსობო მისაველთა განსაცვიფრებლად.

ათენა პალადა იღვკა ამ ადგილის მე-17 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვიდრე იგი შემდეგ არ დეკარგა ზღვაში იმ გემის დაღუპვის დროს, რომლითაც ხელოვნების ეს უმშვენიერესი ძეგლი მიჰქონდათ. ეს მოხდა 1687 წელს, როცა აკროპოლი ნანგრევებად იქცა თურქების ასაფეთქებელ ნიეთიერებათა საწყობის, მამინ რომ იმ აქ იყო მოთავსებული, აფეთქების შედეგად. ბერძნები დღესაც უდიდესი ეროვნული გულიანტკვილით იგონებენ ამ წელს. სწორედ მამინ ვენეციელმა გენერალმა მორიციანმა მოახდინა აკროპოლის ბომბარდირება და ბერძნების ეს ეროვნული სიამაყე იკარგა. მამინ გაიტაცეს ვეულაფერი და, მათ შორის, ათენა პალადა, რომელიც ამჟამად სადაც ხმელთა შუა ზღვის ფსკერზე განისვენებს. ამ დრომდე პართენონი კარგად იყო შენახული, და ჩვენ შეგვეძლოს იმ ტაძარში ისე გვევტრძოთ თავი, როგორც პერიკლეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ფიდაოსის, დემოსთენისა და ძველი ბერძენი ტრაგიკოსების დროს, რომლებიც აქ მოდიოდნენ ხალხთან ერთად.

თუ მთელი პართენონი დორიული სტილითაა აგებული, და ამბობენ, რომ იგი 30 წელიწადში აშენესო, აკროპოლის სხვა შენობები, როგორც, მაგალითად, პართენონის ხელმარჯვნივ პატარა ტაძარი, ოსურები სტილით გამოირჩევა. ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან აქაც მთელი ძალით ჩანს ბერძნების განუზღვრელი სიყვარული მრავალფეროვნებისადმი.

ამ მრავალფეროვნებას ხედავთ ერექტოთონის ტაძარშიც, ბერძნული ანტიკის ერთერთ შესანიშნავ ძეგლში, რომელიც პართენონის გვერდით, ათენის წმინდა გველის პარტენაცევედ აუგიათ. მისხველის ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს არტემიდის ტაძრის ქურობა ქალთა — კარიხტიდა ქანდაკებანი. ეს ექვსი კარიხტიდის ვამოსახულება მართლაც მთელი პოემაა. თითოეულის სახე: ტანი, ტანსაცმელის დრადირება ისე ლამაზი, ბუნებრივად ლაღი, ქალისიერი სიხარნარის განხორციელება, რომ გვეგონებათ თითქოს ძველი ბერძნების მთელი ესთეტიკური იდეალი ამ ქვებზე აეშტრეველებინათ. შესაძლოა, ამან გააღვირა ინგლისელი ლორდის ელგინის კვლტობანია, ლორდისა, რომელმაც შესაშვი კარიხტიდი 1801 წელს მოიპარა და ინგლისში წაიღო. ეს კარიხტიდი ახლა ბრიტანეთის მუზეუმშია. ბერძნებში იგი ისევე აღადგინეს ფსევდოკარიხტიდით, მაგრამ იღვენილს როდი შეუძლია დაკარგულის შეცვლა. ბერძნები დღესაც გულისწყრომით იგონებენ უგუნურ ინგლისელ ლორდს, რომელმაც მათი მხატვრული საუნჯე პარზაროსულად გააჩრკვა.

კარიხტიდები კი ანტიკური ხელოვნების ნამდვილად უბრწყინვალეს ძეგლებს წარმოადგენენ. ექვსივე ქურობი ქალი მთელი ტანით ღვას კარიხტირად გამოკვეთილი, თავზე მათ ადგას ერექტოთონის ვეება ქვის სახურავი, მაგრამ მისი სიმძიმე ისე გააიეროვნებულია, რომ თვით ქანდაკების ოლიმპიური სიმშვიდით სრულიად იოლიდ უძლებენ ამ დაწოლას. ანტიკური ქანდაკების ის კანონი, რომლის შესახებაც ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით, აქაც უცვლელად არის დაცული და ოსტატურად ხორცშესხმული. კარიხტიდები ისე ღვანან, თითქოს ისვენებენ, შორიოდნენ და აქ შეჩერდნენ. მათ ლამაზ სხეულებს, ლამაზ ტანსა და სახეს, კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას აძლევს იშვიათი ხელოვნებით დრადირებული ტანსაცმელი, რომლის შიგნითაც ვრძობობთ პარზონულ ტანს. მაგონდება ლეონარდო და ვინჩი, რომელიც ფერმკურანებასა და მოქანდაკებას ურჩევდა ძველი ბერძენისაგან ვსწავლათ აღამიანის სხეულის პარზონული გრძობა, ტანსაცმელის ჩვენება თუ ტანზე მორგება. შეხედავთ კარიხტიდებს და თქვენ ერთბაშად მიგონიდავთ ანტიკური მოქანდაკის ეს შესანიშნავი ქმნილება, თუნდაც მისი ღირსება არ იცოდეთ. საიკოლობა და დანაშაულია ვინმემ ბოროტად ხელი შეახოს ხელოვნების ამ ანსამბლურ პანთეონს მისი გააჩრკვის მიხნით.

ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ერექტოთონის კარიხტიდები ბერძნული ქანდაკების, მართლაც, ბრწყინვალე ძეგლებია. ეს ძეგლები ბუნებრივად არიან ჩაქსოვილი შენობაში და მარტოდნენ სკულპტურულ გამოსახულებებს როდი წარმოადგენენ.

არცერთი სრული ნაგებობა ისე კარგად არ გამოხატავს ძველი ბერძნების ყველაზე შორეულ წარხულს, როგორც ერექტოთონი. თავდაპირველად იგი აუშენებიათ პართენონზე 1500 წლით ადრე. მასში ასახული გვიაროვნული წუობილების ყველა დამახასიათებელი ნიშანი, დარჩენილია ძველი გვიარო წყლითა და ასევე ძველი ჭერი. მის ერთადერთი შესასველი კარი აქვს, რომელიც დღესაც ლამაზი გერჩენება.

ძველ ბერძნებს გულუბრყვილოდ, პირდაპირ ფატილურად სწამდათ, რომ ათენი პალადის წმინდა გველი ერექტოთონის ცხოვრობდა. ძველი ბერძნების ამ ცრურწმენას, კერძოდ, ერექტოთონზე ფატილურ წარმოდგენას დასცილიდა ვენიალური კომედოიკრაფი არისტოფანე. მაგრამ დროთა სვლაში ეს რწმენა მაინც მტკიცედ დაეფუთა აღამიანთა ვინებას, შესაძლოა იმიტომაც, რომ ძალიან ძველი ხშირად უფრო ძნელი ამოსაძარკვევია, ვიდრე ახალი, რომელსაც თავისი ფესვები უფრო კიდევ ღრმად არ გაუღვამს. ათენის გველის ლეგენდა კი ძალიან ძველია, შეუდარებლად უფრო ხნიერი, ვიდრე მისი ტაძარი. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, იგი რომ მართლაც უძველესია, სტილითაც მტკიცედება. ერექტოთონის ქვის მრგვალი ბოძებია, ის-

ტატრად გამოკეთილი, დორიულ სტილს განასახიერებს.

დრო სწრაფად მიიწურა. აკროპოლს ვტოვებთ დილის სრულ 11 საათზე, ჩამოვდევართ ძირს და მივემართებთ დიონისოს ძველი თეატრისაკენ, რომელიც აკროპოლის მთის ფერდობს დაბლა მარჯვნივ მხარით მოპყვრია. ეს თეატრი ანტიკური საბერძნეთის ერთერთი უდიდესი უმშვენიერესი და ცნობილ ისტორიულ ფაქტებთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაგებობაა. ჩვენი წელთაღრიცხვამდე V საუკუნიდან იგი ემსახურებოდა ელენების ესთეტიკურ აღზრდას, ტრაგედიებით ზრდიდა მათში გვირგვინი, ვეჟიკატორ სულს, ხოლო კომედიებით საჯაროდ კიცხავდა მანკიერებას. აქ ესწრებოდნენ წარმოდგენებს სოკრატე, პლატონი, არისტოტელე ვინ იყის, პლატონისა და არისტოტელეს რამდენი ესთეტიკური იდეალი შემუშავებულა აქ ტრილოგიების მსვლელობის დროს. მინდა დავიხსენო, რომ კათარზისის განთქმული თეორია, ყველაზე ბუნდოვანი და დღემდე ყველაზე სადაო ანტიკურ ესთეტიკაში, შემუშავდებოდა სწორედ ამ თეატრში ტრაგედიათა ჩვენების დროს. ილბათ, პლატონმა და არისტოტელემ, ავირდებოდნენ რა მსურებლის რეაგირებას, ანალახს უკეთებდნენ შთაბეჭდილების ძალას, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო მათ მიერ განსხვავებულად შემუშავებულ კათარზისის თეორიას.

ჩვენი ერაზმდე 450 წლიდან მოყოლებული, დიონისოს თეატრი მძლავრი მორალური ფაქტორი იყო, რომელიც ათენის სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა. და მე შეჩვენება, რომ აკროპოლის ამ მიდამოებში მთელი ანტიკური საბერძნეთის სული ტრიალებდა: აკროპოლი — სამოქალაქო და რელიგიური ცხოვრების ცენტრის წარმოადგენდა ძირითადი ნაგებობითა და პართენონ-ერექტეონთან; დიონისოს თეატრი — მორალური აღზრდის ცენტრი; ათენის ბაზარი, პლატონის აკადემიასთან ერთად, ფილოსოფიური აზრის ცენტრი, ხოლო ათენი — მთელი ანტიკური საბერძნეთის კალენდისკოპოს. მე აღარ ვლაპარაკობ რდიონზე, უფრო მოვვიანო ნაგებობაზე, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნის ვანკეთუნება და რომელი სტილითაა აგებული. იგი უმთავრესად ფიზიკურ აღზრდას ემსახურებოდა თავისი 5000 ადგილით, ისევე როგორც სპეციალური დანიშნულება ჰქონდა ასკლეპიონს, რომელიც ანტიკურ სამედიცინო სასწავლებელს წარმოადგენდა.

ნანგრევებად ქცეულ დიონისოს თეატრს დღესაც შეუძლია სრული წარმოდგენა მოგვეცეს, თუ რა დიდი მასშტაბი ჰქონდა მას, როგორც ანტიკური საბერძნეთის სულიერი ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან კერას. როგორც ეს ნანგრევები მოწმობენ, დიონისოს თეატრი 4000 მსურებელს იტევდა. მარმარილოსა და ქვის სკამებს შორის გასასვლელი ყოფილა, სწორედ ისევე, როგორც დღევანდელი თეატრების დარ-

ბაზებშია. არის აქ რაღაც საერთო ძველსა და მომდევნოს შორის. ძველ ბერძენებსაც სწამდა, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი მსმეტომ პარმონიული ადამიანის აღზრდას ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება და ელინები არაფერს იშურებდნენ ამ მიზნის მისაღწევად. ეს ფაქტი დღეს საყოველთაოდ ცნობილია. ჯერ კიდევ ჰეგელს საღდაც მითითებული აქვს, რომ ანტიკური ესთეტიკური იდეალი, მთელი ანტიკური ბერძნული ხელოვნება ემსახურებოდა პარმონიული ადამიანისა და ასევე პარმონიული საზოგადოების აღზრდასო. შესაძლოა ამტკობაც ააგვს ძველმა ბერძენებმა ასე დიდი თეატრი, საღდაც პირველი რიგების მარმარილოს სავარძლებში ისხდნენ დიდკაცები და ქურუმები, — შემდეგ ქვის სკამებზე — შეძლებულები, ხოლო სულ უკან ადგილებზე — ჭანდარაზე, ქალაქის მოსახლეობის დანარჩენი ფენები.

რაც შეეხება სცენას, იგი საკმაოდ დიდი ყოფილა. მსახიობები კელისებიდან გამოდიოდნენ, ისევე როგორც გუნდს წევრები. აქტიორები მამაკაცი იყვნენ, ქალები არ მონაწილეობდნენ, მათ როლებზეც მამაკაცმა ასრულებდნენ. იდგებოდა ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიები და არისტოფანეს კომედიები.

დღევანდელი ათენი, აკროპოლისა და დიონისოს თეატრის ახლოს, დაბალი სახლებით ხასიათდება, ირგვლივ კი მთებით, რომლებიც ქალქს ტაფობში ჩაეარდნილად მოგაჩვენებთ. ჩემი თბილისის მთებს მაგონებსო, — აღტაცებით წამოიძახა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ, — და მე საესებით ვიზიარებ ამ სწორ შედარებას. ათენის მთები, მართლაც, მოგაგონებენ თბილისის ირგვლივ ვარშოპირტყმულ მთებს და ორივე — ტაფობში მოქცეულ ქალაქს.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ათენის მთავარ ქუჩაზე გავედით, ჩვენი დავანახეს დიმოსკოლის ტრიუმფალური თალი, რომლის მშენებლობა აღრიანეს დროს, 164 წელს, დათავრებულა. მშვენიერა თალია, ოსტატურად გაკეთებული, მაგრამ უფრო მეტად ყურადღება მიიპყრო ზეისის ვანთქმულმა ტაძარმა, დღეს რომ ნანგრევებად ქცეულა, თითქოს მისი ძველი დიდება უჩაგვანს წარტაცოს.

ზეისის ტაძარი, მართლაც, ევებერთელა, ნამდვილად გრანდიოზული ნაგებობაა. მის ჰქონია 115 უმაღლესი თეთრი კოლონა, რომელთაცან დრო-ყამს მხოლოდ ორი ათეული ვადარჩნა. ერთი მთავანი ბოლო ხანებში შეხს წაუქცევია. და მისი დიდი ტანი, ნაფლეთებადქცეული, მაგრამ ერთმანეთზე მიწყობილი, დაქრილი თუ აყურული ეშმაის ტანს მოგაგონებთ. ტაძრის მშენებლობა ჩვესი ერაზმდე V საუკუნეში დაუწყეათ. შენდებოდა თითქმის შედარსი წლის მანძილზე და მხოლოდ მეორე საუკუნეში, იდრიანეს დროს დაუთავრებიათ. ამ შესანიშნავი ნაგებობის მშენებლობაზე თურმე 400.000 მონა და 20.000 ბერძენი მუშაობდა. ტაძარი მთლიანად

კორინთული სტილით არის აგებული, ხოლო ეს სტილი, როგორც ცნობილია, არაკლასიკურად ითვლება. დეკადანსს ვამოხატავს, წააგავს რა ბაროკოს სტილს. და საცემებით მართალია, როცა ბაროკოს ძირებს კორინთში ვხედავ.

მოდელიათ ათენის სტადიონზე, რომელიც 1896 წელს აუგიათ, სწორედ იმ იდეალს, სადაც ჩვენს ვრამდე IV საუკუნეში ძველი ელინების სტადიონი ყოფილა ოლიმპიურ თამაშობათა ჩასატარებლად. ეს წარმართული სტადიონი გაუქმებია ქრისტიანობას მე-10 საუკუნეში, ხოლო ახალი, რომელიც 40.000 კაცს იტევს, მთლიანად პენდელის მარშარილოსაგან არის აგებული. მას მარტოოდენ სარბენი მოედნები აქვს. შესავალი ბადროს შტურობის ქანდაკება აშვენებს. ახლაც აქ იმართება ოლიმპიური თამაშობანი, და ვვეულებნიან, რომ მსოფლიოში ეს ერთადერთი სტადიონია, რომელიც მთლიანად მარშარილოსაგან არის აგებული. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს თერთი სტადიონი, მართლაც, ყარვ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მარშარილოს სტადიონიდან მივემართებით ათენის არქეოლოგიური მუზეუმისაკენ. მოველით, რომ ანტიკური საბერძნეთის ძეგლებს იქ მრავლად ვნახავთ, რათა უფრო ცოცხლად წარმოვიდგინოთ ის, რაც ლიტერატურაში ასე მიღებულია შემორჩენილა: დღევანდელმა საბერძნეთმა იგი ვერაჯერობით ძუნწად გადაგიშალა, ძუნწად არა იმბრო, რომ არ სურს გვაჩვენოს, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო — წარსულის დიდებული რელიკვიები წაღებული ან დატაცებულია. იქნებ არქეოლოგიურმა მუზეუმმა ნაწილი მაინც შემოინახა?

გზად გაუვარეთ საბერძნეთის დღევანდელი მეფის პავლეს სასახლეს, რომლის დაცვა — კრზინოსი მეტად ორიგინალურ შთაბეჭდილებას ახდენს. სასახლის დაცვას ძველი ბერძნული ერთწელი ტანსაცმელი იცვია, ცხადია, არა წარმართული, არამედ ქრისტიანული დროისა. ეზოს შესასვლელში ერთი კაცი დგას ვიწრო თეთრი შარვლით, ძირს დაშვებული თოფითა და წითელ-ვეითელ ფერის აქრელბული ტანსაცმელით. თავზეც წითელი ქუდი ახერავს, ხოლო უწინური ფეხსაცმლის ცხვირზე შავი დიდი ფრენები აქვს გაკეთებული. შუა საუკუნეების ბერძენი მეომარი გვეგონა! გაოცება ისეთი იყო, როგორც რომში. პაპის დაცვის ხილვის დროს.

ჩვენ მერე დრო არა გვაქვს, უფრო დიდხანს ვათვალიეროთ საბერძნეთის მეფის სასახლე ვარდთან. ყველა მანქანებში ვსხდებით და ვასილი-სა სოფლის ქუჩას მივყავებით სახელმწიფო პარკსა და პარლამენტის შენობისაკენ. მარჯვნივ აკადემიის ქუჩია, რომელზედაც მოთავსებულია ათენის სამი დიდი კულტურული დაწესებულება — უნივერსიტეტი, აკადემია და საჯარო ბიბლიოთეკა. აკადემიის შენობას აშვენებენ აპოლონისა და არისტოტელეს ქანდაკებანი. უნი-

ვერსიტეტის შენობას მდიდარი ბარელიეფები აქვს, ხოლო ბიბლიოთეკას — ანტიკური კოლონები. ბიბლიოთეკაში ასახელები კიბე ორმხრივია, რაც შენობის ფსადარს მერე ორიგინალობას აძლევს. ეს უბანი მდიდარია შედარებით დიდი და ფუნდამენტური შენობებით. აქვეა ბანკი, საკმაოდ დიდი კათოლიკური ეკლესია, ფართო-ვიტრინებიანი მაღაზიები. ვერხვებზე კინოს დიდ შენობას, სადაც ამასწინათ წარმატებით გამოსულია ქალთა შესანიშნავი რუსული ანსამბლი „ბერიოზკა“.

ქალაქის ამ უბანში ათენის ვველაზე დიდი მოედანია, რომელსაც პომონის — თანსობის მოედანს უწოდებენ. ახლა ეს მოედანი გადაკეტილია, ვინაიდან შეეყოფება საბურთებს და აკეთებენ კიდევ. შრომისმოყვარე ბერძენი ხალხი ათენში დიდი მასშტაბით ანგრავს ძველს და აშენებს ახალს. ქალაქში ისე ბერია ხალხი, რომ მუშახელს სივიწროვეს აქ არ უნდა გრძობდნენ. ამ პაპანაქება სიციხეში ოფლდასხმული აღმანიები ჩქარა მიღ-მოდიან, ქალაქს მერე დინამიურობას აძლევენ, რომ აღარაფერი ეთქვათ საჭაპანი და ავტორანსპორტზე, რომელიც მართლა ჩქარა მოძრაობს, მარდი ნაბიჯებით მიმოდიან შავ მანქანებში გაბეული ბერძენი მღვდლები და ბერებები. ისინი ბლომად არიან. მათაც სიციხე აწუხობთ. მთავარი საუკურო ქუჩაზე — პატისია არა მარტო ხალხი, მაღაზიებიც ძალიან ბევრია. არ მეგონა, თუ პატარა საბერძნეთის დედაქალაქი, ძველი ათენი დღეს ასე მოძრავე, სიციხლით საცხე, ენერგიული და ცოცხალი საბით დავგვადებოდა.

ვიღრე არქეოლოგიური მუზეუმს დავუახლოვდებით, ხელმარჯვნივ პოლიტექნიკური სასწავლებელი დავგანახვს. იგი საკმაოდ მოზრდილი ყარვ ნაგებობა ჩანს. ამ დროს მანქანებიც ვაჩერდნენ და ჩვენ შევინშეთ, რომ უკან სხვანაირი მანქანა მოვიდა, საიდანაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ბერძენი პოლიციელები გადმოვიდნენ. ეტყობა, ისინი ჩვენს მანქანებს უკან მოსდევდნენ, როგორც გვითბრეს, გაუგებრობათა თვადან ასაცილებლად.

ასე შევედი ათენის არქეოლოგიური მუზეუმში. იგი შედარებით პატარა შენობაშია მოთავსებული და, კაცმა რომ თქვას, სრულებით არ აქვს მუზეუმის შესახადობა. ვნახით მაინც, რა ვაჩანია ამ მუზეუმს იმ დიდი წარსულიდან, რომლითაც საბერძნეთი ცნობილია მთელ მსოფლიოში და რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის ავნიდ არის მიჩნეული.

მუზეუმის პირველ განყოფილებაში გვიჩვენებენ ოქროს სასმისებს ანტიკური გამოხატულებებით. შემდეგ ევგვიპტური კულტურის გავლენით აღბეჭდილ დიდ დოჭებს. ეს დოჭები ჩვენს ვრამდე VIII საუკუნეს განეკუთვნება. მათ დამდებენ მიცვალებულების საფლავებზე, როგორც ამას წარმართული რელიგია მოითხოვდა აქვეა წითელი ფერის დოჭი, ჩვენს ვრამდე VI

საუკუნის ნახევარი იგი ცხოველებს გამოსახლებით არის აჭრებულნი და ჭინკივლების აშკარა გავლენის კვალს ატარებს.

არქეოლოგიურ მუზეუმში ანტიკური კერამიკის სხვა ძეგლებიც მოუგროვებიათ, თუმცა მათი ღირებულება, ძველი საბერძნეთის, დიდ წარსულთან შედარებით, ამდენად მნიშვნელოვანი არ არის. სამაგიეროდ, უფრო საინტერესოა ამავე განყოფილებაში წარმოდგენილი ელინური და ელინისტური ეპოქების ქანდაკებანი, რომლებიც დღადავებულია ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით, რამდენადაც ამის შესაძლებლობას თვით ეს ძეგლები იძლეოდნენ.

ჩვენი ყურადღება უმაღლესი კლასიკური სტილის დეკადანსის გამოხატულებაში ბრინჯაოს ქანდაკებაში. ეს არის ღამაში კაბუცი, რომლის სხეული დამაბულ მოძრაობაშია, თვითველი ნაკვეთი დინამურია. კაბუცი ისერის ისარს დაჭიმული ტანის მთელი ძალით, ხოლო ეს ტანი თითქმის ხელებს წინ წივლიათ, აუტაცინათ და მთლიანად მოძრაობის განუყოფელ-მონაწილედ გაუხდიათ. ბერძნული ქანდაკების პლასტიკურობა ხელოვნების ამ ძეგლშიც შენარჩუნებულია და მიღწეულია უთუოდ ოსტატურად. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ვინ არის ამ გამოსახულების ავტორი. მაგრამ იგი რომ დიდი ხელოვანი ყოფილა, არავითარ გუქს არ ტოვებს. ქანდაკებით ნაჩვენებია კაბუცის სახე მიმზიდველი და ღამაშია, თუმცა ცალი თვალი ჩავარდნილი აქვს, ხოლო გრუხად დაყრილი თმები ჩვენს მესხიერებაში აცოცხლებენ ბერძნულ ფრესკებსა თუ ბარელიეფებზე გამოსახულ ელინთა სახეებს.

ამბობენ, რომ ეს ქანდაკება დეკადანსის გამოხატულებაა. დეკადანსში ჩვეულებრივად გულისხმობენ ამ ახალ მომენტს, რომელშიც ძველი წარმართული მითოლოგიური ღმერთების ადგილას ხელოვნებაში შემოიყვანა პრაქტიკული ცხოვრებით აღსავსე და არსებობის შენარჩუნებისათვის მუდმივი აღამაინი. უველაზე ნათლად ამას მოწმობს ჩვენს ერამდე III საუკუნის ქანდაკება „პატარა ცხენოსანი“. უფრობინ მას, მართლაც პრაქტიკული ცხოვრების ფილოსოფიით აღსავსე ხელოვნების ძეგლს, ზედამეტ პატარა ბიჭუნას, ფეხებგამოშლილი რომ ზის უბულო ცხენზე და მიჰქნებს. მაგრამ ეს ქუენება ესოტრეკური საამოვნების, დასვენების, გართობის, დროსტარების სურვილით ეი არ არის გამოწვეული, არამედ, მიზნად ისახავს არსებობისათვის ბრძოლით შეპირობებულ სრულიად პრაქტიკულ ამოცანას. იგი ნადირობს, რათა საზრდო იშვოდეს და ფიზიკური არსებობა შეინარჩუნოს.

თუ როგორ განვითარდა ბერძნული ქანდაკება უძველესი ეგვიპტური ხელოვნების დავლით, შევიძლიათ სავსებით გამოკვლიად დამახსოთ ეგვიპტელი მამაკაცის გამოსახულებისა და ჩვენს ერამდე V საუკუნეში შექმნილი ელინური ქანდაკების შეპირისპირებით. მარმარილოს ეგვიპ-

ტურ ქანდაკებაში თქვენ უმაღლეს გრძობით სტატურობას, უმოძრაობას, მთელი ტანის არაანატომიურ იგებულებას. მოძრაობა გამოხატულია მხოლოდ სახეზე, ისიც ოდნავი დიმილით ამბობენ, და საყვებით მართალია, რომ ძველ ეგვიპტურ ქანდაკებებს მხოლოდ ვარგველი ანატომიური იგებულება აქვთო. ძველი ეგვიპტელები ჯერ კიდევ არ აჭრებოდნენ ადამიანის შინაგან არსებაში, და მე გგონია, არის რაღაც საერთო ეგვიპტურ მუმიებსა და ეგვიპტურ ქანდაკებებს შორის. უმოძრაობა, გახვევებაში გადასული, შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ ფანტასტიკური წარმოდგენებით რაც ესოდენ დამახასიათებელია უძველესი ეგვიპტური რელიგიისათვის, რომელიც ჩვენს წელთაღიციხეამდე 3—4 ათასი წლიდან მოყოლებული ემსახურებოდა ამ უძველეს ხალხს.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღიციხეამდე VI საუკუნეში ბერძნებმა ეგვიპტური ქანდაკებების ოდნავი დიმილი თავიანთ ქანდაკებებში უფრო ძლიერი, პლასტიკური, რელიეფურად თვალშეწყვეტილი და ცოცხალი გახადეს. შემდეგ მას მიემატეს მეტი მოძრაობა, რომელიც სახიდან მთელ სხეულზე გადაიტანეს. ეს ნათლად იგრძნობა ათენის არქეოლოგიური მუზეუმის პირველივე ქანდაკებაში, ხოლო მეორე ქანდაკება უკვე გამოხატავს სხეულს, ანატომურად მკაფიოს, მოძრაობა ტანზედაც რომ გადასულია. პირველი ქანდაკება VI საუკუნისაა, ხოლო მეორე — V საუკუნისა. ასი წლის განმავლობაში ეს წინსვლა ისეთი მნიშვნელობის შემცველია, რომ უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა მიგველოთ ის ბრწყინვალე ძეგლები, რომლებსაც ანტიკურ ქანდაკებათა სახელით ვიცნობთ.

ასეთია მუზეუმის ამ განყოფილებაში წარმოდგენილი მესამე ქანდაკება, თავისი ხასიათით მთლიანად ელინური. მას ძველ-ეგვიპტურისაგან აღარაფერი შერჩენია; სახეც და თმაც ისეთია, როგორიც საერთოდ დამახასიათებელია ანტიკური ბერძნული ქანდაკებებისათვის. ეს უკვე აღამაინს სხეულის ჰეგიაა, მთელი ტანი რომ ასე თავისუფლად არის გამოხატული. იგი შექმნილია ჩვენს ერამდე V საუკუნის მიწურულში და ცნობილია „ათენელი კმაწვილის“ სახელწოდებით.

მეთოხე ბერძნული ქანდაკება გამოხატავს ქალს, მდიდრულად ჩაცმული ტანსაცმელით. ქანდაკება პატარაა, მაგრამ აქ ერთი რამ არის ფრიალ საურთარება. ქალის ყველა ქანდაკება, ამ განყოფილებაში წარმოდგენილი, ხასიათდება შეღებული ტანსაცმელით. ძველი ბერძნების ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა ქანდაკებებს ღებადნენ, რათა მეტი დამაჯერებლობა მიეცათ. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს ანტიკურ მოქანდაკეთა ასეთი მოქმედება, მას თავისი ისტორიული გამართლება აქვს, თუმცა შესაძლოა ჩვენ ახლა გავეციონოს, აჭრე-

ლებული გამოსახულება რომ ვნახოთ. ეს წარ-
ხულ ეკუთვნის და მისი ვახსენება ინტერეს-
სიკლებული მაინც არ არის.

კლასიკური ეპოქის განვითარებმა V-IV საუკუ-
ნების ბრინჯაოს დიდი ქანდაკება. იგი წარმარ-
თული ღმერთების გამოსახულებას წარმოადგენს.
*დავლი აქ ვაღმოცემულია მოძრაობით, შეიძ-
ლება ითქვას, მთლიანი მოძრაობით. მაგრამ სა-
კითხავია, ვინ არის გამოსახული — აპოლონი
თუ ზევსი? შეიძლება პოსეიდონია? ძნელია ამ
კითხვებზე პასუხის გაცემა, თუმცა სპეციალისტ-
თ, მეტი ნაწილი ზევსს გულისხმობს, ზევსს,
რომელიც ელვას ტყორცის. ეს უკანასკნელი
მომენტია—ელვას ტყორცია—ისე ძლიერ არ-
ვემტობა, რომ შეეძლება არ იქნება, თუ ამ
გამოსახულებით ზევსს ვიგულისხმებთ, მით უფ-
რო, რომ შთელი გამოსახულება ზეიადობისა
და მედიდობის გამომხატველია. ოსტატს შე-
ხანიშნავად ვაღმოუცია ანტიკური ქანდაკებები-
სათვის დამახასიათებელი ოლამპიური სიმშველ-
ე. გამოსახვის ობიექტია არა მარტო ფლობს თავის
თავს, არამედ, ძალიან მკაფიოდაც ჩანს, რომ
აფე არავის არ ემორჩილება, თვითონ არის უვე-
ლაფრის მმრმანებელი, მფლობელი და მეუფე-
სწორედ ასეთი იყო ზევსი ძველი ბერძენების
წარმოდგენით, თუმცა ასეთები იყვნენ წარმართი
ღმერთებიც თავიანთ სამფლობელოებში.

შემდეგ იწყება შთელი გაღერვა ანტიკური ვა-
ზებისა. ისინი მნახველს ხიბლავენ თავისი სი-
ლამაზით, და ოსტატური ხელოვნებით. ვაზები
შემქმლია იმ გამოსახულებებით, რომლებიც
ხევისთვის ცნობილია სხვა ვხითაც, მხედველობა-
ში მაქვს საყოფაცხოვრებო ნივთები და ფრეს-
კები. აქ თქვენ ნახავთ წარმართული ღმერთებს,
ღმერთებლების, მითოლოგიური ვმირებისა და
ძველი საბერძნეთის ყოფითი სურათების გამო-
სახულებებს. თვითელი მათგანი თავისებურია,
სხვევ თავისებურად ძვირფასი როგორც ისტო-
რიული თვალსაზრისით, ისე მატერიალური
ეულტურის ასპექტში.

შთელი განყოფილება მთავრდება მეტად მნი-
შნელოვანი მოზრდილი ბარელიეფით, რომე-
ლიც საფლავზე იყო დადებული. ბარელიეფზე
გამოხატულია ორი ქალი, გრძელ ტანსაცმელში
გამოწყობილი. ერთი მათგანი ზის, მუხლებზე
უდევს ყულაბა, საიდანაც ლითონის ფული ამო-
ულია და მის წინ მდგარ მეთორ ქალს აძლევს.
ორივე ქალის სახე მინორიულია, დამწუხრებუ-
ლი, ორივე მოძრაობაშია, მაგრამ ამ მოძრაობას
გამოხატავს არა მარტო მათი სახე, ტანი, თუ
მდგომარეობა, არამედ თხელი ტანსაცმელიც,
შთელ სხეულს ასე გამჭვირვალდ რომ გვიჩვენ-
ებს. ეს გამჭვირვალბა სიმშველში გადაღის,
და მთუხედავდ იმისა, რომ თვით სხეული
შისველი არ არის, მაინც ხედავ მის სიმშველს.
სამაგიეროდ, პირველი ქალის მარცხენა ფეხის
შტევანი მართლაც სრულიად შისველია. მის
ზევით იწყება გრძელი კაბის მშვენიერი დრამა-

რება, რაც პირველი ქალის ლამაზ აღნაგობას,
კუნთებს, ბარძაყებსა და მეტრდს, შთელ ტანს,
როგორც უკვე ვთქვით, იშვირბთ გამჭვირვალე-
ბით გვიჩვენებს. გვერდებზე, ეს უკვე მწიწრბა**
და არა ქანდაკება. სულბატურის ოსტატობას
თითქოს გაურღვევია ქანდაკების საღმამრაციო
ხაზი და ფერწერის სამყაროში შეგრილა. სხვა-
ნაირად როგორ უნდა ავხსნათ ქალთა სახეებზე
გამოხატული მწუხარება, რომელიც იშვიათა
ფერწერული ოსტატობითაა ვაღმოცემული? ამ
ოსტატობას ისიც მოწმობს, რომ შთელი ბარე-
ლიეფზე გახატონებელია ანტიკური ქანდაკე-
ბისათვის დამახასიათებელი ოლიმპური სიმშვე-
დე, იმ დროს, როცა მდგომარეობა დაძაბული
და ტრაგიკულია. არ შეიძლება არ მხედდეთ,
რომ პირველი ქალი, რომელიც ზის, მდიდარს
არისტოკრატია, ხოლო მეორე, მის წინ მდგო-
მი — არისტოკრატი ქალის მონია, მისი მხაბუ-
რია. ამ უკანასკნელის სახეზე ერთად იხატება
შორბილება, მწუხარება, სევედა და სინანული.
მარჯვენა ხელით მას ყულაბის ერთი მხარე
უკავია, ხოლო მარცხენა ხელს ტანი ფარავს.
არისტოკრატი ქალს, რომელიც სიკვდილს მოე-
ლის. მარჯვენა ხელში ლითონის ფული აქვს
მხაბურისათვის ვადასაცემად, ხოლო მარცხე-
ნით ყულაბა უკავია მის სახეზე მწუხარე-
ბასთან ერთად სიმშველდე იხატება, ეტუო-
ბა, რომ სრული შეგნებით იგი მშვიდად
ხედვდა სიკვდილს, რაყე ჭონება აქვს და ჭგო-
რია უკვდავებას დიმიკვირებს. მდიდრულია
მისი ტანსაცმელი, ძვირადღირებულია სკამიც,
რამედაც ზის. სკამის ფეხები ღრმად მოღუნე-
ლია, ასევე მისაყრდნობიც ერთი სიტყვით, უვე-
ლაფერს მდიდრულ და არისტოკრატიული შე-
ხედულება აქვს, ყველაფრიდან ჩანს, რომ მისი
მფლობელი მდიდარი არისტოკრატია.

შთელი ბარელიეფი გამოსახულია ორი კოლო-
ნით დამშვენიერებულ დაფაზე, რომელსაც ზემოდან
აღვას დამავვირვინებელი თავსაბურავი ბერძ-
ნული წარწერით. ვიმეორებთ, რომ უველაფერი
ეს ფერწერულია და არ შეიძლება მარტობდნ
ქანდაკების შიგაუთვრით, თუმცა კუმმარობა
ქანდაკება კუმმარობი ფერწერისაგან მხოლოდ
ერთი წერტილით განსხვავდება, რაც გამოსახვის
მასალაშია საძიებელი და არა გამოსახვის ხა-
სიათში.

ათენის არქეოლოგიურ მუზეუმს თავის გან-
ყოფილებებში აგრეთვე მოუთავსებია კლასიკე-
რი ეპოქის ანტიკური ვაზები. ისინი გვხიბლავენ
ოსტატური შესრულებით, ძვირფასი ორნამენ-
ტებითა და მინიატურული ფრესკებით. აქვე
თქვენ ნახავთ ანტიკური იუველირების ოსტა-
ტურ ძეგლებს. დაუფარავად ვიტყვით: ანტიკე-
რი ჯეაყირების ოსტატობა, მართლაც, ყოველ-
გვარი ჭების ღირსია. რა შესანიშნავიდ ფლობდ-
ნენ ისინი ძვირფასი ლითონების მინიატურულ
საქრთეულებს, რა მოთმინება ბქონდთ, რა სიღ-

ვარული თავიანთი პროფესიისადმი და რა ძვირფასი ძეგლები დაეტოვებს შთამომავლობას ეაციობრიობის წარსულის გასახსენებლად.

მაგრამ აქ, ჯერჯერობით, ყველაფერი ერთმანეთში არეულია და აქიერ ძეგლებს ჯერ კიდევ აქვია ზუსტი შეცნობილი ანალიზის შედეგად მიღებული კლასიფიკაცია. მაინც გამოიჩინეთ კლასიკური ეპოქის ბრინჯაოს ქანდაკებას, რომელიც შვენიერ ახალგაზრდას გამოხატავს. ეს ქანდაკება მთლიანად ელინურია, საბოლოო და გააზრებულია. ბერძნულ სახეს მტ მიზიდველობას აძლევს სულის შინაგანი სიძლიერე; ჩანს, რომ ქაბუტის არსებაში რწმენა ფლობს ცხოვრებას, მისი შემფრქვევებითი ძალები ბატონობენ ცხოვრების ტალღებს. ეს არის „უმაწვილი ვანდიციფერი“, რომლის გამოსახულება შეეკითხებულა და შეესებულა, რაჟი ჩვენამდე დაუზიანებლად ვერ მოუღწევია იგი შექმნილია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში და, მასასადამე, კლასიკურ ეპოქას მიეკუთვნება.

სულ სხვანაირია მეორე უმაწვილის ქანდაკება, იგი გაცილებულ-შეშინებულ სახეს გამოხატავს. მასში ჩანს ურწმუნოება, სისუსტე, თითქოს სახეს თავისი თავი ვერ უპოვია. ეს ქანდაკება დეკადანსის ეპოქის გამომხატველია და კლასიკური ზანის ძეგლებთან საერთო არაფერი აქვს. მას ვერ შეადარებთ, მაგალითად, პატარა ბიჭის მოდიმარ სახეს, უთუოდ ელინური ეპოქის ძეგლს, ყველა იმ ნიშანდობლივი თვისებით რომ გამოირჩევა, რაც საერთოდ ამ ეპოქის ხელოვნებას ახასიათებს. შემოქმედებითი ოსტატობითაც

ვერ გაავლებთ პარალელს თემიდას — მართლმსაჯულების — დიდ ქანდაკებასთან, რომელიც მთლიანად მარმარილოსია და ანტიკურ კლასიკური ძეგლების ოლიმპიური სიმშეილით, ტანსაცმელის იშვიათი დრამირებოთა და გრანდიოზულობით გამოირჩევა.

მაგრამ ნუთუ ეს არის ათენის მთელი არქეოლოგიური მუზეუმი?

ნუთუ ესაა თანამედროვე ევროპის აკადემია?

განა ასეთი მუზეუმი შექმნის ელადის დიდებული წარსულის პანორამას?

ყველას გული გვეტყინა, როცა მუზეუმიდან გამოვდიოდით და გაცილებული ვიყავით. გომართლებას მხოლოდ ერთ რამეში ვპოულობდით: ის, რაც ენახეთ, სრულიად ახალი დაწვეებულია; თვით ეს მუზეუმი, რომელიც საბერძნეთში ამჟამად ყველაზე დიდ, ყველაზე ძვირფას მუზეუმად ითვლება, ბერძნებს დაუარსებიათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 5-6 წლის წინათ. მათ ვერ მოუხსნიათ ყველა არსებული ექსპონატის შეგროვება, თუმცა საკითხავია: რა უნდა შეაგროვონ, როცა ნანგრევების მტრი იღარაფერი შერჩენიათ, ზოლო, რაც კარგი იყო, სხვებმა მიიტაცეს და წაიღეს?...

... საღამოს სრული 8 საათია, აეტომანქანებში ადგილებს ვიკავებთ და ათენს ვეთხოვებით. მივდივართ პირეაში.

ღამის სრულ 12 საათზე გვმი ნელა შორდება პირეის ნავსადგურს. გვზს იღებს სტამბოლისაკენ — ძველი კონსტანტინეპოლისაკენ.

(გაგრძელება იქნება)

მიორგი მარგველაშვილი



ბალახტიონ ტაბიძე

ნახევარი საუკუნეა, რაც ვალახტიონ ტაბიძე უმწიველად ემსახურება ქართველ ხალხს და ამდღერებს ქართული პოეზიის სწორბოეარ საგანდერს. ცხრაას რვა წლის მათობაზე დაქტეხა ვალახტიონის პირველმა პოეტურმა სიტყვამ და რა დიდი, რთული, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზა განვლო მას შემდეგ პოეტმა მას — ქართული კლასიკური პოეზიის ნიადაგში ფესვგამდგარ მგოსანს, აკაცი წერეთლის სულიერ მოწაფეს — წილად ზედა საბატიო მისია: ქართული ლექსის ჯანსაღ რტოზე დაემყენა ახალი საუკუნის პოეტური კულტურა.

თავის პირველსავე საუკეთესო ლექსებით ვალახტიონ ტაბიძე მოგვევლინა როგორც უაღრესად ეროვნული და ამავე დროს მსოფლიო პოეტურ კულტურას ორგანულად ნაზიარები ზელოვანი. მაგრამ გზა პოეზიის მწვერვალებისაკენ როდი იყო აღვილად დასაძლევად და ის, რასაც ჩვენ დღეს ვალახტიონ ტაბიძის პოეტურ ნოეატროობას ვუწოდებთ — უცებ და „უდანაკლისოდ“ როდი იყო მიღწეული. ვერცერთი ძიება ვერ მიადწევს მიზანს, თუ მაძიებელმა ხანდახან მდღარი, ან უცეე სხვის მიერ ვათელილი ბილიკიე არ მოსინჯა, სანამ საკეთარ გზას დაიპყიდერებდეს.

იმ დროისათვის, როდესაც ვალახტიონ ტაბიძე პოეტურ ასპარეზზე გამოვიდა — ქართული კლასიკური ლექსის ფორმალური შესაძლებლობანი თითქმის ამოწურული იყო. რა თქმა უნდა, ცხრაას რვა წლიდან ცხრაას თხუთმეტამდე ჯერ კიდევ მთელის ხმით ეღერდა აკაცისა და ვაჟას ნანავი. უფრო მეტიც, ამ წლებში მსოფლიოში დიდოსტატებმა არაერთი ნამდვილი შედევრი შექმნეს ქართული ლირიკისა, მაგრამ ახალი პოეტური საწყარო (თავის უცეე მკვიდრ საწყაროსთან შედარებით) მათ აღარ აღმოუჩინიათ. საერთოდ მკირე გამოწავლისის ვარდა, იმდროინდელ პოეტურ პროდუქციასში მაინც გამეფებული იყო ოთხმოცდა-ოთხმოცოდეათიანი და ცხრაასიანი წლების პოეტური ინერცია, თანაც ისეთი მძლავრი, რომ ამ ინერციით ამოძარეებულ ნაყაღში თითქმის ინთქმებოდა ცალკეული ცოცხალი და ახლებური ვაელებანი. აკაცის თავის ბოლო კმინებებში არც კი უცდია მის მიერ შემეშა-

ვებული და დაჯანოებული პოეტიკის და განწყობილებათა წრის ვარდევვა, ვაჟამ სკადა ესინჯა თავისი ძალა აღევგორიულ და განყენებულ ლირიკულ წიაღსვლითა სფეროში, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მან აქ გამარჯვება მოიპოო, სწორედ ამიტომაც დაუბრუნდა იგი ამ ხანის საუკეთესო ლექსებში თავის მკვიდრ და თვისტომ პოეტურ საწყაროსა და სახეით არსენალს. მიუხედავად ამისა, აკაცისა და ვაჟას პოეტური პრაქტიკა ამ წლებშიც დიდად ფასეული და მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მათში შეუნელებელი ძალით ვიხვიებება სამოციან წლებში თუ ცხრაასხუთში გამოყვესილი ცეცხლი, ხოლო თავისი პემინისტერი, პატრიოტული და ხალხური შემართებით მათი პოეზია სიმედო ფარი იყო კულტურის სფეროში დაცემულობისა და რექციის, აეადმყოფერი ესთეტიკისა და ვადაეიშებული კოსმოპოლიტიზმისის მღვრიე ნაკადის წინააღმდეგ საქართველოში. ცუდი იყო სხვა რამ. ცუდი იყო იმ დაყოდილ მიმბაძველთა ურიცხვი ლაშქრის პოეტური საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ვაეღვის საფრთხეს უქმნიდა ქართულ ლექსს. აკაცისადმი მიმბაძველობას თან დაერთო რუსული და ევროპული მოდერნიზმის მოუნელებული, არაორგანული და მეტად ზერელე ვაეღვა, რომელიც ზშირად ისეთი ნიჭიერი პოეტების შემოქმედებაშიც იგარძნობოდა, როგორიც იყენენ ოსებს გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, აღექსანდრე აბაშვილი, ვადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მიუნებდავად ზოგერთი ცალკეული მიღწევისა, ამ პოეტებმა ვერ შესძლეს ქართულ პოეზიაში ქეშმარიტად ახალი პოეტური კულტურის შემოტანა და დამყვიდრება, ვინაიდან თვით ბუნებრივი და კანონიერი შემოქმედებითი ზეგავლენის სფეროც რომ ავილოთ, მათ ქართული ლექსი დუეახლოვეს არა რუსული და ევროპული პოეზიის საუკეთესო პოეტური ნიმუშებს, როგორიც იყო თუნდაც ბლოკისა და რემბოს პოეზია, არამედ მეორეხარისხოვანი მოდერნიზმების ზერელე და ტრაფარეტულ „ორიგინალიზმს“. ძლიერი იყო, მაგალითად, ი. გრიშაშვილზე და ა. აბაშელზე კ. ბალმონტის პოეზიის ზეგავლენა. იგარძნობოდა, სამწუხაროდ, ბალმონტის კიდევ

უფრო წყალ-წყალა თანამედროვეების, მაგალითად, სფოთნაოვის გამოქაბილიც (სამივე პოეტი ყველაზე ძლიერი იყო იქ, სადაც ისინი ქართულ ნიადაგს ეყრდნობოდნენ. ამ ნიადაგზე შექმნეს მათ თავიანთი საუკეთესო ადრინდელი ნაწარმოებები). და თუ ეს ითქმის ასეთ ნიქორ და მძლავრ ოსტატებზე, მით უმეტეს საგაღალო იყო მდგომარეობა ამ ოსტატთა თვლისდაბამებების უმაღლესი დონეზე მდებარეობდა შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პირველმა გალაკტიონ ტაბიძემ შესძლო, როგორც აკაკის მიმბაძველთა მიერ დამკვიდრებული პოეტური ტრადიციების დაძლიერება და კლასიკური პოეზიის ცოცხალი ტრადიციების განვრცობა ახალ ეტაპზე, ისე მოდერნისტული შტამის ვადალახვა და რუსულ-ევროპული პოეზიის ნაშთები და შემოქმედება ღირებულ მიღწევათა შემოქმედებითი გამოყენება ქართულ პოეზიაში. (ამ მხრივ სხვადასხვა დროს ბევრი იქნა გაკეთებული აგრეთვე ტ. ტაბიძის, ბ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ნ. ნადირაძის, ვ. ლუარაბაძის, ს. ჩიქოვანისა და სხვა ოსტატთა მიერ).

მაგრამ დააღწია თუ არა საკლებით თავი გალაკტიონ ტაბიძემ „შინაური“ შტამის სცილდება და მოდერნისტული ტრადიციების ხარიბდას? შესწორა თუ არა მან, ასე ვთქვათ, თავისი პოეტური ზომალდის უმეტესწილად გაყვანა სამშვიდობოზე? რა თქმა უნდა არა. და გალაკტიონის ადრინდელ ლექსებში, რომლებიც ესაა ე. წ. პირველ ტომში არიან გაერთიანებულნი, მრავალი ასეთი, რომელიც შეიძლება ერთგვარად ზარკად ჩაითვალოს იმ დროს გაბატონებული პოეტური შტამის მიმართ. მაგალითად, არის განა რაიმე საუკეთესოდ გალაკტიონისეული ასეთ სტრიქონებში:

ტოკავს ქარი, ნახ-ნარნარი და დაუნარი
 ტოკავს, ტოკავს
 და ზღვის ტალღა, ტალღა ჩქარი მძაფრი
 ღრუნით საღ კლდეს ლოკავს...

ან ასეთ სტრიქონებში:

ცა ვარსკვლავებით შემოიკვდა,
 წყნარად აცურდა ნარნარი შთვარე.
 ძილს მისცემია მშვიდი მინდორი,
 და დაფიქრებით დგას შთა მღვდმარე...

ან ასეთ სტროფებში:

ბნელ ღამის დროს წყნარი ძილი,
 რომ ეწვევა თეთრ ზამბახებს.
 შთა ნარნარი მთის ნიავი უაღერსებს,
 აცახცახებს.
 დასწორებულებს: სიზმრად ვნახე თქვენი სახე
 მომხიბლაგი,
 და მოტყენა განვიზრახე, გენაცუალისთ
 ჩემი თავი...

რა თქმა უნდა ყოველივე ეს პოეტური ბანალობის ნიმუშებია. ხანდახან ასეთი პოეტური ბანალობა შედარებით მაღალ საფეხურზე შეიძლება ყოფილიყო აყვანილი (როგორც ეს არის გაკეთებული, მაგალითად, საკმაოდ პოპულარულ „მესაფლავეში“), მაგრამ ამით საქმის არსი სრულიადაც არ იცვლება.

გალაკტიონის ნოვატორობა იწყება იქ, სადაც მას გამოუმუშავებული აქვს საკუთარი პოეტია, თუნდაც გამდიდრებული ქართული თუ არაქართული გავლენით; სადაც მას მონახული აქვს მყარად საკუთარი პოეტური ინტონაცია, პოეტური სინტაქსი, პოეტური მეტყველება საერთოდ. აქ უკვე აღარ არის საშუალო რაიმე გავლენა — ის უკვე შეგობარია პოეტისა და არა მტენა. აქ პოეტის თავისუფლად შეუძლია თუ შეიძლება სახეობრივ, ინტონაციურ ან რიტმიულ ციტაციასაც კი მიმართოს — ყველა ეს „ციტატა“ თუ შეგნებული მინიშნება დამორჩილებული იქნება მისი საკუთარი პოეტური ინდივიდუალობის მიერ. ასე თავისუფლად შეეძლო ბუშქინს სიმ-წიფის ხანაშიც კი მიმართა პორაიუნისსათვის თუ ღერკავინისსათვის, ანტიკური ავტორებისათვის თუ ევროპული რომანტიკოსებისათვის. ასევე თავისუფლად შეეძლო ნიკოლოზ ბარათაშვილს თუ ილია ჭავჭავაძეს დაუფლობდნენ მსოფლიო პოეტური კულტურის სავანეებს. აქ საქმე არც თუ იმდენად იმაშია — დიდი პოეტი ხარ შენ თუ არც ისე დიდი. მთავარია, გაქვს თუ არა უკვე გამოუმუშავებული და დამკვიდრებული საკუთარი პოეტური სტილი და სემიარო. გალაკტიონ ტაბიძემ თავის საუკეთესო ადრინდელ ლექსებში შეძლო, როგორც ქართული კლასიკური პოეზიისათვის დამახასიათებელი პოეტური შრიტების თავისებური აფერება, ისე რუსულ-ევროპული პოეტური მონაბოგარის არა მარტო „გაქართულება“ (ამაში მას დიდი დამსახურება მიუძღვის), არამედ „მთავისებაც“, რაც მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის სიმძლავრეს მოწმობდა.

წმინდა ქართულ ტრადიციებზე აგებული გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის ასეთი შედევრები, როგორცაა „მთაწმინდის შთვარე“, „გურამის მთები“ „ატმის ყვავილები“, „შავი ყორანი“, „იქ ვილაც ცვენის“, „არწივებს ჩასაქნებოდათ“, „გამოსაღმება“ („პარიზზე, რატომ ჩაფიქრებულხარ“) „წინანდალელი ნათელა“, „გახედე, კახეთი“, „ქალაქი“ და მრავალი სხვა პოეტისათვის რომ თავი დაეანებოთ, სწორედ ამ ლექსებში აქვს ყველაზე მეტად შენარჩუნებული გალაკტიონის ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი ჯანსილი სულისკვეთება, სულიერი შეუღრველობა, ოპტიმისტური შემართება; სწორედ ეს ლექსები ახსოვებენ ყველაზე მეტად გალაკტიონ ტაბიძის მშობლიური პოეზიის მაგისტრალურ გზასთან. ეს რა თქმა უნდა არ გამოირცხვება ამ ჯგუფის ლექსებში განწყობილებათა სიმდიდრეს და მრავალფეროვანებას —

სიხარულსა და აღტაცების სიმღერებიდან — მძაფრ დრამატულ განცდებამდე ან წუნარ მე-
ლანქოლის რეფლექსიამდე. მოვიყვან ამ უკ-
ნასკუნელს ერთ მშვენიერ დამახასიათებელ ნი-
მუშს, სადაც უბრალო და უაღრესად ეროვნულ
ფორმაში არის გადმოცემული პოეტის სევდიანი
განწყობილება. ეს მცირე ლექსი ვალაქტიონის
ლირიკის ერთ-ერთი უბრწყინველესი მარგალი-
ტია.

სადაც უნდა მივდიოდე
უცხო ქვეყნად მარები,
უკანასკნელ შვიდოდდე
წლის თან მდევენ ქარები.

სადაც უნდა შევიარო —
ღენოს დამაძალებენ,
მწუხარება ვერ დაეფარო —
ღენოს დამაბრალებენ.

ო, ძვირფასო, ჯვარზე მაგეს,
გაქრა გვიც ოცნება.
ვკოცნი, ვკოცნი მე შენს ბაგეს,
მაგრამ რა შევოცნება?

ალარ შეგნერდები ამ ჯგუფის სხვა ლექსებ-
ზე, რომლებიც მეტად პოპულარულია ჩვენს
პოეზიულში და ლიტერატურულ კრიტიკაშიც
საკმაოდ შესწავლილი.

აქ მხოლოდ აღნიშნავ, რომ როდესაც ვა-
ლაქტიონ ტაბიძის მიერ კლასიკური პოეზიის
ტრადიციების გაგრძელებაზე ვლაპარაკობთ, უნ-
და ვიგულისხმობთ, რომ იგი, პირველ რიგში,
მემკვიდრე იყო აკაკის პოეზიისა, რომელსაც
ენათმეცნიერებმა თვით თავისი ლირიკის ბუნებით.
ხშირად მიუთითებენ ხოლმე ვალაქტიონის ლექ-
სებში ბარათაშვილისთვის დამახასიათებელი
მოტივების განმეორებას, მაგრამ აქ მხოლოდ
გარეგნულ „ინვენტარზე“ შეიძლება ლაპარაკი,
ვინაიდან არც მთაწმინდის, არც მტკვრისა და
არც მქრალავი ცხენების შემოვლანა პოეზი-
აში ჯერ კიდევ არ ნიშნავს „შემოღამება მთა-
წმინდებზე“-ს და „მერანას“ ავტორის პოეტური
ტრადიციის გაგრძელებას. უფრო მეტი: ეს მო-
ტივებიც კი ვალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში აკა-
კისებური ლირიკის სფეროშია გადმოტანილი და
აქვარებული.

მეორე დიდი ნაყადი ვალაქტიონის ამ ხანის
ლირიკაში არის, როგორც ვთქვით, რუსულ-უკ-
რაინულ პოეტურ კულტურას უფრო ჰარბად ნა-
ზიარები ლექსების ნაყადი. იველისხმება ისეთი
ლექსები, როგორცაა „მერა“ (რომელიც ბლო-
კის ლირიკის ერთგვარება), იმპროვიზირებული
პოეტური ხილის მშვენიერი ნიმუში — „თოვ-
ლი“. ამავე რიგს მიეკუთვნება „აღლები თოვლ-
ში“, „ცამეტი წლის ხარ“, „ანგელოზს ეპირა
გრძელი პერგამენტი“, „მოვა მაგრამ როდის“,
„გზადაგზა“ და სხვები.

ძალიან ხშირად ეს ორი სტილისტური ნაყადი

გავრთიანებულია ერთ მტკიცე პოეტურ შენდ-
ნობში. ასეთია ლექსები „მე და დამე“, „სილაც-
ვარდ ანუ ვარდი სილაში“, „ყანებში“ — „შენ
ზღვის პირადი“ — „ქარი ჰქრის“ და სხვა. მოვიყ-
ვან აქ პატარა ლექსს „ყანები“, სადაც ქართული
პეიზაჟი დანახულია არა ტრადიციული ქართუ-
ლი მგოსნის, არამედ ახალ ევროპულ მხატვრულ
კულტურას ნაზიარები პოეტის თვალთ:

გამოჩნდა რბევა მაღალი ტანის,
ნამკალი მკლავზე, მავალი ობლად.
მისი სიმღერა ხმა არის ყანის,
სადგურის ახლოს მივიარდნილ სოფლად.
სიმღერა სულით ემშვიდობება
გაღამწკრივებულ ზღვისღერ წერობებს,
მზე ეხუჭება, როგორც ობობა,
ნახად დაქსელილ ხის კენწერობებს.
სულმა არ იცის, რა არის მონა...
გზებზე ნახირი ისევ ბრუნდება...
ქრავებს მირკავს სოფლის მდონა,
მაღონა ქობებს დაუბრუნდება.

მსოფლმხედველობაბრე-იდუური ევოლუციის
თვალსაზრისით ვალაქტიონ ტაბიძემაც გვიარა
დაახლოებით ის გზა, რომელიც რევოლუციამ-
დე გაიარეს სხვა მისმა პოეტებმა თანამედრო-
ვეებმა: რევოლუციურ და დემოკრატიულ გან-
წყობილებათა მომძლავრება ცხრას ხუთი წლის
რევოლუციის პერიოდში, ინტიმურ და სუბიექ-
ტურ-ლირიკულ მოტივთა გაძლიერება ოქტომ-
ბრის რევოლუციის წინარე ხანაში. მაგრამ გა-
დაჭრით უნდა იქნას აღიარებული, რომ, მიუხე-
დავად სიმბოლისტური პოეზიის მნიშვნელოვანი
გავლენისა, ვალაქტიონის მსოფლმხედვრწინა
და მსოფლმხედველობა თავის მთლიანობაში
არასოდეს არ ყოფილა დეკადენტური: ჩვენ ვერ
დავინახავთ ვალაქტიონის ადრინდელ ლირიკაში
დეკადენტური ფილოსოფიისათვის და ეთიკისა-
თვის ტაბიურ დამახასიათებელ ნიშნებს. მეტი
საფუძველი გვაქვს სიმბოლისტური ესთეტიკის
გავლენაზე ლაპარაკისა (ყველა სიმბოლისტი
როდღ იყო დეკადენტი და ყველა დეკადენტი
როდღ იყო სიმბოლისტი). ვალაქტიონის მელან-
ქოლიურად შეფერილ და ხანდახან სასოწარკვე-
თის მოტივებით გამსჭვალულ ლირიკასაც კი
სოციალურ და ეთიკურ უკუფენად ყოველთვის
აქვს პუნისტიკური, დემოკრატიული და პატრიო-
ტული პათოსი, რაც საფუძველშივე გამოიცი-
ხავდა დეკადანსის ასე თუ ისე მნიშვნელოვან
ზეგავლენას. ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში
ყურადღებით და დეტალურად არის მინიშნებუ-
ლი ყველა ეს პროგრესული მოტივი ვალაქტიო-
ნის ლირიკაში, რამაც პოეტს რევოლუციის
წინააღმდეგე წარმოათქმევინა უკეთილშობილესი
ოცნებით აგზნებული სიტყვები:

ო, როგორ მინდა, შეგობარებო, რომ თქვენთან
ერთად-

მივიღო ჩვენთა წინაპართა ელვარე თასი! —
ბევრი რამ არის მათ გრძნობაში

კეთილშობილი,
მათი მხურვალე ოცნებებით მსურს ვიამაყო,
მიგრამ სხვაგვარად ჩვენი დროის მემკვიდრე
ფოლიანტებში სტრიქონების გროვას

შეიტანს,
რომ ათასწლოვან ადგილიდან მოსწყდნენ

კლდეები,
საქართველოზე სამომუშაო გადაიარეს,
და სამომუშაო იყო ქნარი გიგანტიური,
ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი.
ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი
ღლით

ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება!
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გაემართო
ფრთხები!

ვანა არ არის სამწველი საყოლიობა,
ისეთ ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა,
რევოლუცია არ აღუდგეს სიმშვენიერეს?
„ულკანიური ორკესტრითი უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი

ქნარი.

ამიტომ იყო სრულიად ბუნებრივი და ორგანიზებული გალაკტიონ ტაბიძისათვის ის საყოველთაოდ სწობილი პოეტური მისაღმება, რომელიც შეაგება მან პირველსავე რევოლუციურ აბოზოქრებს — „დროშები ჩქარა“



გალაკტიონ ტაბიძეს წილად ზედა იშვიათი ბედნიერება — ქართველ პოეტთაგან ის იყო ერთადერთი მოწმე ოქტომბრის დღეებისა მოსკოვსა და პეტროგრადში, ის ერთი „უსმენდა რევოლუციის“ მის პირველ-წყაროსთან, რათა —

... გამოეყო ჯერ არსმენელი
ქართველები ცეცხლთა ფენისა
და მოეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

ლიტერატურული პარალელები, როგორც წესია, დიდი და რთული მოვლენების მხოლოდ ზოგიერთ მხარეებს მოიცავენ, მაგრამ ისინი ხშირად გვაძლევენ ბიძგს სწორი მიმართულებით აზროვნებისათვის. ჩვენ შემთხვევით როდი გავიხსენეთ ბლოკის სიტყვები („უსმინეთ რევოლუციას“) — არ შეიძლება არ შეენიშნოთ ნათესაური ნიშნები ამ ორ, ღრმად ეროვნულ და თვითმყოფ პოეტს შორის. ორივემ აღიქვა რევოლუცია, როგორც განახლების სტიქია, ორივე გულისყურით უსმენდა ისტორიის მიწისქვეშა ბიძგებს, ხოლო შემდეგ წრფელი სიზარტლით შეხვდა მის ეულკანერ ამბოხებულს. სიმბოლისტური სკოლის პოეტებში, მათ მედიუმორი მახვილგრძნობიერებით მიანიჭეს თავიანთ ლექსებს ახალი ეპოქის მაგნეტური ძალა — და მათი სტრიქონები უმაღლესი ათროლდნენ მოულოდნელი რატმული მაჯისცემით, მათი პოე-

ტური სახეები წამსვე განათლდნენ, დაჯიხსიტლდნენ, ასახეს თავიანთ ალმასისებრ წახანებში რევოლუციურ გაულეუბანთა ვაშყაში — სროლის ცეცხლი და-ღამყულ კოცონთა ციალი. ტაბიძე ბლოკის მოწაფე იყო, მაგრამ არა ისეთი მოწაფე, რომელსაც ხელით მიიფუნენ მასწავლებელთან, ჩარბცხვენ მის კლასში და ებრძანებენ კლასის დამრიგებლის დარიგებათა ათვისებას. არა, იგი იყო მისი მოწაფე სულიერი ლტოლვით, ადრე შენიშნული და გააზრებული შინაგანი თვისტომობით, რომელიც იმდენად ღრმა იყო, რომ უფრო შორსაც სწეფდებოდა — ტაბიძე ახლო იდგა ბლოკთან იქაც კი, სადაც უნდა უკანასკნელი ემიგრებოდა მთავოკსკის. შეინდებოდა ამ პარალელებზე შეჩერება, მაგრამ სჯობს დავებრუნდეთ ლექსებს:

ეპოქა იშვა და გაიზარდა
სამოქალაქო ბრძოლების რკალში,
ქვეშებ-ტყუიამფრქვევთ კორიანტელში
და ზარბაზნების მუდგარ ვრიალში.
მოგებნაწო,
ხან სავსე სპაზმით,
გრძნობას რომ ველარ აუთავდებოთ,
ხან აღზნებულთ ენთუზიაზმით,
გმირული რწმენით და დიდადებოთ!
იყო სიციფე და წყალდიდობა,
ყირიმს მიწისებრა ანადგურებდა,
და საქართველოს — უმინდობა.
ზღვისგან დაღწეულს ჰგავდა ბათუმში,
იყო კერზონის ულტიმატემა,
იყო ზინელი მუშების ელეტა.
ამ დროს, ევროპა, შენ უფრო ძლიერ
სერავდი ხალხს მძიმე იარას
უფრო და უფრო და გაუწყვეტლად
აღდარუნებდი მის წინ იარას.

რა დარჩა შემდეგ დანგრევის გარდა?
შრომა მიეცა სხვა ამოფერებას,
რევოლუციამ ახადა ფარდა
ამშენებლობას, ცოცხალ ცხოვრებას.

მაგრამ როდესაც შენდება მხარე
როცა შენების ხე-ტყე მკერძივია,
ხარაჩოებში, ხე-ტყეში, მწარე
შეცდომა ზოგჯერ ბუნებრივია.
ისე ბევრია ხე-ტყეში ტვერი,
ისე ბევრია იქ ნახებზენი,
კიბი, თლილი, ქვა, ცემენტი, მტვერი,
ხელსაწყოები, ლოდი, ევრბევი, —
უხერხულია იქ სიარული,
მათზე გადასვლა და მიმართება,
მაგრამ შენობა მაინც შენდება,
შენობა შრომით მიმართება.

და მასზე ცაა გადასახული
შენობა მძლავრი — არამონური,
უზარმაზარი, ჯერ არნახული,
რევოლუციონური...



ეს ლექსი შედარებით გვიან არის დაწერილი, მაგრამ მასში რეტროსპექტიულად მინც არის ვაღმოცემული რევოლუციის ის აღქმა, რომელიც დამახასიათებელი იყო იმ პოეტთათვის, უფროსმენას რომ დაბადდნენ „რევოლუციის მუსიკის“ შესასმენად. შეიმჩნევა აქ მერტი პოლიტიკური მოწოდებების ნიშნებიც, რაც მიუთითებს ლექსის დაბადების უფრო გვიანდელ თარიღზე, როდესაც ვალაქტიონ ტაბიძესაც შეეძლო „не только сказать что „неугомонный не дремлет враг“, но и точно указать или хотя бы дать безошибочно представить фигуру этого врага“ (შაიაკოვსკი).

ანდა დეტალების რაოდენი სიზუსტე და სიმახვილე ვალაქტიონ ტაბიძის „ჯონ რიდში“, სადაც უოველი სახე გაცივბთ თავისი პოეტური კონკრეტულობით და ამავე დროს აღწევს კემ-მარტიად სიმბოლურ განზოგადობათა სიმაღლეს! დარღვეულია ლექსის წონაზომიერი ელემენტობა, უველა მოქალაქეობრივი უფლება აქვს მინიჭებული ახალ პოეტურ ენას:

დებეშა!
დებეშა!
დებეშა!
რევოლუცია!
რევოლუცია!
ამბავი!
პეტროგრადიდან
კრემლი იღუშალ
იწყებს მზადებას.
მოსკოვი შფოთავს —
რომ ვაუთენებს
საკადრის დღეებს
კაცობრიობას
და თვითველი
ფიქრობდა მაშინ:
აჰა,
საცაა!
აიწყვეტს რაში!
„რასდროს არ დამაიწყებდა
ამიღთა სინოტიე,
სითბო ყინვის,
ტალახიანი პერი,
ქაობიანი,
მგშობი ნათელს
ტირის თვალეში
თბივარტელის
უველაფერი
ნისლის ფერია.
მწუხარე ჩრდილი
მწაჲ დღეების
ფარავს ვარსკვლავებს.
დღემ სიზმრებამდე
გადაამტა
შედამებული
ღიღების ლანდი.

შუაღლე —
მსგავსი შუაღლეთა
და თვითველი
ფიქრობდა მაშინ
აჰა...
საცაა...
აიწყვეტს რაში.
ეკითხნა ვისმეს
მაშინ საათი
უუბასუბება ბატიუშკოვიეთ
მარადისობა!

სახეები, სიმბოლოები, რომლებიც მისცურავენ ნაპირებგადასული თეთრი ლექსის ამოხოქრებული ზღვით, მგზობლობენ მიწიერ, თითქოს ცხოვრებიდან ამოგლეჯილ მახვილ პოეტურ დეტალებთან. პოეტი ხედავს „მოვარდნილ დღეთა რყინებად კვეთას“ და აუფებულ „მოკაყანე ტყვიისმფრქვეველს“, „ცეცხლის ოქროდან გააფორებულად შქროლავ ტყვიას“, უუბა „გაქვევებულ ქარს“ რომ დამსგავსებია და „ბალაქის გაბეჭდილ თვალებს“ ანდა „სართულებს“, რომლებიც „უვეფენ, როგორ ძაღლები“. უუცრად ფანტასტიკურ შეტაფორას გზას გადაულობავს უკონკრეტუა ხელშესახები დეტალი და მაშინ:

აღი
ვენახივით იგრინებოდა,
ღამე
ჩამოწოლილიყო
ურჩინის მტვენივითი,
საიდანაც ზიტროვ რინოკი
სწურავდა არაყს.

ლექსის გულისმგერა ისე ხშირდება, მისი მაჯისცემა ისე შმაგობს, რომ ჩვენ გვეჯერა პოეტის მიერ დანახული სურათის რეალობა, გვეჯერა, რომ „მოსკოვი გვეგუნებდა, როგორც მუხა — და პირიდან აფრქვევდა ტყეოებს, როგორც რკობს“, რომ „ქინწარივით ისუსხებოდა ღამე“, რომელიც „ახლა დაჯდა სადგურთან და სწვევს ყალიონს“. გვეჯერა რეალობა ჩვენთვის უკვე თვისტომი ფანტასტიკური პაპერბოლისა: სდგას ერთი ვრანდიოზული სკამი, რომელსაც მართლაც მოტეხილი აქვს სამი ფეხი, და ზედ ძლივს ზის ჯერ ისევე ძველი რუსეთი. ქვეშ დახეული ხალიჩა უვია, წინ დამტყვეული ჯამი უდგას ქაშით, აქეთ ცარიელი სკივრი, საუსე სატკივარიო. ამ სიცოვეში საწყავს არ აქვს ქვეშსაგები, მისთვის ბალიში არ არსებობს და არც საბანი. მხოლოდ თოვლია მისი ბუმბული, ქარში, თოვლქუყაში ამოწუმბული, სანთელი დიდი ხანია გაუქრო ქარმა. ზურგზე ჰკივია ტომარა, ხელში ცარიელი დოქი, ქამრის მაგიერ თოკი, წილზე ჰკივია ქვაბი და გატეხილი ტაშტი...

ამ ტრაგიკულ პორტრეტში ჩვენ ვცნობილობთ იმ „დამონძილი მათხოვარის“ („ИИИИИИ ИИИИИИ“) ნაკეთებს, რომელიც შაიაკოვსკის

„ასორმოცდაათ მილიონში“ ვნახეთ. მაგრამ იმ აჟაც, ჭარბველი პოეტის ლექსში, „დაპოქილი მათხოვარი“ შემოზარუნდება აღმსდგარ, ამზოხე- ზულ გოლიათად, და შორეული საქართველოს ღესპანი პოეტიც, თავისი დიდი რუსი თანამო- კალმის შგავასად „რუსოფილური გრძნობით“ განიშველება „ამ გაქანების შემყურე („Даже русофилиствовавал от этой шири“):

ნეტავი

იყოს საღმე ასეთი გამხედავი, როგორც ეს რუსის კაცი

მეტად მართალი —

წინად კი თითქო იყო მხდალი

და უბედური.

მაგრამ დასძახეს

მძლავრი და სასტიკი:

აღსდევ!

და რუსეთი დაიძრა,

მომთმენი რუსეთი.

ავადმყოფი, ცოცხალმკვდარი

რუსეთი ღვებას..

ჩვენ იმითმე შეგჩერდით ასე დაწერილებით გლაკტიონის „ჯღონ რიღზე“, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ გააფართოვა რევოლუციამ არა მარტო შინაგანი სამყარო პოეტისა, შინაარსი მისი შემოქმედებისა, არამედ როგორ გაიანსლა და გადაახალისა მან მისი სიტყვა, მისი სტილი, მისი პოეტიკა. ძნელია, ერთის შეხედვით, იცნო ამ პოემაში ნატიფი სამპოლისტური კრებულის „არტიტული ყვავილები“ ავტორი, ისევე, როგორც ძნელი იყო „თორმეტში“ ცნობა ავტორისა წიგნის „Стихи о прекрасной Даме“. ნუ გავიგებთ ამას ისე, თითქოს არ არის არავითარი კავშირი გლაკტიონ ტაბიძის (და ზლოცისა, რა თქმა უნდა) ძველ და ახალ ნაწარმოებებს შო- რის. კავშირი არის და მეტად ღრმავ, მაგრამ ათმა დღემ, რომელმაც შესძრა სამყარო, შესძრა გლაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყაროც. ვერ ვიტყვით, რომ „ჯღონ რიღის“ პოეტიკა გახდა ტიპური გლაკტიონისათვის. მან შემდგომ იაი- რია სხვა გზა, მიუსადავა ახალ თემებს თავისი წმინდა ლირიკული, რომანტიკული პოეტური მანერა, რომელიც განისაზღვრება არა სახე- დეტალით, არა მივებოლური გროტესკითა და განერკობილი მეტაფორით (როგორც „ჯღონ რიღში“), არამედ წმინდა ინტონაციურა, რიტ- მულ-სინტაქსური, მელოდიაური ორგანიზაციით პოეტური ფრაზისა. ეს ფრაზა მეტად სადაა, გან- ტვირთული მეტაფორებისაგან, ხშირად ორა- ტორულ-პათეტური, კიდევ უფრო ხშირად ლირიკულად გულითადი ან ფილოსოფიურად განმარტავადებელი, მაგრამ ყოველთვის აზრით მდიდარი, რევოლუციური რომანტიკის ჭარკე- ტლით შეჩხეული და გაალებული.

მთავარი ძარღვი პოეზიის

ზომაა, რითმა;

მისით მარადის გაივლის

შუქმა ბედობით.

მანც იმაზე უმოკერესი

სხვა დედაარის

არის მშვენიერ პოეზიის

იღვა, აზრი.

მითში იხსნება მგოსნის ძალი

და მოქმედება,

ისეთი, ყველას სიხარულად

რომ მოედება

და მომთარავს გზებს ვარდით, დაფნით

და ალოეთი.

იღვა, აზრი, ზომა, რითმა —

აი, პოეტი!

ეს თავისი პოეტური კრედი გლაკტიონს დეკ- ლარირებული აქვს ლირიკულ-ფილოსოფიურ პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ“. აქ ზუს- ტად არის განსაზღვრული პოეტის ახალი შემოქ- მედებითი მიზანდასახულობა, და იგი, აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ ოციან წლებში ეძებს ახალ პოეტურ ხერხებს, რომლებიც მისცემ- ნენ მას ახალი ეპოქისადმი, რევოლუციურ სა- ქართველობადმი თავისი დამოკიდებულების უშუალო, პირდაპირ დეკლარირების საშუალე- მას. ლირიკა ხომ ყოველთვის და ყველგან პოეტის გრძნობათა, ფიქრთა განწყობილებათა დეკლარაციაა. და თუ პოეტი შეიგრძნობს დღეს არა მარტო სატრფოს გულისკენმას, არამედ ეპოქის სუნთქვასაც, თუ იგი ტყდება დღეს არა მარტო „არტიტული ყვავილებით“, არამედ „ქალაქი-ბაღდათი“, თუ ის ყურს უვდებს არა მარტო საღამოს ნიავის შირიშურს, არამედ რე- ვოლუციის სურსკასაც. — იგი ვალდებულია — თუ კი მას სურს დარჩეს ჭეშმარიტ ლირიკოსად — გამოხატოს თავისი ახალი ფიქრები და გრძნობები ლირიკულ აღსარებაში, ლირიკულ მონოლოგში. ასე დაიბადა გლაკტიონის ლექსე- ბი და პოეტური რკალები — „მსოფლიო ორკეს- ტრი“, „რევოლუციური საქართველო“, „ეპი- ქა“, — ლექსების შესანიშნავი წიგნები, რომელთა ლირიკულ ვმობს არ ეწინია არც რევი- ლუციური პათეტისა, არც ორატორული პო- ზისა, არც საბოტო აღტაცებისა, არც პირდაპირი მოქალაქეობრივი დეკლარაციისა, ვინაიდან მისი პათოსი — ვულწარფელია, პოზა — ორგანულია, აღტაცება — გულიდან აღმომხდარი, ხოლო დეკლარაცია — როდია დეკლარატიული. პოე- ტის ასეთი პოზიცია, რაც მოიცავს არა მარტო მის იდეათა, მისი მსოფლმხედველობის საყა- როს, არამედ მისი გრძნობებს, მისი ნებასურე- ლის, მისი მსოფლმეგრძნობის საყარისაც, ერთ- ხელ და სამუდამოდ აზღვევს მას ყველაზე დიდ საშიშროებისაგან, რომელიც კი ხელოვნებას შეიძლება მოელოდეს — სიყალბისაგან, და აძ- ლევს მას, ამასთან ერთად, საშუალებას თითქ-

მის უსაზღვროდ გააფართოვოს თავის პოეტურ ინტერესთა წრე, მოათავსოს მასში ყველაფერი, რაც კი მას მართლაც აინტერესებს, ადელეებს, ახარებს ან აწუხებს — მტრიალი ტირიფი მიუხედავად და საროტაციო მანქანის ხმაური, რიცხვს ზურმუხტოვანი ზვირთები და ტრაქტორთა გუგუნო, პაციფისტის პირმოთხოვნა და „ინტერნაციონალის“ დაქუცხვა. ამასთანავე პოეტის ძალა და ვალაქტიონი არ მალავს, რომ ეს ძალა მას შთაბერა ოქტომბრის ქარცეცხლში:

შენ, ჩემო ხალხო! სიყვარულით გამოიმარჩიე, რადგან დავხატე ძლიერება შენთა იმედთა, ის ნებისყოფა, რომლის ძალით მტარვალვებს სძლიე, რომ ოქტომბერში პირადად ვიყავ ოქტომბრის დღეთა გულთ ვიგრძენი მე იმემად ჩაუჭრობული წყრილა ხმები ჩემი ჩანვის, ვამშუქე თაღისი, როცა მგზნებარე სიმთა თრთოლვით ახლის მშობელი აღტაცებათა მზით გამოხარე ხარობდა ხალხო.

ოცდაათი წლის დიდებულთა მანძილთ განსჭერვით ბევრი შევექმენი ლექსი ლალი და სასიძლერო, ყველაში ისმის გამაჩრავებულ სამშობლოს ხმები, შენი ჭუხილი და გუგუნო, მძლე ოქტომბერი!

მეტად განსხვავებული პოეტებია ვალაქტიონ ტაპიძე და შაიაკოვსკი, მაგრამ მათ ანათესაებთ მათი პოეზიის ლირიკული გმირის მიერ მოპოვებული უფლება — თავისუფლად, ბუნებრივად, ლაღად ილაპარაკოს ყველაფერზე, რითაც კი ის ცხოვრობს, რაც მას სწევას და დავას, ახარებს და გულს უკლავს, ამედებს და აღაფრთოვანებს; ილაპარაკოს ისე, რომ არ ეშინოდეს მკითხველის ეჭვისა და უნდობლობისა.

ასეთია ვალაქტიონ ტაპიძის გზა — გზა მილიონიანი მკითხველს გულისაგან. პოეტს, რომელმაც უმღერა თავის ლექსებში ეფემერულ მერის და მოწმინდის შთაგრეს, ალექს თოვლში და გურიის მთებს, პოეტს, რომელმაც პირველმა მოიტანა საქართველოში „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“, მისი რევოლუციური განახლებისა, პოეტს, რომლის მუზებზე ბევრი იხეტიალა ომის შემდგომი ევროპის გზებზე და ნათლად განწვირიტა ბურჟუაზიული სამყაროს მყვირალა კონტრასტები, პოეტს, რომელიც ბარბუსთან ერთად გამოვიდა ანტიფაშისტურ კონგრესზე პარიზში, ხოლო სამამულო ომის წლებში მიმართა ხალხს ისეთივე შემართებითა და მგზნებარებით, როგორც რევოლუციის დღეებში, ასეთ პოეტს ჰქონდა უფლება ეთქვა თავისთავზე, თავის სიმღერაზე:

ზოგს ოქრომკვდილთ მონაქსოვარი, სურათი რამე, კარგზე მგლოვარი, ზოგს ვარდი, წიგნში ჩანატოვარი —

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი, ბარათი, სისხლის ცრემლნატოვარი, ბეჭედი, ძვირფას ალთა მთარგმნელი საყურე, ტუბილის ჩრდელის მთარგმნელი ყველას რაიმე აქვს სახსოვარი. თმა, როგორც განძი მწელსამოვარი, წიგნი რამ, ომით მონაპოვარი, საფერვლე, მაშის დანატოვარი — ყველას რაიმე აქვს სახსოვარი. სამშობლოც, მარად მსახოვარი, პა, გულიც, შენი თანამგზოვარი, პა, ჩემი წიგნი სწორმოვარი — ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა მდიდარი და საინტერესო შემოქმედებითი გზა გავლეს ვალაქტიონ ტაპიძემ ნახევარი საუკუნის მანძილზე, რა საგულისხმო ფურცლები გადაიშალა მის პოეტურ ბიოგრაფიაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. და კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ჰალარამოსიღ ოსტატს დღესაც არა აქვს დაკარგული ახალგაზრდული შემართება და რომ მის სატყუფსო ქმნილებებს ჩვენ თამამად შეგვიძლია ჩავუყუროთ თავში მის მიერ ბოლო ხანს შექმნილი შედეგები ქართული ლირიკისა — „იღდეღე“ „ნიკორწმინდა“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „იმერის დაბრუნება“ და მრავალი სხვა.

მიეცეთ სიტყვა თვით პოეტს, ჩვენი დროის სატყუფსო იდეალების კიდევ ერთხელ გამოსათქმელი:

კვლავ კიდევ და კიდევ ახადე ბნელს რიდე! იდიდე, სინათლევ, იდიდე! გრდემლს სიემდე თუ შეიდე, მუზანათს შიშს ჰგვარიდე! იდიდე, ო, ხალხო, იდიდე! მთის კიდედ, ზღვის კიდედ სახალხო გმირთ ზრდიდე! იდიდე, სამშობლოვ, იდიდე! სინათლის სიწმინდის ვარდებად გვიწვიდედე! იდიდე, მშვიდობავ, იდიდე!



გზაზე პანკავი



ნიკო ლორთქიფანიძე

ნიკო ლორთქიფანიძე, უპირველეს ყოვლისა, შესანიშნავი კოლორისტი. კოლორიტი ეხმარება მის უფრო დამაჯერებლად მხატვრულ, შევლის ფერადების შერჩევაში. მწერლის მოთხოვნებში თავისი კოლორიტი გააჩნია არა მარტო ადგილს, არამედ დროს (ისტორიულს) და, წარმოიდგინეთ, თვით აღმიაჩნის შინაგან ბუნებას. მწერლის ღრმა რწმენათ, აღმიაჩნის პიროვნება ისევე ფერადოვნა, როგორც ვარც საყვარო. რადგან მხატვრის პირველ ინტერესს სწორედ აღმიაჩნის სულიერი სფერო წარმოადგენს, უცანასკნელი არა მარტო აზრით შეიძლება იყოს დატვირთული, არამედ ფერადობითაც. ბოლოს. პროზაში ნ. ლორთქიფანიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ მომენტს არა იმიტომ, რომ ქვეყნის ერთი მხარე აღწერისას განასხვავოს მეორისაგან, არამედ უფრო იმიტომ, რომ, მისი აზრით, სერთოდ, ეს ქვეყანა საესევა ფერებით, ათასნაირი კონტრეტებით, მონახულობებით და დასახლებულია მეტად თავისებურა ხასიათის მქონე ადამიანებით. მწერლისთვის წარმოუდგენელია, რომ ყოველ მხარეს არ მკონდეს თავისი სპეციფიკა, არ ახასიათებდეს განუმეორებლობა, ისევე როგორც მის მცხოვრებთ.

როდესაც მწერალი, ძალიან მზირად, დასავლეთ საქართველოს სოფლს აღკვიწერს, მის ამ დროს არა მარტო იმერლებმა ან ვერულეზები ჰყავს მხედველობაში. იგი შესტრფის, ეალურსება თვითონ აღმიაჩნს, რომელიც მისთვის ანე ორიგინალური, მორალურად ძლიერი, კეთილშობილებით აღსავსე ქმნილებაა. ეს არსება მწერლისთვის ხაოცარი მოთლოდნელობებითაა აღსავსე. როდესაც მწერალი ცხოვრების რომელიმე მოვლენას აღწერს, იგი იცავს ადგილის კოლორიტს, მაგრამ ისე, რომ ვაშოყოფს ძირითად ფერს და მკითხველი სწორედ ამ ფერადი პრინციპიდან ხედავს მთელ მოქმედებას, მომხდარ ამბავს. ძველი იმერული გლეხის ან აზნაურის ხატეისას ჩვენ წარმოდგენა გვექმნება არა მარტო მათს ვარჯენობაზე, ნაკცულობაზე ან მათი ყოფის შესახებ, ჩვენ ვივებთ, რა არის დამახასიათებელი მათი მხარის ასტორიისათვის, როგორ არის მომართული მათი ფსიქიკა, ვიხედებით მათს ცოტათი გაფრმკრთალებულ სულში. ეს სული დროდა-

დრო ჰგავს მისი გვიანი შემოდგომის პეიზაჟებს.

ნ. ლორთქიფანიძის თითქმის ყოველ ნოველს საკეთარი ინტონაცია აქვს, ინტონაციური სიმდიდრე, რომელიც კვლავ ნაწარმოების ფერადოვნებისკენ არის მიმართული, ქმნის განწყობილებათა დაუსრულებლად ცვალებად გამას. ეს გამა ხან აღმავლია, აქტიურად მღერარი, ხან უნახესი. სეველი მოცული, ან ჩემი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გრძნობის გამოხატეული სასვენი ნიშნებით აღნიშნული. ყოველი ინტონაცია საშუალებას იძლევა დაისვენოს მისზე მკითხველმა. ყოველ გადსვლას ინტონაციის ერთი კლოდან მეორეზე სიმკვევრე შეაქვს ნაწარმოებში და ახლევს მას მონოტონურობისგან. ნიკო ლორთქიფანიძე ძლიერი ინტონაციების გარეშე არ წერს, არ მეტყველებს. მათი სიმრავლე შეიძლება შევადაროთ შოლოდ იმპრესიონისტულ, წერტილებსაგან შემდგარ, სურათს. თუ ასე შეიძლება ითქვას, მწერლის ზოგიერთი ნოველა ინტონაციურად პუნტელისტური რიგის ნაწარმოებია. ნ. ლორთქიფანიძე თითქმის მტერი იყო ავადმისიისა. ავადმისური ბელეტრისტიკა უცხო იყო მისი გემოვნებისთვის, მხატვრული სტილისთვის. იგი საკმაოდ მღელვარე სულს პატრონი იყო ავადმისმისთვის და მოგვიანობრბდა დღეისთვის ოდნე მოძველებული წერის მანერით იმაზე, რაც ყველაზე მეტად სჯეროდა, სწამდა, აფასებდა.

ნ. ლორთქიფანიძე დასრულებული ეანრისტიკა. იგი შეიძლება არ ფიქრობს, რომ ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ასახვა ადამიანების ხატეის უღრმესს, მაგრამ ესმის, თუ დამთავრებული მოპრტრეტის შესაქმნელად რა მნიშვნელობა აქვს მათ ყოფაში ღრმად ჩახედვას. ამას გარდა, მწერალს მეტად უყვარს ადამიანთა საქმიანობის დანიწყებულად გაცნობა მკითხველისათვის, მათი წერტილად ჩხრეკა-ვარჩევა. ჩვენ ზოგჯერ ვერ ვიტყვიით, რომ ამასი იგი პროფესიონალურ სიამოვნებას არ იღებდა, თავისებურად ავერის არ ატანდა. ეანრული სვენიების და სურათების ხატეისას მწერლის სულზე შტრიხების გამოყენებაში, დეტალების მონარეკებასა და მათს უტყუარობაში ვმიჯნება. ნატურალიზმს, მაგრამ ნ. ლორთქიფანიძეს არა-

სოდეს არ გამოეჩინა ენებაჩამქრალი მიმართება ცხოვრების ამბებისადმი, მხატვრული ფაქტის აღწერისას. ამგვარი მეთოდი მისთვის მეტად ცივი და მძიმე იქნებოდა.

მოთხრობა „ტყვედ ყოფილის დაბრუნება“ იმერეთის წარსულს ეხება, თუმცა ეს წარსული ასტორიულად არაა დათარიღებული (ეს თვისება ფესვოკიდებულია მწერლის შემოქმედებაში, ხოლო, თავის მხრივ, ამ შემოქმედების განსაზღვრავად მრავლისმეტყველია). „ტყვედ ყოფილის დაბრუნება“ წერიალად ასპული, გლხური ყოფის დამარცხებული დაღაგებაა, რითაც, ჰველი გლხური ცხოვრების გარდა, ექნობით, საერთოდ, რამდენად დაბალი შეიძლება იყოს ადამიანის საარსებო დონე, როგორი პრიმიტიული შეიძლება იყოს მისი მოთხოვნილებები, თუ რა სახისაა, მარქსის სიტყვებით, „სოფლური ცხოვრების კრეტინიზმი“. ეს მოთხრობა შრომისმოყვარე, გამკაცრე გლეხის თავგადასავალზეა აგებული, მაგრამ ყოფითი ელემენტების უხვი მომარჯვებით, სოფლის სანამდვილის უტყუარი გადმოცემით და ადამიანის დაუღალავი შრომის აღწერის იქით ჩანს შეძლებლობა ცხოვრების ამ წყისა, რომელიც ფეოდალიზმის ეპოქას უკავშირდება.

ეს მოთხრობა ნიმუშია მწერლის გატაცებასა საყოფაცხოვრებო სერათებით, ადამიანთა არსებობის ამსახველი ენერული სტყევებით. იგი ისე დანაწევრებულია ამ მიმართულებით, რომ ქირს ერთი მთლიანი აზრის შემთხვევაზე, ძირითადი იდეის გამოხატვა. ადამიანის საზრუნავი, შრომა და გარჯა აესებენ მთელ მის ცხოვრებას. მისი ცხოვრება სწორედ ამისაგან შედგებოდა, ამგვარი დასკვნა გამოაქვს მკითხველს.

ამგვარივე მანერით არის აგებული მისი დაუმთავრებელი რომანი „დავით აღმაშენებელი“ ვისაც ეს დაუმთავრებელი ნაწარმოები ხელში აუღია, უთუოდ გააკვირვებია ის სისადავე, უზარალეობა, რომელიც მეფის (ისიც დავით აღმაშენებლის...) ცხოვრების, საქმიანობის აღწერაში ჩანს. რომანი სახსენა ენერისმებით, ყოფითი ნიმუშებით, მოკლე აღწერებით, ხალხი, რომელიც ქმნის ამ ცხოვრებას, ხალხურება, რომლის სული ტრიალებს ამ ნაწარმოებში, აი, რით არის დაუმთავრებელი რომანი სახსენა და თუ მეფის სახე ჩვენ ცოტათი გაიდგალებულად წარმოგვიდგება, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ ისევ ხალხური ყოფის ვრცელად წარმოგვიდგანაში, რომელიც მეფე, მისი მეფური გენიაე კი ითქვიფება, იძირება, ხალხის განუყოფელ მთელს წარმოადგენს. ავტორის აზრით, დავით აღმაშენებლისათვის, როგორც პაროქენებისათვის შეიძლებელი იყო ამგვარი გამოჩაყლისის დაშვება.

ნიკო ლორთქიფანიძეს ძალზე ეხერხება დია-

ლოგიების აგება. ამაში, ერთი მხრივ, მას ეხმარება დიალოგის დანიშნულების სერულყოფილ ცოდნა პროზაში. მეორე მხრივ, ნიკო ლორთქიფანიძისთვის, როგორც ვარკვეული მანერის მქონე მწერლისთვის, ეს შედარებით იოლად დასაფუძვლელ სფეროს წარმოადგენდა. დიალოგის გამართვის მხრივ იგი დიდი მასშტაბის კლასიკოსთა გვერდზე შეიძლება დაეყენოთ.

საქმე ისაა, რომ ნიკო ლორთქიფანიძის ყოველი ფრაზა მეტად მეტყველია, მჭარმობიარე, ცოცხალი. იგი არსად არ იძლევა ვრცელ განმარტებებს, საართულებიან აღწერილობებს. გადმოცემის დინამიკობა ადვილს არ ტოვებს სტატიკური ძეგლისათვის. ყოველი წინადადება (ნუ შევიღებთ ამას გადაჭარბებულად) მის ბევრ ნაწარმოებში თითის და სიხლის შემცველია. მას ხშირად არ უყოფნის მოთმინება, რომ მთლიანი ფრაზა შექმნას, მრავალ სიტყვას ანდოს ის, რაც მას სურდა ეთქვა. მის მოთხრობათა აბზაცები თბულია, ადვილად დასაძლევია, იმიტომ, რომ აბზაცის მაგიერ იგი ერთ წინადადებას ხმარობს. ხშირად წინადადებას იგი არჩევს ერთ მოკლე შესატყვისს, ნიკო ლორთქიფანიძის ემოციურად უფლაზე დატვირთულ ნაწარმოებში გვხვდება ერთსიტყვიანი აბზაციები. ზოგან ეს ერთი სიტყვაე აღარ არის და გვხვდება მრავალწერტილი, ხან კითხვის ნიშანი. ეს, ერთგვარად, წერის იმპრესიონისტულ მანერზე მეფეთითობებს. მაგრამ თუკი ასეთი მანერა ნამდვილად იმპრესიონისტულია, ბაზისი ამ მოთხრობებში მაინც წმინდა რეალისტური რჩება.

ჩვენ ეოქვით, რომ ნიკო ლორთქიფანიძის ფრაზა მეტყველია. თითქოს ყოველი წინადადებათი ავტორი იმპრატორებს მის მკითხველს, ხან მის გიორს უშეღალავს შეხებება. ამიტომ ყოველ ავტორისეულ ფრაზას წინ შეიძლება დიდი ტირე დავესვათ, როგორც ეს კეთდება ნაწარმოების გვირთა საუბრის გამოხატვისას. ხანდახან მთელი ნაწარმოები დიალოგების, გრძნობათა და აზრთა მოძრაე გაცემა-გამოცემა წარმოადგენს. ამიტომ იქ, სადაც ავტორი დიალოგებს გამოყოფს, იგი მათ იქ ცოცხლად, დამაჯერებლად ხმარობს, როგორც პროზის სხვა ძირითად ელემენტებს.

მეორე მხრივ, ნიკო ლორთქიფანიძეს საუკეთესოდ ესმის დიალოგის დანიშნულება მოთხრობაში. მის იტის, რომ დიალოგით ისევე შეიძლება ადამიანის ხატვა, როგორც სიტყვიერი აღწერის შემთხვევაში, რომ დიალოგი ექსპრესიის, მოულოდნელ შეხებრუნებათა და ცვალებადობის ყველაზე პირდაპირი ხერხია. ბოლოს, მწერლისათვის დიალოგი ადამიანური მეტყველების გადმოსაცემა ინსტრუმენტია. ამგვარად აზროვნებენ, ფიქრობენ, განიცდიან ადამიანები, — ვეულებნება ავტორი. ეს მომენტი კი მეტად მნიშვნელოვანია მის შემოქმედებაში. ადამიანუ-

რის გადმოცემა, მისი შემზენვეა, ყოველი კუთხი-
დან დანახვა, ყოველგვარ შესაძლებლობაში ჩვე-
ნად ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც ტექნიკარ-
ტად დიდი მწერლის, მთავარი სახარისავია. ამიტომ დიდი ხანი მწერლის შემოქმედებაში
დიდი მგრძობილებით აღტურვილია, მოთბო-
ბის ცოცხალ ნერვს წარმოადგენს.

ნიკო ლორთქიფანიძის პროზა ლირიულია.
ლირიკა ყველაზე ახლოა ქართა მწერლი-
სათვის. თეთი აღამიანის ბუნება მტად ლირი-
კულია, — ფიქრობს ავტორი. ყველაფერში ლირი-
კიაა. ლირიკა მათხვრის ცხოვრებაში, რო-
დესაც მთელი თავისი სიცოცხლე ჯაფხს ეწვეა
დადიანის ასულისათვის, სევედიანი ლირიკით
სავეცა უცხოეთში ვადასახლებულ ადამიანის
სიკვდილი, ადამიანისა, რომელსაც ვაღა დუ-
ჰკნა სამშობლოს სიყვარული („გული“) ლირი-
კით გამოხარა სიცოცხლეს მოწყურებელი
ყოველი გულის გაუთავებელი, უსასრულო
შრომა-გარჯა, ლირიკით არის აღნიშნული ის
ამოებაც, რომელიც გამუდმებულად ღრღინს
სოფელ ბზნაურთა უსაგნო ცხოვრებას („ფე-
ოდაღუბი“), ნახა ლირიკული ამბლებულობაა
ღონემიხილი მოხუცის უკანასკნელ თავგან-
წირვაში და სიკვდილში („მამულის სული“).
ყოველივე ლირიკაა. სიკვდილი ლირიკაა. სი-
ცოცხლეც ლირიკაა, მხოლოდ უფრო ნათელი
ლირიკაა. ისე მსჯელობს ავტორი.

ცხოვრების ლირიკული აქტმა უშუალოდ
დაეშორება ავტორის იმპრესიონისტული წე-
რის მეთოდს. ქვეყანა გრძობების და ვანცდუ-
ბის ფერადი კალენდისკობაა. ყოველი შერხევა
ძლევს მკვთარ და ვანუმეორებულ ცელილე-
ხას; დაკვირვების ყოველი ახალი კუთხე ცვლის
დასასრულ ზოგიერთი შენიშვნა გამოცემის აპარატის შესახებ. კარგი იქნებოდა, კონსტანტინე გამსახურდიას რჩეულ თხზულებათა 1 ტომს წამძღვარებოდა დიდი, ღრმა ანალიზის შემცველი წერილი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. რატომღაც არ არის მათითებული „მთვარის მოტაცების“ დაწერისა და გამოქვეყნების თარიღები, ზოგიერთი ციტატის (გერმანულ, ლათინურ და ინგლისურ ენებზე) თარგმანი მოთაქსებელია ტომის ბოლო გვერდზე, მაშინ როცა მკითხველისათვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, ამოეკითხა ეს თარგმანები იმავე გვერდზე.



გომიერთი მოსაზრება საბავშვო ღიბერატურის შესახებ

(პედაგოგის შენიშვნები)

ბავშვიო, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ ასაკს 3 წლიდან 7 წლამდის. ეს ასაკი აღმოჩანის გონებრივი ზრდის სათავეა. დიდი გავლენა აქვს ამ ასაკში მონარბზე საბავშვო მწერლებს. ბავშვებს სიამოვნებით უსმენენ ლამაზი წინით დაწერილ პატარა მოთხრობებსა და პოემებს, ლექსებს, ნარკვევებს, წაითხული იწვევს აღტაცებას, გაკვირვებას, შებრალებას, სიმწუხარეს და სხვ. საბავშვო მწერლებს შეეძლოდა მოქმედება გადააქეთ ბუნებაში—ამოქმედებენ და აღაპარაკებენ საგნებს; ასეთ ანალოგებში ელინდება ცხოვრების შინაარსი, წინააღმდეგობანი, ისე, რომ ბავშვის გონება არ ილღება, არ მძიმდება. ბავშვი ბუნებთ ხალისიანი, რატომღმითაა აღსაყუ და არ არის მიზანშეწონილი ცხოვრების გაჩერაქზე დაეუფლოს მას სუფა, მავ, ხალხის სიბრძნე საბავშვო ზღაპრებში ყველგან გამარჯვების ზეიმი მოგვცა „ჭირი იქა, ლბინი აქაო“. ამიტომაც იზიდავს ბავშვებს ზღაპრები.

თუ საბავშვო მწერლობაში გვხვდება ტრაგიკული შინაარსის სიუჟეტი, ბავშვები ცდილობენ, თაიდან აიცილონ ასეთი საშუებაო ამბები, — წინასწარ გვხეყვებთან: „ცუდი“ არ წაგვიკითხოო.

თამარ ჩხაიძის მოთხრობებში — „სიმღერა“ მეტად ტრაგიკულ ფერებშია მოცემული პატარა ქსანის ცხოვრება. საბოლოოდ ვეებერთელა კლიტესთან მომღერალ ქსანის ტყვია დაეწია და გული გაუგმარა. „ღალსტრად შეღება აქოჩრო... ზღვის ტალღები“... და სხვ. ასეთი ხასიათის სიუჟეტები საზიაროდ მოქმედებენ ბავშვის გონებაზე და ჯამრთლომაზედაც.

ნათელა ონიავილის მოთხრობაში „ერთგული დარაჯი“ ბავშვებს საოჯახო ქებაები წამოუდგამთ თაეზე, ხელში ხელეკტები აქეთ და ასე თამაშობენ ომობანას. დააიწყდა შვილს ღედის დარიგება: „ოთხი არ ატროო, მუტრა შინ არ შეუტყა, ფისომ რქ არ მოგპაროს! თუ უველაფერს სუფთად დამაბედრებ ცირკში წაგყუენაო“. მავრამ რეზომ აშანაგებთან ერთად ოჯახში უველაფერი გადაყირავა. ფისომაც რქ დაღვარა. შინ დაბრუნებული ღედა იატაკის წმენდას და არეულ-დარტული ნივთების წესრიგში მოყენების შეუღდა. რეზო ჩემად იჯდა და თეალყერს ადევნებდა ღედს — მას აწუხებდა მხოლოდ ერთი

რამ: ცირკში წაიყუენს თუ არა ღედა. „როცა ღედამ ოთახის დაღაგება მოითავა. — თითქმის ერთი სათი ვავიდა და ცირკის წარმოდგენას მხოლოდ მეორე ნაწილს მიუსწრესო“. — ვეაუწყებს ატროო. ისე „ღლისაჯენ“ ბავშვები ცუდი საქციელისათვის (ეურ. „ღილა“).

შობლის რეაგირება მოცემულ საქციელზე და, სეერთოდ, პედაგოგიური აღლო მწერლისა აქ კომენტარებს აღარ საჭიროებს. შე ეს მოთხრობა ბავშვს არ წაუეუთებ — თემცა იღუსტრაციებს რომ დახედა და თაეზე-ქებაწამოდგმული ბავშვები ნახა, ძლიერ დაინტერესდა...

საბავშვო მოთხრობებსა და ლექსებში „ნატურათ“ მოცემული უარყოფითი მოქმედება და თვისება ბავშვისა, მით უმეტეს, თუ ეს შესაფერი იღუსტრაციებთაა არის შეზავებული, ბავშვში იწვევს სულ სხვა აღქმას. ასეთი პერსონაეები ერთგვარ ვმირებადაც ესახებათ და ცდილობენ წახადონ მათ.

უარყოფითი თვისების ბავშვები უდიდესი ტაქტიკა და პედაგოგიური, აღლოთი უნდა იყოს მოცემული. მავალითისათვის შეგვიძლია მოეიტანოთ დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები. — „თხა და გიგო“, „ვანო და ქვევტი“, „მუქთახორა“, „მეგებარა ქოთანი“ და სხვ. რომლებიც თავისი მხატვრული სასადავით, თხრობის დიდი ოსტატობითა და ტაქტით გარკვეულ მიზანს აღწევს.

ღედა ერახის ლექსში „ახლა ჩემად არის“ წარმოდგენილია თინა, რომელიც გაყვეთილზე ძალიან ბუერს ლამაჯობს და ამით ზიანს აუენებს თავის თავს და აშანაგებსაც. საბოლოოდ მასწავლებელმა იგი დასაჯა, ცალკე დასვა და ახლა ჩემად არის. — არვის ჰყავს მოლაპარაკე. ასეთია ამ ლექსის შინაარსი (ეურ. „ღილა“) რა მიზანი აქვს აქ ატროოს: უჩვენოს სასჯელი თუ დანაშაული? ჩვენში აზრით, დანაშაული გეუფენს თუთოდ მასწავლებელს რომელმაც პატარა თინა სასჯელის გარეშე ვერ დამომრჩილა — თუ სასჯელია მთავარი, მაშინ რამდენი მერტი უნდა იღვეს ამ კლასში, რომ ყველა „დამნაშავე“ ცალკე დასვას მასწავლებელმა? მწერალმა ისიც უნდა მოილოს შეუღებლობაში. რომ პატარებს ძალიან მაღალი წარმოდგენა აქვთ სკოლაზე. მასწავლებლებზე, და კარგი იქნება, თუ ამ წარმოდ-

გენს იმთავითვე არ დაეურღვევთ ბავშვებს.

ჩვენს თანამედროვე მწერლობაში ბევრია ნი-
ჭიერი საბავშვო მწერალი, მათ შორის ყურად-
ღებამს იმსახურებს ილია სიხარულიძისა და მა-
ვალა მრეველიშვილის მხატვრული ნაწარმოებუ-
ბი. მათს ლექსებში ყოველი სიტყვა მოქმედების
ფერხელშია ჩაბმული, მოხდენილად არის გამო-
ყენებული ხალხური სადა, ხატოვანი გამოთქ-
მები...

გვხვდება საბავშვო მოთხრობები, რომელთა
მოქმედი პერსონაჟი თუმცა ბავშვია, მაგრამ ბევ
შესაბამის განკუთვნილი ასეთი მოთხრობა არ
არის, ასეთი მოთხრობა საბავშვო გამოცემებში
არ უნდა იბეჭდებოდეს.

ყუდა, როდესაც ბავშვები უფროსების მას-
წველბლად გამოდიან, მაგ., ალექსანიაინს მო-
თხრობის („პირველი“) შინაარსი ასეთია: წვიმს
კოკისპირულად. სწავლის დაწყების პირველი
დღეა. დედა აცილებს თავის პატარას სკოლაში.
პატარა თაკილობს: მე დამოუკიდებელი მინდა
ვიყო. ბავშვი საბოლოოდ თავისას გაიტანს —
დღეს დაუსხლტება და გაიქცევა. დედა ქუჩაში
დგას და შესწერებია სკოლის ფანჯარებს. საკლა-
სო ოთახიდან შვილი დედას ამაყად გადმოხე-
დავს, თითქოს ეუბნებოთ: ხომ ხედავ, უწინებლად
შოვედო.

ჩვენი აზრით, ბავშვის გაცილება სკოლაში, და
ისივე პირველ დღეს, სრულიად მიზანშეწონი-
ლია. ამ დიდ ქალაქში — მანქანების სწრაფ მო-
ძრაობაში „გმირი ბავშვი“ მართლაც რომ დაუს-
ხლტვს დედას ხელიდან, არასასიამოვნო მოვლე-
ნა იქნება ბავშვისთვისაც და დედისთვისაც...
იქნებ გვისაყვედურონ, რომ ჩვენ მეტად „სწორ-
ხაზოვან“ მოთხოვნებს ვუყენებთ მხატვრულ ნა-
წარმოებებს, მაგრამ როგორც ცნობილია, ბავშ-

ვის აზროვნება სწორედ ასეთი პირდაპირია და
ამას არ შეიძლება არ გავუწიოთ ანგარიში.

მხატვრული დამაჯერებლობა აქვია ოტია იო-
სელიანის მოთხრობას: „ერთი ვიზიტორის და...“

ბავშვს სურვილი აქვს წავიდეს სკოლაში, და-
იწყოს სწავლა, ამ სურვილს ეწინააღმდეგებიან
მშობლები — იგი ხომ ჯერ სკოლის ასაკის არ
არის! პატარა თვითონ მოგვითხრობს ამ ამბავს
საკმაოდ გარკვეული ფსიქოლოგიური თვითაზ-
რებით. მოთხრობაც ამის გამო კარგავს ინტე-
რესს.

ბავშვებს ძალიან უყვართ მოკლე მოცულობის
მოთხრობა, მაგრამ იგი უნდა იყოს კომპოზი-
ციურად შეკრული. ზოგიერთი საბავშვო მოთხ-
რობა თითქმის უფაბულოა, ან შენელებული ფა-
ბულითაა წარმოდგენილი, მოკლებულია სიუჟე-
ტის განვითარებას და ამიტომ ბავშვი მას უინ-
ტერესოდ უსმენს.

იაკობ გოგებაშვილის 5-ნ სტრიქონიანი მოთხ-
რობებიც კი განირჩევა თავისი ფაბულით, კომ-
პოზიციით, ასეთებია „ბუზი და ეტლი“. „პეპე-
ლა და ფუტკარი“, „ლოში და თავი“ და სხვ.

საბავშვო მოთხრობებს უნდა ახასიათებდეს
ენის სიწმინდე, სისწორე, სიტყმო და სიღბო,
ფსიქოლოგიური სიზარტლე.

ბავშვის გონების და ზნეობის ზრდის საწინ-
დარია, რა თქმა უნდა, მშობლების მაღალი წიგ-
ნიერობა, შინაგანი კულტურა, ღამაში შეტყუე-
ლება, ლოგიკური და თანმიმდევრული თხრობის
უნარი, რომელიც ბავშვს იმთავითვე სწორ მი-
მართულებას აძლევს, მაგრამ საბავშვო მწერ-
ლის როლი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვისა-
თვის მისაწვდომ ფერებში დახატოს ის რთული
და შრავალმხრივი გარემო, რომელშიც ბავშვს
უხდება ზნეობრივი და გონებრივი ზრდა.



რევიკა ახანაშვილი გ. გოიანი

ყურნალ „თეატრის“ 1958 წლის ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა გეორგი გოიანის სტატია „ისტორიზმის პრინციპები (ყვლე სსრ კავშირის ხალხთა თეატრის ისტორიის შესწავლისათვის)“. გოიანი მიერ დაყენებულ საკითხებს არ შეუძლია არ ააღივლოს ნაციონალური თეატრების ისტორიკოსები. გოიანი მოუწოდებს ისტორიის მომავალ შემქმნელებს მონახონ, ისტორიზმის პრინციპის დაკვირვებით სწორი მიდგომა ხელოვნების მოვლენებისა და თეატრის ცალკეულ მოღვაწეთა შემოქმედების შეფასების დროს. არა უსაზომო აღფრთოვანებული სიყვარულით ანდა ბრმა ათვალწუნებით უნდა ხელმძღვანელობდნენ თეატრის ისტორიკოსები თავიანთ შემოაზნაში, არამედ უნდა შესწავლეთ უნარი, შორიდან დაინახონ და ობიექტურად შეაფასონ ყოველი ფაქტი ჩვენი ქვეყნის თეატრალური ცხოვრებისა, მონახონ სათანადო ადგილი, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის, იქნება ეს სპექტაკლი, მსახიობის შემოქმედება თუ ცალკეული როლი.

„ისტორიზმის პრინციპი, — წერს გ. გოიანი, — მოითხოვს ისტორიულ მოღვაწეთა სახელების არა მიოწყვებას, მიუხედავად იმისა, მოგვიწონს ჩვენ ისინი თუ არა. მაგრამ მათი შემოქმედების განხილვისას საჭირო როდია ხელი მივუწყო ამოღოვეთ“. და რომ საქმით ვინ ვინ ვინ ვინ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ისტორიზმის პრინციპი ხელოვნების მოვლენების შეფასების დროს. სტატიის ავტორი განიხილავს ცალკეულ მომენტებს სსრ კავშირის ნაციონალური თეატრების ისტორიიდან.

ისტორიული ფაქტების არასწორად გაშუქების ნიმუშად გ. გოიანი მოიხსენიებს შ. აფხაძისა და ნ. შვანიტაძის მოკლე ნარკვევი „რუსთაველის სახელობის თეატრი“, რომელიც გამოიცა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის წიგნის ავტორებს იგი უსაყვედურებს რომ თითქმის ისინი გადაკარბებულად აფასებენ ს. ახმეტელს, როგორც შემოქმედს. კერძოდ, მის მოღვაწეობას 1926 წლიდან 1936 წლამდე და ჩქმალავენ კ. მარჯანიშვილის როლს ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების ისტორიაში.

უდავოა, რომ მოკლე ნარკვევს — „რუსთაველის სახელობის თეატრი“ მოუპოვება ნაკლები ვანებები. დეკადისათვის გამოცემული ნარკვევი ძალზე მოკლეა იმისათვის, რათა მან დაიტოოს

ის საკითხები, რომლებზედაც საჭიროა ლაბარაკი ისეთი საინტერესო და თავისებური კოლექტივის შესახებ მსჯელობისას, როგორცია რუსთაველის თეატრი, არა მგონია, რომ ამ ნარკვევის ავტორებს ჰქონდათ პარტენიზი რუსთაველის სახ. თეატრის ისტორიის შექმნისა. მაგრამ ეს პატარა წიგნაკი იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს ერთ-ერთ საფუძვლს რუსთაველის თეატრის ისტორიის მომავალი კამბალური ნაშრომის მომზადებისათვის.

„რუსთაველის სახელობის თეატრი“, უწინარეს ყოველისა, დოკუმენტური მიმოხილვაა. რის გამოც მასში უფრო მეტია ფაქტები და გამოუქვეყნებელი მასალები. ვიდრე დასკვნები და ვრცელი მსჯელობანი. ამიტომაც წიგნის გაება, როგორც რუსთაველის სახ. თეატრის დასრულებული ისტორიისა, არ იქნებოდა სწორი.

ბუნებრივია, რომ ნარკვევის ავტორებმა რუსთაველის სახ. თეატრის ისტორიის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმ პერსონაჟებს, როდესაც თეატრი ყალიბდებოდა როგორც თავისებური მხატვრული ორგანიზმი. განსხვავებული სხვა თეატრებისაგან. კერძოდ, მარჯანიშვილის სახ. თეატრისაგან. მათ გამოყვეს ის პერიოდი, როდესაც შემადგენელი თეატრის შემოქმედებითი მიმართულება, იქმნებოდა მისი სახე. შეირჩეოდა თეატრის. მისი თავისებური გადაწყვეტა, მიმდინარეობდა ძიება სპექტაკლის გარეგნული ფორმის გამოხატვის, და ბოლოს, აჭიროთა აღზრდის მთელი სისტემისა. ე. ი. ყველაფერი, რასაც შემდგომში ეწოდება რუსთაველის სახ. თეატრის ტრადიციები. ეს ტრადიციები გამოირჩეოდა სხვა თეატრალური კოლექტივების, კერძოდ, მარჯანიშვილის თეატრის ტრადიციებისაგან. ამ საპასუხისმგებლო პერიოდში თეატრის სათავეში უდგა ნიჭიერი და გაბედილი რეჟისორი სანდრო ამბერელი.

კ. მარჯანიშვილი რომ ქართული თეატრის რეფორმატორია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ისიც უდავოა, რომ კ. მარჯანიშვილმა შეარი საფუძველი ჩაუდგინა ქართულ საბჭოთა პროფესიულ მხატვრულ თეატრს. ამ თვალსაზრისით ქართული სცენის ყველა შემდგომი დიდი მოღვაწე მისი საქმის გამგრძობია. ვის შეუძლია თქვას, რომ არაა სასახელო იწოდებოდნენ ქართული თეატრის ისეთი გამოჩენილი მოღვაწის მოწაფედ, როგორც იყო კ. მარჯანიშვილი? ამ

თელსაზრისით თვით ს. ახმეტელიც კარგ მარჯანიშვილის მოწაფე იყო. არაერთი სუბონი მუშაობდა იგი მასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით, ხოლო შემდგომ შემოქმედებითაღ და გამოიყენა უოველივე ის, რაც შოიტანა კ. მარჯანიშვილმა თეატრში, თუმცა, იგი ვარაუდობდა რუსთაველის თეატრის შემდგომ განვითარებას სხვაგვარი მიმართულებით ვიდრე ეს ესახებოდა კ. მარჯანიშვილს. შევეთობა შემოქმედებითა სხვადასხვაობაში მიიყვანა მარჯანიშვილი იმ დასკვნამდე, რომ წასულიყო თეატრიდან, რადგან იგი არ ეთანხმებოდა ს. ახმეტელის ხაზს. კ. მარჯანიშვილი რომ არ წასულიყო, წავიდოდა თვით ახმეტელი, და ამიტომ თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლის შეფასება, როგორც მისი დამარცხებისა (სწორედ ასეთი დასკვნა გამოაქვს გ. გომიანს სხანებული ნარკვევიდან), ვინაიალმდეგებასკმის ნამდვილ ვითარებას. უოველი წასვლა როლი ნიშნავს დამარცხებას. წასვლა შეიძლება იყოს პროტესტი რაიმე პრინციპული უთანხმოების გამო. როგორც იყო ამ შემთხვევაში. კ. მარჯანიშვილი ხომ მარტო არ წასულა, მასთან ერთად წავიდნენ მისი მოწაფეებაც, მისი თანამაზრენი და მომხრეები, რომლებსაც შემოქმედებითი დავა ჰქონდათ ს. ახმეტელთან. რუსთაველის თეატრში დარჩნენ ახმეტელის მომხრეები, მათ შორის ა. ხორავა და ა. ვასაძე.

კ. მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზებზე რადი იყო დამარცხებული არმია, რომელიც სწრაფად ტრეკის ბრძოლის ველს. იგი უფრო უნდა ჩავთვალოთ შემტვე არმიად, შემოქმედ და მოქმედ არმიად. მარჯანიშვილსა და ახმეტელს შორის დავაში არ ყოფილა გამარჯვებული და დამარცხებული. ორივე ხაზმა თავისი თავი გამოართლა. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს კ. მარჯანიშვილისა და მისი მოწაფეების მიერ მეორე დამარცხული თეატრის შექმნა, თეატრისა, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს. ეს თეატრი იმთავითვე ვახდა ისეთივე პაპულარული მთელს საქართველოში, როგორც რუსთაველის სახელობის თეატრი.

თეატრის ისტორიას ასსოვს მსგავსი შემთხვევები, როდესაც ჩვენი ქვეყნის თეატრალური ცხოვრების სარბილზე ერთი მარცხელი იძლეოდა ერთმეორისაგან განსხვავებულ შემოქმედებითს ჯგუფებს. ასეთია, მაგალითად, ვახტანგოვის სახელობის თეატრი, შექმნილი მოსკოვის სამხატვრო თეატრის მესამე სტუდიის საფუძველზე. მან ბევრი რამ მიიღო თავისი „შრობებისაგან“, მაგრამ მაინც რაოდენ განსხვავებულ და თავისებურ თეატრალურ ორგანიზმად ჩამოყალიბდა!

გ. გომიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისტორიული მოღვაწეების საქმეებზე მსჯელობენ არა იმის მიხედვით, თუ ამ აღმინებმა რა არ გააკეთეს თავის შთამომავლობასთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა გააკეთეს

მათ ახალი თაგის წინამორბედებთან შედარებით“. სამართლიანი დასკვნაა, მამ რატომ არ ხელმძღვანელობს ამ პრინციპით თვითვე გომიანი ამ ეკრო შემთხვევაში? ხომ იბადება კითხვა— რა შოიტანა ახალი ახმეტელმა რუსთაველის თეატრში და რა მნიშვნელობა აქვს მის მოღვაწეობას ქართული თეატრისათვის?

ს. ახმეტელი ოცნებობდა შეექმნა თავისებური, რომანტიკულად ამაღლებული, მაღალმხატვრული გმირული თეატრი, ოღონდ ეს თეატრი თავისი ხასიათით უნდა ყოფილიყო ღრმად ნაციონალური. თვალისწინებდა რა რუსთაველის თეატრის აქტიორების შემოქმედებითს შესაძლებლობას, ახმეტელს ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად შიანდა ქართული აქტიორების ისეთ თავისებურებათა მაქსიმალური გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, ემოციურობა, შესრულების ტემპერამენტი, მოძრაობისა და ექსტრის დახვეწილი პლასტიკურობა, უმდიდრესი მიმიკა და გმირული ვრცაობა. ს. ახმეტელის ერთერთი მოთვარი შემოქმედებითი პრინციპი იყო მსახიობთა ანსამბლის პრინციპის აღიარება ცალკულ შემსრულებელთა მიმართ (როგორც დავინახათ ამ საკითხში რეცისორი ბოლომდე მართლად არ იყო).

როგორც მხატვარი, ს. ახმეტელი ხედავდა საბჭოთა აღმინების — აზრისა და საქმის ერთუზიანების — უოველდიურ შრომაში გმირულ შემართებას. ნიჭიერი რეცისორი ოცნებობდა დამატურგიაზე, რომელიც ასახავდა ახალი ცხოვრების შვენიერებას გმირულ საქმეებს და თვლიდა, რომ სწორედ ასეთმა დამატურგიაზე უნდა განსაზღვროს რუსთაველის თეატრის რეპერტუარი. როცა თეატრი ვარსილიდა გმირული შინაარსის თანამედროვე პიესების ნაყლებობას, მაშინ იგი მიმართავდა ქართულ და ვეროპულ კლასიკას.

ჩვენ ხელთ გააქვს რეცენზიები ს. ახმეტელის სპექტაკლებზე და მასალები რუსთაველის თეატრის საგასტროლო მოგზაურობისა. თეატრის სპექტაკლები, სამშობლოში დიდი წარმატების შემდეგ, ნახა არაქართულმა მაყურებელმაც, რაც ასაკორული გამოცდა იყო ახალგაზრდა კოლტრისათვის. მსოფლიოს თეატრალურმა დედაქალაქმა მოსკოვმა, როგორც 1930 წელს, ისე 1933 წელს აღფრთოვანებით მიიღო ქართული ხელოვნების წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, იყო კრიტიკული შენიშვნებიც, მაგრამ ყოველთვის საქმიანი, მეგობრული და გულსხმიანი, სწორედ ისეთი, როგორსაც ჩვეულებრივ უყენებენ მაღალინიჭიერ თეატრალურ კოლექტივებს. თეატრს დამსახურებულ ჩაეთვალა ყველასათვის მისაწოდო და გასაგები თეატრალური ენა: ნაციონალური ელფრის მიცემის უნარი თეატრალური ხელოვნების ზოგადი კანონებისათვის, როგორც აქტიორთა შესრულებაში. ისევე სპექტაკლების საერთო მხატვრულ გადაწყვეტ-

ში. რუსთაველის თეატრს განასხვავებდნენ სხვა მხატვრული კოლექტივებისაგან მის მიერ მონახული რომანტიკულად აშაღებული, გმირული თემით, რომელსაც თეატრმა მიიღწია ნაციონალური და საზღვარგარეთელ კლასიკაში. განსაკუთრებით აღინიშნებოდა სპექტაკლების მთლიანობა, გააზრებულობა; კომპოზიციური სიმჭირივე, რიტმის სიმკვეთრე და მხატვრული გაფორმების მაღალი დონე. ყოველივე ამან ჩააყენა რუსთაველის თეატრი საბჭოთა კავშირის ნაციონალურ თეატრების პირველ რიგებში.

1930 წელს ნაციონალური თეატრების ოლიმპიადის ეთერის შედეგებში, მაღალ შეფასებასთან ერთად, გაეთვებელი იყო ზოგიერთი შენიშვნა მოსკოვის ჩატანლი რეპერტუარის მხრივ (პიესების უმრავლესობა ასახავდა კავკასიის ხალხთა ცხოვრებას, აღინიშნა თეატრის გადაქარბებული გატაცება ფოლკლორის ელემენტებით. თეატრს აყრიტებდნენ ზოგიერთი თემის ზერელე გააზრებისათვის და ურჩევდნენ, შეტი უზრადღება მიეცია მთავარი როლების ცალკეული შემსრულებლებსათვის, რათა ისინი არ გათქვეფიოყენნ მასში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თეატრმა ბევრ რამეს გადახედა, ბევრი რამ სხვაგვარად გაიზარა, გამოასწორა და მეორედ ჩასვლისას მოსკოვში (1933 წ.) ბევრი ახალი და საინტერესო ჩაიტანა. თეატრმა კვლავ შეამოწმა თავისი მხატვრული ძალა და უნარი მოსკოვის მაყურებლის წინაშე. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია „*Un tirannos*“-ის დადგამა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იდგებოდა კლასიკური პიესა, არამედ იმიტომაც, რომ თეატრი ამთავრებდა ამით თავისი ძეგლის განსაზღვრულ პერიოდს.

ამიტომაც „*Un tirannos*“-ის წარმატება მრავალმხრივ საგულისხმო იყო. ქართულმა მსახიობებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ერთნაირი წარმატებით ასრულებენ როგორც ნაციონალური დრამატურგის, ისევე საზღვარგარეთის კლასიკოსების როლებსაც. წარმატად განლაგებული მასობრივი სკენების ფონზე აკადემია ხორავას, ვასაძისა და თამარ წულუკიძის მაღალი ხელოვნება. ისინი იყვნენ სპირველნი თანასწორთა შორის“. ეს გამოთქმა ხშირად ვეხვდებოდა სპექტაკლ „*Un tirannos*“-ისადმი მიძღვნილ რეცენზიებში. აღნიშნავდნენ, რომ მათს თამაშში განსაკუთრებით რელიეფურად, ორგანულად და ნათლად გამოჰქლავნდა დამახასიათებელი თვისებები ქართველ აქტიორთა ხელოვნებისა, ასე სწორად მიგნებული და გამოყენებული ახმეტელის მშვენიერ რეჟისურაში.

ამ დადგმით თეატრი ერთდროულად ღარჩა თავისი მხატვრული იდეალისა; მან შეძლო თავისებურად, ორიგინალურად და შირთლად წაეკითხა ძველი ბიესა, დაეახა მასში რომანტიკული ამბობი ტიპიანობა და ძალადობის წინააღმდეგ, აი, რას წერდა ვახუთი „პრავდა“ 1933 წ. თეატრის გასტროლების დამთავრებისას: „რო-

გორი საერთო შეფასება შეიძლება მიეცეთ თეატრის შემოაბას? თავისი შემოქმედებით-თეატრმა, უპირველეს ყოვლისა, ბრწყინვალედ გამოიყენა ნაციონალური სტილის თავისებურება, როგორც სპექტაკლის საერთო გააზრებაში, ისევე მსახიობთა შესრულებაში. ახმეტელი შესანიშნავად გრანოზს სცენას და მას, ისე როგორც არავის, შესწევს უნარი მისი შევებისა ყოველი მიმართულებით. ქართულ თეატრში მსახიობი საოცრად რელიეფურადაა წარმოდგენილი. იგი სცენის ცენტრალური ფიგურაა. მთელი კოლექტივი აღზრდილია მეტყველების შესანიშნავი ელტურით და იწყობათად კარგად და მარჯულედ ფლობს მოძრაობისა და ექსტრის ხელოვნებას“. შემდეგ ვახუთი „პრავდა“ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და ობიექტურობით აფრთხილებს თეატრს შესაძლებელი შეცდომების გამო, თუკი თეატრი საყუთარ ღირსებებს გადააქცევს თვითმიზანად.

გ. გოიანს მოჰყავს ციტატი ვახუთი „პრავდის“ სტატიიდან, რომელიც შეიცავს ასეთ გაფრთხილებას, მაგრამ მეტად თვითნებურად განმარტავს მას. ყველაფერი რომ ნათელი იყოს, მოვიყვანოთ ჩვენც ეს ადგილი. რუსთაველის თეატრის გასტროლების დაწყების წინ „პრავდა“ წერდა: „თეატრის ძალა, ნაციონალური სტილის მთელი რიგი მომენტების გამოყენების უნარი თეატრალური ელტურის გაზლიდრების ინტერესებისათვის, ამასთან ერთად შეადგენს მის სუსტ მხარესაც, ვინაიდან თვითონ ხერხი ხშირად ჩქობლავს შინაარსს, ნაციონალური ფორმის პრობლემა ხშირად იცვლება ეთნოგრაფიული ეგზოტიკით.

რომანტიკული ნაკადი, რომელიც ძლიერია თეატრში, ხანდახან შეფერილია ხაზგამსული ნაციონალური რომანტიკით“.

გ. გოიანს მიერ სტატიის საერთო ქსოვილიდან ამოგლეჯილი ამ ციტატას შეუძლია მოგვეცეს არასწორი წარმოდგენა რუსთაველის თეატრის მიმართულებასა და შემოქმედების მეთოდზე. ამის გამო სტატიის ავტორმა აშკარა კრიტიკაში დაიწახა მითითება „ს. ახმეტელის შემოქმედებაში ფორმალნიზმისა და ნაციონალიზმის ტენდენციებზე“. ეს არ გამომდინარეობს არა მარტო მითითებული სტატიიდან, არამედ სხვა მასალებიდანაც. შემოსხენილად წერილიშ ლაპარაკი თეატრის ვიტაცებაზე ცალკეული მხატვრული ხერხებით, რომლებიც ხანდახან ჩრდილვენ შინაარსს. გ. გოიანმა კი ზოგიერთი მხატვრული გადახვევა წარმოიდგინა მსოფლმხედველობით ხასიათის ძირეულ შეცდომებად. განა ფორმალნიზმის ხასიათის შეცდომა უკვე ფორმალნიზმს ნიშნავს? ან ნუთუ სპექტაკლების „ხანდახან“ ნაციონალური რომანტიკით“ შეფერილობა უკვე ნაციონალიზმს მოასწავებს? აქ აშკარაა ციტატის არაზუსტი, სუბიექტური კომენტარება. საბოლოო ანგარიშში „ისტორიზმის პრინციპის“ ასეთმა ყაღმა გამოყენებამ აიძულა ჩვენი ავტო-

რი არსებობდა გავმეორებინა ამბეტელის შემოქმედების ის მცდარი შეფასება, რომელიც წამოყენებული იყო მის მიმართ ამ 20 წლის წინათ ხალხის ამგვარ გამოსჯარავებულ მტრების მიერ.

ამხ. გომიანს რომ მოესურვებინა ციტირების გაგრძელება, მაშინ ზეან წაიკითხავდი ასეთ სტრიქონებს: „უღაგოდ ვასულ ნამ წელში თეატრმა ბევრად გამოასწორა თავისი შეცდომები, ვადაფართოვა თავისი რეპერტუარი“.

როგორ გავივით ყოველივე ეს? რამ აიძულა პარტიული პრესის ისეთი ავტორიტეტული ორგანო, როგორცაა ვახუთი „პრაედა“, ჩაეყენებინა არსთაველის თეატრი საბჭოთა კავშირის ნაციონალური თეატრების პირველ რიგებში, თუკი ეს თეატრი ღირსი იყო უფრო გაიკაცხვისა, ვიდრე კებისა, როგორც ეს გ. გომიანს სურს დაგვიტყვიოს? რით უნდა აეხსნათ წინდადებამ იმავე „პრაედისა“ და სხვა ვახუთებისა — ვახუთნათ რუსთაველთან ხელოვნება ვერაძულ მაყურებელს, როგორც საბჭოთა კავშირის ნაციონალური კულტურის ზრდის საბუთი?

რომელი გაბედული წამოწყებაა დახლებული შეცდომებისა და გადახვევებისაგან? რომელ მხატვარს შეუძლია განაცხადოს, რომ არასოდეს არ შემცდარა და მხოლოდ წარმატების სიხარული იყო მისი თანამზახარი ხელოვნების ვითომდა ვატყვილ ვახუთ? იქნებ ზოგს შეუძლია შეადგოს, ზოგს კი არა? ამიტომ ზოგს შეიძლება ნახი რევერანსებით მივუთითოთ შეცდომებზე, მეორენი კი ვაძაგათ მთელი სიცოცხლის მანძილზე და სიკვდილის შემდგავ კი? რატომღა, რომ ზოგის შეცდომას აღნიშნავენ უხალისოდ, ზოგის დადებით საქმიანობას კი ჩქმალისოდ?

მთავარი ის კი არაა, რომ შეცდომამა დაშვებულა, არამედ რა ხასიათისაა ეს შეცდომა, რა არის მისი საფუძველი — თვით საქმის უარყოფა თუ დროებითი წარმატებლობა. „პრაედის“ რომ ჩაეთვალა რუსთაველის თეატრის შეცდომები ისეთ შეცდომებად, რომელიც გამოსწორება არ შეიძლება, მაშინ ის განაცხადებდა ამას პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე და არ მოუწოდებდა თეატრს, გაეგრძელებინა დაწყებული მუშაობა, თავის საუკეთესო მიღწევათა საფუძველზე. მაშასადამე, სჯეროდით, რომ რუსთაველის თეატრი, როგორც ნიჭიერი კოლექტივი ნელ-ნელა გაასწორებდა თავის ხაზს, დაძლედა შემოქმედებითი ხასიათის დაბაკოლებებს და მოიპოვებდა ახალ გამარჯვებებს. ეს სწამდა თვითონ თეატრსაც, სხვაგვარად არც ჰქონდა აზრი მის შემდგომ წინსვლას.

ყოველი თეატრალური მოღვაწე მთელი თავისი შემოქმედებით, — როგორც წარმატებებით, ისევე მარცხით — უზნადებს ნიადაგს ხელოვნების მუშაობა შემდგომ თაობას, და როდესაც ახალი ხელმძღვანელი არ ეთანხმება მის მოსვლამდე გატარებულ ხაზს, წინამარბედით მხატვრულ მუშაობას, მაშინ იგი ძირეულად ცვლის

თეატრის სახეს. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე (1955-56 წწ. სეზონამდე) რუსთაველის თეატრს, როგორც ცნობილია, ხელმძღვანელებდნენ შემსაბუნავი საბჭოთა მსახიობები ა. ვასაძე და ა. ხორავა. შესცვალეს თუ არა მათ ამბეტელის დროს დასახული საერთო მიმართულება თეატრისა? თქვენს თუ არა მათ უარი თეატრში დამკვიდრებულ სპექტაკლებზე მუშაობისა და აქტორის აღზრდის შემოქმედებითს მეთოდზე? განა რუსთაველის თეატრი აღარ არის გვირუკი რომანტიკული თეატრი, რომელსაც ასე ორიგინალურად შესწევდა უნარი გამოეყენებინა ქართული სტილი ნამდვილი თეატრალურობით აღნიშნული მხატვრული წარმოდგენების შესაქმნელად? განა ხორავასა და ვასაძეს, როგორც მსახიობებს, შეეძლოთ შეეცვალოთ თავიანთი ნიჭის ბუნება, თამაშის მინერა, ასე პირბრუნულად რომ იყო შერწყმული ამბეტელის სპექტაკლების საერთო მხატვრულ ქსოვილთან? ცხადია, არა!

რა თქმა უნდა, ახალ პირობებში და ახალ ეტაპზე (რომელიც ნაწილობრივ უკვე „In tiranias“-ით დამწყობ) თეატრმა დიდი და პრინციპული მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ შეგნებულად უარყო ამბეტელის ზოგიერთი გავმართლებული ექსპერიმენტები, ჩამოაშორა ნაძალადევი სტილიზაციის ელფერი სპექტაკლებს და, რაც მთავარია, კვლავ აღადგინა წამყვანი მსახიობის დიდი როლი და შემოქმედებითი ინიციატივა სპექტაკლებში. მაგრამ თეატრს და, პირველ რიგში, მის ხელმძღვანელებს არათუ არ უარუყვით ამბეტელის ნაყოფიერი ტრადიციები, არამედ მათ თეატრის საუკეთესო მიღწევების საფუძველზე განაგრძეს ბრძოლა თეატრის უკვე გამოცენილი შემოქმედებითი სახის საბოლოოდ დამკვიდრებისათვის. გ. გომიანი აღნიშნავს ამ პერიოდის სპექტაკლების მაღალ ხარისხს — ესენია „არსენა“, „ოტელი“, „ოდიპოსი მეფე“ მაგრამ თუ მართლაც ისტორიზმის პრინციპით ვისებამდვანელებთ, განა ცხადი არ უნდა იყოს, რომ რა მაღალი ღირსებითაც არ უნდა გამოირჩეოდნენ თეატრის ეს ახალი ნამუშევრები, ისინი ვერ დაამკვირებდნენ ამბეტელის სპექტაკლთან მნიშვნელობას. ხომ აღნიშნავს თვითონ გ. გომიანი, რომ „დაღმეგებელია იმ ადამიანთა პირველი ნაბიჯების შეფასება, რომლებიც ქმნიდნენ და აეთათარებდნენ ჩვენს ხელოვნებას, იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლებსაც ჩვენ თანამედროვე სივსან ვუყენებთ“. სამწუხაროდ გ. გომიანი თვითონვე არაღვებს ამ სწორ პრინციპს, როდესაც ადარებს ამბეტელის დადგმებს შემდგომი ოცი წლის მანძილზე შექმნილ საუკეთესო სპექტაკლებს.

„არსენა“ იქმნებოდა 1936 წელს, ე. ი. ამბეტელის წასვლის შემდგომ სეზონში. ამბეტელის სპექტაკლები იყო გასული წელი „არსენასათვის“, მაგრამ შემოქმედებითი თვალსაზრისით

ისინი შეადგენდნენ გუშინდელ დღეს, „წინა-დღეს“, რომელიც შობის დღევანდელ დღეს მსახიობების, რეჟისორებისა და თეატრის მუშაკთა ხსოვნაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო შთაბეჭდილებები ს. ახმეტელთან ერთობლივი მუშაობისა. ამ შესანიშნავ რეჟისორს შეეძლო აღენითო ზემოთაგონების ნაპერწკალი მსახიობებსა და ხელოვნების მუშაკებში, ვაუხადა ისინი შემოქმედებითი გმირობის მონაწილეებად, იმსახვან დამოუკიდებლად, თუ რა როლს ასრულებდნენ ისინი სპექტაკლში.

შეუადართო სპექტაკლი „აჩსენა“—„ღამარას“, „ანზორსა“ და „ყაჩაღებს“. განა არ წარმოადგენს იგი თემატიკურად, საერთოდ სცენური გადაწყვეტითა და აქტიორული ოსტატობით ახმეტელის საუკეთესო სპექტაკლების ტრადიციების გაგრძელებას? „აჩსენა“ თეატრისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია, მასში ღრმადაა გახსნილი პიესის იდეურია არსი, გაძლიერებულია სოციალური მოტივები, მიღწეულია ის, რაც დასახლება ჰქონდა ახმეტელს თავის ჯერ კიდევ ბოლომდე განუზრახველად შემოქმედებითის ძიებებში, მაგრამ იგი მაინც „ანზორისა“ და „ყაჩაღებს“ შემოქმედებითი ხაზის განვითარებაა. და ყოველთვის, როცა თეატრი თავისი ტრადიციების, თავისი თემის ერთგული რჩებოდა, როცა ის მაქსიმალურად იყენებდა თავის სპეციფიკურ შემოქმედებითს შესაძლებლობებს— იგი მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. სხვა საკითხია, რომ ზოგჯერ რუსთაველის თეატრის სპექტაკლები ძნელი გამოსარჩევია სხვა თეატრთა სპექტაკლებიდან. ეს ძალზე სამწუხაროა, და ამას უნდა ევბრძოლოთ. თუ ხანდახან რუსთაველის თეატრი კარგავს თავის სახეს, თუ ხანდახან იწლება ზღვარი მის სპექტაკლებსა და სხვა თეატრების დადგმებს შორის, სხვაობა უმნიშვნელო ხდება, ხოლო თავისებურება იშკმალება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რუსთაველისა და, მაგალითად, მარჯანიშვილის თეატრების დროებითი შემოქმედებითი ჩაჯვრდნებს აუცილებლად უნდა მოუძებნოთ მეცნიერული გიმართლება, ასეთი ნიველირება დაქვასანუთით

იმით, რომ ორივე თეატრს ხელმძღვანელობდნენ კ. მარჯანიშვილის მოწაფეები და მას სპექტრის გამგრძელებლები! თითოეულ თეატრს გააჩნია წლობით ჩამოყალიბებული შემოქმედებითი ტრადიციები, მარჯანიშვილის თეატრს— მარჯანიშვილის ტრადიციები, ხოლო რუსთაველის თეატრს— ახმეტელისა და მისი მოწაფეების ტრადიციები, თუმცა ორივე თეატრალური ორგანიზმი დიდად დაეაღებული იყო იმ რეჟორმაზე, რომელიც თავის დროზე კოტე მარჯანიშვილმა მოახდინა ქართულ საბჭოთა თეატრში, ჩაუყარა რა მას საფუძველი. ამიტომ არ შეიძლება არ გამოიწვიოს გულისწერობა, როგორც ნიჭიერი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის ამაგის მიქქმალვის ცდამ, ისევე მარჯანიშვილისა და ახმეტელის ქართული თეატრის ისტორიაში დემაგოგიური შეპირისპირების ცდამაც.

ორი ათწლეულის განმავლობაში რუსთაველის სახელობის თეატრის ისტორიაში ახმეტელის სახელთან დაკავშირებული პერიოდი თეთრ ლაქად რჩებოდა და ბევრი ისე შეეჩვიო ამ მდგომარეობას, რომ ახლაც თავს იცავენ ამ არაჩვეულებრივად საინტერესო და ნიჭიერი რეჟისორის მოღვაწეობის დადებითად შეფასებისაგან. ახმეტელს უფლება აქვს დაიკავოს თავისი შესაფერისი და არა სახელდახელოდ და ნაჩქარევად შერჩეული ადგილი, როგორც ხდება იმ შემთხვევაში, როცა ათწლებუნ სხვებს მიწ-მოიწონ, რათა პატარა ადგილი დაეთმონ ვითომდა გაუთვალისწინებელ, დაუპატივებელ სტუმარს რუსთაველის სახელობის თეატრისა და მთელი ქართული თეატრის ისტორიაში. ამიტომ საჭიროა ბევრი რამის გადასინჯვა, ხელახლა შეფასება. ქართული თეატრის მომავალი ისტორია უნდა იყოს საქართველოს თეატრალური ცხოვრების ნამდვილი ისტორია და არა ჩარჩო, სადაც შეიძლება ნებისმიერი სურათის ნაპალაღეად მოთავსება.

სიტყვა გუთვნით სსრ კავშირის ნაციონალური თეატრების ისტორიკოსებს.



თბილისი



წილი ცხოვრება ხელოვნებაში

(ელ. ი. ნემიროვიჩი-დანჩენკოს დაბადების 100 წლისთავის გამო).

„მთელს ჩემს ცხოვრებაში, ისე როგორც მდი-
ნარე ველზე, შემოქრილია თეატრის მიმზიდვე-
ლი და ბობოქარი ატმოსფერო, რომლის მომ-
ხიბველობასაც აგრე ადვილად ვერ დავაღწევ
თავს“.

ამ სტრუქტურების ავტორი საესეებით გულწრ-
ფელია. თეატრი ნამდვილად მისი სტიქია იყო.
იგი შეადგენდა მთელს მის ცხოვრებას. მან ეს
ცხოვრება შესანიშნავად გაატარა, მთელი თა-
ვის აურაცხელი სიმდივრე — უზარმაზარი ინ-
ტელიქტი, შემოქმედებითი ელვარება, დიდი
ადამიანური გული ხალხს უნდებოდა.

ხალხთა თეატრალური კულტურის ისტორიაში
არტულ ისე ზნობია შავალითები, როდესაც ერთი
შემოქმედის მოღვაწეობაში განსახიერებელია
უზარმაზარი მხატვრული მრავალსახეობა, სხვა-
დასხვაგვარი პროფესიის სიუხვე. ელადიმერ ივა-
ნეს ძე ნემიროვიჩი-დანჩენკო კი სწორედ ასეთი
შემოქმედი იყო. და ჩვენ არ შევიძინებართ
ტერმინების ამორჩევაში: „შემოქმედი“ და
„პროფესია“. დაბ, იგი პროფესიონალი იყო
მთელი თავისი მრავალფეროვანი, თითქმის საე-
კუნებრივი შემოქმედების ყველა სფეროში; და
ყველგან, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედი. იგი
პროფესიულად კმნიდა თავის დრამატურგიასაც,
თავის რომანებსა და მოთხრობებსაც. რომლებიც
დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუს მკი-
თხველსა და მთურბეგელში. იგი იყო გამჭრიახი
გონებისა და შეუდრეკელი ნებისყოფის ადამიან-
ი, ამასთანავე — ემოციური, დაკვირვებელი
და გამოცდილი პედაგოგი-პროფესიონალი, რომ-
მელმაც თავისი სიცოცხლის მანძილზე გამოზარ-
და სცენის ოსტატთა მრავალი თაობა.

სწორედ ამგვარ ღრმად მკოდნე და მდინივი
შემოქმედებითი წიტი აღზნებულ ადამიანს
შეუძლიო შექმნა ბარაკიანი ნაყოფი, — მისი მო-
წადეების უმრავლესობამ ხომ სახელი გაუთქვა
რუსულ სასცენო ხელოვნებას. შათან საქმა-
რისისა დაეასახლოთ სამი არტისტი: მოსკოვნი,
კნაიბრა-ჩეხოვა და ხმელიოვი.

მისი კრიტიკულ-თეორიული სტიტიები და
ავრთევი, თეატრის საკითხებზე გამოთქმული
მოსაზრებანი გამოიჩინევა პროფესიონალიზმით,
სცენის კანონების ღრმა ცოდნითა და გააზრ-
ებით. ჩვენ ვეჯადობებს მისი უდიდესი სოციალუ-
ლი თეატრისადმი, შთამაგონებელი, შემოქმედე-

ბითი გაქანება, სათეატრო საქმის ბრწყინვალე
და კვიანონი ორგანიზატორის თავდადებულ
საქმიანობა და, ბოლოს, მისი ძირითადი მოწო-
დება, რაც, თანამედროვეების მიერ, საშწუნა-
როდ, ჯერ კიდევ ჯეროვნად არაა შეფასებუ-
ლი — მისი რეცესურა, რომელშიაც ნათლად და
ყველაზე სრულად გამოისახა ნემიროვიჩი-დანჩენ-
კოს ემოციური გონება და ბრძნული ნიჭი. ნე-
მიროვიჩი-დანჩენკოს ეს რეცესორული მოღვა-
წეობა მთლიანად და სრულად დაკვირვებელია
მოსკოვის სამხატვრო თეატრის ცხოვრებასთან,
თეატრისა, სადაც მას მოუხდა ორმოცდათხუთ-
შეტამდე სპექტაკლის დადგმა, ბევრი მათგანი კი
გახდა საეტაპო მნიშვნელობისა არა მარტო სამ-
ხატვრო თეატრისათვის, არამედ მთელი საბჭო-
თა თეატრალური ხელოვნებისათვის.



კ. ს. სტანისლავსკისა და ე. ი. ნემიროვიჩი-დან-
ჩენკოს შორის რესტორან ასლავინსკი ბა-
ზარა. ში ცნობილი 18 საათიანი საუბარი, რომ-
მელმაც სათავე დაედო ყველასათვის ხელში-
საწვდომი სამხატვრო თეატრის არსებობას,
გახლდათ თავსებური შედეგი რუსული თეატ-
რის ამ ორი დიდი კორიფეს მრავალწლიანი
პრაქტიკული შემოქმედებითი მოღვაწეობისა.
ნემიროვიჩი-დანჩენკო (ისე როგორც სტანისლავ-
სკი) ამ საუბარზე მოვიდა როგორც სრულიად
ჩამოყალიბებული, მომწიფებული, მაგრამ ახალ-
გაზრდული ჩწმუნითა და იმედებით აღსავსე მხა-
ტვარი, რომელიც ხანდახან შებრძოლი და გამბე-
დავია, მზიარული და შთაგონებული ლაღი რე-
ნებით — შექმნას ახალი თეატრი, სადაც არა-
ფერი იქნება არეალური, გაწყენებული. ეს ორი
ხელოვანი იმყარებოდა კონკრეტულ დასკვენებსა
და გვეშებს, რომლებიც წარმოიშევა, როგორც
მკვეთი პროტესტი მამინდელი თეატრალური
რუტინისა და ჩამორჩენილობის. დადგმებს
ცული პირობითობის, დეკლამაციის ყალბი პა-
თოსისა და არტისტული არაბუნებრივობის, და-
ბალხარისხოვანი რეპერტუარისა და საერთოდ
იმდროი დელი სპექტაკლების მთელი სტრუქტუ-
რის წინააღმდეგ. ნემიროვიჩი-დანჩენკო წერდა:
„საკიროა გადახალისდეს მთელი მისი (თეატ-

რის — ე. გ.) ცხოვრება, მოშორდეს მის მთელი კაზიონშინა, დაწვებული მმართველ მოხელეთაგან... ძირფესვიანად შეიცვალოს რეპერტივების მთელი სახე, პიესების მოშაობა, თვითონ მკურთხეული უნდა დაემორჩილოს ჩვენთვის საჭირო რევიმს*.

ახალ თეატრზე მგზნებარე და აღფრთოვანებულმა მეოცნებებმ, ნემიროვიჩ-დანჩენკომ, იცოდა, რომ ასეთი თეატრის შექმნა არ შეიძლებოდა ახალი მეთოდების კანტო-კენტად დანერგვის გზით. თეატრის შექმნის რეკოლუციური პროგრამის განხორციელება პირველი დღიდანვე მიმდინარეობდა თეატრალური ცხოვრების ყველა მიმართულებით, ხდებოდა თეატრის ყველა კომპონენტის პარაზიული განახლება. წამოაყენა რა თავისი ცნობილი დებულება — „თეატრი იწვევდა ტანისამოსის საკვიდრად“, ნემიროვიჩ-დანჩენკომ თავდადებულად და ერთგულად აყისრა ახალი თეატრალური ორგანიზმის დემინისტრაციულ-სამეურნეო მხარის ხელმძღვანელობა და თავისი შემოქმედების ამ სფეროს თეატრში თვლიდა არა ნაკლებ საბაზუხისმგებლო და საბატიო საქმედ, ვიდრე რევიოსორულ ანდა ლიტერატურულ შემოქმედებას. იგი იყო უღმობელი და შეუთრევებელი თეატრალური ცხოვრების ნორმალურ მდინარების ყოველგვარი დარღვევების მიმართ და არც ფარავდა თავის უქმეყოფილებას. ამ საყოფხებში კომპრომისი მას დაუშვებლად მიჰჩნდა. მან არ იცოდა სასახეეროდ გაკეთება საქმისა და პირდაპირი და დაურღიბელი იყო მამინაც კი, როდესაც საქმე ეხებოდა მის შთავარ თანამოსავრე ე. ს. სტანისლავსკის. ცნობილია, რომ ერთხელ (ეს, მართლაც, მხოლოდ ერთხელ მოხდა სამხატვრო თეატრის არსებობის ისტორიაში) ე. ს. სტანისლავსკიმ დროზე არ შეატყობინა ნემიროვიჩ-დანჩენკოს ავადმყოფობა, რის გამოც შეიცვალა სპექტაკლი, ხლო ნემიროვიჩ-დანჩენკომ სტანისლავსკი 50 მანეთით დააჯარიმა უაღრესად ვახარებელი იყო იგი, როდესაც სტანისლავსკისაგან მიიღო წერილი, სადაც აღიარებელი იყო ამ სასჯელის სამართლიანობა.

იმ დღეებში ნემიროვიჩ-დანჩენკო სწორდა სტანისლავსკის: „თქვენმა წერილმა მე ერთხელ კიდევ დამიბტყია, რომ თქვენი სახით ჩვენ გყავს სტენის უსპეტაკესი, გულწრფელი და თავდადებული მუშაკი. არ შემძლია ვადმოგეცო, თუ როგორ კარგად იმოქმედა ამან ჩემზე. გულწრფელი გამოგეტყუებთ — ამ ხნის განმავლობაში პირველად იყოვეი შეწუხებულნი. სპექტაკლის შეცვლა — ეს თეატრის სირცხვილია, არ შემძლია შევიცვალო ეს რწმენა. მე ძალზე მძიმე საღამო გავატარე. არ მინდოდა მესაღლია და დღის 11 საათიდან პირველად მხოლოდ ღამის 12-საათზე ჩავიდე პირნი პეტრის ღუმელში. მე მეშინოდა ყველაზე საშინელის, — ჩვენს შორის არ მომხდარიყო გაუგებრობა და არ დარღვეულიყო ჩვენი შესანიშნავი დამოკი-

დებულება. ეს ყველაზე საშინელია-მეტყვი. იმიტომ, რომ მხოლოდ ჩვენს შორის ერთობილა და სახალგოთი შეიძლება ჩვენი საქმის წარმატების მოპოვება. მე უთქვენოდ არაფერი შემძლია. თქვენ კი უჩემობას შესძლებთ, მაგრამ გააკეთებთ უფრო ნაკლებს, ვიდრე ჩემთან ერთად. ყველაფერი ეს მრავალჯერ მითქვამს თქვენთვის, კვლავ ვიზიარებ არ რწმენას*.

ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილი აქ მოვიყვინეთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ძალზე ზუსტად ასახავს მისი ავტორის შეურთებლობას თეატრალური ყოფის ნორმების დარღვევის მიმართ, არამედ იმიტომაც, რომ მასში მკაფიოდ ჩანს მოსკოვის სამხატვრო თეატრის ორი ხელმძღვანელის ურთიერთდამოკიდებულება, — დამოკიდებულება, რომელიც ემყარებოდა მალე ეთოვერ მოვალეობას, შეხედულებათა ერთიანობას. უნდა ითქვას, რომ ასეთი დამოკიდებულების სიფაქიზე და სიწმინდე მათ მთელი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნეს, თუმცა თითოეული მათგანს თავისი უაღრესად ინდივიდუალური ესთეტური თავისებურებანი ვაჩანდა; ისინი არაჩვეულებრივად ორგანულად აესებდნენ ერთერთს და ეს შემოქმედებითი ერთიანობა იყო სამხატვრო თეატრის ტრადიციათა სიცოცხლის უნარჩინობის ერთი პირველი მიზეზთაგანი.

დრამატურგია თეატრის საფუძველია, და ნემიროვიჩ-დანჩენკომ მთელი თავისი სიცოცხლე და საქმიანობა განუწყურვალ დაუკავშირა სამხატვრო თეატრის ამ საფუძვლის შექმნასა და განმტკიცებას. თემა — „ნემიროვიჩ-დანჩენკო და დრამატურგია“ შეიძლება სპეციალური გამოკვლევის საგანი ვახდეს. ეს არა მხოლოდ, იმიტომ, რომ ნემიროვიჩ-დანჩენკო თვითონ წერდა პიესებს, და ეს პიესები რუსულ სცენაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა, არამედ იმიტომაც, რომ მან შესანიშნავად იცოდა დრამატურგიის კანონები, ამჩნევდა და დიდად აფასებდა ყოველივე კარგს, მოწინავეს და ნამდვილად იმიტომ, რაც დრამატურგიის სფეროში გაჩნდებოდა. მან, ლიტერატურისმცოდნემ და თავად ლიტერატორმა, კარგად იცოდა, რომ მოწინავე რეალისტურ თეატრს მხოლოდ დიდ ლიტერატურასთან მჭიდრო ერთობაში შეუძლია ცხოვრება და განვითარება. ა. პ. ჩეხოვის მსგავსად, რომელიც ამბობდა: „თეატრის ვადარჩენა ლიტერატურულ დაამიანებშია“, ნემიროვიჩ-დანჩენკოს აზრითაც „თეატრის დაახლოება ლიტერატურასთან საწინდარია ბედნიერი მომავლისა“.

მრავალი წლის მანძილზე სამხატვრო თეატრის ლიტერატურული ნაწილის ხელმძღვანელობის დროს ელ. ნემიროვიჩ-დანჩენკო მალაღმობთხოვნელობას იჩენდა თავისი თეატრის სცენაზე პიესების დადგმის მიმართ და სიცოცხლის

ბოლომდე ცდილობდა დარჩენილიყო ამ პრინციპების ერთგული. როდესაც ნემიროვიჩი-დანჩენკო სამხატვრო თეატრის კარებს უხმავდა უშინაარსო და გასართობი მიყვების აქტორებს, იგი ეყრდნობოდა კლასიკური და თანამედროვე დრამატურგიის მღვდელ ნიმიუშე-ს, დიდი აზროვნებას, კეთილშობილი გრძნობების, პროგრესული, პე-მანური იდეალების დრამატურგიას. დიდი ლიტერატურით ამ მძაფრ გატაცებას, თანამედროვე აქტორებისავე ორიენტაციის პრინციპს განსაზღვრავდა ადგილი ეყავა ნემიროვიჩი-დანჩენკოს საქმიანობაში. ამ წმინდა პრინციპს იგი გულში ატარებდა ჯერ კიდევ სამხატვრო თეატრის დაარსებამდე. 1898 წლის ივნისში ნემიროვიჩი-დანჩენკო სწერდა სტანისლავსკის: „თუცა თეატრი თავს შეაწირავს განსაკუთრებით კლასიკურ რეპერტუარს და სრულიად არ ასახავს თანამედროვე ცხოვრებას, მაშინ იგი ეწვევა რისკს სულ მალე ავადმეურად გახდეს მედია-რამ... თავისი არსით თეატრი უნდა ემსახურებოდეს თანამედროვე მყურებლის მოთხოვნილებებს“¹.

ამ სიტყვებში გამოთქმულია სარეპერტუარო პოლიტიკის არსი და პროგრამა სამხატვრო თეატრისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, იყო თანამედროვე დრამატურგიის თეატრი. ნემიროვიჩი-დანჩენკოს თანამედროვე თეატრის განმტკიცების საქმეში ეყრდნობის არა მარტო თეატრული დასკვნები, არამედ უდიდესი როლიც მისი პრაქტიკულ გამოცდილებებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ნემიროვიჩი-დანჩენკოს დამოკიდებულება ჩეხოვსა და გორკისთან. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ სწორედ ნემიროვიჩი-დანჩენკომ, პირველმა, „აღმოაჩინა“ ჩეხოვი-დრამატურგი და, შეივარძლა რა „თოლის“ მიზიდველი სიახლე და მიზნობეულობა, უპირველეს-ტო კეთილშობილური საქციელი ზაიდინა — უარი თქვა გრიბოედოვის პრემიის მიღებაზე თავისი მიყვებისათვის („სიცოცხლისათვის“) ჩეხოვის სასარგებლოდ.

ნემიროვიჩი-დანჩენკო იყო პირველი, რომელმაც ჩეხოვი მიიჩნია სამხატვრო თეატრის იდეური და მხატვრული მიმართულებისათვის ახლობელ მწერალ-დრამატურგად, სულითა და გულით შეიყვანა მისი მღვდელად და მოუსვენარი აზრები რუსი ინტელიგენციის ბედზე, მისი ოცნება უკეთეს ცხოვრებაზე და მშვენიერ მომავალზე. და სწორედ ნემიროვიჩი-დანჩენკომ შთააგონა სტანისლავსკის, რომელსაც თავდაპირველად არც სჯეროდა ჩეხოვის „თოლის“ წარმატება (ალექსანდრინკაში „თოლის“ ჩეხარდნის გამო სტანისლავსკიმ უკებ ვერ გადაწყვიტა მიეღო მიესა დასადგმელად), რომ ჩეხოვის

სახით თეატრი იქნეს არა მარტო არაჩვეულებრივად დახვეწილი გემოვნებისა და ღრმა აზროვნების დრამატურგის, არამედ „თვის“ დრამატურგის, რომლის მიყვებაზე უკეთ შეიძლებოდა თეატრის აქტიური ძალის აღზრდა.

საკვირველი არაფერია იმ შემოქმედებითა და სულიერ სიახლეში, რომელიც დამყარდა ნემიროვიჩი-დანჩენკოსა და ჩეხოვის შორის. ნემიროვიჩი-დანჩენკოს დრამატურგია თავისი მხატვრული თავისებურებებით ერთგავდა ენათესავება ჩეხოვის დრამატურგისა. მასწავლებლა ფსიქოლოგიური სიღრმისაღმი, ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოვლინება, რაც დამახასიათებელია ჩეხოვის დრამატურგიისათვის, ახასიათებს ნემიროვიჩი-დანჩენკოს მიყვებას. მაგრამ ეს მისწრაფება არ აზღვევდა მას წმინდა თეატრალურ ეფექტებისაგან (ეგზომ მოდამი რომ იყო იმ წლებში). დარბაზის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ დათმობათაგან, რაც საბოლოო ანგარიშში ამტარებდა მიესაში წამოჭრილ მეტად აქტიურ პრობლემათა მნიშვნელობას. და სწორედ ვაჟაკურმა აღიარებამ საყურადღებო ლოგანებებისა, რომლებიც ხელს უშლიდნენ მას დიდი მხატვრული დამატარებლობით განებორციელებინა ეს პრობლემები, უმატვა ნემიროვიჩი-დანჩენკოს მიემართა ჩეხოვისათვის, მან შეიყვარა ჩეხოვი, მოიყვანა იგი სამხატვრო თეატრში და ამით განსაზღვრა თეატრის მომავალი.

ნემიროვიჩი-დანჩენკო თვლიდა, რომ ახალი თეატრი დაიწყო „თოლითი“. „თოლის“ პრემიერას იგი სრული დარწმუნებით უწოდებდა სამხატვრო თეატრის დაბადების დღეს და ჩეხოვის დრამატურგისა და მოსილენობისათვის სცილდის ბოლომდე. მან დადგა (სტანისლავსკისთან ერთად) პირველი წლების ჩეხოვის უველა სექტაკელი და დამოუკიდებლად, უკვე ჩეხოვის სიყვარულის შემდეგ, განახორცილა „ივანოვის“ დადგმა. სიყვარულზე ორი წლით ადრე იგი ყველა დაუბრუნდა ჩეხოვს და შექმნა თავისი ერთობლივი უმესანიშნავი სექტაკელი — „სამი და“, ამ „დამბრუნებაში“ იყო რაღაც უფრო დიდი, ვარდა ჩეხოვისადმი სიყვარულისა, ამ მწერლისადმი თეატრის მხოლოდ სიახლოვით რაღაც შეიძლება იფასნათ 1940 წლის შესანიშნავი დადგმის ფაქტი. ნემიროვიჩი-დანჩენკოს ამოძრავებდა უფრო მაღალი მიზანი. მას უნდოდა თანამედროვეობისათვის ეჩვენებინა ჩეხოვის თანამედროვეობა, უნდოდა ესწავლებინა აქტიურებისათვის, რომლებიც სცნაზე მოქმედებდნენ, და მყურებელთათვის, რომლებიც დარბაზში ისხდნენ, კლასიკოსთა შემოქმედების ცოცხალი, აქტიუალური შინაარსის ამოკითხვა და გაგება. სწორედ ამაში ვლინდებოდა მისი თანდაყოლილი პედაგოგიურობა, მის მიერ დროის მძაფრი აღქმა, აქტიური გზნებაარება ადამიანისა, რომელიც ამოძრავებულა თავისი ხალხის, თავისი ეპოქის ინტერესებით. თუ მაშინ, ამ საუკუნის დამდეგს ჩეხოვის სექტაკლებში იგარ-

¹ Вл. И. Немирович-Данченко. Из письма к К. С. Станиславскому 23. VI-1898 г. «Ежегодник МХАТ» 1943 г. М., 1945 г. стр. 321.

ნობოდა მოქანულობა, ცხოვრებით უწყაყოფი-
ლება, ღარიბი, რომელიც მოდიოდა მისი ეფე-
რელი, მოსაწყენი ყოფილან, ჩეხვის აბლებუ-
რად წყაიფიანსა უფრო ძლიერ ვერად უცე-
რისი ცხოვრებისაყენ მისწრაფებისა შობი, ლტოლვა ამ ცხოვრების გაუმჯობესებასაყენ და,
აქედან გამომდინარე, მოწოდება სიცოცხლისა-
ყენ, შრომისაყენ, ბრძოლისაყენ.

ნემიროვიჩი-დანჩენკომ დიდი ამაგი დასდო თე-
ატრში გორკის მოყვანის საქმეს. მას არათუ
სწამდა გორკის დრამატურგიული ტალანტი,
არამედ ყოველთვის ცდილობდა ეს რწმენა
ჩაეგონებინა თვითონ გორკისთვისაც, რომელიც
თვლიდა, რომ მისი პიესები არ წარმოადგენდნენ
ტრადიციულ ლირებულებას. გორკი-დრამა-
ტიკი ბევრითაა დაჯალებული ნემიროვიჩი-დან-
ჩენკოსაყენ. წერილში ჩეხოვისადმი გორკი ნემი-
როვიჩი-დანჩენკოზე წერდა: „მე ნამდვილად მო-
ხარული ვარ, რომ მას ვიცნობ, მე ვუამბებ მას
ჩემი პიესის შინაარსი და მან მამინევე არი-
სამი ზუსტი და ნამდვილი შენიშვნით ჩემი პიესა
თავისად აქციო, ყველაფერი გაასწორა, გააა-
ლაგა და მიკვირს, რა კობტად აეწყო პიესა“.

როდესაც გორკი გაუბედავად წერდა თავის
„მდამბოებს“ და არც სჯეროდა პიესის წარმა-
ტებისა, ხოლო თეატრი მოთმენვლად ელოდა
ახალი დრამატურგიის გამოჩენას, ნემიროვიჩი-
დანჩენკომ გორკის პატრონის სიტყვა მისცა,
რომ მას პირდაპირ ეტყოდა, თუკი პიესა სუსტი
ეჭნებოდა და როგორი ბავშვური აღფრთოვანე-
ბით და უშუალოებით გაისმის გორკის წერილში
კ. პიატიცკისადმი (1901 წელს) სასიძარტლო
ძაბობა: „ახლა იგი (ნემიროვიჩი-დანჩენკო, —
ბ. გ.) ამბობს, რომ მე გადავაჭარბე მის მოლო-
დინს“.

ნემიროვიჩი-დანჩენკო დაკავშირებული იყო
გორკისთან არა მხოლოდ შემოქმედებით, არა-
მედ დიდი პირადი შეგობრობითაც. ეს შეგობ-
რობა დამყარებული იყო ღრმა, პრინციპულ სა-
ფუძველზე და თვით რეაქციის წლებშიაც კი,
როდესაც დაცემულობა და პესიმიზმი დეუფ-
ლა სამხატვრო თეატრს და ნემიროვიჩი-დანჩენ-
კომ დადგა დოსტოევსკის ინსცენირება, გორკის
შეატრი გამოსვლა სამხატვრო თეატრის წინააღ-
მდეგ (როგორც ცნობილია, გორკის ამ გამოსვ-
ლის მხარე დავითარი ბოლშევიკურმა გაზეთმა
„პრავდაში“) მიღებული იქნა შემოქმედებითი
კოლექტივის მიერ, როგორც კეთილი და ობიექ-
ტური ჩარევა შეგობრისა თეატრის მძიმე და წი-
ნააღმდეგობებით საყვე ცხოვრებაში. პირველი,
ვინც მიხედა და დაფხაა ყოველდღეც ეს,
თვითონ დოსტოევსკის დადგმული ნემიროვიჩი-
დანჩენკო იყო. გორკის კვლად მან მწუხარებით
გამიგორა, რომ ამ წლებში საზოგადოებრივ-პო-
ლიტიკური ხაზი დიკარგა თეატრში.

ნემიროვიჩი-დანჩენკომ ბევრი ვაყვთა იმისათ-
ვის, რათა საბჭოთა პერიოდში დაებრუნებინა

გორკი სამხატვრო თეატრის სცენისათვის. გორ-
კის დრამატურგიის „მეორედ დაბადებას“ კი
დიდი პრინციპული მნიშვნელობა უქონდა თეატ-
რის შემოქმედებითი კოლექტივის იდენტი-
ფორმირების საქმეში. 30-იან წლებში სამხატვ-
რო თეატრის გორკისეული სექტაქლები, გან-
საკუთრებით, „მტრები“ ნემიროვიჩი-დანჩენკოს
დადგვით, აბლებურად ხსნიდა დრამატურგიის
რეველუციურ ძალასა და პათოსს, და თუ წინათ
გორკის პიესების დადგმისას ფსიქოლოგიური
სიმაართლე იმორჩილებდა ყოველდღე დანარჩენს,
მეორე პლანზე აყენებდა გმირის სოციალურ
ტიპიზაციას, ახლა, ნემიროვიჩი-დანჩენკოს სიტყ-
ვებით რომ ვთქვათ, თეატრი „ავსებს თავის და-
დგმებს დიდმნიშვნელოვანი სოციალური. პოლი-
ტიკური იდეებით. მის სურს შეინარჩუნოს ად-
ამიანურობა თავისი სექტაქლებისა, ართმევს მას
იფუფისიანი, ტბილ მგრანობიერობის ყოველ-
გვარ ნიშანწყალს, მას სურს ნამდვილი სოცია-
ლისტური ჰუმანიზმი, რომელიც აღსაყვია შრო-
მის, სამშობლოსა და კაცობრიობის სიყვარულით
და მისი მტრებისადმი სიძულვილით“.

ნემიროვიჩი-დანჩენკოს ეს ღრმა პარტიული
გამოთქმები შემზადებული იყო მის მიერ ახალი
სოციალისტური წყობის უდავოდ და თანმიმ-
დევრულად მიღების მთელი პროცესით. რვე-
სორი-ნოვატორი, რომელიც მწვავედ გრძობდა
თანამედროვეობას და ყოველთვის მიაბიჯებდა
თანამედროვეობასთან ერთად, ერთი პირველთა-
განი იყო საბჭოთა თეატრში. რომელიც აღტაცე-
ბით მიესალმა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ
რევოლუციას. მას მიაჩნდა, რომ რეველუციამ
გაწმინდა ზელოვნება და მისი ადამიანები, „გა-
ნამტკიცა რწმენა იმისა, რაც ადრე მიუღწეველი
გეჩეყნებოდა“, გაათავისუფლა შემოქმედებითი
აზრი შემოქმედელი ფორმალური ფარგლებისაყენ
და ცერამწმენათაყენ, ვიწრო შემზუთველი პო-
რიზორტისაყენ.

ნემიროვიჩი-დანჩენკოს თეატრში შემოქმონდა
თავისი შეხედულებანი კლასიკური და თანამედ-
როვე პიესების იდეურ შინაარსზე. როგორც
წინა წლებში იგი ახლაც ამ უკანასკნელ აძღვე-
და უმთავრესობას. მთავარ პიროვნებად თეატრ-
ში იგი დრამატურგს თვლიდა, მას აღიარებდა
„შინაგანი ხაზის, შინაგანი ხაზის, შინაგანი ამო-
ცანების, მარტელის, გამქოლი მოქმედების ზელ-
მძღენილად“. სახელდობრ, ახალგაზრდა საბჭო-
თა დრამატურგებით დაიწყო მან თავისი ორი-
ენტაცია თანამედროვეობაზე.

მან მალე შეიფხა კ. ა. ტრენევის ნიჭი და აღ-
ნიშნაედა მის გემოვნებას, სიმაართლეს, ჰუმორის,
ციხხალ სახეებს, შესანიშნავ გამომგონებლობას,
ეგნას, რომელიც შეკანნიკურად როლია გადმოღვა-
ბული ცხოვრებიდან. არამედ შემოქმედებითთადა
გამოყვებულები. მან სწორად გამოიკითხა თ. შ.
ლეონოვის დრამატურგიის არსი, თანამედრო-
ვეობის სუნთქვა და დაინახა მისი მხატვრული
აზროვნების პოეტურობა და კეთილშობილები,

ცხოვრებაზე ამაღლებულობა და ამავე დროს ცხოვრებისეულობა, მისზე რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ერთგვარი გავლენა, რაღაც გულსხმაიერი უბრალოება. ნემიროვიჩ-დანჩენკო აღტაცებით სწერდა ესეველიდ ივანოვს, პიესის — „ჯადოსნისანი 14—69“ ავტორს: „შე ყველთვის მალეღვებს თქვენი შემოქმედების სიმწინდე და პატოსისება, შეპოქმედებისა, სადაც ადგილი არა აქვს „სენტიმენტალობას“. იგი სიხარულით ესაღებოდა საშაატურის თეატრში ა. ე. კორნეიჭუყის მოსვლას და გრამობდა, რომ ეს იყო თეატრისათვის საჭირო, ნიჭიერი ადამიანი, გრამობდა სიციონალური ხელოვნების სიღრმეს. ემაღლიერებოდა უკრაინის იმისათვის, რომ მან გამოუგზავნა თეატრს ეს ახალგაზრდა ტალანტი. საშაატურო თეატრს არასოდეს არ დაუდგამს ელადიმერ მაიაკოვსკის პიესები, მაგრამ ნემიროვიჩ-დანჩენკოს ღრმად ესმოდა მათი ნოვატორული ხასიათი, მათი ძალა და თანადროულობა. იგი ეუბნებოდა თავის მსახიობებს: „თანამედროვე პიესა ისე უნდა ითამაშო, როგორც კახალოვი კიოხელომს მაიაკოვსკისო. თუ თქვენ იქნებით ღრმად დაწრწმენებულნი, რომ საშაატუროს სწორად მთელს თქვენს ცხოვრებას და მიუღებს თქვენს უპრადღებებს, მაგრამ არ ვარდებით, ამასთანავე, წეროღმან ეუბრალოებაში“, არც დეკლამაციურობაში, ინარჩუნებთ ნამდვილ რეალიზმს.—თქვენ შეიძლება გაბედულად წარმოსთავოთ სტენაზე ხმა-მიღალი. დიდი სიტყვები და არ გეშინოდეთ სიუხალბისა ეს არის საბჭოთა დრამატურგიასთან საშაატურო თეატრის ხელოვნების შეერთების გზა“ 1.

ჩვენ შევიძლია თამაშად ვთქვათ, რომ ნემიროვიჩ-დანჩენკოს რეჟისურა, ეს—უპრადღეს ყოვლისა — მკეთილი თანადროულობის, ღრმა პრაგრესული და პეზანური აზრის რეჟისურაა. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მოძღვრება საში სტენური სიმართლის შესახებ ეყრდნობა მისსავე საკუთარ პრაქტიკულ რეჟისურულ მოღვაწეობას. ამ მოძღვრებას, განსახიერებულს მწყობარს თეორიული ფორმით, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ვერ წარმოუდგენია სათეატრო ხელოვნება ვარაუდ ამ საში სიმართლისა — სოციალურის, რომელიც დამოკიდებულია შემოქმედის მსოფლმხედველობაზე, ცხოვრებისეულის, რომელიც გულისხმობს ყოფიის უტყუარობას, და თეატრალურის, რომელიც დაკავშირებულია სპექტაკლის ფორმის სიმკვეთრის საკითხებთან.

ამ საში სტენური სიმართლის პროპაგანდასა და მტკიცებაში ნემიროვიჩ-დანჩენკო შორს იყო პრიორიტეზისა და პედაგოგობისაგან. იგი უღგე-

ბოდა მათს განხორციელებას ფართოდ, მსაშტაბურად. იზრძოდა რა სოციალური სიმართლისათვის, იგი ყველაზე ნაყლებად ფეჭრებდა გარეგნულ ავტოკთურობაზე და ხელოვნების მტრულ ტიულ ლოზუნგებთან. მისთვის სოციალური სიმართლე იყო, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა ეპოქის ადამიანის სულს სიმართლე. მისი სისხლი და ხორცი, ისეთი რამ, რაც იარაღივით კ არ მიეწებება მკერდზე. არამედ გარკვეულად შედის დღევანდელი ადამიანის სულში. იგი ერთნაირად იყო სოციალური — „მტრების“ დაღმისას, მშინდა, როდესაც შეჰყავდა სპექტაკლ „აღდგომაში“ მომქმედი პირი ავტორისაგან“ და ყველგან, სადაც მისი რეჟისორული ხელი შთაგონებით ჭერყავდა თანამედროვეობისათვის, ეპოქისათვის საჭირო დიდ ქმნილებას.

დაცინებით მოეწოდებდა რა ცხოვრებისეული სიმართლისაკენ, ნემიროვიჩ-დანჩენკო არასოდეს არ იყო ტყვე ამ სიმართლისა, არ აქცევდა მას თვითმიზნად. იგი წერდა: „შეიძლება სცენაზე დალიო ნამდვილი ბუჩახი, ნამდვილი რძე, — მე ამის საწინააღმდეგოდ არაფერს ვიტყვი, თუცა ვხედავ, რომ მთელი სპექტაკლი ფართოდ და გაბედულად მოიცავს ცხოვრებას, თუ ესაა ხელოვნებისა და თეატრის პიეზისა და არა ფორტგრაფია“ 1.

ეს სიტყვები ხომ არა ფენს ნათელს უხადლებულ საკითხს „მშატელთა“ ნატურალიზმზე? ხომ არ ურარყოფენ ისინი არსებითად მსგავს ბრადღებებს თეატრის მიმართ? აქ საქმე არა მარტო სიტყვებშია. არამედ იმაში, რომ ნამდვილად ნემიროვიჩ-დანჩენკო და სტანისლავსკი ყოველთვის ილაშქრებდნენ ეირობა და შეზღოდიერი რეალიზმის პრაქტიკის წინააღმდეგ, ყოველთვის ინსრაფეროდნენ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს თქმით, იყვანათ „ყოფა ეპოქამდე“ და, სახედლობარ, იქ, სადაც ეს მათ ბოლომდე გამოუდომოდ, ცხოვრებისეული სიმართლე, ღრმად ექსოვებოდა თეატრალურ სიმართლეს.

„არ არის არადგერი შეტრისმეტა, თუ იგი ნამდვილია“, — ამბობდა ნემიროვიჩ-დანჩენკო, და იგი სპექტაკლებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფორმას. იგი უკავშირებდა თეატრალურ სიმართლეს ისეთ ცნებებს, როგორიცაა სტილი, ძანი და პიესის კომპოზიცია და არა თუ არ ეშინოდა სტენური გამოშაბუელობისა, არამედ ხანდახან მიმართავდა სტენურ პირობითობასაც. მოიგონეთ, მგავლითად, ვადაშლილი წიგნის ფერკლებივით მომცურავე ფარდა „ანა კარენინაში“, ანდა იგივე მოქმედი პირი „ავტორისაგან“ „აღდგომაში“, ჩეხოვის პიეტური სპექტაკლები და მშინ ნათელი ვახდებდა. რომ მისი მოწოდება — „პიეზის ვარაუდ არ არსებობს ხელოვნება“ როდი წარმოადგენს რაღაც განყენებულსა და არარეალურ მოთხოვნას.

1 Вл. И. Немирович-Данченко. Статьи. Беседы. Письма. т. I, изд., «Искусство» М., 1952 г., стр. 316.

ნემიროვიჩ-დანენკო — ხელმძღვანელი უკვლავ უფრო ორთოდოქსალურ-რეალისტური თეატრისა მსოფლიოში, — იბრძოდა რომანტიზმისათვის თეატრალურ ხელოვნებაში. მას არ სურდა აღექვა რეალიზმი და რომანტიზმი, როგორც ერთმანეთთან დამეტრალურად მობრძობაირე მოვლენები და ახილავდა მათ მჭიდრო ერთიანობაში. მაგრამ რომანტიზმს იგი აღიქვამდა არა როგორც რაღაც დეკლარაციურსა და მალაღმარადოვნს, ორიფუტურს. არამედ როგორც ფრთაშესტეულ, მაღალი აზრების, ნამდვილ პოეზიის და ღრმა გულწრფელობის ხელოვნებას. იგი ოცნებობდა „უკვლავზე შესანაშნე რომანტიკაზე უკვლავზე უბრალო ფორმათ“.

ხელოვნებაში ახალი ფორმის დაუცხრომელი მძიებელი, ნემიროვიჩ-დანენკო, არ იცეტებოდა თავისი თეატრის ჩარჩოებში. თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში იგი ვატაცებური იყო მუსიკალურ-დრამატული თეატრის შექმნის იდეით და მუსიკის მოძრაობისა და სიტყვის შერწყმაში ხედავდა სინთეტურე აქტიორის პრობლემის გადაწყვეტას. მან, როგორც სამხატვრო თეატრის არა ერთი თაობის აქტიორთა აღმზრდელმა, სტანისლავსკისთან ერთად თავისი ცხოვრების ნაწილი მიუძღვნა მუსიკალური თეატრის აქტიორთა აღზრდას, და შემოხვევითი რაოდენ, ამ ორი ყორიფეს სახელი რომ აქვს მოკუთვნებული მოსკოვის მუსიკალურ-დრამატულ თეატრს.

რომერტ ოუენმა მოაწყო მუშათა ბაზრები (გაცვლითი ბაზრები), სადაც პროდუქტები ფულის გარეშე, სპეციალური ქეითრების — შრომითი ქაღალდის ფულის („შრომის ფულის“) მეშვეობით უნდა გაცვლილიყო. აღნიშნული ფულის ერთეულს სამუშაო საათი შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ოუენის შრომის ფული“ ისევე ნაკლებად არის „ფული“, როგორც ვთქვით, თეატრის ბილეთი. ოუენი გულისხმობს უშუალოდ განსაზოგადებულ შრომას, ე. ი. წარმოების ისეთ ფორმას, რომელიც დიამეტრალურად უპირისპირდება საქონელწარმოებას. შრომის ქეითარი ადისტრუქტურს მხოლოდ მწარმოებლის ინდივიდუალურ მონაწილეობას საერთო შრომაში და მის ინდივიდუალურ პრეტენზიას საერთო პროდუქტის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც განუყოფნილია მოხმარებისათვის, მაგრამ ოუენს ფიქრადაც არ მოსდის საქონელწარმოების ნიდაგზე დარჩეს და, იმავე დროს, ვერადი ოუენის მის აუცილებელ პირობებს ფულის ფორმის საშუალებით, აღნიშნავს კ. მარქსი. საქონლის ღირებულების გამოსახვა სამუშაო საათებში საქონელწარმოების დროს შეუძლებელია. ამიტომ, რ. ოუენს მცდარად ჰქონდა ვაგებობა საქონელწარმოებისა და ფულის საკითხი.

ნიუ-ლენარკში მიღებული გამოცდილება და პრინციპები რ. ოუენმა შეაჯამა თავის პირველ შრომაში — „ახალი შეხედულება საზოგადოებაზე ანუ ცდები ხასიათის წარმოქმნის შესახებ“ (1813 — 1814 წ. წ.). რომერტ ოუენის ცხოვრებაში მოხდა გადასვლა ფილანტროპიული იდეებიდან კომუნისტურად, „კომუნისტურ გადასვლა“ — აღნიშნავს ფრ. ენგელსი, მობრუნების პუნქტს წარმოადგენდა ოუენის ცხოვრებაში. სანამ იგი გამოდიოდა, როგორც უბრალო ფინანსტიზმი, მხოლოდ სამდიდრეს, მოწონებას, პატეს და სახელს იხვეჭდა. იგი ყველაზე პოპულარული ადამიანი იყო ევროპაში. მის შემდეგ, რაც რ. ოუენმა კომუნისტური თეორიებით იწყო გამოსვლა, ვითარება შეიცვალა. რ. ოუენი მოითხოვდა საზოგადოებ-

რევი რეფორმის გატარებას, რათა სამი დიდი დაბრკოლება — 1) კერძო საკუთრება, 2) რელიგია და 3) ქორწინების არსებული ფორმა, მოსაზომილიყო. რობერტ ოუენი, სენ-სიმონისა და ფურიესაგან განსხვავებით სასტიკად ილაშქრებდა კერძო საკუთრებისა და ეკონომიური უთანასწორობის წინააღმდეგ.

რ. ოუენმა კარგად იცოდა, რომ მის მიმართ მასების მხრიდან დამოკიდებულებამ შეცვლა იწყო. მიუხედავად ამისა, უკან მიიწე არ დაიბია და კვლავ იწყო გაბედული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. 1824 წელს ის გაემგზავრა აშშ-ში და ინდიანას შტატში 1825 წელს ჩამოაყალიბა საცდელი კოლონია — „ახალი პარმონია“. თავის ახალ სანიმუშო კომუნისტურ საზოგადოებებს რ. ოუენი უწოდებდა Home colonies-ს (კოლონიებს ქვეყნის შიგნით). მისი აზრით, აღნიშნული საზოგადოება უნდა ყოფილიყო სანიმუშო „კომუნისტური კოლონია“. მისი კომუნა უსიკოცლო აღმოჩნდა, 1828 წელს დაიშალა და დადასტურა რ. ოუენის ვეგემების განხორციელების უტოპიურობა.

რ. ოუენი მარცხით გათავებული კომუნისტური ცდების შედეგად ვალაქადა, რადგან ამ ცდებშია შთანთქმეს მთელი მისი ქონება. ამის შემდეგ მან მუშათა კლასს მიმართა და ამ კლასის წრეში კიდევ 30 წელს მოღვაწეობდა.

აშშ-დან ინგლისში დაბრუნების შემდეგ რ. ოუენი კვლავ არ იღებს ხელს თავის მიზნებზე და გამოდის გაცვლითი ბაზრების ჩამოყალიბების პროპაგანდით. 1832 წ. ლონდონში მან ჩამოაყალიბა გაცვლითი ბაზარი, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია ლონდონის მეშვეს შორის, ბაზარი საქონელს ღებულობდა ცალკე პირებისა და კომპერატევიებისაგან. ბაზარში გაცულა-გამოცულა უნდა მომხდარიყო ფულის გარეშე, რაც კაპიტალიზმის პირობებში, ცხადია, შეუძლებელია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ აღნიშნული ბაზარიც 1834 წელს ლიკვიდირებულ იქნა.

რობერტ ოუენი შეეცადა, აგრეთვე, წარმოების რეორგანიზაციის გატარებით, მშვიდობიანი გზით სოციალიზმზე გადასვლას. ამ მიზნით მან 1834 წელს ჩამოაყალიბა „წარმოებათა დიდი ეროვნული გაერთიანების კავშირი“. აქაც შეუძლებელი შეიქმნა მიზნის მიღწევა, ამიტომ „დიდი კავშირი“ იმავე წელსვე იქნა ლიკვიდირებული. ყოველივე ეს მოასწავებდა რობერტ ოუენის იდეების, ოუენიზმის დაღუპვის დასაწყისს, რის შემდეგ ოუენის პროპაგანდა ევლარ პოულობდა გაერკვლებას ხალხში. ოუენის სო-

ციალიზმი პირველ ხანებში თუ სარგებლობდა ერთგვარი მხარდაჭერითა და გარკვეული როლი ითამაშა ინგლისის მუშათა კლასის განვიდარების საქმეში (ბიჭვი მისცა პროფესიულ მოძრაობას), პროლეტარიატის აღმავლობის შემდეგ ოუენიზმი ვადაიქცა რეაქციულ სექტად და დაბრკოლებას წარმოადგენდა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში.

ოუენიზმი და მისი მომხრეები-ოუენისტები უარყოფითად აფასებდნენ პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლას, ისინი განუე დაუდგნენ ინგლისის პროლეტარიატის კლასობრივ მოძრაობას — ჩარტისმს. ოუენსა და მის მიმდევრებს არ ესმოდათ რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელობა, უარყოფითად უდგებოდნენ პოლიტიკურ ბრძოლას, არ ესმოდათ ექსპლოატორული სახელმწიფოების ნაშვლილი ბუნება რ. ოუენი ფიჭობდა, რომ არსებულ შთავრობებს შეუძლიათ მის მიერ დასახული ახალ წყობილებებზე გადასვლის განხორციელება მშვიდობიანი გზით. ევროპისა და ამერიკის ახლანდელი შთავრობები — ამტკიცებდა რ. ოუენი არსებითად არ არიან საზოგადოებრივი პირობების გაუმჯობესების წინააღმდეგ. მართლაც, რ. ოუენმა თხოვნით მიმართა რუსეთის მეფე ნიკოლა პირველს, ინგლისის დედოფალ ექტორიას, აშშ პრეზიდენტსა და სხვ., რათა დახმარებოდნენ ისინი ოუენს სოციალური გარდაქმნის პროექტის განხორციელებაში.

ამრიგად, რ. ოუენი იდეალისტურად უდგებოდა ისტორიის განვითარების პროცესს, ის უარყოფდა რევოლუციურ ბრძოლას, არ ესმოდა მუშათა კლასის ისტორიული როლი, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები. ოუენს, სხვა უტოპისტებთან ერთად, ხალხთა ბედნიერების დაწყარება სურდა კანონმდებლობით, დეკლარაციებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გარეშე.

მიუხედავად იმ დიდი შეცდომებისა, რომლებითაც ხასიათდება მთელი უტოპიური სოციოლიზმი, მაშასადამე, ოუენიზმიც, ოუენის დამსახურება დიდია, რადგან მთელი თავისი სოციალურ (ის გარდაიცვალა 87 წლის ასაკში) მან მოახმარა მშრომელი მასების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს, 40 წელი ქადაგებდა ის სოციალიზმის იდეებს და უტოპისტთა შორის პირველმა (თუმცა არასწორ თეორიულ დაყრდნობით) სცადა საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში თვით მშრომელთა ჩაბმა.



საგის საიშვილი



გოზიერთი საკითხი რითმის ისტორიიდან

ქართულ კლასიკურ ლექსს მდიდარი გამოზი-
 ლეგელობითი საშუალებანი მოეპოვება. ამ თვალ-
 საზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსა-
 ხერებს ქართული რითმი. იგი უდავოდ არის
 ქართული კლასიკური ლექსის ერთ-ერთი მნიშ-
 ენელოვანი კომპონენტი. მისი გენეზისის საკით-
 ხები, ისევე როგორც, საერთოდ, კლასიკური
 ლექსისა, ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია
 და აქ ქართული ლექსი როდია გამოჩაყლისი.
 ცნობილია, მაგალითად, რომ ზოგიად პიპრტე-
 ზებს თუ შეხედება კაცი ახალ ვერობულ ენათა
 პოეზიაში რითმების პერსონობის საკითხებზე.
 რომანული ენების პოეზიის სათავეებს საშუალ-
 საუკუნეთა ლათინურ პიმენტში ხედავენ, ხოლო
 გერმანულსათვის ლათინურ პიმენტთან ერთად
 პირველ პლანზე გამოაქვთ ფრანგული და პრო-
 ვანსული პოეზია. თავის მხრით ლათინურ პიმ-
 ნოგრაფიას ზოგი კლასიკური ლათინურის ემ-
 ბრიონალურ რითმას უკავშირებს, ხოლო მეორე
 პიოთუზით, იგი სათავეს აღმოსავლეთიდან
 იღებს, კერძოდ, სირიელ ველსის მამათა პიმ-
 ნოგრაფიიდან. ვ. ტირმუნსკი აღნიშნავდა, რომ
 კარგა ხანია დასავლეთის მეცნიერებაში დაიხ-
 ვა საკითხი აგრეთვე, საერთოდ, საშუალსაუ-
 კუნეთა ვერობული პოეზიის (განსაკუთრებით—
 პროვანსული) უშუალო კავშირზე თვით
 უძველეს არაბულ პოეზიასთან, სადაც რითმი
 იმთავითვე ლექსის ერთ-ერთ ძირითად საყრდ-
 ნად გამოდიოდა. ზოგიერთი მკვლევარის მარ-
 თებული შენიშვნით, ვერობული ლექსის რით-
 მიკის საკითხებში აცილებლად ყურადღება
 უნდა მიექცეს ბიზანტიურ პოეზიასაც, რომლის
 უძველეს ნიმუშებშიც აშკარად დასტურდება
 ვ. ც. ვიწარტული რითმები (ს. ყ ა უ ხ ი შ ე ო -
 ლ, ა ვ ა წ ი რ ე ლ ი ა).

თავის დროზე იყო შეხედულება, რომლითაც
 ქართული ლექსის რითმის გენეზისა არაბულ
 პოეზიას უკავშირდებოდა, ხოლო ერთ-ერთი
 პირველი მკვლევარი ქართული ლექსთწყობისა
 ევ. ბოლოვიტინოვი პირდაპირ აღნიშნავდა,
 რომ ქართველებმა რითმის ხმარება სპარსულ-
 თაგან ისწავლესო. ამჟამად ეს საკითხები სულ
 სხვაგვარად ისმის და განსაკუთრებული ყურ-
 რადღების საგანი ხდება კლასიკური ქართული
 ლექსის ფოლკლორული წყაროები. თავის ერთ-
 ერთ ადრინდელ ნაშრომში — „ძველი ქართუ-

ლი მწერლობის მოკლე მიმოხილვა“ პავლე
 ინგოროყვა სამართლიანად მიეთითებდა, რომ
 ქართულში არაბული გზით რითმის აღმოცენ-
 ბა ძნელად დასაშვებია აზბაგია, რადგან მე-
 მე-7 საუკუნეთა ქართულ მწერლობაში რითმა
 დადასტურებული ფაქტია, ხოლო ურთიერთობა
 არაბულ მსოფლიოსთან უფრო გვიან იწვება
 არაბეთი ამ დროს წარმოადგენდა ერთგვარს
 „terra incognita“ — ს ქართველებისათვის. რაც
 შეეხება ახალ სპარსულ პოეზიას, იგი აღმო-
 ცენდა ირანში ისლამის დამკვიდრების შემდეგ
 და რითმა მისი მიუცილებელი ელემენტი
 მე-9 საუკუნიდან, მაგრამ ეს მოვლენა გვიან-
 დელი ფაქტია ქართული რითმის ისტორიის
 თვალსაზრისით. ფალაურში რითმის არსებობა
 საეჭვოდ არის მიჩნეული და აქედან გამომდ-
 ნარე საფუძველი რითმის გაჩენისა საშუავე
 ლტერატურაში—ირანულში (ფალაურში), ქარ-
 თულში და არაბულში — ყველა ნიშნით ამ
 ხალხთა ფოლკლორულ პოეზიაში უნდა ვე-
 ძიოთ, პოეზიისა, რომელსაც ადრევე მიუღწე-
 ვია ვინეოთარების მალაღ ღონემდე. კერძოდ,
 აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ პოეზიაში
 რითმის ძველი სათავეები უჩინს, რითმა
 შეადგენს ხალხური ლექსის ორგანულ ელ-
 მენტს. ქართულ ხალხურ პოეზიაში ურთიმო
 ლექსი მხოლოდ იშვიათი გამოჩაყლისის სახით
 თუ გვხვდება. უძველესი ფოლკლორული ემი-
 კური ფრამენტები, როგორც, მაგალითად,
 ამირან-პრომეთეს ეპოსის პირველადი ფენა,
 არქაოლობით აღბეჭდილი, რამდენიმე უძველ-
 სი რითმიანი ლექსის გადანაშთს შეიცავს-
 რითმა მიღებულია, აგრეთვე, უძველეს ქარ-
 თულ მითოლოგიურ და მაგიურ ლექსებში.
 ამის მიხედვით — ასევეს პავლე ინგოროყვა—
 საფიქრებელი ხდება, რომ რითმა წარმოადგენს
 ქართული წყობილი სიტყვის ბუნებრივი ვანე-
 თარების ნაყოფს. ქართული სილაბური ლექ-
 სი, ნელი ტალღისებური მახვილით, ჩანს,
 ადრევე დაურდნობია რითმას, როგორც სა-
 ლექსო სტრიქონის შემკერულს და ჰედის
 მიმცემ ელემენტს. ქართულ ხალხურ ლექსს,
 ჩანს, ადრევე აუთვისებია რითმა, როგორც
 პოეტური მეტყველების ბუნებრივად მოკრე-
 ლა საწყისი, ხოლო ხალხური პოეზიიდან იგი
 შემდეგ ვადასელა ლიტერატურაში. მიუხედა-
 ვად ზოგი მკვლევარის ერთგვარი სიკებრეუ-

რო დამოკიდებულებისა, სწორედ ამ უნდა გეძიოთ ქართული ლექსის რითმული ბუნების სათავეები, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უცილოდ მოეწყდებოთ ქართული შრავალსაუბროვანი პოეზიის ნაციონალურ ძირებს. ქართული რითმიკის კვლევის საკითხებს მოგოვება მეორე მხარეც, იგი ეხება იმ საინტერესო გზას, რომელიც განვლო კლასიკური ლექსის რითმამ უძველესი დროიდან დღემდე. უნდა ამთავითვე აღინიშნოს, რომ ეს საკითხები შედარებით უფრო მეტი სისრულთ არის დამუშავებული. ქართული კლასიკური ლექსის ცნობილ მკვლევართა ნაშრომებში (ს. გორგაძე, პ. ინგოროვი, ა. გაყერელია) გამოვლენილია ქართული ლექსის ამ შინაშენლოვანი კომპონენტის განვითარების ძირითადი საფეხურები. ჩვენ ვიკავებ, აგრეთვე, რითმის ძირითადი ნიშნების მიხედვით დალაგებული საკმაოდ სრული აღწერალობანიც, რაც ნათლად გვიჩვენებს ქართული რითმის უმდიდრეს ტრადიციებსა და ამოუწურავ შესაძლებლობებს. რასაკვირველია, ძნელია დავუშვათ, რომ ეს შედეგები ერთი დაკრით იქნა მოპოვებული. იგი შრავალწლოვანი დაკვირვებათა ბუნებრივი ნაყოფია. მაგრამ, ამავე დროს, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს საკითხები მომავალში კვლევითი ხარისხით უფრო სრულყოფილად გამოვლინდეს ქართული კლასიკური ლექსის ყველა გამოშახველობითი ხერხი. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი დაკვირვება იძლევა ამის საშუალებას. აქ გვინდა მითხველის უტრადიციულ გავამახვილოთ ქართული კლასიკური ლექსის ისეთ საკითხებზე, რომელიც დამუშავდაც ახალი მასალის მოშველებით, ჩვენი აზრით, უდავოდ წამოსწევს ზოგიერთ საყურადღებო მომენტს. საქმე ეხება რითმის ადგილს კლასიკურ ქართულ ლექსში და, ამასთან დაკავშირებით, კლასიკური პერიოდის (მე-11, მე-12 საუკ.) სალექსო საზომის ზოგიერთ თავისებურებას.

ცნობილია, მაგალითად, რომ, როცა ვინიხილავთ მე-11-12 საუკუნეთა ჩვენს საერთო პოეზიის სპეციალურ ლიტერატურაში, უოველ-გვარი დაქვეების გარეშე აღინიშნავენ, რომ ძველი-ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში ქართული ლექსი იცნობს მხოლოდ მოსაზღვრე ანუ წყობილ რითმას (აააა...), ხოლო რითმების სხვა, შედარებით უფრო რთული, სახეობანი, კერძოდ, ჯვარდინი (აბაბ...), ტერნარული (ააბ, ცცბ...) და ა. შ. წინდება მხოლოდ ე. წ. აღრბინების ხანაში (მე-16, მე-17 საუკ.), როცა იწყება კლასიკური საზომების დეფორმაცია, რაც, თავის მხრით, ძლიერდა ლარიკული პოეზიის დამუშავების ახალ შესაძლებლობებს.

ამასთან დაკავშირებით პროფ. ა. გაყერელია თავის მონოგრაფიაში „ქართული მწერლობის ლექსი“ პირდაპირ აღნიშნავს: „სხვაგვარად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პირველად არჩილ მეფე წერს რვა მარცვლიანი საზომის ოთხბატიანი სტროფის ჯვარდინი ქართული რითმით (აბაბ):

„აბაბს მკითხეს, რატომ სტრობი;
რომ სწუხ, რა გავეს საწუხარო
რად არ გიცინიან პირი
ხარ მწვეწნარე გაუხარი“ („გებაასება“).

ამევე აღორძინების ხანას უკავშირებს პროფ. ალ. ბარამიძე რითმებს ახალ, უფრო რთულ სახეობათა გამოყენებას. არჩილთან ერთად „გურამიშვილმა დაარღვია ძველი ქართული პოეზიის სტროფული სისტემა, გამოიყენა რითმების ახალი სახეები (მაგალ: ჯვარდინი რითმი), დამაკვიდრა ახალი რიტმიკა“ (ე. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 457 გვ.).

აღნიშნულ შეხედულებას იზიარებენ სხვა მკვლევარებიც. ამავე დროს კი, შეუძლებელია ერთგვარი დაქვეება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ უმდიდრესმა კლასიკურმა პერიოდმა, რომელმაც მოგვცა ჩვენ არა ერთი უბრწყინვალესი ქმნილება, სხვა მალად ტექნიკურ მიღწევათა გვერდით მხოლოდ ერთდგარიანი, ე. წ. მოსაზღვრე (წყობილი) ტიპის რითმები წარმოგვიდგინა.

ქართული საერო მწერლობიდან ანუ ე. წ. კლასიკური ხანის ლიტერატურიდან პირველად მხოლოდ სამს დასარღვებულმა პოეტურმა თხზულებამ მოაღწია („ვეფხისტყაოსანი“, „ამდღელმესიანი“, „თამარიანი“), მაგრამ ურყვედებულეზად უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ეათა ვითარების შედეგი. სხვა რომ არა, თვით ეს თხზულებები ნათლად გვესტრობებენ ამას. რუსთაველური პროლოგი პირდაპირ მიუთითებს ჩვენში სხვადასხვა მიზანდასახულებისა და სხვადასხვა ეანრის პოეტურ ქმნილებათა არსებობას. ხოლო მას შემდეგ, რაც პავლე ინგოროვიამ გამოავლინა პიროგრაფიული მწერლობის კიდევ ახალი სახეები (რომლებიც ბევრად წინ უძღვრება კლასიკური ხანის მწერლობას) შეუძლებელია კაცმა დაუშვას, რომ ჩვენი კლასიკური საერო მწერლობა მხოლოდ ამ სამ პოეტურ თხზულებით იყო წარმოდგენილი. როგორც ფაქტი, უნდა დავუშვათ, რომ კლასიკური ხანიდან ჩვენ დრომდე არ მოაღწია საერო ლირიკული პოეზიის მრავალმა თხზულებამ, რომლებშიც, როგორც მოსალოდნელია, მრავალდგარიანი თემების დამუშავებასთან ერთად არა ერთ კომპოზიციურ თუ ფორმა-



ლერ მიღწევასთან გვევნიბოდა საქმე, და ზშირად ის, რაც ზვენ ე. წ. აღორძინებას ხანის (მე-16-18 საუკ.) ამა თუ იმ პოეტის მიღწევად მიგვჩანდა, შეიძლება სწორედ კლასიკური ხანიდან მოდიოდეს. ამ საკითხებიდან ავიღოთ თუნდაც ზემოაღნიშნული ე. წ. რითმების განლაგების საკითხი კლასიკური ქართული ლექსის სტრუქტურულ სისტემაში. როგორც აღვნიშნეთ, რითმთა ახალი სახეობების (ჯვარედინი რითმა და ა. შ.) წარმოშობას უკავშირებენ მხოლოდ და მხოლოდ აღორძინების პერიოდს.

მაგრამ თანდათან ცხადი ხდება, რომ ახალი დაკვირვებანი თუნდაც იმავე თხზულებებზე, რომლებშიც კი მოაღწიეს ზვენის დრომდე კლასიკური ხანიდან, ნიადგეს აიღოს ამ გაბატონებულ შეხედულებას. ირკვევა, რომ მაგალითად რუსთაველი, რომელიც თავისი მიზანდასახულების შესაბამისად ძირითადად მოსაზღვრე რითმებს იყენებდა (რუსთაველი კატრენი) კარგად იცნობდა ე. წ. ჯვარედინ რითმსაც, რომელიც ალბათ ზშირად იხმარებოდა მისდროინდელ ლირიკულ თხზულებებში. ამ მკითხველის ყურადღება მიიწიდა მივანციო „ვეფხისტყაოსნის“ ერთ, ე. წ. ბისტყაური საზომით გამოწილ სტროფზე, სადაც მისი პირველი რთი ტაქტი წარმოდგენილია ჯვარედინი რითმით.

- მეტრა წითელი ასი ათასი (ა)
- პირად მუხმან და ტანად სარომან (ბ)
- სამასი თავი სტაგრაატლასი (ა)
- უხემან ნიადგე მიუმციდარომან (ბ)

(771 სტრ.)

მეშასაღამე, როგორც ფაქტი, უნდა ვიღიაროთ, რომ რუსთაველი უკვეულად იცნობდა ჯვარედინი რითმის ამ სახეობას (ამმარცვლიან საზომთან ერთად), მაგრამ თავისი უპირესად ეპიკური პოემისათვის შეგნებულად შეარჩია ე. წ. ერთიანი მოსაზღვრე რითმა ანუ ე. წ. რუსთაველი კატრენი, რაც, იმავე დროს, კიდევ უფრო ახლოებდა მის პოემას ფოლკლორული პოეზიის საწესებთან. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც ზვენ ერთ სტროფიანი პრეცედენტის სახით ვეაქვს რუსთაველთან, ჩაბრუნებთან უკვე სრულიად ჩამოყალიბებული სისტემის სახითაა წარმოდგენილი, „თამარიაში“ არის ერთი სტროფი (37), რომელიც ზვენ წინ გააღმლის კლასიკური ხანისთვის თითქმის უცნობი ჯვარედინი რითმის სრულიად ახალ სახეობას. მკითხველსთვის, რომ ეს რელიეფურად გამოჩნდეს, აღნიშნული სტროფი უნდა დავაღვათ არა ისე, როგორც ეს, სამწუხაროდ, ტრადიციულ გამოცემებშია, არამედ მისი შინაგანი კომპოზიციის დაცვით. მაშინ ზვენთვის ნათელი გახდება, რომ ჩვენ საქმე ვეაქვს რთული კომპოზიციის მქონე ხუთი და ამმარცვლიანი ტაქტების მქონე

ჯვარედინი რითმით გაწყობილ, ლექსის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.

- ახალ პირო! (ა)
- მძლეო ნოსრ ვითა, (ბ)
- ბრძემმან გასახა ასურმან ისო (ც)
- მხნეო და გვირო, (ა)
- ბობქარ ოხრვითა (ბ)
- იოხრის მგოდებმან ფლასურმა ისო (ც)
- ვა გაუსშირო (ა)

- მეტრთა მოსრვითა, (ბ)
- შენი თქვეს შამი ასურმაისო (ც)
- ესრე ატირო (ა)
- ველსა მოყრვითა (ბ)
- ხრმალი მოფებრისა ნასურმა ისო (ც)

როგორც ვხედავთ, „თამარიაში“ ეს სტროფი, რომელიც არ ყოფილა დღემდე სპეციალური დაკვირვების საგანი, სრულიად ნათეს ხდის, რომ შართლაც რითმაც, რთულ სახეობათა ჩამოყალიბება ჯერ კიდევ კლასიკური ხანაში დაწყებულა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა არა მარტო აღნიშნული სტროფი, არამედ ჩაბრუნების მთელი თხზულება. „თამარიაში“, აჟად, ნიკო შარის მართებული შენიშვნით, სხვადასხვა დროს დაწერილი ოდების კრებულს შეიცავს და ამდენად, აგი თავის ეანრობრივი სპეციფიკით უფრო ლირიკული ლექსის სფეროში შემოდის. ნ. შარმა ჩინებულად გაარკვია ჩაბრუნების არა მარტო საერთო აგებულება (ერთიანი მთავარი რითმის პრინციპი), არამედ მისი შინაგანი კომპოზიციაც და ჩაბრუნების ლექსები თავის გამოცემაში ოცმარცვლიანი იზომეტრული (თანაზომიერი) კატრენის ნაცვლად წარმოგვიდგინა, როგორც ხუთ და ამმარცვლიანი კომპოზიციის პეტრე-რემეტრული (არათანაზომიერი) მსუბუქი ლექსი. (სამწუხაროდ, „თამარიაში“ შემდგომში გამოცემებში არ გავიზარეს ნ. შარის სრულიად მართებული შეხედულება და ოცმარცვლიან ლექსად აქციეს „თამარიაში“ ლირიკული ოდები). და თუ ზვენ ცვლავ იღვადგენთ ნიკო შარის ეულ განლაგებას, რომელიც უმეველად ჩაბრუნების შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს, გამოირკვევა, რომ „თამარიაში“ კრებულში, გარდა ზემოაღნიშნული ჯვარედინი რითმებისა, ვეაქვს კიდევ სხვა სახეობები. მაგალითისთვის ავიღოთ „თამარიაში“ პირველივე სტროფი:

- მო ფილასოფრო (ა)
- სიტყვითა არსნო, (ა)
- თამარს ვაქებდეთ ვულისხმიერსა, (ბ)
- დღონოსისგან, (ა)
- ერთ ენოსისგან (ც)
- სრულნი ქებანი ამ მძლეთ ძლიერსა. (ბ)

სოკრატ სიბრძნით
 სარამარ გრძნითა (d)
 ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწაღიერსა. (b)
 უმართოს, პლატონს, (e)
 სიტყვა დამატონ, (e)
 თვით ვერა მიხედენ შესატყვიერსა. (b)

ეს არის „თამარიანის“ ძირითადი სალექსო ზომა და მისი მართებული სტრუქტურული ნახაზის აღდგენით ე. წ. შინაგანი რითმა გამოდის იმავე კომპოზიციური ფუნქციებით, როგორც გვარგანი და, შამსადამე, ნათელი ზღემა, რომ აქ საქმე გვაქვს რითმის კიდევ ერთ რთულ სახეობასთან ე. წ. ტერნარულ რითმასთან (aab, ccb...). რომელიც თავისი ლაირიკული ოდებმასათვის ძირითად სახეობად გამოიყენება „თამარიანის“ ავტორის. აღსანიშნავია, რომ ამავე ტიპის სახობრო ნაწარმოებში, რომელიც ცნობილია „აბდულმესიანის“ სახით არის კიდევ უფრო ვართულბუნული შემთხვევა როცა მისი ავტორი ერთ სალექსო მონაკვეთში იძლევა ერთგვარ შერწყმას გვარგანის და ტერნარული რითმისა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „აბდულმესიანის“ 24-ე სტროფი, რომელიც არაბული და ქართული პოეზიის ზოგიერთი პარალელის ნაშედეგად მოიტანა პროფ. ვ. წერეთელმა თავის მონახეობაში „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ბტორიისათვის“. ირკვევა, რომ ამ სტროფის ბუნებრივი განლაგების დროს ჩვენ გვაქვს სწორედ ზემოაღნიშნული რთული სახეობა გვარგანის და ტერნარული რითმის ერთობლივი გამოყენებისა.

„ბრძანონ სამალად, (a)
 ართუ სამალად; (a)
 ელი ამო სით, (b)
 ეს რომ არამით? (c)
 მასთანა შო რად (d)
 — ართუა შორად! (d)
 — ელა-მოსით, (b)
 ეს რომარამით, (c)
 ქველად ჰვართო: (e)
 რისხვით ჰვართო (e)
 ელი ამოსით (b)
 ეს რომ-არამით, (c)
 მას არა რითა! (g)
 მასარაითა (g)
 ელია მოსით (b)
 ესრო-მარამით (c)

დავძენთ, რომ აქ უკვე ცხადი ზღემა, თუ რაოდენ შორი იქნებოდა ჩვენი წარმოდგენა კლასიკური ხანის ქართულ საგრო პოეზიაზე, თუ დავუშვებდით, რომ იგი მხოლოდ, შედარებით მარტივი სახეობის მოსაზღვრე (წყობილი) რითმებით იყო წარმოდგენილი, მაშინ როცა მარტო „თამარიანის“ ოდებზე დავყვირების შემდგომ ამკარაა, რომ ჩაბრუნდეს თა-

ვისა ლირიკული ლექსებისათვის უკვე გამოყენებული აქვს რითმათა რამდენიმე სახეობა, როგორცაა საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზღვრე რითმები („თამარ წყნარი...“, გვარგანის („ახალ პირო“... 37 სტრ.), ტერნარული („თამარიანის“ რითმითა განლაგების ძირითადი სახეობა) და შერწყმა გვარგანის და ტერნარული რითმისა („აბდულმესიანის“ 24-ე სტრ. „ბრძანონ სამალად...“) და ა. შ: ეს უქანსწნელი დასკვნა კი, სხვა მონაცემებთან ერთად, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს, რომ კლასიკურ საგრო მწერლობაში ქართულმა პოეზიამ უკვე დაიპყრო პოეტურ გამოქმნაველობათა ზოგი ის სიმაღლე, რასაც ზმირად მხოლოდ ე. წ. აღორძინების ხანას მიაწვდენ.

როგორც ვიციით, რითმა, როგორც მსგავსი ბეგრების განმეორება, მაშინ იქცევა ნამდვილ რითმად, როცა ლექსი თავის თავზე იღებს ერთგვარ კომპოზიციურ ფუნქციას და უოველ ტიპის ანიჭებს ცალკეულ ერთეულად უოფნის უფლებას. ამდენად, ზემოთ გამოვლენილი რითმების სხვადასხვა სახეობები ბუნებრივად სეპარე საკითხს, რათა ერთხელ კიდევ გადაისინჯოს ის შეხედულებები, რომლებიც ეგებთან კლასიკური ხანის ქართული ლექსის სახეობებს. ცნობილია, მავალითად, რომ, გავრცელებული აზრით, კლასიკურმა საგრო მწერლობამ იცის მხოლოდ სამი ძირითადი ზომა: თორმეტმარცვლიანი (ე. წ. იამბიკო), თექვსმეტმარცვლიანი (შაირი) და ოცმარცვლიანი (ბისტყაურ-ჩაბრუნხელი) და ამასთან აღიარებულია, რომ კლასიკური ხანის ყველა ლექსი არის ერთიანი იზომეტრული სისტემის (თანაზომიერი ტაქტები), რაც თითქმის შეუფარდებოდა თხზულებათა ეპიკურ ხასიათს. ამ საკითხების ცნობილი მკვლევარი პროფ. ა. ვაწერელია თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში — „ქართული კლასიკური ლექსი“ განიხილავს სწორედ საზომათა აღნიშნულ სამ სახეობას (გვ. 281), და ამასთან პირდაპირ დასძინს: „სეტმარცვრული (არათანაზომიერი) სტროფები ქართულმა კლასიკურმა პოეზიამ საერთოდ არ იცის“ (გვ. 213). ამ წერილში ჩვენ ვერ შევჩერდებით ამ საკითხების დეტალურ განხილვაზე, მაგრამ წინასწარი ცნობის სახით აღვნიშნავთ, რომ, ისევე როგორც თეორიულად მოულოდნელია წარმოვიდგინოთ კლასიკური ქართული ლექსი რითმათა ერთი სახეობით, ასევე შეუძლებელია დავგეგვა, რომ კლასიკურმა ლექსმა გამოიყენა მხოლოდ სალექსო საზომის სამი სახეობა და ისიც მარტო იზომეტრული წყობისა. ჩვენ ზემოთ წარმოვიდგინეთ ძირითადად ჩაბრუნხადის „თამარიანის“ მონაცემები რითმათა მრავალფეროვნების საკითხებში. ცნობილია, რომ გვარგანის და ტერნარული ტიპის რითმები უოველთვის-

ხელს უწყობენ გრძელი საზომების დეფორმაციას და, მართლაც, გზადაგზა გამოჩნდა, რომ იგივე კრებულის იძლევა როგორც საზომთა, ისევე პეტერომეტრული სტრუქტურის საყურადღებო ნიმუშებს. აქ ჩვენ გვაქვს, მაგალითად, **ოთხმარცვლიანი** (ენობლი სტროფი: „თამარ წყნარი...“) **ხუთმარცვლიანი** („თამარიანის“ ლექსთა პირველი და მეორე ტაქტი, აგრეთვე „აბდელმესიანის“ 24-ე სტრ.). **ათმარცვლიანი** („თამარიანის“ ლექსთა მესამე ტაქტი, რუსთაველის ზემომოტანილი სტროფი). სალექსო საზომები და, რაც სავანებოდ აღსანიშნავია, აქ არის კლასიკური ნიმუში ე. წ. პეტერომეტრული სისტემისა, სადაც ერთმანეთს კანონზომიერად ენაცვლებიან ხუთი და ათმარცვლიანი სალექსო ტაქტები.

პოეტის ისტორიაში ცნობილია სხედასხვა გზა სალექსო საზომთა ახალი სახეების წარმოშობისა. გრძელ საზომთა უფრო მოკლე მსუბუქ ლექსებად დამლის ერთერთი ყველაზე ძირითადი გზა ე. წ. ცეზურული რითმები, რომლებიც ცალკე ტაქტად გამოყოფის უფლებას ანიჭებენ ნახევარ თუ მეოთხედ ტაქტებს. თქვესმეტრმარცვლიან შიორს როცა ძირითად ცეზურაზე რითმა გუწინდება იგი უპიკედად რამარცვლიან მსუბუქ ლექსად წარმოვიღებება, ან კი მაგალითად ოქმარცვლიანი ბისტრიაური ამავე წესით ათმარცვლიან ლექსად გადაიქცევა და დამოუკიდებელი საზომის სახეს მიიღებს. ზუსტად ამავე კანონზომიერებით ე. წ. ჩაბრუნული (ან კი შეთვლური) უკვე აღარ წარმოადგენენ მძიმე, ოქმარცვლიან საზომთა შესრულებულ ლექსებს. ოქმარცვლიან ანუ ე. წ. ბისტრიაურს თავისთავად აქვს ტენდენცია ოთხ თანაბარ ნაწილად დაყოფისა [ან უკეთ იგი ოთხი თანაზომიერი ხუთმარცვლიანი ნაწილისაგან შედგება], რაც პოეტისაში ცეზურით გამოიხატება [ნარადიონს თმანი] მხარზედ გარდევლო (დენონს გავსნა (ნარგისთა ყური) და როცა ჩაბრუნულ ლექსში აღნიშნული საზომის პირველი ცეზურული რითმა დაუკავშირდა მეორე ცეზურას, აქ მივიღეთ არც მერტი არც ნაკლები ხუთ-ხუთმარცვლიანი დამოუკიდებელი ტაქტები, რაც ე. წ. ჩაბრუნულს აქცევს არათანაბარზომიერ (პეტერომეტრულ) მსუბუქ საზომად, სადაც პირველი ორი ტაქტი ხუთმარცვლიანია, ხოლო მესამე ათმარცვლიანი:

- „შო, ფილსოფნო (ა)
 - სიტყვათა არსნო (ა)
 - თამარს ვაქვბღეთ გულსხვირსა (ბ) და ა. შ.
- თუ ჩვენ პოეტის ისტორიას ანგარიშს ვავუწევთ, სხვანაირად აღნიშნული საზომის გაცება

შეუძლებელია და დროა, რომ აღედგინოთ ჩაბრუნული ლექსის მართებულ სახე: ამასთან დაკავშირებით კი სრულიად მკაბრ-საფუძველზე გაანჩია კლასიკურ ხანაში რითმითა იმ მრავალფეროვნებას, რომელზეც ჩვენ ზემოთ მოვიხილა საუბარი (ე. წ. შინაგანი რითმები გამოდინაროგორც კომპოზიციური ფუნქციით აღჭურვილი სხედასხვა სახის გარეგანი რითმები).

მგერამ აქ დამატებით საჭიროა აღნიშნოთ შემდეგი. ირკვევა, რომ სწორედ ამგვარად შეხედულება აქვს გამოთქმული პროფ. ა. გაქერაილის, როცა საეცილიურად განიხილავს აღორძინების ხანის (16-18) პოეტებს. იგი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ ხუთმარცვლიან საზომს: „ჩვეულებრივ მიიჩნევენ ოქმარცვლიან საზომის მეოთხედ წვერად, დიპოდად ან — ქართული სავერსიფიკაციო ტერმინით — მუხლად. მგერამ ხშირად პარალელური ხუთმარცვლიანი ტაქტები, რომლებიც სტროფში ერთ რითმით არიან გავრთიანებული, დამოუკიდებელი საზომების უფლებას იძენენ. ამიტომ ისინი განხილულ უნდა იქნენ, როგორც დამოუკიდებელი მეტრებიც („ქართული ლექსი“ — 25 გვ.) და მაგალითისთვის ასახელებს ბესიკის ლექსს დედოფალს ანაზედ. ეს არის სრულიად მართებული დებულება, მგერამ საქმე ისაა, რომ ბესიკის აღნიშნული ლექსიდან საზომის თვალსაზრისით აბსოლუტურად არ განსხვავდება ე. წ. ჩაბრუნული და ამდენად აქაც უნდა გავრცელდეს ეს შეხედულება. რომ ეს ასეა ამაში უბრალო შედარებაც დაგვარწმუნებს. ზემომოტანილ ჩაბრუნულის რომელიმე ნიმუშს („შო ფილსოფნო... და სხვ.) შევადაროთ თუნდაც ერთი ნაწივეტი ბესიკის დასახელებულ ტექსტთან:

- „ხელმწიფვე-გული (ა)
- შენთანთა ბმული (ა)
- წყალობიანად მომცემო შევებს (ბ)
- ნაზდ ვინ ირთვის, (ც)
- პირი შამირთვის, (ც)
- სიკვილიმდე მტკიცე შენთანა ხლებსი... (ბ)

როგორც ვხედავთ აქ ზუსტად ჩაბრუნულის ტიპის ტექსთანა გვაქვს საქმე და თუ აქ შევიძლია ჩვენ ვიღაპარაკოთ ხუთ და ათმარცვლიან ტაქტების მონაცვლეობაზე, რატომ უნდა შევიკავოთ თავი ასეთივე ფაქტის კვლიფიკაციისაგან სწორედ კლასიკურ ხანაში. აქ უპიკედალად იქმნ თავს ერთგვარი ტენდენცია, როცა ჩვენ ამათიმ ეპოქისათვის შევიმოთავებთ ვარკვეულ ფორმულას (ზოგჯერ ირასწორს) და შემდეგ გვიმძიმს ამავე ფორმულის დარღვევა მიუხედავად „ფაქტების კვიტი“ მოძალბისა.



აკაკი შანიძე



ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები

VII

კვლად კვლად

გულ-მართლად იყვნენ, მივინძე,
აფიციე ღმრთითა და ციხთა;
არ დაგმორჩილდენ, შეპრისხდი
რისხვითა კვლა და კვლაცითა

(ვეფხ. 425).

თითქო ვეფხისტყაოსნის ნათელი უნდა ყოფილიყო ჩემი განმარტება ვეფხისტყაოსნის „მკლავს უგრძესის“ შესახებ, მას შემდგომ მაინც, რაც დაიბეჭდა ჩემი V წერილი „ვეფხისტყაოსნის ენის საკითხებისა“: „ქელავ მკლავს უგრძესი და სხვა“ („მნათობი“, 1957, № 2, გვ. 153).

რომ ნათელ შეყო, რომ გამოთქვა „მკლავს უგრძესით“ წარმოადგენს მიცემითთან შეწყობილი უფრობითის ნიშნებს და რომ ასეთი სინტაქსური კავშირი სხვაგანაც გვხვდება თვით ვეფხისტყაოსნში, მომუაყდა მავალითები პოემიდან:

რა უარეა მამაცხა
ომშიგან პირის მხმეველსა (199, 1) და

რა უამვეა პირისპირ
საყვირელისა ჳვრეტახა (484, 4)

ამიტომ-შეთქი, დაესქენდი, მსგავსად ამისა ვეფხისტყაოსნის

ისრითა მოკლის ნადირი
როსტომის მკლავს უგრძესითა

დღევანდელ ქართულზე ამას ნიშნავს: „ნადირს კლავდა ხოლმე როსტომის მკლავზე უგრძესი. ისრით“-შეთქი.

ასეთი ახსნა შინაარსულად გიზიარა, მაგრამ ფორმალური მხრით უარყო ივანე გივინეი-შვილმა, რომელმაც ერთს თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ „195-ე სტრაფის მე-3 ტეპის წაიხთხვა, მიუხედავად უკანასკნელ ხანში წარმოდგენილი შესწორებისა¹, უცვლელად უნდა დარჩეს“:

ისრითა მოკლის ნადირი
როსტომის მკლავუგრძესითა“ 1.

ამის საბუთად მას ის მოჰყავდა, რომ მოკლე ფორმა უფრობითი ხარისხისა (უარე, უამე) მიცემის შიითხოს, გრძელი კი (უარეა, უამესი) — არაო, გრძელი ფორმა ნათესაობითს უკავშირდებაო.

შე კი შეგონა, და ეხლაც შეგონია, რომ ასეთი გათიშვა უფრობითი ხარისხის გრძელი და მოკლე ფორმებისა სინტაქსური კავშირის თვალსაზრისით არ არის მართებული. როცა ი. გივინეიშვილი თავის აზრს გამოთქვამდა პოემის ზემორე მოყვანილი ადგილის შესახებ, მას უთუოდ ხელთ არა ჰქონდა საკმაო მასალა უფრობითი ხარისხის ფორმათა სინტაქსური კავშირის დასადგენად და იგი ამ საკითხში ანგარიშს არ უწყევდა ფაქტებს. ფაქტები კი ვეი-ჩვენებს, რომ არ არსებობს განსხვავება ამ შირივ გრძელსა და მოკლე ფორმებს შორის, — ერთი და მეორე შეიძლება მიცემითსაც დაუკავშირდეს და ნათესაობისაგ. მაგ, ერთისა და იმავე ძველის ერთსა და იმავე წინადადებაში უფრობითი ხარისხის გრძელი ფორმა (ეს-იანი) ერთ ბელნაწერში მიცემითთან არის შეწყობილი, მეორეში — ნათესაობითთან:

ა) რაოდენ უმჯობეს არს კაცი ხაცხოვარსა

(მათ. 12, 12) ჯრტვის ოთხთავი, 1936 წ.).

ბ) რაოდენ უმჯობეს არს კაცი ხაცხოვარისა (მარხლის ოთხთავი, 973 წ.).

¹ ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია 1958 წლის 31 მაისს და 2 ივნისს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისებო. 1958, გვ. 9.

¹ ივულისხმება ჩემი შესწორება.

ბრუნვათა ფუნქციების მიმოხილვისას ი. იმ-
ნაიშვილმა მრავალი ადგილი მოიყვანა ძველი
ქართლის სხვადასხვა ძველიდან იმის დისამ-
ტიციებლად, რომ ორივე ფორმა (მოკლეა და
გრძელი) მიცემითსაც იგუებს და ნათესაობით-
საც: შდრ., მაგ., ერთი მხრით, მიცემითის შეწყო-
ბა ამ შავალითებში: „რა უსუბუჭე არს
განუხუნებაჲსა კაცისა ამის სოფლისა ზრუნვითა
და შფოთთაგან“ (მამ. სწავლ. 91) და „ყოველივე
სიბოროტჲ უმცირაჲს არც სიბოროტებას
მას დედაკაცისას (ზირაქ. 25, 21). და, მეორე
მხრით, ნათესაობითის შეწყობა: რომელი
უმარწემე იყო წმიდიზა გრიგოლისა (პალ.
118, 18) და „უმწარაჲს ნავდღისა ჰპოვო და
უმახუტაჲს მახუდისა ორპირისა (ივაკ.
5, 4) 1.

სწორია ი. იმნაიშვილის დავიკრება, რომ ამ
ორ კონსტრუქციათაგან ძველია უფროობითი
ხარისხის შეწყობა მიცემითთან, ხოლო ახალია
მისი შეწყობა ნათესაობითთან. მიუხედავად ამისა,
მიცემითთან შეწყობა დიდხანს რჩება ძე-
ლაში. 864 წელს გადაწერილ სინურ შავალი-
თავეში იკითხება: „ჰუმშარიტად (ეროდიადა)
ლომისა ძუენისა დეკუსა უფიცელჲს არს
(200 r). აქ, მაშასადამე, მიცემითის ფორ-
მა შეწყობილია გრძელ უფროობითთან. ასე-
თივე ვითარებაა აქაც: „კაცთა ხილელი სმე-
ნილსა უფროას სარწმუნოდ შეჰრაცხიან“
(33 r), დღევანდელი ქართულით ეს იქნება:
ხალხს (თვალით) ნანახი (ყურით) გაკონებულზე
უფრო სარწმუნოდ მიაჩნიაო. „საინტერესოა,
რომ დასახლებულ ძველში ერთ ადგილას
(209 V) ჯერ მოკლე ფორმა დაუწერია
გადამწერს, შემდეგ გრძელად გადაუსწორება,
მაგრამ მასთან შეწყობილი მიცემითის ფორმა
ხელუხლებლად დატოვებულია. ჯერ დაუწერია:
„აჲ რაამე უსასტიკე არს ზღუასა?“, მაგ-
რამ არ მოსწონებია და ზედსართავის უფრო-

ბითი ხარისხის ფორმის თავზე ას დაემატებია
და უსახტიკეას გამოუყვანია. ეს ნიშნავს, რომ
შეიძლება ვთქვათ როგორც „უსასტიკე
ზღუასა“, ისე „უსასტიკეას ზღუასა“.

შეიძლება მომიჯონ, რომ ასეთი რამ მეტერესა
და შეათე საუკუნეებში იყო შესაძლებელი და
ვეფხის-ტყაოსნის დროსთვის ეგეთი რამ აღარ
იხმარებოდაო, გრძელი უფროობითი უკვე ნა-
თესაობითს მოითხოვდაო. ამის გასაბათილებ-
ლად შეიძლება დავიმოწმოთ ვისრამიანა, რომე-
ლიც იმავე ეპოქის ძველია, რომლისაც ვეფხის-
ტყაოსანი, და რომელსაც გრამატიკულად და ლე-
ქსიკურად ბევრი საერთო აქვს ვეფხის-
ტყაოსანთან. ამ ძველში მიცემითის ფორმა შე-
სადარებელი სახელისა მოკლე უფროობითანაც
არის შეწყობილი და გრძელთანაც. მოკლისთვის
აგილით ეს შავალითი: ვახუშტულ წილკოტი
თუცა კეკლუცია, რამინის პირი ათასჯერ მახ-
უტუფ იყო“ (58, 8 ქვ.) 1. გრძელისთვის
ცო ეს დავიმოწმოთ: „ნახეცა ვინ რამინს
უკეკლუცესი ლაშქართა შიგან? (77, 5
ქვ.)

ამგვარად, უშეკვლია, რომ ი. გვიგინიშვილის
მოსაზრება ვერ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარ-
ებას ამ საკითხში და, მაშასადამე, ჩემი შესწო-
რება თავის ძალაში რჩება: შ. რუსთაველს მხო-
ლოდ ასე უნდა ჰქონოდა დაწერილი:

ასრითა მოკლის ნაღირი
როსტომის მკაცეს უგრძესითა.

ვეფხისტყაოსნის „მკლავს უგრძესი“ ისეთივე
გამოთქმია, როგორც ვისრამიანის „რამინს
უკეკლუცესი“.

ამით შეიძლება ეს კამათი „მკლავს უგრძესას“
შესახებ, რომელშიც ჩემს გარდა სამა კაცმა
მიიღო მონაწილეობა (ა. ბარამიძე, კ. ჭიჭინა-
ძე და ი. გვიგინიშვილი), ამოწურულად ჩაეთ-
ვალოთ.

1 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება
და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 441
და შემდგომი.

1 ვისრამიანი, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და
კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერი-
ლით. 1938.



პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კუბიტურის საკითხები

1955 წელს იერუსალიმში გამოქვეყნდა წიგნი, რომელიც ეუთუნის იტალიელ არქეოლოგს ვირჯილიო კორბოს წიგნი ეხება ბეთლემას მიდამოებში წარმოებულ გათხრებს. (შეიცავს 165 გვერდს დიდი ზომისა, ოთხ გვერდს ინტექსისა, 61 ტაბულას და რამდენიმე გვეგას). თავი VIII (გვ. 112—139) რომლის სათაურია „ქართული მონასტერი წმინდა თეოდორესი ბირ-ელკუტში“ შედგება სამი ქვეთავისაგან. ერთი მათგანი შეიცავს ქართული ძეგლის აღწერალობას — ტოპოგრაფიულს და არქიტექტურულს (გვ. 113—132). მეორე — კერამიკისა და მონეტების აღწერას (გვ. 131—134) და მესამე განსვენებულ პროფ. მიქელ თარხნიშვილის ნარკვევს აღნიშნული ძეგლის წარწერათა შესახებ (გვ. 135—139).

რა აღმოაჩინა ქართული მონასტრის გათხრამ იერუსალიმის მახლობლად და რა მნიშვნელობა აქვს მას ქართული კულტურისათვის? ამ მონასტრის არსებობა მიხსლოებით ცნობილი იყო უკვე კიდევ დიდი ქართული მოაზროვნის — პეტრე იბერის ცხოვრებიდან. ამ „ცხოვრებაში“ ნათქვამია: „მერმე წავიდეს უდაბნოდ და შეკრბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს მონასტერი თავისი თვისისათვის“. მიუხედავად ამ ცნობისა, იქვე სწერია: ქრისტეს უთხრა პეტრეს: „აჲ აღიბლუნ თელანი შენა ზეცად“, ხოლო აღვილა და იხილა... ეკლესია შეენიერად შექობილი...“ ქრისტემ უთხრა პეტრეს: „ახა ეკლესია, რომელი აღვიშენებია... და სრულ ჰყო შენება წმ. მის ეკლესიისა და მონასტრისა“. იქვე სწერია: „ამისა შემდგომად... წარვიდეს ორდანისა პირსა, ადგილსა უდაბნოსა, და აღაშენეს მონასტერი“¹. ძნელია თქმა, რომელი ამ მონასტერთაგანია აქვამდე გათხრილი, მაგრამ ერთი მაინც ცხადია: უდაბნოში არსებული (არა ორდანიან) მონასტერი უკვე აშენებული ჩანს, თუმცა ამის შესახებ დროის მიხედვით თავისებური ცნობაა ვაღმოცემული. ეს ცნობა შემდგომ გამოვლადგება.

აქედ. კ. კეკელიძე გამოთქვამდა აზრს, რომ „შეიძლება ეს მონასტერი იყოს ის იბერთა

მონასტერი, რომელიც, პროკოპი კესარიელის თქმით, იუსტინე დიდს განუხლებია მე-6 საუკუნეში“ (ქართ. ლიტ. ისტორია, 1, 1941 წ., გვ. 81). იუსტინიანეს ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი, მართალია, ლაპარაკობს „იბერთა მონასტერზე იერუსალიმში“ (ტო ტონ იბერთენ იეროსოლიმოსი), მაგრამ ის აგრეთვე ლაპარაკობს მეორე მონასტერზე რომელიც იერუსალიმში კი არ იყო, არამედ „იერუსალიმის უდაბნოში“ და „ლაზთა მონასტერად“ იწოდებოდათ (ტო ტონ ენ ტე ერემო იერუსალიმონ, იხ. „გეორგია“, პროფ. ს. ყუაბხიშვილის გამოც. 1934 წ. გვ. 192).

რამდენადაც ახლანან გათხრილი მონასტერი იერუსალიმში კი არ მდებარეობს, არამედ „იერუსალიმის უდაბნოში“, საბედლობრ, ბეთლემის მახლობლად — ე. წ. ბირ ელ — კუტში, ცხადია კ. კეკელიძის მოსაზრება უფრო სწორი იქნება ამ უკანასკნელი ძეგლის მიმართ. ცნობილია, რომ ის მართლაც „ლაზთა მონასტერად“ იწოდებოდა. ამ შეხედულებას შესაძლებლად თელის აგრეთვე თვითონ გამოხრულიც ამ ძეგლისა — ვირჯილიო კორბო, რომელიც ამასთან დაკავშირებით წერს: „დიდი მკადაგებელი ქართული მოძრაობისა პალესტინაში იყო პეტრე იბერი. იმ ძველთა შორის, რომლებდაც იუსტინიანეს მიერ იქნა აღდგენილი, იპოვნება იბერთა მონასტერი წმინდა ქალაქში და ერთი უდაბნოში, რომელიც ლაზთა მონასტერად იწოდება“ (ვირჯილიო კორბო“ გათხრება, გვ. 130. შენიშვნა 9). მასსადავმ, აქაც მოყვნილია პროკოპი კესარიელის ცნობა ორი ქართული მონასტრის შესახებ, რომელთაგან ერთი „ლაზთა“ მონასტრადაა ცნობილი.

„ქართული მოძრაობა“, რომელზედაც ვ. კორბო ლაპარაკობს, მას წარმოადგენილი იქვს როგორც „ქართული საგანდევლო მოძრაობა, რომელმაც აგრეთვე დატოვა წარუშლელი კვალი პალესტინის ლიტერატურაში. (che lasciato anche tracce indelebili nella letteratura palestina) იქვე.

შეცინებულისათვის დღეს ცნობილია ის „წარუშლელი კვალი პალესტინის ლიტერატურაში“, რომელიც დატოვა პეტრე იბერმა. საუელისხშია, რომ იტალიელი არქეოლოგი ამ

¹ „ცხოვრება“, ს. ყუბანიშვილის გამოცემა (ქართ. კრესტომათია, I, 260 მხ. 1946 წ.

საქმეში ყარგად ერკევა, მით უფრო, რომ სხვა ლიტერატურული კვალი, გარდა ცნობილი არეოპაგისტული წიგნებისა, პეტრეს სახელთან არცაა დაცემიებული. ეს კი მართლაც წარუდგავს კვლია.

სახელწოდება „ლახთა მონასტერია“ ადრე უნდა შექმნილიყო, მისი აგების თუ განახლების დროს, მეხუთე საუკუნის შუა ხანებში, რადგან ერთ-ერთი მშენებელის სახელი — მიტრიატე ლაზი — უკვე დიდი ხანია არ იხმარებოდა და იგი იოანე ვენეშქა შეცვალა.

მაშასადამე, სახელწოდება „ლახთა მონასტერის“ მე-7 საუკუნეში ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაერქმეოდა. ეს რომ ასეა, ამას წარწერებიდანაც აღვინახავთ.

ამრიგად, ეს მონასტერი მართლაც ის მონასტერია, რომელიც აღადგინეს კესარ იუსტინიანეს დროს მე-7 საუკუნეში და რომლის აგების შესახებ პეტრესა ე. ი. მურვანისა და იოანე (მიტრიატე) ლაზის მიერ ცნობები დიდი ხანია არსებობდა.

თუ ეს ყველაფერი ცნობილი იყო მწიგნობრულად, რა ვაარკევის პალესტინურმა გათხრებმა და რა შეიტანეს მათ ახალი ქართული კულტურის საკითხები?

გათხრების შედეგად ორი გარემოება გვაქვს: თვითონ ძეგლის აღდგენა და ოთხი ასომთავრული მოზაიკური წარწერის აღმოჩენა.

თვითონ ძეგლი ზედმიწევნითაა აღწერილი. არქეოლოგი ამბობს, რომ იგი განსხვავდება ყველა სხვა მონასტრისაგან პალესტინაში (გვ. 114). ზოგიერთ მათგანთან ქართულ ტაძარს ერთგვარი მსგავსება მაინც ჰქონია. მთავარი მაინც ვ. კობროსათვის, რასაც ის თავიდანვე აღნიშნავს და ამითვე თავებს, ყოფილა ის, რომ მასში გამოყენებულია ნათალი და ზოლებიანი ქვები, რომლებიც დარჩა კესარ კონსტანტინეს დროის „დაბადების“ ბაზილიკიდან, აგრეთვე ბეთლემის მახლობლად, რასაც ადგილი ჰქონდა იუსტინიანეს დროს, ე. ი. მე-6 საუკუნეში. არქეოლოგს ეს ეგვიპტურულ გარემოებად მაინცია, თუმცა მის გამაგრებაზე ლამარაკობს წარწერებისა და ისტორიული საბუთებით. ამ უკანასკნელზე უკვე იყო ლამარაკობა: იგი ეხება პროკოპი კესარიელის ცნობას იუსტინიანეს მიერ ორი ქართული ტაძრის აღდგენის შესახებ, რომელთაგან, აი, ეს, იერუსალიმის უდაბნოში არსებული ქართული („ლახთა) ტაძარი, ერთი იმათაგანი ჩანს, რაც — აგრეთვე იუსტინიანეს სახელთან დაცემიარებით — მე-7 საუკუნეს მიეკუთვნება.

რაც შეეხება წარწერებს, ისინი არქეოლოგ ვ. კობრომ გადასცა წასაკითხავად და გამოსარკვევად აქ განსვენებულს ქართულ მეცნიერს მიქელ თარხნიერს. ეს უკანასკნელი

გაეცნო ქართული ასომთავრულის ასოების მოხაზულობას. შეკვლევარი ერთ შემთხვევაში ასო ხანის დახურული მოხაზულობის გამო, როგორც ეს კვარისა და მსგავსად (საქმეში ულში) მონასტრის წარწერებშია მოცემული მე-7 საუკუნის შუა ხანებში, ასევე, რომ იგი მე-6 საუკუნის გვიან დროს არ უნდა გუთუნოდეს. როგორც მხრავ, ასო „შ“ ყარგად გამოვიდა, როგორცია მოცემული ბოლნისის სიონის წარწერაში (493-4 წ., უკანასკნელი დროის წაიხთებით — 384 წ.), რაც, ავტორის აზრით, ადასტურებს, რომ პალესტინის წარწერა არაა მე-7 საუკუნეზე აღინდელი.

ასე დაუდასტურა ასოების მოხაზულობის მიხედვით განსვენებულმა მ. თარხნიერმა არქეოლოგ ვ. კობროს მისი მოსაზრებები ამ ძეგლის მე-7 საუკუნე წარმოშობის შესახებ.

გამოიღეს, რომ კესარ კონსტანტინეს ბაზილიკის ნანგრევების ქვები, რომლებიც გამოყენებულია აქ იტ ქართული მონასტრის ნაგებობაში, აჭვენებენ წმ. თეოდორეს ქართული მონასტრის აგების თარიღს მე-7 საუკუნეს, თითქმის ამასვე ადასტურებენ წარწერები. მესამე, დამატებით საბუთად ვ. კობროს მიანიხი პროკოპი კესარიელის ცნობა იუსტინიანეს მიერ ქართულ მონასტრია აღდგენის შესახებ, რაც აგრეთვე მე-7 საუკუნისაა.

ამ არქეოლოგიური გათხრის ყველა შედეგი ასე ცხადი და ნათელია, როგორც აქ არის წარმოდგენილი? მთლად ასე არ უნდა იყოს.

ვირჯილიო კობროს გათხრებს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენერებისათვის, საერთოდ, და ქართული კულტურისათვის, კერძოდ, მაგრამ ეს ეხება იმას, რაც არქეოლოგმა ამოთხარა და მისაწოდომი გახადა. ამ ამონათხარის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებები კი შეიძლება სადავოდ მივიჩნიოთ.

დაიწყოთ პროკოპი კესარიელის ცნობით, რომელსაც ერთგვარ მნიშვნელობას მაინც აქვთ ეხება ვ. კობროს პროკოპი კესარიელი თაქვის ცნობაში (Procopio De Aedificiis, VI, c XI ანუ P, Gr. 77, c 32) ლამარაკობს, რომ იუსტინიანემ მე-6 „განაახლა“ „ლახთა“ მონასტერი. მაშასადამე, იგი უნდა მანამდე არსებულყო ქვები, რომლებიც იქნა ამ აღდგენის დროს გამოყენებული, ჩასმული იყო, როგორც ჩანს, კედელში მანამდე არსებულ, ადგილობრივ ქვებთან ერთად. ეს ვ. კობროსაც აქვს შენიშნული მასალა ნაწილობრივ იქვე მდებარე კლდეებიდან არის, სადაც იგი მრავლად იღო ზედაპირზე. ნაწილობრივ კი აგრეთვე აღინდელი ნაგებობიდან, ნაწილი იუსტინიანეს ბაზილიკიდან. მაშასადამე, მე-7 საუკუნეში ქართული ტაძარი, გათხარა იერუსალიმის უდაბნოში, განახლებული იქნა, ხოლო იგი უფრო ადრე არსებობდა და, რადგან იგი მიჩნეულია „ლახ-

თა მონასტრად, პეტრე იბერისა და მისი თანამოაზრის იოანე ლაზის მონასტრითა. ეს უდავოდ ჩანს ვ. კორბოსთვისაც. პეტრესა და იოანე ლაზის დასახელებაზე — შემდეგ.

აქ სხვა საკითხი დგება: მონასტრის შენობა დახასიათებულია როგორც განსაკუთრებული აგებულების მქონე, იგი პარმონიულად იშლება ცენტრისაკენ... ამ აღწერილობას ვ. კორბო ამოთვრებს ზემოთ მოყვანილი განცხადებით, რომ ასეთი რამ სხვა მონასტრთა შორის ჯერ ცნობილი არ არისო. გარდა ამისა, მონასტრის შენობას მრავალი სხვა შესანიშნავი ნაგებობა ახლავს აღწერილობიდან და ფოტოდან აშკარაა ამ ძეგლს მონუმენტურობა (ტაბულა 32-40). ეს ძეგლი ნახა ორენოვანმა ქართულმა მწერალმა იოანე მოსხაძემ, ცხადია, იუსტინიანეს მიერ შეკეთების შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, მე-6 საუკუნის ბოლოში. მაშასადამე, ქართული მონასტრები მე-6 საუკუნემდე რაიმე საგანგებო მიზეზით არ დანგრეულა. მაშადაწინ იერუსალიმის მიღამოებში მე-6 საუკუნეში ჯერ ვერ თარგმნიან, მაშასადამე, საკითხავია: როგორ მოხდა, რომ ეს მონუმენტური ნაგებობა, რომლის კედლებში მხოლოდ აქა-იქ ჩანს ჩასმული «დაზღვევის» ბაზილიკის დარბაზული ქვები (იხ. ტაბულა 37, ფოტო 113, 114), ისეთ მდგომარეობაში მოვიდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში (პეტრე იბერის დროიდან; გარდაიცილა დაახლ. 491 წელს) მე-6 საუკუნის მეორე ნახევრამდე, რომ მას ასეთი ძირძველი შეკეთება დასჭირდა (იხ. ბაზილიკის ქვები ბალაგერიდან მეორე წყებაში. ტაბ. 37, ფოტო 114)? პეტრეს «ცხოვრებაშიაც» ხომ გვაქვს ერთგვარი მითითება, რომ ის შევიდა გამზადებულ ტაძარში რომელიც «მშენიერად შემკობილი იყო და მზესავით ბრწყინავდა»¹. ხომ არაა საფიქრებელი — ჩვენ ამას პიოთეტურად გამოეთქვამთ — რომ მურვანოსმა (პეტრე იბერმა) და მიტრიდატე (იოანე) ლაშმა გამოიყენეს ერთი იმ სამონასტრო ნაგებობათაგანი, რომელიც მანამდეც არსებობდა. სავალდებულო არ იყო, როგორც ფიქრობენ ზოგიერთები, რომ ეს შენობა ერთი იმ მრავალთაგანი ყოფილიყო, რომელთა აგება სომხებს მიეწერება (H. Я. Марр, Агиограф. матер. т. 1, 38).

რა თქმა უნდა, ქართველები მოღვაწეობდნენ სომეხთა მონასტრებშიაც (იხ. კ. ანკლიძე, დასახელებული ნაშრომ., გვ. 81) და ეს აღბრუნდნენ ხანაში ბუნებრივია, რადგან ჯერ ხალკედონის ციხეა არაა (451 წლისა) და საიკლესიო გათიშვა არ მომხდარა, მაგრამ თუ დასაშვებია, გამოაკვეთდნენ მონაყვითა მიხედვით,

რომ პეტრე იბერმა და იოანე ლაშმა ასარგებლეს უკვე არსებული შენობით, მაშინ შეიძლება ვიარყვეს, რომ ის უკვე მსანამდღეც ქართული მონასტრის იყო.

ამასთან დაკავშირებით საპიროა გადვიდეთ მთავარ საკითხებზე. რას წარმოადგენს წარწერები? განსვენებულ მიქელ თარხნიშვილს მიაჩნია ვიარჯილით კორბოს დიდ მიღწევად, რომ «მას ქონდა ბედნიერება ეპოვნა ოთხი ქართული წარწერა, რომლებიც მონასტრის ამოცნობისა და მისი აგების დათარიღების ფიქსირების საშუალებას იძლევა (გვ. 135). ჩვენ, ცხადია, ვეთანხმებით მიქ. თარხნიშვილის საერთო შეფასებას აღმოჩენილი წარწერების თაობაზე, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ისინი მტრის მიქმელიც შეიძლება აღმოჩნდნენ, ვიდრე მონასტრის იდენტიფიკაცია და მისი აგების დათარიღების ფიქსაცია.

გადვიდეთ წარწერების განხილვაზე. ზღუდით წარწერაა, მაგრამ ერთი მათგანი სრულიად არ იკითხება: ეს არის ტაბულა 38, ფოტო 118, იგი ჩამონგრეულია და დარჩენილი ასებებიც გაუტყვეველია. რჩება სამი წარწერა, რომელთაგან პირველი მშენიერადაა შენახული. მასში ხუთი ბუყარია და არც ერთი ადგილი არაა გაუგებარი და წაუკითხავი. იგი, მხედრულად გადმოწერილი, ასე იკითხება (ქარაგმები აქ არაა აღნიშნული):

1. შეწვენითა ქშეასითა და მ
 2. ეობებითა წმიდისა თეასითა
 3. შნ ანტონი აბა და იოსია მო-
 4. შქმელი ამის სეპისა და შა-
 5. შა დედა იოსიასით ამინ.
3. თარხნიშვილს არ გაუჭირდა იმის შემჩნევა, რომ თავისი მრგვალი და ვრცელი მოხაზულობით ეს წარწერა ჰგავს ბოლნისისა და ჯვარის მონასტრის წარწერას. როგორც ვხედავთ, აქ მოხსენებულია სამი სახელი თეოდორე, ანტონი და იოსია. პირველი — თეოდორე მე-4 საუკუნის წამებულია, ფრიალ პატივდებული აღმოსავლეთში, კერძოდ, იერუსალიმის ეკლესიისათვის, როგორც ამას ადასტურებს «იერუსალიმის კანონიერიც». (გვ. 136).

მეორე სახელი, როგორც ჩანს წარწერიდან, გუთუნის მონასტრის იმდროინდელ ხელმძღვანელს ანტონს (გარდაიკვალა 596 წელს). ეს ანტონი საეპისკოპოსო დადასტურებული პირია, რაც მოხსენებულია წ. სიმონ სტილიტა (დედის წ. მართას ცხოვრებაში (H. Я. Марр, ЗВРРАО, 13 1901 стр. 38.

რომელიც სარგებლობს მასალით Acta ss, V стр. 423—430). ყურადსაღებია, რომ ანტონი მე-6 საუკუნეში მოხსენებულია ჩვენი მონასტრის კედლის წარწერაში.

ამვე წარწერაში შეტანილა ვინმე იოსია.

¹ ზემოთ მოყვანილი ადგილი პეტრეს «ცხოვრებიდან».

„მომსხმელი“ მოზაიკისა ჩანს, ტაძრის აღდგენის დროს, მე-9 საუკუნეში (კეისარი იუსტინიანეს შიქარ). არაა მნიშვნელოვან მოკლებული ეს ზენა „მომსხმა“, აქედან: „მომსხმელი“ — გამკეთებელი, შემქმნელი. ასე წაითხებთ ჩვენ ჩაბრუნების ბუქარი „დიონოს წიგნთა შესახებანი“ — შედგენა, შექმნა, დედ-მამის მოხსენიება (მოდებული ტრაფარეტია).

რას წარმოადგენს ეს წარწერა? ის ყველაზე უფროა დაცული და, საფიქრებელია, რომ აღდგენილია მე-9 საუკუნეში. მაგრამ მის ერთი გაუგებარი რამ ახასიათებს. ტექსტიდან ჩანს, რომ მიმართვა „შეიწყალებ“ ღმერთისადმი გაკეთებული, მაგრამ თვით ღმერთი აღნიშნული არაა, რაც უჩვეულოა მერმანდელი წარწერებისათვის. მაგრამ კიდევ უფრო გაუგებარია ის, რომ ქრისტე შეწყვენილა, დამპარება აღნიშნული, და ისიც თეოდორეს გვერდით, რაც შეტად მიუღებულად მოჩანს მოგვიანო დროისათვის, იბოსტანის, პირველ და მეორე პირის ურთიერთობისათვის. უკვე დადგინილი, დოკუმენტებული ქრისტიანობისათვის, თუნდაც იმავე მე-9 საუკუნისათვის, მხოფლიო კრებათა და საეკლესიო დოკუმენტურ ძველთა შემდეგ ყოვლად დაუშვებელი იყო ქრისტეს „შეწყენა“ ყოფილიყო აღიარებული საჭიროდ ღმერთის მიერ ამა თუ იმ პირის შეწყალებებისათვის. ეს აშკარა შეუსაბამობაა. ამას უტარდება მიაქცია თარხნიშვილმა, რომელიც ამბობს: „არც ერთი ქრისტიანი არ ჰოუწოდებდა ღმერთისათვის ქრისტეს დახმარებასო“.

ამ დაუშვებელი გაუგებრობის ახსნა შეიძლება ევპოთ მხოლოდ იმაში, რომ მე-9 საუკუნეში შედგენილ წარწერაში დასაწყისი შეკრებულ და დატოვებულ იქნა ისე, როგორც ის ამათივე ეწერა. თუ ეს ფოტოს ბრალი არაა, პირველი ორი ბუქარის ასოთა შიკელობა სხეანაირი ჩანს მომდევნო — განსაკუთრებით მეოთხე და მეხუთესთან — შედარებით, ხოლო მესამე უფრო შეგუებულია პირველ რიგთან. მაგრამ მთავარი ეს არაა. წყობიდან გაუგებარია ზედმა, როგორც კი თავდება პირველი ორი ბუქარი და იწყება მესამე — „შნ“ და აქლია სიტყვა „ღმერთო“ ანუ „უფალო“.

უნდა ედვიქროთ, რომ ეს უფრო ადრინდელი წარწერაა, რომელზედაც აღნიშნული იყო მომდევნო დროისათვის დაუშვებელი „შეწყენა“ ქრისტესათა მეოხებითა წმინდისა თეოდორესათა“ და შემდეგ ამის ვაკრძილება „შნ“ ღმერთის დაუსახებლად, რადგან ეს „შნ“ აქ ქრისტეს არ ეკუთვნის. ამის შემდეგ შეტანილია წარწერაში მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის ხელმძღვანელი ანტონი და „იოსიაჲ მომსხმელი“, რომელსაც თავისი დედ-მამაც არ დავიწყებია. ქრისტოლოგის თვალსაზრისით დაუშვებელი გამოთქმა ქრისტეზე, როგორც

ღმერთის შემწეზე, არც მე-5 საუკუნეში შეიძლება ყოფილიყო ნახმარი. თუ დამწერლობის თვალსაზრისი ამას შესაძლებელს ხდის, აქ საქმე უნდა გვეკონდეს მხოლოდ შიქარ შიქარუნის, ე. ი. ბაქურის საუკუნის, ბოლო ხანის წარწერასთან. ქრისტიანული დოკუმენტის თვალსაზრისით სხვა გამოსავალი არ შეიძლება მოიძებნოს.

გადვიდეთ მეორე წარწერაზე (ტაბულა 38, ფოტო 119—120). თუ გამართლდება, რომ პირველი წარწერის პირველი ნახევარი (ორი ბუქარი) ბაქურის საუკუნისაა, განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ეს წარწერა დამწერლობის მხრივით ეს უფრო ძველი უნდა იყოს. 2. თარხნიშვილი ფიქრობს, რომ შეიძლება ეს ხელის ბრალიო (გვ. 137). აქ განსხვავება მართო ხელში კი არ უნდა იყოს, არამედ იმაში, რომ ეს წარწერა (ტაბ. 38) უფრო ძველია, რაც კარგად შეამჩნია მიქ. თარხნიშვილმა. პირველი წარწერა რომ გადაკეთებული არ იყოს მე-9 საუკუნეში, ისიც, საფიქრებელია, ისეთივე იქნებოდა, მაგრამ დღეს ამაზე შეტის თქმა არ ხერხდება.

ეს მეორე წარწერაც ნაკლებინია, როგორც ყოფილა პირველი. ეტყობა, რომ შიქელი წარწერა შედგებოდა სამი ნაკვეთისაგან, რომელთა შორის ცარიელი (დაუწერელი) ადგილებია (ვებულათ უქარგამოდ):

1. და ძქძ-
2. ეღლი 2-
3. ათნი 2-
4. კურ და
5. ვი ორამ
- 6 იქ და წ-
- 7 აშობნი
- 8 მათნი ქე-
- 1 ში (შენ?)
- 2 ამინ

როგორც ვხედავთ, უქანასკნელ ნაკვეთზე (ქვაზე) დარჩენილია ვერცხველი „შინ“ თუ „შენ?“ ასო „ი“ და „ე“ ვერცხველია. არაა გამართლებული გაყოფა პირველ და მეორე ნაკვეთის შუა. აქლია ასო „გრი“-ს შემდეგ (5). „ძ“ და „ს“ არ იკითხება ნითლად.

ამრიგად, მესამე ნაკვეთი ამ წარწერისა განზე უნდა იქნეს დატოვებული, როგორც საესეით დამსხვრეული პირველი, ჩინს, ვაგრძელება, ასე რომ იწყება: „და ძქძეღლი“... წარწერაში მოხსენიებულია მეოთხე საუკუნის მეფე ბაქური — ფილოსოფოსი, პეტრე იბერის ბაბუა დედის მხრივ. იგი იძულებული იყო დაეტოვებინა საქართველო და ჯერ კოლხილში და შემდეგ საბერძნეთში, ფილოსოფოსი ლინაიოსთან, წასულიყო. ტექსტი იწყება ასე: „და ძქძეღლი“. გამოტოვებული სიტყვა უნდა აღნიშნავდეს ბაქურის დედას, რომ

ლის „ძეველად“, ვ. ი. პირშვილ, ძეველანკველ ითქმება ბაყერი, მის გვერდით თითქოს აღნიშნულია „გრი(გ)ორი“, რაც შესაძლო ხდება მხოლოდ განის აღდგენის გზით. შემდეგ წარწერა გაუგებარია. სპარსული სახელი ბაყერი შეიძლება ჰქონდეს ქრისტიანობის დასაწყისში მიხსენებული ყოფილიყო ქრისტესთვის შესავადრებლად, ხოლო „ორმიზ-(ზ) დი“ საეკვო ჩანს წასაკითხავად, შით უმეტეს, თუ მის პირველ ნახევარს მივიჩნევთ სახელის „გრი(გ)ორ“-ის დამთავრებად.

პირველ წარწერასთან დაკავშირებით, ვ. ი. თუ ეს არაკვეთა, როგორც ბაყერის საუკუნის წარწერა, ეს გარემოება ნათელსა ფენს ამ მეორე წარწერასაც. აქ მოხსენიებულია ბაყერის დედა და თვით ბაყერი უდავოდ.

ამასთან დაკავშირებულია მესამე წარწერა (ტაბულა 35, ფოტო 107). იგი შედგება ოთხი ბწყარისაგან, რომელთაგან დაზიანებულია მხოლოდ მესამე. ეს წარწერა მე-5 საუკუნის შუა ხანებს უნდა მიეკუთვნოს. ამას აღსატრებებს საბელწოდება მარქაჲან.

თი ეს ტექსტად:

1. წმიდაო თეოდორ-
2. მარ(ტ)ან და ბო-
3. (ტ)რსხ...ენ ამი-
4. ე...

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მურვან, რომელიც უნდა იყოს აქ მოხსენებული, პეტრე იბერია, ცნობილი ფილოსოფოსი და ქართველი მილანაჲ ალმოსავლეთში, რ. წ. არქიმპავიტლი წიგნების ავტორი, რაც დღეს უკვე პირდაპირი საბუთებით მტკიცდება. ამ შემთხვევაში უფრადლებას იძურობს ის გარემოება, რომ პეტრე იბერია წარწერაში აღნიშნულია მისი საერო სახელით — „მურვანით“, რაც მე-5 საუკუნის პირველ ნახევარს მიეუთვნება და რომელიც სახელიც მას ამ საუკუნის მეორე ნახევარში აღარ ვაღმოჩნდება. ამდენად, წარწერა უნდა ეკუთვნოდეს მე-5 საუკუნის მხოლოდ პირველ ნახევარს.

მკვლევარი ვიარჯილიო კობახი პეტრე იბერის სახელს უკავშირებს ლაზთა მონასტრის არსებობას (დას, ნაშტ. გვ. 130). მან რომ იყოღეს მიტრიდატე — (იონანე) — ლაზის ამაჲი, ამ აზრში უფრო განმტკიცდებოდა. მაგრამ ზემოთ გამოჩეველ მასალასთან დაკავშირებით იხადება საკითხი: მართლაც აღაშენეს პეტრე იბერმა და იონანე ლაზში ეს ვეებერთელა, ყოვლის მხრივ გამორჩეული მონასტერი თუ მთი ისარკებლეს ჯერ კიდევ ბაყერის დროს აგებული მონასტრით (ეს პეტრეს „ცხოვრება“)?

თუკი, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „ეპეს გარეშა, რომ ქართველები მრავლად მოღაწეობდნენ სიძებთა იმ სამოცდაათ მო-

ნასტრში, რომელნიც მე-4-6 საუკუნეთა განმავლობაში აშენებულა“ (ქართ. ლიტ. ისტ. II, 1941, გვ. 81), რატომ არ შეიძლება, რომ მურვანს და მიტრიდატეს უკვე პეტრე და იონანე ქვეულთ, მეხუთე საუკუნის შუა ხანებში განვახლებინათ უფრო აღარ, როგორც ჩანს ამ ნაწარმოების მიხედვით, ბაყერის საუკუნეში აგებული ტაძარი, რომელშიაც ისინი სიკვდილამდე მოღაწეობდნენ?

ფიქტობთ, რომ წარწერებით მოცემული მასალა თუ არ წყვეტს ამ საკითხს საბოლოოდ, მისი გადწყვეტის მიმართულვას მინც ახვენებს და მაშინ, ბუნებრივია, მე-6 საუკუნის ბოლოში მე-4 საუკუნეში აგებული ტაძარი შეიძლება გასაახლებელი ყოფილიყო იუსტინიანეს მიერ, რომლის დროს ვერც მონასტრის ვერაიენ უწოდებდა „ლაზთა მონასტრის“, თუ არა შორეული, ისტორიული (საუკუნუნახვერის) ამაჲის მონასტრად და ვერაიეთარ შემთხვევაში მასში „მურვანის“ შემცველ წარწერას ვერ გააკეთებდა. რაც შეეხება პირველ წარწერას, ვერც იქ შერჩენილ აღრიზულე—ჯერ აღახან შემოსული ქრისტიანობის ამაჲას — ლმერთისათვის ქრისტეს შეწვერის შესახებ წარწერას — მე-4 საუკუნის შემდეგ აღვილი არ ექნებოდა. (381 წ. მსოფლიო კრების შემდეგ).

ასეთია პალესტინაში აღმოჩენილი ქართული ეკლესიის დთარიღების შესაძლებლობა, თუ მას ასახსნელად მივიჩნათ უფრო ვრცელ მასალას, სადაც პეტრეს „ცხოვრებას“ ვეწლიაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, მიეხედვად ამ „ცხოვრებას“ ზღაპრული ხასიათისა (მისი დროისათვის ეს არაფერს უჩვეულოს და გაუგებარს არ შეიცავდა). წინააღმდეგობა და შეუსაბამობა, რომელიც პეტრეს „ცხოვრებას“ ახასიათებს, არ ეტქმება მთავარ ამაჲას, რომ ეს ეკლესია უკვე მანამდე არსებობდა, და სწორედ იმ დამახასიათებელი ნაშნებით, რომლებიც მისი გათბრების დროს აღმოჩნდა. ამას ვიარჯილიო კობახის აღწერილობაც ასევე ახასიათებს. ხოლო თუ მე-5 საუკუნის შუა ხანებში ასეთი ეკლესია უკვე არსებობდა, ის შეიძლება იყოს მე-4 საუკუნეში ყოფილიყო აგებული, რასაც უკვე მისი წარწერები (რომელთაგან ორი უდავოდ მე-4 საუკუნისაა) უნდა აღსატრებდეს ამისი ორი საბუთი გაიჩევა — პირველი წარწერის პირველი ორი ბწყარი, როგორც უდავო საბუთი, ხოლო ამასთან დაკავშირებით — ბაყერის დედის და თვით ბაყერის შესახებ წარწერა. შეიძლება გვეფიქროს, რომ ბაყერის შესახებ წარწერა შემდგომია გაცეთებული, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ლამარკობს ის გარემოება, რომ პირველ და მესამე წარწერაში მოღებულია თანამედროვეთა აღნიშვნა წარწერებში, როგორცია

ანტონი და ოსია პირველ წარწერაზე და მერჯანი — მესამეზე. მაშასადამე, მეორე წარწერაში მოხსენებული ბაყური მე-4 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

პროკოპი კესარიელის ცნობა, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, აღსატრებს იუსტინიანეს მიერ აღდგენილი ტაძრის მანამდე არსებობას და საგანგებოდ მიეთითებს „ლაზთა“ მონასტრზე, რაც მე-5 საუკუნის აგრეთვე შუა ხანებზე მიეთითებს, რადგან, როგორც ითქვამს, სახელწოდება „ლაზი“ ისევ არ იმპარებოდა იოანეს მიმართ მე-5 საუკუნის შუა ხანების შემდეგ, როგორც პეტრე იბერის მიმართ სახელი მერჯანოსი (მერჯანი).

თუ მოზაიკის საკითხს თავს დავანებებთ, მოზაიკისა, რომელიც ეკლესიის აღდგენასა ჩამს ვაკეთებელი და რომლის შემსრულებელი ოსია საგანგებოდა მოხსენიებული მე-6 საუკუნის წარწერაში, რჩება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც გარკვეული ცნობა ვერჯილით კობრის მასალაში მოცემული არაა. საქმე ეხება საფლავებს, კერძოდ, ნიშნებს ქვეშ მოთავსებულ აკლამებს, რომლებიც აღწერილობაშია მოხსენიებული. (შეიღებ „სტორება“, ყუბანეიშვილის გამოცემა, გვ. 272). აღწერილობიდან ნათლად არა ჩანს, გათხრალია თუ არა პეტრე იბერის საფლავი. ეს საკითხი ჩვენთვის პატარა მნიშვნელობისა არ არის. საჭიროა ამ საკითხის გამოკვლევა.

აქ, როგორც ზემოთ თქვითი, მოხალისე მზნით ყოფილა იოანე მოსხი (შესხი), ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ავტორი, სხვათაშორის, ორი ცნობილი თხზულებისა. ესენია: „სამოთხე“ და „სიბრძნე ბალეარისი“. იგი, როგორც წესი, მიდიოდა ისეთ მონასტრებში, სადა ეგულებოდა განსაკუთრებული პირები, ცნობილია არა მარტო სასწრაფობით, არამედ სიბრძნითაც, როგორცდაც მას ეგულებოდა აბა ვეგენისი. „არის მონასტერი წმ. ბეთლემის მახლობლად“, — წერდა იოანე მოსხი (მონასტერიონ ესტი პლესიონ ტეს ავიას ბეთლემე). ამ მონასტერში ხელმძღვანელად იყო ყოველი საკითხი აღსაყვამ აბა. სახელად ვეგენისის, „სამოთხე“, (P. G. 87, თავი 3053).

გარდა ამ ცნობისა, რომელსაც ბეთლემის უღაბნოს შესახებ ვაძლევს იოანე მოსხი (შესხი), რაც იმაში ვამოხატება, რომ მე-6 საუკუნის მიწურულში ეს მიდამოები მაშინდინათაგან განავტვრელებული არაა, მეტად მნიშვნელოვანია ქართული კულტურის თვალსაზრისით, რომ ამ ცნობით წყდება საკითხი, რომ იოანე მოსხმა ჯერ დაწერა (მე-6 საუკუნის ბოლოში), „სამოთხე“, ხოლო მე-7 საუკუნის პირველ მესამედში — „სიბრძნე ბალეარისი“. ზოგიერთი სხვა მოსაზრებით ჩვენ სწორედ ასე ვფიქრობდით (იხ. ჩვენი „ქართული ფილო-

სოფიის ისტორია“, ტომი 1, თავი მე-14, გვ. 290—313) და, ამასთან დაკავშირებით, დავადგინეთ, რომ იოანე მოსხი ჯერ „სინაიტის“ გახდა და შემდეგ „საბაიტი“ (იხ. ჩვენი „ქართული სინაიტი თუ საბაიტი“, ვერს. „დროშა“, № 5, 1958 წ.). პალესტინის ძველებთან დაკავშირებით დღეს ეს გარკვეობა საბოლოოდ დადასტურდა. მართალია, საეხებით გარკვეული მიეთითება ჩვენს ძველზე იოანე მოსხს თითქოს არა აქვს საეკლესიო წინადაზნის სახით, მაგრამ ადგილი ზუსტად იგივეა ნახევნები.

თუ დამტკიცებულად მივღებთ, და ამას ცხადად აღსატრებს პროკოპი კესარიელი, ე. ი. იერუსალიმის უღაბნოში მღვდლად მონასტერი (ტო ტონ ლამონ ენ ტე ერემო იეროსოლიმონ) არის „ლაზთა“ მონასტერი, მაშინ ეს თავისთავად უკვე მე-5 საუკუნის შუა ხანებში იწოდა ამ სახელით, როგორც ნათლად გაირკვა. ეს მონასტერი, იმავე დროს, როგორც დადასტურდა, მეორე, უფრო აღრინდელი ძველის — პეტრე იბერის „სტორებით“ მზა ეკლესია იყო და, მაშასადამე, წინა დროში გადაინაცვლებს, რაც მე-4 ს. მიუყვართ.

ამას აღსატრებენ წარწერებში, რომლებიც ეკლესიის ორივე მომენტს — მე-5 და მე-6 საუკუნეს — ერთნაირად ნათლყოფენ. როგორც გაირკვა, პირველი წარწერა მე-4 საუკუნისაა. შეიძლებადა შევეკვებულთყავით წ. თეოდორეს ქართული ტაძრის სახელწოდებამდე, მიუხედავად იმისა, რომ თეოდორე მე-4 საუკუნის მარტორია, ვუფიქრება, რომ არ იყო სავალდებულო იმავე საუკუნეში მისი სახელდების მონასტრისათვის მიეკუთვნება, მაგრამ წარწერა, რომელშიაც ის მოხსენიებულია, ვერაფერად შემთხვევაში ვერ ვაღვივებდი, როგორც ითქვა, მე-4 საუკუნის აქეთ. ის გარემოება, რომ წ. თეოდორე „იერუსალიმის კინონარი“ არა ერთხელ იხსენიება, და მე-8 საუკუნეში შემოსულად ითვლება ქართულ კულტურულ მსოფლიოში, ვერ დაარღვევს მისი სახელის ქართული მონასტრის არსებობას პალესტინაში და მისი სახელის მოხსენიებას ქართული მონასტრის წარწერაში მე-4 საუკუნეიდან.

მეორე წარწერა უფრო აღრინდელიადაც ცნობილი. იგი, ყოველშემთხვევაში, მე-4 საუკუნის იქით, ისტორიულ-კულტურულთა მონაცემთა გამო, ვერ წავა. სიფრთხილედ, რომელსაც იხენდა აწ განსვენებული მეცნიერი მიქელ თარხნიშვილი. მისი დამამუშვენებელია, მაგრამ პირველი წარწერის უღავედ მე-4 საუკუნისათვის მიეკუთვნება ამტკიცებს მიქ. თარხნიშვილის აზრს ამ წარწერის სიძველის შესახებ; სხვა პირველი წარწერის შეკეთების ბრალდა, რაც მე-6 ოსიას ოსტატობის საქმე იყო, რისთვისაც ის წარწერაშიაც მოჰყვა დღემამდე.

მთავარია ქართული კულტურის თვალსაზრი-

სით, რომ ჩვენ მე-4 საუკუნის ქართული დამწერლობის ფაქტი გვაქვს ორი პირველი წარწერის სახით (ერთი, სამწუხაროდ, გადაკეთებული წარწერით). ამ ფაქტის მნიშვნელობა შეტად დიდი ქართული კულტურის თვალსაზრისით, რადგან ჩვენ აქამდე ვიცოდით, რომ მე-4 საუკუნეში არსებობდა ორი ქართული მოაზროვნე — ერთი რელიგიურ-ფილოსოფიურ დარგში, რომელიც ქართული ფილოსოფიის ისტორიას დარჩა, მობიდანის სახელით, მეორე — ამავე საუკუნის მოაზროვნე ბაქური, რომელიც, მართალია, თავდაპირველად აპოლოგეტურ ფილოსოფიას მიეკუთვნება, მაგრამ შემდგომში ნეობლატონიკურ მიმდინარეობას მიემხრო, კლასიკური აკადემიის ცოცხალი ხანს დარჩენის შემდეგ გავიდა ემიგრაციაში, ირანთან კონფლიქტის შემდეგ, და ნეობლატონიკოს ლიბანიოსის წრეს დაუბლოცდა (იხ. ჩვენი: „ქართ. ფილ. ისტორია“, I, გვ. გვ. 104—106, 116—123).

შეცინებდასამი საბოლოოდ ირყევია რომ მე-3 საუკუნეში აღმოსავლეთიდან საქართველოს კულტურის საზღვრებს მოაწეა ბუდის მოძღვრება მანიქეველურ სამოსელში (იხ. წიგნაკთვება „სიბრძნე ბალეარისის“ ინგლისური თარგმანისა, ლონდონი, 1957 წ.). მე-4 საუკუნისათვის ამ იდეურმა შემოტევამ ერთგვარ შედეგს მიიღწია და საქართველოში მობიდანის სახით თანამოაზრენი მოიპოვა. ამ მობიდანის სახელსა და მოღვაწეობასთან დაკავშირებით ისტორიკოსი პირდაპირ აღნიშნავს, რომ იგი „ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცოტარებისასა, რომელი შემდგომად მისსა დამწერა ყოველი წერილი მისი ჰემმარტიან ეპისკოპოსთან მიქელ“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ., გვ. 142).

მამასაღამე, სადავო აღარ უნდა იყოს, თანახმად ამ ცნობისა, რომ მე-4 საუკუნეში ქართული დამწერლობა არათუ არსებობდა, არამედ იწერებოდა ქართულად „წიგნები“. ამავე საუკუნეში, როგორც იოანე რუფუსის მიერ დაწერილი პეტრეს ბიოგრაფიიდან ცნობილია, ბაქურს ირანელუბთან კამათის დროს მოჰყავდა საბუთები მარკიანე არისტოტელეს „აპოლოგოიდან“. ამის შემდეგ ის კოლხეთის აკადემიაში იღებს მონაწილეობას, ხოლო უცხოეთში ბერძნულ ენაზე ეწევა მწერლობას. მოსალოდნელი იყო, რომ, თუ ის ბერძნულ ენაზე გამოთქამდა თავის აზრებს ისე, რომ ბერძნების შექებას იმსახურებდა, საქართველოში ყოფნისას ქართულადაც უნდა ეწერა, რადგან დაუშვებელია ვიღვიროთ, რომ, თუ ის უცხო ქვეყანაში ბერძნულად წერდა, თავის ქვეყანაში ყოფნისას სამშობლო ენაზე არ ეწერა, მით უმეტეს, რომ მისი ფილოსოფიური მსჯელობის ნიმუშები შენახულა თანამედროვეთა მიერ, რამდენადაც, ვიმეორებთ, პირველი აღმოჩენილი

წარწერათაგანი უდავოდ აჩვენებს სამების პირველი ორი პირის მიმართების არა დოკუმენტურ გაგებას, მე-4 საუკუნის აქეთვე წამოვა. ხოლო მე-4 საუკუნეში უცხოეთში მდგომარეობიდან გამოსასვლელად ღმერთის თუ უფლის წარწერიდან ამოღება, რაც უზარბოდ აქცევს უმიმართო „შეიწყალენ“-ს. ამით მხოლოდ დიუმბინჯებათ წარწერას აზრია. მაგრამ ეს კიდევ უფრო ამტკიცებს, რომ წარწერის პირველი ორი ბეყარია, რომლებიც თარხნიშვილს „ძველ და სტერეოტიპულ ფორმულად“ მიიჩნია, აშკარა შეუსაბამობის შესასწორებლად თარხნიშვილი ლათინურ ტექსტში სხამს „მღმრთს“, მაგრამ ეს არ შეეღოს საქმეს: პირველი ორი ბეყარი მე-4 საუკუნის წარწერად რჩება, რადგან იგი დოკუმენტურად მიუღებელია შემდგომ საუკუნისათვის.

მამასაღამე, ორი პირველი წარწერა ადამტურებს მე-4 საუკუნეში ქართული დამწერლობის არსებობას და სააზროვნო ძეგლების (რომელთა შესახებ ცნობები გვქონდა) შესახებლობას.

ქრისტიანობის მიღების პირველ საუკუნეში (მე-4 ს.) გასაგებია ის უპირატესობა ქრისტიანულში მიმართებისა, რომელიც მეორე წარწერიდანაც ჩანს, ვიმეორებთ, რომ ჩვენი მიდგომა წარწერებისადმი იდეურ-მნიშვნელობითაა, ხოლო ასეთი მოსახელლობის სტერეოში ჩვენ თარხნიშვილის წაყთხებები გამოვიყენეთ.

შემდეგი დიდი საკითხი ქართული კულტურის თვალსაზრისით არის მესამე წარწერაში მოხსენებული მარტინიან. აქ, როგორც ამას სრულიად სამართლიანად აღნიშნავს მიქ. თარხნიშვილი, მოხსენებულია მურგანოსი — სავარი სახელი ცნობილი ქართველი მოაზროვნის პეტრე იბერიისა. ეს ვექს არ იქვევს. უდავოდ უნდა იქნეს აღიარებული ისიც, რომ მე-5 საუკუნის პირველი ნახევრის აქეთ ეს სახელი აღარ იხმარებოდა, საქმე გვაქვს ქართული დამწერლობის უტყუარ ძეგლთან ამავე დროიდან. მე-4 საუკუნის წარწერის შემდეგ მე-5 საუკუნის ამ წარწერას უფრო ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ამავრებს მე-4 საუკუნის წარწერის ფაქტს.

დიდი საკითხია ქართული კულტურის, სავართოდ, და სააზროვნო კულტურის თვალსაზრისით, კერძოდ, წერდა თუ არა ფსევდო-ლაინის, იგავე პეტრე იბერი, ქართულად. რამდენიმე ხნის წინ ეს საკითხი ჩვეულების გარეშე იმ მიმართულებით, რომ ასეთი დამწერლობა ფაქტია, რასაც ვამსაკუთრებელი ღირებულება მიეკუთვნება თუ იგი საბოლოო გამოცდას უბოძლებს. ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქართული კულტურის, არამედ მსოფლიო აზროვნების ისტორიისათვის, რადგან საქმე გვაქვს ისეთივე ღირებულების ამბავთან, რო-

გორიც იყო პეტრე იბერის ავტორობის საკითხი ე. წ. არქიპისტული წიგნების მიმართ.

თავის მთავარ თხზულებაში სათაურით — „საღმრთოთა სახელთათვის“ (თავი 11, § 9—11) პეტრე იბერი მიუთითებს, რომ მან ამაზე აზრე დაწერა თხზულება, რომელშიაც ემყარებოდა მისი მასწავლებლის იეროთეოზის ნაწერს, რომელიც პარკლეს თხზულებას („ეფემინი თეოლოგიურნი“) გადმოიღებს შეიცავდა, და აღნიშნავს, რომ ის თხზულება „პირველი მიზეზის“ სხვა მიზეზებთან დამოკიდებულების გარკვევას ეძებოდაო. ამ ადგილს ჩვენამდე არ აქცედდნენ ყურადღებას, რადგან არ იცოდნენ, რომ ის თხზულება „პირველი მიზეზის“ შესახებ ელა საფუძვლად სარიელი ფილოსოფოსის, პეტრე იბერის მოწაფის, სერგი რეშაინელის თხზულებას — „ტრაქტატი მიზეზთა შესახებ“ (5-ე საუკ.) და რომ იგივე თხზულება პეტრე იბერისა, ბერძნულს გარდა, დაწერილი აღმოჩნდა ქართულ ენაზედაც. ეს უკანასკნელი გარემოება დადასტურებულია იოანე პეტრიწის თხზულებაში იმავე პარკლეს გადმოღების შესახებ (იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 219 1937 წ., შ. ნუცუბიძისა და ს. ყუბინიშვილის გამოცემა).

პეტრე იბერის მიერ აღნიშნული ნაშრომი, ჩანს, არ ენახე იყო დაწერილი: ერთი—ბერძნულზე და მეორე ვარიანტი — ქართულად. პირველი ხელში ჰქონდა პეტრეს მოწაფეს სერგი რეშაინელს, რომელმაც პეტრე იბერის თხზულებები სიბოლღე ენაზე გადათარგმნა, რის შემდეგ ეს წიგნი დაიკარგა. ქართული ვარიანტი ხელთ ჰქონდა იოანე პეტრიწს (11-12 საუკ.), რის შემდეგ ისიც აღარა ჩანს, ისე როგორც ორი სხვა ნაშრომები პეტრე იბერისა („პირითადი საფუძვლათვის“ და „სიმბოლური თეოლოგია“).

მსოფლიო მეცნიერება დვას საკითხის წინაშე: ვინ დაწერა „წიგნი მიზეზთა შესახებ“, რომელიც განიხილა არაბულ ენაზე მე-9 საუკუნეში, ხოლო ითარგმნა ესპანეთში ლათინურ ენაზე (მე-12 საუკუნის მიწერულში). ამ ნაწარმოებმა ფაქტობრივად წარმოართა დასავლეთის აზრებზედა საუკუნეთა განმავლობაში.

ქართული აზროვნების ისტორიის დაუზმარებლად მსოფლიო მეცნიერება ამ დიდი საკითხის გადაწყვეტაში ნაბიჯს ვერ გადადგამს, რადგან საკითხის გადაწყვეტის ცენტრშია პეტრე იბერის მიზეზთა შესახებ წიგნის შინაარსის მიგნება. ეს უკანასკნელი შესაძლებელი ხდება: 1) პეტრე იბერის მიითთებისა და ამ წიგნის დებულებათა გადმოცემის საშუალებით, როგორც მის წიგნში — „საღმრთო სახელთათვის“ არის მოცემული, 2) სერგი რეშაინელის ნაწერის — „ტრაქტატი მიზეზთათვის“ გათვალისწინებით და 3) იოანე პეტრი-

წის ცნობის და დღევანდის გამოყენებით პარკლეს წიგნის პირველი ქართული გადმოღების შესახებ. (ამ საკითხზე „მნიშვნელოვანი“ გამოქვეყნდება ჩვენი ნაშრომი: „დიონისე არქიპისკეპის ქართული ნაწარმოები“).

ყველაფერი ეს ცნობილი იყო ჩვენთვის, მაგრამ არ იყო დადასტურებული მე-5 საუკუნის შუა ნახევრში ქართული დაწერლობის მიჩვენებული ძველი უკანასკნელ ხანამდე ჩვენი მეცნიერება შემდგარი იყო ყველაზე აღინჯელი ქართული დაწერლობის ძველზე — „შუმანიის მარტილობაზე“, რომელიც ამხელთე საუკუნის ბოლო ხანის ნაწარმოებია. ამის იქით დაწერლობის დამადასტურებელი ძველი არ ჩანდა. აქ დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც მე-4 საუკუნის დაწერლობის ძველის მიმართ: ვიცოდით, რომ ბაქურა, ფილოსოფიურად მოაზროვნე საქართველოში და მის გარეთ, წერდა ბერძნულად (დადასტურებულია) და უნდა ეწერა ქართულადაც, მოიხდინა — წერდა ქართულად, მაგრამ დაწერლობის ძველი არ ჩანდა იერუსალიმის ახალ გათარგმნაზე.

მერყანი, რომელიც მოსხვებულაა მესამე წარწერაში, როგორც ითქვა, პეტრე იბერის სახელია ერობაში. საქართველოდან ბიზანტიამდე და აქედან პალესტინამდე მან ეს სახელი ატარა. მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში ის, მიტრიდატე ლაზთან ერთად, ბერად აღიკვეცა და ამის შემდეგ იგი პეტრედ იწოდებოდა ყოველთვის და ყოველგან. მე-5 საუკუნის პირველი ნახევრის აქვე სახელს „მურყანს“ წარწერაში ვერაინე შეიტანდა. შესაძლებელი იყო, რომ მე-5 საუკუნეში კიდევ ყოფილიყო, როგორც პარკოპი კესარიელი გვამცნობს, შესაძლებელი პეტრეს და იოანეს მონასტრისათვის „ლახთა მონასტერი“ ეწოდებინათ ტრადიციულად აღიღის სახელის (nomen loci) იერტიტლობის გამო, მაგრამ იგივე კანონი არ მოქმედებს აღამიანის სახელის მიმართ, თუ ამას რაიმე სპეციფიკური დანიშნულება არა აქვს. მაგრამ რა გამართლება უნდა ჰქონოდა სახელ „მურყანს“ პეტრე იბერის სახელის საბირისპირთად, რომელიც ბრწყინავდა „გაბრე-მოხვევითა დღეებითთა თენებაისათა“, როგორც ამბობს პეტრიწი (დაახ. ადგილი).

ამრიგად, მესამე წარწერამ დადასტულო ქართული დაწერლობის ფაქტი და წილში გავგმართა იმის მტკიცებისას, რომ ორენოვანი პეტრე იბერის მიითთება, რომ მან დაწერა ცალკე წიგნი მიზეზთა შესახებ, სახელებით შესაძლებელი ფაქტი აღმოჩნდა. ქართული დაწერლობა, იერუსალიმის ახლად აღმოჩენილ წარწერათა ნიადაგზე, პეტრე იბერის მიერ მიზეზთა შესახებ წიგნის დროს უკვე ასი წლის იყო და მას თავისუფლად შეეძლო გაე-

მართა ქართულ ენაზე და გამოესახა ქართული დამწერლობით უდიდესი და უღრმესი აზრები ქვეყნის წყობისათვის, მისი იერარქიკულობისა და მთლიანობისათვის.

დასასრულ, ქართული კულტურის დიდი ეპოქისათვის, რომელიც მე-3-4 საუკუნეებით დაიწყო აღმოსავლეთიდან (მანიქეელობის საფარქვეშ ბუდას ამბავის მოწოდება საქართველოზე) და დასავლეთით (კოლხეთის აჯანყების დაარსება) და მე-7 საუკუნემდე სწიდება, ყველაზე საეკუო მხარე იყო ადრინდელი დამწერლობის დადასტურება მე-4-5 საუკუნეებში. თუ ეს ვაირკვევდა, სხვა საკითხები შემდეგ მტკიცე ნადავზე დადგებოდა.

დღეს, როცა მე-4-5 საუკუნის შუა ხანებამდე ამ დამწერლობის ფაქტები ხელთა გვაქვს, თამამად შეგვიძლია განვაგრძოთ ამ მიმართულებით კვლევა-ძიება. იერუსალიმის ახალი გათხრების შედეგად აღმოჩენილი წარწერების ნადავლი ნათელია, რომ ბაკურს, პარველ ქართულ მკვარცხანეს, შეეძლო თავისუფლად ეწერა ლოგოსის უბირატესობაზე მზის სხივების წინაშე, მოხიდანს — თუნდაც ლოკუებით დაეღაგებინა მანიქეელობისა და ბუდიზმის ნაზავი (მე-4 ს.), პეტრე იბერის ქართულად გარდაეთქვა ანტიკური ფილოსოფიის დაუმთავრებელ საკითხთა გადაწყვეტა (მე-5 ს.), პეტრე იბერის ერთ-ერთ მოწაფეს — „ესტატე მცხეთელს“ ანონიმ-შემსმეველს არსტიდეს აპოლოგია ვრთხელ კლდე ჩაეწერა, ქართულად გარდაეთქვილი (მე-6 ს.) და, ამ საუკუნეთა შემწადების ნადავლი, იოანე მესხს მე-7 საუკუნეში შეეძლო განეზორციელებინა ბრძოლა აღმოსავლეთიდან მოწოდებული ინდური ამბებისათვის და, მსგავსად პეტრე იბერისა, ქრისტიანულად გარდაეთქვა და სამ საუკუნეზე მეტი ისტორიის მქონე დამწერლობით გამოესახა ეს ბრძოლა წიგნში „სიბრძნე ბალავარისი“. ასე შეიქმნა იერუსალიმის ახალი გათხრების მეოხებით ქართული კულტურის სავიზრო პერიოდი მე-4-დან მე-7 საუკუნემდე.

ამრიგად, პალესტინის ახალი გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქართული ტაძარი მეტად რთული და მრავალმხრივი შესწავლის სავანი შეიძლება იყოს. როგორც ზემოთაღი აღინიშნა, იგი შეიძლება, უბირველესად, ქართული პალეოგრაფიის კვლევის სავანი გახდეს. ასევე მნიშვნელოვანია მისი შესწავლა მოხაიკის თვალსაზრისით, რაც შეიძლება დამოუკიდებელი დაკვირვებისა და მსჯელობის სავანი იყოს. იგივე ძველი ინტერესს წარმოადგენს არქიტექტურის ისტორიის თვალსაზრისით და სხვ. ყოველ ამ დარგს თავისი სპეციალისტი ჰყავს და, საფიქრებელია, ისინი ამ შემთხვევას სათანადოდ გამოიყენებენ.

ვირჯილიო კობოს წიგნში მრავალადა მოცემული, სათანადო ნახაზებითა და გვეგებით, მასალა ტაძრის ნაგებობის (თეგნებურებათა შესახებ. გარდა ამისა) [სტრუქტურული] თორმეტი ტაბელი, რომოცდაშეიდი ფოტოსურათი. აქვე მოცემულია კერამიკის ნეკებისა და მონეტების აღწერილობა (გვ. 131—134).

ჩვენ ქართული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით მივედებით ამ ახალ აღმოჩენილ ძეგლს, სადაც, როგორც ითქვა, ქართული ადრინდელი (მე-4 საუკუნეიდან) დამწერლობის ფაქტი უნდა შემოწმებულიყო. ნაგებობის აღწერაში ერთბაშად გარემოებამაც მიიქცია ჩვენი ყურადღება. ეს არის ვირჯილიო კობოს მიერ თვით ტაძრის შენობაში აღწერილი საფლავები. საფლავების ორი სახეა აღწერილი დასახლებულ ნაშრომში. ერთია ღია საფლავები მონასტრის გარეთ და აქვეა მათი გვეგა (ფიგურა 36, გვ. 126 და ფიგურა 37, გვ. 127). ყურადღებას აქვრობს ე. წ. „დაბურული საფლავები“, რომელთაც სამი ჭრილი აქვთ.

ჩვენ ამ საკითხით იმითმ დაინტერესდით, რომ, თანახმად პეტრე იბერის „ცხოვრებისა“, პეტრე და მისი თანამოაზრე — იოანე (ღაზი) დასაფლავებული არიან „ეკლესიისა შინა თვისისა“ (ცოტ. გამოცემა, გვ. 272). ეს ცნობა „ეკლესიისა შინა“ სავსებით უდგება ვირჯილიო კობოს აღწერილობას, სადაც ნათქვამია, რომ „მონასტრის (ქართულს) შინა აქვს დიდი სამარხი, ნაწილობრივ ეკლესიის ქვეშ ხოლო უფრო დიდი ნაწილი — მის სამარხით...“

აღწერის მიხედვით, თვითონ ტაძარში, ეკლესიის აღმოჩნდა სამი სამარხი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო დაკავებული, სხვა ორი კი ცალიერი აღმოჩნდა. სხვა ნიშნების მიხედვით ეტყობა, რომ ამ ორ საფლავში, რომლებიც ეკლესიისთ, კვლელთან ყოფილა მიცევალებულია, და, ჩანს, ისინი შემდეგ ამოუღათ. აქედან ცხადია, რომ ამ გათხრების დროს მიცევალებულები საფლავებში არ აღმოჩნდებოდნენ. სამწუხაროდ, ვირჯილიო კობო არ დაინტერესებულა პეტრე იბერის საფლავით, რომელიც მითითებულია პეტრეს „ცხოვრებით“ და რომელიც აღწერილობით ემთხვევა „დაბურულ სამარხს“ (კრიბა ნეკროპოლს).

ხომ არაა შესაძლებელი, იმედი ვიქონიოთ, რომ მე-7 საუკუნის ნახევარში, „ღაზთა მონასტრის“ მუსლიმანთა მიერ დაქვეყნის შემდეგ, ეს ორი მუსლიმური პეტრე იბერისა და იოანე ღაზისა გადაიკანეს იმედი მიღამოში აღდგენილ სხვა მონასტრში?

ჩვენ აქ მხოლოდ ვაყენებთ საკითხს და მას ახლო მომავალში დაეუბრუნდებით.



კირიკა ზრანვირი



ღავით კაკაბაძე

1911 წელს შემოდგომის ნისლეში ვახვეუ-
ლი პეტერბურგი. ქუჩები, სახლები და ცა
თიქოს რუხი ფერის გამჭვირვალე ფარდითაა
დაფარული. დიდი ქალაქის ხმაური ინთქმება
უძრავ ჰაერში. ნების პროსპექტზე მიამიჯებს
საშუალო ტანის, კამარშემოკერილ სტრუდენ-
ტურ მანარაში გამოწყობილი, ახალგაზრდა.
მკაფიოდ გაისმის ქუჩაში ნაბიჯის ხმა. ცნო-
ბისმოყვარეობით თვალს აყოლებს იგი პროს-
პექტის პანორამას, არაფერი გამოჰპარვია, არც
შენიშვნის არქიტექტურა, არც ხიდეები, მღა-
ზის ვიტრანები, რეკლამა, ქუჩაში მოსიარუ-
ლნი.

შორეულ საქართველოდან ჩამოსული ახალ-
გაზრდა ღავით კაკაბაძე მტკიცე ნაბიჯით მიე-
მართებოდა უნივერსიტეტისაკენ, სადაც იგი
სწავლობდა ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტ-
ზე. იგი მიდიოდა ქალაქის შთაბეჭდილებებით
აღსაესე და თან ფიქრობდა თავის მომავალ
ბედზე.

ღავით კაკაბაძე დაიბადა 1889 წელს, სო-
ფელ კუხში, ქუთაისის მახლობლად, ღარიბი
გლეხის ოჯახში. მამამისი ნესტორი, თემცა
მას არ მთელია სისტემატური განათლება,
შინვე გამოიჩინოდა სოფელულებში ქართული
ლიტერატურის კარგი ცოდნით. სამშობოს ძებ-
ნაში დაეხეტებოდა იგი შვეიცარიის სანაპირო-
ზე და ერთხელ ოდესსაიცი კი ამოჰყო თავი,
აქ ნესტორი შეშაობდა ნაუსადგურის მტიერ-
თავად. საქართველოში დაბრუნების შემდეგ
იგი თავის ოჯახით დასახლდა ქუთაისში, სადაც
შეშაობდა მეზორნულ რაიონზე. პოეტები ტი-
ციან ტბიძე და პაოლო იაშვილი ხშირად
იგონებდნენ ნესტორს. მის ტკბილქართულს
და საინტერესო საუბრებს. ნესტორ კაკაბაძე
ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ თავის
შვილებისთვის განათლება მიეცა. ნესტორისა
და მისი მეუღლის ელჯის თავდაღებულმა
ზრუნვამ ბავშვებისადმი უხვი ნაყოფი გამოი-
ღო. უფროსი შვილი სარგისი ვახტანგ მეცნიერის-
ისტორიკოსი, მკაველი დაბეჭდილი და დაბეჭ-
დავი შრომების ავტორი. მეორე შვილი არ-

ტემა — ექსპი და ბოლოს ღავით—შატავა-
რი და გამოგონებული. პატარაობიდანვე სამი-
ვე გამოიჩინოდა მეცნიერებისაკენ ღრულ-
ვით, შრომისმოყვარეობით და ხელოვნებისა-
დში სიყვარულით. განსაკუთრებით გიმნაზიაში
სწავლის დროს ღავით აღმოჩნდა შატავა-
რის ნიჭი, მაგრამ ამავე დროს იგი გატაცებუ-
ლი იყო ფიზიკითა და ქიმიით. და როცა გიმ-
ნაზია დაამთავრა, მისი ბედი გადაწყდა: ღავით
დაენიშნეს სტაჟენდა უმაღლეს სასწავლებელ-
ში საყვარელი მეცნიერების დასაუფლებლად.
მის წინ გაღაიშალა მეცნიერულ ცვლევისა და
ექსპერიმენტატორული სამშაობის წარმოე-
ბის თვალწინდელი არე. ახლა პეტერბურგში
გავსნა მას უმაღლესი სასწავლებლის კარი
და ღავითა გადაწყვიტა მეცნიერებას თავი
დაედოს, ცოდნა ხალს შესწიროს, თავისი
გამომგონებლური ნიჭი მოახმაროს მეცნიერე-
ბის წინსვლას, ქართველი ხალხის ბედნიერე-
ბას.

მაგრამ სხვა გრძნობაც აღელვებდა ღავითს.
ეს იყო სიყვარული ხელოვნებისადმი, ფერ-
წერისადმი, ხატვისადმი. ფანქარი, ქაღალდი,
ფუნჯი — მისთვის საიდუმლოების, მომხიბუ-
ლელობისა და რაღაც მაგიური ძალის შემე-
ცველ იყვნენ. მეცნიერული მუშაობისაგან თა-
ვისუფლად დროს ღავითი გატაცებთ ხატვს,
გულმოღვივებ ათვლიერებს სახმატრო გა-
ლერეებს, ავირდება სურათების შინაარსს და
ოსტატობას ეუფლება.

ღავითი უახლოვდება სასახლის მოედანს.
მის წინ აღმართა ოქროს შილით დაგვირგვი-
ნებული საადმირალო შენობა, მარცხნივ ისა-
კის სობორის გუმბათი, მარჯვნივ ზამთრის
სასახლის პერსპექტივაში მოჩანს ერმიტაჟი,
მსოფლიო ხელოვნების საგანძურა. ღავითი
მერყეობს: ერმიტაჟი მაგნიტივით იზიდავს მას,
ერთი საათით აიწინე შეივლის, განა შეიძლე-
ბა გვერდი მიწის რაფაელს, რემბრანდტს,
დიდ ესპანელებს... სასახლის მოედანზე ამ
დროს ყარაულების დაგზავნა წარმოებს. ხმა-
ურობა საყვირი, გუგუნებს დაფდოფი. გვირ-

დღეები, ტანადი ჯარისკაცები, პედაგოგნი ნაბიჯს, ხელმწიფის სიახლოვე აორკეცებს მათს თავკამოდებს. დავითმა გაიფიქრა: აი, სამხედრო იმპერიის ძალა, რომელიც ახრახუნს ხალხთა მასებს, ახალგაზრდა დავითს აგონდება 1905 წელს სამშობლოში: მემშობის დაზარტა, ვაფიცვები, ბარკადები. აგონდება დამსჯელი რაზმები, წითელი დროშები. არა, დავითი არანდროს არ დაიფიქვებს ჯალათების ღვარძლიანობასა და გულჭეობას. აღლულებული იგი ვალწევტებს ერმიტაჟში შესვლას, აქ იგი იქნება თავის საყვარელ სერათებთან... მაგრამ ვაფიცვის ერთი საათი და ზეენ უკვე ეხედავთ ახალგაზრდა ფიზიკოსს ლაბორატორიაში. იგი ჩაეფლო ნახაზებსა და ცდებში. თანდათან ერმიტაჟის მომხიზლავი სერათები ოცნებასავით იფანტებიან და ფიზიკური ფორმელები, რეაქციები დაეფულენენ მას.

სკოლაში ყოფნის დროს, ერთხელ დავითს მამამისმა უფილა საღებავები, ფრხეი, ყუთი და მოლბერტი. სხარელსაგან ჰამბეი ცას ეწია, ძლივს მიეცა საშუალება იმეშობის ისე, როგორც ოცნებობდა. დავითის სკოლისდროინდელი ნახატები ამჟღავნებენ ფერმწერის ბუნებრივ ნიჭს და მხატვრის მარჯვე თვალს. დავითს აგონდება გიმნაზიაში მისი ნახატების პირველი გამოფენის წარმატება, აგონდება დედ-მამა, ძმები, შობილიური კუბი, მეგობრები ქუთაისის გიმნაზიიდან, იმერეთის ლამაზი პირაყვები. ახლაც პეტერბურგში მის ჰუჯას კარგი მეგობრები, სამხატვრო აკადემიის მოწაფეები. ერთი მათგანი მთხილ ლე-დანტიუ ცხოვრობს გორბოივის ქუჩაზე. ლე-დანტიუ, წარმოშობით ფრანგი, „ახალი ფერწერის“ თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი. მაგრამ მისი ცდები და პრაქტიკა ამათ დამთავრდა, რომ იგი გააქვეს ავადმთიდან, რაც მიანცდამიანე არც თუ ისე ძლიერ აწუხებს მას. ლე-დანტიუ ყოველთვის გულკეთილად ხედება ბოლშე დავითს. მას უყვარს კაცობაჲ, მასთან საუბარი, კამათი. კაცობაჲ ხომ კლასიკური მხატვრობის თავყანსმცემელია, ჰეკიანი, კელტურული აღამიანი ფართო პირიზონტით და ახალი იდეებით ხელოვნებში. გრძელ და ვიწრო ოთახში, რომელიც გაქვდილია წარმოუდგენლად გაფერადებული კუბისტური სერათებით, ლე-დანტიუ მაგიდას ათავისუფლებს ათასგვარ ქალადებისაგან, აწაღებს ცხელ ჩაის. შემოდინ ძმები ზდანევიჩები: ილია-იურიდიულ ფაველიტის სტუდენტი, პოეტრი, არქეოლოგი, კრიტიკოსი და კირილე—მხატვარი. და იწყება ვაცხარებული კამათი ფერწერაზე, ხელოვნების ვებზე, გამოფენებზე, „მირ სკესტრუხე“, ბრუსოვსა და ბლოკზე, მოსკოველ პრიმიტივისტებზე. დავითი რეალისტური ხელოვნების პრინციპებს იცავს და

ენამხვილად დასცინის „ახალი ფერწერის“ ახალმოვლენილ წინასწარმეტყველებს. უნარე კამათი შედამეს სელოლებს: „დავით, უფრო-ხილდით ხელოვნებას, — ეუნება ლე-დანტიუ. — ხელოვნების პირველივე შეხებისაგან, თქვენი ფიზიკა და ქიმიკა შეიქნება ვაჭრისა“ დავითს სურება, რომ იგი მენციონებისაღმე ერთგული დარჩება, კამათი ხელახლა წაღდება. პაერში ისმის სიტყვები: რეალიზმი, რაფაელი, ფეტერისმი, პირველყოფილ ხალხთა ხელოვნება და სხვ. ლე-დანტიუს აზრით ხელოვნება მარტო მუხუდებში ცი არაა, ხელოვნება ყველგანაა, ხალხში, უცნობ ადგილებში. მომავალი წლის ვახაფხულზე იგი ჩანენიონთან ერთად აპირებს საგარეულოში ჩასვლას ხალხურ ხელოვნების საძიებლად. მათ სურებათ, რომ ქართული ხალხის წილნი იმალება ხელოვნების აუარებელი ტალანტი და ნიჭიერება. მართლაც, მათი იმდროინდელი ოცნებები მომავალში საყვებით ვამორკოეღდენ... ბოლოს „მებრძოლი“ სტოვებენ კმყოფილ მასპინძელს (დღევანდელი დისპუტი აშკარა წარმეტებით ჩატარდა) და მძინარე პეტერბურგის დაპირებულბუღ ქუჩების ნისლში იყარებენ.

დმიტრიე-კავკასი, ჩინებული პედაგოგი, კავკასიის მოგების, უხვი ევლებს, მათს მშფოთვარე მდინარეების და სამხრეთელ მზის მხატვარი ყურადღებით ათვლიერება ახალგაზრდა დავითის ნახატებს. კმაყოფილი დარჩა და ჩარიცხა თავისი სტუდიის მოწაფეთ სიაში: „ხატვას ვასწავლი, რაც შეეხება ფერების გრძნობას, ქართულებს გამოუღვეელი გაქეთ“ — უთხრა მან. უნივერსიტეტისაგან თავისუფალ დროს საღამოობით დავითი გულმოდგინედ ეუფლება ხატვას ცოცხალი ნატურლიდან და ანტიკური გმირების თხამირის ტვიფრების მხედვით. დმიტრიევის სტუდიაში დავითის სწავლა წარატებით მიმდინარეობდა, ახალგაზრდა მხატვარს ყოველწლიურად წინსვლა ეტყობოდა.

დადგა 1912 წლის ზაფხული. დ. კავკაძემ სცადა თავისი მუშაობის შეჯამება და ფერწერისაღმე თავისი დამოკიდებულების გამომე-შეხება. მან გამოცხად ღელუარაიცი, სადაც მართალში ამტკიცებდა, რომ სურათი უნდა იყოს „გაკეთებული“, ე. ი. დამთავრებული, ფორმას და ფერს უნდა ჰქონდეთ მკვეთრად გამოჩენილი ფარგლები. არსებითად ეს იყო პრობესტი იმდროს ვაჭრეული მამდინარობის წინააღმდეგ, რომელიც ქალაკებად დაუბეწენდ ფერწერას, ფორმისაღმე უგულბელყოფას... ამრიგად, ჯერ კიდევ მხატვრული შემოქმედების დასაწყისში დ. კავკაძე თეორეტიკლად ასაბუთებს თაის მიმართებას ფერწერისაღმე. მას ყოველთვის სურდა მუ-

შობა იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც მის მაინც უფელზე მართებულად. დავითი ყოველთვის შთაგონებით მუშაობდა, მაგრამ ახრი ყოველთვის წინ უსწრებდა, კონტროლს უწყვეტ მის შემოქმედებას. პრინციპული, გულადი და ამაყი, დავითი მედგარად, აუღელვებლად და დაჯერებულად იბრძოდა თავისი ფერწერისათვის. ძირითადად, დ. კაკაბაძე მთელი თავისი სიცოცხლას მანძილზე ერთ მიზანდასახულებას ემსახურებოდა: სურათი უნდა იყოს ყოველმხრივ დამთავრებული, შესრულების მანერის დამოუკიდებლად, ყველაფერი შემთხვევითი უნდა იყოს გაქვევებული ტიოდან.

დ. კაკაბაძის შემოქმედება შეიძლება დავით რამდენიმე პერიოდად: 1) ხატვის პირველი ცდები, სოფელში და ქუთაისში, 1900—1909 წლები; 2) მეცადინეობა პეტერბურგში, 1910-1917 წლები; 3) საქართველოში დაბრუნება, 1918—1920 წლები; 4) 1920—1927 წლები, პარიზში ყოფნა; 5) 1928—1951 წლები, საქართველოში მუშაობა. ყველა ამ პერიოდს განსვენს დიდი სიყვარული ფერწერისადმი, თავისი საშუაობისადმი. ყველა მის დასრულებულ სურათს ახასიათებს უსაზღვრო სიყვარული თავისი სამშობლოსადმი.

დამირივე — კაკაბაძისთან სწავლის დროს დ. კაკაბაძე წარმატებით ეუფლება ფერწერის ხელოვნებას. მკვეთრი ინდივიდუალობის მატარებელი დ. კაკაბაძე მოწაფეობის დროსაც ეძებდა ახალ გამომსახველობის ხერხებს. იმ თავის მისწავლებლის სახელისნოში, დავითს ჩაესახა იმ სურათების დახატვის გეგმები, რაც მან მხოლოდ 1913 წელს განახორციელა. მან განიზარაბა ავტოპორტრეტის დახატვა, მაგრამ არა ისე, როგორც მამინ ასრულებდნენ რუბინოვს ფართო მონამებით. ზველუბრით ტანსაცმელი, ფართო ქვედი და დიდი ზანტბა — აი მისი ავტოპორტრეტის ატრიბუტები.

უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარების შემდეგ, დ. კაკაბაძე თავისი მეგობრებით (ლუდანიტო, მძები ზდანევიჩებმა) ბრუნდება სამშობლოში. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში გაქოცეულმა მხატვრული, ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრება. 1912 წელს „აღმოაჩინეს“ ნიკო ფაროსმანიშვილი და ამავე დროს იწყებს სამშობლოში თავის მხატვრულ მოღვაწეობას ახალგაზრდა დავითი. 1912 წლის ზაფხული მხატვარი გაატარა მშობლიურ იმერეთში. დავითი გატაცებული იყო დასავლურ საქართველოს მომხიბლავი პეიზაჟით, მან იგრძნო „იმერეთის პეიზაჟის“ თვისებურება და გამსჭვავებულობა. იქ, სადაც მკურნებლის თვლი მხოლოდ სიჭრელესა და ქაოტურობას ხედავდა, დავითმა პარველმა აღმოაჩინა და შეიგრძნო თავისებური მხატვ-

რული პარმონიულობა. ამიტომ მისი „იმერეთის პეიზაჟები“, მიუხედავად კონვენციურობისა, მიზიერებისა, აქვადენებენ მისს სურათებისა და ხეობების ხაზების, ფორმებისა და ფერადების საოცარ სინთესს. თავისი მხატვრული მოღვაწეობის დიდი დროის მანძილზე 1912-დან 1944 წლამდე, დ. კაკაბაძე მუდამ უბრუნდებოდა ამ თემს. თავდაპირველად მისი ნამუშევრები ეტიუდური ხასიათისანი იყვნენ, შემდეგში მხატვარი შეძლო ქართული პეიზაჟი დიდი ფერწერის სიმძლავრე იყვანა. მეტად საინტერესოა დ. კაკაბაძის მხატვრული შემოქმედების ეს მხარე. მან დაიწყო ნატურიდან შესრულებულ ეტიუდებით („ხიდი“ 1912 წ. და სხვ.) და ბოლოს მოგვცა ადამიანის ხელით გარდაქმნილი ბუნების კომპოზიციურად და დეკორატიულად საინტერესო პეიზაჟები. პირველი ნამუშევრები შესრულებული იყო მეტად მჭიდროდ მიწყობილი და ზუსტად განსაზღვრული რაოდენობის საფერავებით ისე, რომ ზოგი სურათისაგან რჩებოდა ბარელიეფურობის შთაბეჭდილება (თუმცა ამავე დროს ზუსტად იყო დაცული ფორმის მოხაზულობა). შემდეგში ტექნიკას პეიზაჟებში სოფლურ ახასიათებს, თითქმის არ მიჩანს მონასში და სურათის სიბრტყე ზედმიწევნითაა დამუშავებული. თუ პირვანდელ კომპოზიციურ პეიზაჟებში საფერავები ძირითადად მტკა, მკვეთრი ყვითელ კონტრასტულ ტონებთან შეფარდებული, 1933—1944 წლების პეიზაჟებში მხატვარი იძლევა ნათელ გამებს, რომლებსაც კონტრასტისთვის უმატებს მტკ-მწყავე და თითქმის შავ ფერს. მთები დასერილია მინდვრების ნაქრებით, რაც იძლევა წითელი, ვარდისფერი და ჩამქრალი იისფერი ტონების ვარიაციათა მომუჯადოებულ აკორდს. შეუძლებელია, დ. კაკაბაძის შემოქმედების უკანასკნელი წლების „იმერეთის პეიზაჟების“ ფერების მშვენიერების აღწერა. მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ფერწერის დარგში ცდების წარმოება, ახალი კონტრასტებისა და შეხამებათა ძიება, უსარგებლოდ არ ჩაუვლია მხატვრისათვის. მას საშუალება მიეცა უფრო თავისუფლად და თავისებურად გამოეყენებინა ის, რაც სხვისთვის მხოლოდ უსარგებლო ექსპერიმენტად რჩებოდა. ამ მხრივ უოველი მისი სურათის ჩანაწიქტი ზუსტ კომპოზიციურ განხორციელებას პოულობს, თუმცა ხშირად სწორედ კომპოზიციკა გვაოცებს მოულოდნელობითა და უჩვეულობით. მხატვარი ხერხებით დ. კაკაბაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პეიზაჟის პერსპექტივას. მისი პეიზაჟები, სადაც ხან კოშკების ნანგრევებია გამოსახული, ხან ქარხნებისა და პილდროსაგურების კორპუსები, ღრმად ნაციონალურია აქ თითქმის გასამის ქართული სიმღერა, ხან სვედიანი,

ხან მზიარული. პოეტურობა, უბრალო ხალხის ცხოვრებასთან სიახლოვე იგრძნობდა დ. კაკაბაძის სურათებში. „იმერეთის პეიზაჟების“ სერია უთვლი დ. კაკაბაძის მხატვრობის ერთ-ერთი ბრწყინვალე მიღწევაა. მაგრამ, 1932 წლის პეიზაჟები არსებითად განსხვავდებიან 1944 წლის პეიზაჟებისაგან. 1932 წლის ფერთა ვაჟა ძირითადად შემოიფარგლება მწვანე, ყვითელი და ყავისფერის მრავალნაირი ვარიაციებით. 1944 წელს ქარბობს ვარდისფერი, წითელი, მთების პერსპექტივა შორს, ზევითყენ იშლება, ზოგჯერ სურათის ჩარჩოსაც კი აღწევს, რაც ბუნების თვალწვდენელობის შთაბეჭდილებას ქნის. იმერეთის პეიზაჟის მოტივი ხშირად გამოყენებული აქვს მხატვარს თემატურ სურათებშიც. ამის შესანიშნავი მაგალითი გვაქვს საეცხო სურათში „იმერეთი, დედაიმი“ და ასე.

1912 წლის შემოდგომაზე დ. კაკაბაძე ბრუნდება პეტერბურგს. აქ იგი გააჩაგრძობს მეცადინეობას უნივერსიტეტში და მხატვარ დიპლომ-კავის სტუდიაში. 1912 წლის ზამთარში მხატვარი პირველად ხატავს ფინეთის ერთელებს: თეთრი თოვლისა და იასამანისფერ, ცისფერ ჩრდილების ცივი ვაჟა, ყვითელ და ვარდისფერ ტონების შეუმჩნეველი შეხამებანი — ამჟრად მოწმობენ, რომ დ. კაკაბაძის სახით ჩვენ გვაყავს უჩვეულო ფერების შესანიშნავი ოსტატი.

1913 წლის დასაწყისში დ. კაკაბაძე ხატავს სურათებს: „მეგობრის პორტრეტი“ და სამ ავტოპორტრეტს: „სარკესთან“, „ბროწეულით“ და „უბ-სტურ ავტოპორტრეტს“. ოთხივე სურათი შესრულებულია სვადსხვა მანერით. ჯერ კიდევ პირველ თავის სურათებში დაეთმო ამქაუნებდა გამოვლენების ნიჟს და მძივებდა გონებას. დ. კაკაბაძის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება საეცვა ძიებებით და აღმოჩენებით. არ არსებობს დ. კაკაბაძის არც ერთი სურათი, სადაც იგი დამშვიდებული და თვითკმაყოფილი ჩანდეს, თუნდაც რომ მისი აღმოჩენები და მიღწევები უნაყოფო ყოფილიყვნენ. ასეთივე მძივებული და გამოვლენებული იყო დ. კაკაბაძე მუცნიერებაში, მაგრამ ეს მოხდა უფრო გვიან, როცა მხატვარი პარიზში იმყოფებოდა 1921 წელს.

მეტად საინტერესოა, როგორც მხატვრის შემოქმედებითი ძიების ნიშში, დ. კაკაბაძის სამი ავტოპორტრეტი. აი, „ავტოპორტრეტი ბროწეულით“: მიქლერჯ-მწვანე ფონზე სტუდენტური ქურთუკის თითქმის შავი სილუეტი. ფეგრა, პოხა, თავის შობრუნება ამქაუნებენ ესანტრი ღერწუხას გეულენას. გეგონებათ თქვენ წინ მადრიღელი ამყავს გრანდი ღვას. სახის ნაყოლები მუტყველებენ ადამიანის ნებისყოფას, ზედმიწევნით კარგადაა გამოყვანილი

თმა, შესანიშნავადა დახატული თვალები. თვალამოჭრელი სოეთრის პერანგს, კოლივით ქრის მეტა კიტელი. მაგრამ ფონი შესრულებულია სპარსული მინიატურის სტილით. გაბედული ცდა ერთ სურათში სხვადასხვა სტილის გაერთიანებისა, რაც მიღწეულია თვითონ მხატვრის შემოქმედებითი ოსტატობის წყალობით ფერწერის ფაქტურა გლუვია, ზედმიწევნით დამუშავებული, არ ემჩნევა ფუნჯის შემოხვევითი მოსმა. ეს იყო პირველი სურათი, რომელიც დ. კაკაბაძის ნამდელი შემოქმედებითი გზის დასაწყისის აღნიშნავდა. აქედან დაიწყო მხატვრის შემოქმედებითი აღმავლობა, „ავტოპორტრეტი ბროწეულით“ — დ. კაკაბაძის შემოქმედებითი პრინციპების გამოშხატველი სურათია, ამ ხალხის გაგრძელებას ჩვენ კიდევ ვნახავთ მის გვიანდელ შემოქმედებაში.

სულ სხვა მანერით, თავისუფლად, რეალისტურ მანერითაა შესრულებული მეორე ავტოპორტრეტი, იმავე 1913 წლისა. ამ სურათის ფაქტურა საგრძნობლად განირჩევა პირველი ავტოპორტრეტიდან. ფუნჯის თავისუფალი მოსმა, ძალდატანებელი და მსუბუქი მანერა წერისა. ეს მანერა უფრო მშლავად მკლავდება დ. კაკაბაძის შემდგომ ნაწარმოებებში, მავალითაღ, „იმერულ პეიზაჟებში“ და მეტადრე თეატრალური დეკორაციების ესკიზებში. ამ სურათში ყურადღებას იპყრობს თეთრპერანგთან მხატვრის ფეგრა, რომელიც თავისუფლადაა მოთავსებული სობრტყვე. მხატვარი ხის შუქის პირისპირ, და მისი ფეგრა კარგადაა შეხამებული სურათის მეორე პლანთან. შობრული ჩარჩო სარკისა, რომელშიც მოჩანს დაეთი, მთელ კომპოზიციას მკვეთრად გამოსახავს ფანჯრის, მავიდისა და კახეთის ვერტიკალური ხანებით. პირველ ავტოპორტრეტთან შედარებით აქ ფეგრა უფრო ნათელია — ცისფერი, იისფერი, ღია ყავისფერი და თითქმის შავი, მუქი-ყავისფერი, მოთეთრო-ვარდისფერი. შესამე „უბსტურა“ ავტოპორტრეტი თითქმის თავისებური რეალია იყო მხატვარ ლე-დანტიუსაღმა. მაგრამ, შემდგომ შემოქმედებაში, 1920 წლამდე, დ. კაკაბაძის ნამუშევრებში კლებისტურ მანერას აღვილი არ ჰქონდა.

1913 წელს მხატვარმა პირველად მიიღო მონაწილეობა პეტერბურგის გამოფენაში. დ. კაკაბაძის სურათებმა მიიპყრეს ხელოვნების დამფასებელთა ფართო ყრვების ყურადღება. ქართული მხატვრობის კოლორტის სინტიღემ, ორიგინალურობამ და უშეალობამ პეტერბურგელების სიმამთია გამოიწვიეს. შემდგომში, 1918 წლამდე, დ. კაკაბაძე მუდმივი მონაწილეა პეტერბურგის დიდი გამოფენებისა. ნაყოფიერი და დამაბული მკვადინეობა უნეერსიტეტსა და მხატვარ დმირტრე-კავისკის სტუდიაში დამთვრდა 1916 წელს. მაგრამ, 1917

წლიდან 1918 წლამდე დავითს მოუხდა სამხედრო სამსახურის გადახდა, რამაც მანაც ხელი არ შეუშალა მის ფერწერაში მუშაობას. 1917 წელს დავითმა ისევ დახატა ავტობორტები, სადაც იგი აეთარებდა იმ მხატვრულ ხერხებს, რომლებიც შეიმუშავა „ავტობორტებში ბროწელთი“. მაგრამ, როგორც განსხვავება ოსტატობაში! ოთხი წლის მანძილზე დავითის მხატვრული ოსტატობა განუზომლად გაიზარდა. ნახატი, მოდელირება, ფორმა და ფერი უფრო ვაუმჯობესდა და პარმონიულობას მიაღწია. შესანიშნავადაა დახატული სახე და, როგორც ყოველთვის, თვალები. და ისევ ექსპერიმენტული შერჩევა სტილითაა ფიგურის, პეიზაჟისა და ფონის გამოსახვისას. მაგრამ დავითის ტილანტმა აქაც გაიმარჯვა — ყველაფერი ერთ მოლიანობაშია მოყვანილი. სურათი გამოირჩევა სუფთა ფერებით, წერის სინატიფით.

1918 წელს დ. კაკაბაძე ათიჯერებს სამხედრო სამსახურს და მიემგზავრება სამშობლოში, საქართველოში.

საქართველოში ჩამოსვლისას დ. კაკაბაძის წინ გაიშალა მოღვაწეობის ფართო ასპარეზი. მის ჩამოსვლას მესიალმა ხელოვნებისა და ლიტერატურის მრავალი მოღვაწე, რომლებიც იცნობდნენ ახალგაზრდა დავითს. პოლიტიკურად ეს დრო არაერთი იყო, მენშევიკური რეჟიმი ხელს არ უწყობდა ხელოვნების განვითარებას, მაგრამ დ. კაკაბაძე გამოიწვია საშეღებო რომ ხალხს ემსახუროს! სკოლაში ხატვის მასწავლებლად მოეწყო. ამავე დროს, ირი წლის მანძილზე, 1918-დან 1920-ამდე, პარიზში წასვლამდე, დ. კაკაბაძემ მთელი რიგი საინტერესო ნაწარმოები შექმნა: ზეთით, ფანქრით, აკვარელით, აგრეთვე „ქიმიკონის“ მონატვის ესკიზები. ამ ნამუშევრებიდან ზოგი ახლაც ამწვევებს ჩვენი მუზეუმების კედლებს. ერთ-ერთი საექვეთესო სურათი, რომელიც დ. კაკაბაძემ ამ დროს შეასრულა, ეს არის ზეთით შესრულებული ტილო ზომით 139×157 „იმერეთი. დედაიქში“. ეს უკანასკნელი სურათი გამოხარია დედისადმი და დედა-სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით. ეს ებიკერი ტილია მალაი ოსტატობით შესრულებული, დიდი სიბრძნით და სიმძლავრით აღმუშავებული. მშრომელი გლეხი-ქალი ზეს თავისი სახლის ეზოში ხის კენჭზე. მისი დაღლილი ხელები არ ისვენებენ, იგი ახლაც ძაღს რთავს. სადა ტანსაცმელს ამწვევებს გულმოგონიერ „დამუშავებელი“ შალა და მტეტი-წითელი ფლოსტები. თითქოს გამოქანდაკებული სახე მერყეულებს რომ მის ცხოვრებაში ბევრი გაპირვება გამოუვლია. წინა პლანის კარბი მწეანე ფერისა და შერეულ პლანის მსუბუქი ლურჯის ვარაიციები თავის

დაბოლოებას პოელობენ ყვითელ ტონების აკორდებში სურათის ზემო ნაწილშია მდებარე, ალვის ხეები, ფოთლები, ყვავილები, სხვადასხვა ყველაფერი ხელმწიფებითაა დამუშავებული, როგორც ჩვენსანის ოსტატებს სჩვევიათ. ავტორისათვის მშობლიური და კარგად ნაცნობი სურათია აღმუშავებული ამ ტილოზე. პეიზაჟში, სიყვარული, კალიმოყვანება — აი რითია გამოხარო ეს სურათი, — ახალგაზრდა მხატვრის დიდი წარმატება. სურათის ზედაპირის ხელმწიფებით დამუშავება ხშირად გვხვდება დ. კაკაბაძის ნამუშევრებში, მაგრამ ეს სურათი უკანასკნელი ხარკია ძველი ოსტატობით გატკეპისა. ამის შემდეგ დ. კაკაბაძე ხატავს ახალ სურათს, რომელიც გამოფენაზე გამოსვლისთანავე ცხარე კამათის საგანი ხდება, ესაა — „იმერული ნატურმოტი“. ორიგინალური და გაბედული ტილოა. მართლაც, ძნელი ქართული ხელოვნებაში ამაზე უფრო ასეკტური და სადა სურათის მოძებნა. ჩვეულებრივი, ფუფუნებით აღსავსე ნატურმოტიების გვერდით ეს ნაწარმოები ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი სისადაიფით. თუთრ მაგიდაზე ორი ხელადაა გამოსახული, აქვეა მარანის საწმენდი ხელსაწყო, სიმინდის ტარო და სპალუნის ქვაბი. ფონი შავია, დიდი სიყვარულითაა დამუშავებული საგნები, მსუბუქი, მოხდენილი კონტურებით შემოვლებული. ეს სურათი იწვევს მოგონებას ნიკო ფიროსმანიშვილზე. დავითი ზომ პირადად იცნობდა მას, პატვისცივებით და სიყვარულით ეპყრობოდა. უკანასკნელად იგი შესვლა ფიროსმანიშვილს 1917 წლის ზამთარში. დავითი და ლილო გუდიაშვილი ეძებდნენ ნიკოს და როდესაც გაიგეს, რომ იგი „მუცენატ“ ბუგოსთან იყო, მოვიდნენ მასთან და მთელი საღამო ერთად გაატარეს, მგობრულ საუბარში გაბრუნებულნი. დავითი გაოცებული იყო ნიკოს ორიგინალური მსჯელობით ფერწერის შესახებ. ეს იყო ნიკო ფიროსმანიშვილის ცხოვრების უკანასკნელი თვეების დრო, მის სიტყვებში გაპირვების შესახებ იკრძნობოდა სევდა. დავითს უნდოდა, რომ ნიკოს მისი პორტრეტი დაეხატა. მაგრამ, სამუშაოდად, ნიკომ ვერ შეძლო დავითის სურვილის შესრულება, ძალა აღარ ჰყოფნიდა, და სობოდა დავითს მისი სურათები ეყიდნა, თუნდაც ბუგოსაგან: „მე მისთვის სხვას, ახალს დაეხატე“, დასძინა ფიროსმანიშვილმა. ეს უკანასკნელი შეხვედრა ფიროსმანითან სამუდამოდ დაარჩა დავითის მუხსიერებაში. მხატვარმა ზომეში მიიღო და ფიროსმანიშვილის რვა სურათი შეიძინა.

დ. კაკაბაძის შემოქმედებისათვის 1918 წელი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ წელს ეკუთვნის მისი რამდენიმე სურათი „იმერეთის პეიზაჟებისა“, აქ ყურადღებას იპყრობს

უფრო თავისუფალი და მკეთრი კომპოზიცია, უფრო მეტად გააზრებული ფერადული გამა, მთების უფრო ფართო პერსპექტივა. სამშობლოს საყვარელი, რომელიც ყოველთვის ასულდგმულდება მხატვარს, „იმერეთის პეიზაჟებში“ უფრო მეტი სიღრმით შედგენდება. თითქმის ყველა სურათებში იგრძნობა არგად გამოვლინებული ფორმა, სწრაფ კონტურული ხაზით გამოსახული. ამ ხერხით დ. კაკაბაძე გამომსახველობით ძალს ანიჭებდა თავის სურათებს, მაგრამ ამავე დროს დეკორატიულობის ელემენტაც შემოქმედდა ნაწარმოებში. ხაზი ყოველთვის ახისათვის დ. კაკაბაძის სურათებს, მეტადრე მისი შემოქმედების პირველ პერიოდში. ზოგიერთ აკვარელში (როინანები) ხაზი მთავარი კომპონენტია სურათისა. აქ ფერი და ფორმა ადვილს უთმობენ ხაზს. განსაკუთრებით შედგენდება დ. კაკაბაძის ოსტატობა ძველი თბილისის ხაზობრივ სურათებში (1918 წ.), რომელნიც უბრალოდ არიან ვაკეთებელი, ეფემერული კონტრასტებს და შავ ჩრდილებს მოკლებულნი. თავისუფალი მანერით გამოიყვანს დ. კაკაბაძეს ერთმანეთზე მიერილი ძველი სახლების მეტად რთული ნახატი: სახურავების, ხეების, ტელეგრაფის ბოძების, ცენტრების გეგმათების, დაფარებული აფენებისა და შრეულ ქუჩების კონგლომერატს. უველაფერი ეს დოკუმენტური სიზუსტით არის გამოსახული ქალაქზე. დ. კაკაბაძის ფიქზი, დახეწილი ხაზი კლასიკური ნახატის სიმბოლოდ აღწევს ძველი თბილისის ნახატებში არ იგრძნობა არაერთი ფოტოგრაფიულობა, პირიქით, პოეტობით აღსავსეა ისინი აშლანებენ ნაციონალურ კლორიტს. ძველი თბილისის ნახატები — ძველი ეპოქის განუყოფელი ძეგლები დაკრძალულია. ამ ნახატების გვერდით უნდა დავსახელოთ წაღვრის აკვარელი. ტექნიკური შესრულებას ოსტატობის გარდა აქ უნდა აღვნიშნავთ იმერეთის შეფერავლების სითამამე, ზუსტი ნახატი. 1919 წელს დ. კაკაბაძე კვლავ უბრუნდება თავის საყვარელ თემს — შეასრულა დიდი ტილო, ზომით 104×123, „იმერეთის პეიზაჟი“, რომელიც ამჟამად თბილისის მუზეუმშია.

ამ დროს ქართველი პოეტების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა რუსთაველის ფერტის ქვეშ მოთავსებული „ქიმიკონის“ გადამკეთება კლუბად, რომლის კვლევების მოსახატავად მოწვეული იყვნენ ცნობილი მხატვრები სერგეი სუდოვინი, (მთავარი დარბაზის კერი), დიდი გუდაიშვილი (ჩასახელები კიბის ორივე კედელი), დიდი კაკაბაძე (დარბაზის ბოლო კედელი), არსებობს ესკიზები ყველაიანი ვახუშტის ხუთი ნახატისა, იმერეთის ნატურმორტის ორი ნახატისა და ხუთი ფიგურის გამოსახუ-

ლებისა (დავითი, გუდაიშვილი და სხვ.). დ. კაკაბაძის მიერ მოხატული ქველს ყველას აოცებდა და აღტაცებდა მომყვანი ფიგურების პოზების გაბედულებითა და ორიგინალობით. მთლიანად „ქიმიკონი“ ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა ფერებს უჩვეულო შეხამებით, დიდებული ფორმებით, მკეთრი სატრიაკული ნახატებით. „ქიმიკონის“ გარდა, ამავე დროს დარბაზი „ფინტასტიური“ დეკორი“ და „არგონაუტების ნაი“, რომელთა კედლები აგრეთვე მხატვრების მიერ იყო მოხატული. ეს სამი შენობა იმდროინდელი თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში არაბედულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს დ. კაკაბაძე ვაენო სხვადასხვა ფორმალისტურ სკოლას პოზიასა და ფერწერაში, თითონაც სკავდა ტექნიკურების სახით. რამდენიმე სურათში გამოყენებინა ნატურის გომბერეზიაცია — „აგტაორტები“, „დაკრალა იმერეთში“ და სხვ. მაგრამ ამ სურათების ხედვრითი წონა მის შემოქმედებაში არც თუ ისე დიდი იყო. რეალიზმისადმი ბუნებრივად მიდრეკილებამ გაიზარჯა დ. კაკაბაძის შემოქმედებაში და იგი დაუბრუნდა ისევ ამ გზას, რომელიც დაიწყო 1912 წელს.

1920 წელს ორი ახალგაზრდა ქართველი მხატვარი აღმოჩნდა პარიზში — დ. კაკაბაძე და ლ. გუდაიშვილი. საქართველო იყო ძლიერი ნებისყოფა, დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნება რომ ამ დიდი ქალაქის ორბიტრიალში არ დაეკარგულიყო, დიდ ხელშეწყობას ზიარებულად და აღიარებისთვის მიგდწია. ჩვენმა მხატვრებმა დიდი ბძოლა და გაჭირვება გადაიტანეს ვადრე ცნობილი გახდებოდნენ პარიზის მხატვრულ წრეებში, რასაც მაილწივს დიდი შრომითა და ჯაფით ეწეოდნენ. მათი პერსონალური გამოყენები პარიზში, მონაწილეობდნენ ლონდონის, ნიუ-იორკის და სხვა დიდ ქალაქის გამოყენებში. პარიზში გამოვიდა მონოგრაფიები მათი შემოქმედების შესახებ, სურათები შეიძინეს მუზეუმებმა და ეგრეთე კოლექციონერებმა. თავდაპირველად დ. კაკაბაძეს აინტერესებდა პარიზის „პეიზაჟი“. იგი ფანქრით ხატავდა ქალაქის ბუღარებს, პარიზულებს, ქუჩებს, ხიდებს, სენას, ნოტრ-დამის ტაძარს და არქიტექტურის სხვა ცნობილ ძეგლებს. პარიზის ნახატები შესრულებულია სხვა მანერით, ვიდრე ძველი თბილისისა. რბილი, შავი ფანქარი ჩრდილებით გამოყოფს ფორმას, ზოგი ნახატი ფერწერის შთაბეჭდილებას ტოვებს, ისე ოსტატურადაა გამოყენებული ფანქარი. დაახლოებით 70 ნახატი შეასრულა მხატვარმა. გარდა ამისა ორი სურათი დახატა: „წერბე-

ლებით მოეპყრე“ და „ბანანებით მოეპყრე“. ამ რეალისტურადა გადმოცემული აღმზიანი და ბუნება, დაცული საერთოდ ქართული სტილი, რითაც ეს სურათები განსხვავდებიან პარიზში შესრულებულ სხვა სურათებისაგან. „ბრეტანის სერია“ (1921 წ.) შესრულებულია აკვარელთ ქაღალდზე (დაახლოებით 50 ფურცლი), ამ მხატვარი კონსტრუქციულ-დესორბირული კომპონირებით არის გატაცებული. „ბრეტანი“ — ესაა რამდენიმე საღებავით შესრულებული ზღვა, ნავი, აფრა.

მხატვარმა გულსამიერად გადმოსცა ბრეტანის კოლორტი. ოსტატობა და ტექნიკა ვაოცებს იწვევს. ყოველი ფერადი წერტილი გამართლებულია, მოლიანად ენახები ტოვებს არაჩვეულებრივს და ამავე დროს რეალურის შთაბეჭდილებას. დ. კავაძის ნახატები იმდენად განსხვავდებიან პარიზელი მხატვრების ნახატებისაგან, რომ პირველივე გამოფენაზე მიიქციეს საერთო ყურადღება, დააბრალონ და წერდნენ შორეულ საქართველოდან ჩამოსულ მხატვარზე, რომელიც ფერების ახალი, უჩვეულო, ფანტასტიკური შეხამებანი შექმნა. მაგრამ, დავითისათვის მთელი ეს უსაგნობა, კონსტრუქტივიზმი მხოლოდ ცვა და ექსპერიმენტი იყო, ასეთ „მხატვრობას“ იგი შემდეგში აღარ უბრუნდება. და თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორად ყოფნის დროს უკრძალავდა თავის მოწაფეებს ასეთი ექსპერიმენტებით გატაცებას.

ერთი წელიწადი არც კი გავიდა და დ. კავაძემ უბრალო მკურებელიდან პარიზის მხატვრული ცხოვრების კანონდებლად იქცა პარიზში იგი ზღვებოდა მიკასოს, დერკის და სხვა მხატვრებს, შიაიკოსესს, ესენინს, ილია ზდინეიანს. ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო სამი ქართველი მხატვრის — დ. კავაძის, ლ. ვულაშვილის და შალვა ქიქოძის, — გამოფენები.

ახლა უნდა შევეხოთ დ. კავაძის მოღვაწეობას — ერთ-ერთ ისეთ მხატვს, რომელიც იშვიათად თუ იყო გაშუქებული პრესაში. 1923 წლიდან 1925 წლამდე დ. კავაძემ მთელი თავისი დრო და გამოგონების ბრწყინვალე ნიჭი მოახმარა სტერეო-კინოს პრობლემის გადაჭრას. პარიზში ყოფნის დროს დავითმა ვად დაანტერესა თვისი მსჯელობითა და გამოანგარიშებებით, ფრანგი წარმოებელი ფორე, რომ უკანასკნელმა გახსნა სპეციალური საბუღალსო სტერეო-კინო ეკრანისა და აპარატურისათვის, რისთვისაც მოიწვია ორი ცვლილიეიერა ინჟინერი და რამდენიმე მექანიკოსი და ზეინკალი. ორი წლის მინიმუმზე წარმოება ცდები და ძიებანი, ამ საქმისათვის დიხარჯა სამი მილიონი ფრანკი (იწ

დროის კურსით ეს შეადგენდა ერთ მილიონ მანეთს). ფორემ განაცხადა, რომ წარმოებებს მიუხედავად, მას აღარ შეუძლია ამ საქმის დადინანსება და ურჩია დ. კავაძეს მუშაობაში წასვლა მისი გამოგონების დასრულებისათვის (წიგნში „დავით კავაძე“, რომელიც გამოიცა პარიზში 1924 წელს, მოთავსებულია ფოტო-სურათი მხატვრის მიერ გამოგონებული კინო-აპარატისა სტერეო-კინოსათვის, იხ. ტაბულა-16).

ამ დროს დავითს მოუვიდა ცნობა საქართველოდან მამის გარდაცვალების შესახებ, რამაც ისე დაამწყურბრა, რომ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. დ. კავაძის გამოგონება დაბატენტებული იყო საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ საქართველოში უცნობა დაბრუნებამ შეაჩერა მისი გამოგონების საბოლოო რეალიზაცია. ათი წელიწადი უშედეგოდ დაიარებოდა დ. კავაძემ საქონიარეულოში და ბოლოს 1947 წელს გაეშვებია მოსკოვში, თავისი გამოგონების დაწვრილებითი აღწერის ერთი ცალი დოკუმენტი კინოფიკაციის კომიტეტს, მეორე ცალი კი ახლაც ინახება მხატვრის არქივში კომიტეტის მიერ მიღების ხელწერილით. შემდეგში დავითი ჩამოშორდა სტერეო-კინოს ორგანიზაციის საქმეს, მისი გამოგონება კი სხვებმა განაბორცოვეს.

სამკობაო საქართველოს განახლებულმა ცხოვრებამ ჩათარია დ. კავაძემ თავის ყოველდღიურობაში. მას არ შეეძლო უშოქმედოდ დარჩენილიყო. პირველ ხანებში მას ვგონა, რომ შეძლებდა თავისი უსაგნო და კონსტრუქტივისტული ძიებების პრაქტიკულ განხორციელებას. ცხადია, ეს იყო მისი შეცდომა, რითაც ისარგებლა ზოგმა მხატვრის მთელი შემოქმედების ვასაკრიტიკებლად, მხატვრისა, რომლის მთელი მოღვაწეობა სამშობლოსადმი და ხალხისადმი სიუყარულით იყო აღსავსე. მაღე დ. კავაძემ მიიწვიეს სამხატვრო აკადემიამ პედაგოგად, აქ იგი ასწავლიდა თავის მოწაფეებს რეალისტურად ხატვას და თვითონაც, როგორც თეორიისა, ისე მხატვრულ პრაქტიკაში მიატოვა უსაგნობა და აბსტრაქტულობა, რაც დამახასიათებელი იყო მისი პარიზის დროინდელი შემოქმედებისათვის, აკადემიამი მუშაობასთან პარალელურად დავითი იწყებს მუშაობას თეატრისა და კინოში. უკვე 1928 წელს იგი მუშაობს გამოჩენილ ქართველ რეჟისორ კოტე მარჯანიშვილთან ქუთაისში ე. ტოლერის პიესის „პოპულა ჩვენ ეცოცხლობ“ გაფორმებაზე. დეკორაციულმა კონსტრუქციამ, რომელიც შექმნა დ. კავაძემ სტენაზე, კ. მარჯანიშვილის დადგმის წარმოების განსაკუთრებულად შეუწყო ხელი. ამის შემდეგ დ. კავაძემ მრავალი დადგმა გააურობა ჩვენს თეატრებში და სხვა-

ლი მოხვეწა, როგორც ბრწყინვალე თეატრალურმა მხატვარმა დ. კაკაბაძემ პიესებს აფორმებდა სხვადასხვა მანერით, ყოველთვის გამოდიოდა პიესის შინაარსის სპეციფიკიდან. მაგალითიდან, „პიკის ქალის“ დეკორაცია სრულიად განსხვავდებოდა „სადგურის უფროსის“ ან „ნინოშვილის გერიის“ დეკორაციისაგან. სამწუხაროდ, დ. კაკაბაძის, როგორც თეატრალური მხატვრის, მოღვაწეობა იქამდე არ არის სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული.

1928 წლიდან 1951 წლამდე დ. კაკაბაძემ შეასრულა რამდენიმე ციკლი გრაფიკული სურათებისა: „რიონისი“, „სვანეთი“, „კოჯორი“. აქ ისევე ახალ მანერას, ახალ ძიებებს ვხვდებით. სვანეთის პეიზაჟები ლამაზად, რეალისტრად და შესრულებული. საერთო მწვანე ფერი, ყავისფერი და ნათელი მწვანე ფერი — ასეთია ძენწი ფერადული გამა ამ სურათებისა. სახლები, კოშკები, ზეები გამოსახულია ტუშის ფანქრით, ზოგან ფანქარი აღიერებს ჩრდილს აკვარელში, „რიონისში“ უფრო მეტადაა მოცემული ზუსტი გრაფიკულობა. მშველადური ტუშის ფანქრითაა მოხაზული, ფერი ადვილს უთმობს ხაზს. ასევეა „კოჯორი“, სადაც ძველი სახლები და მაღალი ზეები პირობითი მანერითაა შესრულებული. ყველა ეს ფერცელი, განუმეორებელი და ძვირფასი ხელოვნების ნიმუშები, ამჟღავნებენ მხატვრის დიდ კულტურას.

გარდა ამისა დ. კაკაბაძეს განზრახული ჰქონდა ინდუსტრიული საქართველოს პეიზაჟების

სერიის შექმნა მეტად ძნელი და პასუხსაგები ამოცანა იყო. სამწუხაროდ, [სერია] მრავალამთავრებული, მაგრამ რის უკვაკეთესმაც მისთვის წრო მხატვარმა, უთუოდ დიდ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს: „რუსთავი“, „ფოთი. ელვატორი“, „ქვათვრა“, „ტყეობლი“, „სვანეთი, მადნის დამუშავება“, „ყაზბეგი“ და სხვ.

დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს „ქართული პეიზაჟი“ (1942 წ.), რომელიც ამჟამად საქ. ხელოვნების მუზეუმშია. ეს სურათი ერთერთი ყველაზე საუკეთესოა დ. კაკაბაძის შემოქმედებაში თავისი კოლორიტით და ფერწერით. ეს და უკანასკნელ წლებში შესრულებული სხვა სურათები აშკარად მოწმობენ, რომ მხატვარი დაადგა ნამდვილი დიდი რეალისტური ხელოვნების გზას. სამწუხაროდ, მოულოდნელმა სიკვდილმა გამოგვტაცა შესანიშნავი მხატვარი და აღამიანი ზეენი რიგებიდან.

პატოსანი, პრინციპული, ნიჭიერი, ნათელი გონების მხატვარი და აღამიანი დ. კაკაბაძე მუდამ ვძიებდა ხელოვნებაში ახალს, ორიგინალურს, ვაუტობოდა ფოტოგრაფიზმს, ნატურალიზმს, მზა შაბლონებს. მართალია, ამ ძიებების პროცესში ზოგჯერ იგი ცდებოდა, მაგრამ მისი შემოქმედების მაგისტრალური ვნა მაინც რეალიზმი იყო და ასეთად დარჩება იგი მომავალი თაობების ხსოვნაში.



პეტო. თაყაიფვილი



მობონებები*

როგორც ცნობილია, ქალაქის თამაშში ბელა ცვალებადია და არ არის მოთამაშე, რომელიც ყოველთვის მოგებულ იყოს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ილიაც აგებდა, საყმოდ თვალსაჩინოდაც. ერთი ასეთი ამბავი მან თვითონ მოგვითხრო, როდესაც საუბარი ჩამოვარდა მის მეგობრებზე ანუ შევიცარებზე — რუსი პუკადა, ფხიზელი და მოვალეობის ერთგულად შემსრულებელი. ილიამ გვიყო, კარგი არისო, მაგრამ ერთხელ უნებლიეთ დამწყველაო. ქალაქის თამაშიდან რომ გბრუნდებოდი დილაობით, ყოველთვის თითო მანეთს ვაჩუქებდი ხოლმე და იშვიათად ორ მანეთსაცაო. მაგრამ ერთ ღამეს არაჩვეულებრივ დიდი ფული, ათას მანეთი, წვაგე და დიღას ჯიბეში ერთი თუმანიღა ჩაძირაო. მოვედი შინ, მეგობრებ კარი გამოიღო და მომესალმათ. ვიფიქრე, რაღად უნდა დავიტოვო ჯიბეში წაგებული ფულის ნაშთი-მეთქი, ამოვიღე და მივეცი, „Натебе, на здоровье“ — მეთქი: რა თქმა უნდა, ძალიან ვაუხარდა, ილაბთ იფიქრა, რომ იმ დღეს ბევრი მეფიცე და იმიტომ მივეცი ისეთი არაჩვეულებრივი საჩუქარი. ორივე ხელი ასწია ზევით და მითხრა: **Дай Бог Вам всегда так выигрывать!** ამრიგად, დალოცვის მაგიერ, წაველა მივიღეო.

კოლა ერთსთავი, თუ თავის სახლში არ თამაშობდა ქალაქს, ყოველ ღამე, 3-4 საათამდე „არტიტულ კლუბში“ იჯდა და იქ შეეძებოდა თამაშს. ისიც დახელოვნებული მოთამაშე იყო და მეტწილად იგებდა ხოლმე. მართალია, მის ცოლს კარგი მზითვენი მოჰყვა, მაგრამ იმით მაინც ვერ იცხოვრებდა, ქალაქის თამაშიდან რომ არ სქონოდა მუდმივი შემოსავალი. მაინც იმ ქალაქის თამაშს შეეჯდა ის უნებდური: ბოლო ხანებში, ეტყობა, წაგება დაეწყო, ერთ ღამეს, კლუბიდან დაბრუნებულს, გული გაუსკდა და უცებ გარდაიცვალა. მისმა ქვრივმა გამოაცხინა, თავისი ხარჯით, წერა-კითხვის საზოგადოებას ნიკოლოზ ბარათაშვილის (ქმრის ბიძის) ლექსების სამსონ ფირცხალავის ხელმძღვანელობით. კარგი ქალი იყო.

ჩემს დროს დაიწყო ქართულმა საზოგადოე-

ბამ ჩვენი მწერლების, პოეტებისა და მოღვაწეების იუბილეთა გადახდა. პირველი ასეთი იუბილე მოუწვეს რაფიელ ერისთავს, რომლის ლექსებსაც, — მეტადრე ბოლოდროინდელთ, როცა მან ხალხური ლექსების სტილით დაიწყო წერა, — დიდი სახელი ჰქონდა მოხვეული ქართველობაში. ის ლექსები მართლაც შედევრებია ქართული პოეზიისა. თან რაფიელ ერისთავი კარგი მკვლევ იყო ძველი ლიტერატურისა და ქართველთა ზნე-ჩვეულებისა.

მის იუბილეში მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა. ყველა ქართულმა დაწესებულებამ გამოგზავნა დებუტატები და საჩუქრებიც ბევრი შეუგროვეს. ჩვეულებრივ იუბილე ასე მიმდინარეობდა ხოლმე: ცნობილი პოეტები ან საზოგადო მოღვაწეები გამოიყვანდნენ იუბილარს სცენაზე, მოუსხდებოდნენ აქეთ-იქით და იწყებოდა მილოცვა-სიტყვები იუბილარისადმი, საზოგადოებათა წარმომადგენლების მხრივ.

რაფიელის იუბილე გადაიხადეს შანის ქარვასლის თეატრში, სასახლის ქუჩაზე. იუბილარი გამოიყვანეს ილია ქავჭავაძემ და აკაეწერათელმა. სიტყვებმა და მოლოცვებმა შუადღიდან საღამოს ექვს საათამდე გასტანეს. მერე ვახშამი გადაუხადეს და ამით გაათავდა იუბილე.

შემდეგ რიგი მიდგა თვით ილიაზედაც, მაგრამ იგი, ჩვეულებისამებრ, თავმდაბლობდა, უარზე იყო და თან ამბობდა, „ეს იუბილე ერთგვარი ყვენობა არისო...“ საჩუქრების შეგროვებაც კი დაიწყეს და ზოგ საჩუქარს წინასწარ გზავნიდნენ ილიას ვახეთიკ რედაქციაში. კომისიაც იყო შემდგარი. მაგრამ მთავრობამ ნება არ დაართო ამ იუბილეს მოწყობისა. არ ვიცი, რაფიელის მოსწერეს უარი თუ წინასწარ, მოლაპარაკებისას გაადრთობილეს საიუბილეო კომისია (ვინ ხელმძღვანელობდა, აღარ მახსოვს), მაგრამ უთხრეს კი, სჯობს, ნუ ითხოვთ, რადგან უსათუოდ უარს მიიღებთო.

იმხანად მე სათავადანსაურთ სკოლას განვავებდი და იქ წესად მქონდა შემოღებული გამართვა სალიტერატურო საღამოებისა, რომლებზედაც ჩვენი შეგირდები ჩვენი პოეტების ლექსებსა თუ პროზას კითხულობდნენ და თან სტუდენტთა საკრებებს — ვიოლინოს, ვიოლონ-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 12, 1958 წ.

ნელს და სხვ. უკრავდნენ (შემდეგ მინდა ზოგი რამ მოეფარა ჩვენი მუსიკის მასწავლებლების, ზაქარია ფალიაშვილისა და ვიოლონჩლისტ პოლიევას შესახებაც). ჩვენ საღამოებს ვსწრებოდა თბილისის თითქმის მთელი ქართულობა და ისინი ყოველმხრივ დიდ მოწონებაში იყვნენ. ასეთი საღამოების მოწყობა მარტო პედაგოგიური საბჭოს თაოსნობა იყო და ამაში სრულიად არ ერეოდნენ (არც რასმე ვეკათხებოდით) სასკოლო კომიტეტის წევრები. მათ მხოლოდ ბარათებს ვუვხავდით და და სტუმრებდა ვიწვევდით.

განვიზრახებ, ერთი ასეთი საღამო საგანგებოდ მოგვეწყობა ილია ჭავჭავაძის, პატრისაცემად და პროგრამაში შეგვეტანა უმთავრესად მისი ლექსები და სხვა ნაწარმოებნი. მაგრამ ვაზრახებ საიდუმლოდ შევიინახებთ: არც კომიტეტის წევრებისათვის შევიცნობებია და არც თვით ილიასათვის, რომ საღამო მისდამი იქნებოდა მხმდენილი. საქმე ის იყო, რომ ვისიმე პატრისაცემი სალიტერატურო საღამოს მოწყობის ოფიციალური ნებართვა არა გვქონდა, იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველსათვის უნდა გვეთხოვა. ილიასათვის რომ ვაგვეზილა ნამდვილი მიზანი, შეიძლება არც დასწრებოდა საღამოს და არც დავერთავდა ნებას ასეთი საღამოს მოწყობისას, სადრთბილისა ვაპო. კომიტეტისათვის რომ ვაგვეზიარებინა ჩვენი ვაზრახება, მაშინ იგი საიდუმლოდ ვეღარ შეინახებოდა, ურველ შემთხვევაში, ნიკო ცხევეაძე მაინც გაუმჟღავნებდა ილიას. ისე კი, რა თქმა უნდა, კომიტეტის ყველა წევრი მოვიწვევთ სტუმრად. კომიტეტის თავმჯდომარის ამახნავ იყო მარიამ ვახტანგის (პოეტის, ჯამბაყურ-ორბელიანის) ახლი, სამივე ორბელიანის მიუღღე (ამ ორმა ორბელიანმა თავისი მამულები შეაერთეს. ერთი კაბატანი იყო, კოტე ორბელიანი, დიდი ხუმარა კაცი, და ის ამბობდა, «დარჯინის თეორია დაეარღვიეთ: შეეკრიბე სურათები ლაპარაკ ორბელიანიდან სამიკომდე და ჯიშის გაუმჯობესების მავიერ გაუარესება გამოვიდეთ». ძალიან ტრადიციული იყო ეს სამიკო). რა თქმა უნდა, მარიამსაც გავუვხავდით მოსაწყვეი წერალი, მაგრამ მან მომწერა, სამწუხაროდ, ვერ დავესწრებ, რადგან შეუძლოდა ვარო. მერმე კი, როცა შეიტყო, რომ ილია დაგვესწრო და, საერთოდ, ის საღამო ილიას პატრისაცემად იყო მოწყობილი და შესანიშნავიდაც ჩატარდა, მომწერა, ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემატუბონებ, თუ ილიას პატრისაცემი საღამო იყო, თორემ უსათუოდ მოვიდოდით. ამით აშკარა ვახდა, რომ მისი «შეუძლებლობა» დიპლომატიური მიზეზი ყოფილიყო.

საღამომ მეტად კარგად ჩაიარა. ბავშვები შესანიშნავად იყვნენ მოზიადებულნი: მშვენიერ-

რ დეკლამაციით, ნამდვილი არტისტული სვლოვნებით კითხულობდნენ ილიას ლექსებს, და იდგომებს მისი პოემებიდან, «განდევნილნი», «კაიია-დამიანიდან», «ვლახის ნამპრობიდან», «ოთარაანთ ქერივიდან» და სხვა თხულებებიდან. ამასთანავე, რა თქმა უნდა, სხვა მწერალთა ნაწარმოებებიც საყმაოდ იყო შეტანილი პროგრამაში.

ილია მეტისმეტად მზიარული და კმაყოფილი იყო. არა ერთხელ გამოთქვა აზრი: «მხოლოდ დღეს ვიგრძენი, რომ რაღაც დამიწერიაო. მაგრამ ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ახალგაზრდებს შეეძლებოდათ ასე საოცრად შეეგნოთ და შეეთვისებინათ ის, რაც მე მითქვამსო».

საღამო რომ გათავდა, მე, ილია, მისი მეგობრები და ზოგი სხვა ჩვენი ინტელიგენტი მივიწვიე მცირე სერობაზე, გიმნაზიის შენობაშივე, დიდ საკონცერტო დარბაზში. სერობაც ძალიან მზიარულად ჩატარდა.

მაგრამ იმ საღამოს მოწყობის ნამდვილი გარემოება ელენე ჯაბაღარია, რა თქმა უნდა, აუწყა ილიას. ისე ეთქვა: «Однако, Вы впроеак попали! Все было устроено по инициативе и за счет учительского совета гимназии и ее директора, а Вы объявили благодарности Цхведадзе!»

ილიას, ცხადია, დიდად სწყენოდა ეს ამბავი და საყვედური ეთქვა ელენე ჯაბაღარისათვის: «შენ რაღად დამიშალე ნამდვილი გარემოება და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რად ჩამავდიო». შედეგ, პირადად რომ შეგხვდი, ილიამ დიდად მომიბოდიშა და მიიხრა: «დამიჯერებ თუ არა, არ ვიცი, მგრამ მე რომ იმ საღამოს სიამოვნება განვიცადე, ჩემს დღეში არ განმიცდია და ვერც წარმომიდგინა, თუ ისე კარგად შეძლებდა ახალგაზრდობა ჩემი ნაწარმოებების გაგებასაო. მინდოდა წერალობით შემომეთვალა თქვენთვის მალდობა ამ პატრისაცემისათვის, რომელიც მე არასოდეს დამეიწყებდა, მაგრამ მოვერბინე, რომ არ ვამეღღავნებულყო და რაიმე უსიამოვნება არ შეგმთხვეოდათ!»

ილია ჭავჭავაძე დიდი მოყვარული იყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისა. დიდი აზრისა იყო ჩვენს არქეოლოგსა და ისტორიკოსზე, დიმიტრი ბაქრაძეზე, ძალიან პატრისაცემად და აფასებდა მას. დიმიტრი ბაქრაძემ სკენობისთანავე გადმოიყა ახალდარსებული საეკლესიო მუზეუმის წესდება, თავის მიერ რუსულად შედგენილი და სათანადო შიჯობის მიერ დამტკიცებული, ქართულ ენაზე სათარგმნად. მეც ვთარგმნე, დაგებულდ და შევადგინეთ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი.

ილიამ აქტიური თაოსნობა გამოიჩინა, დ. ბაქ-

რამეს დაავალა მცხეთაში, ბავიეთზე მცირე საცდელი გათხრის ჩატარება.

ილია სულ ამბობდა, ერთი კაცი უნდა გავიჩინოთ ისეთი, რომ ჩვენს ისტორიაზე და არქეოლოგიაზე მოწაობდეს და სხვა არაფერი საქმე არა ქონდეს. ჩვენი სირცხვილია, ამისთანა რომ არავინა გვყავსო". ერთხელ ნიკო ლოლობერიძემ მიგვიწვია რამდენიმე კაცი, პირველ რიგში, რასაყირაველია, ილია, ნიკო ცხვედამე, იაკობ ისარლიშვილი (ისარლოვი კათოლიკე იყო, ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში ნამუშაო; შენობებს აგებდა, კონსერვის ეწყოდა; ინჟინერი არ ყოფილა, მაგრამ შვედებლობის საქმე კარგად ესმოდა; სათავადანაზრო სკოლა თავდაპირველად ღმრის უკან გვეწოდა და ამ შენობის გადაკეთებაში ძალიან მოგვხმარა, თან ფულიც დაგვიბოგა; ლოლობერიძის, ილიას და სხვების უნივერსიტეტის ამხანაგი იყო, არქეოლოგის დროს გამოირიცხეს იქიდან), მე და სხვები. დავიბარა და გამოვეცხადა, განზრახული მაქვს ქართული საქველმოქმედო საქმიანთვის 50.000 მანეთი დაეტოვო. ის ნიკო ლოლობერიძე ილიას უნივერსიტეტის ამხანაგი იყო, ფრად თვალსაჩინო მოღვაწე და ძალიან ჰყვინი კაცი. მუთათისში რომ სათავადანაზრო ბანკი გაიხსნა, იმის პირველი თავმჯდომარე იყო ბესარიონ ლოლობერიძე (აი, ის, ილიამ რომ სხვებთან ერთად გააქრიტა თავის გამოცანა-ლექსებში, „ჭვეუნისა საქმე მასაც ფეხებზე ჰკიდიაო“, და მერე კი ბევრი რამ მოუწონა კიდევაც, როგორც მამულიშვილს)—დიდად პატიოსანი კაცი, პედაგოგი, მათემატიკოსი; ერთხანს საქალებო ინსტიტუტს განაგებდა. ნიკო ნიკოლამე მისი წინააღმდეგი იყო და მის ნაცვლად ბანკის დირექტორობის კანდიდატად წამოაყენა ვინმე ბაქრაძე, მეტრასებლად „ბილო“. ბესარიონი რომ გარდაიცვალა, ქუთაისშიც შეიქმნა „ბანკობადა“ და ბოლოს აირჩიეს ნიკო ლოლობერიძე, რომელიც წინათ ქუთაისის გუბერნიის ნოტარიუსი იყო. მერმე ნიკომ თავისი ნებით მიატოვა ბანკის თავმჯდომარეობა, ქიათურაში შევიქმნის მდინებე ჰქონდა შეძენილი და იქ დაიწყო მრეწველობა. გვარაინ თანხას მოუყარა თავი. მაგრამ ნერვული კაცი იყო, გული დაუსუსტდა, აღარც იქ გაჩერდა, მიანება თავი და იმ ფულით პარიზში ცხოვრობდა, ოღონდ ზაფხულობით თბილისში ჩამოდიოდა ზოლზე... დაუბრუნდით ახლა მისი ანდერძის საკითხს. ნიკომ დავეყენა საკითხი: „რა მიზნისათვის და რომელ საზოგადოებას დაეუტოვო ეს თანხაო?— ილიამ ასეთი წინადადება მისცა: „ეგ თანხა გადაეცეს წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელიც მაგისი ყოველწლიური პროცენტით ერთ

კაცს აიჩენს, არჩენს და ის კაცი წუნა ისტორიისა და არქეოლოგიის მკვლევარი იქნებაო“. ამ თანხს ყოველწლიური პროცენტი შეიძლება 2.500 მანეთი ყოფილიყო, ეს ვა სწავლიდ დიდი ფული იქნებოდა; მაგალითად, კვირე-გუბერნატორს წელიწადში 3.000 მანეთი ჰქონდა ჯამგირი. ნიკომ უპასუხა: „მე კი უფრო განათლებისათვის მინდა, რომ ლარიბი ახალ-გაზრდობის სწავლაც მოხმარდეს და ამიტომ მირჩვენია სტიპენდიებისათვის დაეტოვო“. ილიამ რომ ეს ვაგონა, აღარაფერი უთქვამს.

მანგლისის მიდამოებში მთიულების ჩასახლება თბილისის მზრის უფროსის ლევან ჯანდიერის დამსახურებაა. დიდხანს ეკვია ის თანამდებობა. ძალიან შეგნებული და პატრიოტი კაცი იყო და ისარგებლა თავისი ხელისუფლებით და პრაქტიკულად განახორციელა ეს ნამდვილად პატრიოტული საქმე (1880-90-იან წლებში). სხვა ჩვენი მოღვაწეები კი არ ფიქრობდნენ ამისთანა საქმეებზე; სულ ლიტერატურაზე და მსგავს საკითხებზე იყვნენ ვადაყოლილი. არავინ მოგზაურობდა და არც იცოდნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში, ნათარზე რომ ათასჯერაცი ვადამთოელი სახლებოდა. თორემ ვანა არ შეიძლებოდა, ჯანდიერის გამოცდილებას მივეყოლოდით და მოლად დაგვესახლებინა ის კუთხეები?—

ილიას ერთი საუკეთესო თვისება ის იყო, რომ მას თავისი მოვლუობის ძალიან დიდი შეგნება ჰქონდა ამიტომ იგი დიდი სიფრთხილით, დაკვირვებითა და სასრისიანობით ეკიდებოდა თავის ყოველგვარ ნაწერსა თუ ნასაქმს. არ არის არც ერთი მისი თხზულება, რომელიც მას რამდენჯერმე არ გადაეკეთებინოს და არ შეეცხოვრებინოს. იგი ასე ექცეოდა არა მარტო თვალსაჩინო ნაწარმოებებს, არამედ სულ უბრალო ბარათებსაც კი. მასსავე გიორგი ფურელის ნაამბობი (ახალგაზრდა იყო, ილიამ დიასახლეა და ძალიან მფარველობდა, თან წინავეანა პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრად რომ აირჩიეს; მერე ბანკის დირექტორად უნდოდა, მაგრამ ვერ გაიყვანა; მერე ბათუმში იყო, ქალაქის გამგეობაში მოწაობდა, რევოლუციის დროს თბილისში გადამოიყვანეს): „ერთხელ ილიასთან ვიყავი, იაკობ გოგებაშვილის წერილი მოუვიდა და მაშინვე უნდა გავეცა პასუხი, რაღაცას ეკითხებოდაო დაჯდა ილია, დაწერა ერთი პატარა წერილი და დახია. დაწერა მეორე და ისიც დახია. მე ვუთხარი, რა ამბავია მგ ერთი ბუწო წერილისათვის ამდენი წვალება-მთქი? მიპასუხა: „კაცი, პატარაა თუ დიდია, მინც დაკეთებინა და ზერულად წერა არ შეიძლებაო...“ დამახსიათებელი! ამქარაა, რომ იგი გრძნობდა თავის

1 ახლა თბილისის ქალაქის საბჭო.

ავტორიტეტს და იცოდა, რომ დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოკიდებოდა ყოველ საქმეს, თავის სახელს... საერთოდ, დიდი ისტორიკოსი იყო!

ტყუილად კი არ ამბობდნენ ხოლმე მისი თანამშრომლები, ილია მეტწილად დამ-ლამობითა წერს და დილისათვის მისი ნაწერების ნახევლით ჩამღვინივ კალათი იყო გავსებული.

თავის რომელიმე თხზულებას რომ მოათავებდა, ილია შეყარდა ლიტერატორებს, შვიგნობრებსა და მეგობრებს, წაუკითხავდა და აზრს შეეკითხებოდა ხოლმე.

ერთ ასეთ სხდომაზე მეც მიმიწვია. ეს მაშინ იყო, როდესაც მან დაწერა „ქეთათა ღაღადი“— შესანიშნავი, ისტატური პოლემიკური ნაწარმოებია, შეწავე სატირიითა და იუმორით აღსავსე, როგორც ცნობილია, ეს თხზულება მიმართულია, უმთავრესად, პატკანოვისა და ავრეთვე იმ ავტორების წინააღმდეგ, რომელნიც უწესური ბერბებით ღამობდნენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის დამცირებას. მოსამხენად, ჩემ ვერად, მიწვეული იყენენ: ნიკოცხველიძე, ნიკო ხიზანიშვილი-ურბნელი, ვლადიმერ (პროკოფი) მიქელაძე, ბანკის დირექტორი ვრუნიასკი (სახელად, მგონი, მიშა) და სხვები. ილიამ რომ კითხვა დაასრულა, ყველამ ერთხმად მოუწონა, ერთი უბრალო შენიშვნაც კი არავის ვანუცხადებია.

მე შევეკითხე პატკანოვის წერილის შესახებ. ილიამ მიმასუბა, რომ პატკანოვის აზრები ბაქრაძის შრომიდან ამოჯრებიყო. შერე ეუთხარია: „რასაკერაველია, თქვენი თხზულება“ ნამდვილად შესანიშნავია იმ მრავალი ფაქტის გამოქვეყნებით, რომლებიც მოწმობენ ზოგიერთი შოგენისტის გამოხდომას, ჩვენ წინააღმდეგ მიმართულს, ეტრულის მოგზაურობიდან დღემდე, ასეთი მკვერმეტყველებით მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედება სხვის არავის გამოუმტლავნებია; შესანიშნავია თქვენი სტილიც და იუმორიც, მაგრამ ფაქტობის აღნუსხვაში უთუოდ უნდა შეიტანოთ ცვლილება, თორემ ადვილად გამოვლავლებიან მოწინააღმდეგენი-შეიტო“. სასურველი იყო პატკანოვის წერილს ილია უმუალოდ გასცნობოდა. ილიამ მომიგო: *Ведь я же слышаюсь и пользуюсь ответом Бакрадзе, а я его знаю и уверен, что никогда неправды не скажет!* მე ეუთხარია: «Бакрадзе, конечно, неправды не говорит, но что, он говорит вообще о несправедливой критике «Картлис Цховреба», Вы приписываете Патканову. И эти мелочи необходимо исправить! у меня есть оттиск статьи Патканова, я Вам представлю его и когда Вы с ним ознакомитесь, сами убедитесь, что есть кое-какие недоразумения фактического характера в Вашем, в дру-

гих отношениях замечательном произведении». მივეცი პატკანოვის წერილი; რასაკერაველია, მადლობა გადამიხადა და სწამოიყენა.

ილია ხშირად მთხოვდა წიგნებსა თუ წერილებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე და მეც ეუგზავნიდი ხოლმე. რაც შეეხება მის წერილებს, „ი ისტორია“ რომ უწოდა, იმათ გამოადებაში არავითარი მონაწილეობა არ მიშლია. უნდა გამოუყვედ, რომ არ მომწოდებ იმ წერილების ისე გავიანურება. აქერ კიდევ „ქეთათა ღაღადიმე“ ჰქონდა, მგონი, დაწვებული, და ვერ კი დაამთავრა. საქართველოს მთელი ისტორიის დაკვეშირება მიინდომა გვიბადარის კრტიკასთან! მაგრამ რა შეწავე სიტრია და იუმორია იცოდა პოლემიკაში, საერთოდ? თუნდაც ის რაღა ღირს, მარზედ რომ დაწერა, პატკანოვის გამოქმობების გამო: „ქარგია, როცა შევირდა ისტატის ესარჩლება, მაგრამ ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილილი... ქეთათა ღაღადი“ ძალიან პოპულარული იყო ჩვენში. ერთი კაცი იყო, გვიარი აღარ მახსოვს (რეკოლუციის შემდეგ დამლომადედ შემოხობდა), იმან სულ ზეპირად იცოდა „ქეთათა ღაღადი“, სახარებასავით. პირდამირ შევეყარებული იყო იმ წიგნზე— „ქეთათა ღაღადი“ რუსულად თარგმნა ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილიმა და თვით ილიამ შეასწორა. შესანიშნავია თარგმანია, რუსულად დაწერილისა ჰგავს! ილიას იმიტომაც უხლებობდა ისტორიის საკითხებზე წერა, რომ იმხანად ნამდვილი ისტორიკოსი აღარ გვეყავდა, ბაქრაძის შემდეგ, სანამ ივანე ჯავახიშვილი გამოვიდოდა ასმარებზე... ბაქრაძემდე კი ბროსეს შემდეგ პლატონ იოსელიანი სჯობდა ყველას; თუ სცდებოდა, პატონისად სცდებოდა. ოლონდ წარწერების კითხვა ნამდვილად არ ეხერბებოდა..

ილიას გარეგნობა. შეიძლება ითქვას, რომ ილია საშუალოზე უფრო დაბალი ტანის კაცი იყო, ჩასკვნილი და ჩასუქებული, მაგრამ უწნოდ კი არა, ზომამზე. პირველად რომ დაეინახე, მაშინვე გამახსენდა გრიგოლორბელიანის სიტყვები მის შესახებ: „ის ღობერალი, ბურთივით მრგვალილი“ ზედგამოჭრილი ნათქვამი იყო! თვალები ილიას ძალიან ეშხიანი ჰქონდა და სახე—სანდომიანი. მე რომ გავიცანი, მაშინ თმაში ჰქალარა არი ჰქონდა. თმა-წვერის ფერი კარგად არ მახსოვს, მაგ-

¹ ეს პარავრაფი ე. თაყაიშვილის მიერ ნაყარნახვია საგანგებოდ ერთი იმ შეკითხვათავანის პასუხად, რომლებიც მის გამოუგზავნა წერილისა ლევან ასათიანმა (ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ამსახველი კინოსურათის სცენარზე მუშაობის დროს). რედ.

რამ, მგონია, უფრო შავი ეთქმოდა. ჰალარა გვიან გამოერია, საზოგადოდ, ილია მძლავრი აგებულების, პუნებით ერთობ ჯანმრთელი აღმართი იყო. ზემოთაც გაეხსენე ერთი მისი ნათქვამი, სხვირისცემინება და გაციება არ ვიცი, რა არის. ავადმყოფობა მხოლოდ მაშინ დაიწყო, ხანში რომ შევიდა. გული აწუხებდა და, როგორც ცნობილია, გერმანიაში წავიდა სამკურნალოდ, პროფესორ ლაიდენის საავადმყოფოში. ლაიდენმა, პირველ ყოვლისა, თურმე საზრდოობის რვეიმი დაუწესა და ყოველდღე ლაბში გაუჩინა საქმელად. ამხე ილია ამბობდა, ჩვენ არა გვეყვინია და თურმე რა სასარგებლო საქმელი ყოფილა ლაბიოიო. შერე ლაიდენისათვის უთქვამს, „მე ლაბითი ვარ გაზრდილი, ყოველთვის ევამდი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერ მიშველაო“. მართლაც, კოლა ერისათვისაგან („უცნუელაქისაგან“) გამოვიდა, ლაბში ისე უყვარს ილიას, რომ, ჩვენთან როცა სადილობს, ჩემი ცოლი ახალ-ახალს დასხმას ვეღარ იუღისო.

ილიამ შესანიშნავი, სასიამოვნო სიუბარცა იყო და მის მოსმენას არაფერი სჯობდა, მტკადრე, თუ კარგ გუნებაზე იყო. ხმაც ძალიან საშფერო ტემბრისა ჰქონდა, არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი, ბოხი. არც ყვირილი იყო და არც აჩქარებული ლამარაკი. ოღონდ ისიც უნდა შევნიშნო, რომ გულ-მოსული თითქმის არასოდეს მინახავს და ეგებ მაშინ კი უწყვეტ ხმას და უფრო ჩქარად ლამარაკობდა? თუმცა ერთხელ კი შევესწარი მის დაჯერებას, როდესაც დავით სარაჯიშვილთან ვიყავით სტუმრად. დავითი, მართალია, კარგი ქართველი იყო და დიდი პატრიოტიც, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა ქართველების ნაკლის გახვიადება. ქართველების მიმართ ძალიან პესიმისტად მოქონდა თავი და თვითონ იტყობდა ხოლმე, „მე, პატრონო, პესიმისტი ვარო“. ნათ დლობერტიმ მას დაეინათ Великий Пессимист“-ს ეძახდა ერთხელ, ნამეტანი რომ გადააქარბა, ილიას გული მოუვიდა და წამოიძახა: „ამისთანა ვაგონილა? ამ ოჯახში ქართველების ძაგების მერს ვერაფერს ვაგონებმ! თუ ერთ-ორი ეილაც აწუხებს და ფელსა სისოვს, ეს მთელ ხალხზე გადააქვსო!“ იი, მაშინ კი აუწია ხმას ილიამ, მაგრამ — ცოტა.

თავის დროზე გაზეთის კორესპონდენტმა დახვედა მცდარი ცნობა, თითქოს იონა მეუნარკავის ქეთაისში შეურაცხყოფით მოეხსენებინოს ილია ჭავჭავაძე და გარკვეული ჩრდილი მიაყენა იონას. ამ გაუგებრობის სრული განმარტება მოცემულია თვით ი. მეუნარკავის ამას წინათ გამოსული წიგნაკში ილია ჭავჭავაძის შესახებ, მაგრამ მეც მინდა ცოტა რამ დავემატო.

ხტეა რომ არა იყოს რა, ქუთათურების მგზ-

ნებარე პატრიოტიზმი მთელ საქართველოში იყო განთქმული და, ამა როგორ დაანებებდნენ, ხომ მოკლავდნენ მეუნარკავის, მართლაც რომ ეთქვა საჯაროდ ისეთი რამ ილიას შესახებ, რაც იმ კორესპონდენტს ჰქონდა ჩვენებური ცილისწამებით მონაპორო? რაც შეეხება იმას, რომ იონას ილიას სიტყვაზე უთქვამს, გრძელი იყო, განა დიდი უბედურებაა? იმავე კორესპონდენტმა შეცდომაში შეიყვანა იაკობ გოგებაშვილიც, რომელიც აღშფოთებული იყო, „თურმე ი. მეუნარკავი შეიღს ქართულს იმ ასწავლისო“ რომ ეს მტყნარი სიტყუე იყო, მე თვითონ დავრწმუნდი: იონას ვაჟმა მიყურა, თუ როგორ ვმუშაობდი სამეგრელოს ძველუბის აღწერაზე, მერე თავისით აღწერა ჯგუფთის ძველი, ძალიან კარგად, მშვენიერი ქართულით, და გამოვიგზავნა ხელნაწერი, რომელიც ახლაც ჩემთან ინახება. საწყალი ყმაწვილი ნიჭური იყო და ადრე კი ვარდიიცილაო.. იონამ, ხანს, შეგნებულად შეიკავა თავი და არ გამოეხმაურა გოგებაშვილს: ამ უკანასკნელზე საერთოდ ძალიან მძიმედ მოქმედებდა ხოლმე პოლემიკა და იონამ იგი ალბათ დაზოგა.

ჩემი შემოაბის დაწვეობისას ერთი მასწავლებლისაგან შევიძინე ორი ხელნაწერი. ერთ მათგანზე, ტყავის სენაქსარზე ბოცო ბაბლი-სა და მისი შეილების მინაწერები იყო. მერე წარუდგინე ის ხელნაწერები წერა-კითხვის საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარეც მაშინ ილია ჭავჭავაძე იყო, აუღსენი, თუ რატომ იყო სასურველი იმ ხელნაწერთა ყიდვა საზოგადოებისათვის, როგორც კი ვაითავე ასსან-განმარტება, ილიამ მაშინვე ვაუხვა კალამი, „მიეცესო“, და ამინაზლაურეს გაწეული ხარჯი. მერე გოგებაშვილმა შენიშნა: „იაკობ, ჩვენ აღარა გვეკითხე, იქნება არა ვეიდულობდითო?“ ილიამ უთბრა: „მაგას რალა კითხვა უნდოდა. კაცი ვაუხუნება, ათაბაგების რამდენიმე ხელმწიფრება შეგაო. ერთისაც რომ ყოფილიყო, ისიც კმაროდაო!“

თბილისში რომ არქეოლოგიური კრება მოეწყო (V, 1881 წელს), იმას მე არ დაესწრებინვარ, მაშინ ქეთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდა, მაგრამ ანეტა დლობერტიმ-მუხსელიშვილისამ მიამბო, ექ მთმხდარი ერთი ინციდენტი. ხელოსნის, თბილისეზბრასისტს, წამოეძახა თავის სიტყვაში, „მე ბედნიერი ვარ, რომ ვიწყობებ თბილისში სომხეთის დედაქალაქში“-ო. სტომის შემდეგ ილია მისუღყო ხელოსნთან და ეთქვა, „Я с омерзением слушал вашу речь!“ — საქველწამხდარ ხელოსნის ბოდიშების ხდა დაეწყო, მაგრამ რალა დროსი იყო.

პროფესორმა ცავარელმა რომ თავისი „Минерельские этюды“ გამოაქვეყნა, ჩვენი საზოგადოება ერთხმად აუშხედრდა, ილია ჭავჭავაძიდან მოკლებული, და კინაღამ შექამეს, მო-

ლიბერტი, უნდა მეგრელები ჩამოაშროს საქართველოსათ. ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, ლინგვისტიკაში უკეთესი არ შეიძლებოდა, ის ნაწროშიც ძალიან კარგი ჰქონდა, მაგრამ აღდგინეს ხელი ენათმეცნიერულ მუშაობაზე და მის შერე შეუდგა სიგელის გამოცემა, რასაც ბევრი სხვაე გაეკეთებდა უმისოდ.

„მასხოეს ერთი საუბარი ილია ჭავჭავაძესთან, პეტერბურგიდან ჩამოსვლის კარგა ხნის შემდეგ. სადილად ვიყავით ილია, ნიკო ლოლობერიძე და მე დავით სარაჯიშვილთან. ჩამოვარდა ლაპარაკი ცვატელზე, ილიამ თქვა, „მე არ ვიცი, მეცნიერულად როგორია ცვატელის მოსაზრება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მთავარ ძალიან გვაფნო. კარგია, რომ თვითონ ხალხმა არ მიიღო, სამწუთო წერილი რომ გადაუთარგმნეს, ადგნენ და გამოვიდნენ ეკლესიიდან, როცა მეგრულად დაიწყეს წირვა“.

საერთოდ კი, ილია იმითაც სჯობდა თავის არგვლივ მყოფთ, რომ ფხიზლად ადევნებდა თვალს შეცნიერულ ლიტერატურას, მუდამ საქმის კურსში იყო, კითხულობდა, უკვირდებოდა და იყენებდა თავის თხზულებებში.

ახლა მინდა ვავიხსენო ილიას და ნიკო ხიზანიშვილი-ურბნელის ურთიერთობა და, ამასთან დაკავშირებით, ილიას ხასიათის კიდევ ერთი თვისება.

ილიას ჭამა ძალიან უყვარდა და ყოველთვის ისე გულმოდგინედ და გემრიელად შეეჭკოდა ხოლმე საჭმელს. რომ, რაც არ უნდა დაკარგული ჰქონოდათ მიჯა, მოგვეყრიდათ, კვირიბით იგი სადილად იყო ხოლმე დავით სარაჯიშვილთან, რომელიც დიდი პერ-მარილის კაცად ითვლებოდა და რომელსაც შესაძენიწვევი მზარეულები ჰყავდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს თბილისში ვერხსად ქართულ ოჯახში ვერ სკამდით ისეთ გემრიელ სადილს, როგორც დავით სარაჯიშვილთან. გრთხელ მე და ილია ერთად ვიყავით იმასთან სადილად, მსაპინძელმა რალაცა შესთავაზა, კიდევ მიირთვიო, და ილიამ უარი უთხრა, შენი სადილის შემდეგ ხშირად ავდა ვხდებო. მაშ, ნუ სკამ ბუერსაო, უთხრა სარაჯიშვილმა. როგორ არა ევამო, ისეთი გემრიელი საჭმელი მოვაჭქვს, რომ თავის შეკავება არ შემოძლიაო, მიუგო ილიამ.

ღიბს, ილიას მადა-ჭამა განთქმული იყო, მაგრამ მისი ახლო მეგობრის, ნიკო ხიზანიშვილის მადა-ჭამასთან ილიასი მოსაგონიც არ იყო. ნიკომ ვაძლომა არ იცოდა, თუ ვერ გრძობდა ვაძლომას, არ ვიცი. იგი ილიას ძალიან უყვარდა და ერთმეორესთან შეხუმრებულ იყვნენ ყოველთვის. ნიკო „ფეოდალს“ უძახდა ილიას, ილია კი — „გაუმადლარ პლებსს“

(ნიკო ფსევდონიმად „Plebs“-ს აწერდა თავის სტატიებს ქურნალ-ვახუთებში).

ერთხელ სიტყვამ მოიტანა და ილიამ გვიხიბრა, მართალია, მეც კარგი ჭამა ვიყავი, მაგრამ ნიკო ხიზანიშვილს ხომ ვერ შევედრებო. მეტე გვიამბო: „ერთხელ საგურამოში უნდა წავსულიყავით ერთად და, რაკი მისი ამბავი ვიცოდა, წინდაწინ შეუდღეს მივწერე, ხვალ მოვდივარ საგურამოში და ნიკო ხიზანიშვილი მომყავს, ხომ იცი, რანაირი სეავია და შესაფერისი სადილი მოგვიმზადე, საუბმეულს კი მე ამოვიტან აქედან-მეთოქ. მეორე დღეს კარგი დარი იყო და ჩვენც ნამგზავრნი მადზე კარგად ვიყავით: სადილის ჭამას პირველ საათზე შევუდგვით. ჯერ, რასაკვირველია, საუბმეულს შევექვეით და ლახათიანად გვახელით ხიზილას, დოშს, „საზინციებს“, გადახელილსა და სხვა ამგვარებს. მერე არტალა და თვეზის მწვადები დავაყოღეთ. მერე შემოვიდა მზარეული და მითხრა, შემწვარი ინდური და გოჭი მაჭქვს, რომელს ინებებთო. მე ვუთხარი. ინდური მოგვიტანე და გოჭი ვახშმად შეგვიანებ-მეთოქ. ინდურიც კარგად გვახელით და მერე ორგვარ-სამგვარი ტკბილეული დავაყოღეთ. თან, რასაკვირველია, ყოველივე ამსა-მელის შესაფერისი ლეინოსაც შევეჭკოდიოთ. ამან თითქმის ხელ საათამდე გასტანა. მერე კი ადგა ნიკო და გარეთ გავიდა, „ახლა პერზე უნდა გავიარო, რომ ცოტა მოვინელო და სული მოვიტკვაო“. ჩვენ აივანზე დაგრძობით და ნიკო კარგა ხანს აღარ ამობრუნებულა. ბოლოს, რომ მოსაღამოვდა, მზარეული ამოვიდა და მითხრა, ვახშმად რა ვაგვიკეთოთ, რას ინებებთო? მე ვუთხარი, გოჭი ავი ვვაჭქვს და სხვა რაღა გვინდა-მეთოქი?! „მან ვაიციანა, გოჭი სადალ ვახლეთ, თქვენ სტუმარი ჩამობრძანდა სამზარეულოში, გადმოიღო თარიღან ის გოჭი და სულ ერთიანად მიირთვა, თავის ძელის მერე არა დაუტოვებია რა, თითქმის მინამდგ არაფერი ექამოსო“.

ილია ამ ამბავს თვით ნიკოს თანდასწრებით მოგვიყვა. მერე ნიკო მომბრუნდა და მითხრა, „ისე შემზინებდა ახალ-შემწვარი გოჭი, რომ, აბა, როგორ შემეძლო, არ შემეჭამა? ნეტავი ახლაც მომცა იმისთანაო!“

ხიზანიშვილის ასეთი უზომო ჭამის ამბავი თბილისში ყველამ იცოდა და ერთხელ აკაცი-მაც დაუწერა კუბუტებში:

„... ბექა და აღბულა არტალს არ ჩაყაყოლიო!“
სწორედ იმ ხანებში გამოაქვეყნა ნიკომ, ნ. ურბნელის ფსევდონიმით, ბექა და აღბულა ათაბაგების კანონები.

ნიკო ხიზანიშვილი გამოპიებელი იყო და მოსამართლის თანამშემედ მსახურებდა თბილისის ერთ-ერთ უბანში. უბეკლად ნიჭიერი

კაცი იყო. კარგი მკვლევარი და პუბლიცისტი, განამბვილი, კარგი ქართულით წერდა... მაგრამ არ ვიცი და არცაა, მგონი, დღემდე გამორკვეული, თუ ვინ მოკლა და რატომ? ორი შვილი დარჩა, ქალ-ვაჟი.

ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით მას შემდეგ შეიქნა ზვენი საზოგადოებისათვის ცნობილი, როდესაც დაბეჭდა პოემა, რომელშიც ერეკლე მეფეს ღამს აღარებს¹. ილიამ ძალიან გაუოქვა და გაუყეთა სახელი. ამბობდა, რუსთავე-


¹ „მოხუცის ნაამბობი“.

ლის შემდეგ მაგისტანა პოეტის და გვერდი² პირდაპირ გაგვიხსენებდა იყო ვაჟაზე, მაგრამ სხვები არ ეთანხმებოდნენ. ილიამთან შეხვედრის შემდეგ მათთან სალაშქრობზე მართლაც კითხულობდა ვაჟას ლექსებს „ივერიის“ რედაქციის გამგე ვაჟა ყიფშიძე, რომელმაც კარგი კითხვა იცოდა საერთოდ...

² ილია იტყვოდა ხოლმე: „რაც ვაჟა გამოჩინდა ზვენი პოეზიაში, ახლა ყველამ განზე უნდა გადავდეთ კალამით“ (ელ. ფოტუბაძის მოგონებებიდან. რ. ე. დ.).

(გაგრძელება იქნება)

წიგნების მიმოხილვა



მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები



მე-19 საუკუნის ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მიუხედავად მკაცრი საცენზურო პირობებისა, მათი რედაქტორები მამაცურად ებრძოდნენ ყოველგვარ კოლონიურ გამოვლინებებს, იცავდნენ ქართველი ერის შთაინობას, იმდღებდნენ ხმას საქართველოში მოვლინებულ ცარიზმის მოხელეების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეხშოთ ქართველ ხალხში ეროვნული სულისკეთება, ფეხქვეშ გაეთელად მისი მშობლიური ენა. ისინი მოუწოდებდნენ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლისაგან და უოველნაირად აღვივებდნენ ერში პატრიოტიზმის მხურვალე გრძობებს. მაგრამ დღემდე კიდევ არ არიან სრულყოფილად შესწავლილი ჩვენი ერის ეს დაუვიწყარი გუშაგები, უმწიკლო და უინჯარო, ერის წინაშე ბრწყინვალედ ვალმოხდელი ადამიანები. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ცნობილი მტკიცანი მწერლის იმ. ვართავაძის წიგნი — „XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები“. წიგნი საინტერესოა რამდენადაც მისი ავტორი აქტიური თანამშრომელი იყო მე-19 საუკუნის ზოგიერთი ქართული ჟურნალ-გაზეთისა და პირადი ურთიერთობა ჰქონდა მათ რედაქტორებთან.

სარეცენზიო წიგნში განხილულია ოთხი გამოჩენილი რედაქტორის: ვიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ივანე შარბილასა და ილიას საქმიანობა, რომელიც მარტო სარედაქციო მუშაობით კი არ განისაზღვრებოდა — ამევე დროს ისინი იყვნენ თვალსაჩინო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, რომელთა სახელი მუდამ დარჩება ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში.

წიგნი იწყება ვიორგი წერეთლით, რომელმაც „მოთხოვნის ენერჯია და განუყოფლობის სიციცხლე შრომულ ხალხს და საყვარელ სამშობლოს შესწირა“. ყოველმხრივ განათლებულმა და ახალი იდეებით შევსებულმა გ. წერეთელმა მაგრად ჩასჰიდა ხელი ჯერ „დროების“, ხოლო შემდეგ ჟურნალ „კვილის“ რედაქტორობას.

გ. წერეთელს უნაყოფოდ შიანდა ისეთი ეტრნალის თუ გაზეთის არსებობა, რომელიც „არ მუსრავს იმ ნაკლოვანებებს, რაც რომ წინ უდგება ცხოვრების კეთილმდგომარეობას და არ აჩვენებს საზოგადოებას სწავლისაგან გამოსიკვლევს, კუშმარტივებს და კანონებს, რომლების ძალითაც ისპობა ეს ნაკლოვანებები...“ (გ. წერეთლის თხზ., ტ. 1, გვ. 6). გ. წერეთელი ყოველნაირად ცდილობდა გაემართლებინა ეტრნალის ეს ამოცანა — ყოველთვის უოფილაყო მისი რედაქტორობით გამოცემული ეტრნალი თუ გაზეთი ნაყოფიერი და „ნაკლოვანებების შემშლსკრივი“, რის დასადასტურებლად საკმაოდ მოუყავს ფაქტები სარეცენზიო წიგნის ავტორს. რაც მოთავსია, მან შესწლო დაერაზმა რედაქციების ვარშემო ისეთი ბუშბურაზი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, როგორიც იყვნენ დიდი ილია, აკაკი, ი. ვოგობაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვები, რომლებიც გ. წერეთელთან ერთად იღვწოდნენ საქართველოს ეროვნული ტიციილების მოსაშუშებლად. იმის დასამტკიცებლად, თუ რა მძიმე საცენზურო და მატერიალურ პირობებში უბღებოდა რედაქტორობა გ. წერეთელს, იმ. ვართავაძე სწერს: „პრაველი დღე დაღამებია გ. წერეთელს გაზეთისა თუ ეტრნალისათვის მატერიალურ სახსრების ძებნაში და მრავალი ღამე გასთენებია, რათა თავიდან აეცილებინა ცენზორის სისხლის ფერი მელანი“.

ასევე ნათლად ახასიათებს იმ. ვართავაძე სერგეი მესხს, რომელიც გ. წერეთლის შემდეგ მოთხმეტი წლის განმავლობაში მამსაგეთ „თავს ევლუბოდა ვახ. „დროების“, დღე და ღამე მასზე ფიქრობდა, პირადი ცხოვრება ავიწყდებოდა“. სერგეი მესხი კუშმარტივად თავდადებული რედაქტორი იყო თავისი გაზეთისა, რომელიც მუდამ ფხიზლად იდგა ქართველი ერის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე და ნერვავდა ხალხში თავისუფლების იდეებს. ვარდა ამისა, წიგნის ავტორი ს. მესხს ახასიათებს, როგორც თავდაპირილ რედაქტორს, რომელიც ბეერჯერ თვალს უბვევდა ხოლმე ეტრნალ-გაზეთების ჯალათ ცენზორებს და ეითომ კიდევაც მეგობრობდა მათთან. „მათი (იგულისხმება ცენზორები —

გ. მ.) ყურმოჭრილი უშა და ყველაფრის კმაყოფილი ვგონივარ. დაე, ეს აზრი ჰქონდეთ ჩემზე, სასარგებლოა და ახლა ცოტა რამე მიზეზი ნიხონ, უმისოლად მიზეზს ეძებენ და სულ დივულგებობით, — წერს ს. მესხი ერთთერთ თავის მეგობარს. გალატაკებულ, მუდამ ვალებში მყოფი ფიჯაკდახეული რედაქტორი, ყინვით გათოზილ ოთახში სიცოცხისაგან აჯანყებული ხელთ წერდა საგაზეთო წერილებს და აგონდებოდა პეტერბურგის სუსხიანი დღეები: „სწორედ პეტერბურგის დღეები მომაგონდა. დავჯდები თუ არა სტოლთან, ან წიგნის საწერად, ან რომელიმე სტატიისა, ამ წამსვე ხელები მომეკრუნჩხება და ძალიანებურად უნდა დავანებო წერას თავი, რადგან ამ სიცოცხის გამო ტვინიც არ მშუაობს“, — ამბობდა ს. მესხი. მაგრამის მაინც ყველაფერს იტანდა და თვალის ჩინივით უფრობილდებოდა გაზეთს და უოველნაიაად ცდილობდა გადაერჩინა დაღუპვისაგან თავისი „დროება“.

ასეთი უბადლო იყო ს. მესხი, როგორც რედაქტორი, რომელმაც ქართული ერის სამსახურს შეიღა თავისი გაქირავებული სიცოცხლე და მიუხედავად ამისა მე-19 საუკუნის ასეთი უანგარო და თავდადებული რედაქტორისა და საზოგადო მოღვაწის საფლავი, მიეწვებოდა და არავითარი ნაწი არ აქვს თურმე ავებული. ამიტომ სამართლიანად შეგვიჩინა ი. ვართაგვიას შოთხარცხა, „რომ მწერალთა კავშირმა თათოს და გამოასწოროს წინა თაობის დანაშაულს და, თუ თბილისში არა, ჭუთაისში მაინც ვადმოიტანოს ს. მესხის ნეშტი და შესაფერისი ნიში დაუდგას“.

არაქაფაგმოლეულ, დასწულელებულ და საქმოდ დასუსტებულ ს. მესხს უკვე აღარ ძალუძდა გაზეთის რედაქტორობა და წამოიჭრა საკითხი, თუ ვინ უნდა ჩამარტოვოდა გაზეთი „დროება“, რომელიც უკვე საქმოდ პაპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. 1883 წლიდან გაზეთის რედაქტორად გვევლინება ივანე მაჩაბელი. ისიც ენერგიულად, საქმის ცოდნითა და სიყვარულით შეუდგა საქმეს. პირველ რიგში მან ერთსულოვნად დარაზმა ძალები გაზეთის ვარშემო, თვითველი ნორმისათვის არჩევდა ასეთ მასალებს, რომლებიც ტყუილსავე ხედვებით გულში საქართველოს მტრებსა და ორგულთ. მაგრამ ახალგაზრდა ივ. მაჩაბელმა დიდხანს ვერ გაუძლო შვარცხელ ცენზორების შეზღუდვას. 1885 წელს დახურეს გაზეთი, „რითაც მთავრობას სურდა დაემშრო ის ერთადერთი წყარო, საიდანაც გამოიღწიანგებდა ცოცხალი ქართული ენა, რომელსაც რუსიფიკატორული უსამართლო პოლიტიკის ზეგავლენით არც სასწავლებელში ასწავლიდნენ, არც სასამართლოში დაპირაკობდნენ და ასე ვასინჯეთ, ჩვენი ბედის სიმუხტლე, თითქმის არც ოჯახში“, — გუ-

ლისტიკვილით ამბობს სარეცენზო წიგნის ავტორი.

ამგვარად, დაიხურა ეროვნული ინტერესების მედგრად დამცველი გაზეთი, დარჩა ყველაზე ვალებში ჩაფარნილი მისი რედაქტორი ივანე მაჩაბელი. აღნიშნული ვალების შესახებ სარეცენზო წიგნში მოყვანილია ქურნალ „მწყვამსში“ მოთავსებული ივანე მაჩაბლის მტკად საინტერესო წერილების ნაწყვეტები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მას დადებია 9000 მანეთამდე რედაქციის ვალი, რომლის დასაფარავად გაჭირვებულ რედაქტორს ვადაუხდია თავისი ღარიბი ჯიბიდან 6000 მანეთი.

მე-19 საუკუნის ქურნალ-გაზეთების გამოჩენილ რედაქტორებთან უსათუოდ გამოირჩევა ბუმბერაზი მწერალი და მოაზროვნე, ქართველი ერის უბადლო მედრომე ილია პაპუაძე. დიდი ილია ვაყაყურად ჩაუდგა სათავეში გაზეთ „ივერიას“, რომლის სამუალებით მისი წარბშეუხრელი რედაქტორი მუსრს ავლებდა საქართველოს ვარემდე და შინაურ მტრებს. არ წამოჭრილა მაშინდელ სანაერთველოთ არც ერთი საკითხი კულტურის, ეკონომიკის თუ სხვათა შესახებ, რომლებსაც გაზეთი „ივერია“ და მისი რედაქტორის მადლიანი კალამი არ შებეზოდეს. და ახლაც, ვანციფრებას იწვევს ილიას ტომეულეში მოთავსებული „ივერიიდან“ გადშობევილი აუარებელი წერილები, რომლებშიც ილიასათვის დამახასიათებელ სიბრძნითა და სიმამხელით არის გამოქმეული მე-19 საუკუნის საქართველოს მტკივნეული საკითხები.

„ივერია“ მტკად მძიმე საცენზორო და პეტროლისურ პირობებში გამოიღოდა. მის რედაქტორსავე სასტიკი ბრძოლა უხდებოდა „ქართული მწერლობის ჯალათ“ ცენზორებთან, რომლებიც დაუზოგავად უსვამდნენ ხაზებს „ივერიაში“ უკვე დასაბეჭდად გამოზღებულ წერილებს, რის გამო ილია ხშირად აცხადებდა: „ყველამ კარგად ვიცი, რომ ჩვენში ძლიერ ძნელი მოსახერხებელია თავისუფლად ლაპარაკი ზოგიერთ საინტერესო საგანზედო“. კიდევ მეტიც — ილია აშკარად ვმობდა და აკრიტიკებდა ასეთ სიმკაცრეს და ვაბედულად ამბობდა: „იდიამიანს სიტყვა აზრისათვის არ აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა თქვას: „მე შენ ვიბრძანებ და ხმა უნდა გამოქმინდო“ და პატარამ მიუთვას: — „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივიარდა ბრძანებისამებრ თქვენისათ“. მაგრამ ვერა, გაზეთი „ივერია“ და მისი რედაქტორი მთელი რიგი წლების მანძილზე მოუწოდებდნენ ქართულ ხალხს განმითავისუფლებელი ბრძოლისაკენ.

წიგნი არ არის დაწვეული ზოგიერთი ნაკლისაგან. მაგალითად, ავტორის მთელი რიგ გვერდებზე მოყვას იგივე ფაქტები, რომლებიც შეიცავენ ავტობიოგრაფიულ ცნობებს და მოთავსებულია

მც „მოგონებებში“ და რაც მთავარია, უმეტეს შემთხვევაში ამ ფაქტებს ძალიან ცოტა კავშირი აქვთ მე-19 საუკუნის გამოჩენილ რედაქტორებთან.

როგორც წიგნის რედაქტორი ა. ბოცაძე საშარტლიანად აღნიშნავს, ბევრის მომსწრე და მცოდნე, დაუცხრომელი პუბლიცისტისა და

კრიტიკოსის, მსოფიანი ავტორის იმ. ვართაგვას ეს წიგნი სათანადო სამსახურს ვერცხვს, არა მარტო ეურნალისტიკის განმარტების სტუდენტებს, მე-19 საუკუნის ქართული პრესის მკვლევართაც, ამდენად ის კარგი შენაძინი ჩვენი პრესის ისტორიისათვის.

ბრიზოლ მახაპარიანი

წიგნი ისტორიულ მატერიალიზმზე



სტალინის სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრამ გამოაქვეყნა ფრიად მნიშვნელოვანი წიგნი — „ისტორიული მატერიალიზმი“. ქართულ ენაზე ასეთი წიგნი პირველადაა გამოცემული; ავტორებია: პროფესორები კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, დოცენტები: პ. გუჯაბიძე, გ. ინწაჯარეელი, შ. ბიჭაძე, ს. სახაროვი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატები: ბ. ლუტიძე, ა. გელაშვილი, ა. გონაშვილი, ბ. კარტოზია, დ. ქვებრია, გ. ასათიანი, ვ. კალანდარიანი, გ. ბაჩულაშვილი, უკროსი მასწავლებლები: შ. გაბიაია და ლ. ესაიაშვილი; რედაქტორები: პ. გუჯაბიძე, გ. ასათიანი, ლ. ესაიაშვილი, ბ. კარტოზია, ბ. ლუტიძე.

წიგნი აქვს სახელმძღვანელოს ხასიათი. იგი შედგენილია ისტორიული მატერიალიზმის სასწავლო პროგრამის მიხედვით და ამუშავებს ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების ისეთ ძირითად პრობლემებს, როგორცაა ისტორიული მატერიალიზმის საფუძვანი, არამარქსისტული სოციოლოგიური თეორიების კრიტიკა, მატერიალიზმის წარმოება — საზოგადოებრივი განვითარების საფუძველი, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებანი, ბაზისი და ზედნაშენი, კლასები და კლასობრივი ბრძოლა, სახელმწიფო და რევოლუცია; პროლეტარიატის დიქტატურა და მისი ფარმები; ერისა და ეროვნული საკითხის თეორია; საზოგადოებრივი ცნობიერება და მისი ფორმები; ზალთა მასები — საზოგადოებრივი განვითარების ვადამწვევტი ძალა; პაროვნების რილი ისტორიაში. საშუალოდ, წიგნი არაა მოცემული საზღვარგარეთის თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიური თეორიების კრიტიკა. ეს საკითხი უკვე შეტანილია ახლად მიღებულ პროგრამებში და სასურველია, რომ ავტორთა კოლექტივი ცალკე მაინც გამოსცემდეს ნაშრომს ამ თემაზე.

წიგნი დაწერილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების ღრმა ცოდნით, ვათვალის-

წინებულოა სკვ მე-20 ყრილობის დადგენილებები და პარტიის მიმდინარე პოლიტიკა.

წიგნი ზოგჯერ ვეხედება არა საქმიოდ და საბუთებულო დებულებებიც. ამისი თვადან აცდლება ავტორთა კოლექტივისათვის არც ისე ადვილი იყო, რადგან ჯერ კიდევ ჩვენი სოციოლოგიაში არის ისეთი საკითხები, რომელთაც ესაქიროება შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიება.

აქ საბიროდ მივგანია გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი სოციოლოგიის ამ საკვლევ საკითხებზე და ამის შესაბამისად შევხებით წიგნის საფუძვ მშარტებს.

პირველი ძირითადი საკითხია მატერიალიზმის პრობლემა სოციოლოგიაში. წიგნი აღნიშნულია, რომ მარქსმდელ სოციოლოგიაში იყო იდეალისტური თეორიები, მაგრამ არაა აღნიშნული, იყო თუ არა მარქსმდელ სოციოლოგიაში არამარქსისტული მატერიალისტური თეორიებიც (მეტაფიზიკური და ვულგარული მატერიალიზმი და სხვ.). ამ საკითხის გაუმუქებლობას მოჰყვა წიგნი ერთი შეცდომა, არასებებით, მაგრამ მაინც შეცდომა. მაგალითად, წიგნის 47-გვ. გეოგრაფიული მიმართლება სოციოლოგიაში გამოცხადებულია იდეალიზმად, მაშინ როდესაც იგი ნიშნულია მეტაფიზიკური მატერიალიზმისა. მართლაც, გეოგრაფიული მიმართლება თვლის, რომ საზოგადოების ცხოვრებაში პირველადია გეოგრაფიული გარემო და ეს განსაზღვრავს საზოგადოების ყოფიერებასა და ცნობიერებას. ეს კი ნიშნავს, რომ იგი პირველად აღიარებს არა ცნობიერებას, არამედ ობიექტურ მატერიალურ (გეოგრაფიულ) პირობებს, რომელიც ისტორიულად შედარებით უცვლელია მაშასადამე, ეს არის მეტაფიზიკური მატერიალიზმის ტიპური ნიშნული სოციოლოგიაში. წიგნი ნათქვამია, რომ გეოგრაფიული მიმართულების თვალსაზრისით გეოგრაფიული გარემო განსაზღვრავს უშუალოდ მხოლოდ საზოგადოების ცნობიერებას, შემდეგ კი ეს ცნობიერება განსაზღვრავს საზოგადოების ყოფიერებას და ამიტომ არის ეს

ადელიზმით (გვ. 47). არ არის სწორი, თითქმის გეოგრაფიული მიმართულება არჩევდეს და თმავდეს ცნობიერებასა და უოფიერებას და წინ აყენებდეს ცნობიერებას, მაგრამ ასეც რომ იყოს, მაინც რჩება პირველადობა გეოგრაფიულ გარემოს თუნდაც ცნობიერებასთან შედარებით. ამიტომ ამის იდეალიზმად გამოცხადება მაინც ნაძალადევა. ამას შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ სოციოლოგიაში კიდევ არის სხვა მიუღებელი მატერიალისტური თეორიები, რომლებიც განუმარტავი რჩება. მაგალითად, წიგნში განხილული ბიოლოგიისტური მიმართულება სოციოლოგიაში, მაგრამ არაა აღნიშნული მისი ფილოსოფიური არსება. ცნობილია, რომ იგი ცდილობს საზოგადოების ცხოვრება გაუთანაბროს ბიოლოგიურ ორგანიზმებს. ეს იგივეა, რაც ბუნების ვულგარული მატერიალიზმი, მაშასადამე, ენგელსის ცნობილი დღეულება, რომ დრანგი მატერიალისტები და ლ. ფორემახი იდეალისტურად გვიხსნიდნენ საზოგადოების ცხოვრებას, არაა საჭირო უსაფუძვლოდ განვაზოგადოთ და ყველა მარტსამდელი მიმართულება სოციოლოგიაში იდეალიზმად ჩაეთვალოთ. საჭიროა მეტი სისტრული იქნეს ფორმულიზებული დაილექტიკური მატერიალიზმის სპეციფიკა სოციოლოგიაში და ავი იყოს დაპირისპირებული არა მარტო იდეალისტურ, არამედ მიუღებელ მატერიალისტურ თვალსაზრისებთანაც.

მეორე ძირითად საკითხს წარმოადგენს დიალექტიკური მეთოდის გამოყენება სოციოლოგიაში. ეს უფრო ძნელი ამოცანაა და ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. წიგნში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ გადადგმული, განსაკუთრებით შესაძლო თავში. აქ მკაფიოდ არის ნაჩვენები ამ მეთოდის გამოყენება საჭიროთა ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის კანონზომიერებათა მავალითზე, თუშკა, ჩვენი აზრით, აქ შეიძლება დაცელოყო მეტი სიზუსტე. აქ გამოყენებულია დიალექტიკის ის კანონი, რომელიც განიხილავს მოვლენათა თვითგანვითარებას მისი შინაგანი წინააღმდეგობებით. თვითგანვითარების პრინციპი ძირითადია მატერიალისტურ დიალექტიკაში, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც ცალკეულ საგანთა გარემოსაგან გამოთიშულობა და საკუთარ წინააღმდეგობათა წრეში ტრიალი. ასეთი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა აღნიშნული საკითხის გაშუქება წიგნში (იხ. 72-73 გვ.). აქ ვკითხვობთ: „წარმოება ვითარდება შინაგანი ძალების მიხედვით... საჭიროთა ძალები განსაზღვრავენ წარმოებით ურთიერთობებს, წარმოებითი ურთიერთობანი კი საჭიროთა ძალების განსაზღვრელია“ (72 გვ.). ამ განმარტებაში საჭიროთა ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი ერთმანეთის ერთნაირად განსაზღვრელი გამოდის. არ ემარა მარტო იმის

თქმა, რომ პირველადობა უნდა მიეკუთვნება საჭიროთა ძალებს, „როგორც თვითმნიშვნელობის განვითარების საბოლოო საფუძველი“ ამხსნელს“ (გვ. 73; ხაზგასმა ჩემით-მ. ა.).

საჭიროთა უფრო მკაფიოდ აღვნიშნოთ, რომ საჭიროთა ძალებს აქვთ საკუთარი, წარმოებასაგან დამოუკიდებელი, მაგრამ მისთვის შინაგანი თვითგანვითარების სტიმული. საქმე ისაა, რომ წარმოება ვითარდება არა მხოლოდ შინაგანი ძალებით, არამედ აგრეთვე დაკავშირებულია გარემოსთან და ვითარდება გარემოსთან კავშირში, სახელობრ, წარმოება დაკავშირებულია ბუნებასთან, ბუნებრივი სიმდიდრეების თვისების ამოცანებთან. აღამიანები აუშვებდნენ მანქანა-იარაღებს ამისათვის, რომ უკეთ აითვისონ ბუნებრივი სიმდიდრეები. ამ დროს ისინი არ ფიქრობენ და ვერც მოიფიქრებენ იმაზე, თუ რა საზოგადოებრივ შედეგებს გამოიღებს მანქანა-იარაღების გაუმჯობესება. მაგრამ ცხადია, რომ მანქანა-იარაღის კოტად თუ ბევრად საფუძვლიანი შეცვლა აწვევს მუშახელის კვალიფიკაციის საფუძვლიან შეცვლამდელს. ეს კი ნიშნავს საჭიროთა ძალებში ისეთ ცვლილებას, რაც შედის აღამიანის ბუნებასთან დამოკიდებულების სფეროში და რასაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს მასზე დამოკიდებული ცვლილება წარმოების წესშიც, წარმოებითს ურთიერთობებშიც და საერთოდ, საზოგადოების ყოფიერებაში და ცნობიერებაში. ამით აიხსნება წარმოების განვითარებაში საჭიროთა ძალების პირველადობა და წამყვანი მნიშვნელობა. აქედან ამკარაა, რომ თვითგანვითარების დიალექტიკური პრინციპი უნდა გამოვიყენოთ საგანთა შესასწავლად არა იმგვარად, რომ ვებით ცალკეულ საგნებში ეს თვითგანვითარება გარემოსგან გამოთიშულად, არამედ — როგორც თვითგანვითარებათა ერთმანეთზე გადაბმული „ჯაბუვი ერთი შინაგანი წინააღმდეგობიდან მეორე შინაგან წინააღმდეგობაზე კონსტრუქციულად გადასვლის გზით.

ისტორიული მატერიალიზმისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების კანონებს სათანადოდ დამუშავება. პირველ ყოვლისა, საჭიროა გაეარკეოთ, რა შინა მისი განსხვავება ბუნების კანონებისაგან. წიგნში ამ საკითხზე (1 თავში) აღნიშნულია, რომ ბუნებისა და საზოგადოების კონონთა შორის არის მსგავსება, რომ ორივე ობიექტურია და აღამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, არის თუ არა განსხვავება მათ შორის და რამის კონკრეტულად ეს განსხვავებაა. ამ საკითხის გაშუქებას დიდი ზანია ხელს უშლის საზოგადოების ცნობიერების აქტიუბი როლის გარკვევის სიმძლეები, ხოლო ეს სიმძლეები, თავის მხრივ, დაკავშირებულია აღამიანის შეგ-

წებულობის როლის საკითხებთან, მისი ფიზიკურ ფუნქციისა და აუცილებლობის კონკრეტული გაშუქების სინფლექტან. ამის შესახებ წიგნში კარგადაა გადმოცემული ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის მატერიალისტური განმარტებები ჰეგელის ცნობილი დებულებისა, რომ თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა. გათვალისწინებულია ისიც, რომ ჰეგელის ეს განსაზღვრება საკმარისი არ არის. აღნიშნულია, რომ არ კმარა შეიგნო აუცილებლობა, საერთო პრაქტიკულად გამოიყენო იგი. მაგრამ მთავარი სიმწევე ამის შემდეგ იწყება. საკითხები, აქვს თუ არა ადამიანს პრაქტიკული უნარი და რითაა ეს გაპირობებული, არის თუ არა ადამიანის ნებაზე რაიმე დამოკიდებული და, სახელობრ, რა არის — ამაზე წიგნში არაფერია ნათქვამი.

ფილოსოფიები ზოგჯერ ფაქტობრივ, რომ საკითხები კონკრეტულად უნდა შეისწავლონ თითქოს მხოლოდ ფსიქოლოგებმა და არა ფილოსოფოსებმა. თითქოს ფილოსოფოსს ევალება მარტო აბსტრაქტული შსჯელობები იმაზე, რომ თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა და არ ევალება მას კონკრეტულად გაიშუქოს ადამიანის შეგნებული ცხოვრების სპეციფიკა და კანონზომიერებანი. ფსიქოლოგები თავის მხრივ, ივლევენ ადამიანში იმას, რაც მის ფსიქიკაში ობიექტურია, არაა დამოკიდებული ადამიანის ნებაზე და შეგნებაზე, შეადგენს მხოლოდ ფსიქიკის სტრუქტურას და შეიძლება შესწავლილი იქნეს ლაბორატორიული ექსპერიმენტებით. რაც შეეხება ადამიანის შეგნებულ ცხოვრებას, გონიერებას, პრაქტიკულობას, მორალურ კანონს და ადამიანებთან ურთიერთობას ვ. ი. ის, რაც ლაბორატორიული ექსპერიმენტებით არ შეისწავლება, ამას ფსიქოლოგები არ თვლიან თავიანთსაქმედ. ამნაირად, ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა ფილოსოფოსებმა თავიდან მიიშორეს, ფსიქოლოგებმა არ მიიღეს და დარჩა უპატრონოდ. ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილია, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ფილოსოფოსების საქმეა, ოღონდ კანტის შემდეგ ფილოსოფოსებმა ეს პრობლემა დაანაწევრეს, ნაწილები ერთიმე-

რისაგან გათიშეს და ამ ნაწილებისაგან მარტო შემეცნების პრობლემა გახადეს. ფილოსოფიის მთავარ საგნად; დანარჩენი მეთრეხანისგანაღნად ჩათვალეს, ან სულ გააქვევს ფილოსოფიიდან. კ. მარქსმა, როგორც ცნობილია, დღეს ხანია დაუყენა ფილოსოფიას ამოცანა — შევისწავლოთ ადამიანი არა აბსტრაქტულად განჭვრეტის ფორმაში, არამედ კონკრეტულად, ისტორიულად, გრძნობადი მოქმედების ფორმაში.

ამ პრობლემის შეუსწავლობა ბუნდოვანად ტოვებს ისტორიული მატერიალიზმის მთელ რიგ საკითხებს. მაგალითად, წიგნში არაა სათანადოდ განმარტებული, რით განსხვავდება ბუზისა და ზედნაშენი, ერთი მხრივ, და საზოგადოებრივი ყოფიერება და ცნობიერება, მეორე მხრივ, თუ ესენი ერთი და იგივეა, მაშინ რატომ არიან ისინი განხილული ცალკე, ზოლო თუ მათ შორის განსხვავებაა, უნდა განვმარტოთ, რაშია ეს განსხვავება.

წიგნში ნათქვამია, რომ „გარდა შემეცნებითი ღირებულებისა, მხატვრულ ნაწარმოებს ემოციური მხარეც ახასიათებს“ (გვ. 275). ამაგვარ გამოთქმას ვერ დავეთანხმებით, რადგან ზელოვნებაში შემეცნებითი ღირებულება და ემოციური მხარე ორი სხვადასხვა მხარე კი არ არის, არამედ ერთიმეორეს ეშთხვევა, რადგან ზელოვნების რაობაც და შემეცნებითი ღირებულებაც ერთდროულად არის ადამიანის ემოციური ცხოვრების ასახვა და გარკვეულ ფორმებში ფესტირება.

აქვე არის ასეთი გამოთქმაც: „ტიპურის ასახვისას იგი (ზელოვანი) ვერ გაქცევა სონამდვილეს, მისითაა შეზღუდული და განსაზღვრული“ (273 გვ.). სინამდვილე ზელოვანისათვის ასახვისა და შემეცნების საგანია და არა შემზღუდველი პოკალი.

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ სსსრ-ის პროგრამის ფარგლებში წიგნი უდავოდ ინარჩუნებს თავიდანვე აღნიშნულ ღირებულებას და მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივ-მეცნიერულ ლიტერატურაში.

შალვა ადუიშვილი

იოსებ ზილიხანიანის ქართული პერსიების შესახებ



„ლ. გუბარიას შრომა „იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“ საყურადღებო მოვლენაა როგორც სპარსულ-

ტარკური ლიტერატურის ისტორიის, ისე სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით.

შრომის ავტორს ორი მიზანი დაუსახავს: ა) შეისწავლოს სპარსულ-ტაჯიკურ ლიტერატურაში არსებული რომანტიკული ხასიათის პოემის „იუსუფო ზულიხას“ ვერსიები და ბ) ამის წინადაგზე განიხილოს ქართული ვერსიების სპარსულთან დამოკიდებულების საკითხები.

როგორც ვიცით, ქართულ ლიტერატურაში „იოსებ ზილიხანიანის“ ორი ვერსია არსებობს. ერთი ეყუთვნის აღორძინების ხანის პოეტს თეიმურაზ პირველს (XVII სსუკ.), მეორე კი უცნობ ავტორს.

აღ. გვახარიას ქართული ვერსიების სპარსული წყაროების შესწავლის თვალსაზრისით ამჯერად უცნობი ავტორის ვერსია აურჩევია და მის შესახებ ვარაუდობს მსჯელობა წარუშარბათს. ამიტომ ეს შრომა პირველ ნაწილად წარმოდგენილი; მეორე ნაწილში ავტორია, თუ ამ მიმართლებით მუშაობას განაგრძობს, თავისთავად ცხადია, თეიმურაზისეული ვერსიის სპარსულ წყაროებს შეეხება.

„იოსებ ზილიხანიანის“ სპარსულ ვერსიათა შორის შრომაში ჯამის პოემა ყველაზე ვრცელ განიხილული. იგი ამ გამოკვლევის დერძს წარმოადგენს.

ვფიქრობ, ავტორი სწორად მოიქცა, როცა მან ჯამის „იოსებ ზილიხანიანის“ განხილვას დაუკავშირა ამ თხზულებას დანარჩენი ვერსიების შესწავლის საკითხები.

აბდურ-რაჰმან ჯამი (XV სსუკ.) სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის დიდი წარმომადგენელია. მის მდიდარსა და მრავალფეროვან შემოქმედებას შორის განსაკუთრებულ ადგილს იჭერს პოემა „იუსუფო ზულიხას“ (იოსები და ზულიხას); შეიძლება ითქვას, რომ ჯამის არცერთ თხზულებაში, მის შესანიშნავ „ბეჰარესთასა“ (გაზაფხულის ბაღი) კი, არ გამოუწვევია ამდენი ლიტერატურული მიბაძვანი, სპარსულ ენაზე მეტყველ მკითხველთა ფართო წრეების პატივისცემა და სიყვარული, რამდენიც „იოსებ-ზილიხანიანის“ გამოიწვია.

საჭე ის არის, რომ ჯამის ვერსიაში ძირითად ამბავთან ერთად თავს იყრის ამ ძველისძველი თქმულების სხვადასხვა ეპოქაში მომხდარი სოციალური ძვრებით და სასოგადოებრივი ცხოვრების თანდათან განვითარებით გამოწვეული შენაკადები; ამასთან ის უღიდეს პოეტის ძალთაა დაწერილი, სულ ერთია, ვიგულისხმებთ აქ ცალკეული ეპიზოდების მხატვრულად გაფორმებისა თუ სასოგადოდ თხზულებაში გამოყენებულ პოეტური მეტყველების გზებსა და ხერხებს.

აღ. გვახარია. იოსებ ზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1958 წ.

ყოველივე ამის გამო ჯამის პოემის სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი შეიძლება ითქვას, ლიტერატურული სარბიელიდან განდევნა ყველა ავტორი, რომლებიც კი იოსებ მშენებრის თემას შეეხნენ.

სწორედ ამიტომ, ვიმეორებ, სრულიად სპარსულთანად შრომის ავტორმა „იოსებზილიხანიანის“ სპარსულ-ტაჯიკური ვერსიებიდან შთავარი განხილვის საგნად ჯამის თხზულება აირჩია და მას დაუმკვედრებარა დანარჩენი ვერსიების კვლევა-ძიება.

ჯამიმდე არსებულ ვერსიებს შორის ავტორის საცნაო სისრულით აქვს განხილული ფირდოუსის სახელით ცნობილი ვერსია. ის ეხება ამ პოემის ავტორობის, თარიღისა და მხატვრულობის საკითხებს.

როგორც ვიცით, შეცნიერთა ერთი ჯგუფი (ბადიოზ-ზამანი, მოკთება მინოვი და სხვ.) უარყოფს ფირდოუსის ავტორობას; მეორე ჯგუფი (პერმან ეფე, ე. ბერტელისი და სხვ.) კი იცავს მას.

აღ. გვახარია გულმოდგინედ განიხილავს ამ საკითხზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფირდოუსის ავტორობის საკითხი ჯერჯერობით დადგა დარჩენილი. ის იზიარებს ირანელი მეცნიერის მოპამედ მიონეს მოსაზრებას (მოინი კი უარყოფს ფირდოუსის ავტორობას), მაგრამ დასძენს, რომ ამის დამამტკიცებელი საბუთების შოტანა შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა, აღ. გვახარია მინც გადმოგვცემს ამ თხზულების შესწავლის პროცესში მიღებულ დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს. ასეთია, მაგალითად, მისი დაკვირვება პოემის არაბულ ლექსიკაზე. ავტორის აზრით, ფირდოუსის „იოსებზილიხანიანის“ არაბული ლექსიკა საგრძნობლად განსხვავდება „შამანმეს“ არაბული ლექსიკისაგან; იგი უფრო მდიდარია ჩანს როგორც ახალი ძირების, ისე ფორმათა მრავალფეროვნების მიხედვით (გვ. 31).

ამავე დროს, ავტორის დაკვირვებითვე, „იუსუფო ზულიხას“ სინონიმური წყვილების გამოყენების თვალსაზრისით უახლოვდება „შამანმეს“ (გვ. 31).

